გაურთმავი სამტაეპელებით არის დაწერილი ზვიად რატიანის „ადამიანი ფანჯარასთან, გარეთ შემოდგომა“ (2000).

სამტაეპოვანი სტროფებით ბევრი ლექსი აქვს გამართული ეთერ თათარაიძეს, რომელიც მესამე ტაეპების გართმული ცალებით კომპოზიციურად კრავს ლექსს:

იციი, რა'ზე მომიამბ —

ყავრით ნაღობ, ნისლფენილ

ანამწვანარ ყანებზე...

(თათარაიძე 2014: 5)

XX ს. ბოლოს ევროპული პოეზიის სალექსო ფორმების შერწყმა, შეთვისება ქართული ლექსის სახეებსა და სტროფიკაში სადავო აღარ არის. ჩვენი პოეტები ქართული რითმისა და საზომთა რეპერტუარის სიმდიდრის მეოხებით, ქმნიან სამტაეპოვანი სტროფისა და ტერცინას სახესხვაობებს.

### **დამოწმებანი:**

**ალიგიერი 2012:** ალიგიერი დანტე. *ღვთაებრივი კომედია*. თბ.: „პალიტრა L“, 2012.

**ბარდაველიძე 1979:** ბარდაველიძე ჯ. *ქართული ხალხური ლექსი*. თბ.: „მეცნიერება“, 1979.

**ბერიძე 1995:** ბერიძე რ. მყარი სალექსო ფორმები. // *ლიტერატურის თეორიის საფუძვლები*. თბ.: თსუ, 1995.

**განერელია 1981:** განერელია ა. ვერსიფიკაცია. // *რჩეული ნაწერები*. ტ. III<sup>(1)</sup>. თბ.: „მერანი“, 1981.

**დოიაშვილი 1984:** დოიაშვილი ვ. გალაკტიონის პოეტიკის სათავეებთან (მეტრიკა, რითმა, სტროფიკა). // „ჭაშნიკი“, *ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები*. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1984.

**თათარაიძე 2014:** თათარაიძე ე. \*\*\* იცო რაზე მომიამბ. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, № 21, 14-27 ნოემბერი, თბ.: 2014.

**სვანური პოეზია, I, 1939:** სვანური პოეზია. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიაშვილმა. თბ.: 1939.

**ტაბიძე 1971:** ტაბიძე გ. *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. IX. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1971.

**ტაბიძე 1975:** ტაბიძე გ. *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. XII. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

**უმიკაშვილი 1964:** უმიკაშვილი პ. *ხალხური სიტყვიერება.* „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ.: 1964.

**ჭილაძე 2004:** ჭილაძე ო. გაბზარული ფირფიტა. // *თანამედროვე ქართული ლექსის ანთოლოგია.* თბ.: „Link“, თბ.: 2004.

**ჭიჭინაძე 1938:** ჭიჭინაძე კ. პოეტური თარგმანის საკითხისათვის. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 17, 12 ივლისი, 1938.

**ხალვაში 2008:** ხალვაში ფ. მე და თარბა. // *ავხაზეთი ქართულ პოეზიაში.* ეროვნული მწერლობა. თბ.: 2008.

## **NADEJDA BOREYKO**

*Belarus, Minsk*

*Belarusian State University*

### **Mass Culture as the Main Form of Existence of Culture in the Era of Globalism**

Mass culture is analyzed as a fundamentally cosmopolitan type of culture. Possessing special ethno-national forms, mass culture essentially acts as a universal cultural project.

The article focuses on the impact of mass culture on elite culture as the main form of the existence of culture in the post-industrial phase of society development. He considers that mass culture in the era of globalization is the main form of the existence of culture.

The article analyzes only two concepts of the numerous concepts of mass culture of post-industrial society: the concept of Umberto Eco and Jean Baudrillard concept.

**Key words:** mass culture, Globalization, post-industrial society.

**Н.А. БОРЕЙКО**

*Беларусь, Минск*

*БГУ*

## **Массовая культура как основная форма существования культуры эпохи Глобализма**

Массовая культура – одно из наиболее ярких и неоднозначных проявлений цивилизации эпохи Глобализма. Вместе с тем, не смотря на обилие посвященных ей исследований, массовая культура остается феноменом малоосмысленным в современной науке.

Актуальность данной темы в значительной мере определяется культурными трансформациями, которые испытало наше общество в течение последнего десятилетия и связана с формированием новой социальной модели. В обществе, перешедшем на новую ступень исторического развития, существенно изменяется роль и расширяется круг функций, выполняемых массовой культурой, что в большой мере связано с увеличением числа субъектов исторической деятельности, являющихся носителями ценностей этого типа культуры. Изменение экономико-политического проекта отразилось и на исследовательской практике, где массовая культура, анализируемая прежде в критическом плане, стала рассматриваться как образование исторически неизбежное, органично связанное с демократическими структурами, выполняющее в постиндустриальном обществе ряд важных функций. В условиях существования плюрализма идеологий необходимость взвешенного анализа массовой культуры как специфического социокультурного феномена становится особенно настоятельной.

Стремительное развитие науки и техники и сопутствующие ему трансформации общества в постиндустриальное и информационное, а технической эпохи – в «системотехнологическую», непосредственным образом повлияли и на массовую культуру, которая сегодня имитирует креативную активность и сложность, претендуя на способность формирования творческого сознания. Виртуальная реальность, становящаяся реальностью потребления, компьютерные программы, задающие алгоритмы создания артефактов, по форме приближающихся к элитарным, возможности коммуникационных технологий, расширяющие сферу деятельности человека – все это создает иллюзию возрастания роли элитарной культуры в рамках постиндустриального общества. Между тем, массовая культура не только не уступает свое место культуре элитарной, но продолжает осуществлять на

нее интенсивное воздействие, выступая в эпоху современности в качестве основной формы существования культуры.

Несмотря на то, что в рамках конкретной социально-политической и экономической системы массовая культура приобретает ярко выраженные национальные особенности, данный тип культуры предстает как принципиально космополитичный. Обладая особыми этнонациональными формами, содержательно массовая культура выступает как универсальный культурный проект. Актуальность данной проблемы обусловлена той ролью, которую массовая культура играет в стремительно глобализирующемся мире, а также осознанием необходимости сохранения базовых ценностей национальных культур в условиях нарастающей универсализации культурной жизни и формирования монокультурного мира.

Сегодня является очевидным, что те теоретические модели массовой культуры, которые были рождены философской и культурологической мыслью начала и середины XX века, явно нуждаются в уточнении в силу превращения массовой культуры в феномен глобального масштаба, в поле влияния которого втянуты миллионы людей во всем мире, а также потому, что массовая культура превратилась за последние десятилетия в культурную форму, играющую ведущую роль в системе культуры постиндустриального общества.

Массовая культура сегодня – это явление, характеризующее особенности производства культурных ценностей в современном обществе. Массовую культуру потребляют все люди, независимо от места и страны проживания, это своего рода организация обыденного сознания в информационном обществе, особая знаковая система или особый язык, на котором члены информационного общества достигают взаимопонимания. Массовая культура проникает практически во все сферы жизни общества и формирует свое единое семиотическое пространство.

Прогнозы теоретиков постиндустриализма о естественном отмирании массовой культуры и замене ее высокоиндивидуализированной не сбываются, поскольку в постиндустриальном обществе массовая культура выступает основной формой существования культуры. В значительной мере это связано с культурными, социальными, политическими, экономическими и другими трансформациями, которые происходят в нашем обществе последние двадцать лет. Содержание, роль, функции массовой культуры постиндустриального общества относительно индустриального трансформировались. В связи с этим возникла потребность в уточнении и пересмотре теорий массовой культуры, которые сложились в конце XIX \_ середине XX вв. В качестве причин переосмысления данных теорий следует указать

изменение общества, вступившего в новую постиндустриальную фазу развития, а также превращение массовой культуры в феномен общемирового масштаба под влиянием процессов глобализации.

Среди концепций, отразивших свое виденье данной проблематики, можно назвать концепции следующих ученых: Ж. Делеза, Ж.-Ф. Лиотара, Ж. Деррида, Р. Барта, М. Фуко и многих других. Наиболее актуальными, на наш взгляд, являются концепции У. Эко и Ж. Бодрийяра.

*Цель* данной статьи раскрытие характерологических особенностей массовой культуры эпохи Глобализма на примере концепций Умберто Эко и Жана Бодрийяра.

Теоретики постиндустриального общества утверждают, что современная эпоха характеризуется «демассификацией общества, дестандартизацией культуры и персонализацией ее субъекта» (Костина 2005: 27), а постиндустриальное общество рассматривается ими как общество, в котором меняется не столько характер производства, сколько потребности и ценностные ориентиры человека. Сегодня ключевым показателем успеха является не обладание вещами, а качество жизни. В связи с этим можно выделить две из множества теорий массовой культуры постиндустриального общества, концепции Умберто Эко и Жана Бодрийяра.

Умберто Эко отождествлял массовую культуру и китч, объединяя их по признаку вторичности, и противопоставлял подобную культуру культуре авангарда, что соответствовало той дискурсивной ситуации, где предполагалось наличие канона, образца, оригинала, своеобразного эстетического эталона. Эти оригиналы в рамках китчевого искусства и подвергались, по наблюдениям Эко, дублированию, имитации, копированию. В контексте жерезвечания линейной парадигмы идеалов просвещенческого проекта с его рациональностью, осуществленного постмодернизмом, смысловые смещения между уровнями высокого и низкого, авангарда и китча, элитарной культуры и массовой, стали программными, а сама проблема инновации и повторения выступила не только как актуальная, но и – в определенном смысле – основополагающая.

Размышляя о природе инновации и повторения, У. Эко отмечает, что многое из того, что сегодня воспринимается как уникальное и аутентичное, исторически складывалось как вариант, версия, цикл. В частности, это романы XIX в., в том числе и Дюма, отмеченные печатью «серийности». В качестве «версий» существовали и «Песнь о Роланде» (переосмысленная во «Влюбленном Роланде» Боярдо, а затем – в «Неистовом Роланде» Ариосто), и истории о «Тристане и Изольде», «Дон Жуане», «Гамлете», и их культовость определялась как раз «неоригинальностью». По мнению

Эко, многоплановость трагедии Шекспира была обусловлена попыткой совместить в одном тексте различные топосы, что и привело в итоге к той многосмысленности, композиционной сложности и определенной уникальности (Гуревич 1972: 181). Отсюда и утверждение У.Эко относительно проблематичности эстетики высокого искусства. Если предположить, что многие шедевры, утраченные сегодня безвозвратно, существовали именно в виде оригиналов тех версий, что сохранились до наших дней, то окажется, что оппозиция подлинника и копии являются ложными и непродуктивными.

Итак, обращаясь к эстетике массового искусства, У. Эко рассматривал ее как эстетику серийных форм, опирающуюся на философию воспроизводства. Это позволило ему выделить типы, подобные *retake*, *remake*, серии, саге, интертекстуальному диалогу, которые охватывают такие виды художественного творчества, как ироническая реприза, пародия, цитирование и даже плагиат. Этот эстетический принцип У. Эко выделял в качестве противоположного классической эстетике, отмечая, что эта игра в интертекстуальность присуща любой художественно-литературной традиции, но доминирует во всех видах художественного творчества, где трудно разграничить повторение. В масс-медиа и высоком искусстве она (игра) становится традицией только в эпоху развития средств массовой коммуникации и постсовременности. Отсюда и особый категориальный аппарат эстетики массового искусства, включающий в качестве базовых понятий «повторение» и «воспроизведение».

В своих исследованиях итальянский философ выступает как защитник современной культуры, которую он рассматривает как особую систему, формируемую средствами массовых коммуникаций. Как очевидное качество современности У. Эко рассматривает кризис репрезентации, отражающий и кризис культуры. Исследуя экранную культуру и изменение под ее влиянием мышления, философ считает, что основная проблема, связанная с изменением способа трансляции информации, состоит не в крайней степени ее визуализации, а в «сохранении субъектом способности к ее критическому восприятию и иммунитета к ее убеждающей интенции» (Эко 2004: 85). У. Эко предполагает, что в недалеком будущем общество будет состоять, с одной стороны, из людей, не имеющих возможности проверять информацию на предмет ее соответствия образам и понятиям реального мира и предпочитающих получать готовые определения, а с другой – способных к ее отбору и применению. К первой группе следует отнести представителей визуальной культуры, ко второй – элиту, компьютерно грамотных носителей книжной культуры, которая сохранит свое доминирующее положение как средство трансляции информации.



Тем не менее, ученый вынужден согласиться с тем, что коммуникативный потенциал средств массовой информации, где происходит изменение мышления непосредственно под влиянием дискретных образов визуального характера, позволяет им выступать в качестве манипулятивного механизма, не опосредованного более ничем. Средства массовой коммуникации в современной культуре приобретают черты сакральности как выполняющие функции традиционной религии, что во многом определяется стремлением человека к получению от общества стандартов поведения, стереотипов восприятия, определенных визуальных образов или «имиджей», легитимированных социумом. Таким образом, тезис о переходе человечества на стадию «цивилизации видения», традиционно являвшийся одной из составляющих критики массовой культуры, становится аргументом в пользу классической культуры, уступившей место культуре «третьей волны» (Э.Тоффлер).

В концепции, предложенной Бодрийаром, единица неподлинного смысла, функционирующего в культуре, получила обозначение «симулякр» (Бодрийяр 2000: 118). В своей теории Бодрийяр трактует симулякры как знаки без денотатов, как знаки, автономные от референтов, а симуляцию – как создание при помощи моделей особого типа условной реальности – гиперреальности, способной к совмещению реальности с моделями симуляции. Между тем, замысел Бодрийяра отличается большей научной смелостью и провокативностью, ибо, по его мнению, именно «радикализация гипотез является единственно возможным методом» (Бодрийяр 2000: 132). Он выходит за рамки семиотической проблематики и обращается к философско-онтологическому дискурсу, что позволяет ему рассматривать культуру не столько как систему знаков, опосредующих процесс коммуникации, сколько как своеобразную виртуальную систему, где подлинная социокультурная реальность подменяется альтернативной, симуляционной гиперреальностью.

Характерно, что проблема симулякра у Бодрийяра оказывается связанной с проблемой темпоральности, где разрыв, «отсроченность» создают возможность искажения, симуляции реальности. Так, на первой стадии существования знака он отражает глубинную реальность («bon-appearance»), на второй маскирует глубинную реальность («mouvaise-appearance»), затем, маскирует отсутствие глубинной реальности, и наконец, полностью порывает с реальностью и становится симулякром, не подчиняющимся категориям истинности и ложности. Теперь обмен между знаками и реальностью прекращается – знаки соотносятся лишь друг с другом, образуя симуляционную сферу, гиперреальность, состоящую исключительно из знаков. «Больше нельзя говорить ни об имитации, ни

об удвоении, ни даже о пародии. Дело идет о замене реального знаками реального. Пока остается какая-то доля аффекта и референции, мы еще на стадии hot. Пока остается какое-то сообщение, мы еще на стадии hot. Современная же темпоральность – это холодная (cool) темпоральность, когда сообщением становится само средство коммуникации» (Бодрийяр 2000: 138). Здесь Бодрийяр возвращается к широко известной формуле М. Маклюэна «medium is message», воспринимая ее как ключевую формулу эры симуляции, утверждая, что только средство, независимо от содержания, создает сообщение. Формула «средство есть сообщение» нацелена на тот предел, где после того, как все содержание и сообщение воплотилось и поглотилось средством, и само средство исчезает как таковое. То есть, по Бодрийяру, формула Маклюэна означает не только исчезновение сообщения, но и разрушение средства.

Именно пребывание в рамках специфической темпоральности позволило Бодрийяру в качестве симулятивных рассматривать все события реальности – ограбления, угоны самолетов, теракты, похищения, демонстрирующиеся в режиме on-line, которые утрачивают подлинность именно вследствие их включенности в особый режим функционирования. Эти обстоятельства определили и трактовку Ж. Бодрийяром войны 1991 г. в Персидском заливе, демонстрирующейся от начала до конца в режиме виртуальной реальности телекамерами CNN как «несостоявшейся». То есть, реальность, воспринимаемая как максимально достоверная вследствие визуализации объекта, на самом деле виртуализирована, а ее субъект как бы размыт. Эти гиперреальные события исследователь трактует исключительно в качестве знаковых систем, имеющих смысл и наполняемых содержанием только благодаря их перманентной повторяемости и включенности в особый режим ожидания, а также их соответствию определенным семантическим блокам, в которые они естественно вписываются.

Следствием совмещения реальности и ее варианта, представленного в симуляционном формате, становится обратно пропорциональная зависимость между увеличением информации и возрастанием смысла. В качестве причины этих процессов Бодрийяр видит либо опережение процессов утрачивания смысла над процессами его инъецирования, либо абсолютную несоотнесенность информации и сигнификации, где сфера информации предстает как чисто техническое средство, подобное коду. Есть и третья, идущая вразрез с общепринятой, точка зрения, согласно которой смысл информации – это разрушение, нейтрализация, деструкция смысла, замена реальности симулятивными ее знаками, создание гиперреальности (Зенкин 2004: 131).

Автор высказывает общепринятую точку зрения о том, что информация выступает создательницей коммуникации заблуждением, мифом, к которому причастны в равной степени все. Информация разрушает свое собственное содержание, коммуникацию и социальные связи. В качестве причин этих процессов исследователь видит, во-первых, симуляцию, «разыгрывание» коммуникации, имитируемой средствами массовой коммуникации, а также симуляцию, «разыгрывание» смысла, замещающее его производство, и, во-вторых, нацеленность информации на «деструктуризацию социального», ее нейтрализацию и энтропию, «эмплозию социального в массах».

Новизна же подхода Бодрийера к проблеме симулякра состоит в том, что он рассмотрел платоновскую схему репрезентации не в качестве отвлеченной идеалистической схемы, а смог показать, что современная культура в массовом варианте вырабатывает независимые от трансцендентных образов симуляционные формы и строит на этой основе новую сферу пребывания человека. Бодрийер анализирует современную культуру именно как культуру, массовидные формы которой образуют симуляцию истории, природы, социальности, секса, информации, наконец, симуляцию самой реальности. В качестве своеобразной порождающей модели французский исследователь рассматривал, прежде всего, средства массовой коммуникации и, особенно, кино и телевидение, приводя в пример два события, не связанные ни исторически, ни семантически, но имеющие иную сопряженность. Бодрийер имел в виду две катастрофы на атомных электростанциях. Произошедшие первоначально в пространстве виртуальном (в кадрах фильма «Китайский синдром»), а потом и в реальном, на острове Харрисбург, в США. Подобные провокативные высказывания Бодрийера нашли неожиданное подтверждение во множественных совпадениях, связанных с сентябрьской трагедией в Нью-Йорке, как бы предопределенной заранее и детально визуализированной в видео- и сетевом пространстве задолго до трагедии реальной. Здесь виртуальный образ стал «порождающей моделью» реального события, навязав реальности свою имманентную эфемерную логику и как бы подменив собой реальное событие, выступающее в роли симулякра.

Вышесказанное дает основание заключить, что в эпоху Глобализма массовая культура является доминирующей формой культуры. Ее содержание и структура определяются характером постиндустриальной стадии развития общества, которая характеризуется высоким уровнем развития техники и массовой коммуникации, переходом преимущественного производства товаров к производству услуг, а главными производственными ресурсами в этом обществе становятся информация и знание.

Также нельзя ни отметить возможные перспективы функционирования массовой культуры. По всей видимости, она прочно укрепилась в современном обществе, и ожидать ее спонтанного исчезновения, по крайней мере, в ближайший исторический период, не приходится. Очевидно, что если она продолжит свое существование в настоящем виде, то общий культурный потенциал цивилизации не только не возрастет, но может понести и существенный ущерб. Псевдоценности массовой культуры все же слишком разрушительны для личности и общества. Поэтому необходима идейная трансформация массовой культуры через ее наполнение более возвышенными идеями, социально значимыми сюжетами и эстетически совершенными образами. Мы полагаем, что решающую роль в такой позитивной трансформации массовой культуры может и должна сыграть мировая духовная культура во всем многообразии своих видов и форм.

#### **ЛИТЕРАТУРА:**

**Бодрийяр 2000:** Бодрийяр Ж. *В тени молчаливого большинства, или Конец социального*. Екатеринбург, 2000.

**Гуревич 1972:** Гуревич П.С. *Эстетические аспекты в современных буржуазных концепциях массовой культуры*. М., 1972.

**Зенкин 2004:** Зенкин С.Н. *Жан Бодрийяр: время симулякров*. СПб., 2004.

**Костина 2005:** Костина А.В. *Массовая культура как феномен постиндустриального общества*. М., 2005.

**Эко 2004:** Эко У. *Открытое произведение: форма и неопределенность в современной поэтике*. СПб., 2004.

## **KONSTANTINE BREGADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **European and National Context of Georgian Literary Modernism**

The socio-cultural preconditions of Georgian Modernism single out two chief aspects:

1. Modernism, as a viewpoint and literary discourse, Georgian Modernists, on the one hand connected with the issue of renewal of Georgian Culture, which implied the approachment of Georgian and Western Culture and make Georgian Culture an inseparable part of the western one, on the other hand, saw it as

a means of re-establishing Georgian state an orientation towards the West both politically and culturally;

2. The intensive reception and establishment of Modernist viewpoints and Aesthetics is connected with the intensified political life of the 20s – the catastrophe of 1921, the political terror and repressions of the 20s, the suppression of the antisoviet rebellion of 1924, the anti-religious terror and propaganda of the Bolsheviks. Also, it is connected with the intensified technical-mechanic ideologist progress of the 20s which was executed by the Bolsheviks under the Mesianic Pathos.

*Key words: European Modernism, Georgian Modernism, Georgian Culture.*

## კონსტანტინე ბრეზაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ევროპული და ნაციონალური კონტექსტები

ჩვენ უნდა გადავლახოთ ქართული  
კულტურის ეთნოგრაფიული მიჯნები.  
კონსტანტინე გამსახურდია

საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, ლიტერატურული მოდერნიზმის დამკვიდრება, და ზოგადად, მოდერნისტულ მსოფლმხედველობასა და მოდერნისტულ ესთეტიკაზე ორიენტირება, ეს არ იყო სტიქიური და გაუცნობიერებელი მოვლენა, ერთგვარი, მოდას აყოლა. ქართველი მოდერნისტი ავტორებისათვის მოდერნისტული ესთეტიკა, მოდერნისტული თემებით, პრობლემემატიკითა და პოეტოლოგიური პრინციპებით ოპერირება არც დროებითი და სასხვათაშორისო ინტერესის საგანი იყო („ყმანვილური სენი“, „გულუბრყვილო გატაცება“), და არც კოკეტობის საგანი („უცხო სენით დაავადება“), არამედ მოდერნისტულ ესთეტიკასა და მოდერნისტულ მსოფლმხედველობას ქართველი მოდერნისტი ავტორები იმთავითვე უკავშირებდნენ ქართული კულტურის, ქართული მწერლობის დასავლეთევროპული „რადიუსით გამართვის“ (ტ. ტაბიძე), მისი რუსული აზიატური კულტურის ტირანიისაგან გამოყვანისა და ქართული კულტურისა და მწერლობის დასავლურ კულტურასთან კვლავ ინტეგრირების ამოცანებს. შესაბამისად, ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ჩასახვასა

და განვითარებას ჰქონდა თავისი ფუნდამენტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული წანამდღვრები, ესთეტიკურ-კონცეპტუალური და ფილოსოფიურ-თეორიული ბაზისი (აქ ხაზი უნდა გავუსვა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: *ქართული რომანტიზმის* აგან განსხვავებით, რომელსაც გაშუალებული კონტაქტი ჰქონდა *ევროპულ რომანტიზმთან*, და რომელიც საბოლოო ჯამში მაინც სტიქიურ და ფრაგმენტულ მოვლენად დარჩა ქართულ სინამდვილეში, *ქართული მოდერნიზმი* უკვე უშუალო კონტაქტს ამყარებს ევროპულ მოდერნიზმთან. ეს აიხსნება თუნდაც იმით, რომ ქართველ მოდერნისტთა უმეტესობას (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ე. ტატოშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, პ. იაშვილი, და სხვ.) განათლება სწორედ ევროპაში ჰქონდა მიღებული და ისინი უშუალოდ ევროპულ კულტურულ სივრცეში ეცნობოდნენ ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და ტენდენციებს, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ მოძღვრებებს (ნიცშე, შოპენჰაუერი, კირკეგაარდი [კირკეგორი], ვაგნერი, ფროიდი, შპენგლერი, ბერგსონი), ლიტერატურულ თუ კულტურულ ცხოვრებას).

რაც შეეხება ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციოკულტურულ წანამდღვრებს, აქ იკვეთება ორი უმთავრესი ასპექტი:

1. *მოდერნიზმს*, როგორც მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ დისკურსს, ქართველი მოდერნისტები, ერთი მხრივ, უკავშირებდნენ ქართული კულტურის განახლების საკითხებს, რაც გულისხმობდა დასავლეთ ევროპის კულტურასთან ქართული კულტურის კვლავ დაახლოებასა და მის დასავლური კულტურის განუყოფელ ნაწილად ქცევას, მეორე მხრივ, უკავშირებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დასავლური ორიენტაციის აღების საკითხებს (შდრ. ცისფერყანწელთა მანიფესტი, ან ტ.ტაბიძის სტატია „ცისფერი ყანწებით“, ანდა გრ. რობაქიძის, გ.ქიქოძისა და კ. გამსახურდიას წერილები და ესსეები აღნიშნულ პრობლემატიკაზე, მაგ., თუნდაც გრ. რობაქიძის ცნობილი სტატია „ქართული რენესანსი“). შესაბამისად, კულტურული ორიენტაციის ცენტრად ცხადდება პარიზი (ცისფერყანწელები) და ბერლინი (კ. გამსახურდია).

2. ქართულ სინამდვილეში მოდერნისტული ესთეტიკისა და მსოფლმხედველობის ინტენსიური რეცეფცია და დანერგვა ასევე უკავშირდება 20-იან წლებში საქართველოში გამძაფრებულ პოლიტიკურ ცხოვრებას – 1921 წლის კატასტროფა, 20-იანი წლების ბოლშევიკური პოლიტიკური ტერორი და რეპრესიები, 1924 წლის აჯანყების ჩახშობა, ბოლშევიკური ანტირელიგიური ტერორი და პროპაგანდა; ასევე,

უკავშირდება 20-იან წლებშივე გაინტენსივებულ იდეოლოგიზირებულ ტექნიკურ-მანქანურ პროგრესს, რასაც ბოლშევიკები ახორციელებდნენ მესიანისტური პათოსით. აღნიშნული პროცესების ფონზე კი საქართველოშიც საბოლოოდ განხორციელდა „მეტაფიზიკური რყევა“ (ნიცშე) — ღმერთი მოკვდა, ღირებულებები გადაფასდა და ქართული სულიერი კულტურა ჩაახშო ბოლშევიკების მიერ დაფუძნებულმა მატერიალისტურმა ცნობიერებამ და მანქანურ-ტექნიკურმა ცივილიზაციამ. ამან კი გამოიწვია ქართული ყოფის დესაკრალიზაცია, დეჰუმანიზაცია, სუბიექტის მითო-საკრალური პირველსაწყისებისადმი გაუცხოება, შესაბამისად, სუბიექტურობის დაშლა-რღვევა, ეგზისტენციალური შიში და თვითიდენტობის მოპოვების შეუძლებლობა. აღნიშნული პრობლემატიკა კი ქართული მოდერნისტული მწერლობის უმთავრესი თემა და ინტენსიური განსჯის საგანი იყო (შდრ. კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ და მისი 10-იან-20-იანი წლების ექსპრესიონისტული ნოველები, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ან გრ. რობაქიძის „ჩაკლული სული“ და სხვ.).

ის, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი არ იყო სპონტანური, დროებითი მოვლენა და მოდას აყოლა, ამაზე ასევე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი მხატვრული ტექსტების ქმნასთან ერთად ამავედროულად თავის თავსაც იაზრებდა, იგი თვითრეფლექტირებადი ფენომენი იყო, რომელიც მიზნად ესთეტიკურ-კულტურულოგიური განახლების ამოცანებს ისახავდა და თავის თავს მოიაზრებდა ევროპული კულტურის და ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის თვითმყოფად და განუყოფელ ნაწილად. ყოველივე ამის დასტურია, ერთი მხრივ, ის, რომ ქართველი მოდერნისტი ავტორები ინტენსიურად აქვეყნებდნენ ესსეებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ ტექსტებს მიმდინარე ევროპული სოციოკულტურული, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, ასევე მოდერნიზმისა და ზოგადად ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე (კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, ე. ტატიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, გ. ქიქოძის, გ. ლეონიძის, ცისფერყანწლების და სხვ. ლიტერატურული ესსეები და წერილები); ასევე აქვეყნებდნენ საპროგრამო ლიტერატურულ მანიფესტებს, სადაც საჯაროდ აცხადებდნენ კონკრეტული მოდერნისტული მიმდინარეობის დაფუძნებას (მაგ. „ცისფერყანწელთა“ მანიფესტი, ან კ. გამსახურდიას ექსპრესიონიზმის მანიფესტი „**Declaratia pro mea**“). მეორე მხრივ, ქართველი მოდერნისტები აწყობდნენ საჯარო ლექციებსა (მაგ. გრ. რობაქიძის ცნობილი ლექციების ციკლი, როდესაც მან ქართულ სინამდვილეში პირველმა იქადაგა ლიტერატურული



მოდერნიზმის ესთეტიკა და ქართული ლიტერატურის მოდერნიზმის იდეოლოგიისა და ესთეტიკის საფუძველზე განახლების აუცილებლობა და ლიტერატურულ შეკრებებს (მაგ. „აკადემიური მწერლობის ასოციაციის“ მიერ ორგანიზებული ლიტერატურული საღამოები, რომელთაგან ერთ-ერთი მთლიანად ფრ. ნიცშეს მიეძღვნა), აფუძნებდნენ ლიტერატურულ დაჯგუფებებსა („აკადემიური მწერლობის ასოციაცია“, ქართველ სიმბოლისტთა („ცისფერყანწელები“) და ქართველ ფუტურისტთა ლიტერატურული დაჯგუფებანი) და საკუთარ ლიტერატურულ ორგანოებს („ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „ბახტრიონი“, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „ლომისი“, „ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“ „ბარნიკადი“, „რუბიკონი“, „ქართული სიტყვა“, „კავკასიონი“, „ $H_2SO_4$ “). ანუ, ქართული მოდერნისტული ლიტერატურული პროცესის პარადიგმა და სტრუქტურა ზუსტად თანხვედბოდა ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის პროცესის მოდელს.

ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმს, როგორც ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის ორგანულ ნაწილს, ბუნებრივია, რომ სწორედ ის საერთო ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი საფუძველები ჰქონდა, რაც ზოგადად ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმისათვის იყო დამახასიათებელი: კერძოდ, ა. შოპენჰაუერის *ნების ფილოსოფია*, ს. კირკეგაარდის (კირკეგორის) *ევ ზისტენტციფილოსოფია (Existenzphilosophie)*, ფრ. ნიცშეს *სიცოცხლის ფილოსოფია* და *აპოლონურისა და დიონისურის კონცეპტი*, ასევე ზ. ფროიდის *ფსიქოანალიზი*, კ. გ. იუნგის *სიღრმის ფსიქოლოგია*, ა. ბერგსონის *ინტუიტივიზმი*, ო. შპენგლერის *კულტურფილოსოფია* და სხვ. შესაბამისად, ქართულ მოდერნიზმსაც საფუძვლად დაედო ეს ფილოსოფიური მოძღვრებანი, სადაც მოხდა მათი ორიგინალური შემოქმედებითი რეცეფცია მხატვრულ სახისმეტყველებით პარადიგმებში.

გარდა ამისა, ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმს ევროპულ მოდერნიზმთან საერთო აქვს ესთეტიკურ-პოეტოლოგიური პრინციპები და მსოფლმხედველობრივი განწყობილებანი: მისთვისაც არ არის უცხო ესთეტიცზმი, დეკადენტობა, დენდიზმი, სიკვდილის ესთეტიკა, მხატვრული რიტორიკის სტილიზაცია, ნარატიული მრავალფეროვნებანი, სუგესტიური პოეტური მეტყველება და სახისმეტყველება, ნეოლოგიზმებისადმი ტენდირება და ენობრივი ექსპერიმენტები.

ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი ჟანრობრივი თვალსაზრისითაც ანახლებს ქართულ ლიტერატურას, რაც პირველ რიგში გამოიხატა (მოდერნისტული) რომანის ჟანრის საბოლოო დაფუძნებაში. ასევე ვითარდება ახალი ლირიკული ფორმები, მაგ., სონეტი, ვერ-



ლიბრი. განახლებას ექვემდებარება სხვა ლიტერატურული ჟანრებიც — იქმნება მოდერნისტული ნოველა, მოდერნისტული დრამა.

და რაც მთავარია, ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმში თითქმის სრულადაა წარმოდგენილი ევროპულ ლიტერატურულ მოდერნიზმში არსებული ლიტერატურული მიმდინარეობანი: იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, ავანგარდიზმი.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი უნიკალური მოვლენაა ევროპულ ლიტერატურაში და იგი არ წარმოადგენს ევროპული მოდერნიზმის უბრალო ეპიგონალურ დანამატს ან პერიფერიულ სფეროს. პირიქით, ქართული მოდერნიზმი ქმნის ევროპული მოდერნიზმის სრულიად ორიგინალურ ინვარიანტს, იგი ერთგვარად აფართოებს და განავრცობს ევროპულ მოდერნიზმს: ქართული მოდერნიზმი ახერხებს ორიგინალური სახისმეტყველებითი პარადიგმების, მითოსური ნარატივისა და მითოსური სახისმეტყველების, წმინდად ნაციონალური თემებისა და ნაციონალური პრობლემატიკის გაუნივერსალურების, ქართული სინამდვილის მითო-სახისმეტყველებითი მხატვრული გააზრების, ახალი კულტურული და ლანდშაფტური სივრცეებისა და თემების შემოტანის საფუძველზე ახალი და უნიკალური მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულების შექმნას და ამით ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის გამრავალფეროვნებას, გამდიდრებასა და მის განუყოფელ და ორგანულ ნაწილად ქცევას. აღსანიშნავია, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ეს თავისებურება და ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმისათვის მისი მნიშვნელობა ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში პირველმა შტეფან ცვაიგმა შენიშნა და დააფიქსირა გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“ პირველი გერმანულ-ენოვანი გამოცემის წინასიტყვაობაში (1928).

მიმაჩნია, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის ორიგინალური და უნიკალური შემადგენელი ნაწილია, რამდენადაც იგი ახერხებს ანთროპოლოგიური, ეგზისტენციალური და ონტოლოგიური პრობლემატიკის ძირეულ გააზრებას საკუთარი ორიგინალური მხატვრული რიტორიკისა და ორიგინალური მხატვრულ-სახისმეტყველებითი პარადიგმების მოხმობით (შდრ. თუნდაც გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“, კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“, ან სულაც „არტისტულ ყვავილებში“ კულმინირებული გალაკტიონის მოდერნისტული/სიმბოლისტური ლირიკა).

**NUGESHA GAGNIDZE**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

## **The Issue of World Literature in Goethe's Works**

The term *Weltliteratur* was first used by Wieland but Goethe formed the modern meaning of this word as it is known in modern literary criticism. In 1827 in the magazine "Art and Antiquity" he pointed out that the world literature is supranational and cosmopolitan.

Goethe's thoughts about the synthesis of cultures and the world literature are embodied in *Roman Elegies* (1788-1790) and *West-Eastern Divan* (1819). Influenced and fascinated by the Roman culture and the works of the Persian poets Hafez, Goethe creates a collection of poems which undoubtedly proves that literature has no borders. In this way the great thinker comes to the idea of the world literature.

**Key words:** *Goethe, Weltliteratur, Enlightenment*

### **ნუგეშა გაგნიძე**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **მსოფლიო ლიტერატურის საკითხისათვის გოეთეს შემოქმედებაში**

მსოფლიო ლიტერატურის იდეა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და იმ იდეათა უმცირესობას განეკუთვნება, რომელებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას. უფრო მეტიც, გლობალიზაციის ეპოქაში მან განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა.

ტერმინი *Weltliteratur* (მსოფლიო ლიტერატურა) პირველად ქრისტიან მარტინ ვილანდმა (1733-1813) გამოიყენა, მაგრამ ლიტერატურათმცოდნეობაში ის იმ აზრით დამკვიდრდა, რომელიც შემდგომში გოეთემ განავითარა. ვილანდის აზრით, მსოფლიო ლიტერატურა „მსოფლიო ადამიანისათვის“ (*homme du monde*, „Weltmann“) არსებობს. გოეთე ამ ცნებას სხვაგვარად მოიაზრებს და 1827 წელს ჟურნალში *ხელოვნებისა და სიძველეთა შესახებ* (*Über Kunst und Altertum*) დაბეჭდვით აღნიშნავს, რომ მსოფლიო ლიტერატურა არის „ზეეროვნული“ და კო-

სმოპოლიტური ხასიათის მქონე. ამ დასკვნას იგი მას შემდეგ აკეთებს, როცა უკვე კარგად აქვს შესწავლილი კლასიკური ანტიკურობა და შუა-საუკუნეები, ახლო და შორეული აღმოსავლეთისა და თანადროული ევროპული ეროვნული ლიტერატურები, ახალბერძნული, სერბული, ლიტვური და სხვათა ხალხურ იპოეზია; თარგმნილი აქვს მთელი რიგი მხატვრული ტექსტები ბერძნული, იტალიური, ფრანგული, ესპანური და ინგლისური ენებიდან; კარგად იცნობს ძველ აღთქმასა და ყურანს, კლასიკურ არაბულ პოეზიასა და „ედას“, ეტრფისოსიანს.

დღეისდღეობით ცნებას *მსოფლიო ლიტერატურა* აქვს ორი განსხვავებული, მეთოდურად გამიჯნული დეფინიცია: ხარისხობრივი და რაოდენობრივი. ცნების ხარისხობრივი დეფინიცია გულისხმობს იმას, რომ ნაწარმოებს მისი პრობლემატურობის, აქტუალობისა და მხატვრული ფორმის გამო საერთაშორისო აღიარება გააჩნია. იგი მსოფლიო ლიტერატურის შედეგია და მას დიდი გავლენა აქვს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურასა და ლიტერატურულ პროცესებზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომპარატივისტებმა მოახდინეს *მსოფლიო ლიტერატურის* ცნების ფუნდამენტური რევიზია. მათი აზრით, *მსოფლიო ლიტერატურის* ახალ კვანტიტატურ დეფინიციას გააჩნია ტოტალურიმნიშვნელობა. ისინი აკრიტიკებენ *მსოფლიო ლიტერატურის* ქვალიტატურად შეფასების მეთოდს და მიიჩნევენ მას „ევროცენტრისტულად“.

გოეთეს შემოქმედება, თუ ორივე დეფინიციას მივუსადაგებთ, ნათლად უჩვენებს, რომ იგი საყოველთაოა და ვერ ეტევა ვინრო ნაციონალურ, ან თუნდაც ევროპულ ჩარჩოში. მას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს და მსოფლიოს ხალხთა საკუთრებაა განურჩევლად ეროვნებისა. გოეთესათვის, როგორც ჰენდრიკ ბირუსი აღნიშნავს, *მსოფლიო ლიტერატურა* არაა კრებსითი ცნება სამყაროში არსებული ლიტერატურებისა (ბირუსი 1995: 5-28). როცა იგი სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ლიტერატურისა და ხალხური ეპოსის შესახებ თავის შეხედულებებს აყალიბებს, უმთავრეს იმპულსებს ჰერდერისაგან იღებს, მაგრამ შემდგომში, როცა მსოფლიო ლიტერატურის იდეაზე ფიქრობს, სხვა გზას ირჩევს. გოეთემ ჰერდერისაგან იმეკვიდრა ის მოსაზრება, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ვითარდება კაცობრიობის პროგრესთან ერთად და რომ ამ წინსვლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ ლიტერატურებს. მათი ყურადღების საგანია ბრიტანელთა ბალადები, ტრუბადურების შანსონები, ესპანელების რომანსები, ძველი სკალდების პოეზია, ოსიანი, ძველბერძნული, რომაული, ებრაული ხალხური ეპოსი და სხვა ნიმუშები მსოფლიო კულტურის საგანძურიდან. გოეთე განავითარებს მოსაზრებას, რომ ყველა

ეს ეროვნული ლიტერატურა მთელ იკაცობრიობის საკუთრებაა. ამა-  
ვდროულად იგი კონკრეტულად არც გლეხისთვის და არც მეფისათ-  
ვისაა შექმნილი — იგი საყოველთაოა.

„ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდშიგოეთე წერს თეორიული  
შრომებს „შექსპირის დღისადმი“ („Zum Shakespears-Tag“) და „გერმანულ  
ხუროთმოძღვრებაზე“ („Von Deutscher Baukunst“).მათში პირველად  
იკვეთება მწერლის მოსაზრებები ვინრო ეროვნული ინტერესებისაგან  
თავისუფალი ხელოვნების შექმნის შესახებ. გოეთე თავის თანამედრო-  
ვე შემოქმედთ მიზნად უსახავს კლასიციზმის ნორმატიული ესთეტიკი-  
საგან გათავისუფლდენ და იყვნენ „ღმერთის მსგავსნი“ შემოქმედებით  
პროცესში. შემოქმედი „გენიოსი“, რომელიც უგულვებელყოფს წესებსა  
და მხოლოდ ბუნების კანონებს ცნობს, გოეთესათვის არის შექსპირი.  
მისი აზრით, შექსპირის შემოქმედება „მშვენიერ იშვიათობათა ყუთია,  
რომელშიც სამყაროს ისტორია ჩვენს თვალწინ, დროის უხილავი ძა-  
ფებით იქსოვება“\* (გოეთე 1962: 320). მან დაამსხვრია დროის საზღვრე-  
ბი და მსოფლიო ლიტერატურის საკუთრება გახდა.

„გენიოსის შემოქმედებისა“ და გენიალური ქმნილების შესახებ ავი-  
თარებს გოეთე თავის მოსაზრებებს ნაშრომში „გერმანულ ხუროთმოძ-  
ღვრებაზე“. სტრასბურგის ტაძრის ამგებ ერვინ ფონ შტაინბახისადმი  
მიძღვნილ ამ ესეში იგი ემოციურად გამოხატავს აღფრთოვანებას ხე-  
ლოვნების ნაწარმოებისაგან მიღებული „მთლიანი შთაბეჭდილების“  
გამო, რაც ტაძრისა და მისი შემქმნელის უკვდავების განმსაზღვრელია.  
ახალგაზრდა გოეთეს აზრით, გენიოსი, ამშემთხვევაში შტაინბახი, და-  
ჯილდოებულია უნარით უსასრულო განჭვრიტოს სასრულში, მარადი-  
ული — წარმავალში (გოეთე 1962: 304).

მართალია, ნაშრომები „შექსპირის დღისადმი“ და „გერმანულ  
ხუროთმოძღვრებაზე“ არ წარმოადგენს მწყობრ თეორიულ სისტემას,  
მაგრამ მათში დაფიქსირებული ლიტერატურული პრინციპები „ქარიშ-  
ლისა და შეტევის“ ლიტერატურული ჯგუფის წარმომადგენელთათვის  
ახალი ესთეტიკური აზროვნების საფუძველი ხდება. ახალგაზრდა ავ-  
ტორები, და ცხადია, გოეთეც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭე-  
ბენ ინგლისურ სენტიმენტალიზმს, ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიურ და  
ესთეტიკურ შეხედულებებსა და მის მხატვრულ პრაქტიკას, პიროვნე-  
ბის კულტსა და ინდივიდუალიზმს. გრძნობის, განცდის, ინდივიდის  
ღირებულებების, სუბიექტისა და ბუნების, ბუნებრიობის წინა პლანზე  
წამოწვევით გოეთე და „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურული  
ჯგუფის წარმომადგენლები არღვევენ ნაციონალურ ჩარჩოებს და  
ქმნიან მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს.

\* ნაშრომში ციტირებული გერმანული ტექსტების ქართული თარგმანი ჩემია. ნ. გ.

განმანათლებლური ესთეტიკისა და საკუთარი თეორიული ნააზრევის არაჩვეულებრივ მხატვრულ განსხეულებაა გოეთეს „ახლგაზრდა ვერთერის ვნებანი“ (1774), რომელიც, ამავდროულად, ინგლისური სენტიმენტალიზმისა და ფრანგული რუსიზმის ესთეტიკის ძირითად ტენდენციებსა და სულიერ განწყობილებებს ეხმაურება მე-18 საუკუნის 70-იან წლებში. ამდენად, იგი, ერთი მხრივ, გერმანული ეპიკური ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, დასავლეთ-ევროპული რომანის განშტოებაა და განსაკუთრებულჯგოფს ასრულებს შემდგომი პერიოდის ლიტერატურული პროცესების განვითარების საქმეში.

გოეთეს „ვერთერში“ გამოვლინდა სამყაროს ახლებურად აღქმის ნიშნები, ახალი მხატვრული სტილის თავისებურებები, დაფუძნებული კანონიზებული ესთეტიკური პრინციპებისა და ანტიკური სახეების ბრმად მიბაძვის უარყოფაზე, შექსპირის კულტსა და მსოფლიო ისტორიის პოეტურ ხედვაზე. აქედან გამომდინარე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული განმანათლებლური ლიტერატურისა და კრიტიკის ყურადღების ცენტრში, უწინარეს ყოვლისა, აღმოჩნდა ნაწარმოების მხატვრული ფორმის საკითხი, რომელიც საერთო ევროპული სენტიმენტალური ესთეტიკის პრინციპებს ეხმაურება და ამავდროულად საკუთრივ გერმანული ეროვნული იმპულსებით საზრდოობს, რაც ვლინდება ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სიღრმეებისაკენ ავტორის განსაკუთრებულ მიდრეკილებაში, თვითჩაღრმავებასა და რეფლექტირებაში.

გოეთეს „ვერთერი“, როგორც გერმანული სენტიმენტალური რომანის საუკეთესო ნიმუში, წარმოიშვა და განვითარდა ევროპულ ნიადაგზე. ამავდროულად ეროვნული სოციალ-პოლიტიკური ვითარებისა და სულიერ-კულტურული ტრადიციების წყალობით მან სპეციფიკურ-გერმანული სახე მიიღო. „ვერთერი“ ამკვიდრებს ლიტერატურაში ახალ ყანრს — ეპისტოლარულ-ფსიქოლოგიურს რომანს, რაც გზას უკაფავს მომავალი ეტაპის გერმანულ ლიტერატურაში ლირიული, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ხასიათის რომანებს. ნაწარმოებში წარმოჩენილი სოციალური პრობლემემატიკის შეფასებასთან დაკავშირებით კი თომას მანმა მართებულად განაცხადა, რომ „ვერთერის“ მსგავსმა ნიგნებმა იწინასწარმეტყველეს და მოამზადეს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია (მანი 1982: 194).

როგორც ვხედავთ, „ვერთერი“ გამოქვეყნებისთანავე იქცა ევროპული ლიტერატურის შედეგრად. „ვერთერიზმი“ მოარული სენივით მოედო მსოფლიოს. გოეთეს მსოფლიოს ყოველი კუთხიდან უგზავნიდნენ ნერილებს, [...] ჩინეთში ფაიფურზე ხატავდნენ ვერთერსა და ლოტეს“

(კაკაბაძე 1983: 119). არაჩვეულებრივ მასშტაბებს მიაღწია ვერთერი-  
ადამ, პაროდებმა და იმიტაციებმა ვერთერის თემაზე. ნოდარ კაკა-  
ბაძე აღნიშნავს, რომ „ვერთერის“ მიბადვითა და უტყუარი ზეგავ-  
ლენით 50-მდე ნაწარმოები დაიწერა (კაკაბაძე 1983: 120). გოეთემ  
თავადაც კარგად იცოდა მისი რომანის არაჩვეულებრივი წარმატებისა  
და უდიდესი აღიარების შესახებ. მოგვიანებით ერთ ვენეციურ ეპიგრა-  
მაში იგი ამის შესახებ წერს:

გერმანია მბაძავდა და საფრანგეთს სურდა ნაკითხვა ჩემი.  
ინგლისი! მასპინძლობს და ბნელს ტუმარს თავაზიანად.  
მაგრამ მახარებს, რომ ჩინელი ცკი, მთრთოლვარე ხელით  
ლოტეს და ვერთერს მინაზე ხატავს.  
(„Deutschland ahmte mich nach und Frankreich mochte mich lesen.  
England! Freundlich empfindest du den zerrütteten Gast.  
Doch was fördert es mich, daß auch der Chinese  
Malet, mit ängstlicher Hand, Wertern und Lotten auf Glas?“  
(გოეთე 1973: 166.)

გოეთეს შეხედულებები კულტურათა სინთეზისა და *მსოფლიო  
ლიტერატურის* იდეის შესახებ კიდევ უფრო ღრმავდება იტალიური  
მოგზაურობისა და აღმოსავლური პოეზიის გაცნობის შემდეგ, რაც  
ძალიან კარგად გამოვლინდა „რომაულ ელეგიებსა“ („Römische Elegien“,  
1788-1790) და „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ („West-östlicher Di-  
van“, 1819).

24 ლექსისაგან შემდგარი ციკლი „რომაულ ელეგიები“, რომლის  
თავდაპირველი სახელწოდება იყო „*Erotica Romana*“, გოეთემ იტალი-  
იდან დაბრუნების შემდეგ დაწერა და მასში ასახა ვნებიანი სიყვარუ-  
ლი ვინმე ფაუსტინასადმი. გარდა ამისა, კრებულში ნათლად ჩანს თუ  
რაოდენ მნიშვნელოვანი ამ წერლისთვის იტალიაში მოგზაურობა (1786  
წლის სექტემბერი — 1788 წლის მაისი) და იტალიური შთაბეჭდილე-  
ბები. „ნარინჯის ქვეყნის“ ხილვამ იგი განკურნა „ფიზიკური და მორ-  
ალური სენისაგან“. ამის შემდეგ იწყება მისი შემოქმედების კლასიკური  
პერიოდი. იტალიიდან დაბრუნებული გოეთე ფიქრობს და აზროვნებს  
გლობალურად. „რომაული ელეგიები“ უჩვენებს იმას, რომ მწერალმა  
პრიორიტეტები შეიცვალა. ანტიკურ სამყაროსთან მიახლოებამ მას  
აგრძნობინა, რომ ეს კულტურა, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე  
ეროვნული. რომი არის მთელი სამყარო; სიყვარულის გარეშე ხომ არ  
იქნებოდა სამყარო, რომიც არ იქნებოდა რომი:

„Eine Welt zwar bist du, o Rom; doch ohne die Liebe  
wäre die Welt nicht die Welt, wäre denn Rom auch nicht Rom“  
(გოეთე 1973: 131).

გოეთემ რომში მთელი სამყარო იხილა თავისი ფართო პლანით, რაც შესანიშნავად ასახა „რომაულ ელეგიებში“. მასში ერთმანეთს გადაეჯახვა მწერლის ვნება და სიყვარული, ეროტიკული თავგადასავალი, რომის თავისუფალი ცხოვრების სტილი და ყოვლისმომცველი ანტიკურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები.

გოეთეს აზროვნების მასშტაბები კიდევ უფრო ფართოვდება „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“. ეს ციკლი წარმოადგენს სამყაროს პოეტურ ხატს, შექმნილს რეალისტური და პოეტის მიერ წარმოსახული სურათებით. კრებულის უნივერსალობას განსაზღვრავს ცალკეულ ლექსთა სხვადასხვაგვარი ტონალობა, რაც განპირობებულია რეალობის სიმბოლისტური ასახვის მეთოდით, ფილოსოფიური ჩარღმავებით, თემათა და სალექსო ფორმების მრავალფეროვნებით. მთელს კრებულში იგრძნობა განმანათლებლური ირონიისა და მსუბუქი ნაღველის განწყობილება. მასში გადმოცემულია ადამიანის გრძნობათა მთელი გამა, ცხოვრებისეული გამოცდილებები და პრობლემები, ამ პრობლემათა ფილოსოფიური განსჯები. ყველაზე არსებითი კი ის არის, რომ გოეთემ თავის განწყობილებათა გადმოსაცემად აღმოსავლური თემები გამოიყენა. ამ შემთხვევაში იგი ნოვატორად ვერ ჩაითვლება, რადგან მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში აღმოსავლური თემები, სიუჟეტები და მხატვრული სახეები განსაკუთრებულ ადგილს იჭერს საერთოდ ევროპელ განმანათლებელთა და რომანტიკოსთა შემოქმედებაში. გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანი“ სწორედ იმ ეპოქაში შეიქმნა, როცა ვიქტორ ჰიუგომ „აღმოსავლეთი“ და ჯორჯ ბაირონმა „აღმოსავლური პოემები დაწერა“. ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ დასავლეთევროპული ლიტერატურები მსგავსი პრიორიტეტებით არსებობს და გოეთესეული „მსოფლიო ლიტერატურის იდეა“ ღრმა აზრის მატარებელია.

განსხვავებით რომანტიკოსების დამოკიდებულებისაგან აღმოსავლეთისადმი, გოეთეს „დივანი“ არ წარმოადგენს მწერლის მისტიკურ ძიებათა გამოხატულებას, არამედ, პირიქით, ანტიკური თემებისა და მოტივების მოშველიებითიგი თავის თანადროული გერმანული სინამდვილის ასახვას ცდილობს. „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ გამოყენებული ავტობიოგრაფიული მომენტები და ვაიმარის სასახლის კარის ზოგიერთი ეპიზოდი განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ამ პოეტურ ციკლს. „დასავლურ-აღმოსავლურ დივანი“ ევროპელი ხალხების ცხოვრების კონკრეტული ეპოქის შეფასებაა, ეპოქისა, რომელიც აღბეჭდილია საფრანგეთის რევოლუციითა და ნაპოლეონის ომებით. ნაპოლეონის ეპოქის დასასრული თითქოს აფხიზლებს კონტინენტს. 1814 წლის ზაფხულში, მაშინ, როცა ნაპოლეონი განდევნილ იქნა ელბის მიდამოებიდან,



გოეთე დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა. საინტერესო შეხვედრებმა ძმებ ბოისერებთან და ორიენტალისტ პაულთან ჰაიდელბერგში, ასევე, მისმა პირველმა შეხვედრამ მარიანე ვილემერთან ვისბადენში, გოეთეს გაუღვივა აღმოსავლეთ გერმანიაში გამგზავრების სურვილი. „დივანის“ შექმნაკი მაშინ გადაწყვიტა საბოლოოდ, რაც იმ დროისათვის ცნობილი გამომცემლისაგან, კოტასაგან, საჩუქრად სპარსი პოეტის, შამს ედ-დინ მოჰამედ ჰაფეზის ლექსების კრებულის ჰამერისეული თარგმანი მიიღო. პოეტურ ციკლში გაერთიანებული ლექსები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ისინი მთლიანად დასავლური პოეზიის მოტივებითაა შექმნილი. ამავდროულად, იგი ორიენტალისტური ტრადიციის მსგავსად წიგნებადაა დაყოფილი.

„დივანის“ ორი ვერსია (პირველი გამქვეყნდა 1819 წელს, მეორე — 1827 წელს) ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო ლექსების შერჩევითა და სტრუქტურით, არამედ ზოგიერთი იდეური მნიშვნელობის მქონე მონაკვეთის გადანაცვლებითაც, რაც კომპოზიციას ცვლის. კრებული შედგება პოეტური და პროზაული ნაწილებისაგან. ლექსებში, რომელთაც ორმაგი სათაურები აქვს, მრავლად გვხვდება ისტორიული პიროვნებანი როგორც ევროპული, ასევე, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. მაგალითად: თემურ ლენგი და ნაპოლეონი. ამდენად, „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ ფართომასშტაბიანი ტილოა, რომელშიც განსხეულებულია დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზის საკითხი, წარმოჩენილია პირად-ინტიმური განწყობილებები და დიდი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა.

რომაული კულტურითა და ჰაფეზის შემოქმედებით გატაცებული, მარად შეყვარებული გოეთეს ლირიკული კრებულები „რომაული ელეგიები“ და „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ ცხადყოფენ, რომ ლიტერატურას საზღვრები არა აქვს. ამ გზით სრულყოფს „ვაიმარელი ბრძენი“ *მსოფლიო ლიტერატურის* იდეას.

გოეთემ არ გადაუხვია გზას, რომელიც მან „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდში აირჩია. ცხოვრების თითოეულ ეტაპზე იგი სიღრმისეულად შეისწავლის მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საკითხებს. 1827 წლის 31 იანვარს, ეკერმანთან საუბარში ისაღნიშნავს, რომ ადამიანები მსგავსად ფიქრობენ, მოქმედებენ და განიცდიან. ერთი ჩინური რომანის ნაკითხვის შემდეგ გოეთემ პარალელებიც კი გაავლო საკუთარ „ჰერმან და დოროთეასთან“ და რიჩარდსონის რომანებთან. გოეთესა და ეკერმანის საუბარი ყურადღების მიღმა არ დარჩენია თომას მანს, რომელმაც გოეთეს 12 დიდებული ესე მიუძღვნა. ერთ-ერთ მათგანს — „ესკიზი გოეთეზე“ („Eine Goethe-Studie“), იგი სწორედ გოეთესა და ეკერმანის დიალოგის ანალიზით იწყებს. თომას მანიმიუ-



თითებს, რომ 78 წლის მწერალი, „ევროპის სულიერი წინამძღოლი“, მართებულად მიუთითებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მსგავსი შეხედულებებისა და ქცევების, გემოვნებასა და მორალის შესახებ, რაც მათ ლიტერატურებში შესანიშნავად ჩანს. ამდენად, მსოფლიო ხალხთა ლიტერატურას მსგავსი თემები ასაზრდოებს დაისინი მსგავსი პრინციპებით იქმნებიან. თომას მანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როცა გოეთე „მსოფლიო ლიტერატურის“ შესახებ ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს ნაწარმოებები, რომლებიც დროის საზღვრებში ვერ ეტევა და კაცობრიობის საკუთრებაა (მანი 1982: 181-182). იგი მართებულად მიიჩნევს მას თავისი ეპოქის საუკეთესო რეპრეზენტანტად. გოეთე, თომას მანის აზრით, არის ეპოქის მაჯისცემის განმსაზღვრელი და დიდი ნოვატორი როგორც ლიტერატურაში, ასევე, ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ბევრ სფეროში (მანი 1982: 7-39).

გოეთეს აზრით, გერმანელმა მწერლებმა ბევრი უნდა იკითხონ სხვა ქვეყნების ავტორთა ნაწარმოებები, რათა თავიანთი ჰორიზონტი გაიფართონ და ისწავლონ სხვაგვარად აზროვნება. „ეროვნულ ლიტერატურას ამჟამად ბევრის თქმა არ სურს, მსოფლიო ლიტერატურის დრო მოვიდა და ყველამ უნდა იღვანოს ისე, ეს ეპოქა რომ დააჩქაროს. მაგრამ, ასევე, უცხოურის ამგვარი შეფასებისას უფლება არა გვაქვს რაღაც განსაკუთრებული მეხსიერებაში არ დაგვრჩეს და მხოლოდ უცხოური იქცეს სამაგალითოდ. არა აქვს მნიშვნელობა ჩინური იქნება იგი, თუ სერბული, ან კალდერონი თუ ნიბელუნგები; საჭიროების შემთხვევაში სამაგალითოდ ყოველთვის ძველ ბერძნებს უნდა მივუბრუნდეთ, რომელთა ნაწარმოებებშიც მშვენიერი ადამიანთა წარმოდგენილი. სხვა დანარჩენს ისტორიზმის პრინციპით უნდა მივუდგეთ და რამდენადაც ეს შესაძლებელია, მხოლოდ კარგი ავითვისოთ და გავითავისოთ“.\* ამ პრინციპით წერს გოეთე ლიტერატურულ შედეგებს, რომელთაც ეპოქებს გაუძღეს, ხოლო მათი ავტორი ყველა დროის გენიალურ შემოქმედად იქცა.

გოეთეს ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები, როგორც აღვნიშნე, საუკეთესო განსხეულებას პოულობს მისსავე მხატვრულ პრაქტიკაში, ამიტომაც მიაკუთვნებს ნიცშე მას „ლიტერატურათა უფრო მაღალ ტიპს, ვიდრე „ეროვნული ლიტერატურა“: ამის გამო არ დგას იგი თავის ერთან ცხოვრებაში — არც თანადროულობაში და არც წარსულში. მან მხოლოდ ზოგიერთისთვის იცხოვრა და ცხოვრობს ახლაც: უმეტესობისათვის იგი მედიდურობის ბუკია, რომელსაც დროდადრო გერმანიის საზღვრებს გაღმა უკრავენ“ (ნიცშე 1980: 607).

\* Gespräche mit Goethe von Joh. Peter Eckermann. 31.01.1827.

<http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/biografie/eckermann/1827/18270131.htm>

გოეთესა და მისი შემოქმედების უკეთესი შეფასება, ალბათ, შეუძლებელია. მსოფლიო ლიტერატურის იდეის ერთ-ერთი უპირველესი და თვალსაჩინო ავტორი თავად არის მისი საუკეთესო წარმომადგენელი.

## დაბრუნება:

**ბირუსი 1995:** Birus, H. „Goethes Idee der Weltliteratur Eine historische Vergegenwärtigung“. *Weltliteratur heute. Konzepte und Perspektiven*. Hg. v. Manfred Schmeling (Saarbrücker Beiträge zur Vergleichenden Literatur- u. Kulturwissenschaft, Bd. 1) Würzburg: Königshausen & Neumann: 1995.

**გოეთე 1962:** Goethe. „Von Deutscher Baukunst“. Goethes Werke in zehn Bänden. Dritter Band. Volksverlag, Weimar: 1962.

**გოეთე 1962:** Goethe. „Zum Shakespeares-Tag“. Goethes Werke in zehn Bänden. Dritter Band. Volksverlag, Weimar: 1962.

**გოეთე 1973:** Goethe. „Römische Elegien“. *Johann Wolfgang von Goethe. Werke*. Bd. 1, „Deutscher Bücherbund“, Stuttgart: 1973.

**გოეთე 1973:** Goethe. „Epigramme, Venedig 1790“. *Johann Wolfgang von Goethe. Werke*. Bd. 1, „Deutscher Bücherbund“, Stuttgart: 1973.

**გოეთე 1973:** Goethe. „West-östlicher Divan“. *Johann Wolfgang von Goethe. Werke*. Bd. 1, „Deutscher Bücherbund“, Stuttgart: 1973.

**გოეთე 2001:** Goethe. „Die Leiden des jungen Werther“. *Johann Wolfgang Goethe, Gedichte und Balladen, Die Leiden des jungen Werther*. Carl Hanser Verlag, München: 2001.

**ეკერმანი:** Gespräche mit Goethe von Joh. Peter Eckermann. 31.01.1827.

<http://www.wissen-imezt.info/literatur/goethe/biografie/eckermann/1827/18270131.htm>

**კაკაბაძე 1983:** კაკაბაძე ნ. „გოეთეს ლირიკული რომანი“. // გოეთე. ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი. თარგმანი გერმანულიდან ოთარ ხუციშვილისა. თბ.: „მერანი“, 1983

**მანი 1982:** Mann, T. „Goethe als Repräsentant des bürgerlichen Zeitalters“. *Goethe's Laufbahn als Schriftsteller. Zwölf Essays und Reden zu Goethe*. Fischer Taschenbuch Verlag, Frankfurt am Main 1982, S. 7-39.

**მანი 1982:** Mann, T. „Eine Goethe-Studie. An die Japanische Jugend“. *Goethe's Laufbahn als Schriftsteller. Zwölf Essays und Reden zu Goethe*. Fischer Taschenbuch Verlag, Frankfurt am Main 1982, S. 180-193.

**მანი 1982:** Mann, T. „Goethes Werther“. *Goethe's Laufbahn als Schriftsteller. Zwölf Essays und Reden zu Goethe*. Fischer Taschenbuch Verlag, Frankfurt am Main 1982, S. 193-206.

**ნიცშე 1980:** Nietzsche, F. „Menschliches Allzumenschliches II“. *Sämtliche Werke: Kritische Studienausgabe in 15 Bänden*, Bd. II. Hg. Giorgio Colli und Mazzino Montinari. Deutscher Taschenbuch Verlag, München: 1980.

**LEVAN GELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Georgian National Film Center*

## **Modeling of Reading Technologies and New art Fields Within the Globalization**

Development stages of the writing (Cuneiform script, hieroglyphs), counting six thousand years, besides the writing technologies and various factors were based on its depiction feature.

E-books – one of the most revolutionary technologies of XXI century, changes not only the complete printing industry, but the ideology of content creating as well.

Indefinite growth of the reading technologies as of text consuming frame, including involvement of its design and visual cultural elements resulted in modeling of the new art fields, which is characterized by uniting process of the literature involvement, painting and music in one videogame. For example, we can mention illustrated videogames created based on the literature works; such videogames can be considered as interactive comprehensive videogame of the books.

*Key words: reading technologies, Hyper literature, globalization*

### **ლევან გელაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი*

### **საკითხავი ტექნოლოგიების და ახალი სახელოვნებო დარგების მოდელირება გლობალიზაციის კონტექსტში**

გლობალიზაციის მონოდეფინიციური განსაზღვრება არ არსებობს. უამრავი მეცნიერის ნაშრომებში არ არსებობს არც ერთმნიშვნელოვანი აზრი გლობალიზაციის როგორც პროცესის დასაწყისზე და არც მის ერთსახოვან მნიშვნელობაზე. რაც უფრო ბევრ თეორიას ვეცნობით გლობალიზაციაზე მით უფრო გვეზორდება გლობალიზაციის საიდუმლო.

მარტინ ელბრიუ, ენტონი გოდენსი, ემანუელ რიხტერი, რობერტ კოქსი, რ. ვანტერი, მ. ხორი, ჯ. ბაილსი, ს. სმიტი, დ. ჰელდი, ულრიხ

ბეკი, და სხვა მეცნიერებს აქვთ გლობალიზაციის შესახებ ნაშრომები. ყველა მკვლევარის მოსაზრება ერთ საერთო კონტაქტის წერტილებს აერთიანებს: კომუნიკაცია და ტექნოლოგიები. გლობალიზაცია კომუნიკაციის გარეშე არ არსებობს და მას ახასიათებს ტექნოლოგიური პროგრესი, ამ ორი რამის გარეშე ის არ იარსებებდა იმ სახით რა სახითაც ჩვენ მას ვიცნობთ.

გლობალიზაციის პროცესის კატალიზატორია ის დარგები, რომლებიც ტექნოლოგიურ საშუალებებს იყენებენ. გლობალიზაცია წარსულში მომხდარი ნებისმიერი მოვლენის პროცესისთვის დამახასიათებელი თვისებაა და ყოველ ეპოქაში ძლიერდება იმ სამეცნიერო აღმოჩენების შემდეგ, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. ტექნიკის განვითარებამ ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება გამოიწვია, რეციპიენტი, რომელიც რელევანტურია გლობალიზაციის მიერ ფორმირებული გარემოსი და თავად ეწევა იმ საქმიანობას რასაც გლობალიზაცია ჰქვია. ამდენად გლობალიზაციას პლანეტარული, ინტეგრაციული სახე აქვს.

ჯ. ბაილისის და ს. სმიტის აზრით ინდუსტრიალიზაცია იწვევს ახალ კავშირებს საზოგადოებებს შორის. ამერიკელი ფილოსოფოსი დაიზარდი აღწერს თანამედროვე საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებს მისი აზრით ბოლო 40 წლის განმავლობაში ადამიანთა საზოგადოება მკვეთრად შეიცვალა.

იმანუელ უოლფერსტაინის თქმით გლობალიზაცია კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენით იწყება. ფუკუიმას აზრით საბჭოთა კავშირის დაშლით დაიწყო კაცობრიობაში ახალი ეტაპი. საბჭოთა იმპერია, როგორც სიბოროტე დაინგრა და დაპირისპირებაც გაქრა. მსოფლიოს შემდგომი განვითარება მხოლოდ ეკონომიკური ბაზრის განვითარებაა და მმართველობის ლიბერალური დემოკრატია. მ. უოტერსი გლობალიზაციის ასე განმარტავს: გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის მსვლელობაში იხსნება სოციალური და კულტურული სისტემების გეოგრაფიული საზღვრები მოსახლეობა სულ უფრო და უფრო აცნობიერებს ამ საზღვრების ქრობას.

საზღვარი, საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით, აღნიშნავს მიჯნას ორ მთელს ან მთელის ორ ნაწილს შორის. სწორედ ასე ითარგმნება ლათინური *limes* — საზღვარი, ზღვარი. ძველ რომში, პრაქტიკულ სიტყვათხმარებაში, *limes* აღნიშნავდა არა საზღვარს, არამედ გარდამავალ ზონას. კულტურის გეოგრაფიაში საზღვარი განიხილება როგორც წარმოსახვითი გეოგრაფიული მიჯნა. არსებითად, ესაა მენტალური კატეგორია, რომელიც მოიცავს რეალურ გეოგრაფიულ სივრცეს და წარმოადგენს უნიკალური კულტურული გამოცდილების წარმოქმნის ადგილს.

სასაზღვრო კულტურის მიერ მედიაციური ფუნქციის შესრულების უნარი, მისი თვისება — გადავიდეს ახალ მდგომარეობაში და, ამავე დროს, რჩებოდეს თარჯიმნად კულტურებს შორის. სასაზღვრო კულტურები შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნებრივ-ისტორიული ხიდეები დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. სასაზღვრო კულტურის მნიშვნელოვან თვისებად ითვლება მისი ამბივალენტურობა. ამ კულტურის მატარებელი ადამიანი არ ეკუთვნის სრულად არც ერთ კულტურულ სივრცეს.

მკვლევართა ნაწილი საუბრობს არა სასაზღვრო კულტურებზე, არამედ სასაზღვრო ცივილიზაციებზე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თვისებრივად განსხვავებულ ტრადიციათა ურთიერთქმედების მომენტი.

საზღვრულობა ეტაპი კი არა, განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული თვისებაა, დამახასიათებელი ლოკალურ ცივილიზაციათა გარკვეული სახეობისათვის. საზღვრულობა მოიაზრება როგორც ცივილიზაციური პროცესის განსაკუთრებული ტიპი. ეს პროცესი დროში გაჭიმულია და შეიძლება რამდენიმე ათასწლეულსაც კი მოიცავდეს. ამდენად, საზღვრულობა დროებითი კი არა, კონსტანტური მდგომარეობაა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა რომ ყველა ეპოქას თავის გეოგრაფია, თავის საზღვრები აქვს, გლობალიზაციის ეპოქასაც საყოველთაო საზღვრები აქვს; მისი საზღვრები სრულიად დედამიწაა. გლობალიზაციის პროცესს მოყვა „ნაციონალური საზღვრების წაშლა“. მსოფლიო ეკონომიკის ძირითად ნაწილს ტრანსნაციონალური წარმოება, საერთაშორისო ვაჭრობის სისტემა და გლობალური ფინანსური სისტემა წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ ერთიან საინფორმაციო სივრცეს აყალიბებს.

სამყაროში რამდენიმე სხვადასხვა იზოლირებული დინამიკური პროცესის არსებობა გლობალიზაციის გაჩენისთანავე ერთ საერთო პროცესის პრიმატით აღიბეჭდა. კარჩაკეტილი საკუთარი კალაპოტიდან გაუსვლელი კულტურული არტიფაქტები გლობალიზაციამ შეახვედრა და მათი ურთიერთზეგავლენა დაიწყო. კულტურული გლობალიზაცია არაა ნაციონალური ბაზრების კონგლომერატი. არამედ ერთი მსოფლიო ბაზარი, სადაც კულტურული იდენტობები კომერციულ და ტექნოლოგიურ შეფუთვაშია წარმოდგენილი. გლობალიზაციის დეტერიტორიზაცია, როგორც ერთ მთლიან ორგანიზმად გადაქცევა შეეხო ყველა სფეროს და დარგს. გლობალიზაცია არამხოლოდ სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულ კულტურებს და კულტურის სემანტიკებს აკავშირებს არამედ სხვადასხვა სახელოვნებო დარგებს ერთ საკომუნიკაციო ქსელში აქცევს. გლობალიზაცია შეიჭრა ყველა არსებულ

სასაზღვრო ტერიტორიაზე და შექმნა ინფორმაციული კულტურა, ეკონომიკური გლობალიზაცია, ფინანსური გლობალიზაცია, მობილური კომერცია, ინფორმაციული ეკონომიკა, კრიმინალური გლობალიზაცია, ტექნოლოგიური გლობალიზაცია, კულტურული გლობალიზაცია და სხვა. გლობალიზაცია ხასიათდება არნახული მრავალფეროვნებით ის შეეხო ყველა დარგს და მასში გამოყოფენ დონეებს თვით ერთ კონკრეტულ პროცესშიც ის მოიცავს რამდენიმე შრეს. გლობალიზაციამ ცალკეული დარგების საზღვრებიც დაარღვია ის შეიჭრა ანიმაციის ტერიტორიაზე, კინემატოგრაფიის ტერიტორიაზე, ლიტერატურის და სხვა. და მათ ერთ საერთო სინთეზურ სივრცეში დაუთმო ადგილი, რომელსაც ხელოვანი ადამიანი უკეთებს ორგანიზებას.

კულტურის მნიშვნელოვანი არტეფაქტები გლობალიზაციის პროცესში ითქვიფებიან, მაგრამ ინარჩუნებენ ინდივიდუალურ თავის კვოტას. გლობალიზაციის დროს კულტურების ურთიერთგავლენა მხოლოდ ერთი შრის ტრანსფორმაციას ახდენს, რადგან თანამედროვე პროცესებთან მორგება შეგუების საშუალებები იხვეწება, თუმცა ეს ხდება გლობალიზაციის ყველაზე ნათელი გამოხატულების ტრანსნაციონალური კულტურული ორგანიზმების შექმნის პარალელურად. ეს ორმხრივი პროცესია, სადაც ლოკალური და მულტიკულტურალისტური ერთმანეთზე ზემოქმედებს.

60-იანი წლებიდან მეცნიერულ ტექნიკური პროცესების გლობალური განვითარება გახდა საფუძველი ინფორმაციული ზემოქმედების ინდუსტრიული იმპერიების შექმნისა, რამაც მკვეთრი გავლენა მოახდინა ქვეყნების ეკონომიკაზე და სოციალურ ცხოვრებაზე. გლობალური კულტურა ტექნიკური ცივილიზაციაა (ენტონ სმიტი). იგი ემყარება თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს, ტექნოლოგიურ ბაზას და კომუნიკაციურ სისტემებს. მარშალ მაკლუჰანი თავის ნაშრომში გლობალური სოფელი ამტკიცებს, რომ ელექტრონული კომუნიკაციების სრულყოფამ გამოიწვია ახალი ტიპის სამყაროს ჩამოყალიბება, სადაც ტრადიციული იდენტურობა ყველაფერმა დაკარგა.

თუმცა გლობალიზაცია არ დაიყვანება კომუნიკაციურ რევოლუციამდე, ინტერნეტი გლობალური კულტურის ჩამოყალიბების ცენტრშია. ყველა იმედი, რომელიც საბჭოთა წარსულში გაცრუვდა აპოკალიპტურ აჩრდილებად გვეკლინება ინფორმაციულ მედიაში. ტექნოლოგიის განვითარებამ ინფორმაციის დამუშავება-გადაცემის სიჩქარე გაზარდა, რამაც სწრაფი რეაგირების საზოგადოება ჩამოაყალიბა. თუმცა კულტურის და ხელოვნების შემთხვევაში გამოიწვია კოლიზია. მაგალითად ძველი თაობის დიდი რეჟისორები აღნიშნავენ რომ ფილმის მონტაჟისას კინოფირთან მუშაობის დროს ერთ წუთიანი

მასალის დამონტაჟებას ფირის დაჭრას მიწებებას 15-20 წუთი უნდებიან. კომპიუტერული ტექნოლოგიებით კი ამის გაკეთებას 20 წამი ჭირდება. ციფრულ ტექნიკასთან მუშაობისას უფრო სწრაფად აკეთებ საქმეს ვიდრე ტვინი მოასწრებს გადაწყვეტილების გაანალიზებას. გიუნტერ გრასი აღნიშნავს რომ ციფრული ტექსტი თავიდანვე დასრულებული სახით გამოიყურება და ტექსტის დახვეწა-დამუშავების მოტივაციას აქრობს. მისი აზრით თითები უფრო სწრაფად კრეფენ კლავიატურაზე ასოებს ვიდრე ტვინი ფიქრობს რა დანეროს. საინფორმაციო საზოგადოებამ თავის კულტურა შექმნა, რამაც დღევანდელ ადამიანში ახალი ტიპის პიროვნული თვისებები ჩამოაყალიბა. ე. წ. ჰომო ინტერნეტუსი. სწორედ ინფორმაციული საზოგადოების ცოდნაზე დაფუძნებული ხელოვნება, ეკონომიკა, სოციალური გარემო. ერთ-ერთი განმარტებით კულტურა ტექნოლოგიური ბუნებისაა, რადგან კულტურა წარმოიშვა და გამომუშავებული იქნა, როგორც ადამიანური პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის საშუალებების სპეციფიკური სისტემა.

## **ტექნოლოგიური გლობალიზაციის შეჭრა კულტურაში**

ლიტერატურის ზოგადად კულტურის ტექნოლოგიურ ბუნებაზე საუბრისას მის ისტორიულ რაკურსში დანახვა ბევრ საინტერესო ასოციაციურ კავშირებს ავლენს თანამედროვე სისტემებთან. ტექნიკა ქმნის მეორედ სამყაროს, რომელიც პირველადი სამყაროს აჩქარებული ასლია. კულტურა ექცევა შრეობრივ არეალში.

თავდაპირველად ინფორმაცია, ზოგადად ცოდნა და გამოცდილება, ზეპირი მონათხრობით, მოყოლილი ამბებით და ნამღერით გადაიცემოდა. ინფორმაციის ამგვარი მეთოდით გავრცელება საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობაში სმენისა და თხრობის კულტურას აყალიბებდა, რომელიც ბუნებრივად დამკვიდრებულ სტანდარტებს ექვემდებარებოდა. ამბების თხრობა ე. წ. სთორი თელინგი (story telling) ხვეწდა ენობრივ ქსოვილს, გამოხატვის სიზუსტეს და ლექსიკურ მარაგს. თუმცა ამას უარყოფითი მხარეც ჰქონდა; ინფორმაცია ადამიანურ მეხსიერებას ეყრდნობოდა რაც ხშირად ზუსტი არ იყო. ყოველი პირის შემდეგ ის გარკვეულწილად იცვლებოდა. ესა თუ ის ადამიანი უკვე მოსმენილ ამბავს რაღაცას ამატებდა ან აკლებდა, თავის ინტერპრეტაციას აძლევდა და ისე გადასცემდა სხვას. რადგან ენა საკომუნიკაციო ფუნქციასთან ერთად ექსპრესიულ დანიშნულებასაც ითავსებს — ის აზროვნების იარაღიც არის, ამიტომ ცოდნა, ყოველი ადამიანის მიერ განსხვავებულად აღიქმებოდა. მისი მეორე პირზე გა-



დაცემა ძალიან სუბიექტური მოვლენა იყო. დღევანდელი კიბერაქტიური განვითარება გარკვეულწილად სანყისთან მიბრუნებაა, და ძალიან ჰგავს ისტორიული პროცესის ამ პირველ ეტაპს. იმ განსხვავებით რომ უამრავ ალტერნატიულ საშუალებებს შორის საგანგებოდ იქმნება ნიგნის აუდიო ჩანაწერები. ჩვენთვის საინტერესო ტექსტი შესაძლებელია ბოტის მიერ იქნას წაკითხული რაც სმენით ცოდნის გადაცემას და თხრობით განათლების მიღების ახალ სტანდარტებს აყალიბებს. ინფორმაციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია დისტანციური განათლება კომპიუტერულ სწავლების ბაზაზე შექმნილი განათლების ქსელი. გარდა ამისა არსებობს ლიტერატურული და სხვა ტიპის პორტალები, რომელიც კომუნალურ შემოქმედებას, აზრების გაცვლას და ამ ყველაფრის ერთ სისტემაში მოქცევას ითვალისწინებს — საერთო სახალხო ტექსტის შექმნის მიზნით. ეს ისეთი ტიპის ტექსტია, რომელსაც შემდეგი თაობები კიდევ ავრცობენ, ხვენენ და გარდაქმნიან ეპოქალური მოთხოვნილებების და ხელოვნების განვითარების შესაბამისად. ტექნიკა ყოველთვის ქმნის ხელოვნებაში ახალი იდეების განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ მისი განხორციელება შემოქმედებითი მომნიჭებული აზრის შედეგია. ინტერნეტი ლიტერატურისთვის ნიშნავს იყოს ავტორის და მკითხველის მიერ კოლაბორაციის მიერ შექმნილი. მას არ აქვს თავის სუვერენული ტერიტორია ის ყველგან და ყოველთვის ხელმისაწვდომი ქმნადობით გამოირჩევა, ტექსტის განგრძობითობა ცოცხალი ორგანიზმივითაა, ის მუდამ იზრდება. მკითხველი თანაავტორია შემოქმედებითი პროცესის. მისტიკურობა მთლიანად მუტაცირებულია. თუმცა მკითხველი რომელიც არ დაარღვევას თავის საზღვრებს და მხოლოდ მკითხველად დარჩება მისთვის ეს მისტიკურობა ისევ ხელშეუხებელ შემოქმედებით ქურად რჩება.

კითხვა გრაფიკული ნიშნებით ჩანერილი აზრის ამოხსნას ამოკითხვას ნიშნავს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კითხვის პროცესის ტექნოლოგიური ჩარჩო გაფართოვდა და ეკრანული კოდების, ამოძრავებელი გრაფიკული ნიშნების სინქრონულ გაშიფვრას გულისხმობს. კითხვის პროცესის გაანალიზება თაობის მახასიათებლების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. დამწერლობა უკვე ექვსი ათასი წელია არსებობს, როგორც ცნობილია მისი განვითარების სამ საფეხურს გამოყოფენ. პირველ საფეხურად ეგვიპტური იეროგლიფური (იდეოგრაფიული) და შუმერული ლურსმული წარწერები ითვლება. შემდეგ მოდის სილაბური (მარცვლოვანი) და ალფაბეტური (ანბანური) დამწერლობა. ყველაზე ადრეულ ეტაპად პიქტოგრაფია შეგვიძლია მივიჩნიოთ, მაგრამ ის არ ასახავს ენის ბგერით მხარეს და



დამწერლობა პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ. პიქტოგრაფია ნახატების საშუალებით აზრის გადმოცემაა, რომელიც ნებისმიერ ენაზე შეგვიძლია გავიგოთ. გრაფიკულ ურთიერთობებში სწორედ ამ ტიპის დამწერლობა ასრულებდა ოდითგანვე ძირითად როლს. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც კომუნიკაციური საშუალება. გრაფიკული ურთიერთობის პირველი გამოვლინება იყო მღვიმეების კედლებზე ადამიანის ნახატების, რომლენიც ასახავდნენ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას. გრაფიკული ურთიერთობის უძველესი ხანა, სამ ძირითად პერიოდს მოიცავს: ძველ ეგვიპტურ. ბერძნულ და რომაულ პერიოდებს. უკვე ამ პერიოდებშივე ილუსტრირებულ ხელნაწერებსა და წიგნებში ტექსტთან ერთად თანაარსებობდა ნახატებიც, რომელიც ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ვიდრე თავად ტექსტი. თანამედროვე გრაფიკულ ურთიერთობებში ახალი ერა დაიწყო ტექნოლოგიური რევოლუციის შემდეგ. კიბერსივრცეში ხდება ტექსტთან ერთად უძრავი გრაფიკული გამოსახულებების გაცოცხლება. იქმნება სიტყვაკაზმული მწერლობის მულტიმედიური გარსი. ხდება ტექსტის ვიზუალიზაცია, მონაცემებისა და მათი ადეკვატური გრაფიკული გამოსახულების შესაბამისობის მიღწევა. ახალი ტექნოლოგიური გლობალიზაცია კულტურაში უნებურად უკავშირდება დამწერლობის განვითარების უძველეს ხანას.

ფსიქოლოგების აზრით ადამიანი მხედველობითი არხით ითვისებს ახალი ინფორმაციის 90%-ს და მისი საშუალებით იგი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში რთავს მრავალრიცხოვან არავერბალურ კომპონენტებს. ასეთი ტიპის ინფორმაციის გადაცემის საშუალება ადამიანთა ურთიერთობისას ძალიან დიდ როლს ასრულებს. ლიტერატურის მულტიმედიური გარსი ჩაერთო ამ ყველაზე უმნიშვნელოვანეს ტექტუალურ-გრაფიკული ურთიერთობის პრიმატივით აღბეჭდილ მოვლენაში. ეს პროცესი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. დამწერლობის (ლურსმული, იეროგლიფური თუ სხვა) ექვსი ათასწლოვანი განვითარების საფეხურები, სხვადასხვა ეტაპზე მრავალ ფაქტორთან ერთად საწერ ტექნოლოგიებზე და მის გამოსახვის მხარეზეც იყო დამოკიდებული. სწორედ საწერი მასალა, საწერელი, პაპირუსი იქნებოდა ეს, თიხის ფირფიტა თუ ცხოველის ტყავი განაპირობებდა ხშირად ასოების მოხაზულობის თავისებურებას. ელექტრონული“ წიგნები — 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური ტექნოლოგია, არა მარტო სრულ ბეჭდვით ინდუსტრიას ცვლის, არამედ თავად კონტენტის შექმნის იდეოლოგიასაც (MediaIdeas-ის ანალიტიკოსი ნიკ ჰემფრი) (ამჟამად თანამედროვე საკითხავი მონეობილობა არის ელექტრონული ფურცელი, (e-paper) რომელიც ელექტრონულ მელანს (e-ink) იყენ-

ებს. ტექნოლოგია შემუშავდა სპეციალურად იმისთვის რომ გამოსახოს ინფორმაცია; ტექსტი ან გრაფიკული სურათი. ზუსტად ისე როგორც ეს ფურცელზე დაბეჭდილი ტექსტია, ეკრანს არ ქონდეს შიდა ნათება და მინიმალური ენერგო მოხმარების იყოს. ნამდვილი წიგნიც ზუსტად ესეთია, არ მოიხმარს ენერგიას, ფურცელზე დაბეჭდილი ტექსტი კი სამუდამოდ რჩება).

ციფრული ტექსტი მიუხედავად მისი უსაზღვრო განვითარებისა პირველსაწყისთან ინარჩუნებს კავშირს. ეტრატის ფრიად გამძლე მასალა იყო, მაგრამ მისი დამზადება ძვირი ჯდებოდა. ზოგირთ ხელნაწერ ეტრატს მთელი ფარა არ ჰყოფნიდა. ამიტომ ხანდახან წერის დროს თხზულების ტექსტს საგრძნობლად ამცირებდნენ, ან ხშირად ხმარებულ სიტყვებს შემოკლებით წერდნენ — აქარაგმებდნენ. დღევანდელ სოციალურ ქსელებსა და ჰიპერლიტერატურაში სმაილების, სიტყვების და ხშირად მთელი წინადადებების შემოკლებულად წერა ძალიან ჰგავს დაქარაგმების პრინციპს. რადგან ეტრატის შემზადება რთული იყო და ყოველი ფურცელი ძვირი ღირდა, ამიტომ ზოგჯერ ხმარებიდან გამოსულ წიგნის ფურცლებს ფხეკდნენ, ძველ ნაწერს შლიდნენ და ახალს წერდნენ. ძველ ეტრატს ხელახლა იყენებდნენ. თუმცა ძველი ნაწერის კვალი მაინც რჩებოდა ასეთი პალიფსესტები დღევანდელი მყარი მეხსიერების წინაპრად გვევლინება. სერვერის გადავსებისგან დასაცავად ბლოგიდან, სოციალური ქსელიდან ან საიტიდან ნაშლილი ძველი ჰიპერლიტერატურის ნიმუშები, რომელიც სერვერზეც აღარ ინახება, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია, გარკვეულწილად ჰგავს იმ მდგომარეობას, როდესაც მეცნიერები ეტრატიდან ნაშლილ ძველი ტექსტების ამოკითხვას ცდილობენ, ნაშლილი ფაილების აღდგენაც ხომ შრომატევადი პროცესია, რომელიც უამრავი არაკორექტული ფაილიდან საჭიროს ამორჩევას ითვალისწინებს. რამდენიმე ათწლეულების შემდეგ, როდესაც პირველი ინტერნეტ თაობის შემოქმედებით დაინტერესდებიან, მეცნიერებს სწორედ ასეთი მუშაობის განევა მოუწევთ. შემოკლებული სმაილების და სიტყვების ნაშლილი ტექსტებისა და ბლოგების აღდგენის პროცესი მთლიანად კომპიუტერული საქმიანობით იქნება შემოფარგლული. ერთ ვინჩესტერზე არსებული ფაილების ფენა-ფენა აღდგენის ხანგრძლივი პროცესი პალიფსესტური ეტრატის შესწავლის კიბერ ანალოგად წარმოგვიდგება.

თანამედროვე ციფრულ ტექსტში ავტორის ფუნქციის დევალივირება, ასევე ძალიან ჰგავს პირველსაწყისთან მიბრუნებას, ძველად ხელნაწერების ხანაში პრიორიტეტული იყო უფრო ტექსტის შენახვა-ინტერპრეტაცია და დროში გადაცემა ვიდრე ტექსტის ავტორის ინსტიტუტიზაცია. პარადოქსია, მაგრამ გუტენბერგის გამოგონება; შრიფ-

ტის ჩამოსასხმელი საბეჭდი დაზგები ე. წ. „კოპი პეისტის“ პრინციპით მუშაობდნენ და ერთი და იმავე ასოების თანმიმდევრობას ბეჭდავდნენ, რამაც ავტორი ტექსტს მჭიდროდ დაუკავშირა, ვიდრე ეს ხელნაწერთა გადამწერების დროს იყო, რომელნიც უნებურად ან შეგნებულად ცვლიდნენ ტექსტის ქსოვილს და მის ავტორს. საუკუნეების შემდეგ სწორედ ამ „კოპი პეისტის“ პრინციპის კომპიუტერულ სივრცეში გადანაცვლებამ და ინდივიდუალურ დონემდე დახვეწამ ავტორი ჩამოაშორა ტექსტს და მისი გავრცელება და ინტერპრეტაცია სწრაფი ცვლილების მქონე მოვლენად აქცია.

ლიტერატურამ გუტენბერგიდან დაიწყო მანქანური ცივილიზაციის გამოყენება. შრიფტის დამამზადებელი დაზგების გამოყენება ზოგადად მანქანური ტექნოლოგიების ჩართულობა ლიტერატურაში ნელ-ნელა შემოიპარა. სიტყვაკაზმული მწერლობა ქალაქის გარეშე თითქოს ვერავის წარმოგვიდგენია, მაგრამ მანქანური ტექნოლოგია სწორედ უქალაქო მწერლობის ჰორიზონტებს გვისახავს. არალინეარული თხრობის და ტრადიციული ტექსტუალური კონტექსტის დარღვევის უნარ-ჩვევები გამოუმუშავდა კომპიუტერის შექმნამდე ე. წ. ლიტერატურული დაფის თამაშების დროს, რომელიც მულტიმედიური ბელეტრისტიკის ერთ-ერთ წინაპრად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც გენეალოგიური მართვის ლიტერატურულ შრეში შეღწევის საშუალება. დაფის თამაშები დამოუკიდებლად და სანერი ტექნოლოგიების პარალელურად ვითარდებოდა. საქართველოში პირველი ასეთი ლიტერატურული თამაში ილია ჭავჭავაძის დროს დაიბეჭდა. 1892 წელს 24 ივნისს გაზეთ „ივერიის“ № 131-ში გამოქვეყნებული იყო ვრცელი ინფორმაციული ცნობა, რომ ოზურგეთიდან მოუღიათ კ. თავართქილაძის მიერ დაბეჭდილი ლოტო, რომელშიც გამოსაცნობ მასალად გამოყენებული ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები, იქვე ახლავს ვრცელი განმარტება თამაშის წესების შესახებ. დასასულს ავტორი დაასკვნის, რომ ეს თამაში ხელს შეუწყობს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლას. ამ პერიოდში მოდაში იყო ვეფხისტყაოსნის, ანდაზების და სხვა ლიტერატურული თამაშების გაკეთება, რომელსაც ილიაც ხელს უწყობდა. ლიტერატურული დაფის თამაშები ინტერაქტიული მოვლენაა, სადაც ტექსტთან ერთად ფსევდოგრაფიკული დეკორაცია და მკითხველის მაქსიმალური ჩართულობით გამოირჩევა. ამ ლიტერატურული თამაშების ერთგვარი კიბერგანვითარებაა ქსელური ლიტერატურა, სადაც ერთდროულად მთელი მსოფლიოს მაშტაბით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შემოფარგლოს თავის მონაწილეობა თხზულების შექმნაში. ჰიპერლიტერატურაში გავრცელებული მიმართულება adventure ქალაქის მწერლობაში უფრო ადრე განჩნდა ვიდრე კომპიუტერუ-

ლი სისტემები დაიბადებოდა. პირველი ცდები 1940-1970 წლებში იყო. 1950 წელს ფსიქოლოგმა სკონერმა გამოთქვა აზრი ინტერაქტიული ლიტერატურის შექმნის სტუდენტებისთვის განათლების მიღების მიზნით. 1960 წელს იდეა მოტივირებული იყო ლიტერატურული ექსპერიმენტებით. ბორხესი ითვლება მულტივერსიულობის ფუძემდებლად. ელექტრონული ლიტერატურის გაჩენამდე არსებობდა სხვა ინტერაქტიული ჰიპერტექსტის წინაპარი ვერსიები კორტასარის, ნაბოკოვის, პავიჩის შემოქმედების სახით.

ინტერაქტიული მწერლობა ერთგვარი წიგნი თამაშია, სადაც ავტორი მოვლენის განვითარების რამდენიმე შესაძლო ვარიანტს სთავაზობს მკითხველს. რეციპიენტს წინასწარ განსაზღვრული დამოუკიდებლობის ფარგლებში ენიჭება თავისუფლება. ავტორი ყველა ამბავს და უეცრად მიმართავს მკითხველს. ფული გინდა თუ საიდუმლოს გაგება? თუ ფული გინდა გადადი 18 გვერდზე თუ საიდუმლო გსურს შეიტყო გადადი 35 გვერდზე. ან: მეზღვაურები შიმის გამო რჩებიან გემზე და ვერ ბედავენ გადახტენ ალელვებულ ზღვაში, რომ გადაარჩინონ მეგობარი, მაგრამ საბედნიერო გემზე იმყოფება ერთი ადამიანი, რომელსაც არ ეშინია სიკვდილის. ეს ადამიანი თქვენ ხართ. თუ გადახტებით მეგობრის დასახმარებლად გადადი მეოცე გვერზე თუ არ გადახტებით მაშინ გადაშალე 15-ე გვერდი. ამ ტიპის წიგნი-თამაშები მკითხველს ხიბლავს უპირველეს ყოვლისა იმიტომ რომ მკითხველი ამბის თამაშობრივი მონაწილეა და ექმნება ილუზია რომ შეუძლია მოვლენების მართვა. ყველაზე ცნობილი ამ სერიაში არის წიგნი: „შენი თავგადასავალი“, რომელიც დღემდე უკვე 185 წიგნს მოიცავს. 1977 წელს პროგრამისტმა ბილი კრაუსტერმ საკუთარი სიამოვნებისთვის შექმნა პროგრამა წიგნი-თამაშის კიბერანალოგი, რომელიც თავიდან ბოლომდე ტექსტების ვარიანტების თამაშით სიუჟეტის შექმნას გულსხმობდა. მას მოგვიანებით მოჰყვა ლებლინგის და ბლენკის შექმნილი დახვეწილი აზარტული ლიტერატურული თამაში zork. მან მოიპოვა ნამდვილი პოპულარობა და ააღორძინება adventure მიმართულება. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ინტერნეტის გავრცელებამ პლანეტარული სახე მიიღო. ჰიპერტექსტის განვითარებას სულ უფრო და უფრო მამატაბური გახდა.

თანამედროვე სემიოტიკა ტექსტად განიხილავ არამხოლოდ ნიმუშობრივ თანმიმდევრობას, არამედ მხატვრულ ტილოს, ცეკვას, რაიმე ტიპის ჟესტს, და ა შ. ტექსტის შესწავლით დაინტერესებული დისციპლინები (თეოლოგია, ისტორია, იურისპრუდენცია, სოციალური ფსიქოლოგია, კოგნიტიური ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა და სხვა) ტექსტს იკვლევენ იმდენად რამდენადაც მათ ეს აინტერესებთ. ლათინურად

ტექსტი *textus* შეკავშირებულ თხრობას, გადაბმის შეთხზვას ნიშნავს. ტექსტის თანამედროვე დეფინიცია ტექსტს მხოლოდ ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებულ წინადადებებს არ გულისხმობს. თანამედროვე გაგებით ტექსტი არის კომუნიკაციური აქტი, კულტურის და ინფორმაციის არსებობის ფორმა. განსაზღვრული ისტორიული ეპოქის პროდუქტი, ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების ამსახველი კონსტანტა. ოსტმანი ვირტანენის განმარტებით დისკურსი არის ტექსტს დამატებული სიტუაცია ხოლო ტექსტი შესაბამისად დისკურსს გამოკლებული სიტუაცია. ვან დეიკის აზრით ტექსტი მხოლოდ დისკურსში რეალიზებული აბსტრაქტია.

ქსელურ ლიტერატურაში ე. ნ. ქსეტერატურაში თავდაპირველად იქმნება ციფრული ლიტერატურული ორგანიზმი, რომელიც გაეშვება ქსელში და ქმნის არხებს სხვადასხვა მიმართულებით. გამგზავნი — შეტყობინება — მიმღები (გამგზავნი) — შეტყობინება — მიმღები (გამგზავნი) კომუნიკაციური პროცესი.

გლობალური კულტურის კონტექსტში დაბადებული ჰიპერ ლიტერატურული ტექსტი თავიდანვე იქმნება ორმხრივი მოლოდინის და ურთიერთზეგავლენის მოლოდინში. ინტერაქციული ტექსტის ქმნადობისას, რეციპიენტის მიზანია იპოვოს, აღმოაჩინოს ის კოდური შინაარსი, რომლის ინტერპრეტირებულ გაგრძელებასაც მოახდენს. როცა რეციპიენტი შეტყობინებას გზავნის მას მნიშვნელობა კი არ აინტერესებს, არამედ თვით მომხმარებლის მიერ მისი ინტერპრეტირება. ამ დროს საქმე ეხება უკვე არსებული გამოყენებული ფორმის დეკოდირებას და მოდელირებას. რეციპიენტში დიდი მნიშვნელობა აქვს: ინტერაქციის ინტუიციურ ცოდნას, სამყაროს შემეცნებით ეფექტებს და კოგნიტურ ინტერპრეტაციებს. ამ ტიპის ორმხრივი ზეგავლენა ქმნის ჰიპერტექსტუალურ ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებიც დამოუკიდებელია ავტორთაგან, რომლებიც მათ ქმნიან. ამ შემთხვევაში ნაწარმოების თამაშობრივი პოეტიკა სრულიად იცვლება. მულტიმედირი ტექნოლოგიით შექმნილი ნარატივის უნიკალური კოდები, ტექსტუალური ქსოვილი, ლოგიკური და ემოციური მახვილები რადიკალურად განსხვავებულ ბელეტრისტიკის ესთეტიკას ქმნის. ლიტერატურის ტექნოლოგიური ბუნება არასდროს გვევლინება დასრულებულ ფაქტად, იგი მუდმივ ქმნადობაშია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ჩამოყალიბების სტადიებს გადის.

უკვე წიგნად ცნობილი თხუზულება ციფრულ სივრცეში გადატანით ვერ გახდება ქსეტერატურა. ქსელური ლიტერატურა არის უანრი, რომელიც შეიქმნა ქსელში და მისი ფურცელზე გადატანა აპრიორი იქნება არასრულფასოვანი მოვლენა და ძალიან შეცვლის მას. წიგნი

სტრუქტურულად ავტორიდან მკითხველისკენ მიმართული ინფორმაციაა. მულტიმედია სისტეურად განსხვავებული მოვლენაა. აქ ავტორი და მკითხველი ერთ კოლაბორაციაშია, რაც ერთ დასურულებლ პროცესს ქმნის. ჰიპერტექსტი, როგორც დინამიური ხელოვნების მრავალავტორიანობა არ არის მხოლოდ ელექტრონული ტექსტის ორგანიზებული მყუდროება. ესაა ტექსტი, რომელსაც ახლავს ხმა, ფერი და გრაფიკა, (შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი ნიუანსები როგორიცაა ყველა ასობგერის ფერთან ასოცირება და სხვა). ჰიპერტექსტის, როგორც დამალული ინფორმაციების ენციკლოპედიური განმარტებები და სხვა ერთობლიობების ბმული მულტიმედიური მრავალავტორიანობა მის დაუსრულებელ ვრცელ მოცულობა დიდ მონუმენტურ ტილოს ასოციაციას ინვეს. ეს ჰგავს უზარმაზარ ნახატს, რომლის დანახვა მხოლოდ ვერტფრენიდან არის შესაძლებელი. ასეთი ტექსტი დიდ ეპოსის კიბერანალოგად წარმოგვიდგება, რომლის ნაკითხვას შემდეგი თაობები შეძლებენ.

ლიტერატურაში ცნობილია ე. წ. მოარული სიუჟეტების მოხეტიალე ამბების სუბლიმაცია სიტყვაკაზმულმწერლობაში, როცა ორ სხვადასხვა ქვეყნის ავტორს ერთი და იმავე ქარგას იყენებს თავის ნაწარმოებისთვის გლობალიზაციის გაძლიერების შემდეგ ავტორების შემოქმედებით პროცესს დაემატა ახალი ტელეპატიური ქსელის ახალი შრე. იდეების ვენტილირება ხდება სხვადასხვა კულტურების ერთ საერთო სივრცეში. მანამდე თუ კულტურებში იდეები თავისთავში იყვნენ აკულულირებულნი ახლა ხდება ერთ საერთო სივრცეში მათი ვენტილირება. გლობალიზაციამ ააჩქარა იდეების კვლავწარმოება. მიმოქცევის პროცესი და გააფართოვა მათი საზღვრები. კულტურის გლობალიზაციამ განსაზღვრა ინფორმაცია როგორც დამატებითი ფაქტორი საზოგადოების მახასიათებლებში. ინფორმაციის რესურსი გახდა ისეთივე მნიშვნელოვანი როგორც თვით ტექნოლოგია და ინფორმაციული ინდუსტრია. მიუხედავად იმისა რომ ჰიპერლიტერატურის კოლექტიური შემოქმედების არაერთი ნიმუშია ინტერნეტში მოცემული ეს მიმართულება ლიტერატურაში არ სარგებლობს პოპულარობით. იმისათვის რომ გავიაზროთ ეს პროცესი კარგი იქნება თუ კინოს განვითარების ისტორიას გადავხედავთ.

ტექსტის ტექნოლოგიური მოხმარების ჩარჩო გაფართოვდა როგორც კინოსი რამაც ახალი ესთეტიკური აღქმის სტანდარტი ჩამოაყალიბა. ინტერნეტში ტექსტი როგორც საქციელი გახდა მსაზღვრელი იმპულსური პროცესების.

როცა იქმნება ახალი ტექნოლოგია ის აუცილებლად ჩაებმება სახელოვნებო სამსახურში. ლიტერატურამ სისხლი გადაუსხა კინოს,



ახლა დგას პროცესი როდესაც ცენტრის დაკარგვა ლიტერატურის კინოს და სხვა სახელოვნებო მიღწევების მიერ ახალი პროცესების ფორმირებით ხასიათდება. კინოს განვითარება ტექნოლოგიის განვითარებაზე დამოკიდებული, იმისთვის რომ გავიგოთ რა როლი აქვს ლიტერატურას ახალი ტექნოლოგიის ხელოვნებაში დამკვიდრებისათვის უნდა გავანალიზოთ კინოს განვითარება. ტექნოლოგია არ ქმნის თხზულებას, ერთის მხრივ ტექნოლოგია შემოიჭრა ლიტერატურაში და მეორეს მხრივ ლიტერატურა კარნახობს ხელოვნების კანონებს.

ერთხანს კინო ლიტერატურული ეკრანიზაციების ხარჯზე ვითარდებოდა და ლიტერატურამ მისცა მყარი საფუძველი. იყო პერიოდები, როდესაც ხმოვანი კინო „ხმებდამატებული“ მუხჯი კინო იყო ხოლო ფერადი კინოგამოსახულება — „გაფერადებული“ შავ-თეთრი. ორივე ტექნოლოგიამ ხმამაც და ფერმაც თავისი სრულფასოვანი ადგილი მხოლოდ მას შემდეგ დაიკავა რაც მათი შესაბამისი დრამატურგია შეიქმნა.

დღესდროებით 3D როგორც მოცულობითი კინემატოგრაფი, რომელიც გარე სამყაროს ბინოკულარულ მხატვრულ შესატყვისს ქმნის, სწორედ დრამატურგიის არქონის ვერ იკიდებს ფეხს. ეს ტექნოლოგიური მიღწევა კინოსთვის მხოლოდ მხატვრული ეფექტი და დეკორაციაა, თუ არ იქნება მოცულობითი გამოსახულების შესაბამისი ლიტერატურული საფუძველი და დრამატურგიული ქარგა. ხდება ორგანოზომილებიანი ფილმების სამგანზომილებიანი ვარიანტების დამზადება 3D სტერეო ტელევიზორების და სამგანზომილებიანი ფილმების ზრდა წლიდან წლამდე ვერ ცვლის ამ მოცემულობას. სპეცეფექტები აქ გამოყენებულია გამაოცებელი ტექნოლოგიური ეფექტისთვის და არა დრამატურგიული შინაარსის შესაბამისად. ამდენად მოცულობითი გამოსახულება ვერ იპყრობს მაყურებლის გემოვნებას რადგან 3D-ს სათქმელს 2D ამბობს. მაგრამ პოპულარული 3D ფილმები („ავატარი“, „ტიტანიკი“ 3D ვერსია და სხვა) სამ განზომილებიანი გამოსახულების ტექნიკურ ატრაქციონად მოჩანს. სწორედ ამიტომ ამდენ 3D ფილმებს შორის მხოლოდ ერთი კუარონის „გრავეიტაცია“ დაფასდა ჯეროვნად, სადაც მოცულობითი გამოსახულება სპეციფიკური დრამატურგიის შესაბამისია, რაც მანამდე არცერთ ფილმში არ გვხვდება. რაც მხატვრული თვალსაზრისითაც ახალი სიტყვაა. აქ საუბარია იმ ტიპის უნიკალური დრამატურგიის შექმნაზე, რომლის განხორცილება 2D კინოში იქნება აპრიორი არასრულყოფილი მოვლენა და მხოლოდ 3D-ს თვისებას მოერგება. როდესაც კინო დაიბადა ლუმიერებისთვის კინო მხოლოდ დოკუმენტური რეპორტაჟი და ცოცხალი ფოტოგრაფია იყო — ცხოვრების ამსახველი ქრონიკა. კინოს როგორც სახელოვნებო

დარგის ფორმირება შემდეგი დროის მოღვაწეების ხელში ჩამოყალიბდა. მედიესმა მას მისცა მხატვრული სული, გრიფიტმა ჩამოაყალიბა კინოთხრობის სპეციფიკა, თომას ინსმა შექმნა სცენარის სპეციფიკა.

მოცულობით გამოსახულებასაც სწორედ ეს ჭირდება რომ 3D სტერეო კინო ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი სრულფასოვანი მხატვრული ფენომენი.

ალტამირას გამოქვაბულის კედლებზე არსებული ცხოველების ნახატების, რომელზეც ფიქრობენ რომ უძველესი მხატვრის მიერ „კამერა ობსკურას“ ეფექტით გამოსახულების დაფიქსირების შედეგია, საუკუნეების განმავლობაში სხვასხვა განვითარების სტადიებს გადიოდა (ჯადოსნური ფარანი, ლატერნა მაგიკა, ტაუმატროპი და სხვა მსგავსი კადრის ამოძრავების მცდელობები) XIX საუკუნეში კინოს გამოგონებით დასრულდა. ლიტერატურა ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელმაც კინოს განვითარებას მყარი საფუძველი მისცა.

ამერიკელი მწერლის ჯონ დოს პასოსის მიერ ფოტოგრაფიული თხრობის მანერის „კამერა ობსკურას“ ჩამოყალიბება ლიტერატურის და კინოს ურთიერთგადაკვეთის ნერტილების თავისებური გამოხატულებაა. 3D კინემატოგრაფის განვითარება 50-იანი წლების შემდეგ ახალ სიმაღლეზე ავიდა, მაგრამ მისი მხატვრული ღირსების მოპოვებისათვის ასევე დახვეწილი ლიტერატურული დრამატურგიაა საჭირო. ამდენად კინო და ლიტერატურა გლობალიზაციის პირობებში უფრო სწორედ ტექნიციისტურ გარემოში ერთმანეთზე ზემოქმედებს.

ქსელური ლიტერატურა აქტუალობით არ სარგებლობს ის არსებობს, მაგრამ უბრალოდ არავის ჭირდება. ჰიპერტექსტი მაინც კინოსა და ვებპალიკაციებს შორის დარჩენილი მიმართულებაა, რომელსაც თავის თავი ვერ უპოვნია. ქსეტერატურა ერთგვარი გართობა და თამაშია, სადაც ყველა მონაწილე სრული თავისუფლებით სარგებლობს ისინი დამოუკიდებლები არიან საკუთარი თავის გამოხატვაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელოვნების ნიმუშის შექმნაში, რადგან ხელოვნება მაშინ არის ნამდვილი ხელოვნება როცა ის ცდება ხელოვნების საზღვრებს და ქმნის თვისობრივად ახალ კანონებს.

გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური და კულტურული ეკლექტიკა ახალი სახელოვნებო დარგის ფორმირებისათვისაც კინოს ჩამოყალიბების ანალოგიური მდგომარეობა ქმნის. ტექნოლოგიური ინსტრუმენტები საკმარისზე მეტია, მაგრამ არ არის ამ ინფორმაციის გაგებისათვის მზდყოფნი რეციპიენტი რადგან არ არსებობს სეპარაციური ლიტერატურული საფუძველი, დრამატურგიული ქარგა, რომელიც ააგებს გამოსახულების და ტექსტის ერთ სივრცეში არსებობის უნიკალურ არქიტექტონიკას. ფსიქოლოგიური გამოკვლევები



გვიჩვენებენ რომ ადამიანი ვერ აღიქვამს ინფორმაციას, რომლის გაგებაც არ შეუძლია. შეტყობინების გადაცემის შედეგი უშუალოდაა დამოკიდებული აუდიტორიის ყურადღების მიმართულებაზე და მოხმარების რელევანტურ კომფორტზე. ამგვარად მხატვრული ფენომენის სრულყოფილად შეგრძნების ჩამოსაყალიბებლად საჭიროალიტერატურული დრამატურგია რომელიც რეციპიენტში შეგუების თვისობრივად ახალი გემოვნების სტანდარტს ჩამოაყალიბებს.

**L.V. HRYTSYK**

*Ukraine, Kiev*

*Kiev National Taras Shevchenko University*

### **Globalization: Ukrainian Literary Discourse**

Basing on researches acquired by Ukrainian literary studies in which globalization problems of analysis of different integration strategies are touched, we arrive at the conclusion about availability in the process of mutual cognition of literatures' enrichment with dialogues, different kinds and forms of mutual literatures interaction caused by new types of communication.

*Key words: globalization, Ukrainian literary studies, postcolonial schools, communicative capabilities.*

**Л.В. ГРИЦИК**

*Украина, Киев*

*Киевский национальный университет имени Тараса Шевченко*

### **Глобализация: украинский литературоведческий дискурс**

Культурное смешение, присущее европейским литературам, процессы транскulturизации, локусных интересов, связанные с глобализацией, характерны и для украинской литературы, хотя выражены не настолько четко. Знаки постмодерна присутствуют во всех жанрах (прозе – О.Забужко, Ю. Андрухович, В. Медвидь, Е. Пашковский; поэзии – «Новая дегенерация», авторы львовского журнала «Четверг»; драматургии – Б.Жолдак, Я. Верещак, Неда Неждана; критике – С. Павлычко, Т. Гундорова, Н.Збо-

ровская, Н.Мережинская). Отход от устоявшихся классических форм и институционно упорядоченных знаний, игра знаков и разных полей, «стирание бинарных оппозиций», граней между высоким искусством и китчем, «сознательная эклектика», эта настоящая «ярмарка украинской модерности» присуща многим произведениям украинской литературы. *«Рынок, – констатирует Т. Гундорова, – является не только экономической структурой, но и культурной институцией, предусматривающей целый ряд ритуалов, жестов и создающей свой особенный язык... Это – возможность общения, коммуникации»* (Гундорова 2013: 316). Имея много общего с современной художественной практикой американской и европейских литератур, подтверждая «тяготение» (Зверев 2004) к глобальной культуре, украинские «тексты и визии» (Ю. Издрик) остаются, все же, другими: духовный контекст, в котором появился постмодернизм в украинской культуре, запоздалый по Н.Маньковской (Маньковская 1999), преимущественно «здешний». Это «постсоветский феномен», а не постиндустриальный, западный, – убеждает О. Пахлёвская (Пахлёвская 2007). Не буду касаться сущности термина глобализации в определении В. Морера (Энциклопедия... 2003: 94-95). Скажу лишь о том, что проекция его на литературное поле наводит на размышления. Однозначным является то, что «освободительный проект», который по М. Павлышину (Павлышин 1997: 218) *«основывался на стремлении оградить и укрепить украинскость...»*, утратил мотивированность. Одна из наиболее важных до недавнего времени в украинской литературе освободительная идея отошла на второй план. Но глобализация заострила, как отмечают исследователи, *«ряд сложных и неоднозначных по своим последствиям проблем»*. Так, И. Лимборский (Лимборский 2011: 30-31) среди них называет изменение модели репрезентации национальных литератур, их включенность в мировой литературный процесс.

Беру в руки книгу Н.С. Трубецкого «Наследие Чингисхана» (М., 2007) и наталкиваюсь тут на известную, изданную (и очень современную!) публикацию дискуссии Н. Трубецкого с Д. Дорошенко под названием «К проблеме украинской культуры» из пятого тома «Евразийского временника» с известным разделением на «верхний» и «нижний» этажи культуры. Нижний – локальные («областные» – это русская, белорусская, украинская), верхний – общечеловеческий, общерусский. *«Для того, чтобы стать общечеловеческой... – подытоживает Н. Трубецкой»* (Трубецкой 2007: 555), – *всякая культурная ценность, созданная украинцем, великороссом, белорусом, должна ... прежде всего стать общерусской*. И дальше: *«русская культура в будущем включится в особую евразийскую культуру»* (Трубецкой 2007: 558). Глобализационные нарративы давние. Не случайно

исследователи, например, чех Я. Корженский (Корженский 2006: 95), рассматривают подобные интеграционные процессы как *«современный вариант «тысячелетних интеграционных констант»* (Корженский 2006: 25). Их вряд ли можно связывать с конкретными именами, например, Р. Робертсоном (1985 год, по И. Дзюбе), социологией, антропологией или другими сферами. Изменяются предполагаемые модели, акценты (политические, экономические, культурные). К ним добавляются новые проблемы.

Пафос глобальности, которым проникнуто немало публикаций и выступлений на разного уровня форумах и конференциях, настораживает политическими крайностями и глобалистическими формами унификации и интеграции. Они напоминают идеологически обустроенную крышу *«единой многонациональной советской литературы»*, нашедшую свое теоретическое обоснование в предисловии к одноименному восьмитомному изданию (История советской... 1972).

В связи с этим можно понять обеспокоенность Саймона Дюринга: *«Национализм (а он ассоциируется у него с формой свободы – Л.Г.) обладает не таким пониманием влияния и значения у периферийных народов как в мировой силе»* (Дюринг 1996:565).

Проследивая истоки глобализационных процессов, опираясь на опыт античности, средневековья и современной литературы, известный украинский ученый И. Дзюба констатирует: *«С одной стороны глобализация заставляет считаться с собой как безусловный факт («метафакт») истории, но, с другой – ее императивность не снимает проблем, сомнений, тревог»* (Дзюба 2008: 26). Прежде всего в том, что касается «культурных проектов» глобализации. Наиболее тревожным в размышлениях кажется то, что связано с утратой национальных корней, созданием «немислимых синтезов», максимально приближающихся к унификации. *«Можно ли глобализацию ... считать ... выражением объективной потребности всемирно-исторического развития?»* – сомневается И. Дзюба. Сомнениями, да и открытым отрицанием, непринятием ее, проникнуты взгляды Я. Кучинского, Д. Икеды, М. Шкандрия, В. Дончика. Улавливаю другие взгляды на глобализационные процессы в идеях «нового культурного синтеза» Дерриды и «культурной гибридности» Г. Бгабги, ключевых положениях постколониальных студий Э. Саида, Н. Харисона, Г. Спивак и др. Примечательно, что большая часть дискуссий разворачивается не только на уровне антиглобалистических идей. *«... глобализацию презентуют под разными углами»*, продуцируя, как отмечает И. Чудовская-Кандыба, *«разные нарративы глобальности»* (Чудовская-Кандыба 2008: 11). В одном

из своих исследований автор с юмором пишет о ней как об «*общемировой пьесе под названием «Глобализация»*». Как бы там ни было, но, соглашусь, глобализация «стимулирует к рефлексии». «*Это дало бы возможность, – отмечает И. Дзюба, – не противодействуя позитивным тенденциям глобализации (среди них, например, Н. Ильницкий (Ильницкий 2008: 311) называет широкий доступ к культурному разнообразию через средства массовой информации – Л.Г.) уменьшить ее информационное влияние и полнее раскрыть творческий потенциал всех человеческих сообществ»* (Дзюба 2008: 29). Глокализация, над которой размышляет Р. Робертсон (иду за его работой «Глокализация: пространство-время, гомогенность – гетерогенность»), воспринимается как процесс, лишенный категорических движений и рекомендаций. Она, по Робертсону, «*предусматривает одновременность и взаимопроникновение того, что мы обычно называем глобальным и локальным, ... универсальным и партикулярным»* (Робертсон 2008: 67). Тут одно делает возможным другое. Поскольку идея глобализации предусматривает «создание и привлечение локальности», локальное автор трактует как «микропроявление глобального». И еще одна концептуальная мысль профессора Питсбургского университета: «*Вопросы следует задавать не как «или – или», выбирая одну из тенденций, а скорее исследовать пути, благодаря которым обе тенденции стали присущими нашей жизни...»* (Робертсон 2008: 51). Как следует из размышлений ученого, глобальное предусматривает культурный, географический плюрализм, где есть место и локальному (отстаивающему идеологию дома), глобализация как «ряд процессов», а не «уникальное состояние». Но нельзя не заметить и мыслей / взглядов, проникнутых прежде всего тревогой за судьбу локального / национально специфического (Соснова 2008). «Вернисаж» глобальности мыслей, представленный социальным дискурсом (И. Чудовская-Кандыба), присущ и литературоведческим работам.

Еще в 1945 году, находясь в эмиграции в Европе, известный уже тогда украинский литературовед Ю. Шевелев одним из «*ведущих направлений ... литературного движения»* называл путь «*от общечеловеческого – до национального»*. Не для того, чтобы отойти от общечеловеческого, а, наоборот, чтобы с большей силой его провозгласить и подчеркнуть ... чтобы не копировать общечеловеческое, а обогащать его». Размышляя над идеалом национальной литературы, автор подчеркивает, что имеет в виду нации «*не в этнографическом понимании, а в понимании суверенной европейской нации, которая претендует на место в Европе и которой есть что Европе сказать»* (Шевелев 2008: 607). Конечно, «*самим национальным признаком, – уточнял современник Ю. Шевелева И. Багряный, – не исчерпываются признаки великой литературы, но это является первой предпосылкой»* (Багряный 2014: 12).

Речь идет о национальной литературе, которая вместе с другими представляет явление мировой, комплексе «*взаимопроникающих*» (по М. Конраду) *систем национальных литератур, т.е. явлений, не накладывающихся на них, а создающихся ими* (История всемирной... 1983: 19). Единство, обоснованное М. Конрадом, не только не отрицает, но и предусматривает плюрализм, разнообразие.

Глобализационные процессы, как уже было сказано, по-разному коснулись украинской литературы. Они изменили канву многих произведений, стали темой многих литературоведческих работ. Но, к сожалению, не сделали литературу известной в мире. Вспоминается в связи с этим интервью О. Пахлёвской – поэтессы, культуролога, человека, который с 90-х годов работает в Риме. В нем озвучены тонкие наблюдения ученого-практика о межлитературных процессах. *«Интерпретированная в европейском ключе украинская культура обнаруживает неожиданные этические, эстетические, философские ресурсы, в которых западная ментальность ощущает необходимость, – делится мыслями автор. – Мы и они возникают не как противопоставление, а как взаимодействующие субстанции ... это идеальная формула бытия Украины и ее культуры в мире: сохранение и обновление своей идентичности через европейские коды»* (Пахлёвская 2007: 55). Как видим, акцент сделан не на противопоставлении своего другому /чужому, а выявлении внутренней оригинальности разнообразных литератур. «Инакость – самость» тут не являются оппозицией. *«Сам как иной»* – уже сразу определяет, – по П. Рикеру, – *что самость самого... в такой степени глубоко имплицитует инакость, что первая кажется немислимой без другой и проявляется через другую»* (Рикер 2002: 10). По сути, тут «становятся возможными» (Р. Шукуров) невидимые процессы «диалогического проникновения» (М. Бахтин) одной литературы в другую. *«Любая коммуникация – это выход за пределы Себя, вне своего к иному, соединение Себя с Иным»,* – замечает Р. Шукуров (Шукуров 1999: 10). Украинская «глобальная корпорация» не готова к стиранию, «трансформации» своего лица, чтобы быть заметной на мировом рынке. Хотя необходимость «системной интеграционной стратегии» (М. Павлышин) является достаточно актуальной. По моему убеждению, литература может идти в «глобализационный мир» несколькими путями. Один из них – это наличие произведений, которые органично вписываются в систему ценностей, выработанных глобализованным сознанием. Ведь *«в каждом образе, картине, – по Б.-И. Антонычу, – есть столько художественных произведений, сколько у этого образа воспринимающих»* (Антоныч 1998: 470).

Другой путь – это качественные художественные переводы, которые, учитывая тенденции абсолютной свободы и вариативности, были бы востребованы и воспринимались «как свои». На интересные факты, к примеру, ссылается И. Лимборский, прослеживая процессы рецепции Шекспира в Китае (Лимборский 2011: 68). Надлежащее место должны занять и разнородные процессы взаимопознания и взаимообогащения литератур, что является важным и перспективным в глобализованном мире с неожиданными, временами, поворотами наподобие «ареальной консолидации».

Практика показала, что среди разных факторов развития цивилизации – внутренних, внешних – последние, обусловленные взаимодействием соседних цивилизаций, считаются наиболее мощными источниками развития человечества. «*При этом естественно ожидать, – отмечает Е. Фролов, – разнообразные комбинации отношений, но главными тенденциями следует считать конструктивный диалог или борьбу*» (Фролов 2006: 99). На те же источники развития как «художественную цель» национальной литературы указывает и В. Державин. Уточню: моя трактовка национальной литературы основывается не на «описательно-этническом» или «описательно-лингвистическом» понимании (эти вещи, по словам В. Державина, взаимосвязаны, но отличны), а осознании ее как «*литературы, формирующей нацию духовно, длительно влияя на ее ментальности*» (Державин 2005: 56). Порожденные «встречными течениями» (А. Веселовский) процессы взаимообогащения, познания литератур в пространстве мировой означают интеграцию не как слияние, нивеляцию, а органическое, обусловленное развитием каждой литературы взаимопроникновение, трансформацию художественных явлений. Очевидным является и другое. Современному историко-литературному процессу необходимо для своего постижения определение перспектив новых научных технологий, приемов, наработанных не только литературоведением, культурологией, психологией, но и другими областями. Они подчеркивают пути, на которых сталкиваются в постоянном диалоге литературы, глобальные закономерности и литературные феномены, свойственные отдельным культурным регионам. Правы исследователи, протежирующие «более гибкую парадигму» литературоведческих изучений (Н. Высоцкая), где в уравнении «единство мировой культуры = единству непохожего» не будет признаков явлений со многими неизвестными.

#### **ЛИТЕРАТУРА:**

**Антонич 1998:** Антонич Б.-І. *Національне мистецтво // Твори*. К., 1998.

**Багрянний 2014:** Багрянний І. *Думки про літературу*. Ж.: Літературна Україна. 27 березня. 2014.

**Гундорова 2013:** Гундорова Т. *Транзитна культура. Симптоми постколониальної травми*. К.: 2013.

**Державин 2005:** Державин В. *Література і літературознавство. Вибрані теоретичні та літературно-критичні роботи*. Івано-Франківськ: 2005.

**Дзюба 2008:** Дзюба І. *Глобалізація і майбутнє культури*. Ж.: Слово і час. № 9. 2008.

**Дюринг 1996:** Дюринг С. *Література – двійник націоналізму? // Слово. Знак. Дискурс. Антологія світової літературно-критичної думки ХХ ст.* Львів: 1996.

**Зверєв 2004:** Зверєв О. *Американська література в період глобалізації // Американська література на рубежі ХХ-ХХІ століть*. К.: 2004.

**Ільницький... 2008:** Ільницький М. Будний В. *Порівняльне літературознавство*. К.: 2008.

**История всемирной... 1983:** *История всемирной литературы*. В 9 т. Т. 1. М.: 1983.

**История советской... 1972:** *История советской многонациональной литературы*. В 8 т. Т. 1. М.: 1972.

**Корженский 2006:** Корженский Я. *Коммуникация в Европе: глобализация и этничность // Глобализация – этнизация. Этнокультурные и этноязыковые процессы*. Кн. 1. М.: 2006.

**Лімборський 2011:** Лімборський І. *Світова література і глобалізація*. Черкаси: 2011.

**Маньковская 1999:** Маньковская Н. *Эстетика постмодернизма*. М.: 1999.

**Павлишин 1997:** Павлишин М. *Канон та іконостас*. К.: 1997.

**Пахльовська 2007:** Пахльовська О. *Українська культура виявляє несподівані ресурси*. Ж.: Кивска Русь. К.: Кн. 5, 2007.

**Рікер 2002:** Рікер П. *Сам як інший*. К.: 2002.

**Робертсон 2008:** Робертсон Р. *Глокалізація: часопростір, гомогенність – гетерогенність // Глобальні модерності*. К.: 2008.

**Соснова 2008:** Соснова М. *Глобалізація і етнізація в театре // Глобальні модерності*. К.: 2008.

**Трубецкой 2007:** Трубецкой Н. *Наследие Чингисхана*. М.: 2007.

**Фролов 2006:** Фролов З. *Проблемы цивилизаций в историческом процессе*. Ж.: Вестник Санкт-Петербургского университета. Серия 2. История. СПб., 2006.

**Чудовська-Кандиба 2008:** Чудовська-Кандиба І. *Вернісаж нарисів глобалізації в українському соціальному дискурсі // Глобальні модерності*. К.: 2008.

**Шевельов 2008:** Шевельов Ю. *Стилі сучасної української літератури на еміграції // Вибрані праці*. К.: 2008.

**Шукуров 1999:** Шукуров Р. *Введение или Предварительные замечания о чуждости в истории // Чужое: опыты преодоления. Очерки из истории Средиземноморья*. М.: 1999.

**Енциклопедія... 2003:** *Енциклопедія постмодернізму*. К.: 2003.

**TAMARA HUNDOROVA**

*Ukraine, Kiev*

*Institute of Literature of the NAS of Ukraine*

### **Mapping the Trauma in the Contemporary Postcolonial Novels (a comparative aspect)**

В пространстве фантастики в постсоветский период произошли большие как количественном, так и качественном плане изменения. Во-первых, фантастика заняла в постсоветской литературе, в литературном контексте постперестроечной эпохи огромное пространство, став целым «континентом», который требует своего научного рассмотрения и оценки. Во-вторых, эта литература обогатилась целым рядом новых жанровых форм, стала искать свои пути и способы все более глубокого познания жизни, правда, это познание носит порой весьма специфический характер. В ней стали обнаруживаться совершенно новые качества.

Так, например, появились произведения, которые специалистами с трудом могут быть отнесены к фантастике в привычном понимании этого понятия. Некоторые из этих произведений смыкаются с реализмом, создавая такие модификации, как фантастический реализм, турбореализм и т.п., широко обращаясь к синтезу самых различных жанров фантастического и реалистического плана. Сегодня такого рода фантастика развивается не только в русле русской литературы. В настоящее время можно говорить о «рижской» фантастике, о «бакинской» фантастике. Начало этому было положено «Альтистом Даниловым» В. Орлова, который проявил себя как последователь фантастических повестей М. Булгакова.

Во многих произведениях этого жанра, созданных такими блестящими авторами, как А. Громов, Ю. Латынина, М. Семёнова, Е. Хаецкая и многие другие, прослеживается установка на создание собственного художественного мира, наблюдается яркий, образный язык, идут поиски нового героя и т.д. Это как бы второй этап их творчества, начавшийся с переводов зарубежной фантастики. Многие авторы русской фантастической литературы являются в прошлом переводчиками. Самобытность, национальные основы сегодня характеризуют многие из произведений, написанных в жанре фантастики. Зачастую это высокохудожественные, далёкие от понятия «легкое чтение», «развлекательная литература» и т.п. произведения, имеющие своего взыскательного читателя.

В этом ряду можно назвать и детектив, относимый также к массовой литературе. Их называют «особой жанровой конструкцией». Имеющий длительную историю своего существования, начиная с 40-х годов 19 века, в основном, отсчёт идёт от рассказов Э. По, детектив также претерпевает большие изменения в постсоветской литературе. Сегодня уже проводят типологическую классификацию типов детектива, разделяя его на классический, политический, милицкий и т.д.

Каждый из этих видов использует схему какого-либо из традиционных жанров, развивая их в своей плоскости координат. Изменения охватывают, прежде всего, образ главного героя. Так, у прославленного азербайджанского мастера детективного жанра Чингиза Абдуллаева, создателя прославленного Дронго, криминальный сюжет входит во взаимодействие с политической коллизией. Это словно конгломерат детектива с политическим романом. Интересен и опыт А.Марининой, создательницы знаменитой Анастасии Каменской. Она меняет схему традиционного детектива, раскрывая перед читателем историю обычной женщины с необычной профессией – сотрудника милиции. В том, как обрисован центральный персонаж писательницы, очень многое напоминает социально-психологический, бытовой роман.

Вместе с тем исследователи сходятся в том, что «детектив в основном остаётся принадлежностью массовой литературы, для которой свойственны клишированность сюжета и героев, стилевой универсализм. Возможно, данным фактором объясняется насыщение подробностями, связанными с особенностями бытового поведения. Они чаще присущи современной «женской» прозе, но оказались востребованными и стали важной сюжетной составляющей иронического детектива» (Русская проза конца XX века 2005: 163). Не случайно, на Западе наибольшей популярностью пользуются русский «женский» детектив, особенно детективы Е.Дашковой.

Ещё одно направление массовой литературы находит своё воплощение в так называемом «женском», «дамском», «розовом» и т.п. романе, или в целом в «женской прозе». Так обозначается определенная группа текстов, начиная с конца 1980-х годов, хотя начало этой литературе было положено гораздо раньше. Появление «женской прозы» также было обусловлено социальными явлениями, в том числе развёртыванием феминистского движения. Суть этой литературы обусловила её проблематику, выведение женщины на место центрального персонажа, главного действующего лица, а не просто носителя авторской идеи, отдельного типа.

В настоящее время форма женской прозы выделяется как устойчивое явление во многих литературах. Имеется и обширная научно-исследовательская литература, изучающая самые разные аспекты этого феномена, проводятся конференции, издаются сборники, посвященные различным проблемам этой прозы, появились объединения женщин-писательниц, первым из которых было «Новые амазонки», во главе которого стояла С.Василенко. Постепенно стали узнаваемыми имена и таких женщин-писательниц, как Л.Ванеева, Е.Вильмонт, Н.Горланова, М.Палей, Н.Садур, М.Улицкая, О.Славникова, Л.Петрушевская, Т.Толстая и некоторые другие.

Уже само перечисление имён говорит о том, что это течение неоднородно, состоит из произведений самого разного художественного уровня,



но в недрах этой литературы появились и зажили собственной жизнью герои, вернее героини, которые помогли своим создателям-авторам выйти на новые уровни. И сегодня очень трудно классифицировать эту многослойную литературу, созданную женщинами-писательницами. Из неё вышли многие из выдающихся писательниц, которых трудно отнести исключительно к «женской прозе». Порой они и сами отказываются называть своё творчество «женским». Произошло расслоение, разделившее общую массу «женской» литературы на множество течений, начиная с масскульта и кончая высокохудожественной прозой на самые разные темы. Здесь можно назвать Т.Толстую, Л.Улицкую, Л.Петрушевскую, в азербайджанской литературе А.Масуд, Р.Юзбаши, Н.Османлы и некоторых других.

Вопрос о серьёзном изучении массовой литературы и всех её течений (мы в обзорном порядке остановились на наиболее сформировавшихся течениях и наиболее ярких именах) возник не сегодня. Он назревал исподволь, ещё с того времени, когда этот термин ещё не вошёл в литературный обиход, с каждым днём обогащаясь новыми исследованиями, фундаментальными работами. Сегодня уже можно говорить об истории изучения этого вопроса, начало которого можно отнести уже к первым десятилетиям XX века. Так, известно, что ещё в 1920-е годы в работах представителей формальной школы начинают рассматриваться предпосылки становления этой литературы (А.Белецкий, А.Рубакин и др.).

В.М.Жирмунский в 1924 году уже открыто говорит том, что «вопросы литературной традиции требуют широкого изучения массовой литературы (Жирмунский 1977). На протяжении XX века в ряде работ в той или иной степени затрагивались отдельные моменты, касающиеся проблематики массовой литературы. Но в целом в советском литературоведении, когда, по меткому замечанию Белинкова [Белинков 2002: 509], исследование реальной истории художественной литературы уступило место обстоятельному описанию хороших книг», эта проблема вовсе не рассматривалась.

Научное изучение массовой литературы относят к началу 1990-х годов, когда появляются первые исследования по социологии литературы (Гудков, Дубин), предметом которой являются читатель и его вкусы, его восприятие и интерпретация художественного произведения. Когда-то существующая теория вульгарной социологии (Г.Плеханов, А. Луначарский и др.) на какое-то время дискредитировала понятие социологии литературы. Представители этого течения видели свою цель в разоблачении писателей и художников прошлого как слуг господствующих классов, а каждое произведение искусства определялось ими как идеограмма той или иной общественной группы. По этой логике, Пушкина был идеологом оскудевшего барства Гоголь – мелкопоместного дворянства и т.д. Сегодня социология литературы

– часть литературоведения, рассматривающая словесное художественное творчество и его продукт – художественное произведение, в качестве особой структуры, проявляющей себя в обществе людей. Это повлекло за собой интерес к массовой литературе и критики, которая пришла к определенной переоценке и осмыслению феномена массовой литературы.

«Размывание границ между высоким и низким, элитарным и массовым путем их объединения в процессе восприятия – характерное выражение не только очередной смены эстетических парадигм, но и отличительных особенностей содержания происходящих изменений», – писал Ю.Лотман в своей статье «Массовая литература как историко-литературная проблема» (Лотман 1993: 243). И, действительно, массовая литература стала играть большую роль в литературном процессе, так как исполняла важнейшую функцию – создание культурного подтекста эпохи. В этом массовая литература близка к фольклору. Отражая нравы общества, картину, наглядные приметы современного его состояния, она, как и высокая литература вносит свой вклад в изучение человека и его связей в обществе. Репрезентируя человеческие отношения, массовая литература, хотя и в примитивной форме, является человековедением.

Большой интерес в свете сказанного представляют слова М.Е.Салтыкова-Щедрина, сказанные ещё в середине XIX века: «Сочинения, представляющие в данную минуту живой интерес, сочинения, которых появление в свет было приветствовано общим шумом, постепенно забываются и сдаются в архив. Тем не менее, игнорировать их не имеют права не только современники, но даже отдалённое потомство, потому что в этом случае литература составляет так сказать, достоверный документ, на основании которого легче восстановить характеристические черты времени и узнать его требования» (Салтыков-Щедрин 1966: 455).

Все чаще и чаще пренебрежительное отношение к массовой литературе сменяется попытками понять ее суть и роль в культуре общества, позитивной оценкой этого явления. Так, А.Генис в своей известной работе «Иван Петрович умер», анализируя массовую литературу, пишет: «Масскульт, творческой протоплазмой обволакивающий мир, это и тело, и душа народа» (Генис 1999: 114). О том, как меняется со временем отношение к тому или иному произведению в плане отнесения его к различным «иерархиям», хорошо сказал А.А.Панченко: «Наши представления о «высокой» и «низкой», «тривиальной» и «оригинальной», «элитарной» и «массовой», «устной и письменной» литературе в большей степени детерминированы актуальными социокультурными приоритетами, нежели абстрактными

критериями формы, эстетики и поэтики» (Панченко 2002: 391). И на самом деле, история изучения литературы показывает, что нередко произведения, относимые к низким жанрам, воспринимались позже как образцы высокой литературы.

Интересные параллели можно провести в плане «Жанровые формы массовой литературы и её читатель». Между «массовой литературой» и «рынком» часто ставится знак равенства. Так, например, С.Чупринин пишет: «Рынок берет числом представляемых товаров и услуг – литература стремится ответить качеством, т.е., в идеале, единичными шедеврами. Рынок адресуется к толпе, массе, а литература – и собеседнику или, допустим, к элите, понимая под нею квалифицированное читательское меньшинство» (Чупринин 2003: 47). Читателем массовой литературы является так называемый «средний человек», а это, как известно, подавляющее большинство. Уход от реальности в более комфортный мир, который содержится во многих жанровых формах массовой литературы, и привлекает этого «среднего человека», увеличивая тем самым число почитателей массовой литературы.

К жанрам массовой литературы относят, как мы уже отмечали, и фантастику, и детектив, и женский любовный роман, который все чаще называют «розовым романом». Огромную популярность приобрели среди читателей многие, так называемы «глянцевые» писатели, книги которых выходят огромными тиражами по всему миру. О некоторых из них иронично пишет Т.Морозова: «Мэтры пишут километры. ... Отныне и во веки веков мэтров массовой литературы именовать киломэтрами» (Морозова 1999: 7). Эта особенность писать много «киломэтрами», выпуская целые серии книг, характеризующее массовую литературу обусловлено не только жанром, желанием писателей, их работоспособностью, но и ожиданием читателей, которым интересно, что будет дальше происходить с его любимым героем. Это приводит к неизбежности привлечения к работе «литературных негров». Кстати, именно количество написанных Ч. Абдуллаевым книг породило мысли о «существовании некоего литературного концерна» (Современная русская литература 2005: 221).

Проблема массовой литературы, её сущности, роли и значения в национальной литературе, в мировом литературном пространстве – это одна из актуальных проблем сегодняшнего литературоведения. Настало время специального исследования, серьезного изучения феномена массовой литературы как особого типа культуры, без отнесения ей второстепенной роли по сравнению с «элитарной» литературой. Полифонизм современного

литературного процесса, его многоуровневость и многозначность предполагают наличие в ней и диалога самых разных литератур. У каждой из них свой угол зрения, свой предмет, своя задача, свои функции. Кроме того, массовая литература в наибольшей степени отражает специфику современной действительности, активно влияет на многие факторы жизни социума. И совершенно прав М.Веллер: «...Надо или признать древнюю градацию на низкие и высокие жанры, или мерить каждый по его законам» (Веллер 1994: 205).

## ЛИТЕРАТУРА

**Белинков 2002:** Белинков А. *Сдача и гибель советского интеллигента: Юрий Олеши*. Москва, 2002.

**Быков 2003:** Быков Д. *Блуд труда*. СПб, 2003.

**Веллер 1994:** Веллер М. *Хочу быть дворником*. СПб, 1994.

**Генис 1999:** Генис А. *Иван Петрович умер: Статьи и расследование*. Москва, 1999.

**Гудков 1994:** Гудков Л., Дубин Б. *Литература как социальный институт: Статьи по социологии литературы*. Москва, 1994.

**Данилкин:** Данилкин Л. *Убит по собственному желанию*. – Акунин Б. Особые поручения. Москва, 2000.

**Жирмунский 1977:** Жирмунский В.М. *Теория литературы. Поэтика. Стилистика*. Ленинград, 1977.

**Лотман 1993:** Лотман Ю. *Массовая литература как историко-литературная проблема*. – Ю.Лотман. Избранные статьи. В 3-х тт. Т.3. Таллинн, 1993.

**Морозова 1999:** Морозова Т. *Мэтры пишут километры*. Литературная газета, 1999, №5.

**Панченко 2002:** Панченко А.А. *Христовщина и скопчество: фольклор и традиционная культура русских мистических сект*. Москва, 2002.

**Пушкин-критик 1978:** Пушкин-критик. Москва, 1978.

**Роткирх 2009:** Роткирх К. *Одиннадцать бесед о современной русской прозе*. Москва, 2009.

**Русская проза конца XX века 2005:** Русская проза конца XX века. Москва, 2005.

**Салтыков-Щедрин 1966:** Салтыков-Щедрин М.Е. *Собрание сочинений. Т.5*, Москва, 1966.

**Современная русская литература 2005:** *Современная русская литература (1990-е гг. \_ начало XXI в.)*. Москва, 2005.

**Черняк 2007:** Черняк М.А. *Массовая литература*. Москва, 2007.

**Чупринин 2003:** Чупринин С. *Нулевые годы: ориентация на местность*. Ж.: Знамя, 2003, №1.

**Энциклопедический ... 2003:** *Энциклопедический словарь терминов и понятий*. М.: НПК «Интелвак», 2003.

**IRINA NATSVLISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **National Literary Canon in Georgian General Education Field and Globalization Tendencies**

Today in cultural globalization conditions worldwide the problem of literary canon acquires special importance. The struggle for a new literary canon, against traditional classics began in America and in the West in the 1980s.

In Georgia, “cultural war” tendencies emerged intensively in the last decade, naturally posing a special challenge for educational system.. On the one hand, it should correspond to its European analogue, and on the other one, in globalization conditions Georgian literature will have to struggle not only to retain national values, but also to prove that it, as an artistic product of a civilized nation, has always served sound values of modern globalist world.

*Key words: National Literary Canon, General Education.*

### **ირინა ნაცვლიშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ეროვნული ლიტერატურული კანონი ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და გლობალიზაციის ტენდენციები**

დღეს მთელ მსოფლიოში კულტურული გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ლიტერატურული კანონის პრობლემა. კანონი, თავისთავად, სიტყვის რელიგიური კონოტაციის კვალობაზე, ასოცირდება ავტორიტეტული სტრუქტურის იდეალურ ტიპთან, რომელიც ლიტერატურის შემთხვევაში თავისებური ერთიანი ნარატივია დომინანტური მსოფლმხედველობითა და ფასეულობათა სისტემით.

ბრძოლა ახალი ლიტერატურული კანონისთვის ტრადიციული კლასიკის წინააღმდეგ ამერიკასა და დასავლეთში XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. ერთი მხრივ, ეთნიკური თუ სხვა ტიპის უმცირესობანი მოითხოვენ თავიანთ როლსა და ადგილს „ლიტერატურულ კანონში“,

მეორე მხრივ კი, დგება საკითხი ახალი, „პროფესიონალ მენეჯერთა“ „კლასის“ ყოფით-პრაქტიკული ინტერესების შეუსაბამობისა ევროპული კულტურული ტრადიციის ფასეულობებთან. საზოგადოებისა და კვალიფიციური პროფესურის ნაწილი, რომელიც ზოგჯერ იძულებული ხდება სასწავლო პროგრამებში ანგარიში გაუწიოს ახალ ტენდენციებს, შიშობს, რომ მასკულტურის ფართომასშტაბიანი შემოტევა და სოციალური დაკვეთა მხოლოდ მინიმალურ რიტორიკულ უნარ-ჩვევებზე დაასრულებს ლიტერატურის ეპოქას და ამით ნააართმევს შთამომავლობას მომავალს (გრონასი 2001: ).

პრობლემის მეორე მხარე განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ტიპის პატარა ქვეყნებისათვის, რომელთაც აქვთ უზარმაზარი ლიტერატურული ტრადიცია მსოფლმხედველობრივ ფასეულობათა ჩამოყალიბებული სისტემით, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების და, ამავე დროს, დასავლურ კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის გარანტი.

„კულტურული ომის“ ტენდენციებმა საქართველოში აქტიურად თავი ბოლო ათწლეულის განმავლობაში იჩინა და ისევე, როგორც დასავლეთში, განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ საგანმანათლებლო სისტემა დააყენა. ბრძოლა კლასიკისა და კლასიკური კანონის წინააღმდეგ, თითქოსდა მოსწავლეთა „შებრალების“ კეთილშობილური მიზნით, აგიოგრაფიაზე შეტევით დაიწყო. ის „მტვერნაყრილ ლიტერატურადაც“ კი „მონათლეს“. რუსთაველს ვერ შებედეს, თუმცა იყო მცდელობა მისი დაჩეხვის და ე. წ. „გაშინაარსებელი“ ფორმით მონოდებისა. არადა, კლასიკა, თვითმყოფადი სახით, არათუ მხოლოდ ინახავს და ამკვიდრებს ლექსიკას, როგორც ენობრივ მარაგს, არამედ ლექსიკური ერთეულების საშუალებით ეპოქიდან ეპოქაში გადააქვს სამყაროს აღქმის ეროვნული მოდელი. ამ ბრძოლამ საუნივერსიტეტო სივრცეშიც გადაინაცვლა, სადაც, ამერიკული სისტემის შესაბამისად, რომელიც თავად ამერიკელ ინტელექტუალთა წრეებშიც სერიოზულ დაპირისპირებას იწვევს, „აკადემიური წერისა“ და „პრაქტიკული სტილისტიკის“ კურსებმა სერიოზულად შეავიწროვა კულტურულ-ლიტერატურული საგანმანათლებლო პროგრამები. ამის საპასუხოდ დასავლურ სამყაროში გაჩნდა ერთგვარი სლოგანი — „მითხარი, რას კითხულობ და გეტყვი, ვინ ხარ შენ“, რომელიც ერთნაირად მიემართება როგორც ადამიანს, ისე მთელ ერსა თუ ერებს.

როგორ უპასუხებს ქართული საგანმანათლებლო სივრცე თანამედროვე გამოწვევებს? რა სახის ეროვნული ლიტერატურული კანონით ხელმძღვანელობს დღეს ქართული სკოლა? რა უნდა ვასწავლოთ და როგორ უნდა ვასწავლოთ? — აი, ის კითხვები, რომლებსაც პასუხი

უნდა გასცეს როგორც განათლების სისტემამ, თავისი შემადგენელი ყველა სტრუქტურით, ისე საზოგადოებამ — თავისი არჩევნით.

თუკი გასული საუკუნის ვითარებას გადავხედავთ, 20-იანი წლებიდან მოყოლებული ეროვნული ლიტერატურული კანონი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოურ პოლიტიკორექტურას ექვემდებარებოდა. შესაბამისად, უმნიშვნელოდ იცვლებოდა, ისიც — ამავე პოლიტიკორექტურის მოთხოვნების გათვალისწინებით. მხოლოდ 90-იანი წლებიდან, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და თავი დააღწია საბჭოურ „კულტურულ ძალადობას“, დადგა ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადასინჯვის საკითხი, რაც ბუნებრივიც იყო და აუცილებელიც. შედეგად, ლიტერატურის სწავლება სკოლებში დაემყარა ეროვნულ კლასიკას, რომელმაც პროგრამაში თავისი წილის გაზრდის ხარჯზე განდევნა საბჭოთა იდეოლოგიის მქადაგებელი მწერლები და ნაწარმოებები; თუმცა, როგორც დასავლელი თეორეტიკოსები შენიშნავენ, „კანონის“ სიაში მოხვედრა სულაც არ არის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის გარანტია. ლიტერატურული კანონი ერთგვარი სოციალური კონსენსუსია.

ცხადია, ახალი რეალობა — ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვა და მზარდი გლობალიზაციური ტენდენციები — ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს: ერთი მხრივ, ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა უნდა იყოს ადეკვატური ევროპული ანალოგისა და, მეორე მხრივ, გლობალიზაციის პირობებში ჩვენს ლიტერატურას თავისი ეროვნული და მსოფლმხედველობრივი ფასეულობებით კვლავ მოუწევს ბრძოლა არა მარტო გადარჩენისათვის, არამედ ღირსების აღიარებისთვისაც. ამ ახალი გამოწვევების საპასუხოდ, 2010 წელს, განათლების სამინისტროს ინიციატივით, შედგა კომისია, რომლის მიზანი იყო მუშაობა ახალ ზოგადსაგანმანათლებლო ლიტერატურულ კანონზე, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებს. განისაზღვრა ნაწარმოებთა ჩამონათვალი (ევროპული ანალოგიით, ე.წ. სავალდებულო 60 %) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაიზარდა კანონის „ხანგრძლივობა“ — მან მოიცვა გასული საუკუნის ბოლო ხანებისა და თანამედროვე მწერლების ზოგიერთი ნაწარმოებიც; თუმცა, რეალურად, პრაქტიკა აჩვენებს, რომ კანონიცა და მასთან დაკავშირებული სასწავლო ინსტრუმენტებიც ( იქნება ეს სახელმძღვანელოები, პროგრამები, საათობრივ პერიოდულობაზე გათვლა, სტანდარტი თუ მეთოდური მიდგომის მოთხოვნები) არ ქმნის მყარად ორგანიზებულ სისტემას, რომელსაც, ცხადია, სერიოზული დახვეწა სჭირდება.



მაგალითისათვის ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე საკითხს: ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოები არც მაინც-დამაინც ადეკვატურად ასახავს ზემოთ ნახსენები კომისიის მიერ „დაკანონებული“ ლიტერატურის ნუსხას, რაც იმით გამოიხატება, რომ ერთი მხრივ, შერჩეული ტექსტები არათანაბრად, ზოგჯერ არალოგიკურადაც კია გადანაწილებული ამა თუ იმ საგანმანათლებლო საფეხურის სხვადასხვა წელზე; ამასთანავე, ხშირად დარღვეულია 60/40 % თანაფარდობაც. გარდა ამისა, ე.წ. „არასავალდებულო“ ლიტერატურის განსაზღვრა მთლიანად სახელმძღვანელოს შემდგენლებზეა მინდობილი, ამის შედეგი კი ზოგჯერ უკეთესი ესთეტიკური არჩევნის სურვილს ბადებს; ხან თავს იჩენს მხატვრული პროდუქტის ლიტერატურული და ისტორიული კონტექსტისგან განწყენებულად წარმოდგენა ან ამ ტიპის ძალზე მწირი ინფორმაცია მოცემული; სხვა შემთხვევაში, პირიქით, უხვი და საინტერესო მასალა იმდენ რუბრიკაშია გადანაწილებული, რომ ერთიანი სურათის შექმნას უკიდურესად ართულებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში გრამატიკული საკითხების არასისტემური ინტეგრირების სადავო ფორმას, რომელიც, ჩემი აზრით, ვერ მოემსახურება ცოდნის ჯეროვნად აგებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აგრეთვე, აღვნიშნოთ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ლიტერატურული კანონის „მოცულობა“ საგანმანათლებლო სტანდარტის მაღალი მოთხოვნების ფონზე ძნელად ესადაგება ამ საგნისთვის განკუთვნილ საგაკვეთილო საათებს. ლიტერატურის სწავლება რთული პროცესია, რომელიც გულისხმობს როგორც გაგება-გააზრება-გათავისებას, ისე მსოფლმხედველობრივი კავშირების დანახვას, მსჯელობისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას. ზოგიერთ ქვეყანაში ერთი სასწავლო კურსი ერთი მწერლის ან ერთი პრობლემის შესწავლაზეა ორიენტირებული, ჩვენ კი გვინდა, უზარმაზარი მასალა ერთიანად შევაცნობინოთ ახალგაზდებს, რაც ერთი ნაწარმოებიდან თუ ეპიზოდებიდან მეორეზე სწრაფი „გადასვლის“ აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. ამგვარი ტემპი ვერ წაადგება ლიტერატურის სწავლების მიზანს, ლიტერატურისა, რომელიც, ცხადია, ვერ განიხილება ოდენ სასწავლო დისციპლინად; მისი ფუნქცია და მიზანი გაცილებით მაღალი და საპატიოა — პიროვნების, მოქალაქის ჩამოყალიბება.

ერთიც არის, ლიტერატურული კანონი ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში აუცილებლად უნდა ასახავდეს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებსა და ესთეტიკას, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეროვნული ლიტერატურული კანონის ორიენტირება ნაციონალურ კლასიკაზე ლოგიკურად და გამართლებულად მიმაჩნია. სწრაფად გა-



ნახლებად სამყაროში ისიც მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. ამასთანავე, თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში ეროვნული ლიტერატურა უნდა წარმოვადგინოთ მსოფლიო ლიტერატურული კანონის კონტექსტში, რათა ის, კულტურული გლობალიზაციის პირობებში, არ დარჩეს პროცესის მიღმა, რაც მისი ფასეულობის დევალვაციას გამოიწვევს. მით უმეტეს, რომ ქართული ლიტერატურა დასაბამიდანვე დასავლური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია; ამასთანავე, თავისი ბუნებითა თუ შინაარსით იგი, როგორც ცივილიზებული ერის მხატვრული პროდუქტი, ადეკვატურად ეხმიანება თანამედროვე გლობალისტური სამყაროს ჯანსაღ მოთხოვნებს — დემოკრატიზმს, სხვათა ეთნოსოციალურ და პიროვნულ ღირსებათა პატივისცემას.

ლიტერატურული კანონი ერის კულტურული კოდი. ლიტერატურა არ არის მხოლოდ „დედაენის სწავლების ინსტრუმენტი“, როგორც მას ამ ბოლო დროს ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე; მას უზარმაზარი მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ღირებულება აქვს, ერის კულტურული კოდის გათავისება კი სწორედ იქ, განათლების საშუალო საფეხურზე, უნდა მოხდეს. ამიტომ სასკოლო ლიტერატურული კანონის ფორმირება უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ამოცანაა და მის განხორციელებაში, პრაქტიკოს მასწავლებლებთან ერთად, კვალიფიციურ სპეციალისტთა, ლიტერატურათმცოდნეთა ჩართვა აუცილებელია.

არ არის საიდუმლო, რომ უნიგნურობა თანამედროვე სკოლის პრობლემაა და, სხვათა შორის, არა მარტო საქართველოში. ვერანაირი ტექნიკური პროგრესი, ვერანაირი ელექტრონული ტექნოლოგიები ვერასოდეს ვერ შეცვლის წიგნს, ლიტერატურას, როგორც ადამიანის სულის საზრდოს. ტყუილად კი არ შიშობენ თვით გლობალისტური პროცესების ავანგარდ სახელმწიფოებში, რომ ასე თუ გაგრძელდა, ამაო იქნება მცდელობა, მივიტანოთ ესთეტიკური ღირებულება იმ ადამიანებამდე, რომელთაც უკვე აღარ შეუძლიათ მისი შეცნობა.

## **დამოწმებანი:**

**გრონასი 2001:** გრონასი მ. დისენსუსი. *ბრძოლა კანონისათვის 80-90-იანი წლების ამერიკულ აკადემიაში* (გამოქვეყნებულია ჟურნალში „ახალი ლიტერატურული მიმოხილვა“ (HJIO). №5, 2001). მის.: <http://magazines.russ.ru/nlo/2001/51/gronas.html>

**იამპოლსკი 1998:** იამპოლსკი მ. *ლიტერატურული კანონი და „ძლიერი“ ავტორის თეორია* (გამოქვეყნებულია ჟურნალში „საზღვარგარეთის ლიტერატურა“. 1998. 12). მის.: <http://magazines.russ.ru/inostran/1998/12/iamp.html>

**AVTANDIL NIKOLEISHVILI**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

## **Georgian Emigrant Literature In Istanbul (In the 1910-1920s)**

In Istanbul the development of Georgian culture starts in the 60s of the XIX century when Petre Kharistchirashvili established Georgian Catholic Church. Despite the fact that Georgian monastery of Istanbul was the hearth of catholic religious service it was the centre uniting the people of different religions as well and along with Orthodox and Catholic believers Muslim Georgians took part in the activities. Turning Istanbul Georgian monastery into a foreign centre of national culture and literacy was significantly assisted by the establishment of Georgian printing and publishing house by P. Kharistcharishvili in 1870. From 1870 to 1933 dozens of books were published.

*Key words: Istanbul, immigration, literature, books.*

### **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ქართული ემიგრანტული მწერლობა სტამბოლში (1910-1920-იანი წლები)**

სტამბოლში ქართული კულტურის განვითარებას დასაბამი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეყრება დიდი ქართველი მამულიშვილი-სა და ღვთისმსახურის — პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ ამ ქალაქში ქართული კათოლიკური ეკლესიის დაარსების შედეგად. მართალია, ქართული დასახლებანი, სავაჭრო ცენტრები, ეკლესიები და სასწავლებლებიც კი იქ ადრეც არსებობდა, მაგრამ ხელშესახებად მნიშვნელოვანი როლი ამ თვალსაზრისით მათ არ შეუსრულდებათ. სტამბოლის ქართული სავანის გადაქცევას ქართული მნიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ უცხოურ კერად 1870 წელს მის ბაზაზე ქართული სტამბისა და გამომცემლობის დაარსებამაც არსებითად შეუწყო ხელი. მოყოლებული 1870 წლიდან 1933 წლამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა.

გარდა სასულიერო შინაარსის წიგნებისა და სახელმძღვანელოებისა, სტამბოლის გამომცემლობა მხატვრულ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებულ პოლიტოლოგიურ წიგნებსაც და უცხოური მხატვრული ლიტერატურისა და საქართველოსთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ დაწერილი ნაშრომების ქართულ თარგმანებსაც სცემდა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით (გ. შარაძე, შ. ფუტყარაძე), გარდა წიგნებისა, მონასტრის სტამბაში 1913-1914 და 1921-1922 წლებში ქართული ემიგრანტული ჟურნალის — „თავისუფალი საქართველოს“ რამდენიმე ნომერიც დაიბეჭდა.

გასული საუკუნის ათიან და ოციან წლებში ქართველი ხალხის ეროვნული პრობლემებით სტამბოლელ გამომცემელთა ამგვარი დაინტერესება იმ პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული, რომელთაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს იმდროინდელი საქართველოს ისტორიაში.

თუმცა ასეთი ეროვნულ-პოლიტიკური აქტიურობა ქართული სავანის მღვდელმსახურებისა და გამომცემლობის მუშაკათათვის არც მანამდე რომ ყოფილა უცხო მოვლენა, ამის დასტურად აქ მათ მიერ 1882 წელს გამოცემული წიგნის — „მზა პასუხი სომხურ გაზეთ „მშაკის“ შესახებ მის, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსული, მოქალაქეობა, ისტორია, მწერლობა, დამოუკიდებელი ეკლესია და სხვანი“ გახსენებაც იქნება საკმარისი, სადაც უმკაცრესი კრიტიკის საგნადაა ქცეული საქართველოსა და ქართველი ერისადმი მტრულად განწყობილ სომეხ ავტორთა ცილისმწამებლური გამოხდომანი.

სტამბოლელ გამომცემელთა საქმიანობაში აღმავლობის ახალი ეტაპის დადგომა არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვალში მომხდარ რევოლუციასთან. როგორც ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობაში დასტამბული წიგნების თუნდაც მხოლოდ სათაურების გახსენებითაც დასტურდება, სტამბოლელ გამომცემელთა იმჟამინდელი საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული წიგნების დასტამბვა იქცა. ესენია: პეტრე სურგულაძის „საქართველო თავისუფლებისაკენ“ (1917 წ.), „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (1918 წ.) და „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“ (1918 წ.) და პავლე ინგოროყვას „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ (1918 წ.).

სტამბოლელ გამომცემელთა საქმიანობაში აღმავლობის ახალი ეტაპი 1921 წლიდანაც იწყება და 1924 წლის ბოლომდე გრძელდება.

ეს მოვლენა არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობასთან. აღნიშნულ პერიოდში გამოცემული თითქმის ყველა ნიგნი უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ ტრაგიკულ მოვლენასთანაა დაკავშირებული.

სამწუხაროდ, 1925 წლიდან მოყოლებული 1933 წლამდე სტამბოლის გამომცემლობას უკვე არაფერი დაუსტამბავს. 1933 წელს ალექსანდრე მანველიშვილის ნიგნის გამოცემის შემდეგ კი მან საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

სტამბოლში გამოცემული არასასულიერო ხასიათის ნიგნების ავტორთა უმეტესობას ან ამ ქალაქს დროებით თავშეფარებული პოლიტიკური ემიგრანტები წარმოადგენდნენ, ანდა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. ერთადერთი ნიგნის ავტორი კი არაემიგრანტიც იყო — სტამბოლში იმხანად ხანმოკლე პოლიტიკურ-დიპლომატიური მისიით მყოფი პავლე ინგოროყვა.

განსხვავებით ხსენებული ნიგნების ავტორებისაგან, პეტრე სურგულაძე ერთადერთია, ვინც სტამბოლში არა მარტო თავისი ემიგრანტული ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა, არამედ იქვე გარდაიცვალა კიდეც 1931 წელს.

1917-1918 წლებში პ. სურგულაძის შემოქმედებითი გააქტიურება და მის მიერ ზემოთ უკვე მოხსენიებული სამი ნიგნის გამოცემა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და პირდაპირ იყო დაკავშირებული საქართველოში იმხანად განვითარებულ მოვლენებთან. როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, 1900-იანი წლებიდან მოყოლებული, იგი ძალზე აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში და თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

1917-1918 წლებში, როცა რუსეთის იმპერიის ნანგრევებად ქცევამ და პირველი მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა რეალური საფუძველი შექმნეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, სტამბოლში გამოცემული თავისი ნიგნებით პ. სურგულაძე შეეცადა მყარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძველი მოემზადებინა ქართველი ხალხის ამ უდიდესი ეროვნული ოცნების ხორცშესხმისათვის.

სწორედ ამ მიზნით დაწერა და გამოსცა მან სტამბოლში 1917 წელს თავისი პირველი ნიგნი „საქართველო თავისუფლებისაკენ“, რომელშიც ჩვენს ქვეყანაში რუსეთის ბატონობის დროინდელი ისტორიის

უმთავრესი მომენტებისა და რუსული მმართველობის ანტიქართული პოლიტიკის ნეგატიური მხარეების წარმოჩენის საფუძველზე ცადა ეჩვენებინა ქართველი ერის დაუოკებელი სწრაფვა რუსული კოლონიალიზმის კირთებისაგან განთავისუფლებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობა და ამ ისტორიული მოვლენის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის პ. სურგულაძემ უფრო მასშტაბურად წარმოაჩინა 1918 წელს გამოცემულ მეორე ნიგნში „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.“ თავის სტამბოლურ გამოცემებში პ. სურგულაძემ იმ პოზიტიურ შედეგებზე მსჯელობასაც დაუთმო დიდი ადგილი, რაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საერთაშორისო მასშტაბითაც მოჰყვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი მას არც ზემოთ მოხსენიებულ ნიგნებში დაუტოვებია უყურადღებოდ, აღნიშნულ მოვლენას იგი სპეციალურადაც შეეხო 1918 წელს გამოცემულ მესამე ნიგნში — „დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა.“

საანალიზო პერიოდის სტამბოლში გამოცემულ ქართულ ნიგნებზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო 1922 წელს იქ დაბეჭდილ ნიკოლო მინიშვილის (სირბილაძის. 1896-1937 წწ.) პოეტურ კრებულს „შავი ვარსკვლავი.“ როგორც ცნობილია, საფრანგეთში ემიგრანტად წასასვლელი ვიზის მისაღებად ნ. მინიშვილი 1922 წლის მაისში სტამბოლში გაემგზავრა. იმის გამო, რომ ვიზის მიღება საკმაოდ გაურთულდა, იქ იგი მაშინ შვიდი თვის განმავლობაში დარჩა. მიუხედავად იმ უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელშიც მწერალს იმხანად მოუწია ცხოვრება, შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს დრო მისთვის მეტად ნაყოფიერი ხანა გამოდგა.

კერძოდ, გარდა იმისა, რომ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ სავანესთან არსებულ გამომცემლობაში ნ. მინიშვილმა მაშინ ზემოთ უკვე ნახსენები პოეტური კრებულის გამოცემა შეძლო, მის იმდროინდელ ლიტერატურულ ნაყოფიერებას იმხანად დანერილი მისი სხვა ლექსებიცა და მეგობრებისათვის საქართველოში გამოგზავნილი ის წერილიც („ფიქრები საქართველოზე“) ადასტურებს, რომელიც მან მოგვიანებით, 1926 წელს, აურნალ „ქართულ მწერლობაში“ გამოაქვეყნა და ამ დროიდან მოყოლებული დღემდე რჩება მძაფრი პოლემიკის საგნად.

სტამბოლური შთაბეჭდილებანი ნ. მინიშვილის ცნობიერებაში იმდენად ღრმად და წარუშლელად აღიბეჭდა, რომ გარდა ხსენებული ნაწარმოებებისა, ისინი მის შემდგომდროინდელ პოეტურ და მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტებშიც აისახა. ამ შთაბეჭდილებებისადმი

ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მწერალი მათი მეშვეობით მეტად საინტერესო ინფორმაციებს გვანვდის როგორც ქართველი ემიგრანტების იმჟამინდელ ყოფასთან დაკავშირებით, ისე საქართველოში იმხანად არსებული მდგომარეობის შესახებაც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“ (იგივე „ეპოპეია“). სამშობლოში დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ, 1928 წელს, დაწერილი ამ ნაწარმოების შექმნის უმთავრეს მიზანს ქართველი ემიგრანტების, პირველ ყოვლისა კი სტამბოლს თავშეფარებული ჩვენი თანამემამულეების, მიერ ჩვენი ქვეყნის სათავეში ბოლშევიკური ხელისუფლების მოქცევის შედეგად შექმნილი რთული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის განსჯა-შეფასება წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტამბოლში შეიდთვიანი ცხოვრების პერიოდი ნ. მინიშვილის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში უაღრესად ნაყოფიერ ხანას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ 1922 წლის შემოდგომაზე სწორედ იქ გამოსცა მან თავისი მეორე პოეტური კრებული. აი, რას წერს თავად პოეტი ამასთან დაკავშირებით: „დაიბეჭდა „შავი ვარსკვლავი“ — ჩემი პოემა, სტამბოლში რომ დავწერე. ისიდორე ქარსელაძემ ამიწყო, დამიბეჭდა მონასტრის სტამბამ, ამიკინდა ვილაც ებრაელმა და ლელი ჯაფარიძემ მიშოვნა ქალაღლი ნისიად ბერძენი ვაჭრისაგან.

ეს გრძელდებოდა მთელი თვე, მაგრამ წიგნი მაინც დაიბეჭდა.

ესაა პირველი წიგნი ქართველი პოეტისა, რომელიც დაბეჭდილა სტამბოლში“ (მინიშვილი 2006:151).

ნ. მინიშვილის მიერ მოწოდებული ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად აქვე ერთი შენიშვნაც მინდა გავაკეთო: მიუხედავად იმისა, რომ „შავი ვარსკვლავის“ გამოცემამდე სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობას მხატვრული თვალსაზრისითაც და საერო თემატიკითაც ესოდენ ღირებული პოეტური კრებული მართლაც არ გამოუცია, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ლექსების პირველი წიგნი ამ სტამბაში 1922 წლამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1878 წელს, დაიბეჭდა. ეს იყო ცნობილი ღვთისმსახურის, პედაგოგის, მწერლის, მწიგნობრისა და საზოგადო მოღვაწის — ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის) პოეტური კრებული „ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმანვილ კაცთა, დალექსილი სხვა და სხვა დროს უფალი მ. ი. მ. გ.“ (ნიკოლეიშვილი 2009:96).

„შავი ვარსკვლავი“ ნ. მინიშვილის ლექსების მეორე წიგნს წარმოადგენს. პირველი კრებული „წმინდანიანის“ სახელწოდებით მან 1922 წელს, ემიგრაციაში წასვლამდე, თბილისშიც გამოსცა. პოეტი

ამ დროისათვის „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთ აქტიურ წევრად ითვლებოდა, რის გამოც მისი ორივე წიგნი აშკარად განიცდიდა სიმბოლისტური ტენდენციებისა და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების საკმაოდ მძლავრ ზეგავლენას.

წიგნის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათქმელის სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით გამოხატვასა და აზრობრივი ბუნდოვანებით აღბეჭდილი პოეტური სახეების სიმრავლეს. აღნიშნული ტენდენციის გამოვლინებას ავტორმა კრებულის სახელწოდებიდანვე დაუდო სათავე და შავი ვარსკვლავის მხატვრულ-აზრობრივი ალეგორიით მკითხველს იმთავითვე მიანიშნა იმაზე, ეს სიტყვები მისთვის პირველ ყოვლისა მწუხარების, გლოვის, უიმედობისა და ცხოვრებისეული უპერსპექტივობის სიმბოლს რომ წარმოადგენდა.

მართალია, თავად პოეტი „შავ ვარსკვლავს“ პოემად მიიჩნევდა, მაგრამ სინამდვილეში იგი ლექსების კრებულია. მიუხედავად იმისა, რომ თემატურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ამ ლექსებს ბევრი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან, პოემისათვის აუცილებლად საჭირო სიუჟეტური მთლიანობა, რაც მათ ამ ჟანრის ნაწარმოებად მიგვაჩვენებდა, „შავ ვარსკვლავს“ ნამდვილად არ ახასიათებს.

ნ. მინიშვილის პოეტური კრებულისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მასში შეტანილი ლექსებით ავტორმა საკმაოდ მძაფრად გამოხატა სულიერი სასონარკვეთა ცხოვრებისეული მიზანსწრაფვის ვერმპოვნელი და მსოფლმხედველობრივად გაორებული ქართველი ემიგრანტისა.

ნ. მინიშვილის „შავი ვარსკვლავის“ შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტსაც უნდა მივაქციოთ, რომ პოეტის სულიერ სასონარკვეთას ქართული ფენომენის ნეგატიურად და ნიჰილისტურად განსჯა-შეფასებაც განაპირობებს არსებითად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „საქართველოსკენ ოცნებაში ყველანი მივქრით.“ ხსენებული ლექსი ფაქტობრივად იმავე სათქმელისა და სულისკვეთების წარმომჩენი პოეტური ტექსტია, რაც ავტორმა უფრო ვრცლად სტამბოლშივე სწორედ იმხანად დაწერილ თავის პოლემიკურ წერილში — „ფიქრები საქართველოზე“ გამოხატა კიდევ უფრო მწვავედ და სკეპტიკურად.

როგორც ცნობილია, 1921 წლის მარტში საქართველოდან ემიგრირებულმა ნოე ჟორდანიამ და მისი მთავრობის წევრებმა დროებითი თავშესაფარი სტამბოლის ქართულ საგანეში ჰპოვეს. გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა, გასული საუკუნის 20-იან წლებში, სხვადასხვა ხანგრძლივობით, სწორედ აქ შეაფარა თავი ბოლშევიკური ხელისუფლების რეპრესიებს გამოქ-



ცეულმა არაერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეცნიერმა, მწერალმა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლმა ბევრმა სხვა მამულიშვილმა. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მათგანი, გენერალი ალექსანდრე ზაქარიძე: „მთავრობამ და მთელმა ჩვენმა ემიგრაციამ, რომელიც თან გამოყვა მთავრობას, რიცხვით დაახლოებით 750 სული, მოვიყარეთ თავი კონსტანტინოპოლში... არჩეულ იქნა კომიტეტი ბ-ნი ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით. მთავრობა შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარებოდა, მაგრამ ყველანი ვიმყოფებოდით მატერიალურად დიდ გაჭირვებაში. დიდი დახმარება გაგვინია ბინების მხრივ იქ არსებულმა ქართულმა კათოლიკურმა მონასტერმა. ემიგრანტთა რიცხვში იმყოფებოდა დაახლოებით ორასი მხედარი; მათ შორის იყო 65 იუნკერი. ემიგრანტთა რიცხვი თანდათანობით მატულობდა. უკვე კონსტანტინოპოლში ყოფნისას ის გადაცილდა ორი ათასს. ამის მიზეზი იყო ბოლშევიკების რეპრესიები ქართველი ხალხის წინააღმდეგ... 1924 წლის საყოველთაო აჯანყების შემდეგ ემიგრანტთა რიცხვი 5 ათასამდე ავიდა“ (შარაძე 2003:298).

სტამბოლის ქართული საგანის მღვდელმსახურებთან ემიგრაციაში წასვლის პირველ თვეებში დაწყებული ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ნ. ჟორდანიამ შემდგომშიც გააგრძელა, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მან 1923 წელს, თავისი მთავრობის წევრთა დიდ ნაწილთან ერთად იმ დროისათვის უკვე საფრანგეთის დედაქალაქში დამკვიდრებულმა, სწორედ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სტამბა-გამომცემლობაში დაბეჭდა ემიგრანტობის პერიოდში დაწერილი თავისი ახალი წიგნი „ბრძოლის საკითხები.“

სანალიზო პერიოდის სტამბოლში გამოცემულ ქართულ მხატვრულ ტექსტებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა პავლე მოსულიშვილის პიესაზეც უნდა ითქვას. სამწუხაროდ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ პიროვნების ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცნობების მოპოვება ვერაფრით მოხერხდა. იმ მწირი მონაცემებიდან, რომელთა მოძიება შევძელით, ირკვევა, რომ პ. მოსულიშვილი თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მრწამსით ეროვნულ-დემოკრატიებთან დაახლოებულ პიროვნებას წარმოადგენდა და საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისთანავე წასულა ემიგრაციაში.

თავდაპირველად მას სტამბოლში გაუტარებია რამდენიმე წელიწადი, შემდეგ კი საფრანგეთში გადასულა და იქ გაუგრძელებია პოლიტიკური მოღვაწეობა. კერძოდ, თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „სამშობლოში,“ რომელიც 1929-1939 წლებში გამოდიოდა პარიზში.



პავლე მოსულიშვილის შემოქმედებიდან დღესდღეობით მხოლოდ ერთი ნაწარმოებია ცნობილი — სტამბოლში ქართულ ენაზე გამოცემული ერთადერთი დრამატული ჟანრის ნაწარმოები „შენ ხარ მზე,“ ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან. ავტორის მითითებით, ხსენებული ტექსტი მას 1922 წელს დაუწერია სტამბოლში ლტოლვილობის პერიოდში და 1924 წელს გამოუცია ცალკე წიგნად კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) სავანის გამომცემლობას.

ესაა დრამატული ჟანრის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც გმირულ-ჰეროიკული ფორმითაა მოთხრობილი შთამბეჭდავი ეპიზოდები ქართველი ხალხის ისტორიიდან, თანადროული ყოფიდან და სამომავლო ცხოვრებიდან. ფანტასტიკური შინაარსის მქონე ამ ნაწარმოებით პ. მოსულიშვილი ცდილობს განზოგადებული სახით გაიაზროს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და თანადროული ყოფა, არამედ მომავლის პერსპექტივაც. პიესის არსებით მხატვრულ თავისებურებას პირველ ყოვლისა ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ეს ყველაფერი მასში ადვილად შესაცნობი სიმბოლურ-ალეგორიული ფორმითაა წარმოსახული.

კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბები ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებულ დროებში ხდება, მოქმედების ცენტრში ავტორის მიერ განზოგადებულ სახე-სიმბოლოებად წარმოსახული ერთი და იგივე პერსონაჟები არიან მოქცეულნი — ქართლოსი, რომელიც ქართველი ერის სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენს, მარიამი — იგივე ქართველი დედა, ნანა — ქართველი ქალი, გიორგი — სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი გმირი, ჟამთ-ვითარება — საქართველოს ბედნიერი ვარსკვლავი, და დევ-ქალი — საქართველოს მარადიული მტერი, რომელიც ჩვენს ერს მუდამ „კვალდაკვალ სდევდა და გველივით იცვლიდა ტყავს.“

პიროვნულ ინდივიდუალობას მოკლებულ ამ ალეგორიზებულ პერსონაჟთა მეშვეობით პ. მოსულიშვილმა ცადა განზოგადებული ფორმით წარმოესახა და გაეაზრებინა ის გზა, რომელიც ქართველმა ერმა დღევანდლამდე განვლო. კერძოდ, ნაწარმოების პირველ მოქმედაბაში მოთხრობილია ეპიზოდი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველთა ცხოვრებიდან, მეორეში — საქართველოს ისტორიის ოქროს ხანად წოდებული თამარის მეფობის პერიოდიდან, მესამეში — საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის დროიდან, მეოთხე მოქმედებაში კი ავტორი გვთავაზობს მისი თვალთახედვით წარმოსახულ საქართველოს სახელმწიფოებრივ მომავალს.

პ. მოსულიშვილის აზრით, მიუხედავად სამოქმედო დროთა ასეთი რადიკალური განსხვავებისა, ქართველი ერის ცხოვრებაში, დასაბამი-

დან მოყოლებული დღემდე, არსებითად არაფერი შეცვლილა და მას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში თავგანწირვით უხდებოდა ბრძოლა დევ-ქალის ალეგორიული სახით წარმოსახული გარეშე მტრების წინააღმდეგ. როგორც იტყვა, ნაწარმოების პირველ მოქმედებაში („ქართველი გამოქვაბულში“) მწერალი იმ ისტორიული რეალობის ხორცშესხმას ცდილობს, რომელიც წარმართობის ხანის საქართველოში არსებობდა. მისი ხაზგასმით, ქართველები თავიანთ ახალ სამშობლოდ ქცეულ ამ ტერიტორიაზე გარეშე მტრების გამუდმებული დევნისა და შევიწროების გამო გადმოსახლდნენ და დამკვიდრდნენ. ამ გარემოებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობით პ. მოსულიშვილი თავისებური ფორმით ეხმიანება იმ მეცნიერთა თვალსაზრისს, რომელთა აზრითაც ქართველები მათი დღევანდელი საცხოვრისის მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენენ და ამ ტერიტორიაზე შუამდინარეთიდან არიან გადმოსახლებული.

მწერლის მიერ ქართველი ერის მარადიული მტრის სიმბოლურ სახედ წარმოსახული დევ-ქალი ნაწარმოების ოთხივე მოქმედების მთავარ პერსონაჟს წარმოადგენს და განზოგადებული ფორმით წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის აგრესორთა მზაკვრულ ქმედებებს მის დასაპყრობად და დასამონებლად. ასე რომ, დევ-ქალის მხატვრული სახის ხორცშესხმით მწერალი ხან ჩვენი ქვეყნის დასამონებლად ამხედრებულ ველურ სარმატებს განასახიერებს, ხან მაჰმადიანური სახელმწიფოებიდან დაძრულ შავ-ბნელ ძალებს, ხან რუს ოკუპანტებს და ა. შ.

ასეთივე სიმბოლურ-ალეგორიული შინაარსით დატვირთა მწერალმა სხვა პერსონაჟთა მხატვრული სახეებიც. კერძოდ, მარიამი, რომელიც განზოგადებულად ქართველ დედას განასახიერებს, იმავდროულად მარიამ ღვთისმშობლის ხატებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, ნანა — თამარ მეფისა, გიორგი — საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი გმირებისა და ა. შ.

მართალია, პ. მოსულიშვილმა თავის პიესაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი წარმოსახა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილ ამ ეპიზოდთა ხორცშესხმის უმთავრესი მიზანი პირველ ყოვლისა იმ საბრძოლო სულისკვეთების განდიდებაა, რითაც მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

პ. მოსულიშვილის ეროვნული მრწამსის წარმომჩენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემისადმი მისი დამოკიდებულების გამოხატვაც იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნაწარმოებ-

ის ის ეპიზოდები იძენს, სადაც მწერალმა აღმოსავლეთი და დასავლეთი დაუპირისპირა ერთმანეთს და ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების ერთადერთ პერსპექტიულ გზად მხოლოდ დასავლური სამყაროს სისხლბორცეულ ნაწილად მისი ქცევა მიიჩნია.

ნაწარმოების გმირთა დაუცხრომელი სწრაფვა დასავლეთისაკენ პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალთახედვის სიმბოლური ფორმით გამოხატვას ისახავს მიზნად. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მტრის მიერ დაჭრილი ქართლოსი, რომელიც მწერალს ქართველი ერის ალეგორიულ სახე-სიმბოლოდ აქვს ჩაფიქრებული, განსაცდელისაგან თავის დასახსნელად დასავლეთისაკენ მიდის, „იმ მხარეს, სადაც განათლებული ადამიანი თავის ერის ბედნიერებაზე აშენებს კაცობრიობის კეთილდღეობას“ (მოსულიშვილი 1924:99).

საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა რეალურად გადაწყვეტის ასეთ გზას მწერალი ნაწარმოების ბოლო, მეოთხე, მოქმედებაში გვთავაზობს. განსხვავებით წინა სამი მოქმედებისაგან, რომლებშიც რეალურად მომხდარი ისტორიულ ამბავთა ავტორისეული ვერსიებია მოთხრობილი, საქართველოს მომავალი ცხოვრების მისეულ ხედვას მწერალი ამჯერად ფანტაზიით წარმოსახული ეპიზოდით გვთავაზობს. ნაწარმოების ამ მონაკვეთს „ჯვარედინ გზაზე“ ჰქვია და როგორც მისი შინაარსიდან თვალნათლივ ჩანს, ხსენებული ეპიზოდის დაწერის უმთავრესი მიზანი გზაჯვარედინზე მდგარი ჩვენი ქვეყნის სამომავლო არსებობისა და განვითარების პერსპექტივისადმი ავტორის დამოკიდებულების ჩვენება იყო.

სტამბოლის სავანესთან არსებულ გამომცემლობაში ქართულ ენაზე დაბეჭდილი უკანასკნელი წიგნი ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის — ალექსანდრე მანველიშვილის „ვეფხის-ტყაოსანი და რუსთველის ზნეობრივი იდეოლოგია“ იყო (1933 წ.). ხსენებული წიგნი, რომელიც ავტორს 1932 წლის 10 აპრილს მოხსენების სახით წაუკუთხავს პარიზის ქართველი საზოგადოებისათვის, სტამბოლის სავანის მღვდელმსახურის — შალვა ვარდიძის ინიციატივითა და დაფინანსებით დაუბეჭდავს.

გარდა ორიგინალური წიგნებისა, სტამბოლის სავანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობა ნათარგმნ ტექსტებსაც აწვდიდა მკითხველს პერიოდულად. იქური გამომცემელი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გააქტიურდნენ გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში. კერძოდ, 1921 წელს სავანის მღვდელმსახურის — შალვა ვარდიძის მიერ თარგმნილი ორი წიგნი გამოვიდა — ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს „ქართველები კონსტანტინეპოლში“ და რემონ ჟანენის „ქართველები იერუსალიმში,“ 1924 წელს კი მათ მიხაკო წერეთლის მიერ

თარგმნილი „გილგამეშიანიც“ შეემატა. 1924 წელს სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობამ მ. წერეთლის მეორე წიგნიც დასტამბა — „ხეთის ქვეყანა. მისი ხალხები, ენები, ისტორია, კულტურა“.

ქართული ემიგრანტული მწერლობის სტამბოლურ შენაკადზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა იასე მეხუზლას (რაჭველის) (1856-1919 წწ.) შესახებაც უნდა ითქვას. მართალია, სტამბოლში საკმაოდ ხანგრძლივად ცხოვრების მიუხედავად იქ მას წიგნი არ გამოუცია, მაგრამ თურქეთში იმხანად მიმდინარე მოვლენებთან და იქაურ ქართველებთან დაკავშირებით თავისი ემიგრანტული ცხოვრების პერიოდში საკმაოდ ბევრი რამ აქვს დაწერილი და გამოქვეყნებული მაშინდელ ქართულ პრესაში.

სტამბოლში იასე მეხუზლა, რომელიც რაჭველის ფსევდონიმით უფრო მეტადაა ცნობილი, ჯერ 1880-1902, შემდეგ კი 1904 და 1909-1915 წლებში ცხოვრობდა. როგორც ნ. ბოსტაშვილი ი. რაჭველის საზოგადოებრივი ღვაწლის შეფასების დროს სავსებით მართებულად წერს, იგი „თითქოს ხიდი იყო სტამბოლში მცხოვრებ ქართველებსა და საქართველოს შორის, რადგანაც იქიდან რეგულარულად გზავნიდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისთვის როგორც ისტორიული ხასიათის წერილებს, ისე ცნობებს ქართველების ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ“ (ბოსტაშვილი 1991:3-8).

სტამბოლში ცხოვრების პერიოდში იასე რაჭველის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა — ერთის მხრივ, იგი აქტიურად ცდილობდა იქაურ ქართველებში შეძლებისდაგვარად გაეღვივებინა ეროვნული ცნობიერება, მეორეს მხრივ კი მოკავშირის როლი შეესრულებინა თურქეთში მცხოვრებ ქართველობასა და საქართველოს შორის.

ი. რაჭველის თურქული ციკლის წერილები — გამოქვეყნებულიცა და გამოუქვეყნებელიც — სამი უმთავრესი კუთხით იქცევენ ყურადღებას — პირველი, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საყურადღებო, სტამბოლის ქართულ სავანესთან და იქაურ ქართველებთან დაკავშირებით მოწოდებული ცნობებით, მეორე — თურქეთის იმჟამინდელ დედაქალაქ სტამბოლში 1909 წლის რევოლუციის პერიოდში არსებული ვითარების საკმაოდ დეტალური აღწერითა და მესამე, ათონის ივერთა ქართული მონასტრის შესახებ მოწოდებული საყურადღებო ინფორმაციებით.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იასე რაჭველი თურქეთში მეორედ 1909-1915 წლებში იმყოფებოდა. თურქეთისა და იმხანად რუსეთის იმპერიის ნაწილად მყოფი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეს პერიოდი უაღრესად რთულ და დრამატული მოვლენებით სავსე ხანას წარმოადგენდა

— თურქეთში 1908-1909 წლებში მომხდარმა ახალგაზრდა თურქთა რევოლუციამ ამ ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში მნიშვნელოვანწილად გარდაქმნა ბევრი რამ, 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა კი ძირფესვიანად შეცვალა არა მარტო იმდროინდელ ევროპაში არსებული ვითარება, არამედ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობაც.

სხენებული პერიოდის თავის სტამბოლურ ჩანაწერებში იასე რაჭველი უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას და არა მარტო უბრალოდ აღწერას მათ, არამედ მისეული თვალთახედვითაც აფასებს ეპოქალური მნიშვნელობის მქონე ამ პროცესებს.

სტამბოლური პერიოდის თავის ჩანაწერებში ი. რაჭველი იმ დიდმნიშვნელოვან როლსაც ხშირად მიაპყრობს ხოლმე მკითხველის ყურადღებას, რომელიც ოსმალეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს აქვთ შესრულებული ამ ქვეყნის ისტორიაში. მაგალითად, სტამბოლში მცხოვრებ ერთ-ერთ მაჰმადიან ჩვენებურს — ჰასან ფეენი ფაშას, რომელიც, ავტორის თქმით, მთელს ოსმალეთში სახელოვან სახელმწიფო მოღვაწეს წარმოადგენდა, ამ საკითხთან დაკავშირებით მისთვის ასეთი რამ უთქვამს: „ჩვენ, ქართველები, საზოგადოდ მეტად მოვილიბერალებთ, არ გვეხერხება სხვა ხალხივით თავის დაფასება. გინდ ავიღოთ აგერ ჩვენი, გურჯების, მდგომარეობა ოსმალეთში. ბევრი საუკეთესო, თვალსაჩინო ადგილი გვიჭირავს, ბევრგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ... მაგრამ ერთი კია — ჩვენს მეტმა ვერც ერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავის ელფერი ოსმალეთში. ვინც კი გამუსლიმანდა, ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალებში, ჩვენ კი ასე თუ ისე, სახელი „გურჯი“ მაინც შემოგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ ქართველების კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში, ვიდრე ოსმალებისა“ (ბოსტაშვილი 1991:105).

ჩემის აზრით, ჰასან ფეენი ფაშას მიერ ოსმალეთში მცხოვრები ჩვენი გამაჰმადიანებული მოძმეების ეროვნული ცნობიერების ამგვარი შეფასება აშკარად გაზვიადებულია და ნაკლებად შეესაბამება რეალურად არსებულ ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა ამ ქვეყნის ისტორიაში მართლაც შეასრულეს მეტად მნიშვნელოვანი როლი, მათი უდიდესი ნაწილი თავის გენეტიკურ ფესვებს იმდენად აღმოჩნდა მონყვეტილი, რომ ამ ფესვებთან მხოლოდლა ერთადერთი რამით დარჩა დაკავშირებული — მეხსიერებას ბუნდოვნად შემორჩინილი თავისი წარმომავლობის აღმნიშვნელი სიტყვით — გურჯი. სამწუხაროდ, ეროვნული გაუცხოების ეს პროცესი დროთა განმავლობაში ისე მასშტაბურ მოვლენადაც კი იქცა, რომ ამ

ადამიანთა უდიდეს ნაწილს არათუ საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებია, არამედ თავისი წინაპრების ქართული გვარიც კი აღარ ახსოვს.

თავისი ცხოვრების სტამბოლურ პერიოდში ი. რაჭველი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად და განსამტკიცებლად. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „გადაკარგული ქართველები,“ რომლითაც იგი ოსმალეთის კუნძულ ტრიპოლზე მცხოვრები ერთ-ერთი ქართველი მაჰმადიანის მიერ მისთვის გაგზავნილ შემდეგ წერილს გვაცნობს:

„ძიავ, ბატონო იასე.

„წყალ-წაღებული კაცი ფხასვს (ხავსს — ი. რ.) ეკიდებოდაო,“ ნათქვამია. მეც ამ გადაკარგულ ადგილას სტორეთ ამ ანდაზას ვგავარ. მეც წყალ-წაღებულივით ფხასვს ვეკიდები, მარა საუბედუროთ იღბალი არც აქ მქონია. ფხასვიც არსად ჩანს. რა ჩემს ქვეყანას მოვშორდი, მერე ერთი ლაზათიანი დღე არ მინახავს, მარტოთ მარტო ვარ აქ, ისე როგორც ნამდვილი ეთიმი (ობოლს ჰქვია თათრულათ — ი. რ.).

აგერ სამი დღეა, აქიდან ერთმა თქვენებურმა გურჯმა გეიარა. ამ გურჯს ბევრი გურჯის ლისანის (ენის — ი. რ.) გაზეთები მიქონდა. მე იგი კაცი ჩემი ხისიმი (ნათესავი) მეგონა. რომ ვნახე, ისეთი გამიხარდა, რაც შემეძლებოდა, ვემსახურე. ორი-სამი წიგნი და გაზეთები მაჩუქა. ეს მე ძალიან გამიხარდა და ვთხუე, რამენაირათ მიქენით სიკეთე და გაზეთები, ან წიგნები კიდო მიშონეთ-მეთქინ. იმან მიპასუხა: „მე ამერიკაში მივდივარ და ეგებ ვერც კი დავბრუნდეო. ამისთვის სიტყვას ვერ მოგცემო. სტამბოლში ერთი ქართველი ცხოვრობს, იმას ბრეველი გაზეთები და წიგნები აქვსო და გამოგიგზავნისო“ და თქვენი ადრესიც დამიტოვა... ახლა მე იმედი მომეცა ამ კაცის სიტყვებიდან და თუმც არ გიცნობ, მარა მაინც ვბედავ და გწერ ამ წიგნს. გთხოვ, ფინთათ ნუ ჩამომართმევ და თუ შეიძლება ის გაზეთები, რომელიც თქვენ აღარ გჭირიათ, გამოგიგზავნოთ მე.

ამასთანავე ჩემს თავსაც ვაგაცნობთ. მე მართალია თათარი ვარ, მარა მაინც ნამდვილი გურჯი ვარ: მუხირების (მუხირი ომს ჰქვია თათრულათ — ი. რ.) შემდგომ სათათრეში მომიხდა გამოსვლა და ახლა აქ ტრიპოლში ვარ. ჩემსობას ჩურჩუქ-სუს (ოსმალბობის პერიოდში ქობულეთს ერქვა — ა. ნ.) თათრული ყველამ არ იცოდა და მეც, რადგან დედაჩემი ქართველის ქალი იყო, თათრული არ მისტავლია... ქართული მე კარგათ ვიცოდი, პანას ვწერდი კიდევ. ახლა, რომ ამ გურჯის გაზეთები და წიგნები დამიტია, სუნთლათ წავიკითხე, ნელათ-ნელათაი ყველაი

გამახსენდა... გთხოვთ ნუ დამტოვებთ უმოწყალოთ, მეც თქვენებური ვარ და თუ რამე გაზეთები, ან წიგნები გაქ მეტი, გამომიგზავნეთ. იგი ჩემთვის ძანიალი სიკეთე იქნება... ახ, ძიავ, თურმე რა ძნელი ყოფილა ველადეთის (სამშობლოს ქვია თათრულათ — ი. რ.) დატიება. ღმერთმა კითხოს, ვინცხანის ბრალია ასეთე ჩემი დაკარქვა.“

ამ წერილის ნაკითხვას ი. რაჭველი ისე აუღელვებია, რომ „ნამეტანი გრძნობებისაგან თვალებზე ცრემლები წამოდგომია“ და გულში ასეთი რამ უთქვამს: „გმადლობ შენ, ღმერთო, სადღაც ცხრა მთას იქით ქართველი თათარი ამ რიგი გრძნობით მწერს და მეხვეწება ქართული გაზეთი მივანოდო და თანაც მონადინებულა, თუ დრო ექნა, გამოიწეროს; აქ სტამბოლში კი თითქმის ყველას მოუდის გაზეთები, მხოლოდ კითხვით არავინ კითხულობს-მეთქი. ამ წერილის მიღებამ გულში ამიძრა სურვილი სტამბოლის კათოლიკე ქართველთა შორის გამეგრცელებინა ქართული გაზეთები და წიგნები. ასე ვფიქრობდი: თუ თათარი ქართველი კია მონადინებული ქართული არ დაივიწყოს, ქართველი ქრისტიანი უფრო იქნება მეთქი. მხოლოდ ვაი თქვენს მტერს! თურმე აქაურმა კათოლიკე ქართველებმა ჩემი ხათრისათვის გამოიწერეს გაზეთები, თორემ კითხვის სურვილი სრულიათ არ ქონიათ... რა ვუყურებ მათს ამ რიგ ქართულისადმი გულცივობას, მული მიკვდება და იმედი მეკარგვის. თუ ასე გაატანა ამათმა მდგომარეობამ, უეჭველია, დიდი ხანი არ გაივლის, სრულებით ქართული დაავიწყდებათ.“

ვფიქრობ, დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილ და ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით დაწერილი წინამდებარე ნაშრომით მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება იმ მოკრძალებულ წვლილზე, რომელიც სტამბოლს თავშეფარებულმა ჩვენმა თანამემამულეებმა და ქართული წიგნის იქაურმა გამომცემლებმა შეიტანეს ქართული ემიგრანტული მწერლობისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

## **დამონებიანი:**

**ავალიშვილი 1931:** ავალიშვილი ზ. *ვეფხის ტყაოსნის საკითხები*. პარიზი: 1931.

**ბოსტაშვილი 1991:** ბოსტაშვილი ნ. *იასე რაჭველი (მეზუზლა)*. წერილები თურქეთიდან. თბ.: 1991.

**მიწიშვილი 1922:** მიწიშვილი ნ. „*შავი ვარსკვლავი*“. სტამბოლი: 1922

**მიწიშვილი 1926:** მიწიშვილი ნ. *ფიქრები საქართველოზე*. ქართული მწერლობა. სექტიმბერ-ოქტომბრის ნომერი. თბ.: 1926.

**მიწიშვილი 2006:** მიწიშვილი ნ. *ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან*. თბ.: 2006.

**მოსულიშვილი 1924:** მოსულიშვილი პ. *შენ ხარ მზე, ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან*. სტამბოლი: 1924.



**ნიკოლეიშვილი 2009:** ნიკოლეიშვილი ა. *ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში*. ქუთაისი: 2009.

**შარაძე 2003:** შარაძე გ. *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. IV. თბ.: 2003.

**TAMAR PAICHADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **Georgian Impressionist Integrals: From one Writer to Tendency**

Traces of originality and generalization have always been detected in Georgian analogues of avant-gardism, considering the reality that in scientific analytics only those expressions are counted as innovation and successful, in which individualism and existing history of creative culture to certain extent insures it from compilation and defines its distinctive features. Due to the aforementioned, associations or parallel images of Georgian modernist worldview must be searched for “radically left”, in the direction of Europe. Content analysis of these creative discourses logically takes us to the issue of installation and systematization of avant-gardist trends in Georgian creative context.

Theoretical analysis of Georgian modernism has clearly demonstrated that it can be considered as an artistic-creative method i.e. method literature, it can be said that modernism, just as other literature trends found rich experience of Georgian creative writing tradition, mentality and creative thinking and on such grounds all the maximalist trends, radicalism, categorical thinking, orthodoxy changed to certain extent and became of national-liberal character, not just as worldview, but also as creative method.

By considering the aforementioned positions we must analyze the issue of introduction of impressionist literature in Georgian creative space, which appeared in 1920's, in parallel with existing avant-gardist directions; although in our literature science it is perceived as creative trend and “event of one writer,” while the given opinion is in need of reconsideration. This is because impressionism in Georgian literature has clearly distinguished artistic-methodological format, intercultural tendency and in addition distinct individual-national features, which is detected in the creative heritage.

**Key words:** *Literature, Modernism, Impressionism, tradition, innovation. Intertext.*



## თამარ პაიჭაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ქართული იმპრესიონისტული ინტეგრალები: ერთი მწერლიდან — ტენდენციისაკენ

ჩვენ ყოველთვის ვიყავით ნერვის, გრძნობის და აღქმის შემოქმედნი, ჩვენი რეაქცია იყო მყისიერი, ემოციები, ყურადსაღები ჩვენ ვიყავით ასევე საუკეთესო დამფასებლები შეუმჩნეველი შეგრძნებებისა-ყოველთვის შეგვეძლო აღმოგვეჩინა უფაქიზესი და უღრმესი სული საგნებისა, მათგან გამომდინარე მსუბუქი სურნელი“ (გამანი 1955: 32) — ეს იყო პასუხი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც არ სურდა დაენახა იმპრესიონისტთა ძალისხმევანი.

იმპრესიონისტული რაკურსი ფრიად ორიგინალურია, ამასთან ერთად, გარკვეულწილად ანტაგონისტური, უნიფიცირებული და მხატვრულად პროდუცირებული — ასეთად სთავაზობდნენ საკუთარ მხატვრულ მეთოდსა და ანტურაჟს იმპრესიონისტები საზოგადოებას და ფორმის ძიების პროცესში ცდილობდნენ განსხვავებულობისათვის, ინდივიდუალიზმისათვის განსაკუთრებით გაესვათ ხაზი: „ჩვენ რადიკალურად სხვანი ვართ ვიდრე რეალისტები“ არ ვცნობთ რაელიზმის ძირითად პოსტულატს, მიზეზ-შედეგობრივ და მატერიალურ, კონკრეტულ სამყაროს ამგვარივე პერსონაჟებით... არც ნატურალიზმს — ფაქტების კოპირებით და მოვლენათა არსში ჩაუღრმავებლობით“ (რევალდი 1994: 54) — წერდა ჯონ რევალდი. თუმცა იმპრესიონისტები მხოლოდ ანტი-მოდერნისტულ უნიფიცირებას როდი ემიჯნებოდნენ, ისინი ცალსახად ცდილობდნენ საკუთარი მხატვრულ-ფორმალური გენეზისი მოდერნისტული განსახოვნების გზაზეც ხაზგასმით წარმოეჩინათ. ამდენად, იმპრესიონისტები აპროტესტებდნენ: სიმბოლისტურ და ტრანსცენდენტალური სამყაროს, სიმბოლოების „სუბსტანციურ კანონიკას“, ფუტურისტულ ტაქნოკრატიას და ეპატაჟს, დადაისტურ ექსტრავაგანტიზმსა და უფორმოებას, ფოვისტურ ფსევდოპანთეიზმს და ესთეტიკური პოზიციებით მანიპულირებას. ეს იყო რეაქცია აკადემიზმის წინააღმდეგაც. პროტესტის გარდა ისინი ამ ყოველივესაგან ლიტერატურის განთავისუფლების, ძიების პათეტიკის, ნოვაციის, ფორმაციის სახელით შექმნილ ფსევდოლირებულებებისაგან თავის დაღწევას ისახავდნენ მიზნად და თვლიდნენ, რომ იმპრესიონიზმი ყველაზე ზომიერია მათ შორის, მისი მიზანია ცოცხალი შთაბეჭდილების გადმოცემა, მისთვის დადებითიც და უარყოფითიც ერთნაირად საინტერესოა, ხდება

რა ობიექტური ფაქტის დეტალიზაცია: სულიერი მარცხის თუ ფიასკოს წარმოჩენით და გმირის სუბიექტური მგრძნობელობის ხაზმგასმით.

ამდენად, იმპრესიონისტს აინტერესებს არა იმდენად ობიექტური მიზეზი, არამედ სუბიექტური შედეგი და მისი წარმოჩენა მხატვრული ხერხით, რის შედეგადაც გამომსახველობითი პროცირების გზაზე განსაკუთრებული მოთხოვნა ვლინდება — მოთხოვნა ტექსტის და სიტყვის შემოქმედებით-სტილური რაფინირებისა. მიუხედავად იმისა, რომ რიგ მოდერნისტულ მიმართულებებს იმპრესიონიზმმა „მოსვლა დაასწრო“ (ფუტურიზმი, დადაიზმი, ექსპრესიონიზმი) გავლენებისაგან თავის დაზღვევას მისი მესურვენი ყოველთვის ცდილობდნენ.

...და მაინც იმპრესიონიზმისთვის ყველაზე ნიშანდობრივი ხანგრძლივობა, ეტაპობრივობა გეოგრაფიული დაუსაზღვრელობა და მხატვრული ინსტალირების სიფართოვეა. იგულისხმება ის ფაქტი, რომ იმპრესიონიზმი იმთავითვე გასცდა ევროპის ტერიტორიას და ჯერ აღმოსავლეთით გადაინაცვლა, ხოლო შემდგომ ამერიკულ ავანგარდისტულ ყოფაშიც ჰპოვა „ადგილი მზის ქვეშ“.

თუმცა ეს მხოლოდ რეზიუმირებული ახსნაა ზოგადად იმპრასიონიზმისა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იმ რეალობის განსაზღვრებაა, თუ რა ფორმით, დოზით და ხარისხით გახდა იმპრესიონიზმი ლიტერატურული და რა გავლენა იქონია მან ლიტერატურის მაშინდელ და შემდგომ განვითარებაზე.

„ხელოვნების მისია ის კი არ არის, სინამდვილე გადახატო, არამედ ის რომ სინამდვილე გამოხატო. შენ ასლის ბეჩავი გადამღები კი არ უნდა იყო, არამედ პოეტი; ჩვენ უნდა დავჭიროთ მოვლენათა აზრი, სული, ხასიათი- ეს არის კიდევ შთაბეჭდილებანი“ (ბალზაკი. 1941: 203) — წერდა ონორე დე ბალზაკი ჯერ კიდევ იმპრესიონისტული ხანის დადგომამდე.

იმპრესიონისტული ისტორიები ლიტერატურისათვის იმთავითვე იქცა არა მხოლოდ შემოქმედებით იდეად, არამედ თემადაც: მხედველობაში გვაქვს იმპრესიონისტთა ძველი მეგობრის (მონე, მანე) ემილ ზოლას რომანი „შემოქმედება“ (1886), რომელიც ავტორმა სწორედ იმპრესიონისტთა ისტორიას, მათ შემოქმედებით ბიოგრაფიას და ცხოვრების გზას უძღვნა, რომანის ძირითადი თემატიკაც ამ მიმართულებით მიდის: მწერლის, კრიტიკოსის და საზოგადოების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა ფონზე წარმოსახულია იმპრესიონიზმის არსი და გზა.

„ხელოვნების ყოველი ნაწარმოები სამყაროსაკენ გაღებულ სარკმელს ჰგავს. სარკმლის ჩარჩოში თავისებური გამჭვირვალე ეკრანი ჩასმული, რომლიდანაც შეიძლება დავინახოთ საგნების გამოხატულება, ცოტად თუ ბევრად შევვლილი მოხაზულობითა და ფერადოვნებით. ეს ცვლილება ეკრანის ბუნებაზეა დამოკიდებული ხელოვნების ნაწარ-

მოებში სამყაროს ადმიანთა მეშვეობით აღვიქვამთ, მისი ტემპერამენტის და ინდივიდუალიზმის საშუალებით“ — წერდა კლოდ მონე.

ამდენად, აქედანდვე შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ იმპრესიონისტული ფილოსოფიის ორმომართულებრივი ბუნება: პირველი — ეს არის იმპრესიონისტული გამომსახველობის ადრეული ხანა, ე.წ. “ფიზიოლოგიური იმპრესიონიზმი“, რომელიც ძირითადად მიმესური ასპექტის ვიზუალურ და ვერბალურ აღქმაზეა აღმოცენებული. ეორე — არის „ფსიქოლოგიური იმპრესიონიზმი“, რომელიც მეთოდოლოგიური ჩამოყალიბებისა და სისტემატიზაციის შედეგია და სამყაროს იდეალისტური აღქმის. სულიერ ღირებულებათა წარმოჩენის მოტივაცია გააჩნია. შავარაუდოდ, სწორედ აქედან შემოდის დისკურსის პოზიცია, რაც იმპრესიონისტულ მხატვრულ ტექსტს დეგერზისულს, ქვეტექსტურს და განსჯადს წარმოაჩენს.

აქედან გამომდინარე, იმპრესიონისტული ლიტერატურა, როგორც მეორე ეტაპი ზოგადად იმპრესიონისტული კულტუროლოგიური ანთროპოლოგიისა ანალიტიკური, მოტივირებული და ჩამოყალიბებული ფორმატით წარმოჩნდა საზოგადოების სამსჯავროზე. აქვე უნდა გავუსვათ ხაზი კულტუროლოგთა ერთი ჯგუფის შეხედულებას, რომ ლიტერატურული იმპრესიონიზმი სახვითი ხელოვნებისაგან განსხვავებით არ ჩამოყალიბებულა როგორც ცალკე მიმართულება და უფრო მართლზომიერია ვისაუბროთ იმპრესიონიზმის ნიშნებზე, წარმოშობილზე რიგ მეთოდოლოგიურ მიმართულებათა, უპირველესად კი სიმბოლიზმისა და ნატურალიზმის წიაღში და შემდგომ ჩამოყალიბებულზე, როგორც მათი გარკვეულნილი ანტითეზა, თუმცა ლიტერატურული იმპრესიონიზმის აღიარებული ანალიტიკურობისა და თავისთავადობის კვალობაზე ეს საკითხი აშკარად სადავოა.

ლიტერატურაში იმპრესიონიზმმა ანალიტიკური ტექსტი შემოიტანა, რაც თავისთავად ქავეცნობიერის ანალიზს განაპირობებდა. ლიტერატურულ ტექსტში ადამიანური სამყაროს სიღრმისეული ძვრების ფიქსაცია რთული პროცესია, ზედაპირული, ფოტოგრაფიული აღქმა ამისთვის არცთუ შესადაგისი მეთოდია თუმცა იმპრესიონისტული ტექსტის არაორდინალური ბუნება სწორად აქ მჟღავნდება; სიტყვიერი მასალის განსაკუთრებული დახვეწა სიტყვისა და ბგერის ხაზგასმული ფუნქცია, მუსიკალობა (რაც ზოგჯერ წამიერი შეგრძნებების გამოხატვის ფორმად იქცევა ხოლმე) განსაკუთრებულ სიმღლეზეა აყვანილი. იმპრესიონისტული პროზა ბგერხატოვანია, მუსიკალური და პოეტურ ფორმატს დაახლოვებული. საგნები შთაბეჭდილებებად დაიშალნენ: მწერლობაში სიტყვებად და ბგერებად, მხატვრობაში კონტურებად და ფერებად, სამყარო ერთი აღქმად, ნაშლილია ზღვარი რეალობასა და სიზმარს შორის, ის ლაკონიურია და მრავალწერტილოვანი.

ლიტერატურული იმპრესიონიზმის მსოფლიო ლიტერატურული სპექტრი ფრიად ფართო და კრეატიულია. მათგან ყველაზე ადრეულ ანალოგად პოლ ვერლენის პოეტური კრებული „რომანსები უსიტყვოდ“ მიიჩნევა, ეს კრებული 1874 წელს გამოჩნდა, „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ -ავტორისეული ეს შთაგონება გასდევდა იდეად ლექსებს. ამას პროზაში ძმები გონკურების პიტერ ალტენბერგის, კნუტ ჰამსუნის, ოსკარ უაილდის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ანატოლ ფრანსის („ლიტერატურული სიცოცხლე“ 1892), რემი დე გურმონის („ნილაბთა ნიგნი“, 1898), ა.დ.ე რენიეს („ნარმოსახვათა ნიგნი“, 1901), ჟერარ ლაფორგის („პეიზაჟები და შთაბეჭდილებები“, 1903), გი დე მოპასანის (ნოველები), ჯეიმს ჯოისის („დუბლინელები“ 1905) თხზულებები მოჰყვა. ამ ახალ ტენდენციებს მხატვრულ ლიტერატურაში მოგვიანებით იმპრესიონისტული მიმართულებების წარმომჩენი ახალი თაობა მოჰყვა: ვალერი ბრიუსოვი („შორეულნი და ახლობელნი“ 1912), მარსელ პრუსტი („დაკარგული დროის ძიებაში“, 1913), ანდრე ბელი („პეტერბურგი“, 1913), ჯეიმს ჯოისი („ულისე“, 1922), ანტონ ჩეხოვი („სტეპი“), ინოკენტი ანენსკი, ივანე ბუნინი...

იმდენად, რამდენადაც ფსიქოლოგიური იმპრესიონიზმი იდეალისტურ ფილოსოფიაზე იყო დაფუძნებული, ფსიქოლოგიზმი იმპრესიონისტულ მხატვრულ დისკურსში მოქმედების განვითარების მთავარი პირობა და განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. „ფსიქოლოგიზმი ამართლებს ურთიერთობებს, ის ასახელებს მოცემულობას და ფსიქოლოგიურ შთაბეჭდილებებს მხოლოდ რეალობაში, ხოლო ტრანსცენდენტული სამყარო — მხოლოდ ფიქციაშია“ (გამანი 1955:4) — აცხადებს რიჰარდ გამანი; მისთვის, როგორც იმპრესიონიზმის თეორიტიკოსისათვის ორი დებულება იყო იმპრესიონისტული სანყისის განმსაზღვრელი: 1. რაც ნამდვილია, ის არის აზროვნების ასახვა ან სუბიექტის შინა სამყარო (რიკარტი), 2. ნამდვილად რეალური — ეს შეგრძნებაა (მახი). ე.ი. ჭეშმარიტებას რეალურ სამყაროსთან საერთო არ აქვს, ის სუბიექტის შეგრძნებაა- სუბიექტივისტური აღქმა, ხოლო ამ აღქმათა და შეგრძნებათა იარაღი კი სიტყვა.

ქართულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმის აჩრდილი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან გამოჩნდა. ისევე როგორც ჩვენში კულტურული სიახლეების დამკვიდრების სხვა ისტორიები, ისიც „გამოძახილს“ თუ „დაგვიანებულ რეაქციას“ გავდა. მოდერნისტული სიახლეების გათვისების ეს პრინციპი საქართველოში უკვე დამკვიდრებული და გაცნობიერებული ფაქტია და პარადოქსულიც ამ დამკვიდრებული ქრონოლოგიის კვალობაზეც არაფერია. „ჩვენ ნელ-ნელა მოვწყდით მსოფლიო აზროვნებას და ეხლა, ხელ, მეორედ შობილთ, ვერ გვცბედება

ისევ იმ ფართო ცხოვრების ფარგალში ფეხის შედგმა“ (ჯორჯაძე 1989: 17) — არჩილ ჯორჯაძის ეს განცხადება იმპრესიონისტული თეორიების დამკვიდრებასაც ეხება, ისევე როგორც სხვა მოდერნისტულმა თეორიებმა და ზოგადად შემოქმედებითმა ინოვაციებმა იმპრესიონიზმშიც დაიგვიანა და საქართველოში მაშინ გამოჩნდა, როცა ევროპაში მისი ბუმი მინავლდა და იმპრესიონისტულმა ამბიციებმა „მიიძინეს“ კიდევ.

ამდენად, იმპრესიონიზმის ქართული ვერსიები, ისევე როგორც სხვა მოდერნისტული გატაცებანი სავარაუდოდ კვლავ იდგა ეპიგონობისა და კალკირების სამიშროების წინაშე: სათქმელი ჩამოყალიბებული იყო და მიმდევრებიც მსოფლიო რადიუსით ერთმანეთს მხატვრულ ოსტატობაში ტოლს არ უდებდნენ. ...და მაინც იმპრესიონისტულმა ტენდენციებმა ქართულ მწერლობაში არა მხოლოდ დღის სინათლე იხილეს, არამედ მეთოდის გათავისების, ინტერპრეტაციის, მხატვრული ათვისების და თავისთავადი აღქმის საგულისხმო ანალოგებად წარმოჩინდნენ. „იმპრესიონიზმი უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მხატვრობასა და ლიტერატურაში“ — წერდა არჩილ ჯორჯაძე 1913 წელს. (ჯორჯაძე 1989: 167)

ლიტერატურულ ტექსტში იმპრესიონისტული ტენდენციების წარმოჩენის ერთ ადრეულ ნიმუშად შალვა დადიანის „ჩამოკრულები“ მიიჩნევა, თავად ავტორი იმპრესიონისტული (ან ზოგადად მოდერნისტული) იდეების პროპაგანდისტი თუნდაც მხატვრული აღქმის დონეზე ლიტერატურაში არასოდეს ყოფილა და არც მისი შემოქმედება წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისათვის „მეტრულ“ სივრცეს, მაგრამ თუნდაც მეთოდოლოგიურად გაუცნობიერებელი შემოზრუნება თუ ლტოლვა ახლებურად წარმოსახვისაკენ ამ (და არა მარტო) მხატვრულ ტექსტში უდავოდ საცნაურია. შალვა დადიანი თავის მინიატურებს „ნასხვისარ გაჩემებურებულებს“ უწოდებდა, რითაც თავისთავად იკვეთებოდა ავტორის პოზიცია პრობლემის, სტილის თუ მეთოდის შემოქმედებითი გადამუშავებისა. „ჩამოკრულები 1905 წელს დაიწერა, ამ დროს საქართველოში იმპრესიონისტულ ფიქრებს ჯერ „თვალის არ ჰქონდათ გახელილი“, მაგრამ განახლების ტანდენცია და გამოსახვის საშუალებათა ძიების ერთი ბუნებრივი შედეგი აქ აშკარად ვლინდება.

ფაქტია, საქართველოში იმპრესიონისტული აზროვნების კულტურა იმპორტირებული, მზა მოდელის სახით გამოჩნდა., თუმცა მის დამკვიდრებას, ისევე როგორც ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში ასევე საქართველოშიც, შესადაგისი შემოქმედებითი გარემო, მხატვრული ატმოსფერო დაბოლოს გამოწვევაც განაპირობებდა.

სუბსტანციურ-სტერეოტიპული გარემო, იდეური დაფანტულობის, რეაქციის, დეპრესიის, ფიასკოს საფუძველს ჰქმნიდა, რაც ახალი ფორმების ძიების, ძველ ფორმებთან კონფლიქტისა და მიუღებლობის მწვავე რეაქციას წარმოშობდა. — ეს მეოცე საუკუნის ათიანი წლების საქართველო იყო მძაფრი შემოქმედებითი ვაკუუმის ხანაში, სოციალური და მელოდრამატული, ეპიგონური და უტილიტარული ფსევდო-ლიტერატურის ზეობის პერიოდში, როცა მოდერნისტული ხილვები ნებსით თუ უნებლიეთ უპირისპირდებოდნენ ლიტერატურულ სუროგატებს და ცდილობდნენ მხატვრული ლიტერატურისათვის მთავარი მახასიათებელი — შემოქმედებითი ფორმატი და მხატვრული სამშვენიის დაებრუნებინათ.

იმპრესიონისტული საქართველოც სწორედ აქედან ენდა გავხსნათ: ის იყო უფრო მკრთალი, ვიდრე ეროვნულ-პატრიოტული განწყობილებანი, უფრო უპრეტენზიო და მოკრძალებული, ვიდრე სხვა მოდერნისტული მიმართულებანი საქართველოში, უფრო ვიწრო, ვიდრე ჩვენში არსებული ამავე დროის სხვა ლიტერატურული სკოლები, უფრო ვარიაციული, უფრო იმპულსური და უფრო „განონანსორებული“.

იმპრესიონისტული მეთოდის დამკვიდრების პროპაგანდა საქართველოში არასოდეს გამოკვეთილა, მისთვის არც მეთოდოლოგიური სკოლის თუ ორგანიზებული ფორმის მიიცემა უცდია ვინმეს. ის ქართულ მწერლობაში სავსებით ბუნებრივად, ამბიციების განცხადებების და მანიფესტების გარეშე გამოჩნდა და მისი სპეციფიკური ფორმის პროპაგანდისათვის პერიოდული ორგანოც კი არ არსებულა.

იმპრესიონისტული ტენდენციების ქართულ მწერლობაში გამოჩენას ფრიად ბუნებრივი მიზეზი ჰქონდა, ეს იყო ცალკეულ მწერალთა მისწრაფება — ახალი სიტყვით, მიდგომით თუ დამოკიდებულებით სამყაროსა და ადამიანის წარმოსახვისა. ეს „ახალი“ კი ნიკო ლორთქიფანიძის, გერონტი ქიქოძის, ლეო ქიაჩელის, არისტო ჭუმბაძის, ჯაჯუ ჯორჯიკიას და კიდევ რამდენიმე ქართველი ლიტერატორის შემოქმედებით სამყაროში ევროპულ ანალოგებთან ზიარებამ, გაზიარებამ და ინტერპრეტაციამ განაპირობა.

ქართული იმპრესიონისტული დისკურსის მსოფლმხედველობრივი იდენტურობა მის ევროპულ, პირველად ანალოგებთან მისი გამოვლინების ყველა მიმართულებით საცნაურია: აქ უპირველესად იგულისხმება სუბიექტივიზმის პრიმატი, რაზეც აგებულია მხატვრულ მოვლენათა ჯაჭვი; ქართული ანალოგისათვის ასევე დამახასიათებელია ე.წ. უარყოფის (ნეგაციის), დუბლიკაციის (გაორება), ირონიის, შეუთავსებლობის (შეუსაბამობის) წარმოჩენა, რასაც იმპრესიონისტული ლაკონური, ლაპიდარული თუ ტელეგრაფული მხატვრული სტილის ერთგულებაც ემატება.



ეს ზოგადი თვალსაზრისით, მაგრამ ამასთან ბუნებრივია ისმის კითხვა რამ განაპირობა ქართული ლიტერატურის იმპრესიონისტული მსოფლმხედველობით „დატვირთვა“ მისი ევროპული „მიმწეობის“ ხანაში? ამ კითხვის პასუხი პირველყოვლისა იმ საერთო მახასიათებელში უნდა ვეძიოთ, რაც ზოგადად მოდერნისტულ მსოფლმხედველობათა ქართული შემოქმედებითი საზრისის მიერ გაზიარებას ეხება: ეს არის მოდერნიზმის (ჩვენს შემთხვევაში იმპრესიონიზმის) კოსმოპოლიტური სანყისი და ქართული ლიტერატურული ტრადიცია, მისი შემოქმედებითი ბუნება. თუმცა არსებობს უფრო კონკრეტული მიზეზებიც, რაც ცალკეული მწერლის ბიოგრაფიას თუ შემოქმედებით არჩევანს უკავშირდება.

მიუხედავად „დაგვიანებული სტუმრობისა“, ქართული იმპრესიონისტული ლიტერატურა, საერთო ქართული მოდერნისტული აღქმის ხარისხის კვალობაზე კოპირებული და ეპიგონური არ ყოფილა, თუმცა გავლენები საცნაურია, ის მაინც ჩამოყალიბდა, როგორც ინდივიდუალური და თავისთავადი განშტოება ზოგადად იმპრესიონისტული ესთეტიკისა. უპირველესი ნიშანი კვლავ ნაციონალურ არტგენეტიკურ ძირებს უკავშირდება, რაც გარკვეულწილად თვით იმპრესიონისტული თეორიის ეტალონურ ფორმატსაც უწევს კორექციას. ქართული იმპრესიონისტული დისკურსი ცალსახად ნაციონალური განწყობისაა, იდენტურობის ხაზგასმული განცდა მის ყოველ კონკრეტულ გამოვლინებაში იკვეთება. აქ იგულისხმება არა მხოლოდ პრობლემატიკა, ანუ ქართული თემატიკა, როგორც ქართული იმპრესიონისტული დისკურსის მთავარი თემა, განსხვავებით მსოფლიო იმპრესიონისტი კორიფეებისაგან (მაგალითად, ჰამსუნი, ალტენბერგი, ლემეტრი, რომელთათვისაც ნაციონალური კავშირი — მიჯაჭვულობა უცხო გრძნობა იყო). ასევე, გასათვალისწინებელია მხატვრული თხზვის ქართული ტრადიცია, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა იქონია ქართულ იმპრესიონისტულ ლიტერატურაზე.

ამდენად, ქართველი იმპრესიონისტისათვისაც იყო მთავარი თეზისი: „მე გვრძნობ, მე მესმის“, მათი მხატვრული ნარატივიც იყო „ლაკონურობისა“ და „დეპეშურობის“ დემონსტრაცია, თუმცა ამასთან ერთად, თავისთავადობა და ინდივიდუალიზმი პირველივე წარმოჩენიდან ახლდა თან.

სწორედ აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ უნდა მოხდეს მარკირება საქართველოში არა იმპრესიონისტული სკოლების არამედ იმპრესიონისტული ტენდენციების არსებობის თაობაზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია გერონტი ქიქოძის პერსონა, რომელმაც სწორედ იმპრესიონისტულ განწყობილებათა გაცნობიერების ხანაში მისი მეთოდოლოგიური რეკლამატორის ფუნქცია ითავა; ეს არ იყო

მიზანმიმართული პროპაგანდა, ეს ევროპული განათლებისა და ინფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული ანალიტიკური თვალთახედვა იყო. გერონტი ქიქოძე პაოლო იაშვილთან ერთად ცხოვრობდა პარიზში, ისინი თანამოაზრეებადაც მიიჩნეოდნენ, თუმცა ევროპიდან ერთმასიმბოლისტური იდეები ჩამოიტანა, მეორემ კი იმპრესიონისტული „სუნთქვა“. „იმპრესიონიზმი უკანასკნელი სიტყვაა მხატვრობასა და ლიტერატურაში“ (ქიქოძე 1998: 36) — წერდა გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ 1914 წელს. შემოქმედებითი ფორმირების ხნა მან სოციალისტურ საქართველოში გაატარა, თუმცა ის ბოლომდე იმპრესიონისტად დარჩა. მისი ესეისტური მემკვიდრეობა ესთეტიკურ შეხედულებათა და ევროპული (ფრანგული) კულტურის აპოლოგია იყო, მწერალი თანამედროვე ქართულ კულტურას ევროპულ მოდერნიზმს უკავშირებდა, მის ყველაზე რაფინირებულ გამოვლინებად იმპრესიონიზმს მიიჩნევდა და წერდა: „პიროვნება კუნძულია, კუნძული ცხოვრების თვალუნვდენელ ზღვაში და მისი საზღვრები იწყება იქ, სადაც მისი გრძნობები იწყება“ (ქიქოძე 1998: 38) ქართული კულტურის უძირითადეს პოსოპულატებს ისტორიულ (ენა, ეროვნება) და თანამედროვე საწყისებში აცნობიერებდა (სამყაროს ესთეტიკური აღქმა), ქართული ლიტერატურისათვის ევროპული ორიენტაციის აუცილებლობასა და გარდაუვალობაზე ცალსახად მიუთითებდა. ის ცდილობდა ქართული აუდიტორიისათვის მაქსიმალურად ფართო ინფორმაცია მიეწოდებინა ევროპული სკოლების, მათ წარმომადგენელთა შემოქმედებით მემკვიდრეობათა შესახებ, რაც იდეოლოგიური წნეხისა თუ ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში პოზიციასაც გულისხმობდა.

ამ შეხედულებათა ერთგვარი შეჯერება ჯერ კიდევ 1919 წელს შედგა მის ესეისტურ კრებულში „ეროვნული ენერგია“, რომელშიც ავტორისეული იმპრესიონისტული, შემოქმედებითი და ზოგადად ფუნქციური არჩევანი საბოლოოდ „გაიწერა“. ეროვნული ენერგიის გამოლვიძება გერონტი ქიქოძემ კულტურის გამოლვიძებას დაუკავშირა, სადაც თავისთავად მსოფლიო შემოქმედებით მდინარებასთან ინტერგრირებას იგულისხმებოდა.

გერონტი ქიქოძის თეორიულ-ესთეტიკურ შეხედულებათა პრაქტიკული რეალიზაცია იმპრესიონისტულ ანტიურაჟში ამ პერიოდის არაერთი ახალგაზრდა პროზაიკოსის შემოქმედებაში ცნობიერდება. მათ შორის არიან ჯაჯუ ფორჯიკია, არისტო ჭუმბაძე და ლეო ქიჩაჩილი.

ჯაჯუ ფორჯიკის მინიატურები იმპრესიონისტული ინტერპრეტაციების ერთ საინტერესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს; ფაქტია, ამ მწერლის მხატვრულ-შემოქმედებითი ძალისხმევანი განსაკუთრებულ მხატვრულ სიმაღლეებს არასოდეს მიახლებია, თუმცა მოდერნისტულ (იმპრესიონისტულ), ნოვაციათა სათავეში ისიც უდავოდ იდგა. მის კრე-



ბულს სათაურით „ფერადი მოთხრობები“ უძღვის კიტა აბაშიძის წერილი, სადაც ავტორი მწერალს „განახლებული ეპოქის შვილად“ მოიხსენიებს და მის შემოქმედებაში ცალსახად აცნობიერებს ოსკარ უაილდის გავლენასაც და ალუზიასაც, რაც უპირველესად უაილდის შემოქმედების ზღაპრული საწყისის ერთგვარი გაზიარება და მისი საშუალებით ცხოვრების არსის, რეალობის წარმოჩენაა.

ოსკარ უაილდის „ბრონეულის სახლი“ შემდგომაც არაერთხელ წარმოჩნდა, როგორც ქართული იმპრესიონისტული დისკურსის ინსპირაცია, ჯაჯუ ჯორჯიკიას მინიატურათა მხატვრული აღქმითი ხაზიც აქ გადის.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მინიატურა „ხელოვნება“, რომელიც პათოსით, მხატვრული სტილით და იდეით უაილდის მსოფლმხედველობის სრულ იდენტიფიკაციას წარმოადგენს: მშვენიერება კერპია რომლის წინაშე სხვა ყველაფერი არარაა“ (უაილდი 1968: 34). ფრანგმა არისტოკრატმა ხელოვნების ნიმუში შეიძინა და მისი მშვენიერების კიდევ ერთხელ სახილველად შუალამისას სატუმრო ოთახს ეწვია, იქ კი ზანგი მსახური დახვდა, რომელიც „მთვარის თეთრ სხივებში მოცურავე სურათის“ მზერით ტკბებოდა, ის შეკრთა ბატონის დანახვაზე, მაგრამ ბატონს კარგად ესმის, რომ მის წინ ამჯერად არა ზანგი მსახური დგას, არამედ ადამიანი, რომელიც აღიქვამს ხელოვნების ნიმუშს, მშვენიერების ტყვეა და აქედან გამომდინარე, მისივე თანამოაზრე, თანასწორი.

ჯაჯუ ჯორჯიკიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში იმპრესიონისტული ნარატივის კიდევ ერთი მახასიათებელი ნიშანი იკვეთება: უარყოფის წარმოჩენა ე.წ. „მაქმანში“, შელამაზებულ ფორმაში, როდესაც მწერლის მიზანია ნაკლებად გაუსვას ხაზი მოვლენის ნეგატიურ მხარეს და აქცენტი ესთეტიკურ თუ ემოციურ ნიშნულზე გადაიტანოს; „რაცუნდა მწვავე კითხვებს ეხებოდეს (იგულისხმება ჯ. ჯორჯიკია), შეუძლებელია გული მძიმედ დაგიტოვოთ, უთუოდ გულდამშვიდებული დარჩებით“- წერს აღნიშნულ წერილში კიტა აბაშიძე და შემდეგ ამავე დროს მეორე, მაგრამ განსხვავებული მხატვრული ხელნერის ნოველისტს შიო არაგვისპირელს ადარებს: „თვით ბედნიერ და სასიხარულო მოვლენაში შხამსა და სამსალის ტესლს გამოგვიძებნიდნენ ხოლმე“ (ჯორჯიკია 1925: 6), — ეს გასათვალისწინებელი კომენტარია ოციანი წლების ლიტერატურულ პროცესთა ისტორიის და მისადმი არსებული კრიტიკული აზრის სადემონსტრაციოდ.

მოვლენათა აღქმის იმპრესიონისტული მოდელი ცნობიერდება არისტო ჭუმბაძის ნოველებშიც, აქვე უნდა ითქვას, რომ მხატვრული თვალსაზრისით ეს ტექსტები წინამორბედთან შედარებით კიდევ უფრო დახვეწილია და ახლო იმპრესიონისტულ ფილოსოფიასთან. თუკი ჯაჯუ

ჯორჯიკიას შემოქმედებაში კიტა აბაშიზე ოსკარ უაილდის გავლენას აცნობიერებდა, არისტო ქუმბაზის პროზა მისივე აზრით კნუტ ჰამსუნის ლიტერატურული მეთოდის ინტერპრეტაციას წარმოადგენდა). უნდა აღინიშნოს, რომ არისტო ქუმბაძის ნოველათა „ტელეგრაფული სტილი და აქ წარმოჩენილი სუბიექტური თვალთახედვანი ამის აღნიშვნის მიზეზს წამდვილად იძლეოდა და შემოქმედებითი სწორების ობიექტიც მკაფიოდ იკვეთებოდა. საილუსტრაციოდ ერთი ნოველის („საქმის კაცი“) პირველივე სტრიქონები გამოდგება: „გარეთ ნისლი და გადაუღებელი წვიმა, ცივი და ხშირი... ქუჩებში წათხი და ნალექი... ქალი... სითბო და სინყნარე... შნო და სურვილი...“ ნიშანდობრილია პერსონაჟის წარმოჩენის ამგვარი ხერხიც: „შუაგაყოფილი, გალოკილი, ფართო, მაცვალა თვალები და შიგ შემპარავი ღიმილი — საერთოდაც კი თითქოს ეს არის ახლა გამოუღიათ უთოს ქვეშაო...“ (ჭუმბაძე 1925; 29)

ლეო ქიაჩელი (ლენ შენგელაია) ქართულ მწერლობაში მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან გამოჩნდა, ამ დროს ის მცირეფორმიან პროზაულ ტექსტებს (ნოველებსა და მინიატურებს) წერდა და რეალობის აღქმას „განსხვავებული“ შემოქმედებითი ფორმებით ცდილობდა; შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ დროს მწერლს მხატვრული აღქმის თეორიულ — მეთოდოლოგიური ფორმატი ცალსახად ჩამოყალიბებული და მიზანდასახული ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ ის შემოქმედებითი ძიების გზაზე იდგა და გამოსახვის საშუალებათა სათავეს მოდერნისტულ შეხედულებებში ხედავდა; ამდენად ეს არ იყო იმპრესიონისტული თეორიების ჩამოყალიბებული და მიზანდასახული შემოქმედებითი ათვისება, არამედ ამ შეხედულებათა ბაზაზე ინტერპრეტაცია, ტენდენციათა გათავისება და მხატვრული ვარიაცია უფრო იკვეთებოდა.

შესაბამისად, თანამედროვე სალიტერატურო კვლევებში აზრთა სხვადასხვაობაა ლეო ქიაჩელის ლიტერატურული მეთოდის თაობაზე; მიჩნეულია, რომ შემოქმედებითი მუშაობის ადრეულ ხანაში, მეთოდოლოგიური თეორიების გაუცნობიერებლობისა და გაუთავისებლობის კვალობაზე მწერლის ლიტერატურული ნარატივი სიმბოლისტური და იმპრესიონისტული საწყისების ერთგვარი დაპირისპირებით ხასიათდება, რაც ისევედასევე მწერლისეული თავისუფალი და შემოუსაზღვრელი აღქმის შედეგია. ხაზას ვუსვამთ: აქ იგულისხმება მხოლოდდამხოლოდ მწერლის ადრეული შემოქმედებითი ეტაპი, თორემ შემდგომში მისი შემოქმედების იდეოლოგიზაცია, სოციალისტური რეალიზმის პრინციპოთა გაზიარება და ჟანრული სახეცვლილებაც (ფართოფორმატიანი მოთხრობა და რომანი) და შედეგად მოდერნისტულ აღქმათა ქრობაც უდავო ფაქტია.

ლეო ქიაჩელის ლიტერატურული ბიოგრაფია 1909-1910 წლებში იწყება, შემოქმედების ამ ეტაპზე ის ძირითადად ნოველებს წერდა

ევროპული მოდერნისტული ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი სკეპტიციზმიც სწორედ აქ იჩენს თავს, ცნობიერდება მძაფრი ჭიდილი მწერლის რეალისტურ ბუნებასა და ახლადგაცნობიერებულ განწყობილებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ რეალისტურ-კლასიკური მიმართულება ლეო ქიაჩელის შემოქმედების პირველ ეტაპზეც იკვეთება, აქვე ჩანს მოდერნისტულ (იმპრესიონისტულ) შეხედულებათა კვალობაზე ჩამოყალიბებული ლიტერატურული ნაკადი.

იმპრესიონისტული მსოფალქმისათვის დამახასიათებელი სკეპტიციზმი და ჭიდილი რეალისტურ შეგრძნებებთან ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში დუბლიკაციის თეორიის მხატვრულ გააზრებას ბადებს, ამ თვალსაზრისით აღსანიხნავია ნოველა „მე და ჩემი ორი მე“, სადაც მოქმედება ავტორისა და მისი ორეულის შეპირისპირების ფონზე იკვეთება. „ქვეყანაზე ვერავინ გაიგებს შენს გაქრობს, არავინ შენუხდება, არც არავის გაეხარდება, შენ თვითონ თქვი, ღირს კი სიცოცხლე რამედ?“ ინდივიდში ჩასახლებული რამდენიმე „მეს“ ანუ რეალური და ფანტასტიკური „მეების“ ჭიდილს პიროვნება განადგურებამდე მიჰყავს, ყოფნა-არყოფნის მარადიული საკითხის ფონზე საჭიროებისა და ამაოების, დაღუპვისა და გადარჩენის მარადიული პრობლემა იკვეთება; სამყაროს გაცნობიერება, აგნოსტიკური აღქმა საკუთარი შეგრძნებების კვალობაზე ხორციელდება. „სანუგემო ისლა დამრჩენია, რომ ოდესმე, სადმე შეიძლება ჩემი მეობა ახალი სახით აღსდგეს თქვენგან დამოუკიდებლად“. საკუთარი თავის შეცნობის სურვილი სამყაროში სუბიექტივური სანყისის იმპრესიონისტული თეორია ლეო ქიაჩელის სხვა მხატვრულ ტექსტებშიც ჩნდება, ამ ტვალსაზრისით საყურადღებოა ნოველები: „ზრაპარი ბედნიერებაზე“, „რაც იყო და რაც არ იყო“, „კრიმანჭული“, „ისკანდერი“, „დახურული წარმოდგენა“, „შეურაცხყოფილი“, „სტიფანე“, „ჯადოსანი“, „ცოდვის შვილები“, „სგალადე“... აღნიშნულ მხატვრულ ტექსტებში ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი აღქმის გზა იმპრესიონისტულ ესთეტიკას მიყვება „სამყარო, როგორც ობიექტური რეალობა, თუ სამყარო, როგორც შეგრძნებათა კომპლექსი?! — ამ კითხვის პასუხს („შეურაცხყოფილი“) ავტორი საკუთარი მხატვრული ინტუიციით შექმნილ სამყაროში ეძებს; „ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“ („სგალადე“), ადამიანის სულიერი შვების, ბედნიერების ძიების გზაზე მწერალი პიროვნული პოზიციიდან მსჯელობს, თუმცა მისი პოზიცია ამ შემთხვევაშიც ფილოსოფიური სკოლების ცნობილ თეორიებს ეყრდნობა: „ბედნიერებას ყველა ნატრობდა, მაგრამ ბედნიერება არსად იყო. უბედურებას კი თავიდან ვერავინ იცილებდა“ („ზლაპარი ბედნიერებაზე“). რეალურისა და ილუზიურის ცვალებადობა დადგენილი და მიღე-

ბული კანონზომიერების პირობითობაზე წამოსახვითობაზე, ნეგაციის ფორმაზე მიუთითებს, რადგან „სულ წამდვილი სინამდვილე არავინ იცის“ („შეურაცხყოფილი“). აქედან გამომდინარე, ამაოა იდეალის ძიებაც და „ჭეშმარიტი სამყაროს“ აღქმის კიტერიუმებიც პირობითია ... („Esgalade“). ფანტასტიკური სამყარო კი სიმბოლისტთა მიერ „აღქმული მინას“ - ტრანსცენდენტულ, მშვიდ ნირვანას როდი ჰგავს, იმპრესიონისტული სამყაროსათვის დამახასიათებელი მძიმე რეალობის ხედვა არც ლეო ქიაჩელის მხატვრული ტექსტებისთვისაა უცხო; სამყაროს აღქმა ხშირად ბოროტების, სიკვდილის, მოჩვენებათა ხარხარის თუ ჯადოსანთა შელოცვების („ჯადოსანი“, „ისკანდერი“) ფანტასტიკურ მისტერიებშიც მოიაზრება.

ინდივიდუალურ შეგრძნებათა მეოხებით, შთაბეჭდილებების ფიქსაციით, დუბლიკაციისა და დუმილის სიმბოლიკის წარმოჩენით („სტეფანე“) ავტორი ცდილობს განცდები მკითხველსაც გაუზიაროს. დუმილისა და მეტყველების ჭიდილი, სიჩუმის სიმბოლურ დატვირთვაზე მინიშნება „უსიტყვო მეტყველების“ აზრი და აქედან პანთეიზმის ფილოსოფიის გათავისება („სტეფანე“) ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი წარმოსახვის ფორმად იქცა, „ყველაზე უკეთესი ამბავი ის არის, რომელიც უსიტყვოდ ესმის ყველას“ .

ამდენად, „სტეფანე“ დუმილის არსის ფილოსოფიური გააზრებისა და გამოხატვის საინტერესო ცდას წარმოადგენს, მასში თავისებური ფორმით უპირისპირდება ერთმანეთს დუმილი და მეტყველება და ამ დაპირისპირების დროს სიჩუმეს ენიჭება უპირატესობა. ეს კარგად ჩანს ნოველის მთავარი პერსონაჟის — სტეფანეს ცხოვრების მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ მეზადური სტეფანე თავისი უწყინარი ტყუილებით მთელს სოფელში განთქმული იყო და ყველა სიამოვნებით უგდებდა ხოლმე ყურს, ეს უცნაური კაცი მაინც დუმილს ანიჭებს უპირატესობას. ამ რწმენამ დაამეგობრა ის მუნჯ თანასოფელთან, ისინი საათობით სხედან გვერდიგვერდ და დროს „უსიტყვო მეტყველებაში“ ატარებენ... მშვენიერი წამის ესთეტიკაც აქ იბადება.

ნოველაში „შეურაცხყოფილი“ ავტორი ცდილობს გადაწყვიტოს ამოცანა: „სამყარო, როგორც ობიექტური რეალობა თუ სამყარო, როგორც შეგრძნებათა კომპლექსი?“ — ამ კითხვის დასმა ბუნებრივია, უკვე გულისხმობს იმპრესიონისტული იდეის გამოკვეთას, მხატვრულ ტექსტში შთაბეჭდილების დაფიქსირებას და სოციალური ფუნქციის მოხსნას. ლეო ქიაჩელისთვისაც, როგორც იმპრესიონისტი მწერლისთვის უმნიშვნელოდ იქცა მოვლენის არსი და წინა პოზიციაზე გადმოინაცვლა იმ წმინდა ინდივიდუალისტურმა შეგრძნებებმა, რომელიც უშუალოდ ფაქტიდან იყო გამომწვეული ანუ სამყარო შეგრძნებათა მე-

ოხებით, შედეგად თავად მოვლენის რეალურობა გარკვეულად კითხვის ნინაშე დადგა, მან პირობითობის ნიშანი მიიღო...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედების პირველ ეტაპზე ლეო ქიაჩელის ნაწარმოებები გარკვეულწილად სიმბოლისტური მსოფლალქმის კვალსაც ატარებენ, რაც აღნიშნული „დუმილის ფილოსოფიის“ და ე.წ. „დუალისტური თეორიის“ ქვეცნობიერმოვლენათა ახსნაში იკვეთება. უკანასკნელი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნოველაში „მე და ჩემი ორი მე“, სადაც მოქმედება ავტორისა და მისი ორეულების ფონზე იშლება. ამ რეალური და ფანტასტიკური „მეების“ დაუსრულებელ ჭიდილში შემოქმედის (ლირიკული გმირის) ამქვეყნიური ტრაგედია იშლება: ყოფნა არყოფნის საკითხი, არსებობის, საჭიროების და ამაოების მქენჯნავი კითხვა, დალუპვისა და ხელახალი გაცოცხლების დაუსრულებელი მისტიკა — მოდერნისტული ფანტასტიკის დამახასიათებელი ნიშანი.

ეს მემკვიდრეობა „ჯადოსანშიც“ ცნაურდება, სადაც სიმახინჯის იდეალიზაციის მწერლისეული ინტერპრეტაცია და სიმბოლურ-იმპრესიონისტული მეთოდოლოგიის ერთგვარი სინთეზი იკვეთება. „არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად, ან როგორც გერმანელები იტყვიან უნ სიცჰ, თუ იგი მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია?...“ „რანაირია იგი თავისთავად და რანაირია იგი, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?...“ (ქიაჩელი 1964: 47) ამ კითხვების კვალბაზე იშლება მწერლის მოდერნისტულ-შემოქმედებითი ანალიტიკა. ლეო ქიაჩელის მხატვრულ ნააზრევში ადამიანის სუბიექტური აღქმის ასპარეზი და მასთან მისვლის ინდივიდუალური არჩევანი განსხვავებულად წარმოაჩენს მის შესაძლებლობებს და თავად მასაც სამყაროს ნინაშე („ჯადოსანი“), ისინი ზოგჯერ უჩვეულოდაც გამოიყურებიან, თუმცა ეს უჩვეულობა ავადმყოფობა, ჯადოსნობა, სიმახინჯე მოდერნისტისათვის და მისი პერსონაჟისათვის რეალური და მისაღები მდგომარეობაა და უფრო სიმპტომატური ირეალური სამყაროს, სხვა რეალობის შესაცნობად თუ ცხოვრებისეულ ყოველდღიურობასთან ადაპტაციისათვის.

იმ ფაქტზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ ლეო ქიაჩელი ლიტერატურადმცოდნეობით დისკურსში თავადაც უსვამდა ხაზს საკუთარი შემოქმედების ნიშანდობრივ თვისებებს: „ისინი შეიცავენ ავტორის სუბიექტურ განწყობილებებს და ემოციას უპირველეს ყოვლისა, ხოლო ფორმის მხრივ, მათ ახასიათებთ აზრისა და სიტყვის ნიუანსი და დახვეწილ, ესთეტიზირებულ დეტალებზე აგებული ლირიკული-იმპრესიონისტული სტილი, ხოლო კომპოზიციურად ლექსისმაგვარი აღნაგობა“ (ქიაჩელი 1964: 57), მწერლის მიერ საკუთარი შემოქმედების დახასიათება, გარდა მკითხველისათვის მისი თავისებურებების ხაზ-

გასმისა, მოდერნისტული ნარატივის დამახასიათებელი ფორმაცაა — ავტორმა თავად წარმოადგინოს პოზიცია თუ განმარტებანი საკუთარ მხატვრულ ნააზრევზე.

„იმანანტური თვალსაზრისით მხოლოდ რეალური ქმედებაა წარმოსახვის ილუზია და პროდუქტი“ — რიკარტის (გამანი 1955: 51) ამ სიტყვების მხატვრული პროდუცირება სწორედ ლეო ქიაჩელის აღნიშნულ ლიტერატურულ ტექსტებში ხორციელდება.

იმპრესიონიზმის ქართულ ანალოგებზე საუბარი საერთოდ არ შედეგობდა, ნიკო ლორთქიფანიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა რომ არ არსებობდეს. მიუხედავად აღნიშნული მაგალითებისა, იმპრესიონისტული ტენდენციებს ქართულ მწერლობაში ძირითად შემთხვევებში ფრაგმენტული და სპონტანური იერი უფრო აქვს, ვიდრე მეთოლოგიურად გათავისებული და ინდივიდუალური, სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის ლიტერატურული ბიოგრაფიის გარეშე, რომელმაც საბოლოო სახე და ფორმა მისცა ქართულ იმპრესიონიზმს, როგორც ასეთს.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით პერსონასთან მიმართებაში მთელი წარმოსახვით მუშაობს იმპრესიონიზმის ევროპული სკოლების გამოცდილების თეორიაც, მსოფლმხედველობრივი და ინდივიდუალური სათავეების შეთავსების პრინციპიც, ანტერტექსტისა და ალუზიის თეორიაც და შემოქმედებითი შეხედულების ჩამოალობების კონცეფციებიც. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ლორთქიფანიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში აღნიშნული პოზიციები ერთმნიშვნელოვნად ცხადდება, ის ამ ლიტერატურული სრულყოფისა და ზოგადად შემოქმედებითი ფორმირების ისტორიაში ყოველთვის მარტო იყო. მეთოდის გათავისების რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესში ის საქართველოში არსებულ არცერთ ლიტერატურულ სკოლას არ მიკუთნებია და არც თავად უცდია საკუთარი მხატვრული არჩევანისათვის ორგანიზებული ფორმა მიეცა და მიმდევრები თუ თანამოაზრეები ეძია.

ფაქტია, ნიკო ლორთქიფანიძემ შემოქმედებითი თხზვის იმპრესიონისტული იდეები სტუდენტობის ხანიდან წამოიღო, მაშინ, როცა ის ავსტრიაში სწავლობდა, სადაც ლიტერატურული იმპრესიონიზმი იმ დროს შემოქმედებით ამინდს ქმნიდა. პიტერ ალტენბერგის, ოსკარ უაილდის ლიტერატურასთან ზიარებამ მწერლის შემოქმედებითი არჩევანი იმათავითვე განსაზღვრა, და საქართველოში გერმანული ენის ჩინებული მცოდნე და ჩამოყალიბებული იმპრესიონისტი დაბრუნდა.

ათიანი წლების დამდევისათვის ქართველმა მკითხველმა და ლიტერატურულმა კრიტიკამ შეიცნო იმპრესიონისტული მეთოდის მიმდევარი, რითმული მინიატურების ავტორი („ბალჩა“, „გზა“, „შენზე ცუდს



მაინც ვერაფერს ვიტყვი“, „შემომქმედი ძალა“, წინათ და ახლა“, „ერთი დრამის ეპიზოდი“, „მოჰკლეს ღმერთი“), რომელიც განსხვავებული მანერით წერდა, ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიურ ტრაქტატებს ეხმიანებოდა და საკუთარი შთაბეჭდილებით აღქმული სამყაროს ავ-კარგს წარმოსახავდა: „ღმერთი მოკვდა, მოკვდა კაცთა გულში, მოკვდა რმერთი და დადუმდა ბიუნება“ („მოკლეს ღმერთი“).

ამ ფაქტის თაობაზე „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს აკაკი პაპავას გამოხმაურებაც დაიბეჭდა სათაურით „ჩვენი ახალგაზრდა პოეტები და იმპრესიონისტული მეთოდი“ აღნიშნული მინიატურების გამო ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი პერსონა განიხილებოდა, როგორც ინდივიდუალური ხედვის ჩამოყალიბებული მხატვრული ფორმის მქონე ავტორი. ცხადი იყო ამ მხატვრულ ტექსტებში განსაკუთრებულად გამოიკვეთა ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც მწერლის, ასევე პიროვნების მიზანმიმართული მხატვრულ ესთეტიკური არჩევანი და ცხოვრებისეული თუ შემეცნებითი შთაბეჭდილებანი. სტუდენტობის წლები, რომლებიც მან ავსტრიაში გაატრა, ბუნებრივია გულგრილს ვერ დატოვებდა შემოქმედებითო იმპულსებით დატვირთულ და გამოსახვის საშუალებათა მაძიებელ შემოქმედს, მითუმეტეს — ავსტრიაში, ვენაში, სადაც იკვეთებოდა ლიტერატურული იმპრესიონიზმის გზაჯვარედინი... და შედეგად თანამიმდევრული აღმოჩნდა: ნიკო ლორთქიფანიძემ თავიდან ბოლომდე გაიზიარა იმპრესიონიზმის ევროპული გაკვეთილები და საქართველოში არა გაუცნობიერებელი და თავისუფალი ტენდენციებისა თუ ვარიაციების მიმდევარ ლიტერატორად, არამედ ჩამოყალიბებულ იმპრესიონისტულ-ესთეტიკური შეხედულებების მქონე მწერლად დაბრუნდა.

ნიკო ლორთქიფანიძის ამგვარი მეთოდოლოგიური გეზი არც სხვა ქართველ მოდერნისტებს დარჩენიათ ყურადღების გარეშე. 1919 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (№ 1) გამოქვეყნებულ წერილში სანდრო ცირეკიძემ ნიკო ლორთქიფანიძე „ქართული მინიატურის ყველაზე უფრო პოპულარულ ოსტატად გამოაცხადა: „ლორთქიფანიძე იმპრესიონისტი... ის აიღებს რომელიმე ნაჭერს მთელისას და ამოხატავს“ (ცირეკიძე 1919: 2) თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმპრესიონისტულ თეორიებს ნიკო ლორთქიფანიძისათვის „თავბრუ არ დაუხვევიათ“, მხატვრული ტექსტებით ევროპული ანალოგების მწერალი კოპირებას არ ცდილობდა; თუკი ადრეულ პროცესებში ძიების პროცესი და ემოციური სწორება მოდერნისტულ-მედიტაციური ფორმატისაკენ საცნაურია, მოგვიანებით მწერლის მხატვრული, სააზროვნო და გამომსახველობითი არეალი უფრო გაფართოვდა, დაიხვეწა და მთავარი დამახასიათებელი ნიშანიც გამოიკვეთა: ნაციონალური იდეის

მხატვრული დამუშავება, სწორედ მწერლის მიერ არჩეული იმპრესიონისტული აღქმის კვალობაზე.

შემოქმედებითი ჩამოყალიბების ეს ისტორია ათიანი წლების დასაწყისიდან უკვე იკვეთება და თანდათან იხვეწება. ეს ტენდენცია გამოჩნდა ნოველებში „უილქნოდ“, „ხელოვანთა ყავახანა“, „შენ ვინ ხარ?“, „ცხოვრების მეფენი“, „ფეოდალები“, კერიასათვის“, „ტაბაკელა“, „რა გენაღვლება მე რომ მიყვარდე“, „დაბრუნებული ჟამი“, „მოირა“, „არაფერი ყოფილა“, „ზღაპარი მეფის სასახლეში“, „ბავშვი“, „სიკვდილი“, „ბედნიერება“, „მთავარიან ლამის ჩრდილში“, „ბოროტმოქმედნი“

„მწერლები, გმირის ცხოვრებას თუ მიჰყვეს ხელი, დაიწყებენ იმ ნამიდან, როცა პირველად აახილა თვალი მოქმედმა პირმა და ჩაყვებიან უკანასკნელ სადგომში — საფლავში, გაჭიანურებული სიტყვათა ფრქვევა ჟამივით შეგაძულებს გმირსაც და მის ბიოგრაფიასაც... მე სხვადასხვა ფურცელს მოგანვდენ ცხოვრებიდან, მათი ერთმანეთთან შეკავშირება სენთვის მომინდია... მე მაინც მგონია, მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეღმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის, მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული თავთავის ადგილზე ჰპოვოს... მწერალმა მარმარილო, ტილო, სურათი, აზრი, ჩარჩო, ორისამი ხაზი უნდა დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს“ (ლორთქიფანიძე 2002: 103) ნიკო ლორთქიფანიძის ეს სიტყვები მისივე მხატვრული მეთოდის გასაღებად უნდა მივიჩნიოთ.

ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონისტული თვალსაზრისის ყველაზე ტავისთავადი და ნიშნული გამოვლინება მაინც ნაციონალური თემატიკის მხატვრული რეცეფციაა, შემოქმედებითი ბიოგრაფიის არცერთ ეტაპზე, მათ შორის ევროპული მოდელის ყველაზე აქტიური ათვისებისა და ინსტალირების ხანაშიც კი იმპრესიონისტული კოსმოპოლიტიზმი (ალტენბერგი, ჰამსმუნი) მწერლის მხატვრულ ნარატივში საცნაური არ არის, პირიქით პატრიოტული განცდები, ეროვნული თვითშეგნების პრობლემა, მოქალაქეობრივი სტატუსი-პოზიცია ყოველგვარი ალეგორიის გარეშე, შიშველი განცდის სახით ტექსტიდან ტექსტში გადადის.

„იყიდება საქართველო“, „შელოცვა რადიოთი“, „გული“, „რეკა“, „იყიდება საქართველო“, „დადიანის ასული და მათხოვარი“, და სხვა მინიატურებში არსებულმა ნაციონალური იდენტობის გამოკვეთილმა პრობლემატიკამ განაპირობა კიდევ ქართული იმპრესიონისტული ნარატივი.

უნდა აღინიშნოს რომ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება იმპრესიონისტულ პირველწყაროებს მხატვრულ-სტილური ათვისებით



უფრო უახლოვდება და ის ძირითადი სიმბოლური ბინარები, რომლებზეც იმპრესიონისტული შემოქმედებითი სამყარო დაფუძნდა, შემოქმედებითად მწერალს თავიდან ბოლომდე გაითავისებული აქვს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სიმბოლური აღქმა, რომელიც მწერლის მხატვრულ მეშვეობაში ორმაგი სტანდარტის პოზიციიდან წარმოჩნდება; ერთის მხრივ ესაა კავშირი კლასიკურ და ტრადიციულ მხატვრულ-შემოქმედებით აღქმასთან, ხოლო მეორე მხრივ, იმპრესიონისტული მხატვრულ ანალიტიკასთან. ამგვარი სინთეზური აღქმა ჩნდება მზის, ქალაქის ან თუნდაც ზოგადად ფერის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ინიციაციის გაცნობიერებისას. ეს დამოკიდებულება კნუტ ჰამსუნის, ანტონ ჩეხოვის, ჯეიმს ჯოისის, ანდრე ბელის, რემი დე გურმონის შემოქმედებით შეხედულებათა პარალელურად ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებში: „თავსაფრიანი დედაკაცი“, „საშობაო მინიატურები“, „ზღაპარი მეფის სასახლეში“, ცხოვრების მეფენი“, „უილქნოდ“, „ტაბაკელა“ და სხვებში ერთმნიშვნელოვნად ცნობიერდება.

მინიატურაში „შენ ვინ ხარ“ სუბიექტური აღქმის და სიუჟეტის ლაკონურ-სასპენსური ფორმატი იმპრესიონისტული აღქმის კანონს მიჰყვება: მეფის მიერ მისი ასულისადმი სიყვარულის გამო ქვეყნიდან გაძევებული ახალგაზრდა მხედრის საძიებლად თავად ქალი მიდის... წლების შემდეგ ხვდებიან ისინი ერთმანეთს, მაგრამ სიყვარული ვეღარ იმარჯვებს „შენ ვინ ხარ?“ ეკითხება ჭაბუკი ქალს, რომლის სილამაზე დრომ იავარქმნა...

იმპრესიონისტული ხედვა ცნობიერდება ნიკო ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატურებშიც“ („სარეცელზე“, „იყიდება საქართველო“, „ბრმა თერძი“), ამ მხატვრულ ტექსტებთან ზიარებისთანავე ცხადდება, რომ ყოველი მათგანი დამოუდებელი შინაარსის მატარებელია, თუმცა იდეა და გამამთლინებელი ლერძი აქ საუკუნეთა შორეთიდან მომდინარე მაცხოვართან დაკავშირებული ნუგეშისა და წყალობის გამოხატვა თუ ძიებაა. „იქ, სადღაც შორს, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცამოჭედელ ლამეს მღვიმეში დაიბადა ისეო, ძე ქალწულის მარიამისა, ნაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი“- ეს პროლოგი (და ეპილოგიც) ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურულ პროზის ერთგვარ ემბლემად იქცა. ნაწარმოებში წარმოჩენილი ადამიანთა ყოფის დრამატიზმი სრულ კონტრასტშია ამ იმედიან ღვთისმოსაობასთან, რომლის მქადაგებელადაც უფალი მოეწვინა კაცობრიობას. უიმედობა „საშობაო მინიატურებში“ ავტორმა სამი კუთხიდან წარმოაჩინა: პირველი — განგების მკაცრი განაჩენი უმწეო არსებისადმი, რომელიც სიკვდილის სარეცელზე ნეკს და სანთელივით ქრება („სარეცელზე“), ამ მინიატურაში ნათლად

იკითხრება საყვედური უზენაესისადმი — ამაოდ ქცეულა მის სახელთან საუკუნეთა განმავლბაში დაკავშირებული რწმენა და იმედი გნწირულის მიმართ თანადგომისა. იგივე აზრი იკითხება მესამე მინიატურაშიც („ბრმა თერძი“), კაცი ხელმოცარული ბრუნდება შინ, სარჩოს ძიების ეს დღეც უშედეგოდ დასრულდა შინ კი შიმშილისაგან დაოსებული ოჯახი ხვდება. მეორე მინიატურა („იყიდება საქართველო“) გარკვეულად ხდება და ერთგვარი განმარტებაც, დასახელებულ მინიატურებში წარმოდგენილია იმ უმძაფრესიბდა ტრგიკულ მოვლენათა მიზეზისა თუ არსისა. აქ მთელი სიგრძე სიგანითაა გამჟღავნებული ეროვნული ტკივილი, ადამიანთათვის შვების მიმნიჭებელ შობის წმინდა ღამეს ცხოვრების არსზე ცრემლიან გოდებას მწერალმა ეროვნული თვითშეგნების ან-მყოზე აღმოცენებული მძაფრი ტკივილიც დაუნყვილა. „საასპარეზო მოედნად“ გასაყიდ ნივთად ქცეული ქვეყანა: ქუჩა და სახლი, თეატრი და სასამართლო, სასწავლებელი და სატუსაღო. ამ ეროვნულ უსასოობას თანდათან ცვლის გამოსავლის ძიების, ბრძოლის, თვითმყოფობის შენარჩუნებისაკენ მოწოდების პათოსი, ამ თვალსაზრისით ნიშნეულია ნოველა „ლიტერატურული საღამო“, სადაც ავტორი პათეტიკური ტონით გამოხატავს საკუთარ პოზიციას: „მთვარიან ღამით ბაგრატის ტაძრის ნანგრევები თალხით მოსილ ჭირისუფალივით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ: მოუარეთ საქართველოს, მოუარეთ საქართველოს!“.

სალიტერატურო კრიტიკა ქართული იმპრესიონისტული ნარატივის ეტალონად „თავსაფრიან დედაკაცს“ აღიარებს: მრავალსიტყვიანობისაგან დაცლილ-განრიდებული ემოციების ფოიერვერკი, რამდენიმე ფურცელში მოთავსებული ცხოვრება და ისტორია ადამიანისა წმინდანწყლის იმპრესიონისტული ნარატივია. ტექსტში ისახება იმპრესიონისტული თხრობის მანერისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, ავტორი თავისთავად შთამბეჭდავ ისტორიას კიდევ უფრო ამძაფრებს ემოციური აქცენტებით და სუბიექტური პოზიციის წარმოჩენით („დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“), ყოველი მოქმედება მიუხედავად ხაზგასმური ლაკონურობისა და ლაპიდარულობისა ზედმინაწენით სრულიად დამწყობრად არის წარმოჩენილი. ავტორი ემოციურად გამოხატავს ლირიკული გმირის სულიერ განწყობილებას და მის პიროვნულ დამოკიდებულებას რეალურ, მძიმე ყოველდღიურობასთან და აქედან გამომდინარე სამყაროსთან, მწერლის მიზანია საკუთარი თვალთახედვიდან მოუძებნოს ახსნა საკითხებს, რომელიც ადამიანის, პიროვნების, ზნეობრივ, მორალურ იმპერატივთან არის დაკავშირებული.

მსოფლიო იმპრესიონისტული ისტორიის მნიშვნელოვან ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ „შელოცვა რადიოთი“, რომელიც მიზანმიმართულად ევროპულ მოდელზე აგებული მხატვრული ფორმატი და ამასთან ერ-

თად, ნაციონალური ნიშნით გამოირჩევა. აღსანიშნავია ასევე მოთხრობა „უილქნოდ“, რომელიც ქართული იმპრესიონისტული ნარატივის ერთგვარ „ჩარჩოდ“ შეიძლება მივიჩნიოთ. თავად სათაურიც „უილქნოდ“, ანუ ყოველგვარი წინასწარგამიზნულის და განზრახულის გარეშე თავისთავად იმპრესიონისტული იდეის გამომხატველია.

ადამიანის ცხოვრების აზრი, სიყვარულის მარადიულობის საკითხი, სიკვდილისა და სიცოცხლის ჭიდილი და არსი ადამიანის ყოფისა, ღირებულებანი და ფასეულობანი, რომლებიც პიროვნების, პერსონაჟის სულიერ სამყაროს წარმოაჩენენ, ფიქრი სიკვდილზე და წარმავლობაზე-სწორედ ესაა ის პრობლემატიკა და „მარადიული საკითხავები“, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ნოველათა იდეებს.

ავტორი ჩვეულებრივ გმირების ცხოვრებიდან ფრაგმენტული სახით გამოირჩევეს ყველაზე არსებითსა და შთამბეჭქდავ ეპოზოდებს. პერსონაჟთა ცხოვრებისეული ბიოგრაფიიდან გაცოცხლებულ სწორედ ამგვარ „სიუჟეტურ ნამსხვრევებში“ კონდენსირდება ნაწარმოების ძირითადი სათქმელი.

მოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიეთებელი ნიშანი — ნაცნობ, უკვე ნამოჭრილ ან დაუმუშავებელ პრობლემატიკასთან მიბრუნება, მათი ხელახალი მხატვრული ტრანსფორმირება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაშიც საცნაურია. იგულისხმება თემები, რომლებიც იმპრესიონისტული ლიტერატურისათვის სიმპტომატურია და თავად ავტორსაც არაერთხელ მიუმართავს მისთვის. ამ მხატვრულ ტექსტებში კიდევ უფრო იკვეთება ლიტერატურული რემინისცენციაც და ინტერტექსტიც.

მთვარეზე დადის, ზღვის ფსკერში ჩადის.  
ახდენს მრავალგვარ ბევრ სასწაულებს,  
ცხოვრების წესებს ძალით ასრულებს.  
ვერსად იშორებს სიცოცხლის აზრებს,  
მუდამ აჩალებს მინაზე ხანძრებს.  
ცხოვრე(ბა) წესებს ასე განაგებს,  
ხან ცეცხლით ანგრევს, ხან სისხლით აგებს.  
შრომობს და იბრძვის თან ლაპარაკობს,  
ქმნის ზღაპრულ ამბებს, ბევრს საარაკოს,  
მათ შორის ბრძოლა არ გათავდება,  
ორნივე დრო-ჟამით კვლავ გაავდება.\*  
სოხო 21. 12. 75 (ქიმერიძე 1976, ხელნაწერის უფლებით)

დიმიტრი ქიმერიძეს ეკუთვნის პოემა, რომლის პირობითი სათაურია “ბედზე მოგზაური (ეპიზოდი ქართლის ცხოვრებიდან)”. პოემის ნაწილი ავტორს შეუტანია მესამე კრებულში. ჩანს, რომ მასზე მუშაობა იმ დროისათვის არ ჰქონდა დასრულებული.

დიმიტრი ქიმერიძე გარდაიცვალა 1987 წლის 31 დეკემბერს, 78 წლის ასაკში. დაკრძალულია სოხო-მონბელიარის ძმათა სასაფლაოზე. მისი შემოქმედება დღემდე უცნობია ქართველი მკითხველებისთვის.

## დამოწმებანი:

**ბერშიდ-ქიმერიძე:** ბერშიდ-ქიმერიძე ი. ბაბუის ნაკვალევზე: ფრანგული დღიური. <http://www.kimerioni.de/?p=42>

**გუშაგი 1987:** გუშაგი. ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში. „თავისუფლების ტრიბუნის“ გაგრძელება. №12, თებერვალი, პარიზი: 1987.

**ვირშკე 1996:** Wierschke, A. *Schreiben als Selbstbehauptung. Kulturkonflikt und Identität in den Werken von Aysel Özakin, Alev Tekinay und Emine Sevgi Özdamar*. Frankfurt/M: Verlag für Interkulturelle Kommunikation 1996.

**სარჯველაძე 1970:** სარჯველაძე პ. წინასიტყვაობა დიმიტრი ქიმერიძის წიგნზე „ნაპერნკლები გულიდან“. პარიზი: 1970.

---

\* დიმიტრი ქიმერიძის შემოქმედება დღემდე უცნობია ქართველი მკითხველებისათვის. ჩვენს კვლევაში შესული დოკუმენტურ მასალებთან, მათ შორის, ხელნაწერებთან მუშაობის შესაძლებლობისათვის მადლობას ვუხდით ქალბატონ ირმა ბერშიდ-ქიმერიძეს და ქალბატონ რუსუდან კობახიძეს.

**ქავთარაძე 1997:** ქავთარაძე მ. *ნაწერები და სიტყვები 1960 წლიდან 1991 წლამდე*. მასალები ემიგრანტული პრესის მკვლევართათვის. პარიზი: 1997.

**ქიმერიძე 1960:** ქიმერიძე დ. *ნაპერწკლები გულიდან, ლექსები*. სოჭო: 1955-1960.

**ქიმერიძე 1976:** ქიმერიძე დ. *ცხოვრების ქარავანი*. ხელნაწერი წიგნი. ქართული ემიგრაციის მუზეუმი. ფნ/ქ-674

**ჩიჯავაძე-კედია 2002:** ჩიჯავაძე-კედია ს. *ნასმენ-ნახული*. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. პარიზი: 2002.

**ხაბულიანი 2002:** ხაბულიანი ჟაკლინ (ვენერა). *უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები*. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბლიეიშვილმა. თბ.: „უსტარი“, 2013.

## IRMA RATIANI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **„Cosmopolitanism and Patriotism” by Vaja-Pshavela – Declaration or Warning?**

A very important publicist work by Vaja-Pshavela – “Cosmopolitanism and Patriotism” was published in 1905 and became one of the most discussed topics among the intellectual society of Georgia. The publication of the essay with this kind of content was a considerable fact in the beginning of 20<sup>th</sup> century when the controversy between the different countries and people revealed other types of essential controversies like: National and Colonialist determinations, Free thinking and Ideology, Spirituality and Scientific-Technical progress. Due to all these circumstances Vaja-Pshvela’s idea was assessed as a declaration of writer’s strong position. But, was it just a declaration? Maybe it was a prophetic warning of the danger which was going to threaten regularly not only Georgia, but other countries throughout the world? What was the attitude of Georgian society towards the writer’s position and are there any analogies in the western thinking?

**Key words:** *cosmopolitanism, patriotism, values.*

## ირმა რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ვაჟა-ფშაველა — „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. მტკიცება თუ გაფრთხილება?

რეალიზმის ლიტერატურული სკოლა და მეთოდი მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განხილვადი თემაა. წამყვანი თეორეტიკოსები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ მისი კლასიფიცირების, სისტემატიზების, იდეოლოგიური მოდელების დადგენისა და სტილისტური ხერხების შეჯერებისათვის. ყველა ამ მეცადინეობის შედეგად კი ერთი რამ ნამდვილად ცხადია: რეალიზმი მართლაც კონტექსტზე მჭიდროდ დამაგრებული სააზროვნო და გამომსახველობითი მოდელია, რომლის თემატიკა და პრობლემატიკა ყოველთვის ადექვატურად ებმის ეპოქის მოთხოვნებს.

მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიდრე საუკუნის ბოლომდე, რეალიზმის ლიტერატურულმა სკოლამ რთული და არაერთგვაროვანი გზა განვლო, ისევე როგორც თავად რეალობამ. თავდაპირველად ის წარმოადგენდა რეაქციას რომანტიზმისათვის ნიშანდობლივ სუბიექტივიზმზე: „რომანტიზმი ინარჩუნებდა გარკვეულ ილუზიებს და ახალი ცხოვრების არასრულყოფილების განცდას ამკვიდრებდა“, მოგვიანებით ჩამოყალიბებული კრიტიკული რეალიზმი კი იყო „ფხიზელი ანალიზი „დაკარგული ილუზიებისა“, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სამყაროს „ღვთაებრივი კომედია“ თანდათან იძენდა ყოფით მას-ასიათებლებს და „ადამიანურ კომედიად“ ყალიბდებოდა“ (ლიტერატურის თეორია 2001: 390). კრიტიკული რეალიზმი გახლდათ „მკვდარი სულების“, „ცოცხალი გვამების“, „დამცირებულებისა და შეურაცხყოფილების“, „ღარიბი ადამიანების“, აგრეთვე — გორიობის, ჩიჩიკოვების, ობლომოვების, თათქარიძეების სამყარო, მოთხრობილი დინჯი, აუჩქარებელი და დაკვირვებული მანერით. მწერლები უკირკიტებდნენ პრობლემას — „ადამიანი და სამყარო“, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან უკვე შეიძლება გადაინათლოს პრობლემად — „მე და სამყარო“ და განისაზღვროს, როგორც გარეხედვის ყველაზე კრიტიკული პოზიცია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში\*. მწერლების ხედვის არეალში მოქცეული იყო ცხოვრება მისი ყველა დეტალითა და პრობ-

\* აქ, ცხადია, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ასახვის რეალისტური მანერით შესრულებული პირველი ტექსტი არის ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“. რაბლეს ეპოქაში ძალზე ნაადრევია რეალიზმის ლიტერატურულ მიმდინარეობაზე საუბარი — ის მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაიმკვიდრებს თავს, მაგრამ რეალიზმი, როგორც მეთოდი სრულ ასახვას ჰპოვებს აღორძინების ეპოქის ამ გენიალური ავტორის თხზულებაში.

ლემებით — რეალისტები ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდნენ ცხოვრებას: მათ შემოქმედებაში ყოველ ნაბიჯზე შეიგერძნობა სინანული მიუღწეველი სამართლიანობის, დაუძლეველი მერკანტილიზმის და შეუსმენელი ტკივილების გამო. ამ პერიოდის ნამყვანი ლიტერატურული ჟანრები — რომანი, მოთხრობა, პოემა და სხვ. — წარმატებით იყენებდნენ სატირასა და იუმორს, გროტესკსა და ირონიას, რათა უკეთ გამოეხატათ ლიტერატურის პოზიცია: იდეალის აღმოჩენა ხომ მხოლოდ არსებულის კრიტიკისა და უარყოფის გზითაა შესაძლებელი! მწერლები ცდილობდნენ ჩანვდომოდნენ იდეალს, საამისოდ კი მეტად უნდა შეჭრილიყვნენ ცხოვრებაში, იქ, სადაც ადამიანი მუდმივ ჭიდილში იმყოფება ისტორიასთან, შესაბამისად, რეალიზმის კულტურულ მისიად ადამიანის ისტორიული დანიშნულებისა და ჭუმანურობის ძიება იქნა განსაზღვრული (ლიტერატურის თეორია 2001: 388)!

გამონაკლისს არც ქართველი რეალისტები წარმოადგენდნენ. ნათელია, რომ ისინი კარგად იცნობენ მსოფლიო რეალიზმის ლიტერატურულ კანონს (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ტექსტების მეშვეობით) და მისი ძირითადი ავტორების — გოგოლის, ზოლას, ბალზაკის, დიკენსის, გოტიეს, ნეკრასოვის, ტოლსტოის, ტურგენევის და სხვათა ტექსტებს; ახდენენ ისეთი საბაზისო რეალისტური თემების ადაპტირებას, როგორცაა — პიროვნებისა და საზოგადოების გართულებული ურთიერთობები, სოციალური ყოფის დეტალები, იდეურ-ზნეობრივი დილემები და სხვ. რეალიზმის ეს ფუძემდებლური მახასიათებლები, გამყარებული საერთო ესთეტიკური და პოეტიკური პრინციპებით, გვევლინება კიდევაც მსოფლიო რეალისტური სკოლებს, მათ შორის, ქართულის, მასთან ინტერაქციის მიზეზად.

საგულისხმოა, რომ კრიტიკული რეალიზმის პირობებში ლიტერატურული პროცესი არნახულად გამჭვირვალე და, თანაც, მართვადი ხდება: ავტორის ფიგურა რომანტიკული ბურუსიდან გამოდის და ტექსტში გადაინაცვლებს — ის უკვე ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ოსტატურად იყენებს ლიტერატურას საჭირობოროტო სოციალ-ეროვნული, ეთიკური და მსოფლმხედველობრივი ხასიათის პრობლემების გახმიანების ტრიბუნად. გარეფაქტორების აქტიური ჩართვა ლიტერატურულ პროცესში განსაკუთრებულ მიზნდასახელობას სძენს მათ: ავტორები ყურადღებით უსმენენ ეპოქის ხმებს (ბახტინი), ისინი არ იფარგლებიან მხოლოდ საკუთარი აზრით, არამედ, აინტერესებთ სხვათა აზრიც მათი აზრის შესახებ: მკითხველი აღარ არის გარეშე მსმენელი, ის ინტელექტუალური პარტნიორია იმ უზარმაზარ რეალისტურ დიალოგში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. რომანტიკული ინტროვერტულობა თანდათან ტრანსფორმირდება რეალისტურ

ექსტრავერტულობაში, ლიტერატურის პოლიტიზაცია და სოციალიზაცია კი მეტი თვალსაჩინოებით ავლენს ნაციონალურ განსხვავებებს: ქართული რეალიზმი „ქართული საკითხავითაა“ დატვირთული, რაც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან გარდაუვალად უკავშირდება ახალი ნაციონალური იდენტობის ძიებას, როგორც მიზანდასახულობას. ქართული კრიტიკული რეალიზმი ეძებს ასახვის რეალისტური მანერის სხვადასხვაგვარ შესაძლებლობებს საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების გადაჭრის საქმეში! ეროვნული თვითმყოფადობის იდეა ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარი იდეაა, რომელიც უპირისპირდება მის გზაზე აღმოცენებულ ნებისმიერ პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა სახის პრობლემებს.

მაგრამ, რეალიზმი პოლიტიკურად ინტენსიურ, სოციალურად დიფერენცირებულ და კულტურულად დეზინტეგრირებულ ეპოქაში მუშაობს, რომელიც სულ უფრო მეტი ინტენსიურობით ერთვება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში; შესაბამისად ღირებულებათა ჭიდილი — ყველა სახისა და სირთულის — რეალიზმის მთავარ მარკერად ყალიბდება. მე-19 საუკუნის მიწურულისთვის მსოფლიო რეალიზმი თავისი არსებობის ახალ ხანაში — გვიანი რეალიზმის მგრძნობელობაში შეაბიჯებს.

რეალისტმა მწერლებმა, რომლებმაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გვიანი რეალიზმის მგრძნობელობაში გადაინაცვლეს (დოსტოევსკი, ჩეხოვი, გი დე მოპასანი), მთელი სისრულით შეიმეცნეს ის საშიშროება, რომელიც არნახულად გააქტიურებულ პოლიტიკურ უტოპიებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მოჰქონდა საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ და დადგენილ სულიერ ღირებულებათა სისტემისთვის\*. ევროპული საზოგადოება აშკარად დადგა ინდივიდუალური ფენომენის ნიველირების საფრთხის წინაშე; დეკადენსი მთელი სისრულითა და ენერგიით მოედო ევროპულ ლიტერატურას. გვიანი რეალიზმის ეპოქის მწერლებმა დანამდვილებით შეიგრძნეს, რომ დრომ შეცვალა ადამიანის „ქიმიური შედგენილობა“ და საუკუნეების მანძილზე ლიტერატურაში ჩამოყალიბებული გარეხედვის პერსპექტივა „ადამიანი და სამყარო“ ანუ „მე და სამყარო“ დინამიურად ჩაანაცვლეს სრულიად განსხვავებული შიგახედვის პერსპექტივით: „ადამიანი სამყაროში და სამყარო ადამიანში“ ანუ „მე სამყაროში და სამყარო ჩემში“. ხედვის ეს პერსპექტივა, დეკადენსის კონცეფციასთან წყვილში, წარმოადგენდა პირდაპირ გზას მოდერნიზმისკენ.

\* განგაშის პირველი ზარი ჯერ კიდევ რომანტიკოსებმა (მერი შელი — „ფრანკ-ეშტაინი“) და ფილოსოფიის ახალი ტალღის წარმომადგენლებმა შემოჰკრეს (იხ. ი.რატინი, „ტექსტი და ქრონოტოპი“, 2010).

განსაკუთრებული კონტრიბუცია ლიტერატურული ხედვისა და პრინციპების გარდაქმნის ამ რთულ სისტემაში ეკუთვნის ფიოდორ დოსტოევსკის, რომელიც მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა ინდივიდუალიზმის დაკარგვის საშიშროებას. მისთვის ახდენილ კოშმარს წარმოადგენდა რაციონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბების პერსპექტივა. საზოგადოების რაციონალიზაცია დოსტოევსკისეული „შეუზღუდავი დესპოტიზმის“ რელევანტური ცნება იყო, მეცნიერულის, ლოგიკურისა და საყოველთაოს წიაღში სამუდამოდ ჩაკარგული თავისუფლების სინონიმი. „დოსტოევსკი დაჯილდოებული იყო გენიალური ნიჭით, მოესმინა თავისი ეპოქის დიალოგი, — წერდა მიხაილ ბახტინი, — უფრო ზუსტად, მოესმინა თავისი ეპოქა როგორც უზარმაზარი დიალოგი, მოეხელთებინა მასში არა მხოლოდ ცალკეული ხმების ჟღერადობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დიალოგური ურთიერთობები ხმათა შორის, მათი დიალოგური ურთიერთქმედება“ (ბახტინი 1972: 150). დოსტოევსკის პროზაში გამოკვეთილი დამოუკიდებელი, ერთმანეთთან შეურწყმელი და, შესაბამისად, არაინტეგრირებადი ხმები ერთმანეთზე ზედდებით ხასიათდება და არც ერთი მათგანი არ ღალატებს უმაღლეს და საბოლოო ჭეშმარიტებას: ჭეშმარიტება, როგორც მხატვრული ტექსტის კონცეფცია, მხოლოდ ამ ხმათა ყველა პოზიციის, როგორც მრავალხმიანი, პოლიფონიური ჰარმონიის შედეგია. დოსტოევსკის მთავარ აღმოჩენად ადამიანი იქცა, ადამიანი, რომლის სულსა და გონებაში მომხდარი ღრმა ცვლილებები გასაოცარი მრავალფეროვნებით დააფიქსირა ავტორმა.

ქართული მწერლობა „სოლიდარობას“ უმჟღავნებს ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს და წარმატებით ეუფლება გვიანი რეალიზმის ესთეტიკასაც, მხოლოდ, მისთვის ჩვეული კორექტირებით — გვიანი რეალიზმის მიერ გამომუშავებული ახალი ტენდენციები ერწყმის არამარტო კრიტიკული რეალიზმის წიაღში უკვე გამომუშავებულ ტრადიციას (როგორც ეს ევროპული რეალიზმის წიაღში მოხდა), არამედ ქართულ რეალურ კონტექსტს („ქართულ საკითხავს“) და პრობლემების ძალზე საინტერესო სპექტრს გამოკვეთს: ა) ადამიანის მისია სამყაროში; ბ) სუბიექტის ინდივიდუალური ნების პრევალირება მასობრივი ფსიქოლოგიის წინაშე; გ) ნაციონალური ღირებულებების დაცვა გარეშე აგრესიული შემოტევებისაგან.

ამ თვალსაზრისით, ქართულ მწერლობაში ფასდაუდებელია ვაჟა-ფშაველას როლი და დამსახურება. ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა, თავისი თემებითა და მიზნებით, სწორედ ევროპული გვიანი რეალიზმის ეპოქის ღირებული ქართული რეფლექსიაა. ვაჟას შემოქმედება ნასაზრდოებია როგორც ქართული მითოლოგიური და

ფოლკლორული ტრადიციებით, ისე — პროგრესული ფილოსოფიური და ლიტერატურული პრინციპებით (ადამიანის შინაგან, სულიერ-ფსიქოლოგიურ შრეებში ჩაღრმავება, ადამიანისა და სამყაროს რთულ ურთიერთდამოკიდებულებაზე ფიქრი). ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცენტრალური ტექსტები — „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „გველის მჭამელი“ და სხვ. — ერთი მხრივ, სრულად აირეკლავს მითოლოგიური არქეტიპების გავლენას ლიტერატურაზე და წარმოაჩენს ეროვნული არქეტიპული მეხსიერების როგორც იდენტობის მსაზღვრელის ფუნქციას მხატვრულ ტექსტებში, მეორე მხრივ კი, ემსახურება პიროვნებისა და პიროვნული თვითმყოფადობის პრინციპის დამკვიდრებას ნაციონალური კუთვნილებისა და რელიგიური რწმენის მიუხედავად! ვაჟა-ფშაველას ყურადღების უმთავრეს საგანს ადამიანი წარმოადგენს, სუბიექტი, რომელიც არსებობს გარკვეული საზოგადოების, ანუ ობიექტური გარემოს პირობებში, მაგრამ ცდილობს დამკვიდრდეს მასში, როგორც ინდივიდუალური პიროვნება.

ხევსური ალუდა ქეთელაური მკლავს არ სჭრის მტერს — ქისტ მუცალს, ქისტი ჯოყოლა ალხასტაისძე კი საკუთარ ჭერქვეშ იფარებს ასევე მტერს — ხევსურ ზვიადაურს. მიუხედავად თემის (როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში) მხრიდან განუული წინააღმდეგობისა, არც ალუდა თმობს თავის პოზიციას და არც ჯოყოლა; მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის, უკომპრომისო წინააღმდეგობა, რომლის შედეგიც პიროვნების თემისაგან მოკვეთაა, ისინი არ ღალატობენ თავიანთ პიროვნულ ღირსებებს!”

\* შესანიშნავი ქართველი ლიტერატურათმცოდნე და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ბრწყინვალე მკვლევარი გრ. კიკნაძე აღნიშნული პრობლემის ძალზე საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იგი სვამს კითხვას: რამდენად არის ალუდასა და ჯოყოლას საქციელი თემის ადათ-წესების დარღვევა და, შესაბამისად, რამდენად მართებულია ვაჟას ინტერესის შემოზღუდვა თემის პრობლემით? თუ თემის ადათი ამტკიცებს, რომ დამარცხებულ მტერს მარჯვენა უნდა მოეკვეთოს, თემშივე არსებობს ღირსეული ვაჟაკის პატივისცემის ტრადიცია, თუ თემის ადათი ითხოვს სისხლის აღების წესის დაცვას, თემივე მოუწოდებს ღირსეულ სტუმართმოყვარეობისაკენ. შესაბამისად, თუ ვაჟას ცენტრალური გმირები არღვევენ თემის ერთ ადათს, იცავენ მეორეს. „საქმე ისაა, — ასკვნის მკვლევარი, — რომ თვით თემი შეიცავს ერთიმიჯორისადმი დაპირისპირებულ, გარკვეულ შემთხვევებში ერთიმიჯორესთან შეუთანხმებელ ტრადიცია-ადათებს. სწორედ ამიტომ პიროვნება სტუმართმოყვარეობის მდგომარეობაში აღმოჩნდეს... თემის ათასწლოვანი ტრადიციის მონიშნაღმდეგედ კი არ გამოდის პიროვნება, არამედ იგი ხდება თემშივე არსებული წინააღმდეგობის მსხვერპლი“ (კიკნაძე 1978: 162). ამრიგად, „პიროვნების ტრაგედია საზოგადოების მიგნით არსებული წინააღმდეგობის საფუძველზე აღმოცენებული“ (კიკნაძე 1978: 162) და ამ ტრაგიკული შეუსაბამობის მექანიზმი ახასიათებს არა მხოლოდ ვაჟას პოემებში აღწერილ თემურ სტრუქტურას, არამედ ნებისმიერი სახის წყობილებას, რომელიც კოლექტიური ცხოვრების წესს, მასის ფსიქოლოგიასა და საერთო-საყოველთაო კანონმდებლობის პრინციპებს ემორჩილება.



პოემაში „გველის მჭამელი“ რამდენადმე სხვა მიმართულებით ღრმავდება ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობრივი პოზიცია. მინდია იმთავითვე რჩეულია. იგი არ ჰგავს თემის დანარჩენ წევრებს, ვინაიდან დაჯილდოებულია სხვებისათვის მიუწვდომელი სიბრძნითა და მიხვედრილობით, აგრეთვე, ნიჭით, ესმოდეს ყოველი სულიერის ენა. რა არის ეს, ცოდნა თუ ინტუიცია? „ეს ნამდვილი ცოდნა არ არის, — ამტკიცებს გრ. კიკნაძე, — ...მინდიას გამეცნიერება არც თავისი შინაარსით და არც თავისი საფუძვლით ჭეშმარიტი ცოდნა არაა... მინდიას ცოდნა მოპოვებული არ არის იმ გზით, როგორც ცოდნა ნამდვილი ცოდნა შეიძლება. ცოდნის დაკარგვაც ისე არ შეიძლება, როგორც ამას მინდიას შემთხვევაში აქვს ადგილი... „გველის მჭამელში“ წარმოდგენილია ბუნების წვდომისა და საჭირო მოქმედების წარმოების გრძნობითი გზა. აქ ცხადად ჩანს ვაჟას აზრი, რომ ბუნებასთან სიახლოვე თავისებური გზით არის შესაძლებელი. ეს გზაა ინტუიციის გზა“ (კიკნაძე 1978: 164). ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მკვლევარს და მიგვაჩნია, რომ მინდიას „ცოდნა“ კონცეპტუალურად ემიჯნება ფრანკენშტაინის „ცოდნას“. „გველის მჭამელში“ ვაჟა-ფშაველამ სერიოზულად გაილაშქრა მეცნიერული პრაგმატიზმის წინააღმდეგ და ნათლად გამოკვეთა სათქმელი: არსებობს სამყაროს აღქმის ალტერნატიული საშუალება — სამყაროს ინტუიტიური შემეცნება, რაც ეწინააღმდეგება მასაში ადამიანების ინტეგრირების პროცესს და ინდივიდუალიზმს უნარჩუნებს თითოეულ სუბიექტს. მინდიას თავისუფლება მის ინდივიდუალიზმშია, მის გამორჩეულ უნარში, შეიმეცნოს სამყარო საკუთარი თავის მიღმა და იყოს არა მრავალთაგან ერთ-ერთი, არამედ ერთი — მრავალში. „ინტუიციას მკაფიოდ მორალური სახე აქვს, მისი წარმმართველი პრინციპი ჰუმანურობაა“ (კიკნაძე 1978: 166). **შესაბამისად, ინტუიციის დაკარგვა დეჰუმანიზაციის რელევანტური პროცესია. კარგავს რა თავის განსაკუთრებულ უნარს, მინდია დაღმავალი შვეულით ეშვება მიწაზე და კარგავს თავისუფლებას. მინდიას ბედნიერება დასრულებულია, ის უყოყმანოდ ირჩევს სიკვდილს. „აღუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ დასმული ინდივიდის თავისუფლების პრობლემა სწორედ რომ აპოკალიპტიკურ სიღრმეს იძენს „გველის მჭამელში“.**

აღუდას, ჯოყოლას, მინდიას (და სხვათა) ხასიათები ეპოქის რეალური კონტექსტის წიაღში იძენება, მაგრამ ისინი არ არიან მრავალთაგან ერთ-ერთი, არამედ ერთი — მრავალში, როდესაც პიროვნების თავისუფლების ერთადერთ პროექციად სულიერი პროექცია იკვეთება, ხოლო სამშობლოს განცდა ეფუძნება არა მასის ხედვას, არამედ სუბიექტის ინდივიდუალურ ზნეობრივ კრიტერიუმებს:



- სახლი მე ვარ, ჩემი ღირსებით;
- ჩემი ღირსება განსაზღვრავს ჩემს სახლს;
- მე დავდივარ სამყაროში ჩემი ღირსებით და, მაშასადამე, ჩემი სახლით.

ეთიკური და საზოგადოებრივი Pro et Contra, რომელსაც ვაჟა-ფშაველა საფუძვლად უდებს თავისი პერსონაჟების ღირებულებათა შკალას, სცდება ვიწრო სეპარატიზმის სტანდარტს და ჰუმანიზმის უღრმესი შრეებისაკენ მიემართება. მთავარი კი ისაა, რომ ასეთი ადამიანების ღვანლი, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდენადვე სასარგებლოა კაცობრიობისათვის (სამყაროსთვის), რამდენადაც სასარგებლო და გონიერულია სამშობლოსათვის (სახლისთვის) („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

მაშ, ვინ არის ვაჟა-ფშაველა? თავისი ეპოქის უდიდესი კოსმოპოლიტი თუ ნაციონალური თვითშეგნებით მოტივირებული გენიოსი?

ცდილობს რა სწორი ინტერპრეტაცია მოუძებნოს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს მიერ ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტიური ტერმინის „Weltliteratur“ ანუ „მსოფლიო ლიტერატურა“ შემოღებას (1827 წელი), მარკო იუვანი აღნიშნავს: „გოეთეს შემთხვევაში, ლიტერატურის მსოფლიო მოდელის ისტორიულ ცნობიერებას, მიუხედავად მისი კოსმოპოლიტიური გარსისა და უნივერსალიზმზე გაცხადებული პრეტენზიისა, უფრო პერიფერიული, ნაწილობრივ ნაციონალური წარმომავლობით განსაზღვრული საფუძველი აქვს. იდეის ინტელექტუალურ ბაზას უდაოდ წარმოადგენს პოსტ-განმანათლებლური მნიშვნელობა კოსმოპოლიტიზმისა, რწმენა იმისა, რომ „პრინციპში“ ადამიანები არიან თანასწორნი, მიუხედავად მათი ნაციონალობისა, ენობრივი, რელიგიური, კლასობრივი ან კულტურული კუთვნილებისა. მეთვრამეტე საუკუნის შემდგომ, კოსმოპოლიტიზმი ეზიარა ქალაქის ინტელექტუალური ელიტისა და კონცეპტუალურად შთაგონებული მორალისტების ცხოვრების წესს, აგრეთვე, საერთაშორისო სამართალს, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ თეორიებს, პოლიტიკურ მეცნიერებებს, ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ აზროვნებას. ამკვიდრებდა რა ცნებას „Weltliteratur“, გოეთე, — ისევე როგორც მოგვიანებით მარქსი და ენგელსი, — მოელოდა, რომ „მსოფლიო ლიტერატურა“, კოსმოპოლიტიური კულტურული ურთიერთგაცვლების მეშვეობით, გადალახავდა ნაციონალურ ახლომხედველობას... გოეთე ფიქრობდა, რომ სხვა ენებისა და ლიტერატურების ცოდნა, მათი სიღრმისეული გაგება, მათი გავლენების ქვეშ მოქცევის მზაობა სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს მიიყვანდა საერთო გაგებასა და მშვიდობასთან. პოსტ-ნაპოლეონურ ევროპაში მსოფლიო ლიტერატურის იდეოლოგიას უნდა აეცილებინა

იმპერიალიზმის და სხვადასხვა ნაციებს შორის გაჩაღებული კულტურული ომებისა და ეკონომიკური შეჯიბრებების საშიშროებანი. თუმცაღა, გოეთეს კოსმოპოლიტური იდეა ნაციონალისტური შიშებითა და მიზნებით საზრდოობდა; საბოლოო ჯამში, *“Weltliteratur”* მიზნად ისახავდა ტრანსნაციონალურ აღზევებას გერმანული ლიტერატურისა, რომელიც განიცდიდა დიდ საერთაშორისო კონკურენციას და მუდმივად ეჯახებოდა ბრიტანული და ფრანგული კულტურების ჰეგემონიას. ფრთაშესხმულს მისი შრომების საერთაშორისო წარმატებით და მოხიბლულს თავისი გავლენიანი პოზიციით კულტურულად დანიშნულ ვაიმარში, გოეთეს სჯეროდა, რომ: „ყალიბდება მსოფლიო ლიტერატურა, რომელშიც საპატიო ადგილი შენახულია გერმანელებისათვის. ყველა ხალხები ეცნობიან ჩვენს შრომებს; ისინი გვადიდებენ, გვაკრიტიკებენ, გვიღებენ და უარგვყოფენ, გვბაძვენ, და ხშირად არასწორად, გვიღებენ ან გვიკეთავენ თავიანთ გულებს” (იუვანი 2011: 45-46). როგორც ჩანს, კოსმოპოლიტიზმის იდეა არ არის გონების მარტივი „ვარჯიშის“ შედეგი: მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტი მოაზროვნე და კოსმოპოლიტური, დღეს უკვე გლობალური ტერმინის *“Weltliteratur”* ფუძემდებელი, იოჰან ვოლფგანგ გოეთეც კი, თავისი კოსმოპოლიტიზმის საფუძვლებს ნაციონალური ცნობიერების შრეებიდან აყალიბებს და ერთი წუთითაც არ ივინყებს ეროვნული ლიტერატურის (მის შემთხვევაში, გერმანულის) მისიას ამ მასშტაბურ ლიტერატურულ მოდელში: ნაციონალურლიტერატურათაშორისი კომუნიკაციები, როგორც განსხვავებული ლინგვისტური და ცნობიერებითი მოდელების ცირკულაცია, წარმოადგენს გოეთეს კოსმოპოლიტური ექსპერიმენტის მთავარ სამიზნეს.

ვაჟა-ფშაველა გოეთესშემდგომი ეპოქის მოაზროვნეა. განსხვავებით გოეთესაგან, რომელმაც მხოლოდ ინტუიტიურ დონეზე შეიძლება ივარაუდოს თავისი ტერმინის განვითარების პერსპექტივები, ვაჟა-ფშაველა უკვე ზუსტად ხედავს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს კოსმოპოლიტური მიდგომის არასწორ ინტერპრეტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა რუსეთის გუბერნიად ქცეულ საქართველოს მიუვალ მთებში, ნახევრადდანგრეულ ქოხში ცხოვრობს ოჯახთან და მარჩინალ პირუტყვთან ერთად, იშვიათად ჩადის ქალაქად და მთელი ტკივილით შეიგრძნობს თავისი პატივაცრილი ქვეყნის კულტურულ უსუსურობას მსოფლიო კულტურული და ლიტერატურული პროცესების ფონზე, ის ინარჩუნებს რწმენას ქართული კულტურის პოტენციალისადმი და პატივისცემს მის ჯიუტ სასიცოცხლო ენერგიას, არაერთხელ ჩანჩხლულს ისტორიული ბედუკულმართობის გამო. მე-19 საუკუნის მიწურულის საქართველო ნამდვილად არ არის გერმანია, ქართული კულტურის

პოპულარიზაცია რუსეთის საიმპერატორო კარის გუნება-განწყობა-ზეა დამოკიდებული, ქართველ მწერლებს არ იცნობენ, არ თარგმნიან, ისინი არ წარმოადგენენ მიბაძვისა ან გაკიცხვის ობიექტებს, არამედ იხარშებიან საკუთარ წვენიში, რომელიც საკმაოდ მწარე და უგემურია. მაგრამ ისინი იხარშებიან არამარტო იმიტომ, რომ ერთმანეთს შეუძახონ ან გამოაფხიზლონ რუსეთის დროებითი ლიბერალური პოლიტიკით მოდუნებული ქართული საზოგადოება, არამედ იმიტომაც, რომ არ დაკარგონ კონტაქტი საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესთან და შექმნან მისი ორიგინალური, ქართული ფრთა, რომელსაც ადრე თუ გვიან ყურადღებას მიაქცევს მსოფლიო, როგორც ერთ-ერთ უძველესს, ერთ-ერთ ღირებულს, ერთ-ერთ მნიშვნელოვანს. . .

დრომ და ისტორიამ აჩვენა, რომ გოეთეს იდეა მიდრეკილი იყო გეოგრაფიული გაფართოებისაკენ. ადრიან მარინოს განმარტებით, „უნივერსალურობა“ გოეთეს ეპოქაში გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, „ევროპულ ლიტერატურას (მაძინი, ვილმენი), რომელიც ყველაზე მეტად ცნობილი და მისაწვდომი იყო“ (მარინო 2010: 31) და გერმანულ ლიტერატურას, როგორც მის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. შესაბამისად, „უნივერსალურობა“ უდრიდა ევროცენტრიზმს. ამ თვალსაზრისით, ევროცენტრულ ტენდენციას ექვემდებარებოდა გოეთეს პოზიციაც, თუმცაღა, ტერმინის კონცეპტუალური მასშტაბურობა სავსებით დასაშვებს ხდიდა მისი გეოგრაფიის გაფართოების შესაძლებლობას. ადრე თუ გვიან, ეს ისტორიულ-გეოგრაფიული რევიზია უნდა შემდგარიყო. „უნივერსალური ლიტერატურა არ შეიძლება დარჩეს იქ, სადაც ის გოეთემ დატოვა. მან უნდა მოიცვას ხუთი კონტინენტი, ახალი ზელანდიიდან ისლანდიამდე — მოკლედ, მთელი ლიტერატურა“ (მარინო 2010: 33), წერდა უელეკი; „უნივერსალური ლიტერატურა აგებულია ეროვნული ლიტერატურების ერთობლიობისაგან, ყველა ლიტერატურისაგან, რომელთა წერილობითი, ან მხოლოდ ზეპირი ფორმები შემოგვრჩა. ამასთანავე, ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ენობრივი, პოლიტიკური და რელიგიური ჩაგვრის გარეშე“ (მარინო 2010: 33), აღნიშნავდა ეტიამბლი. უკვე მე-19 საუკუნიდან, გოეთესეულმა ტერმინმა უმტიკივნიულოდ იწყო ისტორიულ-გეოგრაფიული მასშტაბების გაფართოება — ევროპული სიბრტყიდან თანდათან მსოფლიო სიბრტყეზე გადაინაცვლა და მისი ქეშმარიტი მნიშვნელობით დატვირთა: „მსოფლიო“ აღარ ნიშნავდა მხოლოდ „ევროპულს“, არამედ — „საყოველთაოს“, „ყოვლის მომცველს“ და „უნივერსალურს“. კაპიტალიზმის აღზევებამ დააჩქარა ნაციონალური საზღვრების გახსნის პროცესი, რაც თანდათან ზრდიდა ნაციონალური ლიტერატურების ინტერაქციების შესაძლებლობებს თარგმანებისა და სხვადასხვა ტიპის

კულტურული დიალოგების მეშვეობით. გოეთეს ჩანაფიქრით, ყველა ამ ღონისძიებას არათუ უნდა დაეჩაგრა რომელიმე ღირებული კულტურული მოდელი, არამედ — გაეთანაბრებინა ისინი მიუხედავად მათი ლინგვისტური თუ ნაციონალური კუთვნილებისა\*.

ნაციონალური ცნობიერების სწორედ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის ნიველირების საშიშროება აფორიაქებს ვაჟა-ფშაველას, მწერალსა და მოაზროვნეს, რომელიც; ა) ორმაგი საზღვრებითაა იზოლირებული მსოფლიო კულტურული სივრცისაგან — ნაციონალური და იმპერიალისტური საზღვრებით; ბ) ცხოვრობს აღმავალი კაპიტალიზმისა და მზარდი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრაგმატულ ეპოქაში; გ) აკვირდება საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების სწრაფ დევალაციას; დ) აწყდება ნიჰილიზმსა და რწმენის დეფიციტს; ე) აშფოთებს მოდასაყოლილი ქართული საზოგადოების პატრიოტული მუხტის მოდუნება.

მე-19 საუკუნეში გოეთეს თეორიას პირველნი კარლ მარქსი და ფრიდრიჰ ენგელსი გამოეხმაურნენ თავიანთი „ზიარი საკუთრების თეორიით“ და გენიალური გერმანელის ნააზრევი მარქსისტული იდეოლოგიის ძირითადი პრინციპის დასაწერგად გამოიყენეს. გოეთეს კოსმოპოლიტიზმისათვის ნიშანდობლივი ნაციონალური კულტურების ახლომხედველობის დაძლევის პრინციპი მარქსისა და ენგელსის ნააზრევი კლასობრივ განსხვავებათა მოსპობის თეორიად გარდაიქმნა და ახდენილი უტოპიის რეალურ საშიშროებად დაემუქრა კაცობრიობას. აღარავის ახსოვდა, რომ გოეთეს კოსმოპოლიტური იდეა, ნაციონალური ცნობიერებიდან მომდინარეობდა და მისი აღზევების პირობით იყო მიმართული „საერთო-საყოველთაო ჰუმანიზმისკენ“.

ეს უფრო გვიან მოხდება: რენე უოლეკი და ოსტინ უორენი მხოლოდ ათეული წლების შემდეგ დაუბრუნდებიან ნაციონალურ ცნობიერებასა და კულტურულ-ლიტერატურულ ღირებულებებთან დაკავშირებულ გოეთესეულ კოსმოპოლიტურ თეორიას, მაგრამ 1905 წელს კოსმოპოლიტიზმის იდეის დამახინჯებული ინტერპრეტაციის საშიშროება წითელ ზოლად გასდევს ქართველი ჰუმანისტის შრომას — „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

საგულისხმო ისაა, რომ ქართველი მკითხველისათვის განკუთვნილი ეს ნარკვევი ასეთივე წარმატებით მიემართება მთელ თანამედროვე მსოფლიოს, „მკვდარი ღმერთის“ (ნიცშე) დროების მოქალაქეებს, რევოლუციების, ომების, დიდი მოლოდინებისა და დიდი იმედგაცრუ-

\* გოეთეს იდეის შემოქმედებით ხორცშესხმას წარმოადგენს მისი „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ (1819-1827 წ.წ.).

ებების ზღურბლთან მდგარ მსოფლიო საზოგადოებას. ვაჟა-ფშაველა აუსცილებლად მიმართავს ყველას, აბსოლუტურად ყველას და არამართო რუსეთის პროვინციად ქცეულ თავდახრილ საქართველოს: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, — წერს იგი, — მაგრამ ეს შეცდომაა ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) — პატრიოტია. როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას” (ვაჟა-ფშაველა 2011: 104). ეროვნული ენერგია ვაჟა-ფშაველას ნარკვევის საყრდენი წერტილია, ბჯენი, რომელზეც დაშენებულია ყველა სხვა ღირებულება. პასკალე კასანოვა თითქმის ასორმოცდაათი წლის შემდეგ დაწერს: „ყოველი მწერლის პოზიცია, — წერს პასკალე კასანოვა, — ორგემაგეა, ორჯერადადა განსაზღვრული. მწერალი ჯერ იდენტიფიცირდება ნაციონალურ სივრცეში, ხოლო შემდგომ — მსოფლიო სივრცეში“ (კასანოვა), ვაჟა-ფშაველამ კი უკვე 1905 წელს ზუსტად იცის, რომ „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო“... (ვაჟა-ფშაველა 2011: 104). აქამდე ყველაფერი რიგზეა: ვაჟა-ფშაველას აზრის პროექცია თანხმობაშია გოეთესეულ ხედვასთან და კოსმოპოლიტიზმის მისეულ გაგებასთან, მაგრამ, მოგვიანებით ქართველი ავტორის აზრთა დინება რამდენადმე სხვა კალაპოტში გადაინაცვლებს: „მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკებება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურ ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკებება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? — არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს — არა, ვინაიდან ის მთელ კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება“... (ვაჟა-ფშაველა 2011: 105). ერთი მხრივ, ვაჟა-ფშაველა არ აღიარებს თარგმანის ყოვლისშემძლეობას, თუმცა, მეორე მხრივ, აღი-

არებს მის საჭიროებას, რათა ტექსტი იქცეს მსოფლიოს კუთვნილებად! თუ გოეთეს ყოველდღიური ცხოვრების რიტმიც კი განსაზღვრული იყო მულტილინგვისტური მოღვაწეობით — სხვადასხვა ენებზე კითხვით, თარგმანებით, კულტურული დისტანციების შესწავლით, საკუთარი ნაწარმოებების საერთაშორისო რეცეფციების მონიტორინგით და ინტერტექსტუალური ძიებებითაც კი, სადაც არსებითი ფუნქცია უნივერსალური ლიტერატურული სივრცის შექმნაში სწორედ თარგმანს ეკისრებოდა, ვაჟა-ფშაველა ნაკლებადაა დაკავებული მსგავსი ღონისძიებებით — ის თარგმანში უფრო კომუნიკაციურ საჭიროებას ჭვრეტს, ვიდრე პრეტენზიას უნივერსალური ლიტერატურული სივრცის შექმნაზე: თარგმანი აძლევს შანსს ნებისმიერ ნაციონალურ მწერლობას, ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ქვეყნების მკითხველებისთვის, თარგმანის მეშვეობით შედიან ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურები, მაგრამ კითხვის ჭეშმარიტად მაღალი ხარისხი მხოლოდ ნაციონალურ ენაზეა შესაძლებელი... თუ გავიხსენებთ დიალოგური კრიტიკის ფუძემდებლის, მიხაილ ბახტინის ერთ ფრაზას, მით უფრო გასაოცრად მოგვეჩვენება ვაჟა-ფშაველას აზრის სიღრმე: „უცხო კულტურა მხოლოდ სხვა კულტურის თვალში წარმოაჩენს თავის თავს უფრო სრულყოფილად და ღრმად... ერთი აზრი/არსი სხვა, უცხო აზრთან/არსთან შეხვედრისა და შეხების შემდეგ წარმოაჩენს თავის სიღრმეებს: მათ შორის თითქოს დიალოგი იწყება, რომელიც სძლევს ამ აზრების/არსის, ამ კულტურების ჩაკეტილობასა და ცალმხრივობას... მაგრამ, ორი კულტურის დიალოგური შეხვედრისას, ისინი არ ერწყმიან ერთერთს, არამედ თითოეული მათგანი ინარჩუნებს თავის ერთიანობასა და ღია მთლიანობას, ისინი ამდიდრებენ ერთმანეთს“ (ბახტინი 1979: 334-335). ზღვარი არსებობს და ის დაცულია ღირებული დიალოგის პირობებში! სრულიად ცხადია, რომ კულტურის ქმნილება, ბახტინის აზრით, არ განეკუთვნება მხოლოდ იმ კულტურას, რომლის ნიაღშიც ის შეიქმნა, არამედ — გაშლილ კულტურათაშორის სივრცეს, რომელიც ისტორიის „დიდი დროის“ ტოლფასია და საშუალებას აძლევს კულტურის ნებისმიერ ნიმუშს, განიცადოს მრავალფერადი რეკონსტრუქცია და განახლება (როგორც აზრობრივი, ისე — აღქმითი) კულტურის ისტორიის ყოველ ეტაპზე თავის თავისთავადობის შენარჩუნების პირობით. მიუხედავად იმისა, რომ ა. გურევიჩი სავსებით სამართიანად ხედავს გარკვეულ საფრთხეებს კულტურათაშორისი დიალოგის პროცესში („ყოველ პროგრესს გააჩნია მეორე მხარეც — მას თან ახლავს დანაკარგები. როდესაც ერთი კულტურის წარმომადგენელი სწავლობს მეორე კულტურის ძეგლებს, ის გამოავ-

ლენს ახალ აზრს/არსს, ხშირად დაფარულს თავად შემქმნელისათვის, თუმცაღა, ამავდროს, კარგავს პირვანდელი შინაარსის გარკვეულ ასპექტებს“ (გურევიჩი 1988: 60), ბახტინის აზრი რჩება ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშსაგანევ აზრად თანამედროვე კულტუროლოგიაში. ვაჟა-ფშაველას პოზიცია სწორედ რომ ამ ფიქრებითაა გაჯერებული: ერთი მხრივ, აუცილებელია კულტურათაშორისი დიალოგის წარმოება, ხოლო, მეორე მხრივ, ამთავითვე უნდა ვალიართ მოსალოდნელი დანაკარგების საფრთხეები, რაც, ცხადია, თარგმანის არასრულყოფილების, უფრო სწორად კი, ერთი ტიპის მენტალობის მიერ მეორის ზუსტი რეფლექსირების შეუძლებლობითაა გამოწვეული.

პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველასთვის ძალზე მკვეთრი მარკერებით დატვირთული ცნებაა: დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი, ეროვნული ტერიტორია, ეროვნული მწერლობა, მშობლიური ენა, ბავშვობა, ანუ ყველაფერი ის, რასაც წლების შემდეგ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე „გლობალური ავტორი“ ვლადიმირ ნაბოკოვი „თანდაყოლილ მეხსიერებას“ უწოდებს.

პატრიოტიზმი განცდაა, კოსმოპოლიტიზმი — ფიქრის შედეგი და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ფიქრი სწორად იქნას წარმართული: „ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აილოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თვისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 106).

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ერთდროულად მტკიცებაც იყო გაფრთხილებაც გენიოსისგან, რომელსაც არამხოლოდ ქვეყნის ტკივილი ამოძრავებდა, არამედ — ღირებულებათა საყოველთაო კრიზისულობის ტრაგიკული განცდა.

## **დამოწმებანი:**

**ბახტინი 1972:** Бахтин М.М. *Проблемы поэтики Достоевского*. М.: Изд. 3-тье. 1972.

**ბახტინი 1979:** Бахтин М.М. *Эстетика словесного творчества*. (Сб. избр. тр.). М.: Искусство, 1979.

**გურევიჩი 1988:** Гуревич А.Я. Историческая наука и историческая антропология // *Вопросы философии*. - 1988. - N 1.

**ვაჟა-ფშაველა 2011:** ვაჟა-ფშაველა. *რჩეული თხზულებანი სამ ტომად*. ტ. III. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2011.



იუანი 2011: Juvan, Marko. *Literary Studies in Reconstruction*. An Introduction to Literature. Peter Lang Publishing, 2011.

კიკნაძე 1978: კიკნაძე გრ. ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა // *ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები*. თბ.: თსუ-ს გამომცემლობა, 1978.

ლიტერატურის თეორია 2001: *Теория литературы. Литературный процесс*. М.:ИМЛИ РАН, Наледие:2001.

მარინო 2010: მარინო. *კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია*. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2010.

## NESTAN RATIANI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Enigma or Author`s Mistake**

When the reader reads the stories of the journey of Odysseus, he/she would analyze the following \_ Odysseus does not have any linguistic barriers. Although Odysseus knows that he should hide his ethnic origin, because his hosts may be the aliens of Trojans and may revenge, he (sc. Odysseus) speaks his native language any time whenever he appears in a new place (or he is fluent in all those languages which are spoken in those regions which Odysseus visits). He never tries to pretend to be a deaf and dumb. Is it a mistake or is it an aenigma which needs to be solved? The article investigates the problems of cultural and linguistic assimilation as well as the early stage of “globalization”.

*Key words: Odysseus, Scheria, a tale*

## ნესტან რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **გამოცანა თუ პოეტის შეცდომა**

გლობალიზაციის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ერთი ენის უპირატესი მდგომარეობა სხვა ენებთან შედარებით. ამ გაბატონებულ ენაზე ურთიერთობენ ერთმანეთთან სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში დაბადებული ადამიანები, ამ ენაზე აწარმოებენ ისინი საქმეებს. შესაბამისად, ექსპერტები, და არა მარტო ისინი, ამ კუთხით საფრთხეს ხედავენ მცირე ერების მშობლიური ენებისთვის.



პატარა ქვეყანაში დაბადებულ მწერლებსა და მეცნიერებს აღარ აკმაყოფილებთ ლოკალური დიდება და ცდილობენ, თავიანთი ნაშრომი მთელ მსოფლიოს გააცნონ.<sup>1</sup> მათთვის თარგმანი, გასაგები მიზეზების გამო,<sup>2</sup> უკვე აღარაა საკმარისი და ცდილობენ, თავად დაიწყოთ წერა დომინანტ ენაზე. ეს პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებებისათვის, შედარებით ნელა — ჰუმანიტარული დარგებისა და მწერლობისათვის. არაერთ ისტორიულ ცნობაზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვისაუბროთ იმ ფაქტზე, რომ ხშირად იმპერიის ფარგლებში ერთი ენა ყოფილა დომინანტური და იგი მბრძანებლობდა სხვა ენებზე, ავინროებდა რა მათ პოზიციებს. შესაბამისად, კულტურის ის დარგებიც, რომლებიც ენას საჭიროებდნენ, იქმნებოდა იმპერატივ ენაზე და ამ კულტურის შექმნაში იმპერიის საზღვრებში შემავალ დიდი და მცირე ეთნოსების წარმომადგენლებსაც თანაბარი წვლილი შეჰქონდათ.<sup>3</sup> არაერთი ენა შეიწირა ამ გარდუვალმა პროცესებმა. მკვლევრები ამ მოვლენას არ უწოდებენ გლობალიზაციას,<sup>4</sup> თუმცა იგი აშკარად ავლენს გლობალიზაციისთვის დამახასიათებელ არაერთ ნიშანს. მიუხედავად ამისა, ჩემთვის საინტერესოა იმის გამოკვლევა, თუ როგორ შეიძლება აიხსნას ის თვალსაჩინო ენობრივი ბარიერების არსებობა ერთ ტექსტში, რომელიც შექმნილია ძვ.წ. მე-8 საუკუნეში, თუმცა აღწერს რამდენიმე საუკუნის წინანდელ ამბებს.

ჰომეროსი თავის პოემა „ოდისეაში“ აღწერს ტროას დამქანცველი ათწლიანი ომიდან წამოსული ოდისეესის შინ დაბრუნების ამბავს. ტროას ომში თავის გამოჩენისა და თავისი მოხერხებულობის წყალობით სახელგანთქმული ოდისეესი, სანამ ითაკაზე დაბრუნდება, რამდენიმე მხარეს ეწვევა. მისი სტუმრობა ამ მხარეებში საკუთარი ნებასურვილით არ ხდება, მასზე განრისხებულია პოსეიდონი და გამირისა და მისი თვისტომების ხომალდები (ჯერ ბევრი, ბოლოს კი — ერთი) ხან ერთ სანაპიროს, ხანაც მეორეს მიადგება. ეს მხარეები სხვადასხვა ჯურისა და ზნის ხალხითაა დასახლებული, თუმცა პოემაში არაფერია იმაზე ნათქვამი, თუ რომელი ენა ან ენებია მათთვის მშობლიური. ჰომეროსი მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით აღწერს ოდისეესის ზოგიერთ მასპინძელს, ზოგზე კი ბევრს არაფერს გვეუბნება. მსმენელისთვის/მკითხველისთვის<sup>5</sup> კარგადაა ცნობილი, რომ ისმაროსელი კიკონები ადვილად არ ნებდებიან მტერს და ახერხებენ, სანამ მარადიორები განცხრომაში არიან, ქვეყნის შიდა რეგიონებიდან საიდუმლოდ დახმარება გამოითხოვონ, ჯარის შეკრება მოახერხონ და, კარგად ორგანიზებული შეთქმულების წყალობით, თორმეტი ხომალდით მოსულების უმეტესობა ამოხოცონ; ლოტოფაგები გემრიელად მიირთ-

მევდნენ მესხიერების დამაკარგინებელ ლოტოსს, და სტუმრებსაც გულუხვად სთავაზობდნენ ამ საკვებს; ოდისევსის მეგზურების შემქმნელ კიკლო პოლიფემს ერთი თვალი ჰქონდა, ბუმბერაზი აღნაგობის იყო და მის მხარეში მცხოვრებლებს არც ტაძარი ჰქონდათ და არც სათათბირო, შესაბამისად, მათთვის არც კანონები არსებობდა იმ სახით, რა სახითაც სხვა ხალხები კანონებს აღიარებდნენ; სტუმართმოყვარე ეოლოსი უმალ იცვლება და დაუნდობელი ხდება, როგორც კი შეატყობს, რომ ოდისევსის მიმართ ღმერთები არ არიან კეთილად განწყობილები; ვიცით, რომ ლესტრიგონები, რომლებიც უცბად დაერივნენ ითაკელებს და თევზბივით შამფურებზე წამოაცვეს ისინი, ტანით დიდი ზომისანი იყვნენ; აიაიაზე მცხოვრებ კირკეს მოთვინიერებული მგლები, რომლებიც უნინ მამაკაცები იყვნენ, ახლავს თან. მას შესწევს უნარი, ჯოხის ერთი დაკვრით გადააქციოს მოსული სტუმრები სქელჯაგრიან ღორებად და კაცებს მამაკაცური პოტენცია წაართვას; ლამაზი ნიმფა კალიფსო ძნელად მისადგომ კუნძულ ოგიგიაზე ფუფუნებაში ცხოვრობს, არც ხერხია მისთვის უცხო და არც ბურღი, მაგრამ მასთან სტუმრად ღმერთებიც არ მიდიან; ფეაკები, გასაოცარი ტექნოლოგიური მიღწევების ხალხი, ჯერ კი ეჭვის თვალთ უცქერიან ოდისევსს, მაგრამ შემდეგ უხვად ასაჩუქრებენ და ითაკამდეც თავად აცილებენ.

აი, სწორედ ამ განსხვავებულ არსებებს ხვდება ოდისევსი ითაკაში დაბრუნებამდე და პოემაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, როგორ ახერხებს ოდისევსი მათთან ურთიერთობას და პირიქით. არადა, საღაზრს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ ოდისევსი ყველას ენას იმდენად კარგად ფლობდა, რომ კომუნიკაცია მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ასევე სათუთა ისიც, რომ იმ პერიოდში ე.წ. ბერძნული (საინტერესოა, რომ “ილიადაში” ჰომეროსი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ბერძნების გაერთიანებულ ლაშქარში ადამიანები სხვადასხვა ენაზე მეტყველებდნენ და მათი ენები ერთმანეთში ირეოდა. შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში აქ საუბარი ნამდვილად განსხვავებულ ენებზე იყოს, მაგრამ ამჟამად, რომ ზოგიერთი დიალექტებზე საუბრობს) ისე იყო გავრცელებული მთელ რეგიონში, რომ მასპინძლები თავი-სუფლად მეტყველებდნენ ამ ენაზე; როგორ შეიძლება, ეპოქაში, როდესაც მიმოსვლა გაძნელებული იყო და არც ტექნოლოგია იყო განვითარებული შესაბამისად, არ არსებობდა მასმედია, ყველა დამხვედური თანაბრად კარგად ფლობდეს ოდისევსის მშობლიურ ენას? არადა, ენა სწორედ ის მამხილებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რომლის წყალობითაც ადამიანი თავს გაყიდის, თუკი ეთნიკური წარმომავლობის დამალვა უნდა; უმეტეს შემთხვევაში მშობლიური ენა საუკეთესოდ ამხელს იდენტობას. ოდისევსს კი წარმომავლობის დამალვა აუცილებლად სჭირდება,

რადგან ყველა შემთხვევაში, როცა ის ახალ მხარეს მიადგება, მან არ იცის, ვინ ცხოვრობს იქ, რამდენად კეთილად არიან იქაურები განწყობილი ბერძენთა მიმართ, ხომ არ იყვნენ მასპინძლები ტროელთა მოკავშირეები და, თუ იყვნენ, მაშინ არანაირად არ გაუჩნდებათ სურვილი იმ ოდისევსს დაეხმარონ, რომ-ლის იდეაც იყო ტროას დამანგრეველი ცხენის აგება. არ შეიძლება, ამ იდეის ავტორზე არაფერი არ იცოდნენ რეგიონში, ეს ხომ ყველაზე უფრო პოპულარული ამბავი იყო.<sup>7</sup> თუკი საეჭვოა ის, რომ უმეტეს შემთხვევაში არცერთი მხარე არ ფლობდა მეორე მხარის ენას, მაშინ როგორ ხდება მათ შორის დაუბრკოლებელი კომუნიკაცია? რასთან გვაქვს საქმე, პოეტურ შეცდომასთან თუ რაღაც სხვა მიზნისთვის დაქარაგმებულ გამოცანასთან? ამას გარდა შეკითხვა ჩნდება მაშინაც, როდესაც ვიგებთ, რომ ფეაკებს, რომელთაც წარმოუდგენელი სიმალეებისთვის მიულწევიათ ტექნოლოგიებში, ერთი რამ არ აძლევთ მოსვენებას. ამიტომაც მათი მეფე რამდენჯერმე იმეორებს აზრს, რომ ფეაკთა შესახებ ამბები კუნძულის ფარგლებს გარეთ ოდისევსმა უნდა გაიტანოს. ჩემთვის საინტერესოა, რა იგულისხმება ამგვარ „გატანაში“, რამდენად სურთ სხვადასხვა ხალხებს, რომ მათ შესახებ შეიტყოს დანარჩენმა სამყარომ. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ბევრ რამეს გახდის ნათელს.

როგორც ვიცით, ზღაპრის ერთ-ერთი მახასიათებელი ისაა, რომ განსხვავებული წარმომავლობის ადამიანები, ადამიანები და ზღაპრული არსებები, ადამიანები და ცხოველები თავისუფლად ამყარებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას. მათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ნავიდნენ ცხრა მთას იქით და ცხრა ზღვას იქით, იმოგზაურონ მიწის ზევით და მიწის ქვევით, ჩავიდნენ ზღვაში და ავიდნენ მთაზე და ამ დროს არ გაუჭირდეთ არცერთ შემხვედრთან ლინგვისტური ურთიერთობა. სწორედ ეს მსგავსებაა „ოდისეასა“ და ზღაპრის შორის. რასთან გვაქვს საქმე? „ოდისეა“ არ განეკუთვნება ზღაპრის ჟანრს, ის კი არა, არაერთი ადამიანისთვის (მათ შორის ჩემთვისაც), ეს ტექსტი ძალიან ახლოსაა ისტორიულ რეალობასთან. შეკითხვას რომ პასუხი გავცეთ, უნდა დავუბრუნდეთ ტექსტს.

პოემა „ოდისეა“ პირობითად ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ, ერთი ნაწილი ტელემაქესთან ამბებს, მეორე კი — ოდისევსის თავს გადამხდარ ამბებს აღწერს. ტელემაქე ნაწარმოების დასაწყისში ისეთ წარმოდგენას გვიტოვებს, თითქოს სუსტ პიროვნებასთან გვაქვს საქმე. ეს არც იქნებოდა გასაკვირი, რადგან იგი მოსიყვარულე ქალთა გარემოცვაში იზრდებოდა. ალბათ ოდისევსის ძიძა ევრიკლეა, რომელიც მერე მისი ძიძა იყო, პატარაობიდან დაჰფოფინებდა მას. ის კი არა, ცოტა სასაცილოცაა, როგორ ექცევა მოხუცი ოცი წლის ჭაბუკს

(ჰომეროსი 1977: 436-442). ასევე უკვირთ პენელოპეს და სასიძოებს, როდესაც ტელემაქე ცხოვრებაში პირველად დედას შეენიწააღმდეგება (ჰომეროსი 1977: 346, 356-361, 381). არავის უკვირს, როდესაც ტელემაქე, რომელიც კრებას მოინწვევს, სიტყვით გამოვა და ჩაფლავდება. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ათზე მეტი შეცდომაა, მსგავსი შეცდომები არცერთმა გამომსვლელმა არ უნდა დაუშვას აუდიტორიის წინაშე. სიტყვას რომ დაამთავრებს, ტელემაქე ბრაზისგან კვერთხს დაახეთქებს და ცრემლები წამოსკდება. ეს ბრაზი კი იმის ნიშანია, რომ ხვდება, რა უსუსური გამოჩნდა, ესაა გაბრაზება საკუთარ თავზე. მაგრამ ვის უნდა ესწავლებინა ტელემაქესთვის სიტყვით გამოსვლა? სად უნდა ენახა ტელემაქეს სახალხო კრება? ტექსტიდან ვგებულობთ, რომ ოცი წელია, ითაკაზე კრება არ ჩატარებულა. ყველაზე უცნაური კი მაინც ის არის, რომ ტელემაქე ათენას შეკითხვას, თუ ვინ არის მისი მამა, ასეთ პასუხს გასცემს, როგორც დედა მეუბნება, ოდისევსის შვილი ვარ (ჰომეროსი 1977: 215-216). ეს, ერთი შეხედვით, სულელური, თუმცა, როცა დაფიქრდებით, ძალიან ჭკვიანური პასუხია. ამ პასუხს ვერ გასცემს ადამიანი, რომელსაც ყველა შესაძლო სვლა არა აქვს გათვლილი პარტიაში; ამ პასუხით უნდა მივხვდეთ, რა გეგმები და მიზანი აქვს ტელემაქეს. იმ შემთხვევაში, თუკი პენელოპე გათხოვდება და ვაჟიშვილს გააჩენს, თუკი უარყოფს, რომ ტელემაქე ნამდვილად ოდისევსის ვაჟია, ვის დარჩება ქონება, ვინ იქნება პირველი რიგის მემკვიდრე? ასეთი შეკითხვა არ დაებადებოდა ტელემაქეს, რომ არა კლიტემნესტრას ღალატი. ეს ნაწარმოები იწყება ღმერთების კრებით, რომელზეც ზევსი განიხილავს ორესტეს შურისძიებას, შემდეგ ორესტეს შეადარებს ათენაც ტელემაქეს, რადგან მას აშკარად შეძახება სჭირდება. ეს ყველაფერი ცხადს ხდის, რომ ნაწარმოები ტროადან დაბრუნებული ცოლის მიერ მოკლული აგამემნონისა და შურისმაძიებელი ორესტეს ამბის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ტელემაქეს მაგალითი აქვს და ახლა მისი ჯერია. მან რომ სასიძოები ამოხოცოს (ჯერ ერთი, მარტო ვერ მოერევა, მას გუნდი სჭირდება, ტელემაქეს კი ახლობლები არა ჰყავს, მისი ახლობლები ისევ ოდისევსის ერთგული ხალხია — ძიძა, მენტორი, ეგვიპტიოსი, ევმაიოსი; ნესტორისა და მენელაოსის მხარდაჭერაც გასარკვევია. ამიტომაც ტელემაქესთვის ასე მნიშვნელოვანი მათთან სტუმრად წასვლა და ნესტორის სიტყვები, რომ იგი მამას ჰგავს<sup>8</sup> და მენელაოსის ცოლის, ელენეს, ერთი შეხედვით, აბსურდული სიტყვები, რომ მოსული ჭაბუკი ოდისევსის ახალდაბადებულ ვაჟს ახსენებს (ჰომეროსი 1977: 143-144)), მთელი ითაკა აუმხედრდება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ოდესლაც ოდისევსი ძალიან უყვარდათ, მას ბრალდება ის, რომ ვერცერთი მათგანი ვერ დააბრუნა სამშობლო-

ში. ითაკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შინმოუსვლელების ახლობელია. ყველაფერს აპატიებდნენ ოდისევსს, მათი ახლობლები რომ ომში გმირულად დაღუპულიყვნენ, მაგრამ უსახელოდ ზღვაში დაღუპვა? მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი სასიძოების ნათესავია. ამიტომაც ტელემაქე ურთულეს მდგომარეობაშია. მას ლეგიტიმაცია სჭირდება, რომ ოდისევსის შვილია, ეს კი დედამ უნდა დაადასტუროს, მერე მას დასჭირდება მეზობელი ხალხების აღიარება, ეს კი ნესტორისა და მენელაოსის საქმეა, მერე კი უნდა მოიფიქროს, რა პასუხი გასცეს ითაკელებს. ამ წამოწყებულ თამაშში ერთადერთი გამოსავალია, დაბრუნდეს ოდისევსი და მან ამოხოცოს სასიძოები, თანაც ოდისევსი ოცი წლის მერე დაჩაჩანაკებული კი არ უნდა იყოს, არამედ ძალა უნდა ერჩოდეს.

ჩემი აზრით, ოდისევსი არ დაბრუნებულა ითაკაზე. ესაა ტელემაქეს მოფიქრებული ამბავი მას შემდეგ, რაც სასიძოები ამოხოცა. რა თქმა უნდა, ოდისევსს უფლება ჰქონდა, სასიძოები ამოეხოცა. მაგრამ ამის შემდეგ მოვლენები სხვაგვარად უნდა განვითარებულიყო. რა ხდება პოემაში? ამდენი ხნის მონატრებულმა ოდისევსმა ტელემაქეს ოცნება განახორციელა და მერე ისევ შორს წავიდა — მისიონერი გახდა, რათა პოსეიდონის კულტი ჩაეტანა იმ მხარეში, სადაც ზღვა თვალთ არავის ენახა! ეს არის ოდისევსის მეორე დასრულებელი მოგზაურობის დასაწყისი, მიკვირს, რომ ბერძენმა ხალხმა ამაზე კიდევ ერთი ამბავი არ შეთხზა. ოდისევსი ისე მიდის ითაკიდან, რომ ყველა, ვინც იგი ნახა, ან მოკვდა (სასიძოები) ან ის ხალხია, ვინც ტელემაქეს ერთგულია (პენელოპე, ევრიკლეა, ევმაიოსი, ლაერტი), ძალღიჯ კი, რომელიც ოდისევსს ეკუთვნოდა, ოცი წლის ლოღინის შემდეგ სიხარულით შეხვდა პატრონს და ადგილზე განუტევა სული. მას შემდეგ, რაც ტელემაქემ ითაკაზე მოაგვარა საქმეები, მას დასჭირდებოდა ხალხისთვის იმის ახსნა, თუ სად იყო ოდისევსი ათი წელი, რატომ ვერ დააბრუნა ვერცერთი ითაკელი შინ. ამისთვის კი მას დასჭირდა ისეთ მხარეებში ოდისევსის მოგზაურობის ამბების გამოგონება, სადაც ვერავინ ვერაფერს შეამომებდა. ასეთი მხარეები კი ზღაპრებშია. ტელემაქე დაესესხა იმ დროს არსებულ ზღაპრის სიუჟეტებს და ამ ზღაპრების პროტაგონისტებს ჩაანაცვლა ოდისევსი. თუმცა ზოგიერთი ამბავი ალბათ თავადაც გამოიგონა, დაუკავშირა რა ამ მხარეებისა და ხალხის შესახებ ცნობილ ამბებს. ასეთი უნდა ყოფილიყო კიკლოპთან შეხვედრის ამბავი, რომელიც ოდისევსს ამჟამად ფეაკებთან თავის მოსაწონებლად სჭირდება და თავად ფეაკებთან შეხვედრის ამბავი. ის, ვინც მოიგონა ამბავი, დასასრულიც ისეთი გამოიგონა, რომელიც ცნობისმოყვარეს ყველა კითხვას

გაცემდა პასუხს: ფეაკებზე განრისხებულმა პოსეიდონმა, რომელმაც არ აპატია თავის ხალხს ოდისევსის მიმართ ჩადენილი სიკეთე, კუნძულს კლდეები შემოავლო და თვალთაგან უხილავი გახადა. არცერთი დაღუპული ითაკელის საფლავი არ დარჩენილა (გარდა ელპენორისა), ყველა უკვალოდ დაილუპა (ან კიკლოპმა შეჭამა, ან ლესტრიგონმა, ან სკილამ და ქარიბდისმა). ერთადერთი ამბავი, რომელიც ძალიან ჰგავს რეალურს, ისმაროსში მოგზაურობაა. ამის შემდეგ კი ოდისევსის კვალი იკარგება. სწორედ ეს ფაქტი ხსნის იმას, რატომ არ უჭირდა ოდისევსს კომუნიკაცია არცერთ მხარეში, რატომ არ არსებობდა მოსულებსა და დამხვედურებს შორის ენობრივი ბარიერები.

თუ ჩემი ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ახალი შეკითხვა დაიბადება: ჰომეროსმა მოიგონა მთელი ეს ამბავი თუ ჰომეროსმა ოდისევსთან დაკავშირებული სხვადასხვა ამბავი მოისმინა და მას გაუჩნდა ეჭვები, რამდენად შეესაბამებოდა ყოველივე სიმართლეს. ამიტომაც შეეცადა პოეტური ფანტაზიის დახმარებით აეხსნა ყველაფერი და შეთხზა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ყველაზე უფრო დიდ ქმნილება, რომელიც დანერგა კაცობრიობის არსებობის მანძილზე.

## **შენიშვნები:**

1. ამ პროცესებს ხელი განსაკუთრებულად შეუწყო ტექნოლოგიების განვითარებამაც. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული პროგრამები სხვადასხვა შრიფტების გამოყენებას არ გამოირიცხავს და თითქოს ეს განსაკუთრებულ პირობებს უნდა უქმნიდეს სხვადასხვა ენებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კომპიუტერიზაცია ხელს უწყობს ენების სიცოცხლის გახანგრძლივებას. ელექტრონული ჟურნალებისა და სხვა გამოცემების არსებობამ ადვილი გახადა ნაშრომები ხელმისაწვდომი გამხდარიყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამ გზაზე კი ავტორს ხელს უშლის მხოლოდ მშობლიური ენა. მისი მკითხველთა წრე მაშინვე გაათასმაგდება, რა წამსაც იგი ყველასთვის გასაგებ ენაზე დაიწყებს წერას. რა თქმა უნდა, მოთხოვნილება, ერთ ენაზე იქმნებოდეს ნაშრომები, ბევრად უფრო დიდია მეცნიერების ზოგიერთი, ე.წ. პრიორიტეტული დარგის წარმომადგენლებისთვის. სხვა დარგების წარმომადგენლები თავად უფრო არიან დაინტერესებულნი, ნაშრომები გააცნონ მკითხველს.

2. მხატვრული ტექსტის თარგმნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუნდაც იმის გახსენებაც კმარა, რამდენი სირთულე ახლავს თან ფრაზეოლოგიური გამოთქმებისა და იდიომების თარგმნას. თარგმანისას წარმოუდგენელია, სიტყვით თამამისა და კალამბურების გადმოცემა, ამიტომ მთარგმნელს კომენტარის დართვა სჭირდება, მკითხველს რომ სათანადო წარმოდგენა შეუქმნას. არადა, ასეთი თარგმანის კითხვა მკითხველს სხვა ტიპის სიამოვნებას აკლებს. ასევე არაერთი მაგალითია ცნობილი იმისა, თუ როგორ

ქმნიდნენ მთარგმნელები საგნობრივ ტერმინოლოგიას, ახალ სიტყვებს და ამით ამდიდრებდნენ მშობლიური ენის ლექსიკას. მაგალითისთვის X-XII საუკუნეებში მოღვაწე მთარგმნელთა იმ პლედის გახსენებაც კმარა, რომელთაც ქართული სალეთისმეტყველო და ფილოსოფიური ენის განვითარებას შეუწყვეს ხელი. მათი მარჯვენდ გამოგონილი სიტყვები დამკვიდრდა ქართულ ენაში და დღეს ცოტამ თუ იცის, რომ ამ რიგს განეკუთვნება არსი (მესამე პირის ზმნას ემატება სახელობითი ბრუნვის ნიშანი!), არსება (მესამე პირის ზმნას ემატება სუფიქსი „ება“, რომელიც დაერთვის მხოლოდ ზედსართავ სახელებს), არსობა (ზმნის მესამე პირის ფორმა დამატებული სუფიქსი „ობა“, რომელიც არსებითი სახელებისთვისაა განკუთვნილი), არსებობა (მესამე პირის ზმნას დამატებული ორი სუფიქსი) და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ სიტყვა აობა-ც, რომლის პირველი ნაწილიც მიღებულია არს ზმნის შემოკლებული ვარიანტიდან და შემდეგ მას ერთვის „ობა“ სუფიქსი. როგორც ვხედავთ, მთარგმნელი თითქოს სრულიად დაუშვებელ ხერხებს მიმართავს ახალი სიტყვების საწარმოებლად.

3. ამის მაგალითია არამარტო ბერძნული კულტურა (როცა ბერძნული ენა სავალდებულო იყო დაპყრობილი ქვეყნებისთვის) ან რომაული კულტურა (როცა, მიუხედავად ორი ენის — ლათინური და ბერძნულის — გაბატონებული მდგომარეობისა, ლათინურ ენაზე ქმნიდნენ აფრიკული წარმომავლობის ავტორებიც), არამედ საბჭოთა კულტურაც (მიუხედავად ნაციონალური კულტურების ხელშესაწყობად წარმოებული პოლიტიკისა), როცა რუსულ ენაზე ინერგობდა დისერტაციები ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო დარგებში და როცა მრავალი მწერალი ამჯობინებდა რუსულ ენაზე შეექმნა თავისი ნაწარმოებები (ამის მაგალითად ჩინგიზ აითმატოვიც კმარა, მწერალი, რომელიც დიდი გულისტკივილით აღწერდა რუსულ ენაზე ეროვნული ტრადიციების კვდომას).

Характер (в литературе) – образ человека в литературном произведении, очерченный с известной полнотой и индивидуальной определенностью, через который раскрывается как исторически обусловленный тип поведения, так и присущая автору нравственно-эстетическая концепция человеческого существования.. Национальный характер — это представление народа о самом себе, это безусловно важный элемент его народного самосознания, его совокупного этнического Я. И представление это имеет поистине судьбоносное значение для его истории. Ведь точно так же, как отдельная личность, народ, в процессе своего развития формируя представление о себе, формирует себя самого и в этом смысле — свое будущее.

Для исследования важно определить понимание терминов «национальный характер», «нация», «этнос», «ментальность». Это необходимо потому, что изучаемая проблема является предметом исследования не только литературоведения, но и философии, социологии, психологии, лингвистики и т.д. В словаре современного русского литературного языка термин «характер» имеет следующее толкование: «Характер. Совокупность основных психических свойств особенностей личности человека, чей-нибудь нрав» (Словарь современного русского литературного языка 1957: 234). Таким образом, национальный характер трактуется как отличительная черта нации, присущая только ей. Причем этот характер исторически и социально обусловлен. Под «национальным характером» понимаются исторически сложившиеся нравственные свойства, качества того или иного народа, его психологический склад. При этом следует заметить, что слово «народ» используется в работе, как правило, в широком смысле, тождественном «нации». А «нация» определяется как «исторически сложившаяся устойчивая общность людей, характеризуемая общностью языка, территории, экономической жизни и психологического склада.

Сегодня активно используется и термин «ментальность», под которым понимается совокупность психологических, интеллектуальных, идеологических, религиозных, эстетических и т.п. особенностей мышления народа, социальной группы или индивида, проявляющихся в культуре, языке, поведении и т.п.; мировосприятие, умонастроение. В принципе, этот термин отличается от сочетания «национальный характер» тем, что в его значении акцент делается на мировоззрении народа, национальном складе ума. Рассмотренные понятия и составляют терминологическую базу исследования.

Повышенный интерес к проблеме национального характера связан в основном с глобализацией, ведущей к установлению стандартных универсальных норм поведения людей в межличностных и международных контактах. Процесс унификации вызывает у народов разных стран желание сохранить этническую индивидуальность, подчеркнуть уникальность собственной культуры и психологического склада. Неотделимо от истории и миропонимания отдельного этноса и устное народное творчество. Фольклор каждой нации обладает своими неповторимыми особенностями. В нем находят отражение философское понимание жизни, народный быт, исторические события. Потенциал в передаче национального в устном народном творчестве велик, поэтому фольклор не остается без писательского внимания в изображении этнокультурной атмосферы.

Мыслителей нового времени интересовало не только этническое различие людей, а и причины его возникновения. Это было преимущественно философское постижение проблемы, которое получило серьезное развитие лишь в XVIII – XIX веках в работах И. Канта, И.Г.Гердера, Г. Гегеля, и т.д. Интенсивное обращение к природе этнического своеобразия и конкретного национального характера началось с приходом романтизма и продолжалось на протяжении всего литературного процесса. В России оно достигло своего расцвета в XIX веке, когда появились произведения, раскрывающие тончайшие нюансы русского менталитета и психологического характера других национальностей.

В этот период и появилось известное высказывание Н.В. Гоголя о том, что «истинная национальность состоит не в описании сарафана, но в самом духе народа» (Гоголь 1977: 384). Отсюда выводится главная задача писателя в воссоздании национального в художественном произведении, которая не ограничивается лишь передачей внешних этнических характеристик, а заключается в творческом постижении сложных вибраций национальной души. Художественное изображение этнической самобытности в тексте достигается путем гармоничного соотношения сюжетной линии и его поэтической составляющей, демонстрирующей этнохудожественное самосознание. Последнее осуществимо лишь при полной разработанности автором в произведении национальной природы человека во всех её проявлениях: в психологическом поведении, в нравственных устоях семейной жизни, в социальных взаимодействиях, интересах, потребностях, искусствах, обычаях.

Мы попытаемся определить основные приёмы воссоздания национального в прозе Б.Т.Евсеева и рассмотреть степень выраженности национального характера в персонажах автора.

Рассмотрим самый известный пример – роман, историко-биографическую партитуру, настоящее открытие, совпадение двух талантов – автора и его героя. Главный герой – великий композитор, гений русской музыки Евстигней Фомин (Евсеев 2010). Природа не наградила Евстигнея впечатляющей внешностью. Сутулый, не слишком рослый, вечно озабоченный поиском достойных тем и сложных контрапунктов, он служил капельмейстером, тратил свой талантище на правку, совершенствование чужих опусов. Какой же это герой? Талантливый беллетрист, опытный музыкант, Евсеев отыскал, придумал, сочинил пути к Евстигнею. И все неясное и потаенное зазвучало в романе, открылись для читателя его желания, самые сокровенные и неисполнимые. Постепенно из сизого тумана столетий стали проявляться, прорисовываться и облик, и характер композитора. А

затем фантом авторского воображения стал мыслить и страдать. Пугающие видения и реальные беды Евстигнея.

*«А вот с теми, что скрылись за кулисами, сутулящийся схож не слишком: уж он-то не опутан сетью капризов, не продёрнут томным изыском! Видно, что не трусоват, не хлипок. Не шаркун и не говорун, не доносчик, не бузотер!*

*Одна беда – замкнут, угрюм. Кое- кому из зрителей при виде капельмейстера наверняка приходит на ум: да ведь на таких-то (не бузятих, упёртых) всегда и держалась Россия! При Чесме и Кагуле, у Рябой Могилы и под Измаилом, у Халхин-Гола и под Сталинградом, на Зеловских высотах и близ Рокского тоннеля...*

*Пока музыкант шагает, некоторые из зрителей крепко ухватывают ещё одно: не обязательно герою русской жизни галопировать на плацу! Греть барабанами в Гатчине! Манерничать в Кремле или в Малом Зимнем! Вполне для некоторых героев достаточно дать озвучку музыке боя, ещё лучше – музыке мысли...*

*Звук, зародившийся в гулком московском колодце, растёт. Музыкант со смычком, зажатым в кулаке, движется к сцене неуклонно. Однако внезапно (на чей-то дерзкий смешок) оборачивается: грозно, гневно. Зеленоватые глаза его при этом вспыхивают, как у рассерженной кошки Евс-стигней-й!-вскрикивает кто-то истошно, пр изнав героя» (Евсеев 2010: 8).*

Принципы и приемы воссоздания характера различаются в зависимости от трагических, сатирических и других способов изображения жизни, от литературного рода произведения и жанра; они в большой мере определяют лицо литературного направления. Борис Евсеев обеспокоен трудной загадкой: почему же талантливейший композитор, родоначальник русской классической музыки так и не был оценен по достоинству ни при жизни, ни два столетия спустя? «Равнодушные выкрали его славу. Чернильные души вымарали биографию... Великую музыку – по тактам, по строчкам — растащили друзья, недруги». И он назовет виновницу – попустительницу гибели композитора: «Матушка Екатерина, задержавшая ход русской музыки никак не меньше, чем на треть века»(вступление).

*«Так что историям было взяться неоткуда. Оставались разговоры с самим собой, краткие, но сильные видения, бесконечные упражнения на скрипке, на клавинодах... Не умея, как некоторые иные воспитанники, тайно просить и тихо подличать, подхалюзничать и за то быть хвалимым и отличаемым,- начинал он склоняться к безысходности. Что не поощрялось. А непоощряемые мысли и чувства надобно было прятать поглубже» (глава 5).*



*«Матушка Екатерина знала, что и как переустраивать! Многое учла, многое предусмотрела. Вот только про музыку отчего-то в трудах своих позабыла.*

*Разумеется, совсем забыть о музыке было невозможно: балы, спектакли, викториш, встречи триумфаторов... Как позабудешь! Однако при всем при том — и уж это несомненно — государыня императрица в начале царствования музыку пленительным локотком своим из ряда необходимых искусств изящно вытолкнула.*

*Этого (едва ли предумышленного) движенья оказалось достаточно!*

*Музыка стала звучать в империи фоном. Двигаясь одной лишь собственной силой, она тихо волочилась поодаль от главных дорог, постанывала у едва приотворенных дверей.*

*От небрежительного обращения повсюду часто ухудшаясь, становилась беспомощной, тугоухой...» (глава 3).*

Путь к искусству лежал через постижение многоплановых отношений людей, духовной атмосферы времени. И там, где конкретные явления как-то увязывались с этими проблемами, рождалось живое слово, яркий образ. Борис Евсеев описывает, как у героя постепенно меняется почерк: *«Из рабски дрожащего почерк Фомина делался ровен, раскидист»* (глава 20).

А когда происходит катастрофа с его первой оперой «Новгородский богатырь Василий Боеслаевич», получаем уже не почерк – характер. При первом настоящем столкновении Фомина с тогдашней властью именно на почерк композитора обращает внимание статс-секретарь Екатерины Храповицкий. Эта сцена сделана очень сильно. Затребовав партитуру после оперного спектакля, Храповицкий страшно раздражается на те вольные завитки, которые «дозволяет» себе Фомин. Даже в почерке Евстигнея он улавливает своеволие и вольнодумство. Не смея критиковать манерность текста матушки-государыни, он обрушивается на композитора и со сладострастием заклеивает полосками бумаги ставшие ему ненавистными места в партитуре Фомина. Скупыми прозаическими средствами нарисована одна из тенденций российской жизни: происходит страшная расправа над рукописью! Ну а где есть расправа над рукописью, там возможна и расправа над человеком... *«Статс-Храповицкий ухватил полоску бумаги, смазал ее обильно клеем, на клей — еще горячий — подул и попытался заклеить кусок партитуры, писанной, как он с отвращением вдруг заметил, манерно, с завитками... Через четверть часа все нелепые балетные сцены были наглухо заклеены полосами бумаги, да сверху того еще припечатаны сургуком...»* (глава 28).

Как видим, многое зависит от степени понимания темы самим писателем, перед которым стоят серьезные задачи решения проблемы

национального в художественном творчестве, знания и талант которого раскрывают читателю глубокие тайны национальной души. Личность автора заслуживает большого внимания, так как, являясь представителем определенного этноса, она создает на каждом этапе народного развития произведения, знаменующие определенные уровни постижения национального духа.

Ярким примером нам послужит книга «Романчик» (Евсеев 2005). Это история любви, история времени, история взросления души. Студент и студентка музыкального института – песчинки в мире советской несвободы и партийно – педагогического цинизма. Запрещённые книги и неподцензурные рукописи, тнятая навсегда скрипка героя и слёзы стучачей и сексотов, Москва и чудесный Новороссийский край.

В «Романчике» Евсеев оставил герою свою фамилию, хочет познакомиться с Солженицыным, определяется с гражданской, человеческой позицией. Водоворот событий, в который он оказывается втянутым, незавидная судьба однокашников, разменявших свой талант, наконец, собственное отчисление – все это заставляет Евсеева задуматься о выборе жизненного пути; его мечтой, целью становится литература.

*«...– Затем, что на ней теперь будут играть... более достойные студенты!...*

*– Те, которые могут играть только на пять? – сдуру процитировал я недавнее заявление нашего декана на одном из собраний: «Молодые комсомольцы должны играть хорошо. А уж коммунисты могут у нас играть только на пять. Мы им просто не имеем права ставить других оценок, и они должны нас в этом поддерживать. Своей игрой, конечно...»* (глава 7).

Произведения Евсеева оказали огромное воздействие на судьбу современной русской литературы. Живые, колоритные фигуры евсеевских персонажей как бы являют собой разные стороны «загадочной русской души». Каждая новая книга ставит нас перед неизвестной гранью его дарования. Но на полях письма это входит в определённую стратегию мысли и слова XXI века. Евсеев обладает хорошо развитым чувством управления собой и своим творчеством. Музыкальная гибкость интонации, образная спонтанность и восстановление – через систему метафорических зеркал – единства мира, раздробленного хаосом, особенности восприятия окружающего мира, форм его освоения и чувственно-эмоциональных реакций на него, национальный характер находят своё отражение во многих произведениях художественной литературы, воплощаясь в неповторимые человеческие характеры.

Б. Т. Евсеев – незаурядная и яркая фигура в современной русской литературе. Ему присущи необыкновенная чуткость и неподдельный интерес к природе национального и к миру национального. Созданные им образы отличаются четко выраженной национальной характерностью. В художественном мире Евсеева привлекает максимальная открытость и толерантность к чужим культурам. При этом автор «Евстигнея» и «Отречённые гимны» остается глубоко русским писателем. Все это обуславливает повышенный интерес к проблеме национального характера в творчестве писателя. Эта особенность дарования Б.Т.Евсеева, естественно, представляет большой исследовательский интерес. Неслучайно художественный мир писателя становится объектом изучения многих литературоведов, занимающихся проблемой природы национального.

Русские писатели всегда стремились к творческому преобразению мира. И путь к подлинному бытию лежал через самоуглубление художника. Таким образом, именно через самоуглубление художника создается новый образ, отражающий действительную реальность. И в этих образах отражается характер человека. Проблема национального характера является очень важной и интересной, поскольку на протяжении многих лет она волновала умы многих писателей и ученых.

В прозе Б.Евсеева можно отметить три важнейших особенности в создании различных национальных образов. Во-первых, это этнографизм, заключающийся в том, что представленные в художественном тексте национальные особенности основываются на пристальном изучении писателем традиций и обычаев той или иной этнической группы, представители которой включены в художественный мир писателя. Вместе с тем, не следует воспринимать этнографизм писателя как исключительно эмпирический. Дело в том, что Евсеев стремился не просто к демонстрации достоверных этнографических особенностей, а исследовал заложенные в них глубокие ментальные пласты народной жизни.

Этнографические элементы необходимы художнику для серьезного анализа национальной психологии человека, для раскрытия его внутренних качеств с целью создания колоритных литературных портретов. Это и богатырская сила, нескованная, нестесненная, готовая заполнить собой безграничное, родное пространство, это и мощный эмоциональный всплеск, требующий простора. Такое душевное переживание в понимании русского человека всегда было символом абсолютной свободы, достижения наивысшей степени счастья, поэтому в русском дискурсе «свобода» и «простор» имеют и синонимическое значение. Именно взаимосвязь этих столь значимых для русского менталитета категорий гармонично выражена

образом Ивана Раскознякина из новеллы «Лавка Нищих: Русские каприччо» (Евсеев 2009).

*«Не давая продавцу опомниться, Ваня отворил вторую клетку, за ней третью, сбил заднюю перегородку со стеклянной попугайской витрины, выпустил с десятков волнистых, перескочил через какие-то коробки, обрушил ногой поставленные этажеркой ящики, ухватился за купол громадной совиной клетки, отворил и ее...Шум и гвалт плотной волной потекли по рынку. Одна птица – видно, полумертвая – тут же брякнулась оземь. Еще две – полетели низко и кривенько, но вместе, парой. Еще несколько взметнулись вверх. Крикнул резко и зло выпущенный на волю скворец. С перепугу начал петь, а потом резко замолк черный дрозд. К Ване бежали охранники. Хватал за грудки продавец. Ваня огрел продавца своей собственной, так и не проданной клеткой, клетка обломилась в сторону, в руках осталась только дверца. Дверцу Иван сунул за пазуху. Он думал – его изувечат, убьют, пятое, десятое... Ошибся. Не одна лишь волна злобы окатила Новую Птичку! Кой-кому Ванина забава страшно понравилась. Сразу несколько покупателей – один даже очень приличный, в мехах, в перстнях, – потянули руки к клеткам. Выпустили, смеясь, еще нескольких птиц. И завернулся винтом под куполом рынка небольшой, но крикливый птичий вырей! Словно собравшись за море, кружили и кричали птицы, ища выхода из ангара. Этот ошеломляющий звук, звук полученной «за так» свободы, сделал Ваню на миг пустым, бескостным. Птичий звук был лучше жизни, был приятней и справедливей ее. От радости и от счастья Ваня закрыл глаза» (Евсеев 2009: 16).*

Кажется, Евсеев сказал очень многое в своих рассказах, повестях и романах, утвердился в своем стиле, в манере... И вот выходит новая книга новелл «Лавка нищих», классически законченная, лаконичная по слову, похожая на невидимую подземную грибницу, связывающую его героев. «Лавка нищих» не страдает абстрактным гуманизмом, она о полунищей стране, о том, как страна выживает в эпоху глобального кризиса. И как сам Б.Т.Евсеев говорил о своих героях: «... Именно языком просторечия говорят и многие мои герои. Заметьте, герои, а не автор! У каждого из них своя непридуманная языковая манера, присущие только их социальной или общественной группе «речевые жесты». Ну а распутье – это извечный русский крест. В «Лавке» – реальная жизнь реальной России. И никакой фантастики – только непознанная реальность!

Своеобразным зачином книги является история Ивана Раскозяки, парня из пригорода, из набитой битком электрички – таких презрительно называют чмо, – продающего самодельные клетки на новом Птичьем рынке. Ваня

одинок, родители, вдоволь намаявшись в жизни, умерли, знакомых – никого, только прибывшаяся на рынке девчонка. Поэтому птицы, щенки и котята, привезенные на продажу, для него не просто «братья меньшие», а товарищи по несчастью. И вся-то вина Ивана – открыл дверцы клеток, чтоб выпустить птиц на волю. Но рыночный пристав неумолим: за нанесенный торговле ущерб он сначала жестоко избивает Ваню, а потом тащит к зловещей яме в окрестностях Птички – заживо засыпать землей, отнять последнее, что у того есть, – жизнь.

В своих рассказах Евсеев вслушивается в переключку мотивов, доносящихся из разных национальных пространств. В имени Агаты Хрестик эхом отзывается имя знаменитой английской писательницы Агаты Кристи. В русской жизненной ярмарке неожиданно оживает латынь, веками оповещавшая братию, что пора кончать мясоед и начинать пост. Между развитием этноса и формированием творческой личности, её произведениями существует четкая взаимообусловленная связь. Культура народа воспитывает человека сообразно своим исторически сложившимся нормам и требованиям, в то время, как личность, в нашем случае \_ писатель, своими творческими достижениями стимулирует культурное развитие нации. Литературно-художественное произведение же не демонстрирует только внешних характеристик этноса, а представляет собой «воплощенное в слове отношение к этническому и национальному, процесс осмысления-переосмысления – то, что позволяет говорить о творческой природе авторского видения. Здесь важен виток спирали (художественной мысли), открывающий в сфере тех или иных этнических или национальных предпочтений систему ценностных ориентаций...

Борис Евсеев очень разнообразный писатель. И в то же время у него есть замечательное чутье, когда все излишества, все метафоры убираются. У Евсеева есть рассказ «Триста марок» (Евсеев 2003) о подростке, угнанном во время войны за рубеж. Нет никакой идеализации героя, никакой позы, никакой вычурности. Трагедия подростка передана скупыми средствами. И от этого скупого прозаического жеста она становится огромной. Именно эта сдержанность и дает ощущение настоящего страха, скажем, в сцене, где заключенный лежит в штабеле трупов, двенадцатым снизу. В рассказе ирония и сатира как бы исходят из той трагедии, которая произошла с этим подростком, и еще раз с новой точки обзора возвращают нас к ней. *«...Видно, дядю до сих пор подозревали в каких-то коренных славянских преступлениях. Иначе после того, как он везде и всюду указал возраст своего пленения – двенадцать лет, – такой вопрос выглядел как-то не совсем опрятно...»* (Евсеев 2003: 34)

Большой интерес представляет и сам литературно-художественный текст, в котором воссоздан национальный менталитет, потому что в нем заключено не только целостное авторское видение сущности народного бытия, но и сама национальность писателя, так как он свои творческие замыслы черпает, прежде всего, из жизни своего народа, воплощает их в искусстве методами и средствами, выбранными на протяжении веков родным ему этносом.

Вот эта недекларируемая русскость, способность передать в слове взаимопроникновение социоисторического, метафизического и метафорического (иносказательного) смыслов национального бытия, и позволяет зачислить Евсеева в почвенники, а стиль его литературного письма назвать феноменологическим. Особенно ярко свойства этого стиля, в ряду которых — парадоксальность образов, гротескность, овеществленность поэтического языка, непривычное сочетание реалистических и модернистских элементов — проявилось в сборнике „Баран“ (2001). В него вошли лучшие рассказы, опубликованные в журналистской периодике 1992-1999 гг.: «Никола Мокрый», «Узкая лента жизни», «Рот», «Садись. Пиши. Умри.», «Кутум» и, конечно же, рассказ Баран» и повесть «Юрод», ставшие знаковыми в литературном процессе рубежа веков.

Приведём пример из рассказа «Рот» (Б.Евсеев 2001: 83): *«Она сложила губы для продолжения пенья, но затем внезапно вместо пенья, издала ими краткий, легчайший и неповторимый звук: звук красной, кровавой, разлепляемой только для сотворения новой жизни и новой любви плоти.*

*– Ох и вытьем с тобой, армяшечка! Бери драхмы, гони!»*

Насыщенная встречами, знакомствами, наблюдениями и впечатлениями жизнь писателя позволила ему постичь не только сущность русского менталитета, отразившегося на страницах его художественных текстов, но и понять особенности иных национальных характеров. При этом следует заметить, что «прославляя многие коренные черты русского характера, Евсеев был далек от национального самодовольства, в полной мере отдавая дань здравому национальному критицизму. Эта участливость Евсеева к человеческой беде, страданиям, приковывает его к «вытолкнутым». Он охотнее осмысляет быт переселенца, чем быт коренного жителя. С этим связана, конечно, заметная тяга Евсеева и к изображению так называемых «инородцев», и к осмыслению контактов русских людей с «инородцами».

Примером нам послужит отрывок из рассказа «Узкая лента жизни»: *«Брат, брат, – твердил про себя, как бы вперевив этим своим мыслям и ненужным вопросам пан поляк. Брат!... Это ведь большие жены, сильней любви! Брат, отзовись, прошу! Отзовись, брат! От... Пан поляк гладил*

*длинную ленту и на его круглом, всё больше и больше бледнеющем лице ясно просматривались две высохшие узкие полоски от слёз, тянувшиеся по щекам к тучноватой розовой шее. Одна полоска была длиннее, другая короче: словно недобежавшую по узкой колее до положенного обрыва слезу, смахнул московский снежок или снёс варшавский туман, или вытер ангел, незаметно и необременительно, но зорко и раздучливо приглядывавший за паном поляком так же, как раньше приглядывал он за паном русским.... Он не замечал никого и ничего. Никаких людей он не видел! Потому что не было для пана поляка человека лучше, чем пан русский. А почему это так – кто узнает теперь?» (Б.Евсеев 2001: 43).*

Евсеев безукоризненно чуток, бережен и тактичен, когда пишет «инородцев», иногда он касается саднящих ран, например, описывая тех же поляков или азербайджанцев, турков, евреев, но он делает это так, что национальное достоинство людей у него бывает не только не унижено, но даже и подчеркнuto.

Ярким доказательством может служить рассказ «Кутум»: *«И тогда человек в кавказской, ополовинившей лоб фуражке снова вернулся к дороге, делавшей здесь восьмёрку, и, выпутавшись из танковой колонны, побежал вниз, к морю. И никто из сидевших и стоявших у замёрзших на полпути в Баку боевых машин ему ничего не сказал и не крикнул. И смотрели ему вслед скорей с сожалением, чем с неприязнью. Потому что и они, смотревшие, потому что и они не знали, где упрятана тайная пружина всего сегодняшнего зла. Не знали и не могли унять, не могли вжать в дорогу, закопать в землю её нечеловеческую – раскрученную с пальбой и треском – силу...» (Б.Евсеев 2001: 23).*

Серьёзный вклад в постижение современного русского национального характера в конце XX и в начале XXI века был сделан Б.Т.Евсеевым. На страницах своих произведений ему удалось создать колоритные национальные образы, причём не только представителей русского народа, но и других национальностей. Для писателя характерно тонкое чувство народной стихии, её психологии, духа. Б.Т.Евсеев достоверно представляет этнокультурные особенности, при этом он не ограничивается раскрытием лишь положительных сторон народной жизни, он предельно объективен.

Естественно, что в рамках одной исследовательской работы невозможно охватить все творчество писателя, поэтому мы остановились на анализе тех произведений, где проблема национального и инационального выражена наиболее ярко и являет собой оригинальное авторское решение. Представляя инациональный характер, писатель чаще всего, что естественно, сопоставляет его с русским, или же это сопоставление, как правило,

подразумевается. Гению Евсеева всегда был присущ интерес к феномену национального, к различным его проявлениям. Это нашло широкое и яркое отображение в его прозе. Евсеев глубоко русский художник. Его исконный русский язык, любовь к высокой православной лексике, стремление создавать неологизмы исключительно в рамках русского словаря и русского словообразования нисколько не мешали, а скорее даже помогали увидеть ему как своеобразие чужого этнического мира, чужого этнического характера, так и своего – русского.

#### **ЛИТЕРАТУРА:**

**Гоголь 1977:** Гоголь Н. В. *Проза. Статьи.* М., 1977.

**Евсеев 2001:** Евсеев Б.Т. *Баран: Рассказы и повесть.* М., 2001.

**Евсеев 2003:** Евсеев Б.Т. *Триста марок.* М., 2003.

**Евсеев 2005:** Евсеев Б.Т. *Романчик.* М., 2005.

**Евсеев 2009:** Евсеев Б.Т. *Лавка нищих.* М., 2009.

**Евсеев 2010:** Евсеев Б.Т. *Евстигней.* М., 2010.

**Николаев 2005:** Николаев Д.П. *Русская литература как форма национального самосознания XVIII вев.* МИМЛИ РАН, 2005.

**Словарь современного русского литературного языка:** *Словарь современного русского литературного языка:* в 17 т. М.- Л, 1957, т. 17.

**Тургенев 1970:** Тургенев И.С. *Дым. Новь: романы.* М., 1970.

**Тургенев 1984:** Тургенев И.С. *Записки охотника.* М.: Правда 1984.

#### **EKA CHKHEIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Model of “Strolling Couple” in European and Georgian Fiction**

As it is already known the model of “Strolling Couple”, is not new for world literature. The favorite couple for readers are brilliantly reflected and depicted in literature masterpieces of the world: Miguel de Cervantes Saavedra’s “The Ingenious Gentleman Don Quixote of La Mancha” and “The Legend of Thyl Ulenspiegel and Lamme Goedzak” of Charles De Coster. The very model of the literature was used by Prince Ioane of Georgia (Ioane Bagrationi) while creating his didactic encyclopedic work “Kalmasoba”.

**Key Words:** *Strolling Couple, didactic, favorite couple.*



## ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### „მოხეტიალე წყვილის“ მოდელი ევროპულსა და ქართულ მწერლობაში

განსხვავებული მხატვრული ფიგურები და გამომსახველობითი საშუალებები იქმნება სხვადასხვა ეპოქაში. ადრეული შუა საკუნეებიდან დღემდე თანდათან ვითარდება და იხვეწება ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოხატვის ხერხები და ნარატივის ტექნიკა. მაგრამ მიუხედავად მუდგმივი ცვლილებებისა, არსებობს მხატვრულ სახეთა უცვლელი ან ტიპოლოგიურად მსგავსი მოდელებიც, რომლებიც ტრანსფორმაციას კი განიცდის, მაგრამ იდეური თვალსაზრისით ერთ მყარ სტრუქტურას ინარჩუნებს. ამგვარი მხატვრული ფიგურები აახლოვებს სხვადასხვა ქვეყნის დროში დაცლებულ კულტურულ ფენომენებს და, ამდენად, ჰუმანიტარული კვლევებისთვისაც უაღრესად საყურადღებო მასალას გვთავაზობს.

მსოფლიო ლიტერატურისათვის უცხო არაა, პირობითად რომ ვთქვათ, მოხეტიალე წყვილის მოდელი (კეთილშობილი რაინდი და მისი კომიკური მხლებელი). სხვადასხვა ერის ლიტერატურამ განსხვავებულ ეპოქებში არაერთი დიდებული ნაწარმოები შექმნა ორი ადამიანის მოგზაურობისა და თავგადასავლების შესახებ. ამ ორიდან ერთი სუვერენია, რაინდული ღირსებებით შემკული, სიკეთისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი, ხოლო მეორე — კომიკური მსახური, მინიერი ზრახვებით შეპყრობილი, „უბრალო“ და „ჩვეულებრივი“ ადამიანი. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ პირველი ათასებიდან ერთადერთია, მეორე კი — ათასებიდან ერთ-ერთი. ისინი ავსებენ და თან ამავე დროს თავისი არსით, დანიშნულებით უპირისპირდებიან ერთმანეთს, რითაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენენ თითოეული მათგანის შინაგან ბუნებასა და ლიტერატურულ ხასიათს. ეს უაღრესად ჰუმანური და მკითხველისათვის საყვარელი წყვილი ფიგურირებს მსოფლიო ლიტერატურის ისეთ შედეგებში, როგორებიცაა, მაგალითად: მიგელ დე სერვანტეს საავედრას „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“ და შარლ დე კოსტერის „უღლენშპიგელისა და ლამე გუძაკის ლეგენდა“.

თუ სერვანტესის პერსონაჟი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მხატვრული სახე-იდეაა და არც ჩვენ საზოგადოებაში სჭირდება მას წარდგენა, სხვაგვარი ვითარება გვაქვს ტილ ულენშპიგელის შემთხვევაში. ასეთი პიროვნება რეალურად არსებობდა

— იგი ქვემო საქსონიაში, ქალაქ კნაიტლინგენში დაბადებულია 1300 წელს. მას ბევრი უმოგზაურია მეზობელ მიწებსა და სამეფოებში, განსაკუთრებით ახლანდელი გერმანიის, ბელგიისა და ნიდერლანდის საზღვრებში. ეს პიროვნება 1350 წელს გარდაიცვალა შავი ჭირისაგან ქალაქ მიოლნში. ტილ ულენშპიგელი ევროპულ ფოლკლორში ხოჯა ნასრედინის მსგავსი ფიგურაა. არავინ იცის, მართლა შეემთხვა თუ არა ხოჯა ნასრედინს გადმოცემებით მის შესახებ გავრცელებული ამბები, მაგრამ ეს დღეს უკვე არც არავის აინტერესებს. მთავარი ამ ისტორიაში თავად ამბავია და არა სახელები, გვარები, ქალაქები და თარიღები. ხოჯა ნასრედინი კი ამგვარი თავშესაქცევი ამბების გამაერთიანებელი ღერძია და ამიტომ ის გავიაროთ უკვე არა როგორც ისტორიული პიროვნება, არამედ მხატვრული ფიგურა — გარკვეული მორალურ-ეთიკური იდეების მატარებელი გმირი. იგივე ვითარება გვაქვს ულენშპიგელის შემთხვევაშიც. ეს სახეც ღირებულია როგორც მხატვრული გმირი — პერსონაჟი, რომელიც გარკვეული მხატვრული სტრუქტურის ცენტრში დგას და საკუთარ ღირებულებებს ამკვიდრებს.

ტილ ულენშპიგელთან დაკავშირებული ყველა გადმოცემა, ლეგენდა თუ იგავი შეუკრებიან და 1510 წელს წიგნადაც გამოუციათ. 1867 წელს კი შარლ დე კოსტერის რომანის წყალობით ტილ ულენშპიგელი ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ პერსონაჟად იქცა და ბელგიელთა და ფლანდრიელთა თვითმყოფადობის გამომხატველი სიმბოლო გახდა (ეს გვარი ორი ნაწილისაგან შედგება „ულენ“+„შპიგელ“ და ნიშნავს „ბუს სარკეს“).

„თავისი არსით დონ კიხოტი და ტილ ულენშპიგელი ერთგვარი გმირები არიან. მათი მსგავსება ჯერ კიდევ გარეგნულ ნიშნებში ჩანს — ორივე მაღალია, აწონილი, ფერმკრთალი, თითქოს უხორცო და თითქოს გარეგნობაზეც კი ემჩნევათ განსაკუთრებული დანიშნულების, მაღალი მონოდების, კვალი. დონ კიხოტის მიზანი უსასყიდლო სიკეთის თესვა, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა და ხალხის თავდადებული სამსახურია. ფაქტობრივად იგივე შეიძლება ითქვას ოილენშპიგელზეც: ისიც თავისუფლებისათვის მებრძოლი სახალხო გმირია. ისიც დონ კიხოტისთვის, ერთი შეხედვით, უმწეოა, „უიარაღო“. ორივე, როგორც წესი, მუდმივად ზარალდება — დონ კიხოტი არაერთხელ ხდება დაცინვისა და შეურაცხყოფის საგანი, ულენშპიგელი კი ხან სახრჩობელის წინ დგას და ხან ინკვიზიციის კლანჭებშია. ორივე ფაქტობრივად მარტოა და მარტოდმარტო ებრძვის ბოროტებას. ათასი ფათერაკისა და დაბრკოლების მიუხედავად, არც ერთი მათგანი არც ერთხელ გულს არ იტყვის და თავისი იდეალების ერთგული რჩება. დონ კიხოტიცა და ულენშპიგელიც გამუდმებით დახეტილებენ კუთხიდან კუთხეში, ქვეყ-

ნიდან ქვეყანაში და სიკეთისა და სამართლიანობისათვის იბრძვიან“.  
(ჯამბურია 1983: 151-152)

გარეგნული ნიშნებითვე იწყება სანჩო პანსასა და ლამე გუძაკის მს-  
გავსებაც: ორივე დაბალია, მსუქანი, ბიოლოგიური კომიზმით შემკული,  
არც ერთი არ იზიარებს „პატრონის“ მაღალ იდეალებს. სანჩო თავისი  
უსუსურობით, მხდალი ხასიათით მუდამ ღიმილს იწვევს მკითხველში  
და თავისი მიწიერი მოთხოვნილებებით უპირისპირდება დონ კიხოტს.  
რაინდული იდეალები მისთვის უცხო და გაუგებარია, მაგრამ ლამანჩე-  
ლის მაღალ დანიშნულებას ინტუიციით მაინც მთელი არსებით გრძნობს  
და გვერდიდან არ შორდება, ცდილობს, როგორც შეუძლია, დაიფაროს  
გარეშეთა თავდასხმებისაგან, ხანდახან კი როგორც ბავშვს, ისე უფლის  
მას. იგი უფრო ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელ კომი-  
კურ ტიპს წარმოადგენს, რომლისთვისაც ქვეყნის საზრუნავზე უფრო  
მაღლა პირადი კეთილდღეობა დგას. ლამესთვისაც ასევე გაუგებარია  
ულენშპიგელის გაუთავებელი ხეტიალის მიზანი — თავისუფლებისა და  
სამართლიანობისათვის ბრძოლა; მასაც სანჩოსავით მხოლოდ ყოველ-  
დღიური, საჭირბოროტო ყოფითი პრობლემები აღელვებს და ისიც  
თავის თავზე უფრო ზრუნავს, ვიდრე საზოგადოების კეთილდღეობაზე.  
არც ლამე გამოირჩევა განსაკუთრებული რაინდული ღირსებებით და  
ისიც თავისი ინდივიდუალური თვისებებით ისევე უპირისპირდება თავ-  
ისუფლებისმოყვარე ოილენშპიგელს, როგორც სანჩო — დონ კიხოტს.  
ისიც იუმორისტული ხერხებით დახატული პერსონაჟია, რომელიც  
ფოლკლორული ტექსტებიდან „გადმოსული“ გმირის შთაბეჭდილებას  
ტოვებს (ცნობილია, რომ შარლ დე კოსტერმა თავისი რომანი ფლან-  
დრიულ ფაბლიოებსა და გერმანულ შვანკებზე დაყრდნობით შექმნა).

სერვანტესისა და კოსტერის რომანებში მოხეტიალე წყვილის მოდ-  
ელს დაახლოებით ერთგვარი მხატვრული ფუნქცია აკისრია. ორივე  
ნაწარმოებში კეთილმობილი მოგზაურები არაერთხელ ხვდებიან კო-  
მიკურ სიტუაციებში და მწერლებიც ძირითადად იუმორისტულად  
აღწერენ მათ თავგადასავლებს. მოხეტიალე წყვილის ორივე წევრი  
დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული ლიტერატურული ხასიათია. შეი-  
ძლება ითქვას, რომ მათი „ერთად ყოფნა“ კიდევ უფრო კარგად გამოხ-  
ატავს მათს განსხვავებულობას, თითოეულის ხასიათს.

შარლ დე კოსტერის რომანში ლიტერატურულ პერსონაჟად ქცეუ-  
ლი ულენშპიგელი აღარ არის ფაბლიოებისა და შვანკების გმირებისთ-  
ვის დამახასიათებელი კომიკური პერსონაჟი. იგი უკვე თავისუფლები-  
სთვის მებრძოლ რაინდებს მოგვაგონებს და სწორედ ამ თვალსაზრისით  
უახლოვდება დონ კიხოტს, რომელიც აშკარად არ არის ერთგანზო-  
მილებიანი პერსონაჟი. თავის წიგნში „საუბრები მსოფლიო ლიტერა-  
ტურის შედეგებზე“ გულნარა კალანდარიშვილი წერს: „მიუხედავად

თავისი კომიკურობისა, დონ კიხოტი ტრაგიკული გმირიც არის იმიტომ, რომ ის, მაღალი ჰუმანისტური იდეალების მატარებელი კაცი, უცხო და გაუგებარია უმრავლესობისთვის და სიკეთის რეალიზაციას ვერ ახერხებს“. (კალანდარიშვილი 2008: 104)

სწორედ ამ კონკრეტული გარემოებების გამო არის საინტერესო ლიტერატურული პარალელები.

„დონ კიხოტისა და ტილ ულენშპიგელის მსგავსად, იოანე ხელაშვილიც მთელი ნაწარმოების მანძილზე მოგზაურობს კუთხიდან კუთხეში და ყოველ შემხვედრს უხსნის, ასწავლის, ეხმარება, მაგრამ თავისი სიმართლისმოყვარე, პრინციპული ხასიათის გამო ხშირად თვითონვე ზარალდება. ესპანელი და ფლანდრიელი გმირების მსგავსად ისიც სიკეთეს თესავს და მათსავით ხშირად ისჯება: „ამ საბრალო ბერმა სადაც რა ქადაგება ანუ ჰსწავლა დათესა, მომკის მაგიერ ჯოხი, მუშტი, წვერის გლეჯა და ანაფორის დახვევის მეტი ვერა მოიმკო-რა“, — ამბობს მის შესახებ მისი თანამგზავრი ზურაბა; ერთ-ერთ მორიგ მასპინძელს კი ასე მიმართავს: „ბატონო მოურავო, თუ ეს თქვენი სახელო კაცი მოძღვრებას არ დაიშლის, ვგონებ აღარც წელი შერჩეს ცემით და აღარც წვერი გლეჯით“. (ჯამბურია 1983: 154)

მაღალი მორალური პრინციპების გამო იოანეც ისევე ხშირად ხდება შეურაცხყოფისა და დამცირების ობიექტი, როგორც დონ კიხოტი და ულენშპიგელი. საყურადღებოა ის დეტალიც, რომ ამ კომიკური სიტუაციების დროს თანხედრა ამ მწერალთა გამომსახველობით ხერხებშიც შეინიშნება (კერძოდ, თვალში საცემია მთავარი გმირის გაფიცების იუმორისტული აღწერა, რამაც მკითხველს შეიძლება შეცდომით აფიქრებინოს, რომ ავტორი დასცინის საკუთარ პერსონაჟს).

იოანე ბერს ისევე, როგორც მოხეტიალე წყვილის მოდელშია, გვერდით მხლებელი ჰყავს — ზურაბა ლამბარაშვილი, რომელიც თავისი კომიზმით სანჩო პანსასა და ლამე გუძაკს მოგვაგონებს. ზურაბაც ისევე უსასყიდლოდ და უანგაროდ ემსახურება ბერს, როგორც სანჩო — დონ კიხოტსა და ლამე — ოილენშპიგელს. ისიც სანჩოსა და ლამესავით არ იზიარებს ზოგადსაკაცობრიო, მაღალ იდეალებს და არ მონაწილეობს იოანეს დისკუსიებში; პირიქით, მეცნიერული საუბრების დროს არაერთხელ შენიშნავს, სადილის ან ვახშმობის დრო მოვიდა და ამ ბერს რომ ვუყუროთ, მშვიერი დავრჩებითო. ოხუნჯობისა თუ დაცინვის მიუხედავად, ისიც სანჩოსა და ლამესავით პატივისცემით ექცევა „პატრონს“ და ზრუნავს მასზე. გლეხი თითქოს ინტუიციით გრძნობს იოანეს განსაკუთრებულ დანიშნულებას და ამიტომაც ემსახურება მას უანგაროდ, უფლის და კიდევ მფარველობს არაერთგზის დაჩაგრულ თანამგზავრს. ზურაბაც თითქოს სანჩოსა და, განსაკუთრებით, ლამე გუძაკივით პირდაპირ ხალხური შემოქმედებიდან გადმოსული ტიპია, მასაც ნაცარქექიასავით ხელის განძრევა ეზარება და შრომას კარდა-

კარ სიარული ურჩევნია. თავისი უპრინციპო ხასიათითა და დაბალი ინტელექტით ზურაბა ისევე უპირისპირდება იოანეს, როგორც სანჩო — ლამანჩელს და ლამე — ოილენშპიგელს.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი პარალელების კვლევა ყოველთვის შეიცავს გარკვეულ პირობითობას და სულაც არ გულისხმობს ამ თხზულებათა გათანაბრებას მხატვრული დონის თვალსაზრისით. აქ უფრო მეტად იდეური, უფრო ზუსტად მსოფლმხედველობრივი, თანხვედრაა საგულისხმო და საინტერესო, რადგან ქრისტიანული კულტურა, მიუხედავად ეთნიკური საზღვრებისა, მაინც ერთი სააზროვნო სივრცეა, რაც სწორედ ტიპოლოგიურად მსგავსი მხატვრული მოდელების წარმოქმნას განაპირობებს. ამ თვალსაზრისით ჩვენ ერთი დიდი კულტურული ოჯახის ნაწილი ვართ და ისევე, როგორც შუა საუკუნეებში, დღესაც გარკვეული როლი უნდა შევიტანოთ მის განვითარებაში.

#### **დამოწმებანი:**

**ბატონიშვილი 1984:** ბატონიშვილი ი. კალმასობა. // *ქართული პროზა*. ტ. VI თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1984.

**კალანდარიშვილი 2008:** კალანდარიშვილი გ. *საუბრები მსოფლიო ლიტერატურის შედევრებზე*. თბ.: „ზანი“, 2008.

**ჯამბურია 1983:** ჯამბურია კ. კალმასობის მხატვრული კონსტრუქცია. // *კრიტიკა*. № 4. თბ.: „მერანი“, 1983.

#### **MAIA TSERTSVADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

#### **Translation Activities in Georgia in the First Half of XIX Century, as Attempt of Preserving of the National Identity**

Globalization along with other parties includes homogenization of culture having a certain danger for the national identity. Russian imperial globalism and its assimilation policy represents one of such globalizing worlds. Immediately after the annexation of Georgia Georgian people resisted intentions of conqueror not only with uprisings and conspiracy but also conducting cultural activities. Part of these activities was expansion of translation activities, as attempt of preserving of the national identity.

**Key words:** *globalization; national identity; translation activity.*

## მანია ცერცვაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მთარგმნელობითი საქმიანობა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, როგორც ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების ცდა

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ყოველის-მომცველი, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარეებთან ერთად კულტურულსაც მოიცავს. გლობალიზაციის ანალიტიკოსები მის ისეთ თანმხლებ მოვლენებსაც იკვლევენ, რომლებიც კულტურისა და ცხოვრების წესის გაერთგვაროვნებას (ჰომოგენიზაციას) გულისხმობს. ეს მოვლენები გარკვეული საფრთხის შემცველია ერთა ნაციონალური იდენტობისა და თვითიდენტობის დანარჩუნების თვალსაზრისით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავად ცნების აღმნიშვნელი სიტყვა — გლობალიზაცია — სულ რაღაც ოცდაათ წელს ითვლის, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ანმყო არ არის ასეთი გლობალიზებული და რომ ყოველ პერიოდს თავისი გლობალიზებული სამყარო ჰქონდა. ერთ ასეთ სამყაროდ მოიაზრება რუსული იმპერიული გლობალიზმიც, რაც დაპყრობილი ხალხების მიმართ ასიმილაციური პოლიტიკის გატარებაში გამოიხატა. საქართველოს ანექსიისთანავე, მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი ხალხი დამპყრობლის ზრახვებს აჯანყებებითა და შეთქმულების ორგანიზებით მედგრად დაუპირისპირდა. იმავდროულად ქვეყნის ინტელექტუალურმა ელიტამ (ს. დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გ. ერისთავი ...) ერის თვითმყოფადობის გადარჩენა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებით დაისახა მიზნად. ამ ღონისძიებების ნაწილი იყო მთარგმნელობითი საქმიანობის ნამოწყება-გაშლაც — როგორც მხატვრული, ისე სხვა ჟანრის უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა.

საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობის ტენდენციების, ასპექტებისა და ისტორიის კვლევას მიეძღვნა ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებისა და თარგმანმცოდნეების მნიშვნელოვანი გამოკვლევები. ქართულ თარგმანმცოდნეობაში არსებული საეტაპო ნაშრომები, წიგნებად გამოცემული (გ. გაჩეჩილაძე, პ. ჩხეიძე ...), სხვა საკითხებთან ერთად მიმოიხილავენ მე-19 საუკუნეში ქართული თარგმანის ისტორიასაც. ჩვენ შევეცდებით იგი განვიხილოთ, როგორც ქართველი ერის თვითმყოფადობის დანარჩუნების ერთ-ერთი ცდა და ყურადღება

გავამახვილოთ იმ თარგმანებზე, რომლებიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ამ მიზანს ემსახურებოდა და მის მისაღწევად იყო შესრულებული. აღნიშნული პერიოდის თარგმანების დახასიათება ლინგვისტურ-აზრობრივი, მხატვრულ-სახეობითი თუ სტილის ანალიზის, ფორმისა და შინაარსის მთლიანობის და სხვა მახასიათებლების თვალსაზრისით, ცხადია, შეუძლებელია, რადგან იმ დროისათვის ისინი მეტად შორეული ცნებები იყო და ამიტომ მათ არ შეევეხებით.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ქვეყნის ისტორიაში მეტად რთული პერიოდი. ეს არის ეპოქა, როცა საქართველომ რუსეთის ანექსიის შედეგად დაკარგა მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა და ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები ამ იმპერიის შემადგენელ ნაწილებად, მის განაპირა გუბერნიებად იქცნენ. გაუქმდა სამეფო ტახტი, ხოლო ტახტის მემკვიდრენი და სამეფო დინასტიის სხვა წარმომადგენლები იძულებით იქნენ გასახლებულნი რუსეთში. მნივლობრობით ცნობილმა ქართველმა ბატონიშვილებმა (დავით ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი...), რომელთა მედგარი ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტახტის აღსადგენად უშედეგოდ დამთავრდა, ხმალი კალამზე გაცვალეს, სამეცნიერო და სალიტერატურო საქმიანობას მიჰყვეს ხელი და ორიგინალური თხზულებების შექმნასთან ერთად დიდი დრო მთარგმნელობით საქმიანობასაც დაუთმეს (გონიკიშვილი 1986: 228). განსაკუთრებული ღვაწლი ამ მხრივ მიუძღვის ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის ვაჟს, თავისი დროის გამოჩენილ მეცნიერს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს თეიმურაზ ბატონიშვილს (1782-1846). მისი თარგმანები უმეტესწილად დედნებიდანაა შესრულებული, რაშიც მას დიდად უწყობდა ხელს უცხო ენების ცოდნა. მან სხვადასხვა დროს შეისწავლა სპარსული, თურქული, ბერძნული, ლათინური, სომხური, რუსული, ფრანგული ენები, ესწრაფოდა არაბული, ინგლისური, ასურული და ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ებრაული და ინდური ენების დაუფლებასაც. მრავალფეროვანია მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა და ის მოიცავს როგორც მხატვრულ, ასევე საეკლესიო, ფილოსოფიური, საისტორიო, იურიდიული თუ სამხედრო შინაარსის თხზულებებსაც (არისტოტელე, ტაციტუსი, ციცერონი, ვოლტერი, პუშკინი, ჯემს მორიერი, მიქაელ ჩამჩიანის, დოსითეოს პატრიარქის, კონსტანტინე პროთოიერი) (შარაძე 1974: 147).

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ეპოქის დამახასიათებელ მოვლენად იქცა ვოლტერიანობა. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის იდეებმა, მისმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა საქართველოშიც დააინტერესა მთარგმნელები და ინტერპრეტატორები და პროპაგანდისტები გაუჩინა. მათ შორის, უპირ-



ველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ალექსანდრე ამილახვარი, დავით ბატონიშვილი, დავით ციციშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, იესე გარსევანიშვილი და ვოლტერის ნანარმოებების ანონიმი მთარგმნელები (ასათიანი 1958: 74-102).

მე-19 საუკუნის მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ცნობილ მთარგმნელს, პედაგოგს, მეცნიერს, პოეტისა და მთარგმნელის იოსებ ბაქრაძის შვილიშვილს ქეთევან ბურჯანაძეს. აღნიშნულ მონოგრაფიაში პირველი თავი — „ქართველ რომანტიკოსთა თარგმანი და მისი ხასიათი“ ეთმობა ქართველ რომანტიკოსთა ნაღვანს ამ სფეროში და ამიტომ ამაზე აქ დეტალურად აღარ შევჩერდებით. საკითხის სისრულისათვის მხოლოდ გაკვრით შევეხებით აღნიშნული პერიოდის თარგმანის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიმუშებს.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტური თარგმანები მჭიდროდ უკავშირდება ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს. მას ეკუთვნის ფრანგი მეიგავის ლაფონტენის იგავ-არაკების, აგრეთვე რასინის, კორნელის, ვოლტერის, ჰიუგოს, პუშკინის ნანარმოებთა თარგმანები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფრანგულიდან შესრულებული თარგმანი ფრანგი ავტორის თხზულებისა „ახლით განჩხრეკილი კაცი“, რომლის დედანი უცნობია. თარგმანში, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ, 1804 წლის აჯანყების ორგანიზატორს ფარნაოზ ბატონიშვილს მიეძღვნა, გამოხატულია სოციალური და კოლონიალური ძალმომრეობის გმობა და პროტესტი მის წინააღმდეგ. თხზულებაში გატარებულია აზრი, რომ ადამიანი ყველაზე უბედური არსებაა ამქვეყნიურ ქმნილებათა შორის და რომ ცივილიზაციამ ცუდი გავლენა მოახდინა ადამიანთა გრძნობებზე. მხოლოდ ცხოველთა და ფრინველთა შორის არ ხდება ამგვარი ბოროტება. „კაცი შობილი ღარიბად, — ვკითხულობთ ამ თარგმანში, — არა თუ ოდენ იძულებულ არს მიცემად მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისა თვისისა ნაცოფთა კნინლა უფასოდ, არამედ სულიცა მისი ვერ განირინების მის მიერ განმზადებულისა მისთვის რკინისა საგდებელისაგან“... „ან ერთიე პირსა ზედა ამა ქვეყნისასა, უბედურო მოკვდაო, ყოვლად წრფელნი ბუნებითნი თვისებანი შენნი ეჩვენებიან ტირანთა შენთა ბოროტებად“. ან ავილოთ ასეთი თამამი აზრები ამ თარგმანიდან: „ბედნიერო ცხოველნო, თქვენ არა უწყით დამამხობელნი ესე განრჩევანი... ბულბულსა არაოდეს უთქვამს თვისთა მობუდართა სხვათა ბულბულთათვის: ყოველნი ხენი ამა ტყისანი ჩემნი არიან და ყოველნი მათზედა მბუდარნი მფრინველნი ჯერ-არს დამემორჩილენ მე“ (გრიშაშვილი 1957: 41).



1844 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ თარგმნა კორნელის ერთ-ერთი საუკეთესო ტრაგედია „ცინა“, სადაც გადმოცემულია რესპუბლიკური იდეების დამარცხება და მონარქიასთან შერიგება. აღსანიშნავია ის, რომ ნაწარმოებში მონარქია და მონარქი მეტად კეთილშობილური სახით არიან წარმოდგენილი და მიუხედავად ამისა, იგი გამსჭვალულია თავისუფლების პათოსით და რესპუბლიკური იდეების მძაფრ გამოხატულებას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია გრიგოლ ორბელიანის მთარგმნელობითი საქმიანობაც, რომლის სახელს უკავშირდება კრილოვის იგავ-არაკების, პუშკინის, ლერმონტოვის, ყუკოვსკის, რილეევის პოეტურ ნიმუშთა თარგმანები და მიბაძვა-გადმოქართულებანი. გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის აგრეთვე ოთხი პროზაული თარგმანი, რომელთაგან ორის ავტორი უცნობია, ხოლო ორი ჰერდერს და ცშოკეს ეკუთვნის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმანებიდან ცნობილია მხოლოდ რუსულიდან შესრულებული ორი თარგმანი: „შესხმა აგრიკოლასი“, რომლის ვრცელი სათაურია „შესხმა აგრიკოლასი სპასპეტისა რომაელთასა მხედართადმი თვისთა უწინარეს ომისა ბრიტანთა თანა“ და დრამა „იულიუს ტარენტელი“. პირველი მათგანის ავტოგრაფზე, რომელიც ხელნაწერთა ცენტრშია დაცული, არის ზ. ჭიჭინაძის მინაწერი: „ნ. ბარათაშვილის ნაწერი დამრჩა ლ. ისარლოვისაგან. მოწაფეობის დროს დაუწერია და სხვაც ამგვარნი მრავლად. ზ.ჭ“. ცნობები ბარათაშვილს მიერ შესრულებული სხვა თარგმანების შესახებ, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, გვხვდება მის თანამედროვეთა გადმოცემებსა და მემუარულ ტექსტებში.

„შესხმა აგრიკოლასი“ წარმოადგენს ფრაგმენტს რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის თხზულებისას „ცხოვრება აგრიკოლასი“ — ცნობილი მხედარმთავრის აგრიკოლას (37-93 წწ.) მიერ მხედართა წინაშე წარმოთქმულ სიტყვას. აგრიკოლა დიდი ორატორობით ამხნევენს ლაშქარს ბრძოლის წინ და მხედრებს თავდადებული ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ბარათაშვილის დროს „აგრიკოლას ცხოვრება“ რუსულად უკვე თარგმნილი იყო და ცალკე წიგნადაც გამოცემული. იგი ჯერ ფრანგულიდან უთარგმნია ივანე გორინს, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ — ლათინურიდან თევდორე პოსპელოვს.

რაც შეეხება გერმანელი მწერლისა და იურისტის იოჰან ანტონ ლეიზევიცის „იულიუს ტარენტელს“, მის შესახებ ცნობას, აგრეთვე ცნობას დიმიტრი ყიფიანის მიერ უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ ქართულად თარგმნის შესახებ ვხვდებით ნ. ბარათაშვილის თბილისიდან გრიგოლ ორბელიანთან 1841 წლის 28 მაისს გაგზავნილ კერძონწერილში: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა:

კიპიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джулиетта“, შეკსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე „Юлий Тарентский“, ტრადედია ლეიზევიცისა; თუ ნაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“ (ბარათაშვილი 2005: 102).

„იულიუს ტარენტელი“, ლიტერატურული მიმდინარეობა „შტურმ უნდ დრანგის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. მისი გავლენით დაინერა ფრიდრიხ შილერის ადრეული პიესები. „იულიუს ტარენტელს“ თარგმანი რუსულ ენაზე დაბეჭდილი იყო ჟურნალის Библиотека для чтения 1840 წლის დეკემბრის ნომერში. ბარათაშვილის მიერ ქართულად თარგმნილი ეს თხზულება დაკარგულად ითვლება. გრიგოლ ორბელიანმა, რომელმაც დისშვილის სიკვდილის შემდეგ შეკრიბა პოეტის ნაწერები, ზაქარია ჭიჭინაძეს 1878 წელს განუცხადა, რომ ის წასაკითხად ათხოვა თავისი ნათესავსა და მეზობელს ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას (1825-1870), რომელიც მალე გარდაცვლილა. გრიგოლ ორბელიანისავე ვარაუდით შემდეგ ხელნაწერი ბარათაშვილის დას უნდა ჰქონოდა ნაღებული ქართლში. სამწუხაროდ, მას ვეღარ მიაკვლიეს. დრამა „იულიუს ტარენტელი“ ბარათაშვილის გარდა რუსულიდან ქართულად თარგმნა გიორგი ნადირაძემ. მასვე ეკუთვნის თარგმანისადმი მიძღვნილი გამოკვლევა. მკვლევარის სიტყვით „ამ ტრაგედიის ქართულად თარგმნა და საზოგადოების მიერ მისი მოწონება იმას მოწმობს, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი თამამი იდეები ნ. ბარათაშვილისა და მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში შესაფერ ნიადაგს ვპოვებდნენ“ (ნადირაძე 1938: 179).

ზემოთგანხილულ ქართველ რომანტიკოსთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის გარდა აღნიშვნის ღირსია გიორგი ერისთავის (პოლონური ენიდან შესრულებული აქვს ადამ მიცკევიჩის „ყირიმული სონეტების“ ციკლის პოეტური ნიმუშები — „ბაღჩისარაი“, „პილიგრიმი“, „პატოცკას საფლავზე“, „არამხანის საფლავნი“, „აკერმანის მიწდორი“ და სხვ., ასევე ვ. ჰიუგოს, შილერის, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა თარგმანები), სოლომონ რაზმაძის (პუშკინის, ფონვიზინის, მიცკევიჩის ლექსების თარგმანები და გადმოქართულების ცდები) და დიმიტრი თუმანიშვილის (პუშკინის, კრილოვის, კამენსკის ნაწარმოებთა თარგმანები) მთარგმნელობითი საქმიანობა.

გვინდა შევეხოთ და მოკლედ მიმოვიხილოთ ის თარგმანებიც, რომლებიც ლიტერატურულ სალონთა კედლებს ვერ გასცდნენ და რომელთაც დღის სინათლე იმდროინდელ ხელნაწერ თუ ნაბეჭდ ჟურნალ-გაზეთებში ვერ იხილეს. მათ შესახებ ცნობები მხოლოდ თანადროულმა მემუარულმა და ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ შემოინახა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მწიგნობარი ქალიშვილები ნინო და ეკატერინე ხშირად ზეპირად უთარგმნიდნენ ნათესავ-მეგობართ რუსულ ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ თხზულებებს, რომელთაც ისინი დედანში ეცნობოდნენ. 1835 წელს მათ მანანა ორბელიანს ზეპირად უთარგმნეს რუსი მწერლის, დრამატურგის, ისტორიული რომანების ავტორის, მოსკოვის თეატრებისა და მოსკოვის საჭურვლის პალატის დორექტორის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის მიხეილ ზაგოსკინის (1789-1852) 1831 წელს დანერილი რომანი „Рославлев, или русские в 1812г...“ იგი 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის თემატიკას ასახავდა და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ლეე ტოლსტოის რომანის „ომი და მშვიდობის“ გამოჩენამდე. „წინანდალში ჭავჭავაძიანთ ქალებისაგან „როსლავლევის“ შესახებ მანანა გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს სთხოვდა: „ახლა გთხოვ გრიგოლ, თუ ქისები და წინდები გინდა ხომ კიდევ დამპირდი წიგნის თარგმნასა და შეასრულე ჩემი თხოვნა „როსლავლევი, ანუ რუსნი ათას თორმეტში“-ს წიგნი მითარგმნე შენი ჭირიმე, ისე კარგად და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი. თუ გინდა რომ შეიტყო, — ეს სახელი ვინ მასწავლა, მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიმე სადაც იყოს — იშოვნე და მითარგმნე ყმანვილო“. რამდენიმე დღის შემდეგ მანანა მოაგონებდა გრიგოლ ორბელიანს: „ამას წინათ წიგნის თარგმნა გთხოვე ჩემს წიგნში და არ ვიცე მოგივიდა თუ არა, თუ შეიძლებოდა, მითარგმნე, გენაცვალე“. ზაქარია ორბელიანი შუამდგომლობდა თავის ძმასთან, რომ პოეტს მანანასათვის ზაგოსკინის „როსლავლევი“ ეთარგმნა. ზაქარიას მიერ გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „მანანას უნდოდა წიგნის მონერა, მაგრამ თავისი აბუა უკვდებოდა, რომლისთვისაც ითხრის თვალებს ტირილით და იმან დააყოვნა, ასე გითხრა: რომ თუ თარგმნა გინდა ჩემთვის რისამე წიგნისაო „Рославлева“ просит перевесть на грузинский язык“. გრიგოლ ორბელიანი მანანას თხოვნის პასუხად ნინო ჭავჭავაძეს სწერდა: „გიჟი მანანა უფრო გაგიგიჟებიათ, გადამკიდებია, „როსლავლევი“ მითარგმნეო“. მანანამ უმაღვე გაიგო გრიგოლ ორბელიანის ეს მონაწერი და შემდეგი სიტყვებით მიმართა პოეტს: „ესეა უფალო კნიაზო, რომ ნინოს სწერთ: მანანა თავად გიჟი იყო და თქვენ უფრო გაგიგიჟებიათო და მწერს „როსლავლევის“ გადათარგმნასო, ნუ შესწუხდებით, თუ ძნელი არის“. არ ვიცით, შეასრულა თუ არა გრიგოლ ორბელიანმა მანანას თხოვნა, ზაგოსკინის ხსენებული რომანი დღემდე უცნობია ქართულ თარგმანში“ (ბალახაშვილი 1966: 192).

ჭავჭავაძეთა სალონში საჯაროდ ნაუკითხავთ აგრეთვე ლექსი „ჩერქეზის ქალი“. ეკატერინე ჭავჭავაძე ამის შესახებ 1835 წლის 22

მაისს გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „შენგან დან-ერილი ჩერქემენკას ქება ჩვენა გვაქვს, ბევრი ვიცინეთ პირველად რომ ნავიკითხეთ“ (გრიშაშვილი 1957: 77). წერილიდან ჩანს, გრ. ორბელიანს დანერილი თუ ნათარგმნი ჰქონია „ჩერქეზის ქალი“. ვფიქრობთ, იგულისხმება ი. ლერმონტოვის 1829 წელს დანერილი ლექსი „Черкешенка“.

როგორც ირკვევა, მე-19 საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში პოპულარული ყოფილა ფრანგი მწერლის, სატირიკოსისა და რომანისტის ალენ რენე ლესაჟის (1668-1747) ცნობილი რომანი „კოჭლი ქაჯი“ და ის ითარგმნებოდა კიდევც. მანანა ორბელიანი 1836 წლის 12 აპრილს თბილისიდან ქ. ბორჟაში გაგზავნილ ბარათში გრიგოლ ორბელიანს სწერს, რომ ლესაჟის „კოჭლ ქაჯს“ ძალიან აქვს ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა და რომ მას ქართულად თარგმნის დავით ყორღანაშვილი. მანანას მხედველობაში ჰყავს ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერი, გრ. ორბელიანთან დაახლოებული პირი, ცნობილი მოქეიფე დავით ყორღანაშვილი: „მარტოკა ხან ნიგნებს ვკითხულობ. ღმერთმა უშველოს ყორღანოვს, ის გვატარებინებს დროს თავის ნათარგმნის ნიგნებით. ეხლა მოველით, სხვაგან არის სოფლათ, არ ვიცი რას საქმეში და სთარგმნის „კოჭლ ქაჯს“, თუ ნავიკითხამს, აქებენ ძალიან. ნინომ მითხრა, თორემ მე კი არა მაქვს ახლო ცნობა. ნინო მიგზავნის ხოლმე; როდესაც ის ნავიკითხამს, მეც გამომიგზავნის“. მაშასადამე, ირკვევა, რომ დ. ყორღანაშვილს ჩვენთვის ცნობილი თარგმანის გარდა (პუშკინის რომანსი „ავდარში ღამით შემოდგომისა“) სხვა თარგმანებიც შეუსრულებია და მათ შორის ლესაჟის „კოჭლი ქაჯი“ (ბალახაშვილი 1966: 197).

საინტერესოა აგრეთვე ლუკა ისარლიშვილის (1817-1893) ერთი ცნობა მისი და ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელის, თბილისელი კათოლიკე აზნაურის სტეფან ვარლამოვის ვაჟის, ლიტერატურული ინტერესების მქონე გარსეევან ვარლამოვის მიერ პუშკინის პოემის „ევგენი ონეგინის“ რამდენიმე კარის თარგმნის შესახებ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. იონა მეუნარგია ასე გადმოგვცემს მისგან გაგონილს: „ერთ შეგირდს, გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე კარი. მოგეხსენებათ, ეს პოემა დიდი პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых честных правил,  
Когда не в шутку занемогъ:

ვარლამოვს არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მაღავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო,

წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები: — სუთ, ყური დამიგდეთ, ეგვანი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ. ვარლამოვმა ყურები გამოცქვიტა და ბარათაშვილმა დაინყო ხმამაღლა:

ბიძა ჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:  
როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახდა...

თქმა არ გაეთავებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს რომ მასწავლებელი არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა ეშმაკ პოეტს“ (მეუნარგია 2004: 239-240).

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაპყროთ ლიტერატურისა და კერძოდ თარგმანის მნიშვნელობას 1832 წლის სათავადაზნაურო შეთქმულების მომზადებისა და მისი კრახით დასრულების შემდგომ ხანაში. ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „უმნიშვნელო მოვლენა ხომ არ არის, რომ ამ შეთქმულების მონაწილენი იყვნენ ჩვენი საუკეთესო პოეტები, რომლებიც სიტყვის პოეზიაზე წინ, საქმის პოეზიაზე ოცნებობდნენ, ე. ი. აჯანყებაზე, და როდესაც ეს საქმე ჩაიშალა, მაშინ ამოხეთქა სიტყვის ლამაზმა ჩქერმა. ასე რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლები, თითქმის ყველა, შეთქმულთა საიდუმლო საზოგადოებიდან გამოვიდნენ და მათი პოეზია თითქოს გაცრუებული იმედების კომპენსაცია იყო: რაც საქმით ვერ შეასრულეს, ის სიტყვით სთქვეს, მაგრამ სთქვეს ისეთი გრძნობით, ისე ძლიერად, რომ მათი სევდის რეზონანსი მთელ შემდგომ ლიტერატურაში გვრგვინვასავით ისმის“ (კოტეტიშვილი 1959: 56).

შეთქმულების ხელმძღვანელ ჯგუფში მწერალთა და სწავლულთა რიცხვი სჭარბობდა. ესენი იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე. 1832 წლის შეთქმულების ორგანიზაციის ერთ-ერთ არსებით მხარეს ლიტერატურული აგიტაცია-პროპაგანდა წარმოადგენდა.

ამ საქმეში გამორჩეულია რუსი პოეტის, საზოგადო მოღვაწის, დეკაბრისტის, 1825 წლის დეკაბრისტული აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის, ჩამოხრჩობით დასჯილი კონდრატ რილევის (1794-1826) დაუმთავრებელი ნაწარმოების Наливайко-ს ერთი თავის ლექსის Исповедь Наливайки-ს გრ. ორბელიანისეული თარგმანის, უფრო სწორად, მიბაძვისა და გადმოქართულების მნიშვნელობა. იგი ხელნაწერის სახით გავრცელდა სახელწოდებით „გივი ამილახვრის აღსარება“. თარგმნა რილევის პატრიოტული სულისკვეთების ამ ლექსისა, რომელიც XVI საუკუნის კაზაკთა მეთაურს, თანამედროვე უკრაინისა

და ბელორუსიის ტერიტორიაზე მომხდარი გლეხურ-კაზაკური აჯანყების ხელმძღვანელს სვევრინ ნალივიაკოს ეძღვნება, შეთქმულთა დავალება ყოფილა, კერძოდ, ის ელიზბარ ერისთავის რჩევით შეუსრულებია პოეტს.

ალექსანდრე ორბელიანის ცნობით: „თ. ელიზბარ ერისთავმა, მისცა რილევეის სტიხი გრიგოლ ორბელიანოვს სათარგმნელად ქართულად. ნე გავარი ატეც სვიატოისა, რომელიც თარგმნა ქართულად „სტიხ-ადვე“ (გოზალიშვილი 1970: 62). ვახტანგ ორბელიანი შეთქმულების საგამოძიებო კომისიას მოახსენებდა: „1831 წლის გაზაფხულზე ელიზბარ ერისთავი, ჩემი ძმა ალექსანდრე და მე წავედით გრიგოლ ორბელიანოვთან, მასთან დაგვხვდა ზურაბ ჭავჭავაძე, მგონია პრაპორშჩიკ გიორგი ერისთავიც ჩვენთან იყო. დანამდვილებით კი არ მახსოვს. მაშინ გრიგოლ ორბელიანმა წაგვიკითხა რილევეის ლექსის თარგმანი სახელწოდებით „ნალივიაკოს აღსარება“, რომელიც თვითონ ეთარგმნა „გივი ამილახვარის აღსარებად“. ამის შემდეგ თ. ელიზბარ ერისთავი გადაეხვია გრიგოლ ორბელიანოვს და ჩვენც ყველამ ამ მაგალითს მივბაძეთ“ (გოზალიშვილი 1970: 62).

რილევეის ამ აკრძალული ლექსის გადმოქართულებული თარგმანი სისხლის დანთხევისა და მამულის გამოხსნის სურვილით არის გამსჭვალული:

ჯოჯოხეთი მტანჯს მაშინ მე, ვხედავ რა ტყვედ ქმნილს მამულსა!  
როს ვნახთო თავისუფლებით, ვხვდე მაშინ სასუფეველსა!  
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენთო;  
რა მესმა ძველ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო.

...

ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა!  
ვუნყი მე მართლად, რომ ჯერ არს სიკვდილსა იგი ელოდეს  
ვინც ერის მანუხებელსა პირველად წინა-აღუდგეს!  
მარა მოძღვარო! მითხარ მე, ვის? სად? რომელსა მხარეს?  
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდეს?  
წარვმსწყდები, მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ;  
და მისთვის ესრეთ ჩემს სიკვდილს ადრევე სიამით ვაკურთხებ.  
(ორბელიანი: 1989, 201-203)

აღნიშნული თარგმანი შეთქმულთა წრეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ლექსის ერთი პირი ჟანდარმერიამ შეთქმულების ყველაზე უფრო რადიკალური წევრის, მისი ერთ-ერთი მეთაურის სოლომონ დოდაშვილის ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინა.

გრ. ორბელიანს პასუხს სთხოვდნენ ამ თარგმანის გამო. „მე ვგრძნობ ჩემს დანაშაულს, რომ მე გადავთარგმნე აკრძალული ლექსი“; „ღრმად ვგრძნობ ჩემს დანაშაულსა და შეცდომას იმაში, რომ მე არ უნდა გადმომეთარგმნა ნალივაციოს ლექსი და სხვებიც არ უნდა დამეწერნა, თუმცა ისინი თარგმნილი და დაწერილია არა იმ მიზნით, რომ შეთქმულება გამელვივებინა, რომლის არსებობაც მე არ ვიცოდი“ (გოზალიშვილი 1970: 61). ასე იმართლებდა თავს პოეტი.

1832 წლის შეთქმულების აგიტაცია-პროპაგანდისათვის იყო განკუთვნილი შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილის სოლომონ რაზმაძის მიერ შესრულებული თარგმანი 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პარიზის პრეფექტის ოდილიონ ბაროს (1791-1873) პოლიტიკური ხასიათის მოწოდებისა — „ნიგინ ფენელონისა ლუდოვიკ XIV-სთან მიწერილი...“ (ვახანია 2012: 562). როგორც ცნობილია, ს. რაზმაძე რუსეთში გადახვენილი ქართველი ინტელიგენციის ცხოვრების შუა გულში ტრიალებდა და მთელი მისი შემოქმედება თუ მოღვაწეობა სამშობლოს გათავისუფლების იდეას მიეძღვნა. ს. რაზმაძე მხატვრულ სიტყვას ბრძოლის საშუალებად იყენებდა და თითოეული მისი ორიგინალური თუ თარგმნილი თხზულება პროტესტის გამოხატულებითა და წინააღმდეგობის სურვილით არის სავსე. „იგი სათარგმნელად იღებდა ისეთ მწერლებსა და ისეთ თხზულებებს, რომლებიც მისი განწყობილების მატარებელნი იყვნენ“ (ბურჯანაძე 1992:100). თარგმანი აღნიშნული მოწოდებისა, რომელიც მთარგმნელის განცხადებით მას შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელთან დიმიტრი ბატონიშვილთან მაგიდაზე უნახავს, რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის, მისი დესპოტიზმის წინააღმდეგაა მიმართული, ხოლო წამძღვარებულ ლექს-წინასიტყვაობაში („ვინა ვალია“) აშკარად გაცხადებულია ს. რაზმაძის დამოკიდებულება საკუთარი მთარგმნელობითი საქმიანობისადმი და მისი თარგმანის დანიშნულება.

ვინა ვალია  
თავის დადება  
მამულისათვის  
ყოვლის კაცისგან,  
მის გამო მეცა,  
კანნიერ-ქმნილმან,  
ვთარგმნე ეს ნიგნი  
რუსთა ენისგან  
დაეჭდვასაცა  
არარა მრიდა,



რომ ივერიელთ  
ისწავლონ მისგან  
და მით მწე ექნენ  
მამულსა თვისსა  
და თავი იხსნან  
სკვით დესპოტისგან.  
(ბურჯანაძე 1992: 99)

შეთქმულთა საქმის გამოძიებისას ს. რაზმაძეს საგანგებოდ ჩაეკითხნენ ამ თარგმანზე და იგი იძულებული გახდა, თავი ემართლებინა. საგამოძიებო კომისიის კითხვაზე, თუ რა მიზნითა და განზრახვით აირჩია ასეთი მონოდება ქართულად სათარგმნელად, მან უპასუხა: „ყოველივე მიზნისა და განზრახვის გარეშე გადავთარგმნე ის სიტყვა და მხოლოდ იმას ვფიქრობდი ქართულადაც ისევე კარგად გამოვა თუ არა, როგორც რუსულზე“ (გოზალიშვილი 1970: 539).

ამრიგად, როგორც ზემოთმოყვანილი ტექსტიდან და მაგალითებიდან ჩანს, ისევე როგორც ყველა დროში, ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდშიც თარგმანი საქართველოში ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი იყო, იმავე მიზნებს ემსახურებოდა, რასაც ორიგინალური მწერლობა და გაბედულად პასუხობდა ეპოქის მოწინავე იდეებსა და მისწრაფებებს. მკვლევართა აზრი, რომ თარგმანს საქართველოში იმთავითვე უტილიტარული მიზანი ჰქონდა და ითარგმნებოდა ის თხზულებები, რომლებშიც ქართველნი მათთვის სასიცოცხლო და საჭირობო საკითხებზე პოულობდნენ პასუხს, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოზეც ვრცელდება. წარმოდგენილი კვლევა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია არა მარტო გლობალიზაციისა და ეროვნული იდენტობის კონტექსტში, არამედ საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობის და ზოგადად ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

## დამოწმებანი:

**ასათიანი 1958:** ასათიანი ლ. *რჩეული ნაწერები*. ტ. 1. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1958.

**ბალახაშვილი 1966:** ბალახაშვილი ი. *გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ბარათაშვილი 2005:** ბარათაშვილი ნ. *თხზულებათა სრული კრებული*. თბ.: „პეგ“, 2005.

**ბურჯანაძე 1992:** ბურჯანაძე ქ. *მე-19 საუკუნის მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.



**გაჩეჩილაძე 2014:** გაჩეჩილაძე გ. *მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი*. თბ.: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014.

**გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. *1832 წლის შეთქმულება*. ტ. 2. თბ.: „მერანი“, 1970.

**გონიკიშვილი 1986:** გონიკიშვილი მ. *ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში*. თბ.: „მეცნიერება“, 1986.

**გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ი. *ლიტერატურული ნარკვევები*. თბ.: „სახელგამი“, 1957.

**ვახანია 2012:** ვახანია ნ. *ჩვენი XIX საუკუნე*. თბ.: „სახელგამი“, 2012.

**კოტეტიშვილი 1959:** კოტეტიშვილი ვ. *ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1959.

**მეუნარგია 2004:** ი. მეუნარგია. *ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა*. „ქართული მწერლობა“. ტ. 22. თბ.: „ნაკადული“, 2004.

**ნადირაძე 1938:** ნადირაძე გ. *ბარათაშვილი და ლაიზევიცი*. მნათობი, № 4, 1938.

**ორბელიანი 1989:** ორბელიანი გ. *სალამო გამოსაღმებისა*. თბ.: „მერანი“, 1989.

**შარაძე 1974:** შარაძე გ. *თეიმურაზ ბაგრატიონი*. ტ. 2. თბ.: „მეცნიერება“, 1974.

## TAMAR TSITSISHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### “Grand Mouravi” and Russian-Language Cultural Context

Giorgi Saakadze’s personality drove a special attention of Georgian society for over the centuries. Radically different attitude toward him has always existed. Part of society thinks he is a hero and prominent figure. For the other part of society he is traitor. Many literary texts and historical works were created about Giorgi Saakadze.

In 1936, Anna Antonovskaia began working on historical story “Grand-Mouravi”. “Grand Mouravi” had attracted to Russian-speaking cultural context. Novel was based on the principles of socialist realism and received positive reviews from Soviet critics of the day. With help of Stalin’s national policy “Grand Mouravis” face was established in the Soviet people’s consciousness. With help of Stalin’s national policy “Grand Mouravis” face was established in the Soviet people’s consciousness.

**Key words:** *Giorgi Saakadze, Anna Antonovskaia, Grand Mouravi, Russian-Language.*

## თავარ ციციშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული, ლიტერატურის ინსტიტუტი

### დიდი მოურავი და რუსულენოვანი კულტურული კონტექსტი

თანამედროვე კულტურული გლობალიზაციის ეპოქაში მნიშვნელოვნად გვეჩვენება გავიხსენოთ საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც იდეოლოგიურ საფუძვლად დაედო პრინციპი — „ფორმით მრავალფეროვანი და შინაარსით ერთიანი“\*. სწორედ ეს იდეოლოგიაა გატარებული ბელადის მიერ დადებითად შეფასებულ რუსი მწერლის ანა ანტონოვსკაიას რომანში „დიდი მოურავი“, რომელსაც საბჭოთა კრიტიკოსების აღფრთოვანებული რეაქცია მოყვა. „ანა ანტონოვსკაიას რომანის ცნობილი ქართველი ისტორიული გმირის, გიორგი სააკაძის (დიდი მოურავი) ლიტერატურული პერსონაჟი, უკვე ერთიანი საბჭოეთის საყვარელი ლიტერატურული გმირი გახდა, ის იქნება მაგალითი საბჭოთა ხალხის მტერთან ბრძოლაში“ — წერდა გაზეთი „პრავდა“ (Правда 1942: 13 сентября).

**გიორგი სააკაძე – საქართველოს ისტორიული გმირი.** ისტორიამ იცის ბევრი ისეთი ეპიზოდი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში განსჯას არ საჭიროებს. თუმცა ყველა ერის ცხოვრებაში არის ისეთი ფაქტები, რის შესახებ ბევრი თქმულა ან დაწერილა, მაგრამ არ არის გამოტანილი დასკვნა, რომელშიც მათი არსის ცალსახა შეფასებაა მოცემული. გიორგი სააკაძის პიროვნება საუკუნეების განმავლობაში ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა (მახათაძე 1999:). სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ საქართველოს ისტორიაში დიდი მოურავის გარდა „შეუძლებელია მეორე ისეთი პიროვნების დასახელება“, ვისზედაც საზოგადოებაში ასეთი რადიკალურად განსხვავებული, დიამეტრალურად სანინალმდეგო შეხედულება არსებობს. გიორგი სააკაძის მიერ ბრძოლებში გამოჩენილ საარაკო მამაცობას ვერც მისი პოლიტიკური ოპონენტები

\* აკაკი ბაქრაძე თავის წერილში „დანუნიებული გზა“ წერდა: „გავიხსენოთ ეკატერინე მეორის კარისკაცის გრაფი პანინის ფორმულა“ — душа русская, тело тамашнее, ანუ სული რუსული, სხეული ადგილობრივი. არც ის იქნება ურიგო, რომ დღევანდელ მკითხველს პანინის ფორმულისათვის შეეძარებიან რუსი კომუნისტების მრავალგზის განმეორებული ლოზუნგი — ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, ჩამოყალიბებას მოჰყვებოდა ერთიანი — საბჭოთა კულტურული სივრცის შექმნის მცდელობა, ცხადი უნდა გახდეს ჩვენი ინტერესი ამ პროცესისადმი.

უარყოფენ, მაგრამ გიორგი სააკაძის ბიოგრაფიაში „ისეთი ეპიზოდები არსებობს, რომელზედაც მის მომხრეებსაც კი გაუჭირდებოდათ ცალსახა პასუხის გაცემა“. ითვლება, რომ ის იყო ტრაგიკული, გაორებული პიროვნება და იმ ეპოქის ისტორიულმა სიძნელეებმა — გარეშე მტრების განუწყვეტილმა შემოსევებმა და ქვეყნის შიგნით არსებულმა ანარქიამ, განსაზღვრა მისი ხიფათით, ტრაგიკული წინააღმდეგობებითა და განსაცდელით აღსავსე ცხოვრება და მოღვაწეობა. სამშობლოსათვისაც მედგრად იბრძოდა და არც მტრის სასარგებლოდ დაუზოგავს ძალა (ბაქრაძე 1975: 3).

ჯ. ღვინჯილიას თვალსაზრისით, დიდი მოურავის შესახებ რამდენიმე გამოკვეთილი კონცეფცია შეიქმნა. ერთნი, მისით მოხიბლულები, ცდილობენ თითქმის ნამებულ წმინდანად შერაცხონ იგი, ჩამოაშორონ მის სახელს ყოველგვარი ლაქა და გაუბზარავ ეროვნულ გმირად და სამშობლოს მსხნელად წარმოგვიდგენენ. მეორენი, მასში ქვეყნის უბედურების მიზეზს ხედავენ და კახეთის მოსახლეობის გაყლეტის მოთავედ, მოლაღატედ, კონდოტიერად, ავანტიურისტად აღიარებენ. მესამენი კი სააკაძეს რთულ, ამოუხსნელ პიროვნებად თვლიან და საკუთარი, გარკვეული პიზიცია არ გააჩნიათ (ღვინჯილია 1983: 6). ალბათ, მის მიზნებსა ამ მიზნების განსახორციელებელ საშუალებათა შორის უფსკრული იყო და ამაში უნდა ვეძიოთ მისი უბედურება, მოლოპულ გზებზე იძულებითი სიარული (ცაიშვილი 1966: 426). აქ ერთ საინტერესო ვითარებასთანაც გვაქვს საქმე, რომ: „ქართველ კაცში გაჩნდა უნდობლობა ყველა იმ ნაბიჯისადმი, რაც იგულისხმება უცხოეთში გადახვეწილთა მოღვაწეობაში. ქართველი კაცის თვალში ერთმანეთს ემსგავსება ყველა ისტორიული პიროვნება, ვისაც კი სხვის კარზე მოუხდა მოღვაწეობა“ (ღვინჯილია 1983: 136). გიორგი სააკაძე მეტად პოპულარული პიროვნება იყო, არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში. ევროპაშიც კი არ დარჩენილა თითქმის არც ერთი იმდროინდელი ისტორიკოსი და მოგზაური, რომელიც ასე თუ ისე არ შეხებოდა სააკაძეს (ჯამბურია 2012: 202): არაქელ თავრიზელი, ისქანდერ მუნში, მუსტაფა ნაიმი, ქათიბ ჩელები, პიეტრო დე ლა ვალე, შარდენი.

**გიორგი სააკაძე — ლიტერატურული პერსონაჟი.** ცნობილია, რომ მწერალს აქვს უფლება ჰქონდეს თავისი სუბიექტური დამოკიდებულება, თავისებურად განსაჯოს ესა თუ ის ისტორიული პიროვნება და ნაწარმოების სათქმელის შესატყვისად წარმოადგინოს მისი სულიერი მდგომარეობა. ცხადია, რომ „ბენვის ხიდზე“ მოსიარულე სააკაძე მარტივი და სწორხაზოვანი ადამიანი ვერ იქნებოდა და ისიც ცხადია, რომ მის გარშემო ბევრი ჭორი და მართალი ერთმანეთში აირეოდა. საუ-

კუნეების განმავლობაში მეცნიერები და მწერლები კვლავ და კვლავ უდიდესი ინტერესით უზრუნველდებიან სააკაძის ფეონომენს. მიუხედავად იმისა, რომ დიდ მოურავზე ბევრი რამ ითქვა და დაინერა, ყოველი მომდევნო თაობა განსხვავებულ შეფასებას აძლევს მის პიროვნებას, შესაბამისად თითოეული ახალი ნაკითხვა არასდროს არ არის ინტერესმოკლებული და მაინც „არ ისვენებდა ეჭვი და შეშფოთებული იყო მკითხველის სული“ (ლვინჯილია 1988: 350).

მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება არჩილის, იოსებ თბილელის, პლატონ იოსელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, ვაჟა-ფშაველას, ანტონ ფურცელაძის, ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის გიორგი ლეონიძის, სანდრო შანშიაშვილის, კოლაუ ნადირაძის, იონა ვაკელის, სიმონ ქვარიანის, ლევან გოთუას, გრიგოლ აბაშიძის, შოთა ნიშნიანიძის, აკაკი ბაქრაძის, ჯანსუღ ლვინჯილიას, როსტომ ჩხეიძის პოეტური, პროზაული თუ კრიტიკული ტექსტები.

1937 წელს, დამოუკიდებლად ერთმანეთისგან გამოიცა, ქართველი მწერლის სიმონ ქვარიანისა და რუსი მწერალი ქალის ანა ანტონოვსკაიამ რომანები ერთი და იმავე სათაურით „დიდი მოურავი“.

სიმონ ქვარიანი\* ამ რომანზე მუშაობისას აგროვებდა და დეტალურად იკვლევდა მასალებს გიორგი სააკაძის შესახებ. ეს ამბავი იმდენად იყო გახმაურებული, რომ თუ რომელიმე ქართველი მეცნიერი დიდ მოურავზე რაიმე ახალ მასალას აღმოაჩენდა, დაუყონებლივ ატყობინებდა ქვარიანს. ამის დასტურად ჯ. კორძაიას მოჰყავს მწერლის ქალიშვილის თინათინ ქვარიანის საოჯახო არქივში დაცული მიხეილ თამარაშვილის მიერ იტალიიდან ქვარიანისადმი გამოგზავნილი წერილი: „ღრმად პატივცემლო ბატონო სიმონ, ჩემთვის ცნობილია თქვენი ინტერესი და წუხილი ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის გიორგი სააკაძის სვებედისადმი, მონივნებით გაახლებთ მის სურათს, რომელიც დიდი მცდელობის შედეგად ახლახან აღმოვაჩინე. თქვენი პატივცემელი მიქელე თამარიტი“ (კორძაია 1989: 350). ს. ქვარიანის ისტორიულ რომანში გიორგი სააკაძე წარმოდგენილია დიდ ისტორიულ და ეროვნულ გმირად, რომლის უბედურება იყო არა „გაორებული პიროვნების, არა კონდოტიერის ტრაგედია, არამედ ეროვნული გმირის ტრაგედია,

\* სიმონ ქვარიანი (1868-1946) — დამთავრებული აქვს მონპელიეს უმაღლესი აგრონომიული სასწავლებელი. სორბონაში ისმენდა ლექციებს ლიტერატურასა და ფილოსოფიაში. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა და დაამუშავა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მასალები და გამოსცა ნიგნად — „ქართველი ერის უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“, 1901 წ. მან პირველმა საქართველოში აღმოაჩინა ვაზის ფილოქსერა და იხსნა ვაზი განადგურებისაგან.

რაც განაპირობა აზნაურული კონსოლიდაციის წინააღმდეგ დიდი ფეოდალების რეაქციამ“ (კორძაია 1989: 350). სწორედ ეს კონცეფცია უდევს საფუძვლად ს. ქვარიანის რომანს. იგივე შეიძლება ითქვას ანა ანტონოვსკაიას „დიდ მოურავზე“.

რუსი მწერალი ქალი ანა ანტონოვსკაია (ქალიშვილობის გვარი ვენჟერი) დაიბადა თბილისში 1885წ. მისი ოჯახი ერთხანს ყარსში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ შემდგომ ისევ თბილისში დაბრუნდა. ის სხვადასხვა დროს ცხოვრობდა — ბათუმში, ერევანსა და ქუთაისში. მეუღლის პეტერბურგში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით, ისიც მასთან ერთად მიემგზავრება, მაგრამ 1918 წელს უკან, თბილისში ბრუნდება. მწერალი თბილისში იმ ხნად მცხოვრებ, აკმეის პოეტ სერგეი გოროდეცკის\* უახლოვდება. ს. გოროდეცკი თბილისში აარსებს „პოეტების საამქროს“, რომელშიც ერთიანდებიან ანა ანტონოვსკაია, რიფსიმე ასალიანცი, გრიგოლ ბაბელი (ბაჟბუქ-მელიქოვი), მაგდალინა დეკაპრილევიჩი, იური დეგენი და სხვები. ანა ანტონოვსკაია საქართველოს დედაქალაქში აარსებს „არტისტერიუმს“ სადაც თავს იყრიდნენ პოეტები და მხატვრები: ი. შარლემანი, ტიც. ტაბიძე, ვალ. გაფრინდამვილი, პ. იაშვილი, ა. ბაჟბუქ-მელიქოვი, ლ. გუდიაშვილი, ვ. ხოჯაბეგოვი და სხვები. „არტისტერიუმთან“ გაიხსნა „ძველი თბილისის“ საზოგადოება (სექცია), სადაც სისტემატიურად ეწყობოდა გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, დისკუსიები. ანტონოვსკაია თავის ხარჯით იწყებს ჟურნალ „ARS“-ის გამოშვებას, რედაქტორად კი სერგეი გოროდეცკის იწვევს. რედაქცია სასტუმრო „ორიანტიში“ იყო განთავსებული. ს. გოროდეცკი ასე იხსენებს იმ პერიოდს: „საველი სორინთან, სერგეი სუდეიკინთან და ლადო გუდიაშვილთან ერთად ვმონაწილეობდი გამოფენებში. ტიცინთან, პაოლოსთან და იოსებ გრიშაშვილთან ერთად ვთვრებოდი ლექსებით“.

1922 წელს ანტონოვსკაია მოსკოვში გადადის საცხოვრებლად. მწერალმა ქალმა სწორედ თბილისში ცხოვრებისას დაიწყო და მოსკოვში დაასრულა ისტორიული ეპოპეის „დიდი მოურავის“ (გიორგი სააკაძე) წერა და გიორგი სააკაძის ლიტერატურული პერსონაჟი რუსულენოვან კულტურულ კონტექსტში მოექცა. ანტონოვსკაია საქართველოში ცხოვრების პერიოდში ბევრს მოგზაურობდა, მოვლილი ჰქონდა თითქმის ყველა კუთხე. 1908 წელს საფარაში ყოფნისას, მას მასპინძლებისგან მოუსმენია ისტორია გიორგი სააკაძის გმირობის შესახებ. ანა ანტონ-

\* სერგეი გოროდეცკი — რუსი პოეტი, მხატვარი, დრამატურგი. ის რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში და აქ გარკვეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა. მისი დის ქმარი იყო არქიტექტორი ვასილიევი, ვისაც ეკუთვნის თბილისის ბოტანიკური ბაღის ცნობილი თაღებიანი ხიდი. გოროდეცკი გ. ნეიგაუზთან ერთად მუშაობდა თბილისის კონსერვატორიაში.

ოვსკაიას ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ის სასწრაფოდ შეუდგა მასალების შეგროვებას. მწერალს თავდაპირველად პიესის დაწერა ჰქონია განზრახული, მაგრამ მასალის სიუხვემ რომანის შექმნა განაპირობა. ქართულ თემატიკას ეძღვნება მისი სხვა ნაწარმოებებიც. ავტორმა რომანზე მუშაობისას სკურპულოზურად შეისწავლა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორია, არამედ იმ პერიოდის საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებული თურქეთისა და სპარსეთის ისტორიული ქრონიკები. დამუშავა არაერთი ძველი ხელნაწერი და წიგნი. როგორც თავად მიუთითებს, რომანზე მუშაობისას, გაეცნო იბნ-ხაუკალის, ადამ ოლეარის, შარდენის, სტრეის, მარკო პოლოს, არქანჯელო ლამბერტისა და ვასილი გაგარინის მოგზაურობათა ჩანაწერებს. პიეტრო დე ლავალეს, ისქანდერ მუნშის, ჰასან ბეგ-რუმლუს, ტურნეფორის, გრაფ დე მარსილდის, ტატიშჩევის, მიტროპოლიტ ნიკიფორეს, ტოლჩანოვის, ვოლკონსკისა და მარი ბროსეს შრომებს, ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიას“ და ვახტანგ VI „სამართლის წიგნს“. ანტონოვსკაიას განსაკუთრებული ინტერესი იოსებ თბილელის „დიდმოურავიანმა“ (XVII ს.) დაიშახურა („დიდმოურავიანს“ გიორგი ლეონიძე ქართულ იერემიადას უწოდებდა), აგრეთვე, გიორგი სააკაძის ცხოვრებისადმი მიძღვნილმა პლატონ იოსელიანისა და ანტონ ფურცელაძის თხზულებებმა. რომანში უხვად არის გამოყენებულია ფოლკლორული მასალაც. ანა ანტონოვსკაიამ ცდილობს სიცხადე შეიტანოს და საკუთარი პოზიცია დაიკავოს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების განიხილავისას და თუ გარემოება მოითხოვს მათ თამამ შეჯერებასაც ცდილობს.

ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ ცალკეული ნაწილების სახით პრესაში ქვეყნდებოდა. ის პირველად თბილისში 1937 წელს დაიბეჭდა. როგორც თავად ავტორი იხსენებს ამ რომანზე მუშაობისას ყოველთვის გრძნობდა მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძისა და გერონტი ქიქოძის მხრიდან დიდ ყურადღებასა და მხარდაჭერას. ცნობილმა რუსმა მწერალმა ლეონიდ ლეონოვმა, როდესაც ხელნაწერში ნაწყვეტები წაიკითხა, წერილი გაუგზავნა ავტორს და სთხოვა მას საქართველოს ისტორია უფრო ვრცლად მიეწოდებინა და გაეცნო რუსი მკითხველისათვის. მიხეილ ჯავახიშვილი ანტონოვსკაიასადმი გაგზავნილ წერილში აღფრთოვანებით წერდა: „თქვენი რომანი დიდი ინტერესითა და გატაცებით წავიკითხე (ჯავახიშვილმა მარტო პირველი ტომის წაკითხვა მოასწრო). რომანი სხვა ეროვნების მწერლის მიერ არის დაწერილი და თანაც ისტორიულ ჟანრშია გადაწყვეტილი. თემა უაღრესად რთული და გრანდიოზულია. დამეთანხმებით, რომ ყოველივე ეს მაძლევდა უფლებას სკეპტიკურად ვყოფილიყავი განწყობილი მის მიმართ. არ დაგიმაღლავთ იმასაც, რომ უნდობლად მოვეკიდე თქვენს

შრომას. მაგრამ „დიდმა მოურავმა“ გაფანტა ყველა ჩემი ეჭვი. წიგნს გაუჩერებლად, ერთი ამოსუნთქვით, დაძაბული ვკითხულობდი და მთელი სულითა და გულით გილოცავთ წარმატებას. თქვენ უკიდურესად რთული მწვერვალი დასძლიეთ და გამირობა ჩაიდინეთ. მე ახლახანს დავამთავრე ისტორიულ რომანზე — „არსენა მარაბდელზე“ მუშაობა და მას ჩემი ცხოვრების შვიდი წელი მივუძღვენი... აქედან გამომდინარე, სხვებზე მეტად ვუნცი რაოდენ მიძიეა ქართულ ისტორიულ სინამდვილეზე რომანის შექმნა. მით უმეტეს, არაქართველისათვის და მით უფრო, როდესაც ის გიორგი სააკაძის ცხოვრებას ეხება. უდავოა რომ თქვენ გამირობა ჩაიდინეთ. სრულად წამიკითხავს უცხოელების მიერ საქართველოს შესახებ დანერგილი ბელეტრისტული ლიტერატურა და თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, რომ მათ შორის ანა ანტონოვსკაიას ნაწარმოები უდავოდ საუკეთესოა (გამომდინარე საკითხის სირთულიდან). კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ წარმატებას. გაუმარჯოს” (ჩორგოლაშვილი 1990: 26). 1940 წელს თბილისში გამოვიდა. რომანის მეორე წიგნი, 1947 წელს მოსკოვში მისი მესამე ნაწილი დაიბეჭდა, ხოლო 1958 წელს კი მეხუთე და მეექვსე წიგნებით დასრულდა ისტორიული რომანის „დიდი მოურავის“ გამოცემა აქვე დავძენთ, რომ რომანის მეორე წიგნის ისტორიკოს-კონსულტანტად, პირველად თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი „დაინიშნა“.

ანა ანტონოვსკაია, როგორც საბჭოთა მწერალი, პირველ რიგში განსაკუთრებით გამოყოფს იმ ფაქტს, რომ სააკაძის თავადობა „ტრადიციით არ არის გამტკიცებული“. მას ფეოდალურ კიბეზე მალალი საფეხური არ უჭირავს. სააკაძე „დაუმარცხებელ დიდ მოურავად“ აღაზევა და სამეფოს პირველ კაცად მისმა გამჭრიახმა გონებამ, ფიზიკურმა თავგანწირვამ და სამხედრო წარმატებებმა აქცია. მწერალი ქალი ამ რომანში სააკაძის სრულ აპოლოგეტად გვევლინება. გიორგი სააკაძის პორტრეტიც კი დანახულია, როგორც „ტანით სპილოს მსგავს და დევის ღონის“ (ისტორიკოსთა შეფასებით), განუსაზღვრელი ძალის პატრონ, ახოვან გოლიათად. მრავალტომეულში ხაზგასმულია სააკაძის გამორჩეული მხედართმთავრული ხელოვნება და სტრატეგიული ხედვა, რითაც ის ადვილად ძლევდა მრავალრიცხოვან მტერს. ის ძლიერი ნებისყოფისა და მოქმედების ადამიანია, ვინც შვილსაც კი სწირავს. ეს ნაბიჯი კი უმაგალითო ზნებრივი გამირობაა. სწორედ ისეთი წინამძღოლი სჭირდებოდა ქვეყანას – სწამდა ანტონოვსკაიას. რომანში სააკაძის ცხოვრების ერთადერთი მიზანი, მიუხედავად თავადთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობისა, საქართველოს გაერთიანება და ცენტრალური ხელისუფლებს განმტკიცებაა. ავტორი ხაზს უსვამს



საკაპის „არაჩვეულებრივ მჭერმეტყველებასა და სხვათა დარწმუნების ნიჭს“, რითაც ის უდიდეს ზეგავლენას ახდენს უბრალო ხალხზე. დიდი მოურავი იმედსა და დასაყრდენს მხოლოდ საშუალო აზნაურების, ხელოსნებისა და გლეხების მხარდაჭერაში ხედავს. როგორც საბჭოთა ეპოქას შეეფერება, რომანში ხალხია ისტორიის შემქმნელი და მისი მამოძრავებელი ძალა. ანტონოვსკაიას გიორგი სააკაძე მხოლოდ ქვეყნის გადარჩენის აუცილებლობიდან გამოდის და ამ მიზნის მისაღწევად მის ყველა საბედისწერო შეცდომას ავტორისეული გამართლება აქვს. საქართველოდან გადახვევნა, სპარსეთისა და თურქეთის მმართველთა კარზე დანინაურება, ძმათამკვლელი ომიც კი, რომანის ავტორისათვის დიდი მოურავის მხრიდან იძულებითი ნაბიჯია და არა ნებაყოფლობითი, რადგან მას სხვა გზა არ დაუტოვეს. სააკაძე დიდი მიზნების განხორციელებაზე ოცნებობს, ცდილობს ოსმალეთი დაუპირისპიროს სპარსეთს. ტექსტში ნაკლები ყურადღებაა მიქცეული სააკაძის მოღვაწეობის უარყოფით მხარეებზე და შეცდომებზე, რომელიც ქართველი დიდებულების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ სააკაძის მიმართ შურითა და დანაშაულის მიწერის ფაქტებით არის ახსნილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავდაპირველად რომანის ორ წიგნად გამოცემა იყო ნაფარაუდები, მაგრამ მუშაობის პროცესში დაგროვილმა მასალამ ეპოპეის მოცულობა საგრძნობლად გაზარდა. რა თქმა უნდა, ამან თავისი ზეგავლენა იქონია რომანის არქიტექტონიკაზე. წიგნის პირველი ნაწილი, რომელსაც კონსულტანტად ჰყავდა ივ. ჯავახიშვილი, ქართველი მწერლების მოწონება დაიმსახურა, რომანის უდავოდ გამორჩეული ნაწილია. ამჯერად ჩვენ არ შევუდგებით მრავალტომეულის შეფასებას (მას ნაკლოვანი მხარე გააჩნია — თ.ც.). „დიდ მოურავს“ სტალინური ეპოქის კვალი ეტყობა. ტექსტი სოციალისტური რეალიზმისა და ლიტერატურის პარტიულობის პრინციპებით არის შექმნილი, რაც სტალინური ეპოქის მთავარი დაკვეთა იყო.

**ერთიანი საბჭოეთის ლიტერატურული გმირი** — ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ის რომ ანა ანტონოვსკაიამ „დიდი მოურავით“, იმ პერიოდისათვის მეტად აქტუალური და ბელადის მიერ მოწონებული, შესაბამისი ხასიათის, ტიპური გმირის სახე შექმნა, რომელიც ერთიანი საბჭოეთის მრავალეროვანი მკითხველის ლიტერატურული გმირი გახდა, რის შესახებაც არაერთხელ დაინერა და გამოითქვა აზრი 40-50 წლების საბჭოთა კრიტიკაში. მაგალითისთვის 1943 წლის ოქტომბერში მეორე მსოფლიო ომის დროს მწერალი ა. ფადეევი საბჭოთა ისტორიული რომანისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე აცხადებს, რომ ამ რომანებით („პეტრე პირველი“, „ემელიან პუგაჩოვი“ და „დიდი მოურავი“ — თ.ც.) მწერლებმა ჩვენს გონებაში ჩაბეჭდეს იმ პროგრესული ძალების გადამ-



წყვეტი როლი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული განვითარების პროცესს ქმნის და გვიჩვენებს ერთიანი საბჭოთა ხალხის ნაციონალური ხასიათის საუკეთესო თვისებები (Петров 1958: 299). 1942 წელს გაზ. „Правда“-ში ჟურნალისტი დ. ზასლავსკი სტატიაში „პოემა დიდ ქართველ მხედართმთავარზე“ წერდა, რომ ანა ანტონოვსკაიას რომანით გიორგი სააკაძე უკვე ჩვენი ხალხების სახელოვანი წინაპრების რიგებშია (Правда 1942: 13 сентября). კრიტიკოსი ზ. კედრინა თავის სტატიაში „ცოცხალი ისტორია“ თვლიდა, რომ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით შექმნილი რომანის „დიდი მოურავი“ საბჭოთა ხალხების ისტორიული გმირის შესანიშნავი მაგალითია («Известия» 1952: 20 марта).

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კინემატოგრაფია ისტორიკოსებთან უშუალო თანამშრომლობით იწყებს ისტორიული გმირების პოპულარიზაციას. 1940 წელს სტალინმა მხარი დაუჭირა ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩორნის (ანტონოვსკაიას ვაჟი — თ.ც.) სცენარს მიხ. ჭიაურელის ფილმისთვის „გიორგი სააკაძე“. ამის შესახებ არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელიც მალხაზ მაცაბერიძეს აქვს მოყვანილი (მაცაბერიძე 2010: 388). ცნობილია, რომ სცენარი დამოუკიდებლად შეუკვეთეს გიორგი ლეონიძესა და ანა ანტონოვსკაიას. მაცაბერიძე იმონებებს კანდიდ ჩარკვიანის ნიგნს „განცდილი და ნააზრევი“ (ჩარკვიანი 2004:), რომელშიც ეს ისტორიაც არის მოთხრობილი. ბელადმა აირჩია ანტონოვსკაიასა და ჩორნის ვარიანტი და დაიწუნა ლეონიძის სცენარი, როგორც „მხატვრულად ღარიბი და ისტორიული მასალის შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით ერთგვარად პრიმიტიული“. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სტალინის ამ გადაწყვეტილების შედეგად, „ნიკო ბერძენიშვილს მოუხდა მთლიანად გადაეკეთებინა გიორგი სააკაძის მოღვაწეობის აღწერა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“ (მაცაბერიძე 2010: 389). გიორგი სააკაძის სცენარის ავტორებმა, ანა ანტონოვსკაიამ და ბორის ჩორნიმ, სტალინის მითითების თანახმად, კონსულტაცია გაიარეს იმ ქართველ ისტორიკოსებთან, ვისაც ბელადი აფასებდა და მიიჩნევდა საჭიროდ.

გიორგი სააკაძე, რომელიც ერთიანი საბჭოეთის საყვარელი ლიტერატურული გმირი გახდა, მასზედ გადაღებული ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, როგორც წერს გ.გვახარია, „დაარწმუნა მაყურებელი, რომ ძმურ საბჭოთა ოჯახში გაერთიანებულ ხალხს უკვე ერთი საერთო ისტორია აქვს, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ ერთნაირად ახლობელია ქართველისათვის და რუსისათვის, უკრაინელისათვის და უზბეკისათვის“ ([www.radiotavisupleba.ge](http://www.radiotavisupleba.ge)), რაც უდავოდ იყო გამოხატულება საბჭოთა ხალხის „ურღვევ ერთიანობად“ ჩამოყალიბების მცდელობისა.

## დამოწმებანი:

- გვახარია 2003:** გვახარია გ. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1525870.html>.
- ზასლავსკი 1942:** Заславский Д. *Поэма о великом грузинском полководце*. gaz. “Правда”. 13 сентября 1942 г.
- კედრინა 1952:** Кедрина З. Живая история. gaz. “Известия”. 20 марта 1952 г.
- კორძია 1980:** კორძია ჯ. ს. ქვარიანი. *დიდი მოურავი*. თბ.: „მერანი“, 1989.
- მაცაბერიძე 2010:** მაცაბერიძე მ. *სტალინი და გიორგი სააკაძის სახე ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში*. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მე-20 საუკუნის გამოცდილება“. მასალები. თბ.: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010.
- მახათაძე 1999:** მახათაძე ნ. გიორგი სააკაძის ფენომენი ძველი ქართული მწერლობის მიხედვით. // *ლიტერატურული ძიებანი*. № 20. 1999.
- პეტროვი 1958:** Петров С. *Советский исторический роман*. М.: «Советский писатель», 1958.
- ქვარიანი 1989:** ქვარიანი ს. *დიდი მოურავი*. თბ.: „მერანი“, 1989.
- ღვინჯილია 1983:** ღვინჯილია ჯ. *გიორგი სააკაძის პიროვნება*. თბ.: „ნაკადული“, 1983.
- ჩარკვიანი 2002:** ჩარკვიანი კ. *განცდილი და ნაზრევი*. თბ.: „მერანი“, 2004.
- ჩორგოლაშვილი 1990:** ჩორგოლაშვილი მ. *თითქოს აქ ვიყო დაბადებული*. თბ.: „ნაკადული“, 1990.
- ცაიშვილი 1966:** ცაიშვილი ს. *დიდმოურავიანი*. // *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. II. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.
- ჯამბურია 2012:** ჯამბურია გ. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ მესამედში. // *საქართველოს ისტორია*. ტ. III. თბ.: „პალიტრა L“, 2012.

## ROMAN DZYK

*Ukraine, Chernivtsi*

*Yuriy Fedkovych Chernivtsi National University*

### **Santa Barbara and Byzantium: the Problems of Globalization in the novel by Julia Kristeva “Murder in Byzantium”**

The article treats the phenomenon of globalization including both positive processes of cultural integration, and a threat of cultural hybridization and unification. The ways and levels of possible opposition and acceptance of globalization are analysed on the example of the novel of Julia Kristeva “Murder in Byzantium”, where there are presented two spatio-temporal models of world order

(Santa Barbara – the concentrated embodiment of the modern globalized world, and Byzantium embodying dying Europe), resisting each other. The special attitude to globalization which should be interpreted as unique reality allowing, however, to keep its uniqueness and peculiarity, both individual and cultural, is also deduced from the novel.

**Key words:** *Julia Kristeva, globalization, Byzantium, Europe, “Murder in Byzantium”.*

**Р. А. ДЗЫК**

*Украина, Черновцы, ЧНУ*

### **Санта-Барбара и Византия: проблемы глобализации в романе Юлии Кристевой «Смерть в Византии»**

Распространение понятия «глобализация» приобретает сегодня воистину глобальные масштабы. Вместе с тем стираются его терминологические контуры, скрывающиеся в имманентной тотальности. Взамен ожидаемых ответов мы получаем еще большее количество вопросов, сопряженных с художественным восприятием проблемы.

Сразу же откажемся от какой-либо попытки категорически обозначить главный пункт: чем, собственно, является глобализация? Подобный вопрос озвучивает, например, известный немецкий ученый Ульрих Бек в одноименной книге «Что такое глобализация?» (Бек 2001). Число фундаментальных научных трудов, посвященных данной проблеме – от Роланда Робертсона (Robertson 1992) и до Томаса Фридмана (Friedman 1999), растет в геометрической прогрессии. Версии восприятия самого же феномена, рассматриваемого под разными углами, множится до такой степени, что впору, вслед за Максимом Руденко, говорить об «исследовательских парадигмах глобализации» (Руденко 2009).

В научном подходе к глобализации одной из наиболее продуктивных, на наш взгляд, является «историческая» парадигма. Из относительно недавних примеров ее продуктивного употребления следует назвать книгу Владимира Пантина «Циклы и волны глобальной истории. Глобализация в историческом измерении» (Пантин 2003) и совместный труд Владимира Брянского и Святослава Пожарского «Глобализация и синергетический историзм» (Брянский 2004). В целом, по утверждению Светланы Чистяковой, в дискурсивной перспективе глобализации четко прослеживаются три основных подхода: «глобализация началась на “заре истории”»; глобализация

зародилась одновременно с зарождением капиталистических отношений (начало XVI века) или с момента экспансии капиталистической мир-системы (XVIII век); и глобализация – это уникальное явление новейшей истории, связанное со становлением информационного общества» (Чистякова 2007). Вероятно, не лишним будет подытожить, что все эти подходы не являются взаимоисключающими и, скорее, восполняют и коррелируют друг друга. Сложно отрицать, что древнегреческая Ойкумена, древнеримский *Pax Romana*, империи, колониализм и пр. также имеют непосредственное отношение к глобализации, хотя, бесспорно, напрямую не являются таковой.

Спорным пунктом, постоянно сопровождающим определение глобализации, выступает ее ценностная характеристика. Тут мнения расходятся с завидным многообразием: от высокопарной апологии ее адептами до не менее вдохновенного уничтожения ее противниками. С одной стороны, глобализация рассматривается как «новый и необычайный враг», которому всячески нужно противостоять (Заграва 2002), с другой – делаются попытки осмыслить и поддержать явление с точки зрения его культурной продуктивности (Лімборський 2011). Обозначив, таким образом, лишь некоторые исходные точки, приступим к рассмотрению заявленной темы.

Активные до сих пор концепции «глобальной деревни» (Маршалл Маклюэн (McLuhan 1962)) или «Интернет-галактики» (Мануэль Кастельс \_ Castells 2001) свидетельствуют о том, что в основе глобализационных процессов в первую очередь следует видеть информационные и культурные факторы. Вместе с позитивными процессами культурной интеграции глобализация несет в себе, по мнению скептиков, и несомненную угрозу фактом гибридизации и тотальной унификации культуры. Поэтому в эпоху всеобщей глобализации все более актуальными становятся поиски моделей, каким-то образом ей противостоящих. Проблема занимает не только философов, социологов, культурологов, но и, что закономерно, на нее чутко реагирует современное искусство.

В этом смысле значимой является реакция тех писателей, которые сегодня известны также и как ученые – т.е. они могут решать аналогичные вопросы в нескольких измерениях. В этом плане интересно мнение французской писательницы и филолога Юлии Кристевой. Благодаря ее художественным экспериментам, справедливо говорить о целостности ее мировидения. В русле нашей проблемы особый интерес вызывает роман постструктуралистки «Смерть в Византии» (2004). В данном тек-сте наличествуют две альтернативные пространственно-временные модели мироустройства. Одна из них, Санта-Барбара, выступает концентриро-

ванным воплощением современного глобализированного мира, «*универсальной моделью среды обитания*» (12)\*, «планетерным» явлением, которое невозможно «локализовать» (127). Другой, противостоящей моделью, является Византия – это «*Европа с тем, что есть в ней самого ценного, утонченного и болезненного, чему завидуют другие и с чем ей самой трудно дальше справиться*» (111–112). Такая культурная Византия уже стоит на пороге вырождения, в предчувствии того, что «все заполнит Санта-Барбара» со своим варварством, терроризмом, «Пицца хат», «кока-колой» и «шекспировым языком», превращенным в «рэп глобализации» (117). Разведенные не некими условными географическими границами, а тысячелетней историей, Санта-Барбара и Византия оказываются тесно сопряженными на страницах романа. Первый крестовый поход в романе представляется глобализационным проектом, а современная Франция воссоздает Византию, пытающуюся противостоять «Четвертому Риму» – Вашингтону. Единственная возможность не принимать тотальную глобализацию и Санта-Барбару состоит в уходе в «свою Византию», в своеобразный «образ жизни», что и осуществляют центральные персонажи книги.

Обращаясь к истокам глобализации, исследователи так или иначе останавливаются на феномене империй. Стоит уточнить, правда, вслед за Эдвардом Саидом, что основной акцент делается на модерных империях с их практикой колониализма: «На протяжении всего XIX века (или его части) Соединенные Штаты, Россия и несколько меньших европейских стран, не говоря уже о Японии и Турции, тоже были имперскими потугами. Эта модель доминионов или владений заложила фундамент сегодняшнего, целиком глобального мира. Электронные средства коммуникации, глобальный размах торговли, доступности ресурсов, путешествий, информации о погодных условиях и экологических изменениях соединили даже самые отдаленные уголки планеты. Такой ряд моделей был впервые заложен и сделан возможным модерными империями» (Саїд 2007:40). Однако, не стоит пренебрегать имперской практикой, предшествовавшей модерным империям. Некоторые исследователи даже рассматривают в целом «латинский мир» и «византийский мир» (после распада Римской империи) как два универсальных проекта культурной глобализации. При этом акцентируется особенность именно византийского глобализационного проекта, исходя из его связующей роли между западной и восточной культурами (Чистякова 2007).

---

\* Тут и далее текст романа цитируется по изданию (Кристева 2008) с указанием номера страницы.

Юлия Кристева очень тонко подчеркивает в романе особенность Византийской империи и ее связь с современной глобализацией. Приведем обширную, но очень важную для понимания авторской концепции мысль: *«После Греции, впервые в мире и лучше кого бы то ни было вместо богов или Бога восславившей Прекрасное и Доброе в своих великолепных храмах, Византия не переставала давать отпор варварам, поглощая их и делая плодными, но была распята – верно, оттого, что ее отличало стремление к какой-то особой замысловатости, так никогда, я думаю, и не достигнутой. Ну, вы меня понимаете? Всегдашние отвлеченные дебаты по поводу пола ангелов – это Византия. Иконоборчество и освященные лики иконопочитателей, без которых миру никогда бы не узнать телевидения, Ги Дебора, “Лофт-стори” и в той или иной степени виртуального Бен Ладена на канале Аль-Джазира, – это тоже Византия. Первая религиозная война Старого континента – легендарные крестовые походы, ныне вдохновляющие президента Буша, с их вандализмом и разворовыванием сокровищ, неудавшимися (уже!) попытками объединения Европы и глобализации за пределами Европы, да-да, “глобализации”, поскольку крестonosцы дошли туда, где Европа уже кончилась, до Гроба Господня, находящегося в руках нечестивцев, – все это и тогда, и сегодня проходит через Византию»* (111). И дальше следует не менее важный вывод: *«Она была Западом, ставшим восточным, самой продвинутой из восточных стран, самой замысловатой из западных. Такой сегодня является Франция»* (142). Примечательно, что византийский «глобализационный проект» потерпел фиаско под напором варваров, среди которых не последнее место занимали франки, или французы – «как кому нравится» (50). Та же участь, как утверждается в романе, ждет и современную Францию, все еще мнящую себя «великой державой» (142).

Современная глобализация ассоциируется уже не столько с вестернизацией, сколько, скорее, с американизацией, или, если воспользоваться немного ироничным, но весьма метким расхожим определением – с «макдональдизацией». Глобализированный мир воплощается в романе в образе некоей условной универсальной Санта-Барбары, которую невозможно отыскать на карте, хотя именно она заполонила все: *«Вам хочется увидеть Санта-Барбару на карте? Невозможно. Как локализовать столь планетарное явление? Санта-Барбара есть и в Париже, и в Нью-Йорке, и в Москве, и в Софии, и в Лондоне, и в Пловдиве, и в самой Санта-Барбаре»* (112). Интересно, что в Санта-Барбаре каждый является мигрантом во втором или третьем поколении, что имеет особый смысл, указывая на формирования особого типа социума: связь миграции и глобализации бесспорна.

Не всегда учитывается тот факт, что глобализация провоцирует ответную реакцию особого толка: не только противостояние, но и заострение внимания на уникальном, этническом, национальном, маргинальном и т.д. Например, у тех же мигрантов это проявляется в обращении к истокам, собственным корням\*. Утраченное ценится значительно больше того, что дано само собой, безоговорочно. В романе эта тенденция прослеживается почти на всех главных и второстепенных участниках общей персониферы текста (в частности, трудно без этого акцента рецептировать образы Стефани Делакур, Себастьяна Крест-Джонса, Нортропа Рильски, студента Ботева и всех пр.).

Заслуживает также внимания и еще один парадоксальный уровень проблемы: глобализация не только противостоит разного толка национализмам, но и питается ими. Эти две стороны медали нужны друг другу, как раньше, по максиме Саида, нуждались друг в друге колонии и имперские центры. *«Историю не переделать, – утверждается в романе, – она продвигается с помощью ничтожно малого количества вариантов. Мусульманские камикадзе подрывали себя в самом центре Иерусалима? Но разве “грязные деньги” не отмывались безнаказанно в самом священном городе, чтобы послужить как жертвам, так и палачам, при том, что всех это устраивало – исламских интеграторов не меньше, чем правых сионистов и православных экстремистов, которые заявляли о борьбе с теми, и наоборот?»* (224). Как видим, подобная взаимосвязанность интерпретируется Ю. Кристевой как прямое следствие все той же глобализации.

Глобализация обычно рассматривается и как некий процесс, который необходимо либо всячески приветствовать, либо, во что бы то ни стало, пытаться остановить. Однако, не будет ли более продуктивным взглянуть на данный феномен как на почти завершенный факт, с которым ничего уже нельзя поделать? Даже если констатировать всю темную подноготную суть такового: *«Все заражено и загажено: могущественные мафиозные кланы один страшнее другого рвут на части друг друга и сами же попадают в сети Власти, все более вписывающейся в систему глобализации всех и вся. Начинается ответная бодяга в стане антиглобалистов: всякие демонстрации, слоганы, требования – что там еще, не знаю, – милые шутки вроде игр в малых вождей и ненасытных париев, хозяев и рабов, и общество секретит своих зубодробительных парней, чтобы иметь возможность спокойно провести уик-энд и воспользоваться банковской карточкой! Вы можете предложить что-то лучше? Затеять процесс, потребовать справедливости? Вы в своем уме?! Все один к одному, больше*

---

\* Более подробно об этом см.: (Дзык 2013).



*нет границ, что в Интернете, что между Добром и Злом»* (305). Мрачные предчувствия Федора Достоевского писательница увидела реализованными: *«“всё дозволено”, дорогой Федор Михайлович, но “ничего не запрещено”, восхитительный Лакан»* (112). Конечно, можно в современных условиях еще успеть затеять индивидуальный бунт, как это делает китаец Сяо Чан. Персонаж становится серийным убийцей, который уничтожает членов секты «Новый Пантеон», стоящей, по его убеждению, за кулисами глобализационных процессов. Его последней жертвой становится, что примечательно, Себастьян Крест-Джонс, профессор кафедры миграций университета Санта-Барбары, активно выступавший за метизацию народов. Однако, подобный бунт, исходя из сюжета, уже обречен на провал.

Текст насквозь окрашен сожалением о том, что Санта-Барбара уничтожает византийский вкус и французский стиль, заполняя собой территории прежней Византии и современной Франции. Описания обе-их ситуаций в романе практически идентичны. Византия: *«Сегодня Филиппополь не отличишь от Санта-Барбары, те же “Пицца хат” и “Найк”. Себастьян понял это еще в свой первый приезд сюда. После падения Берлинской стены экспансия Санта-Барбары неудержима... Остались нетронутыми лишь несколько домов в исторической части города, среди трех холмов...»* (247). Франция: *«Где ты? В Санта-Барбаре? А я в Париже, на три четверти оккупированном все той же Санта-Барбарой. Последняя же четверть – музейная роскошь, цивилизация – подобно Византии куда-то канет...»*. С другой стороны, по утверждению одного из персонажей книги, *«в наши дни лишь Санта-Барбара в силах побороть зло»*, однако, в риторике Кристевой, *«кто в здравом уме станет искать спасение в Санта-Барбаре?»* (335). Таким образом, если объединение Земли считать достойной целью, то нужно быть готовым заплатить за это самую brutальную цену: *«Да, конечно, Санта-Барбара объединяет Землю, одновременно оглуляя ее обитателей, но есть ли иной способ сделать это?»* (261). Иные попытки, как свидетельствует история Византии и Европы в целом, по мысли автора, потерпели неудачу: *«Если следовать примеру Эбрара, получится слишком элитарно, по-европейски, даже по-византийски, как бы “сверху”. Так не пойдет»* (261). Тогда *«спрашивается: нужно ли смириться с вездесущей и всемогущей Санта-Барбарой?»* (261). При всей отрицательной подоплеке вопроса о глобализации, которую прописывает на страницах своего романа Кристева, все же ответ главной героини романа Стефани Делакур, своеобразного alter ego автора, сводится к тому, что Санта-Барбара и глобализация – не самое худшее, что может случиться с человечеством.



Действительно, многие формы борьбы с ней (возьмем, к примеру, тот же терроризм) выглядят намного опаснее самой глобализации.

Следует надеяться, что для каждой отдельной личности остается возможность противостоять тому неминуемому «оглуплению», с которым связана глобализация. Собственный способ картографирования современности, конструирование полностью новой координатной оси становится конечной целью интеллектуальных поисков того частного пространства, которое является континуумом духовного мира. В романе это звучит так: *«Приступим к возведению Вертикалей образов... Моя карта мира формируется по мере того, как я путешествую, знаколюсь с людьми, новые связи создают вокруг меня некую благопристойную общность, в которой нет ничего необычного. Будучи чем-то большим, чем общение по Интернету, эта общность поперечна журналистским и прочим кланам, как и разнообразным профессиям, с которыми я познакомилась, дисциплинам, которыми мне приходилось одно время заниматься, верованиям одних, государствам других, словом, она представляет собой некий небольшой интернационал византийцев, таких же, как я, Стефани Делакур, пытающихся что-то понять и порой измысливающих решения»* (132). Время взамен пространства, время, которое, в конечном итоге, переходит во вневременно. Отказ от горизонтали в пользу вертикали. Новая система координат, которая должна быть выстроена после постструктурализма и постмодернизма. Именно так в парадигме глобализации может быть прочитан текст нашей известной французской современницы. В этом ракурсе глобализация вместо угрозы предстает удобным инструментом для противостояния себе самой.

И, как завершение, ключевой эпизод из романа для понимания всего вышесказанного – детское воспоминание Стефани о том, как отец брал ее с собой на футбол: *«Потерять свое „Я“ – обычно я не признаю это претенциозное выражение, но в ту минуту речь шла именно об этом, я не ощущала границ собственного „Я“, слившегося с другими... я могу быть „в числе“ прочих, составлять с ними целое, будучи совершенно иной и вовсе не с ними. Удовольствие от собственной особенности во мне не знает границ, я способна без всякой опаски растворяться в безмянности масс. Боитесь ли вы превратиться в безликое „оно“? Значит, вы никогда не наслаждались рядом с вашим отцом, но иначе, чем он, и иначе, чем все другие, кем бы они ни были, тем, что вы один (одна) из них»* (123). Комфорт глобализации превращает человека в дитя, но это вовсе не означает, что при этом в безликой массе должна обязательно раствориться его самость.

## ЛИТЕРАТУРА:

- Бек 2001:** Бек, Ульрих. *Что такое глобализация?* Москва: Прогресс–Традиция, 2001.
- Брянский 2004:** Брянский, Владимир; Пожарский Святослав. *Глобализация и синергетический историзм*, Санкт-Петербург: Политехника, 2004.
- Дзык 2013:** Дзык, Роман. Феномен „чужести” в романе Юлии Кристевой „Смерть в Византии”. *VII International Symposium Contemporary Issues of Literary Criticism „Literature in Exile. Emigrants’ Fiction (20th century experience)”*. Tbilisi: Institute of Literature Press, 2013, p. 136–153.
- Заграва 2002:** Заграва, Ернст. *Глобалізація і нації*. Київ: Фенікс, 2002.
- Кристева 2008:** Кристева, Юлия. *Смерть в Византии*. Москва: АСТ, 2008.
- Лімборський 2011:** Лімборський, Ігор. *Світова література і глобалізація*. Черкаси: Брама-Україна, 2011.
- Пантин 2003:** Пантин, Владимир. *Циклы и волны глобальной истории. Глобализация в историческом измерении*. Москва: Новый век, 2003.
- Руденко 2009:** Руденко, Максим. Исследовательские парадигмы глобализации. *Вестник Астраханского государственного технического университета*. 2009, no. 1, p. 132–136.
- Саїд 2007:** Саїд, Едвард. *Культура й імперіялізм*. Київ: Критика, 2007.
- Чистякова 2007:** Чистякова, Светлана. Культурно-исторические типы глобализации. *Аналитика культурологии*. 2007, no. 7.
- Castells 2001:** Castells, Manuel. *The Internet galaxy: reflections on the Internet, business, and society*. Oxford; New York: Oxford University Press, 2001.
- McLuhan 1962:** McLuhan, Marshall. *The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man*. Toronto: Univ. of Toronto Press, 1962.
- Friedman 1999:** Friedman, Thomas L. *The Lexus and the olive tree: understanding Globalization*. New York: Farrar, Straus, Giroux, 1999.
- Robertson 1992:** Robertson, Roland. *Globalization: social theory and global culture*. London: Sage, 1992.

## MARI TSERETELI

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **Democratic Values of Contemporary Georgian Media in the Context of Cultural Transmission**

Georgian democratic journalism begins from sixties’ thoughts of the 19<sup>th</sup> century and is reflected relevant to era in the beginning of 20<sup>th</sup> century in Georgian publicists creations familiarized with European ideas (Archil Jorjadze, Pilipe Gogichaishvili, Mikheil Javakhishvili). Contemporary Georgian media has declared devotion toward democratic values. Its present condition should be consid-

ered in context of cultural transmission. Georgian classical journalism's experience should be taken into account doubtlessly, which is expressed in Georgian - European cultures' symbiosis. Named authors' journalistic writing is the best example of western values thoughtful import and organically merge in Georgian cultural space, which is also actualized for modern Georgian media in condition of globalization.

*Key words: Georgian Democratic Journalism, Democratic values, Cultural transmission, Symbiosis, Globalization*

## **მარი წერეთელი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **თანამედროვე ქართული მედიის დემოკრატიული ღირებულებები კულტურული ტრანსმისიის კონტექსტში**

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ მედიის ღირებულებებში ვგულისხმობთ მთავარ დემოკრატიულ ფასეულობებს, რომლებსაც ადვოკატირებას უწევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და რაც ტრადიციულად განსაზღვრავს ჟურნალისტიკის დემოკრატიულობის გაგებას.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მასმედია მუდმივად საზოგადოებისა და მკვლევართა ყურადღების ცენტრში იმყოფება, რადგანაც უპირატესად მასზე აისახება სამყაროში მიმდინარე პროცესები, ის არის კულტურის უპირველესი შემომტანი, გამავრცელებელი და ცხადია, თავადაც კულტურის სახეობას, კულტურის ნაწილს წარმოადგენს. მასმედია, მათ შორის ქართული, გვევლინება კულტურული გლობალიზაციის თანამონაწილედ და მთავარ აქტორად. განზოგადებულად და ერთსახოვნად ვერ ვისაუბრებთ ქართული მედიის შესახებ, იმდენად განსხვავებულია არხების მიზნები და კომერციული ინტერესები, თუმცა ის მედიასაშუალებები, რომლებიც თანამონაწილეობენ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, დეკლარირებულად აღიარებენ და იცავენ დასავლური ჟურნალისტიკის საყოველთაო პრინციპებს, მუდმივად ადასტურებენ დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას — ეს არის ე.წ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მასმედია. გარდა იმისა, რომ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას უწევს გლობალური საინფორმაციო ნესრიგის პირობებში ფეხი აუწყოს

მოვლენათა წარმოჩენის უსწრაფეს ტემპს, მისი უმნიშვნელოვანესი მიზანი ისიც არის, რომ აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის განვითარებისა და შენების პროცესში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად მედიის მიერ ასახული დემოკრატიული ღირებულებებიც კულტურული ინტეგრაციის შედეგია. მედიაკულტურა სამყაროში მიმდინარე ცვლილებების შესატყვისად იცვლება, თუმცა ქვეყნისათვის აქტიუალური, კონკრეტული დღის წესრიგისა და ღირებულებების შენარჩუნება მისთვის აუცილებელია.

საბჭოთა კომუნისტურმა რეჟიმმა ქართული ჟურნალისტიკა ააცდინა და კარგა ხნით დააშორა განვითარების ბუნებრივ გზას, შემდგომ კი ვერ მოხერხდა კლასიკური მემკვიდრეობის გამოცდილების სათანადოდ გააზრება, მით უფრო გაზიარება, რაც ასე აუცილებელია დღეს, გლობალური ინფორმაციულ-კულტურული ნაკადების შემოდინებისა და თანამედროვე საინფორმაციო წესრიგის პირობებში, როდესაც სრულიად უპრეცედენტოა საერთაშორისო საკომუნიკაციო პროცესის ზემოქმედება მასობრივ ცნობიერებაზე, აუდიტორია კი მედიისგან მოითხოვს საზოგადოებისა და ქვეყნისათვის სასარგებლო მოქმედებას.

თანამედროვე მასმედიის გააზრება კულტურული ტრანსმისიის კონტექსტში, ცხადია, არ გულისხმობს ჩარჩოს, რომელიც პირდაპირ მოერგებოდა ჟურნალისტიკის თანამედროვე ამოცანებს. გავიხსენოთ, რომ ზოგადად, „კულტურული ტრანსმისია არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კულტურა სწავლების გზით გადაეცემა მომდევნო თაობებს. კულტურული ტრანსმისია შესაძლებელს ხდის ისეთ მოვლენას, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობითობა, მისი უწყვეტობა დროში“ (კრავეჩენკო 2003: 86). კულტურის გადაცემა მის განვითარებასთან ჰარმონიაში მყოფი პროცესია, რომლითაც ხერხდება ძირითად ფასეულობათა შენარჩუნება დროსა და სივრცეში. ყოველივე ამას ხელს უწყობს კულტურის უნივერსალური თვისება — მისი სიცოცხლისუნარიანობა, რაც ყველაზე უკეთ შეიმჩნევა მაშინ, როდესაც სხვადასხვა ხანგრძლივობით იცვლება პოლიტიკური სისტემები და შესაბამისად, იცვლება საზოგადოების ცხოვრების წესი და კულტურის თვისობრიობა, როგორც ეს მოხდა 70 წლიანი საბჭოთა სისტემის პირობებში. თუ ტრანსმისიის ზოგადკულტუროლოგიურ მოდელს მივუსადაგებთ ქართულ ჟურნალისტიკას, როგორც კულტურის ნაწილს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში გაცილებით რთული აღმოჩნდა „კულტურული წყვეტის“ მძიმე დამლის დაძლევა, რადგან მასმედია ოპერატიულობისა და მომავალზე ორიენტირებულობის გამო სიახლეებს ითვისებს დიდი სისწრაფით, ხშირად სქემატურად და ღრმა გააზრების გარეშე. ქართულ მასმედიასაც მოუწია ღირებულებათა სისტემის ცვ-

ლილების კვალდაკვალ დრო-სივრცითი ჩამორჩენის დაძლევა, ხელახლა დაწყება, უკეთ, მიზრუნება ჭეშმარიტი ჟურნალისტიკის უცვლელ პრინციპებთან. ეს რომ არც თუ იოლი ამოცანა აღმოჩნდა, დასტურდება მის მიმართ, დიდწილად, კრიტიკული აზრის არსებობით. ეს მცირე კულტუროლოგიური ექსკურსი დაგვჭირდა, რათა გამოგვეკვეთა ჩვენი დაკვირვების საგანი, შემდეგი მთავარი მიმართულებებით:

1. რა ღირებულებებს ამკვიდრებდა ქართული კლასიკური ჟურნალისტიკა, როგორ შეგვიძლია გავიაზროთ თანამედროვე მედია ქართული დემოკრატიული ჟურნალისტიკის ტრანსმისიის კონტექსტში.

2. მნიშვნელოვანია თუ არა გლობალიზაციის პირობებში ქართული მედიისათვის კლასიკური გამოცდილების გაზიარება კულტურული ინტეგრაციის თვალსაზრისით, ცხადია, ჟურნალისტიკის წინაშე სადღეისოდ არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, ქართული დემოკრატიული ჟურნალისტიკის კლასიკური გამოცდილება დასაბამს იღებს მე-19 საუკუნის სამოციანელთა ნააზრევებიდან და შემდეგ, ეპოქის შესატყვის, მძლავრ გამოხატულებას პოულობს მე-20 საუკუნის დასაწყისში, ევროპულ იდეებს ნაზიარებ ქართველ პუბლიცისტთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ამ პერიოდის პუბლიცისტთაგან ამჯერად გამოვყოფთ სამ ავტორს: პოლიტიკურ მოღვაწესა და პუბლიცისტს არჩილ ჯორჯაძეს, საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერსა და პუბლიცისტს ფილიპე გოგიჩაიშვილს, ქართული ლიტერატურის კლასიკოსსა და პუბლიცისტს მიხეილ ჯავახიშვილს. ისინი პუბლიცისტური ნაწერებით, თანამედროვე დეფინიციით — საგაზეთო მედიატექსტებით ავრცელებდნენ თანადროულობისთვის ნიშანდობლივ, აქტუალურ ღირებულებებს, რაც, თავისთავად, იმ პერიოდულ გამოცემათაგან დამკვიდრებულ ღირებულებებადაც უნდა მივიჩნიოთ. ესენია ქართული დემოკრატიული ჟურნალისტიკის კლასიკური გამოცემები — გაზეთები: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ცისარტყელა“, „გლეხი“ და სხვ.

მედიატექსტების კონტენტის დისკურსული ანალიზით შესაძლებელია განვსაზღვროთ სტატიათა პრობლემატიკის მთავარი არსი და შედარებითი ანალიზის მოშველიებით ვნახოთ, როგორ შეესატყვისება იგი თანამედროვე ჟურნალისტიკის ამოცანებს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ დასახელებულ ავტორთა პუბლიცისტური მემკვიდრეობა საკვლევე საკითხის კუთხით შეუსწავლელია.

არჩილ ჯორჯაძის, ფილიპე გოგიჩაიშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა ეფუძნებოდა მე-19 საუკუნის ეროვნულ-დემოკრატიულ იდეალებსა და კულტურულ ორიენტირებს, რომლებიც სამოციანელთა ძალისხმევით დამკვიდრდა

ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. სამივე ავტორი მიეკუთვნება იმ თაობას, რომელიც ევროპულად განსწავლული ახალი მიზნებითა და იდეალებით დაბრუნდა საქართველოში და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა წამოიწყო მე-20 საუკუნის დასაწყისში (1900-1910), როცა მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მოძრაობის იდეური დიფერენცირების პროცესი, როგორც მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებებისა და გარდატეხების შედეგი. მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლმხედველობრივი და კულტურული ცვლილებები, არჩილ ჯორჯაძის თქმით, „ახალი იდეალის“ ძიების ნიშნით წარიმართა, მათი იდეური შეხედულებები ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობებთან იყო წილნაყარი და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად.

პუბლიცისტთა თვალთახედვით, ევროპეიზაციის პროცესის ქვაკუთხედად განიხილებოდა მთავარი დემოკრატიული ღირებულებები (პრესის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, სოციალური თანასწორობა, სამართლებრივი სახელმწიფო), რომლებიც სადღეისოდაც არის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი კატეგორიები. „ჩვენ ამჟამად სწორედ ამ ახალ ცხოვრების დაწყების ხანაში ვიმყოფებით. ის, რითიც გვიცხოვრია, დაძველდა, გაცვდა და „ახალი“ გზის, ახალი იდეალის ძიებაში ვართ“ (ჯორჯაძე 2010:15). ამ სიტყვებით გამოხატავდა არჩილ ჯორჯაძე ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილების გარდაუვალობას, ევროპისა და დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების, სიახლეებისა და ტენდენციების შესაბამისად და არსებითად, ამ სიტყვებითვე ერთგულობდა მე-19 საუკუნის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის განმანათლებლურ მიზნებს, რომელთა განხორციელებაც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპეიზაციით იყო შესაძლებელი ისევე, როგორც იმავე ამოცანებს ისახავდნენ მიზნად მიხეილ ჯავახიშვილი და ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომლებიც სწორედ პუბლიცისტური მედიატექსტებით ცდილობდნენ მკითხველის ინფორმირებას და დასავლური დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მედიის როლზე საუბრისას მუდმივად აქტუალურია კულტურული ღირებულებების ინტეგრაციის პრობლემა — როგორც კულტურული გლობალიზაციის დახასიათებელი ტენდენციისა. ანუ, რა უნდა მივიღოთ და როგორ, რა მისია ეკისრება ამ პროცესში მედიას. ამ მხრივ მე-19 საუკუნის ტრადიცია თვალსაჩინო პუბლიცისტებმა „მემკვიდრეობით“ მიიღეს, არჩილ ჯორჯაძის მიერ დასახული „ახალი გზა“, „ახალი იდეალი“ არის არა მექანიკური, მოდური გატაცება, არამედ ევროპიდან ცოდნა-ღირებ-

ულელების შემოტანის გაცნობიერებული ცდა, როგორც ერთადერთი შესაძლებლობა, საუკუნის დასაწყისში ახალი სამოქმედო ამოცანების, სასარგებლოს შეცნობისა და გააზრების აუცილებლობით ნაკარნახევი. მათ ნააზრევში, ამ მხრივ მართლაც შეიმჩნევა მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებთან დაკავშირებული ერთგვარი რეფლექსია, ასევე „თვითგანსჯის“ აშკარა ტენდენცია, რომელიც გამოიხატება ევროპეიზმისკენ, როგორც კულტურული უნივერსალიზმისაკენ გააზრებულ სწრაფვასა და მისი აუცილებლობის ღრმად გაცნობიერებაში. ამ აზრს ადასტურებს არჩილ ჯორჯაძის სიტყვები: „აი, ამისთვის მიგვაჩნია აუცილებელ საქმედ, გულდასმით გადავსინჯოთ ყველა ჩვენი რწმენანი და შეხედულებანი. აუცილებლად საჭიროა შესწავლა ჩვენის ცხოვრებისა, ამასთანავე საჭიროა გაცნობა მონინავე ერთა კულტურულ და მატერიალურ ცხოვრებისა. აი, ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლიან თავიდან აგვაცილოს თვალხუჭულა, უგზოუკვლოდ სიარული“ (ჯორჯაძე 2010: 29).

ნიშანდობლივია, რომ პუბლიცისტებს კონკრეტული მიზნები ამოძრავებთ და მსოფლმხედველობრივი, ღრმა მსჯელობით გამოირჩევიან, რაც კლასიკური პუბლიცისტისთვის იმანენტურია. „ახალ გზაზე“ დემოკრატიული ღირებულებების განსჯისას მნიშვნელოვანია მათ მიერ პრესის როლის გააზრება. არჩილ ჯორჯაძე ასეთ ამოცანას სახავს: „ქართული პრესის მოვალეობაა — შეიმუშაოს, ერთის მხრით, ის იდეალი, რომელიც უნდა იყოს დაყენებული ჩვენს წინაშე, და მეორეს მხრით — იმ გზისა და საშუალების განმტკიცება, რომელიც მიაღწევინებს ხალხს ამ იდეალამდე“ (ჯორჯაძე 2010:27). ფილიპე გოგიჩაიშვილის აზრითაც, „პრესისა ცხოვრების სარკეა, რომელიც ხატავს რეალურ მოვლენათ და ბარომეტრით მგრძნობიარედ აღნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობას, მის განვითარებას და განსაზღვრულ მიმდინარეობას“ (გოგიჩაიშვილი 1974:188). მიხეილ ჯავახიშვილის თქმით კი, „პიროვნების თავისუფლებას უზრუნველყოფს აგრეთვე ბექდვისა და სიტყვის სრული თავისუფლება. პრესისა მუდმივი და საუკეთესო კონტროლია ყოველწინაირ დაწესებულებისა და ყველა ადმინისტრატორისა. ეს კონტროლი მთავრობას არაფრად უჯდება და ისეთი დიდი სარგებლობა მოაქვს მთელ ქვეყნისთვის, რომ გაცილებით სჯობია ყოველწინაირ ოფიციალურ რევიზიას და კონტროლს (ჯავახიშვილი 2007:131). როგორც ვხედავთ, ამ განსაზღვრებებში პრესის უპირატეს მიზნად მიჩნეულია ინფორმირება, ცოდნა-განათლების გავრცელებაზე ზრუნვა, მეთვალყურეობა (კონტროლი), რაც სრულ კორელაციაშია მედიის ფუნქციების თანამედროვე გააზრებასთან. ყველაზე ფართოდ გავრცელებული თანამედროვე განსაზღვრებებია საზოგადოებრივი მედიის (მაუწყებ-



ლის) სტრატეგიული მიზანია: „ინფორმირება, განსწავლა, გართობა“ (ბი-ბი-სის ცნობილი დევიზი — მ.წ.), თანამედროვე მედიის ფუნქციათა ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება: მეთვალყურეობა, (კონტროლი), კულტურის გავრცელება, საზოგადოებრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა, გართობა, გაყიდვა. (კლოდ-ჟან ბერტრანის წიგნიდან „მედიაეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები“ — მ.წ.)

გართობა და გაყიდვა მასმედიის კომერციული მიზნების გამოხატველია, რაც თანამედროვე მედიის ფუნქციებში აუცილებლად დომინირებს, რადგან მედია, მით უფრო კომერციული, ამ ინტერესის გარეშე არ წარმოიდგინება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ გართობა-გაყიდვა, ცხადია, არა დღევანდელი მასშტაბით, ყოველთვის იყო მედიის მიზანი (გავიხსენოთ მე-19, მე-20 საუკუნის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მხატვრული და შემეცნებითი ტექსტები, რეკლამები თუ სხვა საკითხავი მასალა — მ.წ.), თუმც პუბლიცისტიკის კლასიკოსთა განმარტებებში, პრესის ფუნქციათა გააზრებისას, ეს მხარე არ ფიგურირებს, ბუნებრივია, რომ მათ საზოგადოებრივი ინტერესები ამოძრავებთ.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ჩვენ მიერ შესწავლილ ავტორთა ნააზრევში დემოკრატიული ღირებულებების ქვაკუთხედად თავისუფალი პრესა და ადამიანის უფლებები განიხილებოდა, რაც არის თანამედროვე ჟურნალისტიკის დემოკრატიულობის ხარისხის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორიც. პუბლიცისტებმა მედიატექსტს დააკისრეს მთავარი ფუნქცია, გამოეკვეთა არჩეული იდეურ-კულტურული ვექტორი, რაც, მათი თვალთახედვით, თავისუფალი პრესის განვითარების თვინიერ არ გაიაზრებოდა. ამ საკითხს უშუალოდ უკავშირდება თავისუფლების — როგორც ადამიანისთვის უზენაესი კატეგორიის გაგება. პრესის თავისუფლებაც ხომ, ზოგადად, თავისუფლების ფილოსოფიური არსის გამოხატველია. თავისუფალი აზრისა და სიტყვის მხარდასაჭერი კლასიკური ნიმუშის, დიდი ინგლისელი პოეტისა და მოაზროვნის ჯონ მილტონის ტრაქტატ „არეოპაგეტიკიდან“ (1644) მოყოლებული, აზროვნების თავისუფლება ყოველთვის იყო ადამიანური საზრისის განმსაზღვრელი უმაღლესი ნება, ისე როგორც ეს არის გამოხატული ევროპელ მოაზროვნეთა მოძღვრებებში. მათ შორის უნდა გამოვყოთ მე-19 საუკუნის გამორჩეული პუბლიცისტის ჯონ სტიუარტ მილის (1806-1872) ესე „თავისუფლებაზე“ (1859), რომლის ერთი თავი „აზრისა და დისკუსიის თავისუფლება“ სწორედ აზრისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას შეეხება.

არჩილ ჯორჯაძე რომ ზედმიწევნით იცნობს ევროპულ ფილოსოფიურ აზრს თავისუფლების შესახებ, თუმც განსხვავებულ, პრაქტიკულ მიზნებს ისახავს, მისი სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს: „როცა



ჩვენ ვახსენებთ სიტყვა „თავისუფლებას“ და „ადამიანთა თავისუფლების“ შესახებ ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს არა მეტაფიზიკური ახსნა ამ ცნებისა, რომელიც, როგორც მოგვითხრობენ ფილოსოფოსნი, ტრიალებს ზესთა-გრძნობათა სფეროში, არამედ სრულიად რეალური, განსაზღვრული, შუათანა ნიჭის ადამიანის გონებისათვის ადვილად მისაწვდომი და გასაგები ახსნა. სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ადამიანისათვის განავითაროს ფიზიკური და სულიერი თვისებანი“ (ჯორჯაძე 2010: 30). „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიის ავტორი, ცდილობს იპოვოს ის თემები, რომლებიც გააერთიანებს იდეურ მონინალმდეგეებს და ქვეყნის ინტერესებისათვის ერთიან სამოქმედო, პრაქტიკულ მიზნებს დაუსახავს მათ. „შუათანა“ ნიჭის ადამიანში არჩილ ჯორჯაძე გულისხმობს ჩვეულებრივ მკითხველს, ვისი გაცნობიერებაც იყო მისი მიზანი. ამრიგად, პუბლიცისტთა სამიზნე-ფართო (მასობრივი) აუდიტორიაა, ინტერესის ობიექტი კი ადამიანი, რომელსაც უნდა განემართოს ცალკეული, საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები, თუნდაც: რა არის დემოკრატია, რას გულისხმობს ადამიანის უფლებები, რისთვის არის უპირატესი თვითმმართველობა და სხვ. ამავე ამოცანას ისახავს ინფორმაციული სიუხვითა და აზრობრივი დატვირთულობით გამორჩეული სტატიები ევროპის სახელმწიფოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მონყობის შესახებ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, მოვლენების, ცალკეული გეოსტრატეგიული საკითხების მკითხველისათვის ანალიზური განხილვით, პირადი დაკვირვებებითა და საინტერესო ანალოგიებით მიწოდება. მაგალითად, არჩილ ჯორჯაძე სტატიით „დასავლეთ ევროპის დემოკრატიები“, მკითხველს აცნობიერებს დემოკრატიის არსსა და გენეზისში.

პუბლიცისტის განსჯა დემოკრატიის შესახებ წარმოაჩენს ევროპული დემოკრატიების ფორმებს და მათ შორის განსხვავებებს. იგი ახასიათებს „სრულიად ახალ საფუძველზე“ — იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების დაფუძნების მიზნით აღმეჭდილ ბურჟუაზიულ დემოკრატიას (ტოკვილი, ლამარტინი, ვაშრო), როგორც პოლიტიკურ სისტემას, რომელიც არსებითად „პოლიტიკურ უთანასწორობის გაუქმებას“ ანიჭებს უპირატესობას, სოციალ-დემოკრატიზმს (ალფონს ოლარი), სოციალური თანასწორობის იდეით („ეკონომიკური უთანასწორობის გაუქმება“) და დემოკრატიის კიდევ ერთ ნაირსახეობას — ეროვნულ დემოკრატიზმს. სწორედ სტატიამი „ეროვნული დემოკრატიზმი“ პუბლიცისტი საკითხს შემდეგნაირად სვამს: „რა რიგად შეიძლება განხორციელდება დემოკრატიზმისა (ბურჟუაზიულია იგი თუ სოციალური) იქ, სადაც ერი თავის პატრონი არ

არის, სადაც მისი ეროვნული პიროვნება დაჩაგრულია, სადაც ენა, ლიტერატურა, სკოლა, სასამართლო და ყოველი საზოგადო დანესებულება უცხოელთა ხელშია და არ შეესაბამება ერის მოთხოვნილებას?“ (ჯორჯაძე 2010: 51).

ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკური გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე არჩილ ჯორჯაძე მიიჩნევს, რომ პირდაპირი მოდელების გადმოტანა ქვეყნისა და საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებლად, ყოველად შეუძლებელია. იგი სინამდვილიდან მოხმობილი მაგალითებით ამყარებს არგუმენტაციას, უნინარეს ყოვლისა, რუსეთის იმპერიის ტყვეობაში მოქცეული საქართველოსათვის პოლიტიკურ ბრძოლაში პრიორიტეტის განსასაზღვრად, როცა დასძენს: „ჯერ თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მერე შინაური ცხოვრების მოწესრიგება ხალხის კეთილდღეობის მიხედვით. ამასაც ევროპა გვასწავლის“ (ჯორჯაძე 2010: 56). არსებითად, სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მსოფლმხედველობრივ-პოლიტიკური არჩევანი და კრედო.

მრავალსახოვნად წარმოუდგენია თავისუფლების იდეა მიხეილ ჯავახიშვილს, რომელიც დეცენტრალიზაციაში ხედავს საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების პერსპექტივას, ამიტომაც პუბლიცისტი დასავლური დემოკრატიული მართვის სისტემების უპირატესობის წარმომჩენი არგუმენტებით ეპაექრება დეცენტრალიზაციის მონინალმდეგე „მესამე დასს“ — სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც, მწერლის გასაკვირად, ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაცვის საქმეში რუსეთის ბიუროკრატიის მხარდამჭერნი აღმოჩნდნენ. „საკმარისია მოვიგონოთ შვეიცარია, გერმანია, ამერიკა და ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციაც თავისთავად დაინგრევა. თუმცა გერმანიის იმპერიისა და კიდევ უფრო ამერიკის სახელმწიფო დეცენტრალიზაციის პრინციპზეა დამყარებული, მაგრამ თვით ბიუროკრაციაც ვერ იტყვის, რომ ორივე სახელმწიფოს რუსეთზე ნაკლები მთლიანობა და ძალა ჰქონდეს“ (ჯავახიშვილი 2007: 76).

ცალკე აღნიშვნის ღირსია მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „შვიდი თავისუფლება“, როგორც ტრაქტატი ადამიანის უფლებების კლასიკური გააზრებისა. პუბლიცისტის მიერ პუნქტობრივად განმარტებული უფლებები თავისუფლებისა და დემოკრატიული აზროვნების დაცვის გარანტიად მიიჩნევა: „იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს თვით ხალხი განაგებს, თავის არჩეულ სანდო კაცების შემწეობით, ყოველს მცხოვრებს აქვს უფლებები, რომელთა წართმევა ან შელახვა არავის შეუძლიან. ამ უფლებით ყველა სარგებლობს, რა ტომისა, ჩამომავლობისა, ან რა სჯულისაც არ უნდა იყოს, სარგებლობს მდიდარიც და ღარიბ-

ლატაკიც. ამ უფლებათ თავისუფალ სარგებლობას უწოდებენ თავისუფლებას. ამისთანა თავისუფლება შვიდია“ (ჯავახიშვილი 2007:329), აღნიშნავს პუბლიცისტი. ეს უფლებებია: 1.პიროვნების ხელშეუხებლობა, 2. სინდისის და რწმენის, 3.4. სიტყვისა და ნერა-კითხვის, 5.კრების, 6.კავშირგაბმულობის 7. ფაფიცვის თავისუფლება. (წერილი დაიბეჭდა 1906 წელს გაზეთ „გლეხში“). აი, ასე გააზრებულად გადმოჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილს ადამიანის უფლებები, როგორც მთავარი ევროპული ფასეულობები, პუბლიცისტურ ტექსტებში და ქართულ საზოგადოებას პრესის საშუალებით აცნობდა ისევე, როგორც ევროპული კულტურის დამკვიდრებას ისახავს მიზნად ფილიპე გოგინაიშვილის არაერთი სტატია: თუნდაც, „ქალაქის მართვა-გამგეობა“. ყოფითი კულტურის შემოტანის გარეშე, პუბლიცისტი ვერ ხედავს ქალაქის (თბილისის) განვითარების პერსპექტივას, ამიტომაც ტვირთავს მას საჭირო, დეტალური ინფორმაციით. თემის ანალიზი ვითარდება ასეთი ტრაექტორიით: რა ვითარებაა, რატომ არის მიუღებელი და რა უნდა იყოს. მკითხველთან დიალოგი მის გაცნობიერებას ისახავს მიზნად თვით ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ქალაქი და მისი საჭიროებანი, ჰიგიენა, სწავლა, განათლება, ბინები, ქალაქის ფინანსები და ალებ-მიცემობა (დაიბეჭდა „გაზეთ კვალში“ 1902, №11). კულტურული ღირებულებების გაზიარების პროცესში პუბლიცისტები უცილობლად ითვალისწინებენ ადგილობრივ კულტურულ თავისებურებებს და გარემოს: „მარტო იქაურ მაგალითით ჩვენს შესახებ არაფრის დამტკიცება და დასაბუთება არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ ცხოვრების პირობათა გარკვევა და გათვალისწინება“ (გოგინაიშვილი 1974: 190).

დასავლური დემოკრატიული ინსტიტუტებისგან განუყოფელად განიხილება დამოუკიდებელი სასამართლოს, როგორც ადამიანის უფლებების დაცვისა და მისი თავისუფლების უცილობელი გარანტის მნიშვნელობა და როლი. „ჰაბიას კორპუსი“ — ინგლისის სასამართლო სისტემის სამართლიანობის სიმბოლო, მიხეილ ჯავახიშვილის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ამიტომაც უღრმავდება მის არსს. მკითხველსაც აცნობს, რომ „ჰაბიას კორპუსი“ უმთავრესი იარაღია უკანონოდ დაპატიმრებულისა. ამ კანონის ძალით, ყოველ უკანონოდ დაპატიმრებულს სულ ადვილად შეუძლიან თავისუფლება დაიბრუნოს და შემდეგ ის კაციც დასაჯოს, ვინც ის დააპატიმრა“ (ჯავახიშვილი 2007:130).

ფილიპე გოგინაიშვილსაც სახელმწიფოს დემოკრატიულობის მთავარ ნიშნად დამოუკიდებელი სასამართლო მიაჩნია. მართლაც თანამედროვედ ჟღერს მისი სიტყვები: „სადაც არ არის კანონმდებლობა,

მმართველობა და სასამართლო, იქ არც სახელმწიფოა“ („დამოუკიდებელი სასამართლო“. ივერია, 1906, № 20). პუბლიცისტი საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების ანალიზისას თავისუფალი საზოგადოებისა და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობის ქვაკუთხედად მინც ადამიანის უფლებებს მიიჩნევს: „ნესიერი ცხოვრება შეუძლებელია იქ, სადაც მოქალაქეს არავითარი უფლება არა აქვს“ (გოგიჩაიშვილი 1974: 394). ფ. გოგიჩაიშვილის ნერილების სათაურებიც კი ცხადად მეტყველებს პუბლიცისტის მიზანზე, მკითხველს გააცნოს ევროპული ყოფა-ცხოვრება და კულტურული ღირებულებები. მაგ; „ინგლისური აღზრდა“, „ხალხის აზრი“, „მოხელე და მოქალაქე“, „პოლიტიკა და კულტურა“, „მგზავრის შენიშვნა“ და სხვ.

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ქალთა ემანსიპაციის თემის წამოწევა მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური პუბლიცისტიკის ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაა. ამ თემას ეხება ნერილები: „ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“, „ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში“, „დედაკაცი ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში“, რომლებშიც შესწავლილი და გააზრებულია მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ქალთა სამოქალაქო მოძრაობის ისტორია, მათი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის რეალური სურათი და პოლიტიკურ უფლებათა ამსახველი სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო აქტები. პუბლიცისტის მსჯელობიდან აშკარაა, რომ ქალთა უფლებების დაცვა მას უმნიშვნელოვანეს ამოცანად ესახება და ამ მხრივ მომავალს იმედინად უყურებს.

როგორც ვხედავთ, ქართველ პუბლიცისტებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ დემოკრატიზაციის პროცესის თანმდევი, იმდროისათვის აქტუალური ევროპული ღირებულებები, რომლებიც ეროვნული თავისუფლების იდეისგან განუყოფლად, საქართველოს მომავალი განვითარების უპირობო საწინდრად ესახებოდათ. პუბლიკაციებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ დასავლური დემოკრატიის იდეა სხვადასხვა ასპექტითა და რაკურსით იყო ქართულ ჟურნალისტიკაში გამოვლენილი და ხასიათდებოდა პუბლიცისტთა ცოდნით, კომპეტენციით, ღრმა გააზრებით. ტექსტებში გაჟღერებული კრიტიკული პათოსი მიზნად ისახავს ფესვგამდგარ, დრომოქმულ ჩვევათა და მანკიერებათა უარყოფას ილიასეული „მხილების პრინციპით“ და არა ქვეშემართი ტრადიციული კულტურული ღირებულებების დაკნინებას და ეროვნული ნიჰილიზმის დანერგვას.

ჟურნალისტიკას დრო თავად კარნახობს ცვლილებებს და, ბუნებრივად, ახალი გამონკვევების წინაშე აყენებს მას. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში გამალებული კომერციული ინტერესიც

მისი თანმდევი ნიშანია, რაც არსებითად განსაზღვრავს მასმედიის ზოგად პროფილს (ამ მხრივ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი მედია — მ.წ.). თავად ამერიკელი მკვლევრების აზრითაც, გლობალიზაცია მნიშვნელოვნად ცვლის საკომუნიკაციო კომპანიების პროდუქციის სახეს და შინაარსს. ახალი ამბები „დიდწილად გამართივებული კულტურული შეხედულებების სიმრავლეს“ ეყრდნობა, ხოლო „ჟურნალისტიკა თავს იმართლებს საზოგადოების სახელით, მაგრამ იქ საზოგადოების ფუნქცია მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის აუდიტორიაა“ (კოვაჩი ... 2006: 31).

როგორც აღვნიშნეთ, კულტურულ ღირებულებათა ინტეგრაცია თანამედროვეობის დილემური საკითხია, ამ თემაზე მეცნიერები განიხილავენ სიმბიოზის, სინთეზის, კრეოლიზაციის, გლოკალიზაციის, მულტიკულტურალიზმის შესაძლებლობებს. სწორედ მედიის ამოცანაა, კულტურათა შორის კონფლიქტის გარეშე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში და რეალური დემოკრატიის, როგორც პროცესის და არა მიზნის დამკვიდრებაში. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართული მედია, არც თუ იშვიათად, მძაფრი კრიტიკის ობიექტი ხდება, მას საყვედურობენ არაპროფესიონალიზმს, ჭეშმარიტი კულტურული ვექტორის უქონლობას, უმნიფრობას, დემოკრატიულ იდეათა ზედაპირულ დეკლარირებას.

გლობალიზაციის პირობებში კულტურული ფასეულობების ინტეგრაციის კონტექსტში მრავალმხრივ საგულისხმოა ჩეხი დრამატურგის, ესეისტისა და პოლიტიკოსის ვაცლავ შაველის მიერ ჰარვარდის უნივერსიტეტში წარმოთქმული მრავალმხრივ საგულისხმო სიტყვა, რომელიც შეეხება გლობალურ სამყაროში კულტურათა ინტეგრაციის, კაცობრიობის მომავლისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების თემას, ასევე სამყაროში მიმდინარე პროცესებში მასმედიის როლს, რაც, ჩვენი აზრით, სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება და დიდწილად, საყურადღებოა ქართული მასმედიისთვისაც. შაველი გამოკვეთილ როლს აკისრებს ჟურნალისტიკასა და ჟურნალისტებს, როცა აღნიშნავს: „კაცობრიობა ემადლიერება გაბედულ ჟურნალისტებს, რომლებიც ნებაყოფლობით საფრთხეში იგდებენ საკუთარ სიცოცხლეს იქ, სადაც ხდება უბედურებები, რათა გააღვიძონ კაცობრიობის სინდისი. ამასთან, არსებობს ტელევიზიის მეორე, უარყოფითი ასპექტი. ტელერეპორტიორები თითქოს ტკბებიან სამყაროში მიმდინარე საზარელი ამბებით ან, რაც უპატიებელია, მათ ჩვეულებრივ მოვლენებად წარმოგვიდგენენ. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელნიც განკარგავენ მასობრივი ინფორმაციის

საშუალებებს. მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამყაროსა და კაცობრიობის მომავლის გამო. ისევე, როგორც ატომის გახლეჩამ შეიძლება უდიდესი სარგებლობა მოუტანოს კაცობრიობას, და, იმავედროულად, საფრთხე შეუქმნას მის არსებობას, ასევე, ტელევიზიას შეიძლება ჰქონდეს სასიკეთო ან არასასიკეთო შედეგები. მას შეუძლია, სწრაფად, შთამბეჭდავად და არნახული ძალით დანერგოს ურთიერთგაგების, ჰუმანურობის, სოლიდარობისა და სულიერების სულისკვეთება, ან კიდევ — თავზარი დასცეს მთელ ხალხებსა და კონტინენტებს. ისევე, როგორც ატომური ენერჯის გამოყენება დამოკიდებულია პასუხისმგებლობის გრძნობაზე, ტელევიზიის ძალაუფლების მართებული გამოყენებაც დამოკიდებულია ჩვენს პასუხისმგებლობის გრძნობაზე (ჰაველი 1995:).

ცხადია, არჩილ ჯორჯაძის, ფილიპე გოგინაიშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი და პიროვნული მაგალითებით, მით უფრო დღევანდელობასთან ანალოგიის გავლებით, ძნელია ვისაუბროთ თანამედროვე, თვისებრივად განსხვავებულ მასმედიაზე და მას საპირწონე იდეალად დავუსახოთ თვალსაჩინო პუბლიცისტთა მემკვიდრეობა. მათ შემოქმედებას ხომ განაპირობებდა ავტორთა განსაკუთრებული, გამორჩეულობა და მკვეთრი ინდივიდუალიზმი, როგორც გარდასული ეპოქის მახასიათებელი. კლასიკური პუბლიცისტიკის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება ერთი ეპოქის ლოკალური დროითი სივრცით, მიუხედავად ამისა, თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის უთუოდ გასაზიარებელია კულტურულ ღირებულებებთან დამოკიდებულება, რომლითაც პუბლიცისტიკის კლასიკოსები გზას უხსნიდნენ ყოველივე იმას, რაც ორგანულად, გაცნობიერებულად, თუმც მძაფრ იდეურ ჭიდილში მკვიდრდებოდა ქართულ ნიადაგზე. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის კულტურული უნივერსალია, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისთვისაც არის რელევანტური და რომლებმაც გაუძლო დროის გამოცდას.

ამგვარად, პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ქართული ჟურნალისტიკისათვის უთუოდ გასათვალისწინებელია ქართული დემოკრატიული პრესის კლასიკური გამოცდილება, რომელიც, არსებითად, ქართულ-ევროპულ კულტურათა სიმბიოზში გამოიხატება. არჩილ ჯორჯაძის, ფილიპე გოგინაიშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკური ნააზრევი ქართულ კულტურულ სივრცეში დასავლური ღირებულებების გააზრებული იმპორტისა და ორგანულად შერწყმის კლასიკური მაგალითია, რაც ასევე არ კარგავს აქტუალობას გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ქართული მედიისათვის.

## დამონებები:

**გოგიჩაიშვილი 1974:** გოგიჩაიშვილი ფ. *რჩეული ნაწერები*. ტ. 1. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1974.

**კოვაჩი ... 2006:** კოვაჩი ბ., როზენსტილი ტ. *ჟურნალისტიკის ელემენტები*. თბ.: „იმპრესი“, 2006.

**კრავჩენკო 2003:** Кравченко А. И. *Культурология*. М.: Академический Проект, Трикста, (серия «Gaudeamus»). 2003, mis.: <http://yanko.lib.ru/books/cultur/platonova-culturology-81.pdf>

**ჯავახიშვილი 2007:** ჯავახიშვილი მ. *ნერილები*. ტ. VI. თბ.: „საქართველოს მაცნე“, 2007.

**ჯორჯაძე 2010:** ჯორჯაძე ა. *წინასიტყვაობა ლ. ლამბაშიძისა*. თბ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

**შაველი 1995:** შაველი ვ. *„ვაცლავ შაველის საჯარო გამოსვლა ჰარვარდის უნივერსიტეტში“*. ცხელი შოკოლადი, №91, 2013 (განთავსებულია 16 ივლისიდან, 2013 წელი) მის.: <http://shokoladi.ge/node/7099>

## DODO TCHUMBURIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

### **Globalization – its National and Cultural Aspects and the Issue of the National Identity in the 20<sup>th</sup> – 21<sup>st</sup> Centuries Georgia**

Globalization aims to create system of values common to all mankind in the middle of which is an individual, person. It can be mentioned that this process is mostly positive process for the development of civilization. But it also is an attempt to establish the unified, entire rules which is ambivalent. The threats the process carries within itself can be neutralized with the help of the wise policy. We can not avoid those best sides of globalization that will able us to internationalize Georgian culture, propagate it and except best spiritual achievements of the world.

**Key words:** *Globalization, identity, tradition, experience, Terrorism*



## დოდო ჭუგუურიძე

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

### გლობალიზაცია, მისი ეროვნულ-კულტურული ასპექტები და ეროვნული იდენტობის საკითხი XX-XXI საუკუნეების საქართველოში

გლობალიზაცია — ესაა პროცესი, რომელიც საზოგადოებრივ და ადამიანურ ურთიერთობათა თითქმის ყველა სფეროში აღწევს და ხშირ შემთხვევებში სრულად მოიცავს სოციალური და პოლიტიკური რეალობის მთელ სპექტრს. ტერმინის შინაარსი ძირითადად მოიცავს კულტურათა ურთიერთზეგავლენას, რომელიც მუდმივად პროგრესირებადი პროცესია. უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ეს პროცესი უფრო გაძლიერდა, ახალი ასპექტები და სიღრმეები შეიძინა და გარკვეული გამონკვევების წინაშეც კი დააყენა კაცობრიობა. ფუნდამენტური ღირებულებებით ორიენტაციით ის არის დასავლური მოვლენა, ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების, ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია. ძირითადი დასავლური ფასეულობების თემა, რასაც XIX საუკუნის ქართველი განმანათლებლები (ილია, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი და სხვ.) საქართველოს ღირსეული მომავლის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდნენ, ახალ ეპოქაშიც აქტუალურად განიხილება. დროთა ცვლას მოაქვს ახალი ფასეულობანი, რისი გაუზიარებლობაც ერს აქვეითებს და მოწინავე ერთა შორის ადგილს ართმევს.

გამორჩეული ნიშან-თვისებები, რაც ცალკეულ ერებს გლობალიზაციის ხანაშიც უნარჩუნებს საკუთარ მეობას, იდენტობის მთავარი გამოხატულებაა. ესაა ის ფასეულობა, რაც მხოლოდ მისთვის არის ნიშანდობლივი (ელიას კანეტი) და ეროვნული განვითარების აუცილებელი პირობა. გლობალიზაცია ერთიანი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემის შექმნას გულისხმობს, რომლის ცენტრში დგას ინდივიდი. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს პროცესი ძირითადად დადებითი მოვლენაა ცივილიზაციის განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ ეს არის უნიფიცირებული, ერთიანი წესების დანერგვის მცდელობაც, რომლის შეფასებაც ამბივალენტურია. საფრთხეები, რაც მასში დევს, გონივრული პოლიტიკით შეიძლება განეიტრალებდეს. არ შეიძლება არ მივიღოთ გლობალიზაციის ის საუკეთესო მხარეები, რაც ხელს უწყობს



ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციას, მის პროპაგანდას და მსოფლიოს საუკეთესო სულიერი მონაპოვრების მიღებას.

უცხოური გამოცდილების საუკეთესო ნაწილის გადმოტანასა და ეროვნული ინტერესების შესაბამისად მათ დანერგვას ქართულ სინამდვილეში ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილი ყოველთვის მიესალმებოდა. ევროპული გამოცდილებისა და საერთო მიღწევებში ქართველების ჩაბმის სურვილით არის გაჟღენთილი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის საუკეთესო ნაწილი. „რომ დავდგეთ ერთად სხვა ერთა შორის“ მანამდეც არ იყო უცხო სურვილი განათლებული ქართველობისათვის, თუმცა მისი ნაწილი იმგვარ განწყობილებასაც არ მალავდა, რომ ჩაბლაუჭებოდა ყველაფერ ტრადიციულს და ქართულისთვის უცხო წეს—ჩვეულებანი, თუნდაც განათლებისა და მეცნიერების მონაპოვარნი, ჩვენს ქვეყანაში არ შემოეშვა. ასეთი ტენდენციის მიუხედავად, ქართული კულტურა მაინც არასდროს ჩაკეტილა თავისთავში. ის, როგორც ზოგადად ყველა კულტურა, მუდმივად იღებდა და გასცემდა და მაინც რჩებოდა ის ეროვნული სული და თავისთავადობა, რაც ამ კულტურაში იყო ჩადებული.

XIX საუკუნეში ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილიც კი გარკვეულ საფრთხეებზე აკეთებდა აქცენტს და ეთნოისტორიული და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს.

ამ თემას ეძღვნება 80-იანი წლების ერთ-ერთი სტატიაც, რომლის ავტორი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ევროპეიზაციის აქტიური მომხრე, ევროპული ენებისა და კულტურის კარგი მცოდნე ივანე მაჩაბელი უნდა იყოს (რადგან სტატია „დროების“ რედაქტორის სვეტშია დაბეჭდილი და ხელმოწერილია, ამ ნომერს კი ივანე მაჩაბელი აწერს ხელს). ავტორი გულისტკივილით წერს ევროპული ტანსაცმლის მიერ ქართული ეროვნული სამოსის, ასევე ქართული ხალხური მუსიკის ევროპულით ჩანაცვლებაზე. ხალხურ მუსიკაში ხშირად (და ამ შემთხვევაშიც) არა ეროვნული ხალხური მუსიკალური ფოლკლორი, არამედ დაფა-ზურნა, ლეკური და დავლური იგულისხმებოდა. თუმცა, წერილში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება შესაძლოა ადექვატური იყოს იმდროინდელი გლობალიზაციის საფრთხისა, ამასთანავე, არ შეიძლება თუნდაც დღეისათვის არ გავიზიაროთ მისი თვალსაზრისი იმაზე, რომ ყველაფერ უცხოურს უნდა კრიტიკულად გადასინჯვა, ეროვნულ მოთხოვნებსა და ტრადიციებთან შეხამება, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მაინც არის მასში რაღაც გადაჭარბებული, რადგან ერთის მიღება მეორის უარყოფას სულაც არ უნდა ნიშნავდეს. მეორეც, ისტორიული განვითარების ეტაპებზე უმეტესად იცვლება ეთნოკულ-

ტურული ტრადიციებიც და ხდება მისი განახლება. მოვუსმინოთ რას წერს ივანე მაჩაბელი: „შემოდგა თუ არა ფეხი ევროპულმა განათლებამ ჩვენში, თითქო დავთვერით, ჩვენშიც ის მოხდა, რაც სხვა ქვეყანაში. ჩვენს ხალხს ეგონა, რომ განათლების ნიშანი ყოველ ძირეულ ჩვეულებათა დავინყება არისო. შემოვსწყერით ჯერ-ჯერობით დედა-ენას, გვეგონა, თუ სხვა ენაზე დავინყეთ ლაპარაკი, ამით დავამტკიცებთ ჩვენს განათლებასო. შემოვსწყერით ჩვენს მშვენიერ ნაციონალურს ტანისამოსს, უფრაკობას უჯიშობის ნიშნად ვხადდით; შემოვსწყერით ჩვენს კეკლუც ლეკურსა და დავლურს და კადრილ-ვალსს შევაჩვიეთ ფეხი; შემოვსწყერით ჩვენს ხალხურ სიმღერებს, — გვეგონა, თუ რომანსების თქმაში მდგომარეობს განათლებასო; რა თქმა უნდა, ამგვარმა მიმართულებამ ხალხი დავგაშორა და არც გაგვაევეროპიულა. დავმახინჯდით. დავმახინჯდით იმიტომ, რომ ახალი ევროპიული განათლება ვერ გავიძვალრბილეთ ჩვენს სხეულში, ვერ შევინათესავეთ იგი ისე, როგორადაც ჩვენი განსაკუთრებული თვისება მოითხოვდა. გვინდოდა, გადმოგვეწერგა ისე, როგორადაც დამზადებულა და გავრცელებულა სხვა ქვეყნებში ჩვენთვის უცხო პირობების ძალით. ჩვენ არ ვცადეთ, რომ ის შეთვისებოდა ჩვენს ჰაერს, ჩვენის ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებს. ერთის სიტყვით, გვინდოდა გადმოგვეწერგა განათლება იმ სახით, რა სახითაც აღმოცენდა იგი სხვა ქვეყნებში, შეიძლება ეს ჩვენი უნებლიე შეცდომა იყოს, მაგრამ რომ ეს შეცდომა არის, ამას ბევრი დავა არ ეჭირვება“... („დროება“, № 25, 1885 წ.).

ევროპეიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს XIX საუკუნის სამოციანელთა თაობის წარმომადგენლებმა და ლიბერალულ-დემოკრატიულმა პრესამ, რომელიც ცარიზმის უმკაცრესი ცენზურის პირობებში მაინც ახერხებდა პროპაგანდა გაენია მოწინავე ევროპული იდეებისათვის და ქართულ საზოგადოებაში გაეცვრცელებინა ის საუკეთესო გამოცდილება, რაც ევროპის დიდი ერებისაგან ჩაგრულ პატარა ერებს ჰქონდათ საკუთარი იდენტობის დასაცავად ბრძოლაში მიღებული.

დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი, მის თანამოაზრეებთან ერთად, წერდა გლობალურ ისტორიულ მოვლენებზე, მაგალითად, ინგლისის საშინაო პოლიტიკაზე, ბრიტანეთის პარლამენტის წინაშე მდგარ ირლანდიის საკითხზე, ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებებზე, იცავდა ზანგების უფლებებს, და ეს ხდებოდა XIX ს-ის 70-80-იან წლებში, როდესაც ამგვარ თემებზე მთელს მსოფლიოში ღიად ძალიან ცოტა თუ საუბრობდა, მათ შორის თავად ინგლისსა და ამერიკაშიც (გოგებაშვილი 1952: 4-72). ასეთ გლობალურ თემებზე წერა ემსახურებოდა არა მარტო ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ლიბერალურ-

დემოკრატიული თვალსაზრისების პროპაგანდას, არამედ ირიბად პასუხობდა იმ პოლიტიკას, რასაც რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ანხორციელებდა ქართველი ხალხის, მისი ნაციონალური კულტურისა და ინტერესების წინააღმდეგ.

უცხო სადამი მიმზადველობისა და ყოველივე უცხოურისადმი ქედის-მოხრის ცუდი თვისების გარდა, რასაც ისევე ჰქონდა ადგილი, როგორც ამის საპირისპირო მოვლენას, ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში, დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და ენის, ამ ძირითადი ეროვნული საიდენტიფიკაციო ნიშნების გარეშე დარჩენილი მონინავე ქართველები მუდმივად ეძებდნენ ერის ამ მდგომარეობიდან გამოყვანის გზებს და ამას ძირითადად ევროპული ფასეულობების ძირითად ფორმებში ხედავდნენ. ეს იყო რაციონალიზმი, პროფესიონალიზმი, რაც დიდი განათლების შედეგად მიიღება და შრომისმოყვარეობა, შრომის კულტურის გამომუშავება იმგვარად, როგორც ეს განვითარებულ ერებსა და ქვეყნებს ახასიათებთ.

გაზეთ „ივერიის“ პუბლიცისტს აურჩევია ეპისტოლური ფორმა. იგი წერს მეგობარს — ექვთიმეს და წერილს ასე აწერს ხელს — შენი ერთგული მამუკა. აქ დასმულია საკითხი — რატომ არიან ქართველი ახალგაზრდები ევროპელებთან შედარებით ჩამორჩენილები, საზოგადო საქმისადმი გულგრილები. ავტორი ცდილობს დასკვნებიც შესთავაზოს მითხველსა თუ წერილის ადრესატს: ამის მიზეზი არის განათლების უფარგისობაში, ტრადიციების ცუდად გაგებაში, აღზრდის დაბალ დონეში, რაც ბადაებს გულგრილობას, აღრმავებს უფიცობას. ამავე გაზეთში (№148) სხვა პუბლიცისტი ფსევდონიმით — ვ. ნ. — მკითხველს სთავაზობს საფრანგეთის მოსამზადებელ კლასებში სწავლების გამოცდილებას და ყველანაირად გამოხატავს სიმპათიას ამ სისტემისადმი: ეს ეხებოდა კლასიკური ენების სწავლებაზე მცირე ასაკში უარის თქმას, მომდევნო ხანაშიც დედა-ენის საშუალებით უცხო ენის სწავლების აუცილებლობას, ბავშვისთვის მეტი თავისუფლების მიცემას და სხვა დეტალებს, რაც უმეტესად თავისუფალ სასწავლო პროცესს, თამაშითა და ეროვნულ-კულტურულ ტრადიციებზე დაკვირვებით ბავშვის გონების გამდიდრებას გულისხმობდა („ივერია“ 1890: №№147-148).

პუბლიცისტი — ორიანი — გაზეთ „ივერიის“ ორ ნომერში იმავე განათლებისა და ეთნოკულტურული ტრადიციების ათვისების პრობლემაზე წერს, და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მკითხველს სთავაზობს ევროპის პატარა ქვეყნის — ჩეხეთის მაგალიტს, სადაც 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა (საქართველოშიც ამ დროს მცხოვრებთა რიცხვი 2 მილიონი იყო). მის ასიმილაცია-დაპყრობას ცდილობდა ავსტრიის სსახელმწიფო, როგორ დაიბრუნეს დაკარ-

გული ეროვნული უფლებები ჩეხებმა, როგორ მოახერხეს მიეღწიათ საკუთარი იდენტობის გამომხატველი ნიშნების აღდგენისათვის — დაწვრილებით გადმოსცემს მკითხველს. როგორ შეიკრიბა 1860 წელს პრაღაში 36-37 ახალგაზრდა მამულიშვილი და როგორ გადაწყვიტეს ხალხური მუსიკისა და გალობის აღდგენა-ჩანერა, შეკრიბეს ხუთ-ხუთი შაური, საფუძველი დაუდეს საქმეს, შეკრიბეს სიმღერები, მოამზადეს ყმანვილები, გამართეს კონცერტი და დღეს ამ ჯგუფში უამრავი ადამიანია და მათ ეროვნული მუზეუმიც გახსნეს და იქ მთელ თავიანთ წარსულ დიდებას მოუყარეს თავიო. ყველა ქალაქსა და მაზრაში გაიხსნა ამგვარი საზოგადოებები, ასევე წერა-კითხვის გამავრცელებელი და სხვა საზოგადო დაწესებულებანი. ჩეხებმა ავსტრიის იმპერატორს მოსთხოვეს ფულზეც დატანილიყო მათი ეროვნული ნიშნები და ჩეხურ ენაზე წარწერაც გაკეთებულიყო. ააგეს თეატრი, 1880 წელს იმპერატორი ფრანც იოსები იძულებული გახდა ჩეხთა სახელმწიფო უფლებები ელიარებინა, პრაღის უნივერსიტეტში სწავლა მანამდე თუ მხოლოდ გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა, ახლა ნახევრად ჩეხური გახდა. მეფესაც ითხოვეს, რასაც ჯერ ვერა, მაგრამ მალე მიაღწევინა ალბათო. „ამით ვსდუმდებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ „რომელსა ასხან ყურნი სმენად, ისმინენ“. ცხადია, რომ მთელი ეს ჩეხიის ამბები ქართველებსთვის იყო ნათქვამი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულის გასაძლიერებლად და მაგალითად დაპყრობილი ხალხის წარმატებული ბრძოლისა („ივერია“ 1890: №№149-150).

უკანასკნელი საუკუნეების მანძილზეეს პროცესი უფრო გაძლიერდა, ახალი ასპექტები და სიღრმეები შეიძინა და გლობალიზაციის ფაქტის წინაშე დააყენა მთელი კაცობრიობა (კალანდია 2006).

გლობალიზაციის პროცესი ინტერნაციონალური ხასიათისაა, თუმცა, საკუთარი ფუნდამენტური ღირებულებებითი ორიენტაციით, ის დასავლური მოვლენაა. ზოგიერთი ავტორები თვლიან, რომ გლობალიზაციის პროცესში ევროპის წვლილი უფრო მოკრძალებულია, ვიდრე ამერიკის. მათი აზრით, დღევანდლამდე, გარკვეულწილად, თვით ევროპა განიცდის ამერიკის გავლენას, ე. წ. ვესტერნიზაციას (Бек:27).

გლობალიზაციას ახლავს როგორც გარკვეული სიკეთე, ასევე მტკივნეული ცვლილებები და პრობლემებიც (ამირგულაშვილი 2013:300-306). საქართველოს მხოლოდ დღეს არა აქვს ამგვარი გამოწვევები. საუკუნეების მანძილზე, — ბერძნული კოლონიზაციისა თუ სპარსულ-არაბული შემოსევებისას, თურქ-სელჯუკების, ოსმალთა იმპერიის ბატონობის, რუსული კოლონიზაციის ხანაში ჩვენს ქვეყანას ბევრჯერ დაემუქრა ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხე, მაგრამ ეს არ მოხდა. ერმა შეინარჩუნა თავისი ეთნიკური სახე, კულტურა და

ეროვნული ტრადიციები. საქართველოსა და ქართველი ხალხის მიზანი XXI საუკუნეშიც არის — მოძებნოს ოპტიმალური ადგილი მსოფლიო სივრცეში, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე შექმნას დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში მრავალმხრივ ურთიერთობათა განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. საქართველომ გააქვთა თავისი მყარი არჩევანი: საგარეოპოლიტიკური კურსი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მიმართა. როდესაც ამ პროცესის მონინაალმდეგენი აზიურ სამყაროზე მიუთითებენ და ევრაზიური სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და საქართველოს იქ განევირინები-საკენ მოუწოდებენ, აკაკი ბაქრაძის სიტყვები გვახსენდება: „ჩვენ უნდა შევეცადოთ ქართული პოლიტიკური აზრის დინება განვიხილოთ ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე. რატომ მაინცდამაინც ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე და არა, ვთქვათ, აზიური პოლიტიკური აზრისა?... ჯერ ერთი: დღეს ყველასათვის უეჭველია და ცხადია, რომ კაცობრიობა პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იურიდიულ-სოციალურად და ყოფის კუთხითაც კი, ვითარდება იმ პრინციპებისა და წესების შესაბამისად, რაც ევროპამ შექმნა და ჩამოაყალიბა... ისეთი დიდი წარსულისა და კულტურის მქონე ხალხებიც კი, როგორებიც არიან ინდოელები, ჩინელები, იაპონელები თავიანთ ცხოვრებას ყველა თვალსაზრისით... აწყობენ ევროპული ცხოვრების წესის შესაბამისად. ამიტომ, ჩვენც ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე უნდა განვჭვრიტოთ ქართული პოლიტიკური აზრის ავ-კარგი“ (ბაქრაძე 2000: 1).

თანამედროვე მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების, ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია. ამასთანავე, დასავლეთის გლობალისტთა მცდელობა, გაავრცელონ თავიანთი ფასეულობანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საყოველთაოდ დაამკვიდრონ აზრი, თითქოსდა დასავლური ცივილიზაცია და კულტურა უნივერსალურია და ყველასათვის მისაღები, შეინარჩუნონ სამხედრო უპირატესობა და დაამკვიდრონ საკუთარი ინტერესები, აწყდება სავსებით სამართლიან წინააღმდეგობებს სხვა ქვეყნებისა და ცივილიზაციების მხრიდან (ბარათაშვილი 2004:103-107). გარდა სოციალურ-ეკონომიკურისა, გლობალიზაციას აქვს ეროვნულ-კულტურული ასპექტებიც, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია, გლობალიზაციის თანმხლებმა უარყოფითმა ტენდენციებმა საფრთხე შეუქმნას ერებისა და მათი კულტურების თვითმყოფადობას, მათ შემდგომ არსებობასა და განვითარებას (ბარათაშვილი 2003: 1-3).

ცხადია, ამ მხრივ, არც საქართველო იქნება გამონაკლისი, ვინაიდან მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანასაც გარდაუვლად შეეხება. საკმარისია ირგვლივ მიმოვიხედოთ, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რამდენად დიდია საქართველოზე გლობალიზაციისა და კულტურული იმპერიალიზმის გავლენა. ჩვენს გარშემო ყველაფერს გლობალიზაციის კვალი ამჩნევია. თუმცა, გამოსავალი, როგორც ყველგან, აქაც არსებობს. ჩვენი ვალია გავხადოთ გლობალიზაცია ჰუმანური — ის არ უნდა იყოს დამანგრეველი ძალა. განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ გახვიდე თანამედროვე განვითარებულ დასავლეთზე. მაგრამ გლობალიზაციის ეს ფორმა ჩვენგან საჭიროებს იდენტურობის მრავალჯერად და ალბათობის მრავალგზისობის დაშვებას. ამიტომ, ვალდებულნი ვართ, ისე წარვმართოთ საქმე, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და, ამასთან ერთად, მაქსიმალურად დავიცვათ თავი მისი უარყოფითი ზემოქმედებისაგან (კაციტაძე 2002: 52).

გლობალური ღირებულებები თავიანთ გზას უფრო ადვილად მაშინ იკვლევენ, როდესაც ტრადიციული კულტურები განიცდიან კრიზისს, ამიტომ, გლობალიზაციაზე საშიში ეროვნულ-ტრადიციული კულტურის კრიზისი და დეგრადაციაა.

გლობალიზაციის პრობლემათა შორის შეიძლება დავასახელოთ ტერორიზმი. თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. გლობალიზაციასთან ერთად, უსაფრთხოება საკმაოდ კომპლექსური გახდა, ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი რაოდენობა. გლობალიზაციამ გამოიწვია ტერორიზმის ზრდა იქიდან გამომდინარე, რომ გლობალიზაციის პირობებში ხდება სხვადასხვა ჯგუფის მარგინალიზება. ასევე გაიზარდა გლობალური სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა ხალხთა შორის.

გლობალიზაციის პირობებში საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის მცირდება განსხვავება, რაც იწვევს საშინაო და საგარეო უსაფრთხოების შემცირებასაც. საშინაო საკითხები გადაიქცევიან საერთაშორისო დონეზე განსახილველ თემებად და პირიქით. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესი დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე: სამოქალაქო და საერთაშორისო კონფლიქტებს შორის განსხვავება შემცირდა, რადგან გლობალიზაციის პირობებში შეუძლებელია შიდა კონფლიქტების იგნორირება. გლობალიზაციის პირობებში მოხდა ტერორიზმის ევოლუცია, განსაკუთრებით საშიში კი მასობრივი განადგურების იარაღის ტერორიზმი გახლავთ, რომელთ-



ანაც გამკლავება ტრადიციული თავდაცვის სტრატეგიით შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია პრევენციული სტრატეგიის დასახვა.

1. რთულია განსაზღვრა იმისა, თუ რა დონეზე ახდენს გლობალიზაცია გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, რადგან სხვადასხვა რეგიონზე განსხვავებულად ზემოქმედებს გლობალიზაციის თანმდევი პროცესები, მაგრამ შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ნათელი და მკაფიოა: 1) გლობალიზაციის შედეგად ერ-სახელმწიფოს აღარ შეუძლია მკაცრად გააკონტროლოს არაფიზიკური უსაფრთხოების ასპექტები, როგორებიცაა ტექნოლოგიისა და ინფორმაციის დაცვა. რაც უფრო მეტად დაცულია ინფორმაცია და ტექნოლოგია, მით უფრო ძლიერია სახელმწიფო. მაგალითად: ძლიერი სამხედროს ყოლა ინფორმაციული და ტექნოლოგიური დაცვის გარეშე უსაფუძვლოა; 2) გლობალიზაციის ეპოქაში გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ლოკალურ ინდუსტრიებთან შედარებით. მულტინაციონალური კორპორაციები ამცირებენ სახელმწიფოს კონტროლს საშინაო ეკონომიკაზე. 3) გაუმჯობესებულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს კატასტროფული შედეგიც კი მოაქვს. მაგალითად, კოსოვოს კონფლიქტის დროს, როდესაც ხდებოდა ტელევიზიებით გადაცემა მასობრივი დეპორტაციებისა და დაშავებულების შესახებ, კონფლიქტის მართვა შეუძლებელი გახდა. 4) მას შემდეგ, რაც ომის ბუნება და სტრატეგია შეიცვალა, რთულია უსაფრთხოების საკითხების განსაზღვრა და საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა. 5) გლობალიზაცია აადვილებს ხელმისაწვდომობას მასობრივ-გამანადგურებელ იარაღზე და ტექნოლოგიაზე, რაც ძალიან სახიფათოა ტერორისტული დაჯგუფებების მომარაგებისათვის. 6) და ბოლოს, გლობალიზაციამ გამოიწვია ტერორიზმის ზრდა. იქედან გამომდინარე, რომ გლობალიზაციის პირობებში ხდება სხვადასხვა ჯგუფის მარგინალიზება. ასევე, გაიზარდა გლობალური სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა ხალხთა შორის. ტერორიზმი კი გარიყულ საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს თავისი ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტები გამოდიან გლობალიზაციის წინააღმდეგ და ანტი-გლობალისტურ იდეებს იზიარებენ, რაც მოიცავს ეროვნულობის დაკარგვას და სხვ. ისინი გლობალიზაციიდან სარგებელსაც ნახულობენ. განვითარებული საკომუნიკაციო და ტექნოლოგიური საშუალებები ხელს უწყობს მათ ერთმანეთთან გამარტივებულ კავშირსა და თანამშრომლობას. სწორედ გლობალიზაციის დამსახურებაა, რომ დღეს ტერორიზმი აღიქმება მთელი მსოფლიოს საფრთხედ (<http://intermedia.ge/tv/GDS/2013-11-27-22-00-10/ref:bgbanner>).

საქართველოს უსაფრთხოების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე გლობალიზაციის, რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებმა (მაისაია 1999, გრიგოლია 2009:249). „ბისეკისა“ და „სუამის“ შექმნამ შავი ზღვის აუზის ქვეყნები პარტნიორები გახადა. თანამშრომლობამ, მრავალი ეკონომიკური პროექტის გარდა, წინ წამოსწია სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა ბალკანეთსა და ავღანეთში, ასევე თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უსაფრთხოების ეკონომიკური ასპექტები, თავდაცვის სისტემის რეფორმირება, გარემოს დაცვა და საინფორმაციო პროგრამებში მონაწილეობა (შენგელია 1999:14).

ცალკე დგას საკითხი რელიგიების როლზე თანამედროვე გლობალიზებულ პოლიტიკურ სივრცეში. ბევრი რელიგია, მაგალითად ისლამი, გლობალიზაციის პროცესისადმი სრულ პროტესტს მიმართავს, ზოგიერთი რელიგია მასთან ადაპტაციას ცდილობს, ზოგი კი საკუთარ ალტერნატივას გვთავაზობს. გლობალიზაცია ერთიანი, ზოგადსაკაცობრიო ღურებულებათა სისტემის შექმნას გულისხმობს, რომლის ცენტრში დგას ინდივიდი, რაც თავისთავად არ ემთხვევა ცალკე აღებული რელიგიების განწყობილებას, რომელთათვის მორწმუნეთა ინტერესებია პრიორიტეტული. რელიგიის როლი გლობალიზაციაში დაყვანილია ისეთი საკითხების დარეგულირებაზე, როგორცაა ოჯახის, მორალის, სამყაროს თეოსოფიური ხედვის საკითხები. მიუხედავად ყველაფრისა, ყველა რელიგია ხედავს გლობალიზაციაში საფრთხეს, მათ შორის მართლმადიდებლობაც. ჩვენ სმირად გვესმის, თითქოსდა ევროპა-ამერიკის მხრიდან მართლმადიდებლობისათვის ზიანის მოტანის საფრთხე არსებობდეს, გვესმის, რომ ამ მხრივ მხოლოდ რუსეთია სანდო ერთმორწმუნეობის გამო. ასეთი მსჯელობა პოლიტიკურ ხასიათსაც იძენს და მთლიანად ასხმს წყალს რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებზე — გაბატონდეს პოსტსაბჭოთა სივრცეში, რისთვისაც გამოიყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, ამჯერად კი, ჩვენთან მიმართებაში ეს იქნება რელიგია. საქართველოს ეკლესიის მიდგომა ამ საკითხისადმი გამოხატულია კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ერთ-ერთ სააღდგომო ეპისტოლეში, სადაც ის გვთავაზობს გლობალიზაციის პროცესის მიღებას და გააზრებას ისე, რომ ხელი შეუწყოს კულტურული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნებას (სააღდგომო ეპისტოლე 2006). გლობალიზაცია ფაქტია, მაგრამ საბოლოო ჯამში ის საფრთხეს არ უქმნის მსოფლიო რელიგიებს.

დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ გლობალიზაციის პროცესი ძირითადად შეიძლება დახასიათდეს, როგორც დადებითი მოვლენა ცივილიზაციის განვითარების თვალსზრისით. მაგრამ ეს არის



უნიფიცირებული, ერთიანი წესების დანერგვის მცდელობაც, რომლის შეფასებაც არაერთგვაროვანია. საფრთხეები, რაც მასში დევს, გონივრული პოლიტიკით შეიძლება განეიტრალდეს. არ შეიძლება არ მივიღოთ გლობალიზაციის ის საუკეთესო მხარეები, როგორცაა: ხელსაყრელი პირობების შექმნა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების შესაძლებლობა, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის პოლიტიკის სიკეთე. ჩვენი დიდი წინაპრები ნაზიარები იყვნენ მოწინავე ქვეყნების მეცნიერებასა და კულტურას. მათ კარგად იცოდნენ, რომ უცხოურიდან მხოლოდ საუკეთესო და ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო ცოდნა-გამოცდილება უნდა გადმოეღოთ. და ბოლოს, რუსთაველის სამშობლოში, გლობალიზაცია არც გაუგებარი მოვლენაა და არც საშიში. მრავალეთნიკური, მრავალკონფესიური და ტოლერანტული საქართველოსთვის ის სტიმული უნდა გახდეს ახალი კავშირებისა და წარმატებებისათვის.

## **დამონეშპანი:**

**ამირგულაშვილი 2013:** ამირგულაშვილი მ. *გლობალიზაცია და საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივები*. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. № 1(12), თბ.: 2013.

**ბაქრაძე 2000:** ბაქრაძე ა. *საუბრები ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის შესახებ*. ომეგა, № 1, 2000.

**ბარათაშვილი 2004:** ბარათაშვილი ნ. *გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი*. თბ.: 2004.

**ბარათაშვილი 2003:** ბარათაშვილი ნ. *მსოფლიო გლობალიზაცია და საქართველო*. თბ.: 2003.

**ბეკი 2001:** Бек У. *Что такое глобализация?* М.: 2001.

**გოგებაშვილი 1952:** გოგებაშვილი ი. *თხზულებანი*. ტ. I. 1952.

**გრიგოლია... 2009:** გრიგოლია თ., ამირგულაშვილი მ. *საქართველოს ინტეგრაციის მიმზიდველი და რისკ-ფაქტორები ბისეკისა და სუამის ფარგლებში*. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1 (5), თბ.: 2009.

**„დროება“ № 25:1 885** — გაზეთი „დროება“, № 25, 1885.

**„ივერია“ 1890:** გაზეთი „ივერია“, № 147-148, 1890.

**„ივერია“ 1890:** გაზეთი „ივერია“, № 149-150, 1890.

**კალანდია 2006** კალანდია ი. *გლობალიზაცია და ცივილიზაციათა ურთიერთობის პრობლემა*. // *ფილოსოფიური ძიებანი*. ტ. X, თბ.: 2006.

**კანეტი 2006:** კანეტი ე. *ეროვნული სიმბოლოები* // *„საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“*. თბ.: 2006.

**კაციტაძე 2002:** კაციტაძე კ. *საქართველო გეოპოლიტიკურ კონტექსტში*. თბილისი, 2002; <http://intermedia.ge/tv/GDS/2013-11-27-22-00-10/ref: bgbanner>;

**მაისაია 1999:** მაისაია ვ. შავი ზღვის აუზის რეგიონის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. თბ.: 1999.

**შენგელია 1999:** შენგელია ლ. დასავლეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ პოსტკომუნისტურ ხანაში. თბ.: 1999.

**სააღდგომო ეპისტოლე 2006:** სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II—ის სააღდგომო ეპისტოლე. თბ.: 2006.

**MAIA JALIASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Intertextuality of Georgian Symbolism in the Context of Cultural Globalization**

Georgian symbolist poetry is characterized by intertextuality, which can be viewed in the context of cultural globalization. In the first half of the twentieth century carried out important experiments in the Georgian literature modernist tendencies in favor. The artistic thinking system of Georgian symbolists was based on modern or classical poetry experience, which transformed in their creation in the form of quotations, allusion and reminiscences. This was a cultural dialogue with the Western world. The key trends in “The Blue Horn’s” creations were through intertextuality, which represents the look of European literature.

*Key words: Georgian Symbolism; Intertextuality, Cultural globalization*

**მაია ჯალიაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **ქართველ სიმბოლისტთა ინტერტექსტუალობა კულტურული გლობალიზაციის კონტექსტში**

ქართული კულტურის ევროპის „რადიუსზე დაბრუნება“ ქართველ სიმბოლისტთა უპირველესი ამოცანა იყო და ამას წარმატებით ახორციელებდნენ თავიანთი შემოქმედებითა და თარგმანებით. მათი პოეზიისთვის დამახასიათებელია ინტერტექსტუალობა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ კულტურული გლობალიზაციის კონტექსტში. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ლიტერატურაში განხორციელებუ-

ლი მნიშვნელოვანი ექსპერიმენტები მოდერნისტული ტენდენციების დანერგვას უწყობდა ხელს. ქართველი სიმბოლისტების მხატვრული აზროვნების სისტემა ემყარებოდა უახლესი თუ კლასიკური პოეზიის გამოცდილებას. რომელიც მათს შემოქმედებაში წარმოჩნდებოდა ციტატების, ალუზიების, რემინისცენციების სახით. ამგვარად ხორციელდებოდა კულტურული დიალოგი დასავლურ თუ, ზოგადად, მთელ სამყაროსთან. ცისფერყანწელების შემოქმედებაში სწორედ ინტერტექსტუალობის საშუალებით ვლინდებოდა ის მნიშვნელოვანი ტენდენციები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ევროპული ლიტერატურის სახეს. ამ შემთხვევაში, თანადროული ფრანგული და რუსული პოეზია იყო ის გამოკვეთილი წყაროები, რომლებსაც ცისფერყანწელები გატაცებით ენაფებოდნენ.

ჟერარ ჟენეტი თავის ნიგნში „ფიგურები“ მსჯელობს ინტერტექსტუალურ ტრანსცენდენტულობაზე, რაც გულისხმობს მხატვრული ტექსტის ცხად თუ დაფარულ, საიდუმლო კავშირებს სხვა ტექსტებთან (ჟენეტი 1998: 339). ქართულ სიმბოლიზმში უპირატესად ზედაპირზეა გადაძახილები თანადროულ მსოფლიო პოეზიასთან, მაგრამ, იმავდროულად, არის ხშირად დაფარული კავშირები უძველესი ქართული და მსოფლიო კულტურის ღრმა შრეებთან.

„იულიაკრისტევას თეორიის მიხედვით (კრისტევა 1972), ტექსტი წარმოადგენს ციტატების მოზაიკას, თითოეული ტექსტი სხვა ტექსტების შთანთქმისა და ტრანსფორმაციის საფუძველზე იქმნება“. ჰ. ბლუმის შეხედულებით, არ არსებობს ტექსტები, არსებობს მხოლოდ ტექსტებს შორის მიმართება. ცალკეული ტექსტი კი სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი ბრძოლის ველი, რომელზეც ავტორი ოიდიპოსის მსგავსად ებრძვის წინარეტექსტებსა და „მამების“ გავლენას (ცაგარელი 2008: 261).

ამ შეხედულების ყველაზე თვალსაჩინო დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ კლასიკური მოდერნისტული ტექსტები, ელიოტის „ბერნი მინა“ და ჯეიმს ჯოისის „ულისე“, რომელთა გაგება შეუძლებელია სხვა ტექსტებთან მიმართების გარეშე. მითის, როგორც მხატვრული ტექსტის სააზროვნო სივრცის, განმაპირობებელი საყრდენის შემოტანით, მოდერნისტებმა, უპირველესად, რობაქიძემ, ინტერტექსტუალობის სრულიად ახალი პერსპექტივები შექმნეს. მათს შემოქმედებაში წარმოჩნდება გადაძახილი არა მხოლოდ ბიბლიასთან, არამედ ანტიკურ მითებთან, გილგამეშიანთან, ეგვიპტურ მისტერიებთან, შუასაუკუნეების ხელოვნებასთან. ამგვარმა ცხადმა თუ ფარულმა კავშირებმა ქართველ სიმბოლისტებს შესაძლებლობა მისცა შეექმნათ მრავალშრიანი და რთულსტრუქტურული პოეტური ნიმუშები, რომლებიც გასააზრე-

ბლად მკითხველისგან მაღალ ინტელექტსა და გემოვნებას მოითხოვდა. ამიტომაც წერდა ტიცთან ტაბიძე მკითხველთა ნაწილის მიერ მათ წინააღმდეგ განხორციელებულ „ინკვიზიციაზე“, ფიჩხზე, რომელსაც გულრილი ვნებით აგროვებდნენ მათი პოეზიის დასაწვავად, (ტაბიძე 2002: 86), მაგრამ მათ უკან არ დაუხევიათ და მისდევდნენ მაგალითს „მოდერნიზმის სახარების მქადაგებელ“ რობაქიძისას, რომელსაც ერთი სიტყვაც არ მიუტანია მსხვერპლად, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო (ტაბიძე 2002: 89).

გრიგოლ რობაქიძის წერილებში მომზადდა ნიადაგი ინტერტექსტუალობისთვის, რადგან იგი ქართულ კულტურას გაიაზრებდა მსოფლიო კულტურის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, ფორმულასავით წარმოჩნდება მისი ნათქვამი: „ვისაც სიმბოლო და მითი არ ესმის, ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებსო“ (რობაქიძე 1996: 81). მითი და სიმბოლო კი ის ფენომენებია, რომელთა ცოდნა გულისხმობს მსოფლიო კულტურის გლობალური კონტექსტის ცოდნას. „ცისფერყანწილებმა მთელი რვა წლით გამოაცხადეს ფანტასმაგორიისა და მითის კულტი. ეს აუცილებლად საჭირო იყო, რომ პოეზიას გადაელახა სინამდვილის და ეთნოგრაფიის ვიწრო ნაპირები“ (გაფრინდაშვილი 1990: 547). უპირველესად, გრიგოლ რობაქიძემ შეუწყო ხელი თამამ პარალელებს ქართულსა და მსოფლიო კულტურას შორის. მისი აზრით, „ქართლის ცხოვრება“, როგორც ეპოსი, არაფრით ჩამოუვარდება ჰომეროსის „ილიადას“. დავით აღმაშენებელი და მარკუს ავრელიუსი ერთნაირად ფილოსოფიურად იაზრებენ ომს, ცოტნე დადიანი კალეს მოქალაქეების დარი რაინდია, ბიბლიის ქართველმა მთარგმნელებმა ისევე ჩამოაყალიბეს ქართული ენა, როგორც მარტინ ლუთერმა — გერმანული. ქართული მითოლოგიის გმირი მინდია და დიდი წმინდანი ფრანჩესკო ასიზელი მონათესავე სულები არიან და სხვ. მისი აზრით, მაგალითად, „ოსკარ უაილდი „დორიან გრეიში“ არ მიმართავს შედარებას. იგი პირდაპირ იტყვის; „მის თვალთა ამეთვისტო მიბნელდა“. რუსთაველის ქმნილებაში ეს ხერხი ხშირად გვხვდება. მან იცოდა ისიც, რომ ყოველ ხმას თავისი ფერი აქვს. უაილდის მიერ შეყვარება ძვირფას ქვათა პირდაპირ ნასესხები მგონია რუსთაველის ქმნილებიდან, რომლის სამშობლოს ინგლისელი ხელოვანი მხოლოდ ნაქარგი ქსოვილებით იცნობდა“ (რობაქიძე 1994: 279).

ინტერტექსტუალობა ვალერიან გაფრინდაშვილის ესეების მთავარი საყრდენია. ეს ესეები კი თეორიულად წარმოაჩენდა ქართული სიმბოლიზმს არსს, მიზნებსა და ამოცანებს. მისი აზრით, „სიმბოლისტებმა შექმნეს პოეზიაში პერსპექტივა, პერსპექტივა მარადისობისა“, რომ „ჭეშმარიტ სიმბოლისტს სწამს მომენტები დროთა და სივრცეთა გად-

ადგმისა“ (გაფრინდაშვილი 1990: 478). „ჩვენ ქართველები, ელინების, რომაელების და ფრანგების მემკვიდრეები ვართ ფორმის სიყვარულში“ (გაფრინდაშვილი 1990: 483).

ციცფერყანნელებმა და გალაკტიონმა პირველად დაუკავშირეს ერთმანეთს დრო-სივრცულად ისეთი დაშორებული სახელები, როგორებიცაა: რუსთაველი და მალარმე, რუსთაველი და ბოდლერი, ბესიკი და ბოდლერი, ტიცციან ტაბიძე და ჟიულ ლაფორგი და ლოტრეამონი, ხოლო ვალერიან გაფრინდაშვილმა სრულიად „დაარღვია“ ყოველგვარი „ჩარჩოები“, როდესაც ილია ჭავჭავაძეს უწოდა ქართული ლექსის როდენი, ბარათაშვილს ქართული პოეზიის ჰამლეტი, გურამიშვილს — ქართული პოეზიის ვერლენი, მისი „დავითიანი“ კი დაუკავშირა ალფრედ მიუსეს, ფრანსუა ვიიონს, ვერლენს, არტურ რემბოს და სხვ. (მომავალი დაინახა წარსულში. როგორც პოსტმოდერნის ტეზმა განაცხადეს შემდგომ: „ვიკითხოთ“ სერვანტესი ფრანც კაფკას შუქზე). „გურამიშვილი ენათესავება თავისი შემოქმედებით ფრანგ დეკადენტებს და მეოცე საუკუნის ქართველ პოეტებს“ (გაფრინდაშვილი 1990: 495). „გურამიშვილის სიკვდილი ჰგავს ბოდლერის „სიკვდილს“, რომელიც ფრანგმა პოეტმა მოიყვანა მასკარადში, როგორც მშვენიერი კვალერი („სიკვდილის ცეკვა“). გურამიშვილმა ბოდლერზე უფრო ადრე შექმნა სიკვდილის ესთეტიკა. ედგარ პოზე უფრო ადრე შექმნა გურამიშვილმა საშინელების პოეზია — ის ადიდებს სიკვდილს, როგორც პუშკინის ვალსინგამი ადიდებს ჟამს, როგორც დე-კვინსი „ღვთაებრივ ოპიუმს“. მისი ირონია სიკვდილისადმი იშვიათი მოვლენაა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. მისი პოეზია შუაზე იყოფა — ის ბოდლერია თავისი კეთროვანი სახეებით („საუბარი სიკვდილთან“), უფრო ხშირად კი ვერლენი თავისი აქვითინებული და უიმედო ჩივილებით („სულის ამბავი“, „ანდერძი დავით გურამიშვილისა“) (გაფრინდაშვილი 1990: 496). მათ შეაჩვიეს ქართველი მკითხველის ყური სხვანაირ მუსიკას, მოახერხეს განსხვავებული პოეტური გემოვნების ჩამოყალიბება, სიმახინჯის ესთეტიზება და სხვ. ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“ აღნიშნავდა: „რუსთველს იმდენი გამართლება აქვს პოეზიაში, როგორც ბოდლერს. პირველი დეკადენტი სიტყვის ფორმის უქველად იყო რუსთველი. არც ერთი თანამედროვე ქართველი პოეტი ისეთი გაბედული ბარბაროსობით არ ეპყრობა სიტყვას, როგორც რუსთაველი. ტიცციან ტაბიძემ პირველად დააყენა ანალოგია რუსთაველისა და მალარმესი“; „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას“ (გალაკტიონი „ჭიანურები“). სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ ბოდლერსა თუ ვერლენს მთელი ინტელექტუალური სამყარო იცნობდა, რუსთაველს — თითქმის არავინ: „ღვთაებრივი

რუსთაველი არ არის გაღმერთებული ევროპაში და თითქმის არც ცნობილი. გენიოსად ყოფნა ცოტა ყოფილა დიდებისათვის, კიდევ საჭიროა თურმე ბედნიერება, ისევე, როგორც არ არის საკმაო კეთილშობილ ნაცაად ყოფნა, რომ ღირსეულად იყო მიღებული სხვა ქვეყანათა ერებში“ (ტიციან ტაბიძე).

თუმცა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებშიც კი საქართველოს კვლავ უჭირს მსოფლიო ორბიტაზე გასვლა, ამას მოწმობს 2010 წელს გამოქვეყნებული უმბერო ეკოს წერილი, რომელშიც ის მსოფლიო საგანძურზე საუბრობს და დანანებით ამბობს: განათლებულ ევროპელთა 99 პროცენტმა არ იცის, რომ ქართველებისათვის ყველაზე დიდი ლიტერატურული ძეგლი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“ და ევროპელები ასევე ვერ შევთანხმებულვართ (შეამონმეთ ინტერნეტში) ამ ჩვენთვის უცნობ ანბანზე დაწერილ ნაწარმოებში მთავარ პერსონაჟს პანტერის ტყავი მოსავს, ვეფხვისა თუ ლეოპარდის? და კვლავაც ვაგრძელებთ საკუთარი თავისთვის შეკითხვის დასმას: „ეს რუსთაველი ვილა იყო?!“ (ეკო 2010: 1).

მსოფლიო კულტურასთან კავშირი ქართულ სიმბოლიზმში ხორციელდებოდა მხატვრულ სახეებში დაშიფრული და კოდირებული სახელებით, რომელთა დეკოდირების გარეშე სრულყოფილად არ აღიქმება ეს მრავალფეროვანი მხატვრული სამყარო. ტიციან ტაბიძე წერილში „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“ გრიგოლ რობაქიძის შესახებ წერდა: „ამ ღამეს პოეტმა გახსნა თავისი მასკა. ამ ღამეს ის არ იყო მთაწმინდელი... ეს იყო წმინდა ანტონის ცდუნება. ეს ღამე მართლა იყო იერონიმუს ბოსხის ფანტასტიკიდან და ჩაბნელებული ესკურიალიზით“ (ტაბიძე 1986: 198). ამ შეფასებაში თითქმის ყველა სიტყვა კოდია — მთაწმინდელი, წმინდა ანტონი, ბოსხი, ესკურიალი — რომელთა ამოცნობის გარეშე გაუაზრებელი დარჩება, გაშიფრის შემთხვევაში კი წარმოჩნდება ის ინტერტექსტუალური სივრცე, რომელიც რობაქიძის შემოქმედებას ასაზრდოებდა. ამ განზომილებაში ერთ სისტემაშია მოქცეული ერთმანეთთან დაშორებული დროსივრცეები და განსხვავებული ესთეტიკური იდეალები.

ქართველი სიმბოლისტები აქტიურად იყენებდნენ ფრანგული სიმბოლისტური პოეზიისთვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეებს, რათა გამოეხატათ ირეალური, იდუმალი, მიღმა სამყაროს რაობა. შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ ესთეტიკის პრინციპები ირეკლება ქართველ სიმბოლიტთა პოეზიაში. მათთვისაც მნიშვნელოვანი გახდა ფერს, მუსიკის, სურნელის ერთიანობაში წარმოჩენა. ფრანგულსა და ქართულ პოეზიას შორის ერთი საერთო ასპექტი იყო დენდიზმი, ერთგვარი ინტელექტუალური სტილი, რომელიც გულისხ-

მოხდა ტრადიციული ლიტერატურისაგან განსხვავებულ მხატვრულ აზროვნებას. ვალერიან გაფრინდაშვილის აზრით, მაღარმეს დენდობა აისახებოდა მისი პოეზიის თეთრ ფერში, რაშიც იკვეთებოდა მისი ამპარტავანი სევედა. მათს პოეზიაში არის როგორც პირდაპირი მინიშნებები, როდესაც ასახელებენ ფრანგ პოეტებს, ასევე შენიღბული ასოციაციური ნაკადები, რომელთა შესამეცნებლად საჭიროა პირველწყაროების ცოდნა. ფრანგ პოეტთა აზრები, შეხედულებები მათთვის იყო ერთგვარი პოეტური ორიენტირები. ვალერიან გაფრინდაშვილი: „ჩემ წინ ბოდლერი გადაშლილი, ვით სახარება“, ტიცთან ტაბიძე: „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“. ტიცთან ტაბიძის აზრით, მომავალ დიდ ქართველ შემოქმედში უნდა „შეერთებულიყო“ რუსთაველი და მაღარმე. რუსთაველს იგი იაზრებდა, როგორც ქართული კულტურის ტრადიციას, მაღარმეს კი – ევროპისას. ამგვარად, უნდა განხორციელებულიყო დიდი კულტურული დიალოგი საქართველოსა და ევროპას შორის.

ინტერტექსტუალობა მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება სხვადასხვანაირად წარმოჩნდეს: ციტატებით, სხვა ნაწარმოებთა პერსონაჟების შემოყვანით, მხატვრულ სახეთა „სესხებით“, ანალოგიით, ალუზიებით, რემინისცენციებით და სხვა ტიპის მინიშნებით (პირდაპირ თუ შეფარულად). მაგალითად, ტიცთან ტაბიძის „ბირგამიის ტყე“ გამოირჩევა მინიშნებებით, რომელთაც მკითხველი სხვადასხვა დროსივრცეში გაჰყავთ. აქ შემოიჭრება სხვა ტექსტები, მოტივები, სახელები: შექსპირის „მაკბეტი“ და „ჰამლეტი“, პიერო და კოლომბინა, არტურ რემბო, დე-კვიზი (ყვითელი მალაელის სახე), ქალდეა, მერი და სხვ. აქ, სახელების ფეიერვერკში, გამოიკვეთება ქართველ პოეტთა, პაოლო იაშვილისა და ვალერიან გაფრინდაშვილის სახელებიც. ისინი პოეტს თამამად შეჰყავს ამ გლობალურ მასკარადში, რომელიც თანამედროვე ადამიანის ცნობიერების გადატვირთულობას და, შესაბამისად, გამონვეულ ამაოების განცდას წარმოაჩენს.

მხატვრული ლიტერატურა არის ერთგვარი ჯადოსნური სარკე, რომელშიც ადამიანის ყოველგვარი შესაძლებლობა, ოცნება, წარმოსახვა, რეალობის ათასგვარი მეტამორფოზა (რეალობის პოლიტიკურ, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული კონტექსტი) ირეკლება.

სარკის მეტაფორა მრავალმნიშვნელოვანია.

1. რეალისტური, როდესაც არეკვლა პირდაპირ ხდება (ილია ჭავჭავაძე: „ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე“ („კაცია-ადამიანი?!“), ან აკაკი წერეთელი: „ეს გული სარკედ ქცეული/ბუნების ნათავხედია,/ მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,/ რასაც შიგ ჩაუხედია“ („პოეტი“, „მე-



სარკე“) და სხვ. ამ შემთხვევაში, ლიტერატურასა და მკითხველს შორის უშუალო კონტაქტია. მწერლები ცდილობენ მკითხველისთვის გასაგებად წერონ, სწორედ ამ კონტექსტში დაუნუნა აკაკიმ ენა „მარგალიტების მთესველ“ ვაჟას (აკაკისვე შეფასებით).

2. მოდერნისტული, როდესაც რეალობა სარკეში „გამრუდებულად“ აისახება — საგნები და მოვლენები პირდაპირ აღარ იცნობა, მკითხველის სიძულვილი თანამედროვე ხელოვნებისა, ოსკარ უაილდის აზრით, იმით აიხსნება, რომ ის ლიტერატურის სარკეში თავის თავს ვეღარ ხედავს. ამ შემთხვევაში, ხდება მკითხველის ლიტერატურასთან გაუცხოება. აქ შემოდის ელიტარული მკითხველის ცნება. როგორც ცისფერყანწელი სანდრო ცირეკიძე მიიჩნევდა, კარგ პოეტს შეიძლება მხოლოდ ერთი მკითხველი აღმოჩენოდა და რომ პოეზია იყო კონუსი, რომლის მწვერვალზე მხოლოდ ერთეულები ადიოდნენ. ვალერიან გაფრინდაშვილი აცხადებდა: „ლირიკა არავისთვის სავალდებულო არ არის, ის არისტოკრატიულია ზედმინვენით“. მათი მრავალი პოეტური სახე მოითხოვს ინტელექტს, დანმენდილ, შეუცდომელ პოეტურ გემოვნებას.

3. პოსტმოდერნისტული — რეალობის „ამსახველი“ სარკე დამსხვრეულია და მის ნატეხებში ნაცნობი თუ უცნობი სახეები ფრაგმენტულად ირეკლება. აქ არის მცდელობა მკითხველთან თამაშის გზით დაახლოებისა, რომ მან ამ ნატეხებიდან ახალი მოზაიკური ნახატი შექმნას (მაგალითად, ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამათამაშებელი“).

ხელოვნების სარკეში ნებისმიერი ვარიაციით არეკვლას კი, უპირველესად, ხელს უწყობს და ამრავალფეროვნებს ინტერტექსტუალობა, რომელიც ხან ხილულია (იოლად შესამჩნევ-აღსაქმელ-გასააზრებელი), ხან კი ფარული და, შესაბამისად, ძნელად გამოსაცნობი.

სხვა ტექსტის საკუთარ პოეტურ სივრცეში არეკვლის ძიების სულითაა გაჟღენთილი მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ხელოვნება (ამ შემთხვევაში, ტექსტში არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა, არამედ ნებისმიერი ჟანრის ნაწერი და ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებიც იგულისხმება: ფერწერა, მუსიკა, არქიტექტურა....

ქართული ლიტერატურა, როგორც მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი, ყოველთვის გამსჭვალული იყო ინტერტექსტებით ჰაგიოგრაფიისთვის ამგვარი ინტერტექსტები იყო, უპირველესად, ბიბლია, წმინდა მამათა გადმოცემები, წმინდანთა ცხოვრებანი, აპოკრიფები და სხვ. ამ ტიპის ნააზრევი.

„ვეფხისტყაოსნის“ ინტერტექტუალურ ჭრილში განხილვა ადასტურებს იმას, თუ როგორ შეიძლება მხატვრულმა ტექსტმა კაცობრიობის ინტელექტუალური გამოცდილება დაიტოს, აღმოსავლურ-დასავ-



ლური სააზროვნო სივრცეები თანაბრად მოიცვას და არ გაუცხოვდეს მკითხველისგან (ეს რა თქმა უნდა, გულისხმობს სხვადასხვა დონის მკითხველს). ამას მოწმობს ვიქტორ ნოზაძის, რევაზ სირაძის, შალვა ნუცუბიძის, ზვიად გამსახურდიას და სხვა მეცნიერთა ნაშრომები. „სიბრძნე სიცრუისა“ და „დავითიანი“ ე. წ. ალორძინების ხანის ლიტერატურულ ტენდენციებს სრულად ირეკლავენ.

XIX საუკუნეში ქართულმა რომანტიზმმა (უპირველესად, ბართაშვილის შემოქმედებამ) წარმოაჩინა, როგორ გააგრძელა ქართულმა ლიტერატურამ სწორედაც ინტერტექსტიულობის გზით, პოეტურ სიტყვაში, ერთი მხრივ, ევროპულსა და ამერიკულ ლიტერატურაში გაჩენილი ახალი ტენდენციების, მეორე მხრივ, საღვთისმეტყველო სიმბოლიკის ტრადიციული სახეების გამოსახვა.

XX საუკუნე ქართული ლიტერატურაში რამდენიმე „ნაწილად გადატყდა“ და, შესაბამისად, სხვადასხვანაირად წარმოჩნდა ინტერტექსტულობა:

1) XX ს-ის დასაწყისიდან 20-იანი წლების ჩათვლით (მოდერნისტული ტენდენციები — შესაბამისი მოდერნისტული ესთეტიკური გამოცდილების ინტერტექსტების სიუხვით).

2) 30-იანი წლებიდან სოცრეალიზმის ხანა (იხ. აკაკი ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერება- ინტერტექსტების სიმწირით გამოირჩევა).

3) 70-იანი წლებიდან დღემდე — სხვადასხვა ტიპის რეალიზმის ვარიაციები, მაგიური, მეტაფორული, შეუფარავი და სხვ (ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჩხეიძე, ჯემალ ქარჩხაძე და სხვ). ამ დროს იმატა სხვადასხვა ინტერტექსტმა (მითოლოგია, მსოფლიო ლიტერატურა და ხელოვნება).

4) XX ს-ის ბოლო და XXI საუკუნის პირველი ათწლეული — პოსტ-მოდერნისტული ნაირსახეობანი და სხვ. — ყველაზე გამორჩეული ინტერტექსტულობის თვალსაზრისით.

შარლ ბოდლერის ესთეტიკური შეხედულებები, გამჟღავნებული ესეებსა და მხატვრულ ტექსტებში („ბოროტების ყვავილები“, „ლექსები პროზად“) იქცა მძლავრ ინტერტექსტად, რომელიც როგორც ქართველ მოდერნისტთა, უპირველესად, სიმბოლისტ ცისფერყანწელთა ინსპირაციის წყარო გახდა. სამწუხარო იყო, რომ, როგორც ტიცციან ტაბიძე წერდა გულისტკივილით, როცა შარლ ბოდლერი 1848 წლის რევოლუციისას ბარეკადებზე იბრძოდა და გაზ. „ბარეკადსაც“ სცემდა, მაშინ „არც იყო დაწყებული დავა ილია ჭავჭავაძესა და კნ. ბარბარე ჯორჯაძის შორის. მაშინ შინ გაზრდილი კნეინა სრული დაუეჭველობით სწავლობდა ანბან თეორეტიკას და ან ვის გაახსენდებოდა ის ამბავი, რომ პოეზიის ხერხემალი სწორედ მაშინ ტყდებოდა“ (ტაბიძე 2002: 98).

მხოლოდ ანტირეალისტური კონცეფციის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ კონტექსტში შეიძლება სწორად გავიგოთ ცისფერყანწელების მიერ ილიასა და აკაკის შემოქმედების კრიტიკა. ერთი მხრივ, ჩანს ალტაცება და თავყვანისცემა მათ მიმართ, მეორე მხრივ: „მიუხედავად ილიას დიდი ქართული სახელისა, თანამედროვე პოეზია ვერ მიიღებს ილიას ლექსებს, სადაც პოეტი ყოველ ნუთას უხერხულია, ყოველ სტრიქონში წამოიჩოქებს და მღლის მისი მომაბეზრებელი ნაჯახი, რომელიც ტლანქად ჩორკნის მძიმე ლექსებს, მაგრამ ილიას პოეზიას მაინც აქვს კულტურა ბაირონის, გიოტეს, პუშკინის, როცა აკაკი წერეთელი მოკლებულია ლიტერატურასაც კი, თითქოს ის ყოფილიყოს თანამედროვე ბარდი ან „გოგია მეჩონგურე“ (ლეონიძე 1922: 3).

ცისფერყანწელები ბოდლერს პირდაპირ ასახელებდნენ, როგორც მთავარ ორიენტირს: „ჩემ წინ ბოდლერი გადაშლილი, ვით სახარება“ (ვალერიან გაფრინდაშვილი), „ბესიკის ბაღში ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“ (ტიციან ტაბიძე).

შარლ ბოდლერის კონცეფცია ხელოვნების ცხოვრებაზე უპირატესობის შესახებ კარგად ირეკლება „უცხოში“. აქ შემოქმედი, პოეტი არის უცხო, რომელსაც უყვარს ცა, ღრუბლები და არა ადამიანები და ადამიანური ღირებულებები.

ცა, ღრუბლები, რა თქმა უნდა, ღვთის საუფლოა და ამიტომაც მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს განცდა, რომ ეს უცხო არა პოეტი, არამედ ღვთისთვის განდგომილია. ბუნებრივია ამგვარი გააზრებაც, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რელიგიაც და პოეზიაც, ორივე მიღმურის, ამქვეყნიურის საზღვრებს არღვევს. ამ თემაზე შესანიშნავი წერილი აქვს ცისფერყანწელ სანდრო ცირეკიძეს, რომელიც წერს, რომ ორივე გაურბის ნოუმენებს და ეძებს ფენომენებს (კანტისეული ცნებებია: ფენომენი — რეალურ, ხილვად სამყაროს აღნიშნავს, ნოუმენი — დაფარულს). ოღონდ რელიგია ეძებს და აღმოაჩენს ერთ ჭეშმარიტებას, პოეზია კი ეძებს და აღმოაჩენს ჭეშმარიტების სხვადასხვა ნიღაბს.

ვინ არის პოეტი ბოდლერისთვის? მან შექმნა ალბატროსის მეტაფორა. პოეტი ალბატროსია, რომელიც ლაღად დაფრინავს ცაში, ის ლაჟვარდის მეუფეა, მაგრამ როდესაც მეზღვაურები დაიჭერენ (საკვებისთვის გემბანზე მოხვედრილს), მას ეს მძლავრი ფრთები (ნიჭი, შთაგონება, უხილავი ხილვის ნიჭი, განსხვავებულობა — იქცევა საშინელ სასჯელად, ბორკილებად. მას ფრთები უშლის მინაზე სიარულს.

ასე პოეტი მშვილდოსანთა უძლებს დაცინვას,  
ღრუბლებს ბრძანებლობს და გრიგალთან ღამეს ათენებს,

მაგრამ მიწაზე, სადაც კაცთა დგას ღრიანცელი,  
რომ გაიაროს, ფრთები უშლის გოლიათური.  
(გივი გეეჭკორის თარგმანი).

გალაკტიონის ერთ წერილში ვკითხულობთ: „ბოდლერს აქვს ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელსაც სახელად ჰქვია „ლოცვა-კურთხევა“, მაგრამ აქ არავითარი კურთხევა არ არის, აქ არის მხოლოდ წყევლა და მხოლოდ წყევლა... ლექსი გამოხატავს მგოსნის ამქვეყნად მოსვლას, დაბადებას. ღვიძლი დედისთვის მგოსანი არის მარტოოდნ საგანი გაკვირვებისა და ზიზღისა — დედას რცხვენია საკუთარი შვილის ყოლა. მგოსანი იტანს დაცინვას სულელებისგან, იტანს შურსა და სარკაზმს. მგოსანი ხანდახან მსხვერპლი ხდება რომელიმე სისხლისმსმელი დალილასი, რომელიც თავისუფლებს მისცემს მას შემდეგ, რაც უკანასკნელ სისხლს ამოსწოვს“ (გალაკტიონი „ძვირფასი საფლავები“).

ცისფერყანწელთა ბევრი ლექსის, მაგალითად, პაოლო იაშვილის „პოეზიის“ ფარული შთამაგონებელი, ფარული ინტერტექსტია ბოდლერის შემოქმედება, რადგან პაოლოც წერს პოეტის გაუცხოებაზე. ის მხოლოდ გარეგნობით ჰგავს სხვებს, თორემ შინაგანად, სულიერად ის სხვა სამყაროს შვილია, რომელიც ადამიანთა მატერიალური ყოფის გაუმჯობესებაზე კი არ ფიქრობს (ილია: „მოვსწმენდ ერსა ტანჯვის ცრემლსა...“), არამედ მხოლოდ ახალი მხატვრული სახეების გამოგონებაზე. მისი მთავარი საქმე არა ხალხის, არამედ ხელოვნების მსახურებაა, მშვენიერების დაფარული სახის ძიება და აღმოჩენა ხილულ სამყაროში. ამიტომაც იყო, რომ, მაგალითად, ცისფერყანწელები, ახალი ღმერთის (ხელოვნების) მახარებლებად მოაზრებდნენ თავს:

ახალი ქრისტეს ოთხი დავრჩით მახარობელი,  
პაოლო, გრიგოლ, ვალერიან,  
მე — იოანე (ტიციან ტაბიძე, „დროშა ქიმერიელთა“).

მოდერნიზმისთვის პოეტური ნიჭი არის ერთგვარი სწეულე-ბა: „მაგრამ არ რი ტანჯვა უფრო უზარმაზარი./ როგორც პოეტის შთაგონებით დასწეულება“. პაოლო იაშვილის ეს სტრიქონები თავისებურად გახმიანდა ნიკო სამადაშვილთან, რომელიც სიმბოლისტთა ესთეტიკის შემკვიდრედ შეიძლება მივიჩნიოთ: „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,/ ლექსები ტანზე გამოწყარო“ („ნიკო სამადაშვილს“). ამავე კონტექსტში უნდა გავიაზროთ ვალერიან გაფრინდაშვილის: „პოეტისთვის მე ვინამე ეს კარიერა: სიგიჟიე, ჭლექი და თვითმკვლელობა“, ან „პაოლო იაშვილს მომენყინა ყვითელი დანტი,/ ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი“.

პაოლო იაშვილისთვისაც მთავარი არის ძიება არა რეალობის, მატერიალური ყოფის გარდამქმნელი ძალისა, არამედ არამატერიალური სივრცეების პოეტურ სიტყვაში მოხელთებისა: „რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,/ რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა“ („პოეზია“).

წმინდა პოეზიის შექმნა, როგორც პოეტის უკანასკნელი ოცნების ახდენა, არის სიმბოლისტ პოეტთა მთავარი ესთეტიკური იდეალი. ამ იდეალის განხორციელებაში მათ ეხმარებათ სხვა პოეტთა გამოცდილება, ამიტომაც სხვა პოეტები, როგორც მაგიური სახელები, ისე წარმოჩნდებიან მათ შემოქმედებაში: „მაგრამ სახელი პოეტების ფრო გვაბრმავებს“ (ტიციან ტაბიძე, „ესკურიალი“). ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „დღეს ლირიკა ქანაობს სახელების საქანელაზე. კნუტ ჰამსუნის ილიაილი სახელია და ეს სახელი ევლინება მშიერ ბოგემას, როგორც მუზა, როგორც მუცელ-მოგვი მადონა... ბეატრიჩეს სახელი გადასწონის მთელ დანტეს პოეზიას... მერის სახელი უსწორდება შელის სახელს... ედგარის „ნევერმორი“ არა რის მხოლოდ სიტყვა. ეს სახელია და მკითხველს შეუძლია ამ ერთი სახელით გამოიწვიოს ბევრი მოჩვენება და ბევრი სახე. პოეზია არის „ნოტრ დამი“ და მის მაღალ კედლებზე აიმართნენ სახელები, როგორც ქიმერები“ (გაფრინდაშვილი 1990: 529). „მისს ლეა-ლე — ლაფორგის მეუღლე შემოდის ლირიკაში, როგორც მოქანცული ქიმერა... პოეტები დადიან, როგორც ვიზიონერები“ (გაფრინდაშვილი 1990: 619).

ატირდენ ერთად ბაყაყები  
დამშრალ ფშანებში.

თითქო ახველებს ჭლექის ხველით

მის ლეა ლეს (ტიციან ტაბიძე 1985: 85).

ლოტრამონის მალდარორი, უშო გომბეშო,

კოსმიურ ტალახს დასტიროდა ჩვენს ორლობეში.

(ტაბიძე 1985: 87)

ამგვარ მინიშნებებს სიმბოლისტთა პოეზიიდან მკითხველი გაჰყავს სხვა პოეტთა მხატვრულ სამყაროებში ორმაგი ფუნქციით: ერთი მხრივ, ამ სახეთა დეკოდირების გზით პოეტის სათქმელის ამოსაცნობად და მეორე მხრივ, მინიშნებულ ავტორთა შემოქმედების გასაცნობად. ეს ორი ამოცანა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთმანეთს განაპირობებს. მსგავსი მაგალითია უამრავია ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში. ასე რომ, ინტერტექსტუალობა ქართულ სიმბოლიზმში დიდი თემაა, რომელიც ღრმა და მრავალმხრივ კვლევას მოითხოვს.

## დაგონიერება

**გაფრინდაშვილი 1990:** გაფრინდაშვილი ვ. *ლექსები, პოემა, თარგმანები, წერილები*. თბ.: „მერანი“, 1990.

**ეკო 2010:** ეკო უ. *ეს რუსთაველი ვინ იყო?!* <http://www.mascavlebeli.ge>

**ლეონიძე 1922:** ლეონიძე გ. გაზ. „ბახტრიონი“, № 10, თბ.: 1922.

**რობაქიძე 1994:** რობაქიძე გრ. „შერისხულინი“. ტ. II. თბ.: „გეა“, 1994.

**რობაქიძე 1996:** რობაქიძე გრ. „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“. თბ.: 1996.

**ტაბიძე 1985:** ტაბიძე ტ. *ლექსები, პოემები, პროზა, წერილები*. თბ.: „მერანი“, 1985.

**ტაბიძე 1986:** ტაბიძე ტ. *ქართული ლიტერატურული ესე*. თბ.: „მერანი“, 1986.

**ტაბიძე 2002:** ტაბიძე ტ. „ცისფერი ყანებით“. წიგნში: „ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი“. სერია: „ქართველი მწერლები სკოლაში“, № 8, თბ.: „დია“, 2002.

**ჟენეტი 1998:** ჟენეტი უ. *ფიგურები*. ორ ტომად. მ.: 1998.

**ცაგარელი 2008:** ცაგარელი ლ. *ინტერტექსტუალობა, როგორც ფიქციონალიზაციის სიგნალი*. სემიოტიკა, № 3, თბ.: 2008.

## TAMAZ JOLOGUA

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### On the Interrelation of National and Universal Human Values in Georgian Journalism – the 19<sup>th</sup>-century Experience

Europeanism in the 19<sup>th</sup>-century for Georgian figures was not only an issue of orientation (vector), but also the return of Georgian culture into the native bosom, into the native sphere of existence and thinking, recovery of the national path of development (progress).

In general, and especially in the present-day globalist world, there is a prospect of development only for consolidated nations that are capable of harmonization of national and universal values and, on its basis, of full-fledged involvement (integration) in international life.

**Key words:** 19<sup>th</sup>-century. Georgian Journalism. Europeanism

## თამაზ ჯოლოგუა

საქართველო. თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულ ჟურნალისტიკაში — XIX საუკუნის გამოცდილება

ერისა და ეროვნულ ღირებულებათა რაობაზე მსჯელობისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ქართული ნაციონალიზმისა და ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის („ნაციონალური ლიბერალიზმის“ — ჯორჯაძე 1989: 392) ფუძემდებლის, ილია ჭავჭავაძის, შეხედულებებს.\*

ილია ჭავჭავაძის (ზოგადად „თერგდალეულების“: ა. ნერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. ნერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.) ღირებულებათა სისტემაში უპირველესი ადგილი უჭირავს **„სამშობლოს“**, **„მამულს“**. ილიას ეროვნული თვითშემეცნება ფოკუსირებულია სიტყვებში: **„...ქვეყნად ცხასა, ღვთად მოუცია მარტო მამული“** (ჭავჭავაძე 1951ა: 136), რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ამქვეყნიური (მინიერი) ცხოვრების უზენაესი ინტერესი და მიზანი („ამქვეყნიური ღმერთი“) არის მამული და ეს არის არა ადამიანის არჩევანი, არამედ განგების („ცის“) ნება. შესაბამისად, როდესაც ადამიანი ემსახურება მამულს, ის იმავდროულად განგების ნებასაც აღასრულებს. ამით, სხვათა შორის, ილიას მოხსნილი აქვს ცნობილი თეოლოგიური დაპირისპირება სააქაოსა (ხილულს, ხორციელს, ემპირიულს) და საიქიოს (უხილავს, სულიერს, ტრანსცენდენტურს) შორის.

ამ კონცეფციის მიხედვით, **„სოფელი“** (ქვეყანა) ბოროტებისა და ამაოების სადგური კი არ არის, არამედ ადამიანის მიერ თავისი უზენაესი ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების სარეალიზაციო სივრცეა და ეს, ვიმეორებთ, თვით განგების მიერ ადამიანისათვის გაჩენილი ღვთაებრივი წესია. ამ მხრივ, დიდად საგულისხმოა, რომ საქართველოს

\* **„ნაციონალიზმში“** ჩვენ ვგულისხმობთ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც, „ერი“ — „ნაცია“ არის საზოგადოებრივი ერთობისა და თანაცხოვრების ფუნდამენტური და ერის საერთო ინტერესი მაღლა დგას კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ ინტერესებზე. ამასთანავე, ამგვარი გაგება ნაციონალიზმისა თავისუფალი უნდა იყოს რადიკალიზმის, უმცირესობათა ასიმილაციისა და ეთნოცენტრისტული „მინარეგებისაგან“, მით უფრო, მისი ისეთი უკიდურესი გამოვლინებებისაგან, როგორებიცაა მოვინიზმი, ქსენოფობია და სხვ.; **„ლიბერალიზმს“** კი ვიყენებთ კლასიკური მნიშვნელობით, რომლის მიხედვითაც პიროვნების თავისუფლებას, როგორც უზენაეს ღირებულებას, თან უნდა ახლდეს თანაზომადი პასუხისმგებლობა და მოვალეობა პირველ რიგში იმ ღირებულებათა მიმართ, რომლებზეც აქ გვაქვს საუბარი.

ეკლესიისა და ქართველი სამღვდელოების ისტორიულ დამსახურებებზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე, როგორც წესი, საგანგებოდ აღნიშნავს ეკლესიისა და სამღვდელოების **მამულშიველიურ** ღვაწლს: „მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა. ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ის მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვანლია და სამსახური **ქვეყნის** (ხაზი აქ და ქვემოთ ჩვენია — თ. ჯ.) წინაშე“ (ჭავჭავაძე 1888). ილია ქართველი სამღვდელოების ისტორიულ და განმსაზღვრელი მნიშვნელობის დამსახურებად მიიჩნევს „ღვანლსა და სამსახურს **ქვეყნის** წინაშე... ეროვნების რჯულამდე გაპატიოსნებასა და სარწმუნოებამდე ამალღებას“ (ჭავჭავაძე 1888). სხვა წერილში კი იგი აღნიშნავს: „საქართველოს ეკლესია... ყოველთვის თავდადებით ჰპატირონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა“ (ჭავჭავაძე 1955ა: 180).\*

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი ერის რაობაზე უწინდესია ერის რაობის ნაციონალისტურ გაგებასთან, რომლის მიხედვითაც, ერი სოციალური ინდივიდია (სოციალური პიროვნებაა), რომელიც სხვათაგან განსხვავებული და, ამდენად, უნიკალური ენის, ისტორიისა და კულტურის შემოქმედია. მიხაკო წერეთლის სიტყვებით, „ილია ჭავჭავაძისათვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი **პიროვნება** (ხაზი ჩვენია — თ. ჯ.) იყო, ერთი მრთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითგან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით იგი იმავე პიროვნებად დარჩა“ (წერეთელი 1996: 166-167).

რა არის, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ეროვნული თვითცნობიერების (იდენტობის) განმსაზღვრელი ფაქტორები?

ილიას მიერ 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ ვკითხულობთ: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“. დღემდე ეს სიტყვები მიიჩნეოდა და მიიჩნევა ილიას მიერ ჩამოყალიბებულ არა მარტო ეროვნული თვითცნობიერების გამომხატველ ძირითად კომპონენტებად („ტრიადად“), არამედ სამოქმედო პროგრამადაც.

\* საკითხისადმი ანალოგიური დამოკიდებულება უხვად გვხვდება ილიას თანამედროვეთა — მაგალითად, აკაკი წერეთლის — ტექსტებში: „ეს პატარა საქართველო / მითი იყო დიდებული, / რომ მას ჰქონდა რჯულთან ერთად / ეროვნება გადაბმული“ (წერეთელი 2014: 411) და სხვ.



თუმცა იგნორირებული იყო და არის სულ ცოტა ორი არსებითი მნიშვნელობის გარემოება:

ა) შემდგომი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე არსად არ იმეორებს ამ „ტრიადას“.

ბ) ამ „ტრიადაში“ ადვილად შეინიშნება მსოფლმხედველობრივი „ტავტოლოგია“ — ილიას მიხედვით, „მამული“ და „ენა“ (ისევე, როგორც, სხვათა შორის, „მამული“ და „ერი“) ერთი მთლიანის **კომპონენტები** კი არ არის, არამედ ურთიერთგანმსაზღვრელი განუყოფელი **მთლიანობაა**.

ილია ჭავჭავაძის ღირებულებითი სისტემის ცალკეულ კომპონენტთა ურთიერთმიმართება და ურთიერთგანსაზღვრულობა მკაფიოდ ჩანს მის მიერ ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ-კლასობრივ ფენათა შეთანხმების („საერთო ნიადაგის“, „წოდებათა შერიგების“, „წოდებათა თანხმობის“, „სოციალური ზავის“, იასონ ლორთქიფანიძის ფორმულირებით — „ეროვნული ერთიანი ფრონტის“ — ლორთქიფანიძე 2012: 165) კონცეფციაში, რომელსაც ჩვენ ვწოდებთ **„ნაციონალური კონსოლიდაციის კონცეფციას“** და რომელშიც ერთი განმსაზღვრელი იდეის გარშემო პოლიფონიურადაა შერწყმული ავტორის პოლიტიკური და სოციალური იდეები თუ შეხედულებები (უფრო ვრცლად საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2013: 361-370).

ილია ჭავჭავაძეს არ გამოორჩენია ქართული „სალიტერატურო ენის ყოფიერების არც ერთი არსებითი საკითხი“ (ჩიქოვავა 1988: 273), მაგრამ მისი ყურადღება ძირითადად ფოკუსირებულია ენაზე, როგორც ეროვნული თვითმყოფადობისა და **ერთიანობის** განმაპირობებელ ფაქტორზე. ილიას თვალსაზრისით, „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა — ენაა“ (ჭავჭავაძე 1953ა: 206); „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა“ (ჭავჭავაძე 1955ბ: 80); „ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“ (ჭავჭავაძე 1955გ: 30). ენის რაობისა და ფუნქციის განსაზღვრისას იგი იზიარებს ვილჰელმ ჰუმბოლდტის დებულებას: „ერის სული (გონი) არის მისი ენა...“ (ჯორბენაძე 1987: 18).

ეროვნული ერთიანობის კონტექსტში მსჯელობდა ილია ჭავჭავაძე სარწმუნოებრივ საკითხებზეც: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტიკრიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. **ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა...** (ხაზი ჩვენია — თ. ჯ.)... ქართველი ერი ამისათვის უფროხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა“ (ჭავჭავაძე 1955ა:



65-66); „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“ (ჭავჭავაძე 1888) და სხვ.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, საკუთარი ისტორიის დავინწყება ერისდეგრადაციისა და მისი სასიცოცხლო ენერჯის დაშრეტის ნიშანია. „დავინწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“ (ჭავჭავაძე 1955დ: 200) და ამ თვალსაზრისს ი. ჭავჭავაძე სხვადასხვა ფორმითა თუ რაკურსით აღრმავებს არაერთ პუბლიცისტურ თხზულებაში („ია ისტორია“, „ქვათა ლაღადი“, „გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“ და სხვ.).

ილია ჭავჭავაძის მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების, აგრეთვე, ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების შესწავლა და ანალიზი ასეთ სურათს იძლევა: **ილია ჭავჭავაძე ადამიანის უზენაეს ინტერესად და ღირებულებად მიიჩნევდა სამშობლოს, აღიარებდა მამულის „ყოვლად-მყარობელ“ მნიშვნელობას, ხოლო ეროვნული თვითცნობიერების (იდენტობის) განმსაზღვრელ ფაქტორებად თვლიდა ენას, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიას (ისტორიულ ერთობას) და მათი ერთობლიობით განსაზღვრულ სპეციფიკურ (ინდივიდუალობით აღბეჭდილ) კულტურას როგორც ერის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაყოფს.**

ნებისმიერ ეროვნულ კულტურას გააჩნია ტიპოლოგიური სპეციფიკა და თანაარსებობისა და სამომავლო განვითარების პრიორიტეტულად განსაზღვრული არეალი. მიუხედავად ადვილად შესამჩნევი აღმოსავლური შენაკადებისა, რამაც ჩვენი კულტურის არსებითად სინთეზური ბუნება განაპირობა, ჩვენთვის ასეთი არეალი იყო და არის ევროპა იმდენად, რამდენადაც ქართული კულტურა ტიპოლოგიურად იმთავითვე ევროპული ხასიათისა და ევროპული კულტურული სივრცის ნაწილი იყო (ადრეული შუა საუკუნეების „ბიზანტინიზმი“, ტაო-

\* „**კულტურას**“ ჩვენ აქ ვხმარობთ ფართო მნიშვნელობით ანუ კულტურას როგორც „საზოგადოების ან სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელ სულიერ, მატერიალურ, ინტელექტუალურ და ემოციური ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომელიც ხელოვნებასა და ლიტერატურასთან ერთად მოიცავს ცხოვრების სტილს, ერთად ცხოვრების უნარს, ფასეულობათა სისტემებს, ტრადიციებსა და რწმენებს“ (ინტერნ. 1).

კლარჯეთისა და ათონის კულტურულ-სალიტერატურო სკოლები, გელათის აკადემია...).

ევროპეიზმის რაობის განსაზღვრისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ფრიდრიხ ნიცშეს თვალსაზრისს: „ევროპა, როგორც კულტურის აღმნიშვნელი ტერმინი, გულისხმობს იმ ხალხებს, რომლებსაც აქვთ საერთო წარსული ბერძნული და რომაული სამყაროების, ბიბლიისა და ქრისტიანობის სახით... კულტურულ-სულიერი გენეტიკით ამერიკაც ევროპული კულტურის ქალიშვილია“ (ნიცშე 1911: 299).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გელათის აკადემია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, მოაზრებული იყო **„მეორედ იერუსალემად და სხუად ათინად“** („...ან წინა-მდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად. ხოლო სახელი მისი გელათი“ — ქართლის ცხოვრება 1955: 330). იდეა გელათისა თუ აქ, ერთი მხრივ, გულისხმობს სულისა და ინტელექტის ორგანულ კავშირს, მეორე მხრივ, იგი ანტიკურ და ქრისტიანულ კულტურათა მემკვიდრეობით ურთიერთმიმართებაზეც მიუთითებს.

ანტიკურ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ ძირებთანაა დაკავშირებული გელათი იოანე შავთელის „აბდულმესიანშიც“:

ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო  
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.  
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,  
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა.  
(იოანე შავთელი 1964: 152)

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და იოანე შავთელის მიერ გელათის იდეაში ჰარმონიზებულია ევროპულ მსოფლმხედველობრივ-ღირებულებით და ესთეტიკურ პრინციპებზე დაფუძნებული სულიერი („მეორე იერუსალემი“), სამეცნიერო-საგანმანათლებლო („სხუათინა“) და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური („ახალი რომი“) ელემენტები. ამას გარდა, „ჩვენს კულტურას, ევროპული კულტურის მსგავსად, ძველი ბერძნული განათლება უდევს საფუძვლად და ჩვენც ევროპელებთან ერთად რაინდობისა და ფეოდალური წესწყობილების საფეხური განვვლეთ“ (ქიქოძე 2003: 185) და სხვ.

XV საუკუნეში კონსტანტინოპოლის დაცემით გამოწვეულმა კატასტროფამ საქართველო მისდამი აგრესიულად განწყობილ ისლამურ ალყაში მოაქცია, მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითარსებობას და, ამასთანავე, გადაჭრა ის სუ-

ლიერი და კულტურულ-საგანმანათლებლო არტერიები, რომლებიც  
თავს საქართველო ისტორიულად იყო ევროპასთან შეკავშირებული.  
„ხელახალი ევროპეიზაციის“ (რევაზ სირაძისეული ფორმულირებაა)  
პროცესი **სისტემური** სახით თავიდან ე. წ. „გარდამავალი ხანის“ (XVIII ს.  
დასასრული — XIX ს. დასაწყისი) ქართულ მწერლობაში გამოქვდა  
(სირაძე 1987: 193-204) და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ცხ-  
ოვრების ყველა სფეროში გაიშალა. ხაზგასმით უნდა ითქვას — **ჩვენი  
მოდერნიზაციისათვის ევროპეიზმი არსებითად იყო არა საზოგადოებრივ-  
კულტურული ორიენტაციისა თუ ვექტორის საკითხი, არამედ ქართუ-  
ლი კულტურის დაბრუნება მშობლიურ ნიაღში, მშობლიურ საარსებო  
და სააზროვნო სივრცეში, განვითარების (პროგრესის) ბუნებრივი გზის  
აღდგენა.**

საქართველოს ევროპულ სივრცეში დაბრუნების კონტექსტში  
უნდა იქნეს განხილული ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკური კურსიც.  
საქმე ისაა, რომ უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო,  
დემოგრაფიული პრობლემების წინაშე მდგარი, მეზობელთა განუწ-  
ყვეტელი მუქარებითა და „ლეკიანობით“ განამებული მეფე ქართლ-  
კახეთისა სწორედ ევროპული სახელმწიფოების მფარველობასა და  
მოკავშირეობაში ხედავდა გადარჩენისა და განვითარების პერსპექ-  
ტივას. ნიკო ბერძენიშვილი იძლევა ერეკლე II-ის პოლიტიკური მიზნის  
ლაკონიურ, მაგრამ სიღრმისეულ ფორმულირებას: **„რუსეთის გზით  
ევროპასთან“** (ბერძენიშვილი 1965: 229). ამიტომაც, სანამ რუსეთთან  
გეორგიევსკის ტრაქტატს გააფორმებდა, ერეკლე II ეძებდა (ძირითადად  
საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერების მეშვეობით) ევროპუ-  
ლი სახელმწიფოების — გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, ინგლი-  
სის, სარდინიისა და ნეაპოლის სამეფოების, ვენეციის რესპუბლიკის —  
მფარველობასა და მათთან მოკავშირეობას, თუმცა ამაოდ (საკითხის  
გარშემო იხ.: თამარაშვილი 1995: 119, 697-699; ტაბალუა 2000: 41-42;  
ჭიჭინაძე 1895: 19, 37-38, 43-46; ჭიჭინაძე 1896: 36-37; ქართლ-კახეთის  
სამეფოს მიერ რუსეთზე ორიენტაციის აღების განმაპირობებელ ფაქ-  
ტორებზე იხ. ჭავჭავაძე 1955ე: 207-210). ამ მხრივ, დიდად საგულისხ-  
მოა ერეკლე II-ის წერილი პატრ ნიკოლასადმი: „დავსუსტდით, გაქრება  
ქრისტიანობა აქ ურუსოდ. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი? ქრის-  
ტესი... **მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ მბრძანებლობისა** (ხაზი ჩვენია —  
თ. ჯ.). რა ვქნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავსცე ქრისტესა? ესე იყო  
სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა. და ესე იყო ჰაზრი მამისა ჩემისა  
და მეც დავადგები მასზე“ (ნატროშვილი 1968: 86).

რაც შეეხება რუსეთის ე. წ. „კავკასიურ პოლიტიკას“, მას ჰქონდა  
მკაფიოდ გამოხატული აგრესიული იდეოლოგიური ხასიათი. რუსეთმა

კავკასიასა და, პირველ რიგში, საქართველოში სცადა ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მის მიერ შემოტანილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და იდეოლოგიური სისტემები დაემკვიდრებინა და ამით ხელსაყრელი ნიადაგი მოემზადებინა თავისი ასიმილაციური ზრახვების განსახორციელებლად. სწორედ ამას დაუპირისპირდნენ ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც უპირველესი რიგის ამოცანად დაისახეს არა რუსული, არამედ უშუალოდ ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო პროცესების შესწავლა-ათვისება და ქართულ ნიადაგზე გადმოტანა, ოღონდ არა მექანიკურად, არამედ **ადგილობრივი ტრადიციების, თანადროული პირობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება:

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მოხდა სასიცოცხლო მნიშვნელობის მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიური და ღირებულებითი ტრანსფორმაცია. ესაა ე. წ. „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა, რომელშიც ერთმანეთს შეეჯახა ძველი თაობის მონარქისტულ-კოსერვატორული და ახალი თაობის ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები. მიუხედავად მწვავე შეტაკებისა, იყო საკითხები, რომლებშიც „მამებსა“ და „შვილებს“ თანხმობა ჰქონდათ და ერთი ამგვარი საკითხთაგანი იყო ევროპეიზმი. ასე, მაგალითად, „მამების“ თაობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი დიმიტრი ყიფიანი 1864 წელს წერს: „ყოველივე მზათა გვაქვს — ევროპეილები-საგან მოფიქრებული, გაკეთებული და საქმეში შემოტანილი. ჩვენლა, რომელთაც არაფერზე შრომა არა გაგვიწევია-რა, გვრჩება მხოლოთ, რომ ეს მზათ შემუშავებული მივითვისოთ ჩვენ სასარგებლოდ. ჩვენ მოგვიწდება არც მესაედი იმ შრომისა, რომელიც ევროპეილთ გასწიეს“ (ყიფიანი 1995: 11). ამასთანავე, დიმი. ყიფიანი იქვე ჩამოთვლის, პირველ რიგში, რა უნდა ვისწავლოთ ევროპელებისაგან: მამულისმოყვარეობა, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესთა და საჭიროებათა ჰარმონიზაცია, ცოდნაზე დაფუძნებული შრომის სიყვარული, განათლების პრიორიტეტულობა... თანამიმდევრული ევროპეისტი იყო აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანი: „ევროპია არის ლამპარი მთელი ქვეყნისა, განმანათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება მოსწავლეთა, სიბრძნე გამგეთა, და სიკეთილე კაცობრიობისა“ (ორბელიანი 1861: 211) და სხვ.

რაც შეეხება „შვილების“ პოზიციას, დავასახელებთ ორიოდ მაგალითს:

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „ჩვენი ყმაწვილ-კაცობა... უნდა მომზადდეს ბევრთის და ზედმინევილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“ (ჭავჭავაძე 1955ვ: 97-98). ნიკო ნიკოლაძის აზრითაც, საქართველოში პროგრესის მიღწევის გზა „ევროპული წესისა და ცხოვრების“, ევროპული მეცნიერება-განათლების ათვისებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე გადის: „ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რა ნაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა [ევროპელმა] ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და განწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლათ და გასაძლიერებლათ“ (ნიკოლაძე 1960: 394-395). ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ქართველებმა ევროპელებს ამაში უნდა მივბაძოთ: განათლების გავრცელებაში, მეცნიერების ათვისებაში, სამართლიანობის დამკვიდრებაში, ზნეობრიობის გაუმჯობესებაში, გონების გახსნაში, პატიოსან აღებ-მიცემობაში.

XIX საუკუნის ქართველ პუბლიცისტებს (ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ალ. ცაგარელი, ივ. მაჩაბელი და სხვ.) ეროვნული საკითხები ვინროდ კი არ ჰქონდათ შემოფარგლული, არამედ ნაციონალურ პრობლემატიკას ფართო (ზოგადსაკაცობრიო) კონტექსტში განიხილავდნენ და აღიარებდნენ ნაციონალურ და საერთო-საკაცობრიო ღირებულებათა ჰარმონიზაციისა და განუყოფლობის აუცილებლობას. ამ მხრივ, დამახასიათებელია ალ. ცაგარლის მიერ 1870 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი „ჩვენი უბედური მნიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხი ლიტერატურული პროცესების ფონზეა დასმული: „ლიტერატურა უნდა იყოს ნაციონალური... ამავე დროს ნამდვილ-ნაციონალური თხზულება არამთუ ცალკე ხალხს, ან კაცობრიობას არ ეკუთვნის და არ შეეხებიან, არამედ **რომელსამე თხზულებას მაშინ ექმნება კოსმოპოლიტური, საზოგადო მსოფლიო კაცობრიული ინტერესი, როდესაც ნამდვილი ნაციონალური იქნება** (ხაზი ავტორისაა — თ. ჯ.)... ნაციონალური თვისება არამ თუ არ უშლის კოსმოპოლიტურ თვისებასა, არამედ უიმისოდ ეს შეუძლებელია: თხზულება, რომელსაც არავინა ჰყავს სახეში, არც არავის ეკუთვნის, და ყველას ყოლა — არ ყოლას უდრის“ (ცაგარელი 1870). ნიკო ავალიშვილი კი თავის სტატიაში „პატრიოტიზმა თუ კოსმოპოლიტიზმა?“ საგანგებოდ აღნიშნავს: „მამულიშვილობა, პატრიოტიზმი, ისევე ბუნებითი გრძნობაა, როგორიც ოჯახის სიყვარულია ბუნებითი... მაგრამ ამ სიყვარულს სულაც არ მოსდევს სხვა ერის უარყოფა და სიძულვილი. პირიქით, მა-

მულიშვილი გრძნობით გამსჭვალული ადამიანისათვის სხვა ერის სიყვარული აუცილებელიც არის. ესეც არ იყოს, ადამიანის ბუნებითი თვისება — სიყვარულია და ეს თვისება თავისთავად უარჰყოფს სხვისა სიძულვილს... მამულიშვილი სხვა ერის სიკეთეშიც ხედავს თავისი ერის სიკეთეს, და თუ იმისი მამულიშვილობა ყალბი არ არის, მის გულში სხვა ერის სიძულვილსაც ადგილი არა აქვს“ (ცაიშვილი 1955: 89).

ქართველ პუბლიცისტთა მიხედვით, ღირებულებითი ურთიერთ-მიმართების თვალსაზრისით **ჭეშმარიტად ეროვნული (ნაციონალური) არის ის, რაც იმავდროულად ზოგადკაცობრიულიცაა...**

დასასარულ, დავიმონწმებთ ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართებაზე XIX საუკუნის გამოცდილების დამაგვირგინებელ ტექსტს, ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმს“: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის... ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 213, 215).\* იგივე თვალსაზრისია ჩამოყალიბებული აკაკი წერეთლის მიერ 1909 წელს პარიზის ქართველი სტუდენტების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში: „ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელ-ფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!..“ (წერეთელი 1961: 346).

ილია ჭავჭავაძისათვის (ზოგადად, „თერგდალეულებისათვის“, ისევე როგორც მათი წინამორბედი ს. დოდაშვილისა და დიმ. ყიფიანისათვის) ისტორია თვითკმარი ღირებულება ან ჩაკეტილი სამყარო კი არ არის, არამედ ცოცხალი ორგანიზმია. ისტორია ანმყო ცხოვრებაში გამოსაყენებელი გამოცდილებაა, გაკვეთილია, მწვრთნელი („ერი თავის გამირებში ჰპოულობს... თავის მწვრთნელსა“ — ჭავჭავაძე 1955ა: 180). უფრო მეტიც, ისტორიის მიმართ დამოკიდებულება ერის სიცოცხლისა და მოქმედების უნარიანობის მაჩვენებელი და საზომია...

\* ვაჟა-ფშაველა, ისევე როგორც ადრე დამონწმებული ალ. ცაგარელი და ნ. ავალიშვილი, გულისხმობენ „კოსმოპოლიტიზმის“ ადრინდელ (ერთაშორის, ინტერნაციონალურ) გაგებას. თანამედროვე მნიშვნელობით კი „კოსმოპოლიტიზმი“ ისეთი მსოფლმხედველობაა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ზოგადკაცობრიულსა და ნაციონალურს და ამ დაპირისპირებაში უპირატესობას ზოგადკაცობრიულს ანიჭებს, ხოლო პიროვნებას (ინდივიდს) მიიჩნევს არა ამა თუ იმ ერის (ნაციის) კულტურის პირმშოდ და დამცველად, არამედ — მსოფლიო მოქალაქედ.



ამასთანავე, ერის, როგორც სოციალური პიროვნების, ყურადღება მაქსიმალურად უნდა იყოს კონცენტრირებული ანმყოზე და განვითარების პერსპექტივა აქვს მხოლოდ იმ ერს, რომელსაც გააზრებული აქვს ისტორიაზე დაფუძნებული ანმყოსა და ანმყოზე დაფუძნებული მომავლის ორგანული მთლიანობა. იმავე ილია ჭავჭავაძის მიერ 1863 წელს დაწერილი პროგრამული ხასიათის პუბლიცისტური ტექსტი „საქართველოს მოამბეზედ“ ასე იწყება: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალბუნდ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველის ფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“ (ჭავჭავაძე 1953ბ: 56). მომავალი ეკუთვნის იმ ხალხს, რომელიც ალღოს აუღებს ცხოვრების ახალ მოთხოვნებსა და საჭიროებებს, არ დაკარგავს იმედს და მომზადებული შეხვდება დროის ცვლილებებს: „...იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა — შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!..“ (ჭავჭავაძე 1953ბ: 58); ის ხალხი კი, რომელსაც დაქვეითებული აქვს აქტიური ცხოვრების უნარი და ნება, აგრეთვე „გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა“, ავტორის შეხედულებით, „მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგი-დამ“ (ჭავჭავაძე 1953ბ: 59).

დღეს ჩვენ, როგორც კაცობრიობის ნაწილი (შემადგენელი), ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში. გლობალიზაციას აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. თუ იგი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ინტეგრაციის გზით ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. კავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას, ქმნის ნიადაგს ურთერთშემავსებელი და ურთიერთგამამდიდრებელი ურთიერთობებისა და „კულტურათა დიალოგისათვის“ (პოზიტიური მხარე), მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შესუსტებასა და ნიველირება-გაერთსახოვნებას, ე. წ. „დომინანტი სახელმწიფოებისა“ და „დომინანტი კულტურების“ გაბატონებას (ნეგატიური მხარე). რომელი მიმართულება გაიმარჯვებს საქართველოში, ეს, პირველ რიგში, დამოკიდებულია ჩვენზე — ჩვენს პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, კულტურულ-აღმშენებლობითი ცხოვრების ინტენსივობაზე, შრომის-მოყვარეობასა და სწავლისმოყვარეობაზე; ერთი მხრივ, ეროვნული ინ-

დივიდუალიზმის შენარჩუნებისაკენ მიმართულ ძალისხმევასა, ხოლო მეორე მხრივ, თანადროული საკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ ღიაობაზე, საერთაშორისო პროცესებში სრულფასოვან ჩართულობაზე... და ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტიკას (უფრო ფართო გაგებით — მედიაკომუნიკაციებს). ამ მხრივ, ჯერჯერობით, ჩვენი აზრით, არცთუ სანუგეშო ვითარება გვაქვს. 1990-იან წლებში, როცა ქართული მედია გათავისუფლდა კომუნისტური რეჟიმის მარნუხებისაგან, იგი იმდროინდელ საქართველოში სარეკლამო ბაზრის ფაქტობრივი არარსებობისა და, შესაბამისად, ფინანსური დამოუკიდებლობის შეუძლებლობის გამო პოლიტიკური ძალების ხელში აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით ეხება ტელემაუწყებლობას, როგორც ინფორმირების, საზოგადოებრივი აზრის, განწყობების, ღირებულებათა სისტემისა და მენტალური ტრანსფორმაციის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ქართული მედია და კერძოდ საქართველოს ტელევიზორცე დღეს, სამწუხაროდ, კონსოლიდაციისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე დისკუსიის ადგილი კი არ არის, არამედ არსებითად გადაქცეულია „გლადიატორთა ბრძოლის“ არენად, სადაც დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები მიზანმიმართული პროპაგანდით, მანიპულაციებით, „ყველაფერი დასაშვებია“ პრინციპით ებრძვიან ერთმანეთს და, შესაბამისად, დღეს ქართული ჟურნალისტიკა არსებითად ძალაუფლების შენარჩუნების ან ძალაუფლების მოპოვების „ინსტრუმენტადაა“ გადაქცეული. მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა გამაერთიანებელი კი არ არის, არამედ — გამთიშველია.

რას გვასწავლის ასეთ პირობებში XIX საუკუნე, ზოგადად ჩვენი ისტორია როგორც **„გამოცდილება“**, როგორც **„გაკვეთილი“** და როგორც **„მწვრთნელი“**?

ჩვენი ადგილი ევროპულ ოჯახშია და მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი უზენაესი მიზნისა და ინტერესის მიღწევა. უზენაესი მიზანი და ინტერესი კი არის ეროვნული თვითარსებობის, თვითმყოფადობის და თავისუფლების უზრუნველყოფა. მიზნის მიღწევის საშუალებებია: ეროვნების უფლებათა პატივისცემა და დაცვა, პროგრამულ დონეზე გაცნობიერებული „მამულის-მოყვარეობა“, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესთა შეკავშირება, საზოგადოებრივი თვითორგანიზაციისა და კონსოლიდაციის უნარი, განათლების პრიორიტეტულობის აღიარება და დამკვიდრება, მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული შრომა, რწმენისა და მეცნიერების თავსებადობა, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა, ნაციონალური და საკაცობრიო ღირებულებების ჰარმონიზაცია.



ზოგადად — და განსაკუთრებით დღევანდელ გლობალისტურ მსოფლიოში — გადარჩენისა და განვითარების პერსპექტივა აქვს მხოლოდ იმ კონსოლიდირებულ ერს, რომელიც ინტერესთა და ღირებულებათა ამგვარ ჰარმონიზაციასა და მის საფუძველზე საერთაშორისო ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართულობას შეძლებს.

## დამოწმებანი:

**ბერძენიშვილი 1965:** ბერძენიშვილი ნ. საქართველო XVIII საუკუნეში. // ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*. წგნ. II. თბ.: „მეცნიერება“. 1965.

**ვაჟა-ფშაველა 1961:** ვაჟა-ფშაველა. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. // ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*. ტ. V. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ე. შარაშენიძემ. თბ.: „საბჭოთა საქართველო“. 1961.

**თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ. *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბ.: „კანდელი“. 1995.

**იოანე შავთელი 1964:** იოანე შავთელი. აბდულმესიანი. // *ძველი ქართველი მეხოტბენი*. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. წგნ. II. თბ.: „მეცნიერება“. 1964.

**ლორთქიფანიძე 2012:** ლორთქიფანიძე ი. დღიური (1915-1932) // *XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები*. შეადგენა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბ.: „ინტელექტი“. 2012.

**ნატროშვილი 1968:** ნატროშვილი გ. *შემოთენება მთანმინდაზე*. თბ.: „განათლება“. 1968.

**ნიკოლაძე 1960:** ნიკოლაძე ნ. „კრებულის“ დანიშნულებაზე. // ნ. ნიკოლაძე. *თხზულებანი*. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. ტ. II. თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1960. გამომცემლობა.

**ნიცშე 1911:** Ницше Ф. Переоценка всего ценного. // *Собрание сочинений*. т. 5. М.: 1911.

**ორბელიანი 1861:** ჯ[ამბაკურ]-ორბელიანი ალ. *ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად*. ცისკარი, № 11, 1861.

**სირაძე 1987:** სირაძე რ. რამდენად განეკუთვნება ახალ ქართულ მწერლობას ე. წ. „გარდამავალი ხანა“? // რ. სირაძე. *ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები*. თბ.: „განათლება“. 1987.

**ტაბაღა 2000:** ტაბაღა ი. *ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ*. თბ.: ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 2000.

**ქართლის ცხოვრება 1955:** *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ.: სახელგამი. 1955.

**ქიქოძე 2003:** ქიქოძე გ. ჯვარედინ გზაზე. // გ. ქიქოძე. *პატარა ერის ხვედრი*. შემდგენლები: მ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, ე. კოდუა. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.

**ყიფიანი 1995:** ყიფიანი დ. ჩვენი ნაცარქექიები. // დ. ყიფიანი. *რა ხალხია ქართველები?* შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბ.: „ლომისი“. 1995.

**ჩიქობავა 1988:** ჩიქობავა არნ. ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი. // „ილიას სამრეკლო“ (შემდგენლები: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. თბ.: „განათლება“. 1988).

**ცაგარელი 1870:** [ცაგარელი აღ.]. *ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში*. „დროება“, 15 იანვარი, 1870, № 2.

**ცაიშვილი 1955:** ცაიშვილი სოლ. *ნიკო ავალიშვილი*. თბ.: „ხელოვნება“. 1955.

**წერეთელი 1961:** აკაკის სიტყვა პარიზში. // ა. წერეთელი. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. ტ. XV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბ.: „საბჭოთა საქართველო“. 1961.

**წერეთელი 1996:** წერეთელი მიხ. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. // „ილია ემიგრანტთა თვალით“ (შემდგენელ-რედაქტორები: დ. სინჯარაძე, ნ. ბებიაშვილი. ტ. I. თბ.: „ლომისი“. 1996).

**წერეთელი 2014:** წერეთელი ა. ასის წლის ამბავი. // ა. წერეთელი. *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*. ტ. IV (პოემები). ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, კომენტარები და საძიებლები დაურთო ჯ. გაბოძემ. თბ.: „საქართველოს მაცნე“. 2014.

**ჭავჭავაძე 1888:** ჭავჭავაძე ი. *ქართველი ერი და ღვანლი წმინდა ნინოსი*. „ივერია“, 1888, № #9.

**ჭავჭავაძე 1951:** ჭავჭავაძე ი. აჩრდილი. // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1951.

**ჭავჭავაძე 1953ა:** ჭავჭავაძე ი. წერილები ქართულ ლიტერატურაზე. // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1953.

**ჭავჭავაძე 1953ბ:** ჭავჭავაძე ი. საქართველოს მოამბეზედ. // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. III. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1953.

**ჭავჭავაძე 1955ა:** ჭავჭავაძე ი. დავით აღმაშენებელი. // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

**ჭავჭავაძე 1955ბ:** ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მარტი. // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

**ჭავჭავაძე 1955გ:** ჭავჭავაძე ი. აი ისტორია (წერილი მეორე). // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

**ჭავჭავაძე 1955დ:** ჭავჭავაძე ი. ერი და ისტორია. // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

**ჭავჭავაძე 1955ე:** ჭავჭავაძე ი. ასის წლის წინათ (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში). // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

**ჭავჭავაძე 1955ვ:** ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მაისი. // ი. ჭავჭავაძე. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

**ჭიჭინაძე 1895:** ჭიჭინაძე ზ. *საქართველოს შესახებ ევროპიელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები...* თბ.: 1895.

**ჭიჭინაძე 1896:** ჭიჭინაძე ზ. *პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მის დროის ქართველ-კათოლიკენი საქართველოში*. ტფ.: 1896.

**ჯოლოგუა 2013:** ჯოლოგუა თ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)*. თბ.: „არტანუჯი“. 2013.

**ჯორბენაძე 1987:** ჯორბენაძე ბ. ქართული ენის დიდი მონაგე. // „ილია ჭავჭავაძე — 150“ (თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1987).

**ჯორჯაძე 1989:** ჯორჯაძე ა. „მეთხმოციანი“ და „მეთხმოცდათიანი“ (მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის). // ა. ჯორჯაძე. *წერილები შემდგენელი ა. ბაქრაძე*. თბ.: „მერანი“. 1989.

**ინტერნ 1:** *კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს 2001 წლის 2 ნოემბრის საყოველთაო დეკლარაცია*. [http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/diversity/pdf/declaration\\_cultural\\_diversity\\_ka.pdf](http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/diversity/pdf/declaration_cultural_diversity_ka.pdf) [20.X.2014].

ნაციონალური ლიტერატურული კანონი და  
კულტურული გლობალიზაციის მექანიზმები

**National Literary Canon and the Mechanisms of  
Cultural Globalization**

**ZAZA ABZIANIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**Cultural Globalization in the Light of Miguel De Unamuno's  
'Intraistoria'**

This year marked the 150 anniversary from birth of the writer and philosopher, whose notion of 'Intraistoria' is still considered a conceptual antithesis of cultural globalization. In 'Intraistoria' Unamuno meant the existential living of the nation not documented by historic chronicles, i.e. the cultural tradition hidden behind the "surface of the ocean of history". This idea was consolidated by Karl Jung's concept of cultural archetypes embedded in 'collective unconsciousness' and defining the cultural code shaping national identity.

Georgian reader can't help recall Ilia Chavchavadze and Vazha-Pshavela's essays: Vazha-Pshavela's "Cosmopolitanism and Patriotism" was published in 1905. This period marked a growing interest towards national and cultural orientation: Ilia Chavchavadze had the same ambivalent attitude towards "Europeanisation" of his compatriots as Miguel De Unamuno. More than hundred years have passed from these words but in the perspective of present-day Georgian discourse, the problem of "Europeanisation" is no less significant.

**Key words:** *Unamuno, Intraistoria, globalization, Georgian literature*

## ზაზა აბოიანიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### კულტურული გლობალიზაცია მიგელ დე უნამუნოს „ინტრაისტორიის“ შუქში

სიმბოლურია, რომ 2014 წლის 29 სექტემბერს, ჩვენი სიმპოზიუმის მსვლელობის დღეებში, შესრულდა 150 წელი მიგელ დე უნამუნოს დაბადებიდან. ჩვენს თანამედროვეებს ან არ ახსოვთ, ან არ უდათ გაიხსენონ, რომ ამ დიდი ესპანელი მწერლისა და ფილოსოფოსის მიერ დანერგილი „ინტრაისტორიის“ ცნება დღემდე განიხილება კულტურული გლობალიზაციის კონცეპტუალურ ანტითეზად.

მხოლოდ „საიუბილეო პათოსის“ გამო როდი დავისახეთ მიზნად, მივბრუნებოდით მიგელ დე უნამუნოს სახელს: დიდი ესპანელის არგუმენტები იმდენად სერიოზულია, დღევანდელობამ კი ისე უღმობლად დაადასტურა მისი ასი წლის წინანდელი წინათგრძობანი, რომ გლობალიზაციით მოტანილი პრობლემების წინაშე აღმოჩენილი ვერცერთი საზოგადოება ვერ აუვლის გვერდს „ინტრაისტორიის“ საკრამენტულ კითხვებს.

მიგელ დე უნამუნოს ესეისტიკის ქართულ სააზროვნო სივრცეში დამკვიდრებას დიდად შეუწყო ხელი ესპანურენოვანი ლიტერატურის ცნობილმა მთარგმნელმა და მკვლევარმა, ქ-ნმა მერი ტიტვინიძემ. სწორედ მისი თარგმანებით გაიცნო ქართველმა მკვლევარმა უნამუნოს ყველაზე მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოებები — „აბელ სანჩესი“, „ბურუსი“, „წმინდა მანუელ სათნო წამებული“; ცალკე უნდა ითქვას უნამუნოს „ესეების“ ქარულად თარგმნილ კრებულზე, სადაც მთარგმნელი, ამასთანავე, უნამუნოს შემოქმედების ჩაკვირებულ მკვლევარადაც წარმოგვიდგება.

იმისათვის, რომ მიგელ დე უნამუნოს კონცეპტუალური იდეების სადღეისო მნიშვნელობაზე ვილაპარაკოთ, ერთგვარი ექსკურსი გვმართებს დიდი ესპანელის ბიოგრაფიასა და სულიერი ძიებების იმ წიაღში, რომლიდანაც ამოიზარდა „ინტრაისტორიის“ უნივერსალური იდეა.

ბასკურ-ქართული ჰიპოთეტიკური ნათესაობით ატაცებულ ქართველებს, ყოველივე, ბასკეთთან დაკავშირებული, განსაკუთრებით გვაინტერესებს. მაგრამ, ამჯერად, ჩვენი ინტერესი უნამუნოსადმი, რაღა თქმა უნდა, მისი ბასკური წარმომავლობით არ იყო ნაკარნახევი. ისე კი, მართლა ბასკი იყო, ბილბაოში, კომერსანტის ოჯახში, 1864 წლის

29 სექტემბერს დაბადებული ეს ვუნდერკინდი. აბა, განვსაჯოთ, ასე თუ არა: 12 წლის უნამუნო მეფე ალფონს XII-ს საპროტესტო წერილს წერს ბასკების ეროვნული უფლებების შელახვასთან დაკავშირებით; 16 წლისა (ამჯერად, უკვე არა ვუნდერკინდი, არამედ ჩამოყალიბებული, ფენომენალური მონაცემების ახალგაზრდა) შედის მადრიდის უნივერსიტეტში სიტყვიერებისა და ფილოსოფიის შესასწავლად; უნივერსიტეტის დამთავრებისას, 20 წლისა, იცავს დისერტაციას ბასკების წარმომავლობის შესახებ. ამ დროისათვის, მას დამოუკიდებლად უკვე 11 ენა ჰქონდა შესწავლილი (მოგვიანებით, კიდევ სამი შეისწავლა და აქედან ერთი — დანიური, მხოლოდ იმისათვის, რომ, ეგზისტენციალიზმით დაინტერესებულს, სერენ კიერკეგორის ნაშრომები ორიგინალში წაეკითხა) 26 წლის უნამუნო შესაბამისი კონკურსის შემდეგ, იკავებს სალამანკის უნივერსიტეტის ბერძნული ფილილოგიის კათედრის გამგის ვაკანტურ ადგილს. აქვე უნდა ითქვას, რომ მიგელ დე უნამუნოს მთელი შემდგომი ბიოგრაფია დასავლეთ ესპანეთში, კასტილიისა და ლეონის ავტონომიაში მდებარე ამ ქალაქს და მის უძველესს (1218 წელს დაარსებულ) უნივერსიტეტს დაუკავშირდება.

XX საუკუნის დასაწყისიდან, სალამანკა და უნამუნო განუყრელ „ონომასტიკურ წყვილად“ აღიქმებიან: 1901-ში 37 წლის უნამუნო სალამანკის უნივერსიტეტის რექტორი ხდება, ხოლო მისი მშფოთვარე ცხოვრების დრამა სწორედ სალამანკის „სცენაზე“ წარიმართება. ხელისუფლებით აღტაცება, საზოგადოდ, არც მეცნიერს შვენი და არც მწერალს, მაგრამ ამ შემთხვევაში, რაღაც „ონტოლოგიურ ოპოზიციონერობასთან“ გვაქვს საქმე: ესპანეთში არ არსებულა რეჟიმი, რომელსაც „არ მოეხერხებინოს“ უნამუნოს განხიბლვა და რომელსაც შესაბამისი რეაქცია არ ჰქონოდა ამ „მარადიული ოპოზიციონერის“ ეპატაჟზე (აქვე შევნიშნავ: მიუხედავად იმისა, რომ უნამუნო არასდროს ყოფილა რევოლუციური ამბოხის მომხრე და თანამოაზრეებს, იარაღის ნაცვლად, არგუმენტებით აღჭურვისაკენ მოუწოდებდა).

ალფონს XIII-ის მონარქიულმა მთავრობამ რექტორობიდან პირველად 1914 წელს დაითხოვა (შემდგომ, დაპატიმრებასაც უპირებდნენ, მაგრამ ვერ გაბედეს); პრიმო დე რივერას დიქტატურის დროს — ჯერ ლექტორობა აუკრძალეს, მერე კი, 1924 წელს კანარის არქიპელაგის ერთ პატარა, უკაცრიელ კუნძულზე, ფუერტავენტურაზე გადაასახლეს, სადაც, „რობინზონ კრუზოსი“ არ იყოს, „საზოგადოება“, ძირითადად, თხებისაგან შესდგებოდა... ესპანეთის დატოვებისას, უნამუნო მრავალრიცხოვან გამცილებლებს მაიმედებელი სიტყვებით დაემშვიდობა — „მე თქვენთან თავისუფლებასთან ერთად დავბრუნდები!“ ასეც მოხდა! 1931 წელს, პრიმო დე რივერასა და ალფონს XIII-ის გან-

დევენის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ერთხანს, როგორც ხდება ხოლმე, ყველა ესპანელ ოპოზიციონერს „თავისუფლების ილუზია“ ასაზრდოვებდა. დევნილობიდან დაბრუნებულ მიგელ დე უნამუნოს დახვდნენ, როგორც ნაციონალურ გმირს: იგი აღადგინეს რექტორის თანამდებობაზე (შემდგომ, „სამუდამო რექტორის“ წოდებაც კი მიანიჭეს), აირჩიეს კორტესებში (ესპანეთის პარლამენტში), სადაც, როგორც ქვეყნის „მთავარ ოპოზიციონერს“, წილად ხვდა ესპანეთში რესპუბლიკის დაფუძნება გამოეცხადებინა.

გამოხდა ხანი და მიგელ დე უნამუნო (ბევრ მის თანამემამულესთან ერთად) ამჯერად უკვე რესპუბლიკური ხელისუფლების რადიკალიზმმა აღაშფოთა: ქვეყანა ორ მტრულ ბანაკად გაიყო, მაგრამ უნამუნო ბოლომდე არცერთის პოზიციას არ იზიარებდა, რადგან სულ უფრო და უფრო თრგუნავდა ორმხრივი ძალადობა. 1936 წელს გენერალ ფრანკოს მეთაურობით დაწყებულ ნაციონალისტების სამხედრო ამბოხს უნამუნო თავდაპირველად თანაგრძნობით შეხვდა, მაგრამ, არცთუ დიდი ხნის შემდეგ, „ნაციონალების“ რეპრესიათა მასშტაბმა, მთელი ესპანეთის გასგონად წარმოათქმევინა ფრანკოსადმი მიმართული ბრალდება: „თქვენ შეგიძლიათ გაიმარჯვოთ, მაგრამ ვერ შესძლებთ დაგვარწმუნოთ. შეუძლებელია დაგვარწმუნოს სიძულვილმა, რომელიც ადგოვს არ უტოვებს თანაგრძნობას“.

სალამანკის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან მიგელ დე უნამუნო ბოლო ჯერზე ფრანკოს პირადი ბრძანებით მოხსნეს. 1936 წლის სალამანკა არაფრით არ განსხვავდებოდა იმდროინდელი თბილისიდან და დამფრთხალი კოლეგებისა თუ ნაცნობ-მეგობრების სულმოკლეობით სასონარკვეთილმა უნამონომ გადაწყვიტა თავისი სახლის ზღურბლს გარეთ ფეხი არ გაედგა. იგი იმავ, 1936 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა და თანამემამულეებს ანდერძად დაუტოვა საუნივერსიტეტო თავყრილობაზე წარმოთქმული, ფრანკისტული დიქტატურის მისეული შეფსება: „არაფერი არ ვიცი, იმ ყაზარმული და საეკლესიო სულის ურთიერთშერწყმაზე ამაზრზენი, რომელიც ასე ადუღაბებს ახალ ხელისუფლებას“.

ახლა, მიგელ დე უნამუნოს ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენთვის საინტერესო თვალსაწიერიდან გადავხედოთ, რათა უფრო მკაფიო წარმოდგენა შეგვექმნას „ინტრაისტორის“ კონცეფციის წარმომავლობის შესახებ: უნამუნოს პირველივე რომანი — „მშვიდობა ომის დროს“ (1897), ყოველად რეალისტურად მოგვითხრობს XIX საუკუნის ესპანეთის „კარლისტური“, დინასტიური ომების შესახებ. მაგრამ ტრადიციული ესპანური ისტორიული რომანისაგან განსხვავებით, აქ, უნამუნომ (ლევტოლსტოის კვალდაკვალ) პირველად „შემოიყვანა“ ავტორისეული ხმა,

რომლის დიაპაზონიც ბევრად აღემატებოდა ცალკეული პერსონაჟების მონოლოგთა პათოსს და მნიშვნელობას. მეორე (შესაძლოა, კიდევ უფრო ღირებული!) ნოვაცია იმაში მდგომარეობდა, რომ „მშვიდობა ომის დროს“ მთლიანად იყო აგებული მიგელ დე უნამუნოს მიერ XIX საუკუნის მინურულს შემუშავებულ „ინტრაისტორიის“ კონცეფციაზე.

„ინტრაისტორიაში“ უნამუნო გულისხმობდა ერის ისტორიული მატრიანებით აღუნუსხავ ეგზისტენციურ არსებობას — „ისტორიის ზღვის ზედაპირის“ ქვეშ დაფარულ კულტურულ ტრადიციას. ეს მოსაზრება ერთგვარად გაამყარა კარლ იუნგის კონცეფციამ „კოლექტიურ არაცნობიერში“ შთანერგილი იმ კულტურული არქეტიპების შესახებ, რომლებიც აყალიბებენ ეთნოსის ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ კულტურულ კოდს. უნამუნოს ერთი მთავარი საფიქრებელი ამ კულტურული კოდის რეზისტენტული უნარი იყო: „...დასაგმობი არის ყველა, — წერდა იგი 1906 წელს გამოქვეყნებულ თავის კონცეპტუალურ სტატიაში „ევროპეიზაციისათვის“, — ვინც თავისთავს სხვისი მიბაძვით ძერწავს, ვინც უარს ამბობს საკუთარ თავზე, რომ გახდეს სხვა, ანუ ის, ვინც სანიმუშოდ და მისაბაძად მიაჩნია. მაგრამ, ვაი, რომ ასეთი კაცი აღარც თავისთავადი რჩება და ველარც ის გახდება, ვისაც ბაძავს“ (უნამუნო 2011: 138).

მიგელ დე უნამუნო იმ ტიპის ადამიანებს ეკუთვნოდა, რომლებიც სპონტანურად არ უერთდებიან საყოველთაო ტენდენციებს — ცხოვრებასა თუ ხელოვნებაში. ამიტომაც იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ კულტურაში ესოდენ აღზევებული მოდერნიზმი ხელოვნების დეჰუმანიზაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვა და არანაირად არ მიესალმებოდა მის ესპანეთში „გადმონერგვას“. მისი თქმით, მოდერნიზმის მთელი ესთეტიკა იქითკენაა მიმართული, რომ ხელოვანმა სულიერი დისკომფორტი აირიდოს. იმ დროს, როცა, ჭეშმარიტი რეფლექსია შუძლებელია შეძრწუნებისა და ტკივილის გარეშე. ამიტომაც, მიზრუნება „ინტრაისტორიისაკენ“ მიგელ დე უნამუნოსათვის არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ ეთიკურ მიზნებთან იყო დაკავშირებული: „როცა კაცი თავის თავში ჩაიკეტება, — წერდა იგი ესეში „თანამედროვე ესპანეთის მარაზმისათვის“, — რამდენადაც შესაძლებელია, გაემიჯნება გარე სამყაროს და საკუთარი მოგონებებით, ისტორიით იწყებს ცხოვრებას, მიჰყვება თვითდაკვირვებასა და თვითშემეცნების ინტროსპექტულ კვლევას, მისი შემეცნება ქვეცნობიერის ფონზე ჰიპერტროფირდება, სამაგიეროდ, მდიდრდება ქვეცნობიერი, აცოცხლებს და ახალისებს გარემომცველი სამყაროს აღქმას, როგორც ხდება ხოლმე, როცა მინდორში გასეირნების მერე რაღაც გაურკვეველი



შთაბეჭდილებით ვბრუნდებოთ შინ და სული აღსავსეა ჩვენივე შინაგანი ბუნების არსით, დედა-ბუნებასთან შეხება რომ აცოცხლებს, იგივე ემართება ხალხსაც, ნებაყოფლობითი განცალკევებისა და განდგომის დროს, მის კოლექტიურ სულში ჰიპერტროფირდება ისტორიული შემეცნება სტიქიური ინტრაისტორიული ცხოვრების ხარჯზე, სუფთა ჰაერის უქონლობის გამო, სული რომ ეხუთება; როცა ეროვნული აზროვნება თავს განადიდებს, იგი ახშობს ცხოვრების დაუნაწევრებელ ხმას, თავისთვის, ფარულად რომ მიედინება. არიან ხალხები, რომელთაც თავიანთი ეროვნული ჭიპის ჭვრეტისაგან ჰიპნოზური ძილი ემართებათ და არარასლა ჭვრეტენ.

...უნდა ვირწმუნოთ ჩვენთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა, ვირწმუნოთ, რომ მუდამ დავრჩებით თავისთავადნი და დაე, მოვარდეს გარედან შმაგი თქეში, გვესხუროს მაცოცხლებელი წვიმა“ (უნამუნო 2011: 211-212).

თუ ჩაკვირვებით გადავიკითხავთ ამ, ლამის ერთ წინადადებად და ერთი ამოსუნთქვით წარმოთქმულ ტექსტს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ „გარედან მოვარდნილი შმაგი თქეში“ მხოლოდ იმ ეთნოსისათვის იქცევა „მაცოცხლებელ წვიმად, რომელსაც „ინტრაისტორიის“ შეგრძნება გენეტიკურ მეხსიერებაში აქვს გამჯდარი და ნებისმიერი გარეგანი ცვლილება, „გაახალგაზრდავება“ (თუგინდ — „გავეროპიელება“) არ უქმნის საფრთხეს მის ეროვნულ იდენტობას.

ძნელია ქართველ მკიხველს აქ ილა ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტკა არ გაახსენდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძისა და მიგელ დე უნამუნოს კონცეპტუალურ სიახლოვეზე უაღრესად საინტერესო გამოკვლევა არსებობს (იხ. მერი ტიტვინიძის „ორი იბერიის პრობლემისათვის: „ინტრაისტორია“ და „შიდა-ცხოვრების ისტორია“ წიგნი — მიგელ დე უნამუნო, „ესეები“, თბ., 2011), ხოლო ვაჟა-ფშაველასა და უნამუნოს შეხედულებათა თანხვედრასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურმა წერილმა — „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ 1905 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. ეს ერთგვარად სიმბოლურიც იყო, რადგან სწორედ ამ დროიდან გამძაფრდა ქართულ საზოგადოებაში ინტერესი ეროვნული და კულტურული ორიენტაციისადმი, რომელიც, საბოლოოდ, ფრიად საგულისხმო პოლემიკაში გადაიზარდა ევროპული და ტრადიციული ღირებულებების აპოლოგეტთა შორის (იხ. კრებული — „ევროპა თუ აზია?“, თბ., 1972). ერთნი (პირობითად „ევროპოცენტრისტები“ ვუწოდოთ) ამ დისკუსიაში ეტრფოდნენ „ძლიერი და

სრულქმნილი პიროვნების იდეალს“, მეორენი (პირობითად — „ტრადიციონალისტები“) იშველიებდნენ ოსვალდ შპენგლერიულ შედარებას ევროპისა „ბებერ ფაუსტთან“ (როგორც მოგესხენებათ, შპენგლერიული „ევროპის დასალიერი“ იმდროინდელი ინტელიგენციისათვის საკულტო წიგნი იყო), ან, შეგონებას ილია ჭავჭავაძისა: „გაბედვით შეიძლება ითქვას, რომ ევროპელმა დაგვიხშო ბუნება და შეგვექმნა ძნელად შემგნებელი ჩვენი საკუთრებისა“ (ჭავჭავაძე 1991: 300). ამას წერს ერის ის სულიერი მამა, რომლის მოღვაწეობის დედააზრი, სწორედაც რომ ევროპული ლიბერალიზმის ღირებულებათა დანერგვა გახლდათ, მაგრამ, ილია ჭავჭავაძეს (და, აქვე უნდა ითქვას, ვაჟა-ფშაველასაც) ზუსტად ისეთივე ამბივალენტური მიმართება აქვთ თავის თვისტომთა „გაევროპიელებასთან“, როგორც მიგელ დე უნამუნოს.

1906 წელს გამოქვეყნებულ სტატიის „ევროპეიზაციისათვის“ (რაც იმხანად „გლობალიზაციას“ უტოლდებოდა) უნამუნო წერს: „დროა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას ერთი კარგი გამოცდა მოვუწყოთ და როგორც ნამდვილ ესპანელებს შეგვფერის, საკუთარ თავს ვკითხოთ, მაინც რა ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გარდასახვის ამ იდეებს საერთოდ და კერძოდ ჩვენთვის, სულ რომ ენაზე გვაკერია დიდსა თუ პატარას“.

ასზე მეტი წელი გავიდა ამ სიტყვების დაწერიდან, მაგრამ დღევანდელი ქართული საზოგადოებრის ძირითად პოლემიკურ დისკურსს თუ გავითვალისწინებთ, „ევროპეიზაციის“ პრობლემას თავისი აქტუალობა ოდნავადაც არ დაუკარგავს.

როგორც ჩვენი სტატიის დასაწყისში ითქვა, მიგელ დე უნამუნოს დაბადებიდან 150 წლის იუბილე თანხვდა ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გლობალიზაციის პრიზმებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სიმპოზიუმს. ამასთან დაკავშირებით, დასასრულ, ერთი რამ აუცილებლად მინდა აღინიშნოს: ეს სიმბოლური დამთხვევა რომ არც ყოფილიყო, თქვენს ხელთ არსებულ ტექსტში არაფერი შეიცვლებოდა, რადგან მისი ავტორის პოზოცია გლობალიზაციასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად ემთხვევა დიდი ესპანელის მიერ გამოთქმულ შემოფოთებას.

## **დამოწმებანი:**

**უნამუნო 2011:** მიგელ დე უნამუნო. *ესეები* (ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტ-ვინიქემ). თბ. 2011.

**ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. *თხზულებანი 20 ტომად*. ტ. V, თბ.: 1991.

**NINO BALANCHIVADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **The Moral Phenomenon of the Word**

The essence of literature is the best mean for expressing human statehood, relationship and emotions. Prosperity and fall of the different nations and their historical manifestation is much more apprehensible after acquainting with their literature works. The word is said to be difficult to be kept, if the word is lost the life becomes unbearable and sorrowful.

All patriots should serve their countries they must think about the prosperity and benefit of their nation and fellow citizens, as more they strive for their national development and prosperity.

*Key words: human statehood, emotions, national development;*

### **ნინო ბალანჩივაძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **სიტყვის ზნეობრივი ფენომენი**

ლიტერატურა თავისი არსით საზოგადოებრივი ყოფიერების, ადამიანური ურთიერთობებისა და ემოციების გამოხატვის ნათელი საშუალებაა. ამიტომაც ამა თუ იმ ხალხის კულტურის ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლა, აღზევება თუ დაცემა უფრო და უფრო საცნაური ხდება მაშინ, როცა ეცნობი სხვადასხვა ერის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელიც არა მხოლოდ ერთი ერის კუთვნილებაა, არამედ მთელი სამყაროსი.

ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება. საზოგადოება კი ლიტერატურით სწავლობს ფიქრს სხვის ნაფიქრალზე. და როგორც პურის საჭიროებასა გრძნობს ადამიანი ხორცისათვის, ისე ლიტერატურას უნდა მიიჩნევდეს იგი სულისა და გულისათვის. — ასე სწამდა და სჯეროდა ილია ჭავჭავაძეს (ჭავჭავაძე 1991: 220-222). და ეს მართლაც ასეა.

სხვადასხვა თაობის მკითხველს ხომ სხვადასხვანაირი ლიტერატურული გემოვნება აქვს, გემოვნება კი სუბიექტური ცნებაა, თუმცა ყველა თაობამ კარგად იცის, რომ თავისუფლება არ არის ძღვენი

და განცხრომა; რომ თავისუფლება აზროვნება და გარჯაა; მიზან-სწრაფვით, ნებისყოფით, თავისუფლების წყურვილითა და მისთვის ბრძოლით შესაძლებელია განვითარება და სრულყოფილებამდე მიღწევაც კი.

„ენა აქვს მხოლოდ იმ არსს, რომელიც აზროვნებს“ — აღნიშნავს რობაქიძე თავის წერილში „მიმართვა ქართველი ხალხისადმი“. „პირუტყვით არ აქვთ აზრი, არც სჭირდებათ: ცოდნა ყოფისა და ცოდნა თვითონ მათთვის ერთი და იგივეა. ეაღერსება, მაგალითად, ფაშატი თავის კვიცს, მან იცის აღერსი აქტში აღერსისა. ჩვენ კი მეტყველთ შესაძლოა გვექონდეს აზრი აღერსზე, თვითონ აღერსი კი არა. აქაა ზღვარი მეტყველთა და პირუტყვთა შორის“ (რობაქიძე 2009).

სიტყვა გადვაგდე ერშია,  
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,  
ტანჯულის გულის ნაცრემლი,  
ჯავრით ნაკეები, სნეული...

— ამბობს რა ამ სიტყვებს ვაჟა-ფშაველა, აქვე დასძენს:

რას ვიფიქრებდი, იხარა...  
წვერს მარგალიტი მოისხა,...  
მიხარის, ჩემმა გაზრდილმა,  
რომ ბინა ჰპოვა ერთანა,  
ერთმა სანყალმა სიტყვამა.  
(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 128)

ჰპოვა ბინა, რადგან ეს სიტყვა მასობრივ იდეოლოგიას არ იყო მორგებული. ამ სიტყვამ ადამიანის ცხოვრებას სხვა აზრი შესძინა: იგი შეცნობაა, აღმოჩენაა, თავისუფლება!...

საზოგადოდ ითქმის: მცენარე იზრდებაო; ქართველთა გენია კი იტყვის: „მცენარე ხარობსო“ — აღნიშნავდა გრიგოლ რობაქიძე თავის წერილში „მიმართვა ქართველი ახალგაზრდებისადმი“. — უცხოეთში გადახვეწილ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ რობაქიძეს სწამდა და სჯეროდა, რომ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის-უფალია; როცა იგი ცხოვრების დინებას არ მიჰყვება, ცხოვრობს და არა ცოცხლობს, როცა ხარობს. შესაბამისად, თავისუფლება არის ის ძირითადი და არსებითი ნიშანი, რომლითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველისაგან თავისი ქმედებებით. ის, რაც აქვს ადამიანს, განსხვავებით ცხოველისაგან, არის ცნობიერება. მხოლოდ ცნობიერებას შეუძლია გამოეყოს ადამიანი ბუნებისაგან და დაუპირისპიროს იგი

მას, რამეთუ ადამიანი განიცდის არსებულ მდგომარეობას, ფიზიკური და სულიერი ძალის მობილიზებით კი ჭვრეტს ყოველივეს.

დავტოვე საბჭოეთის „სამოთხე“ და არა ნამდვილი სამოთხე, შეუდარებელი სამშობლო ჩვენი. მონყვეტილი ვარ ჩვენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ. ეს ფესვებია უცხოეთში რომ მაცოცხლებენ (რობაქიძე 2009: 318).

საბჭოეთი დავტოვე იდეოლოგიური მოსაზრებითო, — ამბობდა გრიგოლ რობაქიძე და აქვე კითხვას — რამდენად იყო ჩემი ნაბიჯი მიზანმართებული? — თავადვე სცემს პასუხს: „სხვა იტყოდა, „ისტორიას მივანდოთ ამის გადაწყვეტაო“. მაგრამ ისტორიას არაფერს ანდობდა, რადგან იცოდა, რომ ისტორია ფრიად დაუნდობელი იყო. ამიტომაც თავის გულისნადებს გვიზიარებს პარიზის გაზეთების ქრონიკის („ას დღეთა“ ირგვლივ) ამონარიდების „ნაპოლეონი ახლოვდება“ მაგალითზე:

თებ. 28: **კაციჭამიამ** მიატოვა თავის ბუნაგი.

მარტ. 7: კორსიკელი **მჭამელი** ყოვლისა უკვე “Qolf Juan”-შია.

მარტ. 9: **ვეფხი** მოვიდა “Cap”-ში.

მარტ. 11: **ტირანი** გამოვიდა ლიონიდან.

მარტ. 17: **უზურპატორი** 60 მილითაა დაცილებული სატახტო ქალაქს.

მარტ. 18: **ბონაპარტ** მოდის დიდი ნაბიჯებით — პარიზში ვერ შემოვა.

მარტ. 19: **ნაპოლეონი** ხვალ მოადგება ჩვენს სანგრევებს.

მარტ. 20: **„კაიზერ“** ფონტენბლოშია.

მარტ. 21: მისი **„კაიზერ-კონგის“ უდიდებულესობა** აღიმართა გუშინ მის ერთგულ ქვეშევრდომთა შორის Tuilleries-ში.

აი, რაა „ისტორია“! დააკვირდით ამ ხაზს, სამ კვირაში განვლილს: „კაციჭამიიდან“ „კაიზერ-კონგის“ უდიდებულესობამდე! ამ ხაზს ვერც მომზენი გადმოსცემდა ასე თვალნათლივ და ვერც ომალმაკი — აქ გაზეთების უბრალო ქრონიკა ამეტყველებს თვითონ ხაზს. „მოდი, ბოშო, და დაენდე ესლა ისტორიას!“ (რობაქიძე 2012: 562).

ისტორიას არ ენდობოდა... ახალგაზრდებს უხმობდა: „ახალგაზრდებო! ხალასო ნერგებო, საქართველოს მომავლისა! გესმით? გისმობთ ქართველი მწერალი, რომელსაც მწერლური გეზით ჯერ კიდევ მარდათ აქვს ამართული მარჯვენათი მზიურ მენამული ალამი საქართველოსი. ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერთად გადასძახეთ მშობლიურ მთა-ველებს: მზეგრძელ იყავ საქართველო!“ (რობაქიძე 2009: 321).

ადამიანის შემოქმედების აქტივობისათვის აუცილებელი იყო და არის როგორც ფიზიკური თუ სულიერი მობილიზება-ამოქმედება საჭირო მიმართულებით და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის

ცნობიერების შემმეცნებელი მხარე — გონება, ისე ემოციური მიმართება — გრძნობა. გრძნობაც, ინტელექტიც და ნებელობაც ცნობიერებაა, მაგრამ თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთმანეთზე დაუყვანადია. ფუნქცია, რომელსაც ასრულებს გრძნობა, შეუსრულებადია გონების მიერ და პირიქით, ისევე როგორც, რასაც ემსახურება ცნობიერება როგორც გონება, მისი შესრულება ნებელობას არ შეუძლია.

სწორედ ინტელექტუალურის, გრძნობად-ემოციურისა და ნებელობითის ერთიანობა განაპირობებს ადამიანის სპეციფიკურ მიმართებას სამყაროსადმი. თუ ცხოველის მიმართება რეალობისადმი ფაქტობრივად უცვლელია ათასწლეულების განმავლობაში და მას მუდამ ერთი და იგივე მოთხოვნილებები აქვს, ადამიანს სწორედ ცნობიერების საფუძველზე უყალიბდება სინამდვილის მიმართ სპეციფიკური ადამიანური მოთხოვნილებები და პრეტენზიები, რაც მას აძლევს შესაძლებლობას საკუთარი აქტივობა ახალი ღირებულებების რეალიზაციისაკენ წარმართოს (ამაღლობელი 2007).

ადამიანის აქტივობა — მისი შინაგანი ე. წ. ბუნებითი შჯული (მიძინებული ან აქტიური) განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობას გარე სამყაროსთან და, ამასთანავე, ეხმარება ცხოვრების საზრისის გარკვევაში. ეს სულის თვისება ზნეობაა, რადგან აქვს საკუთარ თავზე ძალაუფლება, თავისუფალი ნება და არჩევანი იმოქმედოს იმპულსებით, ინსტიქტებითა თუ გონებით. გონებით მოქმედებას თავისუფალი ნება სჭირდება, თავისუფალი ნების გამოხატვას კი — გამბედაობა.

მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა მხოლოდ, მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერი-წერდა კონსტანტინე გამსახურდია (გამსახურდია 1984: 11) მართლაც რომ გმირობის ქომაგია მწერალი, სიტყვა ნათელი უნდა მოჰფინოს ერს:

არა მარტო ტკბილ ხმებისთვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.  
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის  
მინიერი ზეციერსა;  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარუძღვე წინა ერსა.  
(ჭავჭავაძე 1984: 66)

სწორედ რომ ესაა მწერლის დანიშნულება!

სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, იგი მარადიულია სიტყვა ადამიანის სულის ნაწილია. მისი მეშვეობით იღვრება სულში აზრები, შეგრძნებები, განცდები, გრძნობები ადამიანი, ცოცხალ არსებათა შორის ერთა-

დერთია, რომელსაც ღმერთმა სიტყვის წარმოქმნის უნარი მიანიჭა; სიტყვისა, რომელიც მარადისობად იქცევა, თუმცა ხშირად ადამიანი ფუჭსიტყვაობს: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა, ტკბილი სიტყვა რა არისო! — ამ გამწარებულს ნუთის-სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს!“ — ამბობს ილია. „ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის — ფხანა რალა დარდუბალაა. ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება... ფხანა გულისა რის მაქნისია, უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევენებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ, თუ ნუთის-სოფელს ერთს ბენო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა (ჭავჭავაძე 1984: 450-451).

სიტყვა მდუმარებაშიც არის. სამწუხაროა, რომ ხშირად სიტყვა კარგავს ყველანაირ ღირებულებას. ზოგჯერ, სიტყვა ისე წარმოითქმის, რომ მისი მნიშვნელობაც კი გაუგებარია. ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა: სანამ სიტყვას იტყვი, შენ ხარ იმ სიტყვის პატრონი, მაგრამ სიტყვას რომ იტყვი, მერე უკვე ის სიტყვაა შენი პატრონიო. სიტყვით შესაძლებელია ადამიანის ამაღლება, განწმენდა და გაკეთილშობილება. შესაძლებელია შესძინო მას რწმენა, სიხარული და სიმხნევე, ჩანერგო მასში სიყვარული და გულმონყალება, მომადლო მის სულს მშვიდობა და სიმყუდროვე. სიტყვას ადამიანის გადარჩენა შეუძლია ავსიტყვაობით კი შეიძლება მოშხამო სული, შეჰყარო მას ყველა სახის ვნება, ცოდვა და მანკიერება, შებილწო წმინდა გული. ავ სიტყვას ადამიანის განადგურება შეუძლია, კაცის მოკვლა ძალუძს. ამიტომ, თითოეულ სიტყვას განსჯა სჭირდება, „ილაპარაკე, თუკი მდუმარებაზე უმჯობესი იცი და სათქმელი გაქვს, მაგრამ გიყვარდეს ღუმელი, როცა ის თქმას სჯობს“:

რამდენ სიტყვასაც ვიჭერ კბილებით —  
იმდენ ტკივილს ვიგუბებ გულში...  
სიტყვა ძნელი შესანახია...

(არაბული, <http://lib.ac.ge>)

და ამ სიტყვამ თავისი სათქმელი უნდა თქვას ყველგან, ყოველთვის, რათა ტკივილი მწუხარებაში არ გადაიზარდოს და ცხოვრება გაუსაძლისი არ გახდეს. სწორედ ესაა სიტყვის ზნეობრივი ფენომენი, რამეთუ სიტყვები უკვალოდ არ ქრება, უკან უბრუნდება მთქმელს. ადამიანები უფრო დიდხანს იცოცხლებდნენ, ბევრი თბილი სიტყვა რომ ესმოდეთ ახლობლებისგან. ალბათ, არც კი დაბერდებოდნენ. კეთილ სიტყვას ყველაფერი შეუძლია: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ (რუსთაველი 1986: 288). ადამიანის მიერ წარმოთქმული

ყოველი სიტყვა, ისევე როგორც მარცვალი მთესავის იგავში, პოხიერ ნიადაგზე რომ დაეცემა, იძლევა ნაყოფს: ზოგი — ერთიოცდაათად, ზოგი — ერთისამოცად, ხოლო ზოგი — ერთიასად. სიტყვა უნდა იყოს სიკეთის, სიყვარულის, სითბოს, ყოველგვარი სათნოების სათავე, ღმერთისაც კი, ადამიანისათვის უდიდესი საჩუქარია გულიდან წამოსული თბილი სიტყვები (სიტყვის ძალა, <http://natiagogiashvili.wordpress.com/2011/06/06/>); ის თბილი სიტყვები, რომლებიც ერის სულისკვეთების გამომხატველია; ის თბილი სიტყვები, რომლებიც სიცოცხლეს იღუმალ ძალას ჰმატებს.

სტატიაში „ურწმუნო მწერლებს“ არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს: „იმ-აზე ადვილი არაფერია, მიადგე ღარიბი და დაჩაგრული კაცის კარს და დაიწყო ქვითინი — რა ხარ, რა ადამიანი ხარ, შენს ქოხში ბნელა, შენს ირგვლივ ოხვრაა, შენს გულში სევდაა... [მწერლის] სიმამაცე და სიყოჩაღე ის არის, როდესაც გულგატეხილ ადამიანს ეტყვი — წარბებს ნუ იკრავ, გაიცინე და გაუღიმე მზეს, რომელიც ასეთის სიუხვით აბნევს ირგვლივ სითბოს და სინათლეს, გაჰხედე ლაყვარდ ცას, სადაც ვარსკვლავნი ციმციმებენ, ჩაიხედე შენს გულში, სადაც ღრმა აუზია სიყვარულისა, რომელსაც აღმოჩენა სჭირია; სიყვარულისა, რომელიც ათბობს დაობლებულ გულს და დავრდომილს ადამიანად ხდის“ (ჯორჯაძე, <http://presa.ge/new/?m=lit&AID=12448>); იმ ადამიანად, რომლის გულის სიღრმეშიც დულილია, შეუწყვეტელი ძგერაა; შეუწყვეტელი გამორკვევა და გამოსახვაა სიცოცხლის საიდუმლოებისა, ცხოვრების დაფარული აზრისა. ეს გამორკვევა და ეს გამოსახვა თითქოს ცნობიერების მიღმა იმყოფებოდა, მაგრამ სიტყვის იღუმალი ძალა ისეთი ძლიერია, რომ ცნობიერება ნათელით აუციებლად მოიფინება.

## დამოწმებანი:

**ამაღლობელი 2007:** *ამაღლობელი ხ. კულტურა როგორც ადამიანური რეალობის განმსაზღვრელი ფენომენი. კულტურათაშორისი კომუნიკაციები № 2*, <http://www.nplg.gov.ge>, 2007

**არაბული:** არაბული კ. სიტყვა. <http://lib.ac.ge>

**გამსახურდია 1984:** გამსახურდია კ. *დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა*. თბ.: „განათლება“, 1984.

**ვაჟა-ფშაველა 1961:** ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*. ტ. I, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1961.

**რობაქიძე 2009:** რობაქიძე გრ. *მიმართვა ქართველ ხალხს*. საქართველოს მაცნე. თბ.: 2009.

**რობაქიძე 2012:** რობაქიძე გრ. *ხუთტომეული*. ტ. V. თბ.: ლიტერატურის მუზეუმი, 2012.

**რუსთაველი 1986:** შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი*. თბ.: „განათლება“, 1986.



სიტყვის ძალა 2011: <http://natiagogiashvili.wordpress.com>, 2011. 06. 06.

ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი. *წერილები ქართულ ლიტერატურაზე*. ოცტომეული. ტ.V. თბ.: „მეცნიერება“, 1991.

ჭავჭავაძე 1984: ჭავჭავაძე ი. *ოთარაანთ ქერივი*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1984.

ჯორჯაძე: ჯორჯაძე ა. <http://presa.ge/new/?m=lit&AID=12448>.

## **NINA BARKOVSKAYA**

*Russia, Yekaterinburg*

*Ural State Pedagogical University (USPU)*

### **Contemporary Literary Guidebook: the Way to Explore a Foreign Cultural Space**

The report considers the ways of representing of different countries cultures in P. Vail, A. Genis and E. Klyuev books. All these books were written by modern Russian writers in exile. P. Vail in “Genij mesta” (“The Genius of Place”) represents the country in terms of its cultural hero – genius, closely associated with the material medium. A. Genis in “Kolobok” creates an image of the country through its national cuisine, gastronomic journeys and table talks. E. Klyuev’s “Stranovedenie”, subtitled “Textbook of life (overseas)” is engaged in the language game, often absurdist. All books were created for the Russian readers, refer to the popular literature, but differ in the conceptual depth, and to some extent parodying traditional guidebooks, charged with practical information.

*Key words: contemporary Russian literary, travelogue, literature of emigration*

## **Н.В. БАРКОВСКАЯ**

*Россия, Екатеринбург*

*Уральский государственный педагогический университет (УрГПУ)*

### **Современный литературный путеводитель: варианты освоения инокультурного пространства**

В современной российской прозе резко возрос интерес к литературе нон-фикшн, «литературе факта». Аналитика причин данного явления не входит в нашу задачу, отметим только, что это связано, не в последнюю очередь, с завершением советского периода в истории России, стремлением

разобраться в сути прошедшего периода и современного этапа, нащупать какие-то ориентиры и перспективы. По мнению Бориса Дубина, «литература факта приходит тогда, когда возникает свобода хотя бы в какой-то мере, разнообразие, какое-то движение. <...> Мне кажется, что для очерка, для литературы факта, для кино факта нужна некая вера в реальность. Не в то, что тебе предъявлено напрямую, реальность как раз может оказаться за этим, и даже глубоко запрятанной, но вера в то, что реальность есть» (Дубин 2011).

Как известно, познать себя в целостности и завершенности, как писал об этом М. М. Бахтин, можно только через диалогическую обращенность в Другому. Такую возможность дают получившие самое широкое распространение в современной России травелоги – путеводители\*. Распространение травелогов в конце XX – начале XXI вв. связано с возможностью россиян путешествовать (ввиду «открытости» границ и роста благосостояния), ездить в командировки, в отпуск, работать по контракту в других странах.

Путеводители для туристов готовят путешествие: сообщают о ценах на гостиницы, о маршрутах транспорта, о возможностях шопинга, пляжах и достопримечательностях. Литературные травелоги, при всем их разнообразии, это описание уже проделанного путешествия, рассказ о впечатлениях от путешествия. Читатель может вовсе не стремиться вслед за автором побывать в той или иной стране, но получает удовольствие от процесса чтения, от знакомства с фигурой путешественника-рассказчика, от художественной выразительности созданного в книге образа той или иной страны.

Дмитрий Бавильский, завершая свое «путешествие» по травелогам – от Карамзина до Битова – подчеркивает, что «каждый творит собственные пространственные рисунки» (Бавильский 2013:348). И это позволяет читателю вырваться из стандартизированного существования, при котором «все наши перемещения, в основном, не про поиск нового и расширение уже существующего порядка, но про радость возвращения к привычному»

---

\* Травелогам посвящена солидная исследовательская литература: Эткинд А. Толкование путешествий. Россия и Америка в травелогах и интертекстах. М.: НЛЮ, 2001. 496 с.; Эткинд А. Невозможность путешествий. М.: НЛЮ, 2013. 360 с.; Белые взгляды. Новое прочтение русских травелогов первой трети XX века. М, 2010, 400 с.; Литература путешествий: культурно-семиотические и дискурсивные аспекты. Сб. науч. статей / под ред. Т.И. Печерской. Новосибирск: «Гаудеамус», 2013. 592 с.; Сид И.О. «Власть маршрута»: путешествие как фундаментальный антропологический феномен // Труды русской антропологической школы. Т. 13. 2013. С. 27-35; Мамуркина О.В. Травелог в русской литературной традиции: стратегии текстопорождения // Филологические науки. Вопросы теории и практики. 2013. № 9. С. 227-234 и др.

(Бавильский 2013:351), в свою рутинную обыденность. Травелоги оттеняют чужеродным опытом наш собственный – «те самые сферы и области жизни, которые помогают нам утверждать собственную самость с помощью других...» (Бавильский 2013: 351).

Мы выбрали три книги, рассказывающие о дальних странах, для того, чтобы показать, что на первом плане оказывается именно персона *путеводителя*, ведущего нас по *другой* стране, а приводящего к осознанию *самих себя*. Петр Вайль, живший с 1977 г. в Нью-Йорке, а с 1995 – в Праге, написал замечательную книгу «Гений места» (Вайль 2006). Перу Александра Эткинда, эмигрировавшего из России в 1990 г., принадлежит книга «Колобок. Кулинарные путешествия» (Генис 2007). Житель Копенгагена Евгений Клюев – автор книги «Странноведение. Учебник жизни (за рубежом)» (Клюев 2006). Для наглядности сопоставления авторских стратегий рассмотрим образ одной и той же страны – Норвегии, представленный этими тремя авторами.

Петр Вайль в своей книге сосредоточен на больших и малых городах, поскольку именно город является средоточием культурной жизни народа. Его рассказы, точнее, путевые заметки или эссе, демонстрируют связь человека с местом его обитания. Наиболее полно эту связь интеллектуальных, духовных, эмоциональных особенностей с материальной средой выражает выдающийся художник, писатель, композитор, архитектор – «гений места». Лев Лосев назвал стиль Вайля «поэтикой цивилизации». Глава, в которой рассказывается о Норвегии, называется «Сказки народов Севера», и не только потому, что речь сначала идет о Г.-Х. Андерсене, но и потому, что автору важно подчеркнуть экзотичность и легендарную древность этой земли, а также тот факт, что старина – сохранилась: «В Осло встреча города с морем сохранила естественность старины. Это столица простоватая, с неким деревенским налетом <...>, начисто лишенная важности и помпезности, оттого – обаятельная» [Вайль 2006:365]. Гением Осло стал Эдвард Мунк, «беззаконно», «сказочным образом» появившийся в Осло; глава о столице Норвегии называется «Автопортрет на фоне фьорда». Уже заглавие несет в себе двойственную семантику: и Мунк, как сообщает Вайль, любил рисовать свои автопортреты, и сам рассказчик выражает себя, свое «я» на фоне самой красивой северной страны.

Весь очерк построен на параллели между пейзажем и живописью Мунка. Плавные, волнистые и параллельные (насколько могут быть параллельными кривые линии) берега Осло-фьорда. Горы со снежными вершинами, черные ниже и лесистые внизу. Темно-вишневые домики с зелеными крышами, «радикально зеленый» цвет воды. И хотя пейзажи Мунка производят

впечатление абстрактных, они точны: «во всех двух тысячах картин и пяти тысячах рисунков у Мунка нет ни одной прямой линии» (Вайль 2006:372), а красочные цветовые пятна участвуют у него в повествовании наряду с линиями, «такого равноправия фигуративного и абстрактного в пределах одного холста не достигал никто из живописцев» (Вайль 2006:366). Вайль отмечает экспрессионизм Мунка, нервность его стиля, эротизм, тягу к смерти. В какой-то степени, это тоже навеяно пейзажем, приводится рассказ Мунка о толчке к написанию его самой знаменитой картины «Крик»: на закате он увидел над фьордом кроваво-красные облака, ему показалось, что он слышит крик природы. Трагичны события биографии художника: его мать умерла, когда ему было пять лет, позднее умерла сестра Софи, ей посвящена картина «Больной ребенок». Одиноким среди современных художников, Мунк, по мнению Вайля, ближе всего к Кьеркегору.

Но смерть не только уничтожает, но и сохраняет: от легендарных викингов сохранились деревянные церкви, великолепные саги (благодаря заброшенности Исландии), а вот из кораблей – только те, на которых не воевали, а хоронили.

Упоминает Вайль и особенности скандинавской кухни, в которой присутствуют форель, треска, но главное – «богатый в нюансах и обертонах джазовый обыгрыш темы лососины», а все оттенки красного мыса лосося – от бледно-розового до красно-багрового – ассоциативно возвращают читателя к живописи Мунка (Вайль 2006: 374).

Третья сквозная тема в очерке – родственная близость русскому Северу. Сначала упоминается, что круг Мунка увлекался кропоткинским анархизмом, приводится высказывание художника: «Кто опишет этот русский период в сибирском городке, которым Осло был тогда, да и сейчас?». Трагедийность мироощущения сближает Мунка с Достоевским, а тема тотального одиночества человека – с Чеховым, как и сочетание полного реализма с таинственностью. Церкви викингов, построенные без единого гвоздя, напоминают Кижи. Шутливо говорит Вайль о солидарности северян, ценящих крепкое спиртное (очень дорогое или запрещенное в Норвегии). Деревянный, «словно из сна или песни», город Берген опять же напоминает о ганзейской Риге (родном городе Вайля). Одним из четырех центров Ганзейского союза был Новгород, богатый, сильный, процветающий порт на русском севере. Если бы Грозный не раздавил Новгород, Петру не пришлось бы строить Петербург – и кто знает, как бы развивалась дальше русская история. Покидая Осло на комфортабельном пароме, рассказчик обменивается репликами с датчанами: три века, до 1924 года, Осло назывался Кристианией по имени датского короля; в России в

этом же 1924 году переименовали двухвековую столицу. «О, у нас, северян, так много общего, за это стоит...», и все выпивают под лососину «За наш общий север» (Вайль 2006: 376).

Тему кулинарии подхватил близкий друг и многолетний соавтор Вайля Александр Генис. В предисловии к своей кулинарной географии «Колобок» Генис говорит о своей страсти к путешествиям, а транзит обостряет вкус, так что дорога сулит приключения и духа, и плоти. Кроме того, только кулинария может собрать за одним столом все особенности национальной культуры, выболтать интимную историю страны. Кулинария соединяет местную природу и локальную культуру. Наконец, чужой обед, уверяет автор, ломает наши стереотипы, заставляет взглянуть на мир по-новому.

ქალების სევდიანი ჰანგები, „უსიტყვო, დარდიანი და განწირული“, ისეთივე მღვღვარე, როგორც ზღვა. „ყოველთვის ვცდილობდი ქალაქი გამომეგონა და უკვე გამოგონილი კი ყოფილიყო“ (მორჩილაძე 2004: 10), — აღნიშნავს ერთგან ავტორი, რითაც ხაზს უსვამს ნარატივის კარნავალურ და, იმავდროულად, ირეალურ ბუნებას. მოგვიანებით კი დასძენს: „იქაური ცხოვრება სინამდვილითაა სავსე“. საკითხავია, რა „სინამდვილეზე“ საუბრობს ავტორი, როდესაც მის მიერ გამოგონილ კუნძულსა და სატახტო ქალაქში თავს მოუყრის საკმაოდ არაორდინარულ პერსონაჟებს: პოეტ მაფეო ტანელს, რომელიც გიორგი ლეონიძესაც ჰგვავს და ნიკო სამადაშვილსაც; თბილისელ მეცნიერს, სანტა ესპერანსას მკვლევარს ვალოდია ნებერიძეს, რომელიც გალაკტიონსაც ჰგავს და პავლე ინგოროყვასაც (ხარბედია 2005: 167), ხეტას, რომელიც ლუარსაბ თათქარიძესავით „ყალიონს აბოლებს და ცას შესცქერის, თავქვემ ამოუდია ერთი ხმარებისგან შუაზე განყვეტილი მუთაქა და ასევე ბატკნის ხუჭუჭა ტყავის ბობოხიც“ (მორჩილაძე 2008: 253). ჩანს, სანტა ესპერანსა და მისი დედაქალაქი, სანტა სიტი იმდენად მოხერხებული ანტიურაჟი გამოდგა ავტორის ფანტაზიის ხორცშესასხმელად, რომ აკა მორჩილაძე კიდევ არაერთგზის დაუბრუნდება მას („მესაიდუმლის ქამარი“, „Made in Tiflis“, „მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთი“), რათა მორიგ ჯერზე გადოს უხილავი ხიდი რეალურსა და გამოგონილს შორის და ამ გარემოს ნოსტალგიით შეპყრობილი მკითხველი კიდევ ერთხელ ამოგზაუროს დრო-სივრცის იდუმალ, დახლართულ ლაბირინთებში.

ამ ხიდის როლს რომანში ასრულებს რამდენიმე მეტატექსტი, რომლებიც წარმოაჩენს დიქოტომიას რეალურ და „ალტერნატიულ“ საქართველოს შორის (ბუ ვისრამიანისა და ნიკა აბაიშვილის თავგადასავლები). რაოდენ გულშიჩამწვდომი და ტრაგიკულიც არ უნდა იყოს ეს ისტორიები, მკითხველს გამუდმებით უნდა ახსოვდეს, რომ ეს ყოველივე თამაშია, სანტა ესპერანსაზე გავრცელებული ბანქოს, ინტის, პრინციპზე აწყობილი. შესაბამისად, რომანს არა აქვს ერთხელ და სამუდაოდ ჩამოყალიბებული კონსტრუქცია: მას გინდა წაღმა წაიკითხავ, გინდა უკულმა, მასში მოთხრობილ ისტორიებს კი როგორც გინდა, ისე დაალაგებ, ბანქოს ფერების მიხედვით, რომელთაც მეტად შთამბეჭდავი სახელწოდებები აქვთ: კობტა (გული), კაი (აგური), გლახა (ჯვარი) და ავი (ყვავი) (სერჯიო ლეონეს ცნობილი ფილმის რემინისცენცია, ცხადია, სახეზეა). ნიშანდობლივია ისიც, რომ კუნძულიდან საქართველოში გამომგზავრებულ ავტორს, რომელიც შთაბეჭდილებების თავმოსაყრელად და მათ ქალაქადზე გადმოსატანად ლონდონში „შეივლის“, იმ, „იდეალური სამყაროს“ სამახსოვროდ (რომელიც ართუ

მთლად იდეალურია) სწორედ ინტის ქალაქის მოაქვეს, საგანგებოდ მისთვის დამზადებული, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ „რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა თამაში“.

ზაზა ბურჭულაძის რომანში „ადიბასი“ მოქმედების ასპარეზი არის თბილისი, — ერთი პატარა ქალაქი, რომელშიც „ვერც ტერორისტებმა ჩადგეს ფეხი, ვერც კოკაინის დილერებმა, ვერც პაპარაცებმა, ვერც იელოველებმა და ველარც ზანგმა სტუდენტებმა — თეთრი ბოტასებით (თურქი გასტარბაიტერები არ ითვლება), რომლებიც ყველაზე მკაცრ პირობებს ეგუებიან ხოლმე, როგორც ვირთხები. ანუ ყველამ, ვისი არსებობაც ნებისმიერ დედაქალაქში (XXI საუკუნეში!) უბრალოდ აუცილებელია. თუნდაც მარტო ფასონის გამო“ (ბურჭულაძე 2009: 120). მართალია, ამ ქალაქის ცენტრალური პროსპექტის დასაწყისში თავს იწონებს მაკდონალდსის შთამბეჭდავი სამსართულიანი რესტორანი (ყველას ახსოვს თბილისის მოქალაქეთა საკმაოდ სოლიდური ნაწილის (რომლებიც დღეს ალბათ ანტიგლობალისტებად მოიწონებდნენ თავს) რაგვარი ხმაურიანი პროტესტი მოჰყვა ამ რესტორნის გახსნას, თუმცა ფასტ ფუდის ამ პირველი თბილისური „მერცხლის“ მონინალმდევით არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ არც შენობის არქიტექტურულ იერსახეზე, არც, ზოგადად, მაკდონალდსის ქსელისა თუ მისი პროდუქციის საზიანოობაზე, არამედ მთავარ არგუმენტად მოჰყავდათ ამ დაწესებულების შეუსაბამობა რუსთველის სახელთან, ზოგადად, კონკრეტულად კი — მის ძეგლთან), „მაგრამ ამ ქალაქში ფალაფელის ჯიხურებისთვისაც კი ვერ მოიძებნა ადგილი. რომ არაფერი ვთქვათ სექს-შოფზე, ცენტრიდან შორს, სადმე მიყრუებულ ჩიხში მაინც რომ ჩაედგათ, ერთადერთი და თუნდაც ფარდულის სახით. მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმის ქერქი მეტისმეტად მდგრადი აღმოჩნდა“ (ბურჭულაძე 2009: 120).

ამავდროულად, თბილისი „ყალბი, ერთგვარი ჰიპერრეალური მუტანტების ქალაქია, სადაც რომანის სახელწოდებიდან გამომდინარე (რომანის დასაწყისში ავტორი იძლევა Adibas-ის განმარტებას, რომელიც ერთგვარი ეპიგრაფის ფუნქციას ასრულებს: **„ადიბასი“: 1. ყალბი ადიბასი. 2. ზოგადად სუროგატი, იმიტაცია. 3. ნებისმიერი ყალბი, ფალსიფიცირებული რამ : ნივთი, საგანი სიტუაცია, მოვლენა და ა.შ.**), ყველაფერი ერზაცია, გაყალბებულია ბრენდებით დაწყებული და ყოველდღიური ცხოვრებით დამთავრებული“ (ლომიძე 2010: arilimag.ge).

მიუხედავად იმისა, რომ რომანში საერთოდ არ არის ბატალური სცენები, ომი ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, ოღონდ ეს არ არის მთლად ორდინარული ომი, როგორც, თუნდაც, თბილისისა ან აფხაზეთისა: „ომი იყო ტელეეკრანიდან, რადიოდან, კომპიუტერის



ეკრანიდან, ჰაერში, ყველას სამეტყველო აპარატში, მაგრამ ომი არ იყო სინამდვილე, ეს არ იყო თბილისური ომი, ომი იყო სადღაც და, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი დაიღუპა და საშინელება იყო, ეს არ იყო თბილისური ომი, ეს იყო ომი მედიაში, მედიაში“ (ბურჭულაძე 2009).

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 2001 წლის 11 სექტემბერი და ტრაგიკულ მოვლენათა ამსახველი „პირდაპირი რეპორტაჟი“ მან-ჰეტენიდან, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტელეეკრანების წინ გარინდული, ნანახით გაოგნებული მაყურებელი თავდაპირველად ვერც კი მიხვდა, ეს საშინელი კადრები რელობა იყო თუ რომელიმე ჰოლივუდური თრილერის ფრაგმენტი. 11.09.2001 მსოფლიომ გლობალურ კატასტროფად აღიქვა, რის შედეგადაც მთელი ცივილიზებული სამყარო დაირაზმა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის საპირისპიროდ 08.08.2008 (რაც, სხვათა შორის, ერთ-ერთი თავია რომანისა), მიუხედავად დასავლეთის სიტყვიერი მხარდაჭერისა და მედიაექსტრალურობისა, უფრო ლოკალურ პრობლემად მიიჩნეს, ვიდრე გლობალურად. რომანში აღწერილი ომიც „მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი კომპიუტერების მოციმიციმე მონიტორებზე ასახული თამაშია, რომელსაც ჩვენ თვითონ ვმართავთ. იქნებ ამით აიხსნას გულგრილობა, ან, უფრო, გრძნობების დაჩლუნგება, რაც ყოველ სტრიქონში ცხადდება... ეს ომი იჭრება ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ ფიზიკურად არ გვეხება, ისევე როგორც ფეისბუქის თამაშები ვიტრაჟიდან კედელზე დამონტაჟებულ ეკრანზე“ (ლომიძე 2010: arilimag.ge). „ვხედავ, როგორ გდია სისხლით სახემოთხვრილი ვიღაც ბებია ცეცხლნაკიდებულები კორპუსის წინ და კამერისკენ უმწეოდ იშვერს ხელებს. იქვე ნითელი ჯვრის მანქანაა აყირავებული, გვერდით ცარიელი მიკროავტობუსი ბოლავს — ბორბლები დამწვარი აქვს. შუა კადრში სტალინის ძეგლი ხელუხლებლად დგას. როგორც ჩანს, გორის კადრებია. ბელადის ძეგლს დღესდღეობით მარტო იქ თუ ნახავ. სადღაც უკან წახრილი ჯარისკაცი მირბის ავტომატის კაკანით. ეკრანს ქვეშ მორბენალი სტრიქონი მიუყვება: „...გახსენი ანაბარი 16 დეკემბრამდე თიბისი ბანკში და მოიგე 10 „მერსედესიდან“ ერთ-ერთი ან მთავარი პრიზი — 1000000 ლარი. გახდი მილიონერი თიბისი ბანკთან ერთად!..“ (ბურჭულაძე 2009: 175-176).

არადა რუსის ჯარი უკვე ქალაქშია შემოსული, „დანადგომია სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, ვარაზისხევის აღმართი ზოპარკის მხრიდან და კოსტავას ქუჩა კინოთეატრ «ამირანთან»...“ (ბურჭულაძე 2009: 201), ორმოცდამეორე დღეების მოტომსროლელი ბატალიონი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიუყვება, ბლოკ საგუშაგოები პეკინის ქუჩის დასაწყისში და საზოგადოებრივ მაუწყებელთანაა გახსნილი, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ბომბები ცვივა, იბომბება გაგარი-



ნის მოედნისა და საბურთალოს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაც. თუმცა ომი ვერაფერს ცვლის ქალაქში, რომელშიც გაუმართავთ ლხინი ჟამინობის დროს: **ქართული გლამური** ისევ იკრიბება შარდენზე („სადაც ყოველი მეორე პარიზის, ლონდონის და მილანის დეფილევებზე გასამგზავრებლად გამზადებული ყოფილი ბომჟია“), დადის სახინკლევებში, საკონდიტროებში, სადაც გაჩხერილზე/მონეულზე/ნაყნოსზე შეგიძლია უზომოდ ჭამო კრუასანები ალუბლის ჯემით, ქიშმიშით, ვანილის კრემით, მარციპანით, შოკოლადით. ვაკის საცურაო აუზი სავსეა სილიკონის მკრედიანი ბანდიტთა ქვრივებით, ბიზნესმენების ცელულიტისანი ცოლებით და ბარბი-გოგოებით“ (ხარბედია 2010: <http://www.radiotavisufleba.ge/content/blog/1949147.html>).

იქ, სადაც ხდება კულტურულ ფასეულობათა დევალაცია და ეს ფასეულობები მასობრივი ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცევა, საზოგადოებას გართულება აქვს დასახელებებზე („ფორმებზე“) და ეს 80-იანებიდან გამოყოლილი ქალაქური სენი ზაზა ბურჭულაძის რომანის მამოძრავებელ ძალად იქცევა. ნანარმოების ცენტრალურ თავში, რომელსაც, ისევე როგორც რომანს, **ადიბასი** ჰქვია, მხოლოდ ბრენდებია ჩამოთვლილი. ყველა ესენი დიდუბის მეორადებშია თავმოყრილი და არა ვერავაკის საფირმო მაღაზიებში, „თუნდაც მარტო იმიტომ, რომ აქ ისეთი რამის ყიდვა შეიძლება, რაც იმავე მაღაზიებში უბრალოდ არ იშოვება. და თუ იშოვება, ჩამოფასებულსაც კი ისეთი ფასი ადევს, უცხოპლანეტელი თუ განვდება. მაშინ როცა ზუსტად იგივე საქონელი წერეთელზე თითქმის უფასოდაა“ (ბურჭულაძე 2009: 45)\*. **შესაბამისად, რომანში აღწერილი თბილისელების ყოველდღიური ცხოვრება ორმაგად ყალბია, — ერთგვარი იმიტაციის იმიტაცია, — ადიბასის ადიბასი, ან კიდევ Giorgio Armeni (ბევრი თბილისსაც სომხების ქალაქად უფრო მიიჩნევს, ვიდრე ქართველებისად), ისევე როგორც ყალბია თბილისი, ერთგვარი ჰიპერრეალისტური ქალაქი, უშინაარსო, ინდიფერენტული**

\* მაგალითად, თუ გინდა *Louis Vuitton*-ის დიპლომატი მოოქროვილი კუთხეებით 15 ლარად ან *Manolo Blahnik*-ის შავი ზამშის ჩექმა ოცდახუთად (ოცში იძლევიან) ან *A. Testoni*-ს ტყავის მოკასინები თუმნად, უბრალოდ ხელები უნდა დაიკაპინო, არქეოლოგის მოთმინებით აღიჭურვო და გულმოდგინედ ქექო და ჩხრიკო ფუთები. სამაგიეროდ, *Vivienne Westwood*-ის პალტო გინდა, *John Varvatos*-ის ბლენიერი, *Salvatore Ferragamo*-ს მანჟეტები, *Bottega Veneta*-ს საფულე, *Peachoo+Krejberg*-ის ქამარი, *Issey Miyake*-ს პერანგი, *Yves Saint Laurent*-ის ფილეთი თუ *Paul Smith*-ის ბამბის შორტი ან *Kiminori Morishita*-ს ორგანზას ტრუსი (2 ცალი ლარად), ასევე *Michael Kors*-ის ამაზონური ნიანგის ტყავის ქამარი თუ *Brunello Cucinelli*-ს წითელრომბიანი ლურჯი წინდები, ყველაფერი ეს დიდუბის მეორადებში უბრალოდ ყრია. *Lanvin*-ს მაისურებზე, *Missoni*-ს შარფებზე, *Pal Zileri*-ს პერანგებზე, *Prada Sport*-ის ბოტებზე, *Krizia Uomo*-ს კედებზე (თუმანს აფასებენ და შვიდ ლარში იძლევიან) და *Dirk Bikkembergs*-ის ფაშის-ტურ ქურთუკებზე ლაპარაკიც შედმეტია (ბურჭულაძე 2009: 146).

და დამყოლი, როგორც პლასტელინი; „ნებისმიერს შეუძლია მისი თავის ნებაზე გამოძერწვა, გაფერადება, გაუპატიურება, და რაც მთავარია — გაყალბება. თვითონაც თითქოს გთხოვს, მოგმართავს, გიბრძანებს, რომ გააფერადო, გააუპატიურო და გააყალბო“ (ბურჭულაძე 2009: 174). აქედან გამომდინარე, რომანის მთავარი პერსონაჟებიც სუპერგმირების იმიტაციებია მხოლოდ, ვინაიდან როგორც მთხრობელი ამბობს: “No one can be the hero in fake city”. ბუნებრივია, ჩვენც, მკითხველსაც, მთხრობელის მსგავსად, შეიძლება გაგვიჩნდეს შეგრძნება, რომელიც კვლავ ბახტინისეულ კონცეპტს მოგვაგონებს: „თვითონ ომია სექსის იმიტაცია, ან პირიქით – სექსი ომის იმიტაცია, სადაც სექსი და ომი დაწყვილებულია“ (ლომიძე 2010: arilimag.ge). თანაც რეალური ომი ვირტუალური ომით იცვლება, იქცევა რა საკუთარი თავის სიმულაციად, რომელიც მის უკან არაფერს მალავს, გარდა სიცარიელისა. აქედან მომდინარეობს ჩვენი ქვეყნის ორმაგი პრობლემა: თუ დასავლეთში პრობლემა ბრენდებისა და ლოგოების მიერ ყველაფერი ავთენტიკურის ჩანაცვლება-გაქრობაა — რის შესახებაც მოთქვამენ და რასაც აკრიტიკებენ როგორც კონსერვატორები, ისე რადიკალები, საქართველოს პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ვბაძავთ დასავლურ სიმულაციებს. სიმულაცია კუბში — როდესაც გინდა მიბაძო მას, რაც თავისთავად ყალბია... ზაზა ბურჭულაძის რომანის მთავარი თემაც ესაა — რას ნიშნავს ცხოვრობდე სიმულაციური სამყაროს პერიფერიაზე (ზედანი 2010).

ამიტომ საკმაოდ ბუნებრივად იკითხება და აღიქმება შარდენზე მდებარე სახინკლეში მთხრობლის მიერ მოსმენილი **საუბრის ფრაგმენტები:**

„— იცი, რომ პუტინს ბერლუსკონიმ არ დააბოძინა თბილისი?..

— სარკოზი როდის ჩამოდის?..

— ბერლუსკონი კალაძის ძმაკაცია...

— ბუში ოლიმპიადიდან ამერიკაში დაბრუნდა...

— შეიძლება ამერიკამ რუსეთს დაარტყას...

— საქართველოს გამო...“

**იმავედროულად, ვილაცის მიერ მიცემული შეკვეთა:**

„— ორმოცი ხინკალი, სამი ქაბაბი, ოთხი ლუდი...“ (ბურჭულაძე 2009: 71).

და რომანის ფინალი: „ეკრანი წრიპინებს, თანდათან ნათდება. მობილურით გადაღებულ კადრში ჩანს, რკალის გაკეთებისას ცეცხლმოკიდებული ავიაგამანადგურებელი როგორ ტოვებს ცაზე შავ კვალს.

— რა ნახა? — ნანიკო ლაპიდან კითხულობს.

— ისეთი არაფერი“ (ბურჭულაძე 2009: 197).

## **დამონეზუბანი:**

**ბურჭულაძე 2009:** ბურჭულაძე ზ. ადიბასი. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2009.

**ზედანი 2010:** ზედანი გ. *Adibas*. ტაბულა. № 8. 3-9 მაისი, 2010.

**ლომიძე 2010:** ლომიძე გ. *თბილისური ერზაცი: შენიშვნები მინდვრებზე*. არილიმაგ, 2010 (arilimag.ge).

**მორჩილაძე 2008:** მორჩილაძე ა. *სანტა ესპერანსა*. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008.

**სარბედია 2005:** სარბედია მ. *კუნძულების გოთიკა*. კრიტიკა. № 1. თბ.: 2005

**სარბედია 2010:** სარბედია მ. *ზაზა ბურჭულაძის ფრთები*. <http://www.radiotavisufleba.ge/content/blog/1949147.html>

## **EKA VARDOSHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **Ilia Chavchavadze and Issue of Cultural Integration**

The issue of integration into the global processes of his country is described from different angles in the literary heritage of I. Chavchavadze.

Ilia considered an artistic translation as part of the development of national literature.

Ilia was trying to create a national sign carrier universal types.

Ilia referred to religious issues by “Scientific Believe” perspective. Linked together literature and history closely, shared them on the background of global problems. Called up Christianity as an inter text to involve into the dialogue of civilizations.

In the issues of function of poetry and existence of the nation’s spirit he used Fr. Hegel’s fundamental works, such as “Esthetic course or science about tender art”, “The phenomenology of spirit”.

**Key words:** *Chavchavadze, cultural, integracion.*

## ეკა ვარდოშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ილია ჭავჭავაძე და კულტურული ინტეგრაციის საკითხი

კულტურული ინტეგრაცია ილია ჭავჭავაძეს ლიტერატურისა და კულტურის განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

საზოგადოდ, არსებობს თემები, ხშირ შემთხვევაში რელიგიური შინაარსის, რომლებიც დამახასიათებელია მსოფლიო ლიტერატურისათვის. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „განდეგილს“ ხშირად ადარებენ ე. ზოლას „აბატი მურეს შეცოდებას“, გ. ფლობერის „ნმინდა ანტონის განსაცდელს“, ლერმონტოვის „მწირს“. ქართულ ლიტერატურაში მის ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს აკაკი წერეთლის ლექსი „განდეგილი“, ლექსის ქვესათაური ასეთია: აპოკრიფული ამბავი, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ როგორც ილიას „განდეგილს“ აღნიშნულ ლექსსაც რელიგიური სიუჟეტი უდევს საფუძვლად. აპოკრიფებად მიჩნეულია ბიბლიის არაკანონიკური წიგნები, რომელთა შექმნის მიზანია, იმ ხარვეზების ამოვსება, რაც ბიბლიური ისტორიის გადმოცემისას კანონიკურ წიგნებს აქვს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ ავლენს ზუსტ შინაარსობრივ თანხვედრას ფრანგი ლირიკოსი პოეტის პიერ-ჟან ბერანჟეს ლექსთან „განდეგილი“. ბერანჟეს ლექსების გიორგი გვაზავასეული ქართული თარგმანი პირველად გამოიცა თბილისში 1989 წელს, სათავად-აზნაურო ქარვასლის სტამბის „ცნობის ფურცელის“ მიერ. ეს იყო მხოლოდ მცირე ნაწილი მისი შემოქმედების. არ არის გამორიცხული, რომ ილია ამ ლექსს ქართულ ენაზე გამოცემამდე იცნობდა, ბერანჟეს შემოქმედება, როგორც თავისუფლებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის მეხოტბე პოეტისა XIX საუკუნეში საკმაოდ იყო ცნობილი როგორც საფრანგეთში, ასევე რუსეთში. ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის კატალოგში ბერანჟეს ლექსებს ვერცერთ ენაზე ვერ ვხვდებით, სამაგიეროდ ილია ინახავდა ბერანჟეს პორტრეტს, მისთვის მნიშვნელოვან სხვა ადამიანთა პორტრეტებთან ერთად.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ილიასეული „განდეგილი“ თავისი პრობლემატიკით ბევრად რთული ნაწარმოებია, ვიდრე ბერანჟეს ლირიკული ხასიათის ლექსი, სადაც მოთხრობილია, რომ ნმინდანის სწორ ბერს სიმბოლურად ქალის სახით მოეგვინა ავი სული, რომელიც აცდუნებს მას, ბერი ქალის ხატებას ვერ იცილებს თავიდან. შესაძლოა, ბერანჟეს „განდეგილი“ ასრულებს ილიასათვის ინტერტექსტის ფუნქციას.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი საზოგადოების წინაშე მწვავედ დადგა ნაციონალური საკითხი. სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, მსოფლიო გლობალურ პროცესებში ჩართვა უნდა მომხდარიყო რუსეთის გუბერნიად ქცეული ქვეყნის პირობებში.

1877 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: ...გვეყო, ბატონებო, ჩვენის ან-მყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგაღება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“ (ჭავჭავაძე 1955 : 323).

ურთგო არ იქნება, თუ კი აქვე გავიხსენებთ გრ. ორბელიანის ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, სადაც პოეტი ამბობს:

შენი ივერი  
აღსდგეს ძლიერი,  
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,  
წმიდით საყდარით,  
ენით მდიდარით,  
სწავლისა შუქით განათებული.  
(ორბელიანი 1992: 347)

თუკი ჩავუღრმავდებით ამ სტრიქონებს, ვნახავთ, რომ სწორედ ეს მოწოდება უდევს საფუძვლად ქართველ სამოციანელთა, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „დადგომა ერად სხვა ერთა შორის“, ეს მოწოდება არაერთგზის აისახა ილიას ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნააზრევში.

ილია ჩვეული სიბრძნითა და სიდინჯით ეძებდა საქართველოს ხსნის გზებს, ქვეყნის პოლიტიკურ და სტრატეგიულ პარტნიორებს. რუსეთისადმი ილიას დამოკიდებულება ცალსახაა. თუნდაც, უშუალოდ რელიგიის საკითხების ძიებას ილია არ ცდილობს მაგალითად, რუსული „ღვთისმადიებლობის“ ან ტოლსტოელობის მსგავსად. იგი ტრადიციულ მართლმადიდებლურ მოძღვრებას მიჰყვება.

სარწმუნოებრივ საკითხებს ილია შეეხო „გამეცნიერებული სარწმუნოების“ თვალთახედვით. მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს ლიტერატურა და ისტორია, გაიაზრა ისინი მსოფლიო გლობალურ პრობლემათა ფონზე. ქრისტიანობა მოიხმო როგორც ინტერტექსტი ცივილიზაციათა დიალოგში ჩასართველად.

ქრისტიანული ანთროპოლოგიის მიხედვით გაიაზრებს ილია არა მხოლოდ ადამიანის, არამედ ერის დანიშნულებასაც, მის სულიერ რაო-

ბას, იგი წერს: „ადამიანი და ნამეტნავად ერი, არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“, მართალია, მშიერი დიდ მანძილს ვერ გაივლის, მაგრამ უმადლოთაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება მდინარეა ორის დიდის ტოტისა; ერთს რომ ხორცისთვის მოაქვს საზრდო, მეორეს-სულისთვის“ (ჭავჭავაძე 1955ა: 342).

ილია ჭავჭავაძეს სწამს ერის სულის არსებობა და როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე ერის მთავარი მიზანი უნდა იყოს სულიერი თვითსრულყოფა. ერი სულიერების გარეშე ხორციელადაც ვერ იცხოვრებს, ამიტომ, ილია მიზნად ისახავს კავშირი დაამყაროს თავის ერის სულთან.

ერის სულის ილიასეული გაგება ეფუძნება ჰეგელის ფილოსოფიურ ნააზრევს სულის შესახებ, კერძოდ, ჰეგელის ნაშრომს „სულის ფენომენოლოგიას“ (იხ. Гегель, Фр. „Феноменология Духа“, Ст. Петербург, 1913). მივმართოთ ჰეგელს, „სულის არის ზნეობრივი რაობა, ის შეუვალი ჭემ-მარიტებაა“ (ჰეგელი 1913: 199).

აღნიშნულ ნაშრომში ჰეგელს შემოაქვს ტერმინი „მხატვრული რელიგია“ (Художественная религия) და აღნიშნავს: „მხატვრული რელიგიის საშუალებით სული სუბსტანციური ფორმიდან გარდაიქმნება სუბიექტად“ (ჰეგელი 1913: 339).

ილია ჭავჭავაძემ გაითავისა, რომ გლობალიზაციის პროცესებსა და ქართულ ცნობიერებას შორის კავშირი არის მსოფლიო პრობლემების დონეზე ქართველი ერის გაყვანისა და ხსნის ერთადერთი გზა, ამიტომ ცდილობდა შეექმნა ეროვნული ნიშნის მატარებელი ზოგადსაკავშირო ტიპები.

1887 წელს გამოქვეყნებულ წერილში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ ილია წერდა: „რამოდენადაც მწერალის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგადკაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისას სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება“ (ჭავჭავაძე 1953: 169).

ილია დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მსოფლიო ლიტერატურის განვითარების პროცესებს. იგი თარგმნიდა და „ივერიის“ საშუალებით მკითხველს აცნობდა ფ. შილერის, ვ. სკოტის, ალ. ბუვიეს, ჰ. ჰეინეს, ტ. მურის, ალ. დოდეს, ჯ. ბაირონის, უ. შექსპირის და სხვათა ნაწარმოებებს. მას მხატვრული თარგმანი ეროვნული ლიტერატურის

განვითარების ნაწილად მიაჩნდა. მაგალითად, ილია არა მხოლოდ ბაირონის პოეტური ქმნილებებითაა მოხიბლული, არამედ მისი შეუპოვარი ცხოვრებითაც, რაც „მგზავრის წერილებში“ ნათლად იკვეთება. სრულიად ახალგაზრდად, 1858 წელს, პეტერბურგში ყოფნის დროს, თარგმნა ბაირონის „სტიროდეთ“ (ლორდ ბაირონის ებრაული მელოდია), 1859 წელს ილიამ ჟურნალ „ცისკრის“ მეცხრე ნომერში გამოაქვეყნა ეს თარგმანი. დაუმუშავებელ დედნებსა და ნაწყვეტებში შესულია ასევე ბაირონის ილიასეული ორი თარგმანი — „კაენი“ და „მანფრედი“.

ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს კ. აბაშიძის წერილი „საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნის თაობაზე“, სადაც კ. აბაშიძე იზიარებს ილიას დამოკიდებულებას მთარგმნელობითი საქმიანობის მიმართ: „შეიძლება არც ერთ ქვეყანას არა სჭირდებოდეს ისე უცხოეთის ლიტერატურის შესწავლა, როგორც ჩვენსას, არა იმიტომ, რომ იგი ყველაზე ღარიბი და დაქვეითებული იყოს, არამედ იმიტომ, რომ მეტად ღარიბია თარგმნილი ლიტერატურით. ჩვენ არა თუ მსოფლიო ლიტერატურისათვის შესანიშნავ და საინტერესო თხზულებებს ვერ მივანოდებთ საზოგადოებას, ისეთი დიდებული ნაწარმოებებიც კი არ გვაქვს თარგმნილი, რომლის უქონლობაც უდრის ლიტერატურის უქონლობას. მხოლოდ ი. მაჩაბლის წყალობით გვაქვს შექსპირის ხუთიოდე (უნდა ვთქვათ, რომ ესენი საუკეთესონი არიან) დრამის ჩინებული თარგმანი, თორემ ჩვენ არ გვაქვს გოეთეს უკვდავი „ფაუსტი“, შილერის დრამები (ლექსად), დანტეს დიდებული პოემა, ბაირონისა და ჰეინეს ნაწარმოებები, ჰიუგოსა და მიუსეს თხზულებები, ბალზაკისა და ჟორჟ ზანდის, დიკენსის, თეკერეისა და ელიოტის რომანები.

„მოამბის“ დაარსებამ, სხვათა შორის, ის იმედიც მოგვცა, რომ შეიძლება ეს ნაკლი უცხოეთის ლიტერატურის შესახებ შეავსოს“ (აბაშიძე 1971: 673).

ჩვენს ყურადღებას ასევე იპყრობს ილია ჭავჭავაძის მიერ 1878 წელს შესრულებული მხატვრული თარგმანი მოთხრობისა „უბინაო კაცი ნუიორკში“. ილია მოთხრობის სათაურშივე იძლევა განმარტებას, რომ „ნუიორკი უმთავრესი ქალაქია რესპუბლიკისა“. მოთხრობა ფსიქოლოგიური ხასიათისაა და სავარაუდოდ რუსულიდანაა ნათარგმნი. რუსული თარგმანი მოთხრობისა სათაურით „Нью-иорский бродяга“ დაიბეჭდა 1877 წელს ჟურნალში „Отечественные записки“.

მოთხრობა „უბინაო კაცი ნუიორკში“ პირველად დაიბეჭდა 1878 წელს გაზეთ „ივერიაში“. ჩვენთვის ამ თარგმანით ნათელი ხდება, რომ ილიას აღნიშნული ნაწარმოებით XIX საუკუნის ქართველი საზოგადოებისათვის სურდა გაეცნო ამერიკა და ამერიკელი ხალხი. ვარაუდობენ იმასაც, რომ ამ მოთხრობამ ილიას შეიძლება „გლახის ნაამბობიც“ კი გაახსენა.



ჩვენი აზრით, ვინც იცნობს ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „სარჩობელაზედ“, უდაოდ შენიშნავს მსგავსებას ამ ორ ნაწარმოებს შორის. ვფიქრობთ, მოთხრობამ „უბინაო კაცი ნუიორკში“ ბიძგი მისცა მას დაენერა მოთხრობა „სარჩობელაზედ“. როგორც აღვნიშნეთ, ილიამ 1878 წელს „ივერიაში“ გამოაქვეყნა მხატვრული თარგმანი მოთხრობისა „უბინაო კაცი ნუიორკში“. ვფიქრობთ, ილიაზე ამ ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხრობამ, სადაც დასმულია ზოგადსაკაცობრიო გლობალური პრობლემები დიდი გავლენა მოახდინა, სხვაგვარად იგი მას არ თარგმნიდა. 1879 წელს დაინერა „სარჩობელაზედ“. საზოგადოდ, ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ ილია საკმაოდ დიდხანს ქმნიდა და ამუშავებდა თითოეულ ნაწარმოებს, სანამ საბოლოო სახეს მისცემდა მათ. „სარჩობელაზედ“ კი ამ მხრივ გამონაკლისია.

ილია თვლიდა, რომ ლიტერატურა არ უნდა იყოს კარჩაკეტილი, როგორც მწერლის მიერ დასმულ საკითხთა მნიშვნელობით, ასევე მწერლის მიერ შექმნილი ზოგადსაკაცობრიო ტიპაჟებით. ამის ტრადიცია ხომ საქართველოში ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის დროიდან არსებობდა.

დასავლური ლიტერატურული და საზოგადოებრივი ტრადიციები არაერთგზის აისახა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. გარდა იმისა, რომ XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსების მიერ არაერთი დასავლეთ-ევროპელი მწერლის ნაწარმოებია ქართულ ენაზე ნათარგმნი, საკმაოდ ჭარბად დაიძებნება ლიტერატურული პარალელებიც. მაგალითად, ხშირად ადარებენ ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას“ პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონეს“. ჟან-ჟაკ რუსოს „ჟიულის ანუ ახალი ელოიზას“ გავლენა ჩანს დ. ბატონიშვილის „ახალ შიხში“. გრ. რჩეულიშვილის „ანუკა ბატონიშვილს“ — რიჩარდსონის „პამელას“. ალ. ხახანაშვილი შენიშნავს, რომ „სურამის ციხის“ თხრობითი აგებულება ჰგავს „დეკამერონის“ შინაარსს. სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ გრ. რჩეულიშვილის გადმოუკეთებია იტალიელი მწერლის ი. ფიორენტინოს ისტორიული პოემა „იზაბელა ორსინი“, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს „ანუკა ბატონიშვილი“. საინტერესო ბიბლიურ სახეებს ვხვდებით ბაირონიდან ილიას მიერ ნათარგმნი ნაწყვეტში „კანი“. სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ხშირად ავლებენ პარალელს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანსა“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისს“ შორის. ვფიქრობთ, ამ ორი ნაწარმოების საერთო კულტურულ-ისტორიული ფონისა და შექმნის წინაპირობათა შესწავლა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს როგორც ქართული, ასევე პოლონური ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიისათვის.



„განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის კატალოგის VIII განყოფილებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია და კრიტიკა მინიშნებულია ჰეგელის ორი ნიგნი:

254. Гегель Фр. – Курс эстетики или наука изяшного. Перевод Василий Модестов. Первая часть. Спб. 1847. У I. 217 с.

255. Гегель Фр. – Курс эстетики или наука изяшного. Архитектура, скульптура и живопись. I отд. пер. В. Модестов. М. 1859.

ილია პოეზიისადმი დამოკიდებულების საკითხში ხშირად ეყრდნობა და იზიარებს ჰეგელის ნააზრევს“ (ვარდოშვილი 2003 : 56).

ამრიგად, როგორც ვნახეთ, საქართველოს გლობალურ პროცესებში ინტეგრირების საკითხი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში არაერთგზის აისახა.

## **დამოწმებანი:**

**აბაშიძე 1971:** აბაშიძე კ. *ცხოვრება და ხელოვნება*. თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.

**ვარდოშვილი 2003:** ვარდოშვილი ე. *რელიგიური ნაკადი ილია ჭავჭავაძის ლირიკაში*. თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

**ორბელიანი 1992:** ორბელიანი გრ. *ქართული მწერლობა*. ტ. IX. თბ.: „ნაკადული“, 1992.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. IV. თბ.: საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1955.

**ჭავჭავაძე 1953:** ჭავჭავაძე ი. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. III. თბ.: საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1953.

**ჭავჭავაძე 1955ა:** ჭავჭავაძე ი. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. V. თბ.: საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1955.

**ჰეგელი 1913:** Гегель Фр. *Феноменология Духа*-. Перевод под редакцией Э. Л. Радлова. Ст. Петербург: Труды Ст. – Петербургского Философского общества, выпуск III, 1913.

**OLENA IURCHUK**

*Ukraine, Kiev*

*Kiev National Linguistic University*

## **Literary Text in the Modern Mode of Discourse: an Anthropological and Socio-Cultural Aspects of the Research**

Despite the fact that modern theoretical discourse of literature for the most part ignores the fundamental underlying research model, replacing it with the concept of practices, the depth of which is often replaced by numerous superficial analyses, the focus still remains on the question of connections between history and literature. In the article, attempts are made to indicate the transformations associated with the rethinking of the history of the past, as well as their influence on the development of modern French literature and literary studies, and to consider the dynamics of interaction between literature and ideology.

*Keywords: criticism of historical narrative, cultural product, new historicism.*

**Е. А. ЮРЧУК**

*Украина, Киев, КНЛУ*

## **Литературный текст в рамках современного дискурсивного режима: антропологический и социокультурный аспекты исследования**

Ощущение катастрофичности, надежда на спасение, идеологизация искусства – вот неполный перечень того, что дает общее представление о мире середины прошлого века. Подобная характеристика, если иметь в виду французскую культуру, отчасти, связана с радикальным переломом 60-х годов и тогдашним представлением о кризисе ее современного развития. «Литературный экзистенциализм А. Камю и Ж.-П. Сартра, «новый роман» А. Роб-Грийе, М. Бютора, Н. Саррот продемонстрировали предельность и ограниченность модернистской концепции искусства первой половины XX в. В частности, «новый роман» А. Роб-Грийе поставил вопрос о новой повествовательной модели накануне культурного кризиса, постигшего Францию» (Gontard 2001:286).

Появление новых художественных практик и, особенно, жанров массовой литературы, воспринимавшихся наукой как возвращение к сти-

листическим инновациям модернистского императива или как проявление следующего этапа художественно-культурного развития, в конечном итоге, вызвали потребность в обновлении самой эстетики текстуальности и письма. Главным образом, речь шла о ситуации, которая «со временем стала называться постмодернизмом» (Jameson 1991:9).

В частности, М. Гонтар придерживался мнения о том, что постмодернизм в то время был только журналистским слоганом, заимствованным из США, прежде всего, для обозначения и осмысления социокультурной реальности, возникшей в Европе (в частности во Франции) в 80-е годы прошлого столетия. По его мнению, в значении «критической констатации отклонений от модернистского проекта» постмодернизм с его принципами интеллекта, инноваций, экспериментальности, но прежде всего, особым пониманием истории, определялся диалектической логикой, универсальным синтезом, обеспеченным бинарной оппозицией, мощным средством стимуляции к дальнейшему развитию науки, культуры и искусства. Он позволял осмыслить единство как совокупность независимо от того, о чем идет речь: литературном произведении как структуре, обществе как системе или идентичности субъекта как оппозиции «Я-другой». Постмодернизм привнес в литературу новое отсутствие глубины и постепенную потерю интереса к историчности. Он выработал новый тип базисного эмоционального состояния интенсивности, отмеченного, с одной стороны, возвращением к старым понятиям возвышенного, глубинным конститутивным отношениям, а с другой, сжатой оценкой постмодернистских мутаций на уровне непосредственного переживания и возвращением к новой мировой экономической системе с ее неизбежным производством новых товаров с более мощной динамикой оборота капитала, активно использующего эстетические новшества и эксперименты. Таким образом, «произошло слияние товарного производства с эстетическим, а художественное производство превратилось в литературный продукт.» (Gontard 2001: 291).

Радикальный перелом в научном мире окончательно произошел только в 80-е годы прошлого века, хотя его теоретической предпосылкой можно считать постструктуралистскую идею Ж. Деррида, известную еще в 60-е. Со временем, близкими к ней оказались и другие идеи Л. Февра, М. Блока, Ж. Ле Гоффа, А. Гуревича, М. Фуко о том, что историк должен, прежде всего, искать способы мировосприятия, неосознанные привычки, присущие людям данной эпохи. Такой подход, очевидно, давал возможность достичь тех глубинных пластов сознания, которые связаны, прежде всего, с социальным поведением людей.

Именно постмодернизм, с одной стороны, окончательно констатировал смерть субъекта, а с другой, выдвинул две позиции его существования.

Относительно первой, речь шла об историческом субъекте, считавшемся центральным в период классического капитализма и действительно исчезнувшим под влиянием современной бюрократии. Относительно второй, выражалось сомнение по поводу его подлинного существования, поскольку постструктуралистский субъект в действительности никогда не существовал, а был лишь идеологическим миражом. Таким образом, известный тезис Р. Барта «смерть автора» продолжал оставаться востребованным даже тогда, когда речь шла о многонациональном капитале (точнее, мультикультуралистском пространстве), искавшим новые средства для репрезентации и заключавшим союзы, где субъект выбирал тактику своих дальнейших действий. Не лишенным актуальности в то время оставался и вопрос определения политической платформы постмодернизма, учитывая ее влияние на дальнейшее развитие культуры и литературы.

Р. Барт, принимавший активное участие в литературном дискурсе Франции 60-х годов прошлого века, относился к вопросу взаимосвязей истории и литературы довольно категорично, отделяя их друг от друга и считая, что история, прежде всего, апеллирует к политическим, социальным, экономическим и идеологическим фактам, а литература – к глубокому смысловому наполнению. Он подчеркивал, что идеальной была бы такая ситуация, которая позволила бы считать их взаимодополняющими формами и, в конечном итоге, привела бы к их слиянию. Однако, по его мнению, два очевидных фактора, а именно, функционирование в разных ритмах и явное взаимное сопротивление оставляли безрезультатными многочисленные попытки решить эту проблему. В статье «История литературы» Р.Барт отметил два пути ее изучения: контекстуальный (исторический, психологический, социологический, институциональный) и текстуальный (лингвистический). Первый рассматривал текст как исторический документ, второй – как факт языка.

Вопрос о взаимосвязи истории и литературы оставался одним из актуальных в дискурсе 80-х годов, возникшем в результате наблюдений за общей тенденцией освобождения теории от методов литературной истории. Представленные ниже взгляды М. Фуко, П. де Мана, Х. Уайта, П. Рикера дают представление о многообразии аспектов его исследования.

Например, М. Фуко утверждал, что историчность, присущая человеку, позволяет адаптироваться, развиваться и создавать формы производства, влияя на экономические законы и совершенствуя язык: «Так сквозь историю позитивностей проступает более глубокая история самого человека. История эта относит к самому его бытию: он обнаруживает, что не только где-то вокруг него существует «некая История», но что сам он в своей историчности

и есть то, в чём прорисовывается история человеческой жизни, история экономики, история языков. Таким образом, на некоем глубинном уровне существует историчность человека, которая есть одновременно и история его самого, и то перворасеяние, которое служит обоснованием всех других историй» (Фуко 1997: 11). Подвергая сомнению привычный способ, которым пишется история Истории, он подчеркивал: «Обычно говорится, будто в XIX веке прервалась чистая хроника событий, чистая память о прошлом, населённая лишь индивидами и случаями, и в истории стали искать общие законы развития. На самом же деле не было истории, более «объясняющей», более озабоченной поиском всеобщих постоянных законов, нежели история классического века, когда мир и человек в едином движении составляли плоть единой истории. Начиная с XIX века, обнаруживается, прежде всего, человеческая историчность в её обнаженной форме – тот факт, что человек, как таковой, зависит от обстоятельств. Отсюда стремление либо найти законы этой чистой формы (таковы философии, подобные шпенглеровской), либо определить её на основе того факта, что человек живёт, трудится, говорит и мыслит: таковы интерпретации Истории на основе человека, рассматриваемого либо как вид существ, либо на основе экономических законов или культурных ансамблей» (Фуко 1997: 468-469).

П. де Мана, в свою очередь, интересовал вопрос методов и возможностей литературной истории. Отгалкиваясь от позиции Ф. Ницше в отношении исторически ориентированной культуры и объясняя современность литературы неподчинением историческим и культурным условиям, образовательным и моральным императивам, он пришел к парадоксальному выводу о том, что писатель, выполняя свои функции историка, может быть совершенно обособлен от описываемых им общих событий. Однако именно выбранный им язык описания, отражающий, в конечном итоге, позицию автора, позволяет раскрыть амбивалентный характер самого письма, проявляющийся в действии, и, одновременно, интерпретационном процессе, следующем за действием и с ним несовпадающем. «В отличие от историка писатель настолько глубоко вовлечен в происходящее, что никогда не в силах избавиться от искушения разрушить все, что стоит между ним и его действием, в особенности — ту временную дистанцию, которая ставит его в зависимость от более раннего прошлого.» (Ман 2002: 194). Специфичность литературы, по мнению Мана, как раз и состоит в том, «чтобы исполниться в одно мгновенье», т.е., в осовременивании истории методом языка, употребление которого приводит к парадоксальной ситуации самовозврата субъекта в современность (через отказ от литературы и отвержение истории к литературе, отмеченной историческим бытием и протяженностью во

времени). В его представлении литература уподобляется непрерывному колебательному движению относительно собственного модуса бытия, является метафорой, выводящей последовательность за пределы того, что на самом деле совершается как одновременное взаимоприсутствие. Концепция Мана предполагала ревизию понятий истории и времени, отказ от понимания истории как генезиса, истории как временной иерархии, подчеркивала особое отношение к истине и ошибке в литературе, когда они сосуществуют одновременно и не позволяют отдать предпочтение какой-либо одной из них. Ман выражал также свое мнение в отношении истории литературы: «Чтобы стать хорошими историками литературы, мы должны помнить, что то, что мы обычно называем историей литературы, имеет мало или вовсе ничего общего с литературой; но то, что мы зовем интерпретацией литературы — только в случае хорошей интерпретации — на самом деле и есть ее история. Если мы распространим это понимание за пределы литературы, то увидим, что основой исторического знания являются не эмпирические факты, а записанные тексты, даже если эти тексты выступают под масками войн и революций» (Ман 2002: 220).

Следует заметить, что вполне оправданное сложившимися обстоятельствами стремление отгородить художественный текст от истории осуществлялось в условиях кризиса самой исторической науки и признания очевидного парадоксального факта, что у историка литературы больше нет истории, на которую он мог бы опереться. В сложившейся ситуации достаточно убедительной оказалась предложенная критикой исторического нарратива идея не отделять текст от контекста и считать все в истории текстом, а значит, отчасти, и литературой. В результате чего история перестала считаться унифицированной наукой, поскольку ее содержание составлял большой массив частных историй, хронологий и взаимоисключающих нарративов. Она сама превратилась в нарратив, в котором объединились настоящее и прошлое. Объективность и трансцендентность истории заменились фикцией. Поскольку сам историк, участвуя в дискурсах, конструировал исторический объект, история стала представлять собой всего лишь проекцию определенной идеологии.

Х.Уайт в книге «Тропики дискурса» отмечал, что исторические нарративы – это словесные вымыслы, содержание которых составляет фикция, а формы – литература. По его мнению, историческое повествование содержит сюжет, представленный закодированными фактами, которые размещаются в хронологической последовательности и могут считаться компонентами сюжетной структуры, подобной литературной. Фактическое декодирование исторических повествований зависит, в определенной

степени, от их организации относительно определенной литературной модели, к примеру, романа или трагедии. А их изучением занимается наука, которая доказывает, что любой нелитературный дискурс функционирует в соответствии с принципами и процессами, проявившимися наиболее наглядно в литературе, и что именно она готова служить для многих нелитературных текстов той моделью, которая обеспечивает их доступность к пониманию. Оказалось, что только дискурс истории, точнее, его «литературность», способен наделить мир смыслом, доступным человеческому пониманию. «И если мир подвергается только литературно-художественному поэтическому осмыслению – осмыслению, которое существует только в языковых формах художественной образности, то иной картины мира, кроме как метафорической, оно не в состоянии дать.» (White 1978: 96). В итоге, попытка объединить семиотику с историческим нарративом привела к некоторому скептицизму в отношении достоверности источника фактов, но, одновременно, соединила с искусством рассказа, наделив его поетикой.

Полемизуя с Уайтом по поводу поэтики истории на страницах своей работы «Время и рассказ» П. Рикер отмечал, что вымысел и история принадлежат к одному и тому же классу, если рассматривать их в структуралистском аспекте, и что их сближение влечет за собой сближение истории и литературы. В этом случае, по его мнению, следует иметь в виду характеристику истории как писания. «Писание истории»... не есть нечто внешнее по отношению к концепции истории и историческому произведению; оно не является вторичной операцией, которая связана только с риторикой коммуникации и которую можно было бы игнорировать как нечто принадлежащее лишь к сфере литературного оформления. Оно конструктивно для исторического способа понимания. История по сути своей – это историография, или выражаясь в откровенно провокационном стиле, – артефакт литературы (a literary artifact)» (Рикер 2000: 187).

К вопросу «литературности» истории обращался Ж. Женетт, предложивший разграничивать два взаимодополняющих принципа литературности: конститутивный замкнутый, гарантированный конвенциями, и кондициональный – открытый, зависимый от пересмотра оценок. У П.Бурдьё по этому поводу была несколько иная точка зрения. Он считал, что история литературы, и шире, «литературного поля» является необратимой, а литературная продукция имеет аккумулятивную форму. В такой истории сами писатели – агенты литературного поля, становятся не только активными субъектами, но и объектами институциональной деятельности. В результате, оказывается, что писатель – это не каждый, кто пишет книги, а тот, кто

получил этот статус в результате общественной оценки своей деятельности. Таким образом, только общество решает, кто является писателем, а кто – нет. Бурдые выдвинул оригинальную идею относительно времени практического проекта, которое в отличие от диахронического времени системных трансформаций (истории литературы) и психологического времени (переживание эстетического объекта), может превышать жизнь самого литературного агента – писателя. По его мнению, есть две категории времени проекта – с коротким и длинным циклом окупаемости. К первой относятся авторы бестселлеров, которые рассчитывают на быстрый успех, ко второй – будущие классики, успех которых рассчитан на далекую перспективу.

В наше время теория литературы пребывает в очередной фазе интердисциплинарного развития, когда в условиях уже заверщенного эксперимента с текстами, происходившего на фоне политических и идеологических мутаций последних десятилетий прошлого века, удастся балансировать между поэтикой дискурса и дискурсивной историей культуры. Современная дискурсивная практика, о которой все чаще говорят, как об одной из возможных перспектив развития теории литературы, предполагает не только исследование отдельного дискурса в связи с другими в определенный временной период, но и изучение его истории в контексте истории литературы. История литературы выступает здесь тем пространством, которое вызывает к появлению новый дискурс и создает все условия для его проверки на прочность со стороны других дискурсов. В результате чего под действием изменений в терминологии и методологии вырабатываются собственные векторы формирования и развития науки. В этом случае сам литературный текст выступает аналогом субъективности, становится плоскостью для дискурсивных соревнований, материалом для исследования их поэтики. Такой дискурс открыт и для многих других междисциплинарных исследовательских практик, которые способны предложить новые теоретические модели в других контекстах с помощью новых методов анализа текста. Однако необходимым условием осуществления этого проекта являются рамки, или правила, которые учитывают компромисс между современным литературоведением и другими дисциплинами на уровне устоявшихся категорий, техник и методов.

В современной французской литературе объектом исследования со стороны антропологии литературы, как варианта поэтики дискурса и дискурсивной истории культуры, может выступать художественная практика «ню-реакционеров». Возникшее в угоду идеи консервативной



трансгрессии и стимулированное желанием провозглашать свободу слова, отстаивать индивидуальное мнение, отвоевывать политкорректность, это литературно-общественное движение относительно легко и быстро завоевало себе скандальную репутацию в обществе. «Нью-реакционеры», в рядах которых оказались Паскаль Брукнер, Ален Финкелькраут, Александр Адлер, Элизабет Леви, Филипп Мюрей, Жан Клер, Эрик Заммур, Мишель Уэльбек, Жан-Клод Мишеа, Режи Дебре, привлекли к себе внимание публикациями «диких текстов», получивших широкое распространение в СМИ и ставших предметом обсуждения в форумах. Новизна реакционеров имеет два исторических измерения. С одной стороны, она корреспондирует с феноменом, появление которого связано с недавними изменениями условий производства и распространения публичных выступлений (активное участие журналистики в интеллектуальных дебатах, социоэкономические изменения в издательстве, открытие новых каналов ТВ и популярность ток-шоу, рост видео сайтов, хостингов). С другой стороны, эта новизна становится реакционно исторической, когда в новых интеллектуальных и политических условиях фильтруется литературная история Франции, а репрезентация избранных событий имеет выборочный характер. Нежелание быть идентифицированными в современной литературе в соответствии с уже устоявшимися характеристиками и классификациями, дают все основания для рассмотрения их писательской практики в контексте антропологической разновидности дискурсивной практики, которая бы позволила отвести им соответствующее место в интеллектуальном пространстве Франции.

В целом, современная «литературная культура» во Франции вызывает пристальный интерес теоретиков, предлагающих к обсуждению вопросы об обществе потребления и массовой культуре, о литературной продукции и бросовых ценах на рынке культурных товаров. В наше время уже никто не претендует на исчерпывающую информацию о всей литературной продукции, успех которой обеспечивается, прежде всего, усилиями культурной индустрии. Парадигма литературной и культурной легитимности часто исследуется в контексте традиционной культурологии Пьера Бурдьё, Жана-Клода Пассрона или Клода Гриньона с учетом условий «культурного плюрализма заказов» со стороны индустрии культуры. Особое внимание уделяется изучению проблемы переосмысления литературной классики, вопросам литературных сенсаций в рамках медиакультуры и существованию литературы в виртуальном пространстве.

Многочисленные литературные премии, существующие в настоящее время во Франции, большей частью, оказываются под влиянием рыноч-

ных реалий культурной индустрии и используются для избранника литературного таланта в качестве мощного средства его мгновенной популярности и дальнейшего коммерческого успеха, отмеченного резким увеличением тиража его книг. Речь идет о широком спектре всевозможных литературных наград: от премии Медичи, отметившей Ж. Эшноза до Гран-при читателей журнала «Elle», присужденной Б. Верберу. Они помогают классифицировать литературу на ту, которая предназначена для удовлетворения потребительских ожиданий, и ту, которая претендует на некоторую образцовость, отвечающую определенным канонам современной классики. Очевидным фактом в наше время является коммерческая подоплека в продвижении на книжном рынке той литературной продукции, которая отвечает стандартам общественного вкуса. На фоне явного литературного перепроизводства романов как результата продолжающейся «демократизации» культуры литературные премии и конкурсы призваны, некоторым образом, препятствовать жанровому буму и низкопробному стилю. В то время, когда «литературная культура» стремится к защите профессиональной книги, активный маркетинг и книжный бизнес направлены на поддержку и развитие современной «медиакультуры».

Итак, вышеописанные явления, связанные, прежде всего, с переосмыслением истории, безусловно, продолжают оказывать прямое влияние на дальнейшее развитие современного литературного процесса во Франции.

## ЛИТЕРАТУРА

**Ман 2002:** Ман П. *Слепота и прозрение*. СПб, 2002.

**Рикер 2000:** Рикер П. *Время и рассказ*. Т. 1 М. СПб, 2000.

**Фуко 1997:** Фуко М. *Слова и вещи. Археология гуманитарных наук*. М., 1997.

**Gontard 2001:** Gontard M. *Le postmodernisme en France: définition, critères, périodisation. Le temps des lettres. Quelles périodisations pour l'histoire de la littérature française du 20ème siècle?* Rennes, 2001.

**Jameson 1991:** Jameson F. *Postmodernism or The Cultural Logic of Late Capitalism* –Durham. Duke University PRESS, 1991.

**White 1978:** White H. *The Tropics of Discourse: Essays in Cultural Criticism*. Baltimore, 1978.

**OLESYA KAMYSHNYKOVA**

*Ukraine, Kiev*

*Kiev National Linguistic University*

### **British Drama of the 1990s: Between Realist Tradition and Postdramatic Theatre**

The article examines the peculiarities of British drama belonging to the last decade of the 20<sup>th</sup> century, focusing on the dramaturgy of Sarah Kane, Mark Ravenhill, and Anthony Neilson, well-known representatives of the 1990s New Writing whose plays are characterized as ‘in-yer-face’ theatre. Realism and engagement in topical social and political issues (typical features of British theatre in the second half of the 20<sup>th</sup> century) are combined in their plays with the features emblematic of ‘postdramatic theatre’. Mediatization, disappearance of dramatic character, autonomisation of non-verbal elements of a theatrical event and its shift towards real situation, blurred boundaries between fictional and real spaces – these characteristics of postdrama present in the British drama of the 1990s are analysed as an instance of synthesis of the national theatrical tradition and dramaturgical experiment in contemporary British drama.

**Key words:** postdrama, ‘new writing’, mediatization, death of character, autonomization of drama elements.

**О. П. КАМЫШНИКОВА**

*Украина, Киев*

*КНЛУ*

### **Британская драма 1990-х: между реалистической традицией и постдраматическим театром**

«Новая волна» британской драматургии 1990-х годов – и, в частности, творчество драматургов Сары Кейн, Марка Рейвенхилла и Энтони Нильсона – характеризуется в критической литературе преимущественно с точки зрения шокового потенциала подразумеваемых пьес. Описывая драматургию 1990-х как «театр-вам-в-лицо», «неоякобинскую драму», произведения «новых бруталистов» или «театр жестокости», исследователи сосредотачиваются главным образом на решительном разрыве драматургии 1990-х с представлением о том, что в изображении человеческого опыта существуют границы, которые ей не стоит переходить. Попыткой взглянуть

на драму этого периода с другой точки зрения – опираясь не на констатацию присутствия образов и сцен жестокости, а на анализ того, как в пьесах авторов 1990-х реализуется категория возвышенного, – стало исследование Эльжбеты Баранецкой, посвященное британскому театру десятилетия как «возвышенной драме». В свою очередь, еще один теоретик современного театра, Ханс-Тис Леман, упоминает о пьесах Сары Кейн, одной из наиболее ярких представителей поколения драматургов 1990-х, как о феномене, который является драматургической аналогией театральному (перформативному) феномену постдрамы (Lehmann 2006: ix). Сближение современной британской драматургии с эстетикой постдраматического театра представляет для нас особый интерес в рамках данной статьи по нескольким причинам. Если в течении XX века ключевым элементом для британского театра был почти исключительно текст, а основным авторитетом – слово драматурга, то на рубеже веков в британской драматургии все чаще встречается отражение практик, которые порывают с текстом как исходным материалом представления (или минимизируют его роль). Рассмотрение современной британской пьесы в контексте постдрамы (явления, во многом синонимичного постмодернизму) также позволяет проанализировать трансформации направления политической драматургии – существенной составляющей британского театра. Британская пьеса XX века, особенно же его второй половины, последовательно проявляла приверженность реалистической модели драматургии, ангажированной в актуальные вопросы общественной жизни. Эволюция этих черт британского театра в драматургии 90-х годов прошлого века, на наш взгляд, демонстрирует не только продолжающееся влияние драматургической традиции, но и изменения, сходные с теми, которые, согласно Леману, свойственны театру постдраматическому.

По мнению Лемана, в основе постдраматических театральных практик современности (начиная с 1970-х) лежит отказ от текста как центрального элемента представления и, соответственно, усиление и автономизация невербальных составляющих театрального перформанса (Леман 2013: 151). При экстраполяции этого замечания теоретика на драму, то есть собственно текст, представляется возможным с достаточной долей уверенности предположить, что в определенной степени такая специфика может быть прописана в самом тексте. Это, например, относится к драме Сары Кейн «Очищенные», в которой, по наблюдению режиссера её первой постановки (Christopher 1998), лишь третья часть приходится на слова – остальную часть пьесы составляют образы, несущие основную смысловую нагрузку. Соответственно, хотя читка текста занимает полчаса; сценическая

постановка длится полтора – и включает в себя сцены, которые играют без слов, но могут содержать танец или ряд последовательных движений, напоминающий пантомиму. В аналогичной манере построены и отдельные драмы Энтони Нильсона, особенно – «Нормальный», где пантомимы, показывающие сцены «соблазнения» и «убийства» и стилизованные под экспрессионистское кино Германии 1920-1930-х годов, помогают создать атмосферу триллера. Сходным образом, сюрреалистические образы пьес «Эдвард Гант представляет удивительные свершения одиночества» и «Прекрасный мир Диссоции» того же автора составляют неотъемлемую часть драматургического замысла. Так, сюжет «Прекрасного мира Диссоции» основан на противопоставлении фантастического мира, который открывает для себя главная героиня, страдающая от психического заболевания, когда она прекращает принимать лекарства, и яви, куда ей приходится возвратиться после принудительной госпитализации, на время оставив позади воображаемую страну Диссоцию. Изображение ирреального мира как чрезвычайно привлекательного и показ его контраста с окружающей героиню обыденной действительностью опираются в пьесе в первую очередь на созданные драматургом волшеббно-сказочные и гротескные фигуры персонажей, населяющих выдуманный героиней мир. Еще один пример яркой театральности произведения, запрограммированной в самом тексте, присутствует в драме «Эдвард Гант представляет удивительные свершения одиночества», воссоздающей колорит выступления цирка уродов. Экстравагантные сценические образы актеров викторианского фрик-шоу играют тут значительную роль: пьеса Нильсона посвящена механизмам театрального представления и демонстрирует важность воображения, игнорирующего требования внешнего правдоподобия, для создания настоящего правдивого искусства. Интересный образец открытости драматургического текста к неклассической сценической интерпретации предлагает также монолог Марка Рейвенхилла «бассейн (без воды)», впервые поставленный в сотрудничестве с коллективом физического танцевального театра. Результатом совместной работы автора с группой «Фрэнтик эсембли» стал спектакль, в котором движения (в том числе танец) актеров так же важны, как и озвучиваемый ими текст драмы.

С другой стороны, как отмечает Леман, в рамках постдраматического направления театра автономизации подвергаются не только невербальные компоненты драмы, но и ее язык, который выступает уже не как речь персонажа, подчиненная принципу нарративности и фабульности, но как самостоятельная театральность (Леман 2013: 30). Так, в частности, происходит в пьесе Кейн «Желанье», реплики четырех персонажей которой

можно интерпретировать не как адресованные ими друг другу, а как составляющие единый текст монолога, как причудливый коллаж осколков одного и того же потока сознания. Фразы героев, складываясь в отдельные диалоги между двумя парами людей, в то же время органично выглядят как единое целое – исполненное противоречий и, вместе с тем, движимое четкой внутренней логикой монологическое высказывание. Другим примером может послужить пьеса Рейвенхилла «Эксперимент», основная интрига которой заключается в многократном повторении одной и той же истории, причем последняя от пересказа к пересказу видоизменяется, обрастая новыми подробностями. Погружая зрителя в умножающиеся вариации воспоминания об одном событии, «Эксперимент», также написанный в форме монолога, открывает широкое пространство возможностей для ритмической и интонационной интерпретации текста, способной подчеркнуть динамику его изменений. В пьесе «бассейн (без воды)» того же автора индивидуальный голос, повествующий о произошедшем, сливается с голосом коллектива, представителем которого выступает персонаж. Перетекание «я» в «мы», двойственность фигуры говорящего, рассказывающей о событиях отдельно взятой жизни и вместе с тем дробящейся на многих персонажей, позволяют рассматривать монолог и как драму для одного актера, и как текст для нескольких исполнителей или даже хора. Это замечание верно и в отношении пьесы Кейн «Психоз в 4.48» – текста, созданного в форме монолога с вкраплениями диалогов, в которых реплики не распределены между отдельными персонажами. С формальной точки зрения, в течение всей пьесы звучит один и тот же голос, хотя разрозненные фрагменты потока сознания персонажа, которые передают зрителю исповедальный рассказ от первого лица, чередуются в ней с речью наблюдателя, как бы издали следящего за персонажем, а также включают в себя диалог с занимающим отстраненную позицию собеседником.

Явствующий из сказанного выше вывод об исчезновении традиционной фигуры персонажа (смерть персонажа, как охарактеризовала эту тенденцию Элинон Фукс) – еще одна черта, сближающая анализируемые драмы с постдраматической моделью. Стоит заметить, что тяготение современной драмы к объединению формы монолога с хоровой структурой, которое Леман комментирует как признак перемещения театральной коммуникативной оси изнутри вовне, то есть с уровня диалогов между персонажами драмы на уровень коммуникации между текстом и зрителем, созвучно специфическим чертам именно британской драматургии. Исследователь говорит о том, что как монологическая структура ('monology'), так и хор способны функционировать в качестве зеркала и партнера зрительской аудитории: *«хор как бы смотрит*

на *другой хор*» (Леман 2013: 212). Лишенные конкретных очертаний голоса в текстах Рейвенхилла и Кейн («Эксперимент», «бассейн (без воды)», «Психоз в 4.48», «Желание»), колеблющиеся между индивидуальным говорящим субъектом и хором, использование которого Леман называет среди характерных черт постдраматического театра, не ограничиваются отображением фрагментированного состояния сознания, которое было предметом изучения в упомянутых драмах. Использование хоровой структуры может также быть источником «конфронтации» между текстом и зрителем, к которой стремится театр вообще, а особенно – названные здесь британские авторы, пришедшие на сцену в 1990-х. В качестве примера того, как присутствие хорового, коллективного субъекта способствует рождению «театра эмпирического опыта», то есть произведения, которое оказывает максимальное влияние на своего реципиента, можно привести одну из пьес цикла «Стрелять/забрать сокровище/повторить» Рейвенхилла. Текст «Вчера случился инцидент» обыгрывает ситуацию «сцены на сцене», ставя реальных зрителей в положение зрителей воображаемого театра, в зале которого происходит действие пьесы, и заставляет их почувствовать себя, посредством идентификации с фикциональными двойниками, объектами допроса и свидетелями демонстрации механизма криминализации недоносительства в обществе тотальной слежки. Таким образом, теза Лемана о переориентации театра на коммуникацию между перформером и зрителем, на реальную ситуацию их контакта резонирует со стремлением новой волны британской драматургии 90-х годов XX в. к такому воздействию на реципиента, которое дало бы последнему возможность буквально пережить на собственном опыте изображенное перед ним на театральной сцене. Созвучное мысли Лемана утверждение, что пьеса есть прежде всего диалог с аудиторией (который акцентируется вместо внутрисценической коммуникации) встречаем и в паратексте произведений: комментируя процесс создания «бассейна (без воды)», Рейвенхилл вспоминает о том, как говорил актерам, скучающим по оживлению, которое возникает благодаря диалогам их персонажей между собой, что «*в тексте есть диалог – просто он ведется со зрителями*» (Ravenhill 2006). Впрочем, в монологах, созданных Сарой Кейн и Марком Рейвенхиллом, проявляется и свойственная театру перформанса тяга к «реальности» театрального события, к более личному общению со зрителем (лирический, «исповедальный» текст «Желания» Кейн, условно разделенный на четыре голоса, или ее же автобиографичный «Психоз в 4.48», а также «бассейн (без воды)» Рейвенхилла – полуиндивидуальной-полухоровой монолог о преломлении жизни в искусстве), и свойственная британскому театру склонность к политизированному высказыванию

(«Продукт» Рейвенхилла является явной пародией, «Эксперимент» того же автора задуман как размышление о памяти и ответственности в эпоху релятивизма).

Еще один аспект, объединяющий британскую драму с постдрамой, – медиатизация: сближение с медиа, которое, как представляется возможным предположить, приходит на смену традиционной связи театра с литературой, со словом как неперменной основой представления. Не меняя сути театрального события в корне – ведь пьеса, как и раньше, остается предназначенной прежде всего для постановки на сцене, для реализации в рамках «живого» театрального события, которое предвидит встречу в реальном месте и времени актеров и зрителей, – медийные средства могут становиться необходимой составляющей драматургического текста на тематическом и структурном уровне. Интересными примерами вхождения медиа в драмы рассматриваемых нами драматургов являются пьесы Нильсона «Реализм» и цикл пьес Рейвенхилла «Стрелять/забрать сокровище/повторить». «Реализм» построен как цепочка фантазий, посещающих Стюарта, главного героя, в самый заурядный день его жизни. Примечательной же характеристикой грёз персонажа выступает то, что они формируются по шаблону медийных продуктов, с которыми сталкивается в своей повседневности Стюарт, причем его подсознание использует и трансформирует как относительно высокие жанры (ток-шоу), так и спорные с точки зрения современной политкорректности (шоу менестрелей) и даже obscene (порнофильм). В цикле Рейвенхилла пьесы организованы по принципу своеобразного квеста, во время которого – по мере знакомства с текстами – реципиент замечает, как встреченные уже образы и мотивы меняются в зависимости от контекста и приобретают новые оттенки, выстраиваясь в некий гипертекст. Любопытным образцом взаимодействия театра с другим медиумом является также пьеса Рейвенхилла «Продукт», осмысляющая особенности кинематографа: монолог представляет собой пародию на типичный сценарий голливудского массового кинопродукта.

Аспектом, противоположным медиатизации (ассоциирующейся с удалением от реального события), в постдраматическом театре выступает повышенное внимание к телу, которому также находят соответствия в британской драматургии последнего десятилетия XX века – первого десятилетия XXI века. Драматургия Сары Кейн, Марка Рейвенхилла и Энтони Нильсона характеризуется, как отмечают исследователи (Алекс Сирз, Эльжбета Баранецкая, Грем Сондерс и другие) концентрацией ярких и довольно специфических образов, связанных с человеческим телом. Организовывая драматическое действие вокруг сцен физического



насилия и страдания или телесного наслаждения, авторы текстов словно вторят теоретикам театра, подчеркивающим важность репрезентации тела на современной сцене. Так, анализируя роль образов тела в постдраме, Леман в своем исследовании провозгласил, что в современном театральном представлении *«тело <...> абсолютизируется»* (Леман 2013: 152), становится темой, сквозь которую прочитываются все феномены социальной действительности. Подобно тому, как в современном театре, согласно Леману, театральное событие в гораздо большей мере, чем традиционное представление, базируется на физическом, эмоциональном и пространственном контакте между его участниками – актерами и зрителями (Леман 2013: 165-166) – британская драма 1990-х достигает предельного воздействия на своего реципиента благодаря образам, связанным с телесностью. Однако, если перформативный театр тяготеет к трансгрессии границы между драматическим произведением и реальной ситуацией, сосредотачивая внимание на присутствии и действиях актеров и зрителей «здесь и сейчас» и отказываясь использовать тело как знак, опираясь на его присутствие как на гарантию реальности, то отношение современной британской драмы к телесным образам более амбивалентно. С одной стороны, некоторые особенности текстов и драматургических практик Кейн, Рейвенхилла, Нильсона параллельны стремлению театрального перформанса к как можно более непосредственному и «реальному» опыту, возникающему благодаря повышенному вниманию к образам тела или телесному присутствию актера. С другой стороны, врез с постидеологичностью эпохи, британский театр не отказывается от социальной и политической ангажированности, прибегая к образам тела как раз для того, чтобы означить с их помощью вопросы общественного и общечеловеческого бытия. Тем не менее, замечание Лемана о том, что в современном перформансе непосредственное воплощение смысла в теле (а не его демонстрация, показ или передача через тело) позволяет избежать упрощенной интерпретации представления с морализаторской или политизированной точки зрения (Леман 2013: 154), но также вызывает риск того, что представленное останется неразрешимой загадкой, кажется нам релевантным при рассмотрении драм 1990-х – 2000-х, в которых изображение телесности может превосходить ожидания реципиентов и их готовность к интерпретации. Важный момент сближения современной британской драматургии с перформансом в плане обострения внимания к «реальности» театрального события, на который стоит обратить внимание, связан также с условиями создания и постановки произведений. В частности, это практика, применяемая при создании своих пьес драма-

тургом Энтони Нильсоном, близкая к «devised theatre»: написанный автором текст «проверяется» во время репетиций и в значительной мере может трансформироваться благодаря совместной импровизационной работе автора и актеров. При этом имена героев в пьесах Нильсона часто совпадают с именами первых исполнителей ролей, оставаясь в тексте следом присутствия конкретного человека, его влияния на формирование драмы и напоминая о значимости творческого процесса, которая даже превосходит важность результата работы. Кроме того, в изначальном восприятии зрителями и критиками драм Кейн, Рейвенхилла, Нильсона и других авторов, объединяемых под названием театра-вам-в-лицо, важную роль сыграл особенно тесный в условиях небольших помещений контакт между сценой и залом, интимизация и усиление восприятия театрального события: на спектакле по «Нормальному» Нильсона, к примеру, зрители оказываются «соучастниками» совершаемого по ходу действия пьесы преступления, поскольку сцена убийства героини, отчаянно пытающейся спастись, выходит за рамки сцены и перемещается в зрительный зал.

Сравнение современной британской драматургии с постдраматической моделью театра также помогает понять особенности проявления в драматических произведениях традиционной для британского театра политической заангажированности. Британский театр не перестает быть вовлеченным в обсуждение вопросов политического и социального характера в 1990-х, однако это его измерение демонстрирует, как представляется, влияние постдрамы. Успешная реализация «политичности» в современном театре, как провозглашает Леман, заключается не в прямом обращении к вопросам общественного бытия, а в глубинном осмыслении политического дискурса: *«театр является политическим ровно в той степени, в какой он прерывает функционирование категорий самого этого политического начала, избавляясь от них вовсе, а не просто продвигая новые законы»* (Леман 2013: 298). Исследователь подчеркивает важность для политического театра современности выработки новых форм представления и восприятия, *«неуважения к устойчивости и позитивному утверждению»* (Леман 2013: 310). Лишая реципиента уверенности в правильности привычных категорий, которые используются для восприятия и интерпретации действительности, заставляя зрителя переосмысливать увиденное заново и находить новую точку опоры, театр 1990-х не прибегает к политическим лозунгам и отказывается предоставлять четкий идеологический анализ конфликтов. Его функция, скорее, состоит в обнаружении их под поверхностью современного постидеологичного мира. Полагаясь на эстетику риска, подобную той, о которой пишет Леман (Леман 2013: 310-311), британская

драма осуществляет поиск формы, конгениальной затрагиваемым вопросам, что приводит к бунту против условностей реалистической драмы, игре с разными моделями театрального зрелища, переходу границ знакомого и общепринятого (Baraniecka 2013: 7).

Сказанное позволяет сделать вывод, что современная британская пьеса, как показывает пример произведений, созданных в течение 1990-х – 2000-х, с одной стороны, приобретает некоторые типичные черты постдраматического театра, отрицающим тексто- и сюжетоцентричность театрального события, с другой же – своеобразно продолжает доминирующую в британском театре XX века национальную традицию реалистичной и политически заангажированной драматургии. Выходя за ее рамки и двигаясь в сторону авангардистского театрального эксперимента, драмы 1990-х – 2000-х не отказываются от выполнения характерных для пьес предыдущих десятилетий задач (среди которых особое место занимает исследование политически значимых вопросов), однако решают их при помощи стратегий, не являющихся эксплицитно политическими. Вместо этого в драмах актуализируется сама природа театрального зрелища, способного вызвать у зрителя ощущение причастности и ответственности по отношению к представленному на сцене событию.

#### ЛИТЕРАТУРА:

**Леман 2013:** Леман Х.-Т. *Постдраматический театр*. М., 2013.

**Baraniecka 2013:** Baraniecka E. *Sublime drama: British Theatre of the 1990s*. Berlin, 2013.

**Christopher 1998:** Christopher J. *Rat with hand exits stage left*. The Independent. [online]: <http://www.independent.co.uk/life-style/rat-with-hand-exits-stage-left-1161442.html>

**Lehmann 2006:** Lehmann H.-T. *Postdramatic theatre*. London and New York, 2006.

**Ravenhill 2006:** Ravenhill M. *In at the deep end*. The Guardian. [online]: <http://www.theguardian.com/stage/2006/sep/20/theatre1>

#### MANANA KVATAIA

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

#### National Invariants of Universal Pattern

Globalization as a universal pattern of transformation, modernization and integration of contemporary world, implies wide distribution of material and spiritual values all over the world. It is understood as a new pattern for the dialogue among civilizations. Cultural globalization also includes the exchange of knowl-

edge, ideas and other aspects of culture. Multiculturalism, on the one hand, implies protection of cultural uniqueness and on the other hand, a balance between divergent cultural values. In the 1910s Georgian thinker of European orientation Geronti Kikodze remarked that along with the beginning of a new era the world was arranged according to different ideals. Grigol Robakidze underlines the role of the culture both in preservation of national identity and world universal processes. Modern classic Otar Chiladze regards culture as a means of preserving national identity.

*Key words: Globalization, national identity, modernization, culture, civilization.*

## **მანანა კვატაია**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **უნივერსალური მოდელის ნაციონალური ინვარიანტები**

გლობალიზაცია, თანამედროვე მსოფლიოს ტრანსფორმაციის, მოდერნიზაციისა და ინტეგრაციის უნივერსალური მოდელი, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ფართოდ გავრცელებას გულისხმობს. მას ცივილიზაციათა დიალოგის ახალ მოდელად გაიაზრებენ. ჰიპერგლობალიზმი — საყოველთაო ტექნიკური განვითარება — ამ პროცესის გარდაუვალობას განაპირობებს.

გლობალიზაციის კომპლექსური ფენომენი უნივერსალური მნიშვნელობისაა, თუმცა თვით ცნების საბოლოო დეფინიცია დღემდე არ დადგენილა. კანადელმა ფილოლოგმა და ჟურნალისტმა მარშალ მაკლუენმა 1962 წელს გამოიყენა ტერმინი „გლობალური სოფელი“, რომელიც განიმარტება, როგორც „კაცობრიობის მოძრაობა ინდივიდუალიზმიდან და ფრაგმენტულობიდან კოლექტიური იდენტურობისაკენ“. კენიჩი ომაემ 1989 წელს დაასკვნა: მსოფლიო საზღვრებს გარეშეა. 1992 წელს რიჩარდ ო, ბრაიანმა გეოგრაფიული დასასრული ინინასწარმეტყველა. 3 წლის შემდეგ კი პოლ ვირილიო წერდა: „სივრცე და ტერიტორია აღარ არსებობს მსოფლიოში“. ლორან ბომელის აზრით, „გლობალიზაცია იძლევა საშუალებას, რომ უფრო შემცირდეს დისტანცია, რომელიც ადრე არსებობდა ქვეყნებს შორის“.

ამ უნივერსალური პროცესის მსგავსი მარკერები პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას უკავშირდება, რომლის „დახასიათებისათვის იმდენად ტექნოლოგიების მაღალი დონის აღნიშვნა კი არ არის არსები-

თი, რამდენადაც ის ზეგავლენა, რომელსაც ეს ტექნოლოგიები ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე“ (კაციტაძე 2007: 4). ინფორმაციული გლობალიზაციის ზრდას მჭიდროდ უკავშირდება კულტურული გლობალიზაცია. სშირად ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სამყარო მოწმეა „უნივერსალური ცივილიზაციის“ შობისა (ვ.ს. ნაიპოლი), რაც „ზოგადად გულისხმობს კაცობრიობის კულტურულ გაერთიანებას, მთელი მსოფლიოს ხალხების მიერ საერთო ფასეულობების, რწმენა-წარმოდგენების, ორიენტაციის, ტრადიციებისა და ინსტიტუტების გაზიარებას“ (წერეთელი ... 2006: 44).

კულტურული გლობალიზაცია მსოფლმხედველობის, თემების, იდეებისა და კულტურის სხვა ასპექტების ურთიერთგაცვლაცაა. ჯონ ბერის (John W. Berry) განმარტებით, მულტიკულტურიზმი გახლავთ „ინტეგრაცია, როდესაც კულტურული მრავალფეროვნება არის საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანობის, თვისება“. მულტიკულტურულობა, ერთი მხრივ, კულტურული უნიკალურობის დაცვას, მეორე მხრივ, განსხვავებულ კულტურულ ღირებულებათა შორის ბალანსს გულისხმობს.

კულტურის ფენომენზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებენ მის ორ ასპექტზე: 1. კულტურა, როგორც კაცობრიობის უნივერსალური მახასიათებელი; 2. კულტურა, როგორც ცალკეულ საზოგადოებათა შორის არსებული განსხვავებებისა და მიჯნების ძირითადი საფუძველი (წერეთელი ... 2006: 4). განსაკუთრებული ღირებულებებისა კულტურები, რომლებიც ქმნიან სამყაროს უნიკალურ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ მოდელს (ე. ტელიორი). კულტურა ასეთ შემთხვევაში ხდება იდენტიფიკაციის საფუძველი, ის, რითაც ადამიანი განსაზღვრავს „თავისიანსა“ და „უცხოს“. „კულტურა არის განხორციელებულ ღირებულებათა სამყარო“ (ნიკო ჭავჭავაძე). მიხაილ ბახტინი საკითხს ასე განიხილავს: „ყველაზე ინტენსიური და ნაყოფიერი არსებობა ნებისმიერი კულტურისა თვალსაჩინოა მისი სხვადასხვა სფეროს მიჯნებზე და არა ამ სფეროთა შიგნით, სიღრმეებში“.

გლობალიზაციის გამოწვევებმა განაპირობა კულტურების მიერ საკუთარი „ფეხებისაკენ“ მიბრუნება, ლოკალიზება კულტურული ნიშნით (წერეთელი ... 2006: 82). ალექსანდრ ტომოვის განმარტებით, ეს გამოწვევები არც ისე საშიშია, ვინაიდან გლობალიზაცია და მულტიკულტურიზმი ერთმანეთს არ გამორიცხავს. ამას ორი ფაქტორი განაპირობებს: 1. ახლად წარმოქმნილი გლობალური კულტურა ვრცელდება მსოფლიოს მედიის მიერ და იგი ხდება სულ უფრო და უფრო განსხვავებული დომინანტური ერების კულტურისაგან; 2. დიდი ერების კულტურა პოლიტიკური პოლიცენტრიზმისა და მულტიკულტურიზმის

პრინციპების კვალდაკვალ კარგავს გავლენას და უნარს, გაანადგუროს მცირე ერების კულტურა.

ამ უნივერსალურ პრობლემატიკაზე ქართველ მოაზროვნეებსაც უმსჯელიათ. გერონტი ქიქოძე ეროვნული კულტურისა და მისი საერთაშორისო გავლენების დიალექტიკას გლობალურად განიხილავს: „ძლიერ დამახასიათებელი და საყურადღებოა ის მოვლენა, რომ რაც უფრო მდიდარი და მრავალფერადაა ამა თუ იმ ერის კულტურა, მით უფრო ფართოა მისი საერთაშორისო გავლენა. ეროვნული კულტურის ინტენსივობა და ექსტენსივობა პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ურთიერთშორის. როცა ეროვნული ენერჯია განსაზღვრულ დონეზე ადის, ის ადვილად სცილდება სახელმწიფოს მიერ შემოფარგლულ ვიწრო ფარგლებს და საერთაშორისო ფაქტორად ხდება“ („ეროვნული ენერჯია“) (ქიქოძე 2003: 66).

ევროპულ პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს, რომ ევროპელობა მუდამ განახლების მდგომარეობისადმი მზაობას ნიშნავს, რაც ადამიანის „ბუნებრივი მდგომარეობაა“. ქართველი ფილოსოფოსის აზრით, ეს არის მუდმივი, დაუღალავი ძალისხმევა სრულყოფისა და უკეთესის დამკვიდრებისაკენ. „ევროპულ კულტურაში ის ერთგვარი უნივერსალური კანონის სახეს იძენს: იყო სამართლიანი, მიჰყვე შინაგან ხმას და არასოდეს წახვიდე საკუთარი სინდისის წინააღმდეგ“.

ევროპული სივრცისაკენ სწრაფვა საქართველოში გასული საუკუნის დასაწყისშიც იგრძნობოდა. თითქმის 100 წლის წინ გერონტი ქიქოძეს ზუსტად შეუნიშნავს იმდროინდელი მსოფლიოს განსხვავებული რიტმი: „ცხოვრების ტემპი არასოდეს ყოფილა ასე ჩქარი და ალექვებული, როგორც დღეს არის. განსაკუთრებით წარმოებისა და ალექ-მიმცემობის ასპარეზზე. ეროვნული აქტივობა დღევანდელი ადამიანის თვისებაა“ (ქიქოძე 2003: 141).

1910-იან წლებში, უცხოეთიდან დაბრუნებისას, ევროპაში განათლებამიღებულ სწავლულს სამშობლოში წინააღმდეგობრივი სურათი უხილავს: „ერთი მხრით, კოსმოპოლიტები დამხვდნენ, რომელნიც სრულიად არარად თვლიდნენ ქართულ კულტურას, ხოლო მეორე მხრით, ყალბი პატრიოტები, რომელნიც მზად იყვნენ, კაცობრიობის კულტურის ისტორია ქართულიდან დაეწყოთ“.

ცნებათა და ღირებულებათა აღრევის პირობებში გერონტი ქიქოძე ცდილობდა, ეროვნული იდეოლოგიისა და ორიენტირების ჩამოყალიბებისათვის ეზრუნა. ის თანამემამულეებს შეახსენებდა: „ახალი ხანა იწყება კაცობრიობის ისტორიაში. კაცობრიობა ახალი იდეალების მიხედვით ეწყობა.. ყოველი ცოცხალი ერი იძულებულია, შესაფერი ადგილი გამოიხატოს ამ ახალ საერთაშორისო წყობილებაში“.

ქართველი სწავლული ნათლად ხედავდა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ახალი ტექნიკის შემწეობით ნაიშალა ძველი გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული საზღვრები, საერთაშორისო ურთიერთობა კი უფრო მჭიდრო და ნესიერი გახდა. გერონტი ქიქოძის დასკვნით, გამანათლებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერგია დასავლეთ ევროპიდან ეძლევა კაცობრიობას. ამიტომ საჭიროა, ფართოდ გავაღოთ დასავლეთის კარები, რათა უხვად შემოვიდეს ევროპული იდეები და შეხედულებები. მისი აზრით, „დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემცნობი და მოქმედი ერისათვის, უამისოდ მის კერას გაციება და მის სხეულს გაყინვა მოელის“. გ. ქიქოძეს იმედი აქვს, რომ „ასეთ პირობებში ქართველი ერიც თავს დაახნევს ვინრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა“ („დასავლეთის კარები“) (ქიქოძე 2003: 234).

გერონტი ქიქოძისათვის კულტურა და ხელოვნება განმსაზღვრელია ქვეყნის ეგზისტენციალური არსებობისათვის: „რა აზრი აქვს ისეთი ხალხის პოლიტიკურ თვითმმართველობასა და დამოუკიდებლობას, რომელსაც არც კულტუროსანი ენა აქვს, არც თავისებური ზნე-ჩვეულებები, არც განვითარებული ლიტერატურა, ხელოვნება და მსოფლმხედველობა. ასეთ ხალხს პირველი გამვლელი დაეპატრონება ისე, რომ მისი შეგნებაც კი არ აღშფოთდება“ (ქიქოძე 2003: 219).

ქართველი მოაზროვნის დაკვირვებით, „ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია ერთგვარ კომფორტს წარმოადგენს ეკონომიკური თვალსაზრისით. მათი შექმნა მხოლოდ ისეთ ერებს შეუძლიათ, რომელნიც საკმაოდ უზრუნველყოფილნი და მორჭმულნი არიან ქონებრივად და, სანარმოო კაპიტალს გარდა, თავისუფალი ფონდიც გააჩნიათ“. გერონტი ქიქოძე კულტურის არსებით მახასიათებელსაც გამოყოფს: „ყოველი ნამდვილი ეროვნული კულტურა ავტონომიურია თავისთავად. კიდევ მეტი: ყოველი ფევსმაგარი და ეროვნული კულტურა არსებითად დამოუკიდებელი არის“ („კულტურული ავტონომია“) (ქიქოძე 2003: 218).

1916 წელს გერონტი ქიქოძე ევროპული კულტურის ამკარა უპირატესობას უსვამდა ხაზს: „მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ევროპულმა კულტურამ უცილობლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა.. (მას) ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს არაჩვეულებრივი მოქნილობა, არაჩვეულებრივი ნიჭი განახლებისა და გაახალგაზრდავებისა“. ამ სიტყვების ავტორის, ისევე როგორც რიგი სხვა ქართველი მოაზროვნეების, სიმპათიები და ვექტორები ევროპული კულტურული სივრცისაკენ იხრებოდა.



გერონტი ქიქოძე წინააღმდეგია ეროვნული კულტურის ოდენ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეცივისა. მისი აზრით, „ნაციონალური ხელოვნების შექმნა არ შეიძლება იდეათა საერთაშორისო აღებ-მიმცემობის გარეშე“. კულტურისა და ხელოვნების ფენომენს სწავლული მასშტაბურად გაიაზრებს: „ის დიადი მოვლენა, რომელსაც თანამედროვე კულტურა ეწოდება, ერთი რომელიმე განსაზღვრული ერის ნაყოფი არ არის: ის შედეგია მრავალ ერთა თანამშრომლობისა და ქიშპობისა, შეუღლებისა და შეჯიბრებისა“ (ქიქოძე 2003: 77).

ამის მიუხედავად, გ. ქიქოძე ფიქრობს, რომ „ეს შეხედულება, თითქოს ძირითადი ფონდი თანამედროვე კულტურისა ინტერნაციონალური ხასიათისა იყოს, სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. კულტურას არასოდეს არ ჰქონია ისე ნათლად გარკვეული ნაციონალური ელ-ფერი, როგორც დღეს აქვს“ (ქიქოძე 2003: 97-98).

მნიშვნელოვანია გერონტი ქიქოძის დასკვნები კულტურათა მონაპოვრების ურთიერთგავლენებზე ისტორიულ კონტექსტში: „ქართულმა კლასიკურმა ხუროთმოძღვრებამ სფერიული ბიზანტიური გუმბათი ასწია, მრავალნახნაგოვანი და წერნეტი გახადა, კონუსით დააგვირგვინა და მით მისცა მისწრაფება ზეცისაკენ. უფასადო ბიზანტიურ ტაძარს არკებით, ლერწმისა და ვაზის ძნებით დანაწევრებული ფასადები დაუპირისპირა და ამით მას ელეგანტობა მიანიჭა. ამრიგად, საერთო ქრისტიანული ეკლესიების გეგმაზე შეიქმნა ქართული სტილი, რომელიც უფრო ახლოს სდგას რომანულსა და გოტიკურთან, ვიდრე ბიზანტიურთან“ (ქიქოძე 1998: 10).

უნივერსალურია გერონტი ქიქოძის მიერ მოხმობილი სხვა პარალელები ქართული კულტურისა და ხელოვნების მსოფლიოს კულტურულ სივრცესთან ურთიერთკავშირებისა: „ჩვენ გვაქვს წვეტიანი კოშკები და ციხე-სიმაგრეები, როგორც ევროპელებს და ჩვენ გვაქვს თალიანი ქარვასლები, როგორც არაბებს, სპარსელებსა და მცირე აზიელებს. ჩვენი საეკლესიო კედლების მხატვრობა ბიზანტიურ ფრესკებს ნააგავს, ჩვენი წიგნების სამკაულები — სპარსულ-ინდურ მინიატურებს. ჩვენს კულტურას, ევროპული კულტურის მსგავსად, ძველი ბერძნული განათლება უძველეს საფუძვლად და ჩვენც ევროპელებთან ერთად რაინდობისა და ფეოდალური წესწყობილების საფეხური განვვლეთ. ჩვენი დიდი მთარგმნელები გულმოდგინედ აქართულებდნენ როგორც არისტოტელისა და ნეოპლატონიკოსების, ისე ფირდოუსისა და ფახრედინის ნაწარმოებებს“.

კონცეპტუალურია გერონტი ქიქოძის სხვა დაკვირვება: „ლიტერატურა და ხელოვნება ემორჩილება თანამედროვე ცივილიზაციის ყოვლის გამათანაბრებელ ტენდენციებს, მაგრამ მათ წინააღმდეგობა



უნდა გაუწიონ აზროვნების ცენტრალიზაციას და რეგლამენტაციას“ (ქიქოძე 1998: 12), რადგან, მისი აზრით, ლიტერატურის განვითარების შემაფერხებელი აზროვნების ცენტრალიზაცია გახლავთ.

საქართველოში ევროპეიზმის, დასავლური აზროვნების, მოდერნიზმის ერთ-ერთი მამამთავარი გრიგოლ რობაქიძე ხაზს უსვამს კულტურის როლს როგორც ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების, ისე მსოფლიოს უნივერსალური პროცესებისათვის. მისი შემოქმედებითი დისკურსი ეროვნულ საზღვრებს სცდება და ზოგადასაკაცობრიო ჰორიზონტებს მიმოიხილავს.

გრიგოლ რობაქიძე ღრმად და გლობალურად აფასებს მსოფლიოში არსებულ ნაირგვარობას: „რასები, ხალხები, ენები, კულტურები — ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლინებებია: ყოველ რასას მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. ყოველ ხალხს კაცობრიობაში თავისი მისია აქვს“ (რობაქიძე 2012გ: 25).

დედამინის, ვითარცა „კოსმიური სულის“ (ნეოპლატონიკოსთა გაგებით), განხილვისას გრიგოლ რობაქიძე ჩვენს პლანეტას „ლოგოსის „დედის საშოდ“ გაიაზრებს: „მე ის უფრო მეტად მესახება, ვიდრე უბრალოდ საგანთა სამყარო“. დედამინის ერთ-ერთ ფაქტორად მწერალი თვლის ენას. მისი თქმით, „ალბათ შეიძლებოდა, „Divina comedia“ ესპერანტოზე თარგმნილიყო, თუმცა ვერცერთი დანტე ვერ შესძლებდა, ის პირველადვე ესპერანტოზე შეეთხზა: შემქმნელ სულთან ერთად აქ თვით ენა მოქმედებს.. სული ვერასოდეს შესძლებს, „ესპერანტულად“ მოევიწიოს. ის მუდამ კონკრეტულ „დედამინის გარემოებაში“ იზადება: რასაში, ხალხში, ენაში, კულტურაში. აქ ცხადად მოქმედებს მსოფლიოს ღვთაებრივი მრავალფეროვნება, რომლის პლასტიკურ-ნარმოქმნელი პლაზმაც დედამინაა. კულტურა საზოგადოდ „ანონიმურია“ (რობაქიძე 2012გ: 25, „ჩემი განმარტება“).

გრიგოლ რობაქიძის ესე „ნიკო ფიროსმან“ ევროპული კულტურის ავტორისეულ დეფინიციას გვთავაზობს: „ევროპის კულტურას ახასიათებენ: ჰამლეტის მონყვეტილობა და ფაუსტის ლტოლვა. ევროპაში თითქო გაქრა მიწის საშო. შვილი მონყვეტილია მშობელს და თვითონ უშვილოა. მიწის სიკვდილს თან სდევს მარტოობა უკანასკნელი და ევროპის გუნება უმთავრესად მელანქოლია არის. არ არის საკვირველი, თუ იქ დაიბადა სასტიკი ნყურვილი პირველყოფილისა, ანუ პირველმინისა“ (რობაქიძე 2012ა: 502).

ამ კონტექსტში ავტორი იხსენებს ნიკო ფიროსმანს, რომლის ფენომენის ამოხსნისათვის, მისი თქმით, უნდა წარმოიდგინო „ეგვიპტის უსახელო ფრესკო, აფრიკის რომელიმე კერპი, ეტრუსკის ვაზა: ამ რიგში უნდა დაინახო ფიროსმანის ხატული. მაშინ მისი ხილვა ნამ-

დვილს შთაბეჭდილებას გადმოსცემს“. ევროპული კულტურის კრიზისის პირობებში ძალზე ღირებული გახლავთ ის, რომ „მთავარი მოტივი ფიროსმანისა არის ქართული „მინა“. მე არ შემიძლია, მეორე დავასახელო, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასე ეგრძნოს მინის „დედობა“. აქ ვერ ნახავთ მელანქოლიას. აქ მხოლოდ სიცოცხლეა: ხალისით, გულახდით, ნადიმით.. ხედავ ფიროსმანს — და გჯერა საქართველო“, — წერს რობაქიძე.

1922-1923 წლებით დათარიღებულ წერილში „ოსვალდ შპენგლერ“ გრიგოლ რობაქიძე განიხილავს იმჟამად ევროპაში „ყველაზე ყურადსაღები და ყველაზე უფრო საკამათო“ მოაზროვნის — შპენგლერის — მიერ წამოყენებულ „დასავლეთის დაღუპვის“ თემას, რომელიც, რობაქიძის თქმით, „ტრაგიულია მთელი კულტურისათვის“. თხზულებაში კულტურის ზოგადი ცნებაცაა განმარტებული: „კულტურა არის ორგანიზმი: ინდივიდუალი, განუმეორებელი. არ არსებობს საერთო კულტურა. არ არსებობს ყოვლადი არც ჭეშმარიტება, არც მორალი, არც რელიგია. ყოველი კულტურა არის „პირველფენომენი“.

წერილში „რა არის კულტურა?“ რობაქიძე ამავე კითხვას პასუხობს: „კულტურა არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალო, წმინდად გარეგანი, გამარჯვება ბუნებაზე. ის — სულის შემოქმედებითი გაცხადებაა, ან, ფილოსოფიურად თუ ვიტყვით, დაბრუნება სულისა საკუთარ თავთან“ (რობაქიძე 2012ა: 96). „გველის პერანგში“ ებრაელი ზი-მან ამ ცნების საკუთარ დეფინიციას გვთავაზობს: „კულტურა ქმედებაა. მაღალი კულტურა — მაღალი ქმედებაა. კულტურის გეზი დროისა და სივრცის ძლევაა“.

გრიგოლ რობაქიძე „ქართულ რენესანსში“ შენიშნავს, რომ კულტურისათვის ერთ-ერთ მთავარი სირულე არასასურველი გავლენებისაგან განთავისუფლებაა, რადგან „ჩვენს კულტურას, ყოველს სფეროში, მრავალი „გავლენა“ შედეგებული და გარდაქმნილი კი არა აქვს, არამედ მიკრული მეტ ხორცად“ (რობაქიძე 2012ა: 240).

1910-იან წლებში საქართველოში მწვავე კამათი გაჩაღდა ქვეყნის ორიენტაციის (მათ შორის, კულტურული ორიენტაციის) საკითხზე. გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა: „საქართველოც ხომ ნატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება, მათი ქორნილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ.. აბა, დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევანებული რენესანსის გაქანებისა!..“ („ლეილა“, 1917).

მწერლის პოზიციის დაზუსტებისათვის უნდა გავიხსენოთ რობაქიძის სიტყვა, რომელიც მას ქართველ მწერალთა სახელით 1920 წელს ევროპის სოციალისტური დელეგაციის წინაშე წარმოუთქვამს: „ჩვენი შეხვედრა არ არის შემთხვევით მოვლენილი. ორი ათასი წელი ქართველნი, ბუნებით დაუდეგარნი, გელოდებოდით თქვენ, რჩეულ შვილებს დასავლეთისას.. იყო იმთავითვე ჩვენს რასსიულ ტემპერამენტში რაღაც უცნაური, რომელიც ვერ ეგუებოდა აღმოსავლურ მოდუნებას. ფიქრმორეულ თვლემასთან ერთად ჩვენს ხასიათში იწვოდა თესლი დასავლური ნების ამახვილებისა.. მაგრამ ჩვენ მუდამ გვქონდა ტრადიციული გეოგრაფიის.. და ჩვენ შევჩერდით შუა გზაზე: აღმოსავლელსა და მოვლენილს და ვერც დასავალს ვეზიარეთ“ (რობაქიძე 2012 ა: 454).

მწერალი სათანადოდ აფასებს მრავალსაუკუნოვან და ორიგინალურ მშობლიურ კულტურას და ქართველ ხალხს ემიგრაციიდან მიმართავს: „თანამემამულენო, ბოლშევიზმი ხრწნის შინაგან ხალხს და ამყარებს ფსევდოკულტურას. ქართული კულტურა, ასე ინდივიდუალური და ეგზომ უნივერსალური, ქართველი ერის ნიალიდან უნდა აგრძელებდეს თავის ვითარებას“. შესაბამისად, ახალი თაობების მიმართ რობაქიძის ანდერძი ამგვარია: „წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოსა; მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა, წვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებად აგვსხმებათ, და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას“ (რობაქიძე 2012 ბ: 390).

გრიგოლ რობაქიძის ამ პათოსს ერთგვარად აგრძელებს თანამედროვე კლასიკოსი ოთარ ჭილაძე, რომელიც კულტურას ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების მთავარ საშუალებად თვლის. ის პირდაპირ აცხადებს: „ქართველობას მხოლოდ ქართული კულტურა შეგვინარჩუნებს“ (ჭილაძე 2009: 60). მწერლის აზრით, კულტურას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ნებისმიერი სხვა ერის გადარჩენისათვის: „21-ე საუკუნის დასაწყისში, როცა ეთნიკური სიჭრელე ლამის მთელი მსოფლიოსათვის ბუნებრივ მოვლენადაა ქცეული, ეროვნული კულტურის სულ უმნიშვნელო, წამიერი იგნორირებაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ნებისმიერი ქვეყნისათვის“ (ჭილაძე 2009: 61).

ო. ჭილაძის აზრით, კულტურა ერის მარკერია. ის „უაღრესად „კერძო საკუთრებაა“. იაპონიასა და გერმანიაში, მიუხედავად მათი გეოგრაფიული და ეთნიკური სხვაობისა, შეუძლიათ სავსებით იდენტური სამრეწველო საქონელი შექმნან, მაგრამ, ვიდრე განსხვავებული კულტურები ექნებათ, ერთი ყოველთვის იაპონიად დარჩება, მეორე — გერმანიად“.

ქართველი კლასიკოსი წინააღმდეგია გლობალიზაციის არასწორი, დამახინჯებული გაგებისა. „და მაინც, ეკლესიასტესი არ იყოს, ახალი

და უჩვეულო არაფერი ხდება. განა ლენინსაც ისე არ აღიზიანებდა პატრიოტიზმი და ეროვნულობა, როგორც გლობალიზაციის დღევანდელ მესვეურებს აღიზიანებთ?“ მწერალი აღიარებს, რომ ის, ვინც ამ უნივერსალურ პროცესში ეროვნულობას არ ითვალისწინებს, „პირველ რიგში სწორედ ეროვნულ ფენომენებს უნდა დაუპირისპირდეს: ენას, ოჯახს, მეურნეობას, მეცნიერებას.. ანუ კულტურას მთლიანად, და, თავისთავად ცხადია, მწერლობასაც. მწერლობასაც კი არა, მწერლობას, როგორც მთავარ დაბრკოლებას, როგორც პატრიოტიზმისა და ეროვნულობის სკოლას“ (ჭილაძე 2009: 76).

ოთარ ჭილაძე საზოგადოებას მოუწოდებს, არ შევეშინდეს სირთულეებს: „ისტორიულმა კატაკლიზმებმა კი არ უნდა წაგვახდინოს, კიდეც უფრო უნდა აღგვაგზნოს საომრად და სამოქმედოდ“ (ჭილაძე 2009: 22), — ნერს იგი.

მწერალს ამფოთებს მედროვეთა ქადაგებანი პირუტყვულ თავისუფლებაზე ზენწამხდარ ოჯახებსა თუ ფუნქციადაკარგულ სკოლებში, რაც საზოგადოების გადაგვარებას ისახავს მიზნად: „ორი საუკუნის მანძილზე ჩვენი ისტორიული მტრები მკლავებდაკაპინებულნი მუშაობდნენ ჩვენი ფსიქიკის შესაცვლელად, რასაც, გარკვეული თვალსაზრისით, მიაღწიეს კიდეც“ (ჭილაძე 2009: 34).

ასეთ პირობებში ოთარ ჭილაძე ხაზს უსვამს ლიტერატურის როლს. მწერლობა, მისი ფიქრით, „პირველ რიგში, პიროვნებასა და მოქალაქეს ზრდის ჩვენში“. თუმცა ისიც აშკარაა, რომ დღეს „შემოქმედს, თანდათანობით, მწარმოებელი ჩაენაცვლა. შემოქმედების იდუმალი პროცესი წარმოების ტექნიკურმა პროგრესმა შეცვალა.. მხატვრული ნაწარმოები მასობრივი მოხმარების ჩვეულებრივ პროდუქტად იქცა“ (ჭილაძე 2009: 34).

ოთარ ჭილაძემ უწყის, რომ „ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები სამყაროს უცვლელობისა და მარადიულობის დამადასტურებელია მხოლოდ“. ამავე დროს, მწერალს შეგნებული აქვს, რომ „ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ბუნებრივი მოვლენა კი არა, სწორედაც რომ არაბუნებრივი, ხელოვნურად შექმნილი, შეგნებულად დამახინჯებული მოვლენისა თუ მოვლენების კანონზომიერი შედეგია“ (ჭილაძე 2009: 76).

ქართველი კლასიკოსის დაკვირვებით, არანაკლებ სავალალოა დღევანდელი მწერლობის მდგომარეობა. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია ის, რომ „ორსაუკუნოვან ომში დაღუპული მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე უარი თქვა მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა (ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალი-

ზაცია), ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა“.

საყურადღებოა ოთარ ჭილაძის პასუხი მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა გავლენა მოახდინა მასზე, როგორც მწერალზე, მშობლიურმა ლიტერატურამ, ისტორიამ და, საერთოდ, ქართულმა კულტურამ: „დაუფიქრებლად გიპასუხებთ, გადამწყვეტი-მეთქი. თუკი ჩემი შემოქმედება მართლა იმსახურებს მკითხველის ყურადღებას. რა თქმა უნდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ლიტერატურის, ქართული ისტორიისა და კულტურის დამსახურებაა, რამდენადაც მეც მისი სისხლხორცეული, განუყოფელი ნაწილი ვარ, მისი წესის მიმდევარი და მისი სიტყვის გამტარებელი“. ამავე დროს, ო. ჭილაძე მის შემოქმედებაზე საყოველთაო გამოცდილების გავლენასაც აღიარებს: „ხოლო რაკი საქართველოც, თავის მხრივ, ასევე სისხლხორცეული და განუყოფელი ნაწილია მსოფლიოსი, არანაკლებ მნიშვნელოვანია და, რასაკვირველია, გარკვეულ ზეგავლენასაც ახდენს ჩემზე ის საერთაშორისო, საყოველთაო გამოცდილება კულტურისა და ლიტერატურისა, რაზედაც ხელი მიმინვედება“ (ჭილაძე 2014: 273). მწერლის დასკვნით, „ეს აუცილებელი გავლენაა, რამდენადაც ამგვარი გავლენის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია ნებისმიერი ეროვნული ლიტერატურის არსებობა და, მით უმეტეს, მისი შემდგომი განვითარება“ (ჭილაძე 2014: 274)

ოთარ ჭილაძე შეახსენებს თანამოკალმეებს: „ლიტერატურა თანაბართა დაპირისპირება კი არა, განსხვავებულთა ერთობაა.. მწერლობაც, ცხოვრების მსგავსად, უწყვეტი პროცესია და გაჩერება მისთვის სიკვდილს ნიშნავს“.

კონცეპტუალური და დამამედებელია ოთარ ჭილაძის შეგონება: „ჩვენი მისია უკვალოდ გაქრობა კი არ არის.. არამედ გამორჩეული, განსაკუთრებული ხმისა და სახის, სულისა და ხასიათის შენარჩუნება სამყაროს აღსასრულამდე“ (ჭილაძე 2009: 22).

### **დამონეშაანი:**

**კაციტაძე 2007:** კაციტაძე კ. მოგონებები მომავალზე, ანუ პოსტინდუსტრიალიზაცია, გლობალიზაცია და საქართველო. // ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები. თბ.: 2007.

**რობაქიძე 2012ა:** რობაქიძე გრ. ნაწერები. ნ. 3. თბ.: 2012.

**რობაქიძე 2012ბ:** რობაქიძე გრ. ნაწერები, ნ. 5. თბ.: 2012.

**რობაქიძე 2012გ:** რობაქიძე გრ. *Pro domo sua* (გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატიაში). თბ.: „არტანუჯი“, 2012.

**ქიქოძე 2003:** ქიქოძე გ. *პატარა ერის ხვედრი* (შემდგენელი მანანა ქიქოძე). თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

**ქიქოძე 1998:** ქიქოძე გ. უბის წიგნაკი (შემდგენელი ლალი ცომაია). თბ.: „დიოგენე“, 1998.

**ჭილაძე 2014:** ჭილაძე ო. ღრუბელი (დიალოგები). თბ.: „ინტელექტი“, 2014.

**ჭილაძე 2009:** ჭილაძე ო. წინ მარადისობაა! თბ.: „ინტელექტი“, 2009.

**წერეთელი... 2006:** წერეთელი ი., კაკიტელაშვილი ქ. კულტურა და მოდერნიზაცია. თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.

**SHARLOTA KVANTALIANI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **The Path of Georgian Futurism (European Experience, Genesis of Simon Chikovani's Creativity)**

The elements of Futurism emerged in Georgian writing ever since Georgian poets speculated about symbolism and created symbolist verses.

The Futurist Manifesto, written by the Italian poet Filippo Tommaso, was published in the in French newspaper “Figaro” in 1909.

Simon Chikovaly was 21 when the futurist journal  $H_2SO_4$  came out (1924), from the outset the young poet was perceived as a driving force and leader of avant-gardism. He became an editor of the newspaper Memartskheneoba (Leftness).

Simon compared Marinetti with Coulomb who discovered a “mechanical country” and Aleksei Kruchenykh was “Jesuit of futurist word” who invented “Zaum” language.

Passing by futurism, Dadaism, constructivism Simon Chikovani created intellectual poetry charged with great passions. Chikovani himself wrote: “I learned to write verses late”, learned late but learned well.

**Key words:** *Simon Chikovani, Futurism, Marinetti, “Zaum”.*

### **შარლოტა კვანტალიანი**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **ქართული ფუტურის გზა (ევროპული გამოცდილება, სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების გენეზისი)**

ნებისმიერი ლიტერატურული გაერთიანება, პოლიტიკური გაერთიანების მსგავსად, ცდილობს პირველობას. ქართველმა ფუტურისტებმა განაცხადეს, რომ უარყოფდნენ წარსულს, ყოველივეს, რაც

მათ უკან იყო და ამიერიდან საქართველო მათით იწყებოდა. ახალგაზრდა ავანგარდისტებმა ამის შესახებ თამამად და გამომწვევად თქვეს 1922 წლის 7 მაისს გამოცემულ მანიფესტში „საქართველო-ფენიქსი“. ეს მანიფესტი იტალიური ფუტურიზმის გავლენით დაინერა და მესიანისტური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველი პოეტები სიმბოლიზმზე მსჯელობდნენ და სიმბოლისტურ ლექსებს ქმნიდნენ, ავანგარდისტები მათ დასამხობად ირაზმებოდნენ.

ქართველმა ფუტურისტებმა პირველი სალამო 1922 წლის 23 აპრილს, თბილისში, კონსერვატორიის დარბაზში გამართეს, ფუტურისტები გაერთიანდნენ ჯგუფში, რომელსაც  $H_2SO_4$  ერქვა. მან გააერთიანა დადაიზმის, კონსტრუქტივიზმის და ფუტურიზმის პრინციპები. იგი გახდა სოციალისტური რევოლუციის ერთადერთი ხელოვნება. ფუტურისტებმა გამოსცეს ჟურნალი  $H_2SO_4$  1924 წლის 25 მაისს. ის ყველაზე უცნაური ქართული ჟურნალი იყო. არეული შრიფტი, გაუგებარი ლექსები, უჩვეულო თეორიული სტატიები, კუბისტური სურათები... ეს ყველაფერი სათავეს იღებდა ფ.მარინეტის „ტიპოგრაფიული რევოლუციის“ იდეიდან.  $H_2SO_4$ -ის საბჭოს წევრები იყვნენ: ბენო გორდეზიანი, ნიოგოლ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, პავლო ნოზაძე, ჟანგო ლოლობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი.

ევროპისა და რუსეთის გავლენით ქართველმა პოეტებმაც ანტი-რომანტიკული მოძრაობა დაიწყეს. სიმეტრია შეცვალა ასიმეტრიამ. სწორედ რომანტიკული „ცისფერი ყანების“ უარსაყოფად შეიქმნა  $H_2SO_4$  თავდაპირველად „ცისფერყანნელებს“ ფუტურისტებსაც უწოდებდნენ, მაგრამ მათი გზები სულ მალე გაიყო და „ფუტურისტები“ ხშირად თავს ესხმობდნენ თავიანთ „ინტელექტუალურ მამებს“, მარინეტიმ უწოდა სიმბოლისტებს ფუტურისტების ინტელექტუალური მამები.

ჯგუფის წევრებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, სურდათ ქართული კულტურის რადიკალური განახლება, უარყოფდნენ წარსულს;  $H_2SO_4$ -ის საბჭოს წევრები ევ როპულ მასალას მიმოიხილავენ, მაგრამ რუსული გზით. ეს, უცხო ნიადაგზე აღმოცენებული ლიტერატურული ჯგუფი, ნელ-ნელა ეროვნულ ნიადაგზე დადგა, მაგრამ მანამდე დიდი და რთული, გზა გაიარა. მან 1922 წლიდან 1928 წლამდე იარსება, ამ პერიოდში გამოსცა მანიფესტი, სამი ჟურნალი და ერთი გაზეთი ( $H_2SO_4$  „ლიტერატურა და სხვა“, „მემარცხენეობა“, „დროული“) შემდეგ ეს ჯგუფი დაიშალა, რადგან საკუთარი პრესა არ გააჩნდა და ის საერთო სალიტერატურო პროცესს შეუერთდა, თუმცა მათი წარმომავლობა ხშირად იჩენდა ხოლმე თავს.



„ფუტურისტთა“ დამოკიდებულება რომანტიზმთან შეიძლება, გამოიხატოს სიმონ ჩიქოვანის სტრიქონებით: „დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლი“.

„ძველი ესთეტიკის მსხვერვის შედეგად იშლება მისი საფუძვე-ლიც — ენა“. მათ, ისევე როგორც მარინეტის, მიაჩნდათ რომ ფუტურისმი იხსნიდა ლიტერატურას პროვინციულობისაგან და ევროპულ ლიტერატურასთან დაახლოვებდა. სიტყვათქმნადობის პრინციპი რუსი ფუტურისტებისგან ისეხსნა  $H_2SO_4$  მა. „ზაუმი“ აღმოაჩინა ალექსეი კრუჩინინმა, რომელსაც სიმონ ჩიქოვანმა „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი“ უწოდა.

$H_2SO_4$ -ში ძირითადად კრიტიკულ-თეორიულ წერილს ბეჭდავენ, სადაც განმარტავენ და ამართლებდნენ საკუთარ შემოქმედებას და თავს ესხმოდნენ „მონინალმდეგებს“. „სიმონი გვებრძვის მანიფესტებით“ — ხუმრობდა პაოლო იაშვილი. რუსი ფუტურისტებიც ბევრ მანიფესტს თხზავდნენ.

როგორც მეტყველების ძირსა და სათავეს ფუტურისტები ხალხურ მეტყველებას მიმართავენ. მათ მიაჩნიათ, რომ ხალხური მეტყველება იწვევს პრიმიტივის განცდას. „პრიმიტივი გვახლოებს ბავშვის ფსიქიკასთან, ე.ი. დადასთან“. მას ემატებოდა სიმონ ჩიქოვანის მხრიდან, მეგრული სიტყვების გამოყენება. ასევე ხშირად და ეფექტურად მიმართავენ შელოცვების, გამოცანების კონსტრუქციებს, რაც ლექსებს ბუნდოვანებას მატებდა. შელოცვების ესთეტიკა იმდენად იყო მისაღები პოეტებისათვის, რამდენადაც მას ჰქონდა მაგიური ზემოქმედების ძალა. „სიტყვის ნისლში იმალებოდა უმაღლესი სიკეთე, რომლის შთაგონებით კურნავდნენ ავადმყოფს. კრუჩინინი ამტკიცებდა, რომ „საჭიროა პოეტს საერთო ენასთან ერთად ჰქონდეს ინდივიდუალური ენა, მარად ნორჩი და ცვალებადი სამყაროს შესატყვისი კონკრეტული არსისგან დაცლილი“.

სიმონ ჩიქოვანის ადრეული პოეზიის მთავარი ნიშან-თვისება ანტიფსიქოლოგია იყო. ის ხშირად მიმართავს დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლანდებს, ალბათ იმიტომ რომ მის პოეზიას აკლდა ადამიანობის სევდა ნა ნალველი: „ხომ დაიღუპა სამშობლოში ბარათაშვილი-დე დაიკვილოს ჩიქოვანმა ცივ აკვანიდან.

რუსეთის რევოლუცია იყო ის ბიძგი, რომელმაც ფუტურისმის იდეოლოგია გაამყარა. მუშათა კლასის დიქტატურამ მოითხოვა ხელოვანის აზროვნების შეცვლა. „ლინგვოტექნიკამ“ დაიკავა რითმის, რიტმის, მეტაფორის ადგილი. ინდუსტრიის, აღმშენებლობის ტერმინი გახდა „როშვა“, პოეტს დაერქვა როშარი. სიმონ ჩიქოვანი წერდა: „ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე, მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი“. სი-



მონ ჩიქოვანი 21 წლის იყო როცა დაიბეჭდა პირველი ფუტურისტული ჟურნალი, ახალგაზრდა პოეტი თავიდანვე მოიაზრებოდა ავანგარდიზმის იდეოლოგად. ის რედაქტორობდა გაზეთ „მემარჯვენეობას“.

ავანგარდიზმმა ქართულ პოეზიას შესძინა სიმოს ჩიქოვანი. მან ყველაზე უკეთ შესძლო პრაქტიკულად განეხორციელებინა ფუტურისტთა თეორიული პროგრამა, მისი ლექსები: „ცირა“, „ქარბორია“, „ხაბო“, „მორდუ“, „სიდუ“... ამის დასტურია.

სიმონ ჩიქოვანმა გამოიარა ფუტურიზმის, დადაიზმის, კონსტრუქტივიზმის გზა და შექმნა დიდი ვნებებით დამუხტული პოეზია. მასში თავიდანვე მძლავრობდა ინტელექტის, გონების პრიმატი. „ეს იყო თანდაყოლილი თვისება, რომელიც ვერ შეიცვლებოდა. ამიტომაც გახდა რაციონალური პოეზიის ლიდერი, რომლის სიღრმე, სირთულე, რიტმული კონფიგურაცია გალაქტიონ ტაბიძის უმაღლესად არტისტული, მუსიკალური ლირიკის საპირისპირო მდინარეა აღმოჩნდა“. სიმონ ჩიქოვანი იყო ერთადერთი პოეტი, გალაქტიონ ტაბიძის სიცოცხლეში რომელმაც შექმნა არასიმბოლისტურ საწყისებზე აღმოცენებული, დიდი ვნებებით დამუხტული, ინტელიგენტის ფიქრის შესატყვისი პოეზია, რომელმაც სანყისი მისცა ე.წ. „ინტელექტუალურ ნაკადს“.

სიმონ ჩიქოვანი წერდა: „მე ლექსის წერა ვისწავლე გვიან“, ისწავლა გვიან, მაგრამ ისწავლა კარგად.

#### **დამოწმებანი:**

**გაზ. „ტრიბუნა“ 1923:** გაზ. „ტრიბუნა“, № 404, 1923.

**სიგუა 2013:** სიგუა ს. *კულტუროლოგიის საფუძვლები*. ტ. III. თბ.: 2013.

**ტაბიძე 1923:** ტაბიძე ტ. *ირონია და ცინიზმი*. მეოცნეზე ნიამორები. №9, 1923.

**ქურდიანი 1982:** ქურდიანი მ. *საუკუნის დასაწყისი*. ცისკარი, №5. 1982.

## **NONA KUPREISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **City Construction and Idea of Novel Origin At the Edge of 19-20 Centuries of Georgia**

Novel is a term full of philosophical and ideological connotations, the realization of which demanded the big historical period (from antique period till 17-18 centuries).

Sociologists and so called “Historians of urbanist facts” or city culture researchers (M. Veber, L. Mamford) connected a city, as “a place of anonymous persons’ dialogue” and a city phenomena at some stage of development to development of a novel. At the edge of 19-20 centuries, in Georgia which was bound to political-economic structure of metropolitan country, by wide conception, modernization process was led with peculiarities and with alogism.

The problem of Georgian novel reveals especially in post Ilia period. Only when the contours of future Renaissance of Georgian art depicted in 10s of 20<sup>th</sup> century, need of a novel as a synthetic picture of Georgian life (A. Jorjadze) became especially sensational. Except A. Jorjadze on this topic used to write Vazha Pshavela, Akaki Papava, Leo Kiacheli, Mikheil Bochorishvili.

*Key words: Novel species, a new period novel, novel problem in Georgia.*

## ნონა კუარეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ქალაქური კულტურა და რომანის წარმოშობის იდეა მე-19-20 საუკუნეთა მიჯნის საქართველოში

რომანი ფილოსოფიური და იდეოლოგიური კონოტაციებით გადატვირთული ტერმინია, რომლის რეალიზებას ისტორიული დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთი დასჭირდა (ანტიკურობიდან XVII-XVIII საუკუნეებამდე). მას თან ახლდა კონვერგენციის პროცესებიც, რაც სხვა ლიტერატურული სახეობებიდან ნარატიული კლასებისა და ტიპების ათვისებას გულისხმობდა. ანტიკური ეპოსისგან განსხვავებით, რომანი მუდმივ წინააღმდეგობაში იყო არსებულ ლიტერატურულ პირობითობებთან. მუდმივად ცვლიდა რა თხრობის ხერხებს, ის სტილის ელემენტებს სესხულობდა დრამიდან, ჟურნალისტიკიდან, მასობრივი კულტურიდან და კინოდან. ამასთან არასოდეს კარგავდა რეპორტირების იმ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩაეყარა. საბოლოო ჯამში, ისტორიული დროის ქრილში გამოიკვეთა რომანის, როგორც ეპოსის ნაირსახეობის, შემდეგი ტიპები: სარაინდო (XVII ს.), ავანტიურისტული (XVI- XVII სს.; ლესაჟის „ჟილ ბლაზის მოგზაურობა“), სათავგადასავლო (XVII ს. სერვანტესის დონ კიხოტი“), ახალი ტიპის რომანი (ჟ.ჟ. რუსოს იულია ანუ ახალი ელოიზა“ — 1761წ.; პუშკინის ევგენი ონეგინი“), სოციალური რომანი: აღმზრდელობითი და კულტურულ-ისტორიული — დიკენსი, ბალზაკი, პრუსტი, თ. მანი, ტოლსტოი, ტურგენევი), ფსიქოლოგიური (ა. პრევე „მანონ ლესკო“)

გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი, რომელმაც შეიმუშავა რომანს ბურჟუაზიის ეპოპეას უწოდებდა. მისი აზრით, ეპოსისა და რომანის ურთიერთდაპირისპირება სამყაროს განვითარების ორი პერიოდის ურთიერთდაპირისპირებას ასახავდა, როდესაც ფეოდალური წყობა, თავისი პატრიარქალური მსოფლმხედველობით, ახალმა დრომ ჩაანაცვლა. მართლაც, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში რომანის ისტორიული განვითარება სწორედ ამ ჭრილში, თუმცა განსხვავებულად წარიმართა, რადგან ამ ქვეყნებში რამდენადმე განსხვავებულ ისტორიულ კონტექსტში მიმდინარეობდა თავად ბურჟუაზიის, როგორც მესამე ფენის“, ჩამოყალიბების პროცესი. შუა საუკუნეებში, როდესაც მოხდა მოსახლეობის დიფერენცირება ქალაქელებად და გლეხებად, ბურჟუაზიას მიაკუთვნებდნენ ქალაქის იმ შეძლებულ მცხოვრებლებს, რომლებიც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მაგ. ვაჭრებს, ხელოსნებს, მეფახშეებს. დაწყებული ნიდერლანდებისა, და განსაკუთრებით ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციიდან, ბურჟუაზია რევოლუციური რეფორმების სათავეში ექცევა და მნიშვნელოვნად აჩქარებს მართვის ფეოდალური სიტემის ნგრევას. ინგლისურმა ბურჟუაზიამ (და მის კვალდაკვალ მეტ-ნაკლები ინტენსივობით ფრანგულმა და ესპანურმაც), ადრე შეიძინა რესპექტაბელურობა, გახდა მერკანტილური და კარიერიზმისკენ მიდრეკილი (საერთოდაც, ინგლისში თავისებურად განვითარდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის პროცესი, რადგან შუასაუკუნოებრივი წესების მსხვრევა იქ ბევრად უფრო ადრე განვითარდა სოფელში, ვიდრე ქალაქში; ქალაქზე ადრე სწორედ სოფელი იქცა მომგებიანი კაპიტალდაბანდების საშუალებად). რაც შეეხება გერმანიას, აქ შედარებით დაგვიანდა ბურჟუაზიის, როგორც კლასის, გაბატონება. მოხდა ისე, რომ იგი დროულად ვერ გათავისუფლდა არისტოკრატის ზეგავლენისგან და პროტესტსაც საკმაოდ სუსტად ავლენდა. საგულისხმოა, რომ ყველა ეს ისტორიული გადაცდომა თუ ნიუანსი შესაბამისად აისახა კიდევ ევროპის კულტურული ევოლუციის პროცესზე და მათ შორის რომანის სტრუქტურაზე. მიუხედავად ამ პროცესის არათანმიმდევრულობისა, ევროპის წამყვან ქვეყნებში ფეოდალიზმის ნგრევამ და კაპიტალიზმზე გადასვლამ სოციალური განვითარების დასრულებული ფორმები გამოავლინა. ამან კი სერიოზული გავლენა იქონია ახალი დროის დასავლეთ ევროპული რომანის სახეობრიობასა და მასშტაბურობაზე. ის, რომ XVIII-XIX საუკუნის ევროპული, განსაკუთრებით კი ფრანგული, რომანი ძლიერი პიროვნების კულტსა და მისი ბიოგრაფიისადმი აღძრულ ინტერესს (უფრო ფსიქოზს) უკავშირდება, კარგად ჩანს ოსიპ მანდელშტამის წერილში რომანის დასასრული“, რომელშიც ავტორი განათლებულ ევროპაზე ნაპოლეონის

პიროვნების გავლენასა და მისი ცხოვრების არაორდინალურობით მოტივირებული გამორჩეული პერსონაჟების მოძალებაზე საუბრობს.

სოციალოგები და ე.წ. ურბანისტული ფაქტის ისტორიკოსები“ ანუ ქალაქური კულტურის მკვლევრები (მ. ვებერი, ლ. მამფორდი) ჩაკეტილი სამოსახლო ადგილის ნიშნით გამორჩეულ ქალაქს, როგორც ანონიმური პირების დიალოგის ადგილს“ და მასთან ერთად ქალაქური ცხოვრების ფენომენს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე რომანის განვითარებასთანაც აკავშირებენ. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია რასტინიაკის, ჟიულენ სორელის თუ ფორსაიტების ან ბუდენბროკების საგვარეულო დინასტიების ისტორიათა ქალაქისა და მის ნიაღში განვითარებული სოციალ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენების მიღმა წარმოქმნა და განვითარება.

თუ ქართული რომანის წარმოშობის ისტორიას, დასავლეთ ევროპული ქვეყნების ანალოგიურად, ბურჟუაზიის წარმოქმნასა და ახალი ტიპის ქალაქური ცხოვრების დამკვიდრების მეტ-ნაკლებად სტაბილურ ეტაპთან (რაკი მიუღწეველი და სანატრელი სწორედ ეს სტაბილურობა იყო) დავაკავშირებთ, ერთობ არასახარბიელო სურათს მივიღებთ. ჩვენი ისტორიული ტრადიციის გათვალისწინებით ყველა ის სოციალ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენა, რომელმაც დღევანდელი ევროპული კულტურის ინსტიტუციონალური ხასიათი განაპირობა, ჩვენამდე ან ძალიან გვიან, ან დამახინჯებამდე სახეცვლილად ან სულაც არ მოღწეულა. დამპყრობელი, ცხადია, არ ზრუნავს საზოგადოების მასტიმულირებელი პროცესების დინამიკაზე. სულაც პირუკუ. მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტად შეაფერხოს განვითარების ევოლუციური პროცესი, გახადოს იგი მიუწვდომელი და საკუთარ კოლონიას, არასრულყოფილების კომპლექსის“ დაწერგვით, მინიმალურით დაკმაყოფილების პირობები“ შეუქმნას. მიუხედავად ამისა, 1800 წლიდან, ვთქვათ, თბილისის მოსახლეობა, რომელიც ამ დროისათვის 15 400-ია, ხოლო ქალაქის ფართობი 72 ჰა არ აღემატება, განუხრელად იწყებს ზრდას. სულ უფრო იკვეთება და შესაბამის სოციო-კულტურულ მნიშვნელობებს იძენს ქალაქის ევროპული და აზიური ნაწილი, რომელიც არქიტექტურულ-ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისითაც საგრძნობლად განსხვავდება. აზიური ნაწილი წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა, ასევე სოფლებიდან დაძრული ბოგანოების ადგილია, მაშინ, როდესაც ევროპული — მსხვილი სახელმწიფო მოხელეების, ჩინოვნიკების, უცხოელი სტუმრების და ხალხში გასული“ (ძირითადად სომეხი ეროვნების) ასევე მსხვილი ვაჭარ-მევახშეთა სამფლობელოა. ასეთ ვითარებაში ქალაქისადმი, როგორც მზარდი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრისადმი, უნდობლობა თანდათან მატულობს. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ძველი

მონარქიულ-ბატონყმური და ახალი კაპიტალისტური ცხოვრების წესის მიჯნაზე იდგა, ქართული ქალაქის შესახებ წერდა: ჩვენებური ქალაქები არავითარ შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანას, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე. ჩვენს საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხნის რისიმე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორც მაგალითებრ, თბილისია და ქუთაისი, ნარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები სალდება, ისიც დიდი ვაი-ვაგლახითა და გაჭირებით... პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელას, ვით ქვემდრომსა, საცა ბევრნაირი ჭიალუა ჰფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოლრდნან სოფელი. სხვა არა ემუნათება რა სოფელს ჩვენებური ქალაქებისგან“ (ჭავჭავაძე 1956: 31). როდესაც კრიტიკოსმა მალხაზ ხარბედიამ ილიას ქალაქური ტექსტების კვლევა დაიწყო, აღმოჩნდა რომ მისი პერსონაჟები ქალაქისგან თვალშისაცემად გაუცხოებულნი არიან. გაითვალისწინა რა კაცია-ადამიანის“ ტექსტის სქოლიოში ჩამოტანილი ავტორისეული განმარტება ტფილისის პირველად მნახველისთვის კენჭის გადაყლაპვის (რომ არ დაგცადოს) რიტუალიზებული ქმედების შესახებ, მკვლევარმა თავის ნაშრომს ასეც უწოდა: კენჭადაყლაპული. მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტის შესახებ“ (ხარბედია 2007: 57). ილიას ცნობილ (კაცია-ადამიანი“, გლახის ნაამბობი“, სარჩობელაზედ“) და ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებთა (დიამბეგობა“, უცნაური ამბავი“) ანალიზი, მართლაც, ავლენს ქართული ქალაქის სიჭრელესა და მოუწყობლობას, გარდა ამისა, კარგად ჩანს მასთან ილიას ნეგატიური დამოკიდებულება. საქართველო, როგორც პატრიარქალური მეურნეობის ქვეყანა, ბუნებრივად აღმოჩნდა დაშორებული იმ მოვლენებს, რომლებსაც ევროპაში რომანის ჟანრის აღზევება მოჰყვა. აი, როგორ ასაბუთებდა ამ საკითხთან დაკავშირებულ თავის შეხედულებას ილიას ერთ-ერთი ღირსეული პოლემისტი არჩილ ჯორჯაძე: ჭავჭავაძის ყურადღებას მარტო სოფელი იწვევდა. ამას გასამართლებელი საბუთი ჰქონდა, რადგან ჩვენი ქვეყანა სოფლური ქვეყანაა. მხოლოდ ავტორს უნდა დაენახა, რომ სოფელთან ერთად იბადება და ისახება იმგვარი ეკონომიკური ნიადაგი, საიდანაც წარმოსდგება სრულებით ახალი და საქართველოში უცნობი ფაქტორი წარმატებისა და მოძრაობისა — ალებ-მიცემობის გაძლიერება, მრეწველობის აღორძინება, ფულის გაბატონება და ამის საშუალებით სოფლის მებატონის ხარისხის ჩამორთმევა და დაქვეითება... ავტორი მარტო სოფლის ცხოვრებას ადევნებს თვალ-ყურს. ქალაქი თავისი რთული აგებულებით აქვს სრულებით მივიწყებული... ჩვენი ავტორი

კმაყოფილდება ცხოვრების ცალმხრივი შესწავლით და მასთან არც ასახელებს ძირითადს — ნოდებრივ უთანხმოებას...“ (ჯორჯაძე 1989: 65). თუკი ილიას, ფაქტობრივად, ახალი ქართული ეკონომიკური მოძღვრების შემქმნელის, შესახებ შესაძლებელი იყო ასეთი საყვედურის გამოთქმა, ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა თქმულიყო სხვა ავტორთა მიმართ. არადა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი დედაქალაქი თანამემამულეთა შორის წართმეულის“ სტატუსით სარგებლობს, რადგან მისი ეკონომიკური წინსვლის სადავეები ქართველთა ხელში აღარ არის. კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ იმავე ილიას და გავისხენოთ მისი წერილების ციკლი ამავე თემაზე: ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრენველობა“, ქალაქის თვითმმართველობა“, სად სომხეთი და სად ტფილისის ქალაქი?“, სწავლა-ცოდნა, როგორც მხოლოდ ფულის ხვეჭის საგანი“, ქართველებისა და სომხების განსხვავებული ხასიათი და ინტერესი“ (ჭავჭავაძე 2007: 14-72). დასკვნა, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან გაკეთდა განსაკუთრებული სიზუსტით გამოვლინდა ილიას კიდევ ერთი წერილის სათაურში: სხვის დახლთან მდგარი ერი“. დიახ, ასეთი იყო ის შეფასება, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობათა სისტემაში უცნაურად ჩაკირულ და ახალ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან ვერმიახლოებულ ქართველთა მიმართ იქნა გამოტანილი. ხოლო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ როგორღაც მაინც ფეხმოკიდებული ბურჟუაზიული წარმონაქმნი ძირითადად არაქართული იყო, დიდი კაპიტალის მქონე ეს ადამიანები კი შეგნებულად ერიდებოდნენ მათთვის არა უცხო, არამედ უფრო არამშობლიური ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელ კულტურულ სიახლეთა დანერგვას, გასაქანი ეძლეოდა მხოლოდ კერძო პირთა კეთილდღეობაზე გათვლილი ჩარჩული კაპიტალის“ განვითარებას. ცნობილია ის მოსაზრებაც, რომ ქართულმა რეალისტურმა მწერლობამაც (გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, გ. წერეთელი, აკაკი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა) უარყოფითი როლი შეასრულა ვაჭრის ფიგურის, ვაჭრობის, როგორც მეტად აქტუალური საქმიანობის არასწორად ინტერპრეტირების საქმეში. საგულისხმოა, რომ მკვლევარი კ. კაციტაძე თავის წერილში ქართული საზოგადოება და თანამედროვე გამონვევები“ მიჯნავს რა ერთმანეთისგან ევროპის ინდუსტრიულ (ინგლის-ჰოლანდია) და აგრარულ ქვეყნებს (ესპანეთ-პორტუგალია), ააქცენტირებს კულტურული სისტემის (ჩვენს შემთხვევაში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა) დროულად შეცვლის აუცილებლობას. წერილის ავტორის აზრით, მაგ. ჰოლანდიას პოლიტიკურ ორგანიზაციაში ჰქონდა რაღაც ისეთი, რაც ჩვენ არ გვქონდა და ამ რაღაცამ ყველაფერი განსაზღვრა. მათი საზოგადოება სამოქალაქო ხასიათისა იყო... ეს კი გულისხმობს ისეთ სოციუმს, რომ-

ლის ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს ქალაქი და შესაბამისად ინდუსტრია თამაშობს... თუმცა ინდუსტრიალურ საზოგადოებაზე გადასვლა სულაც არ ნიშნავს აგრარულ სექტორზე უარის თქმას. მეტიც მანქანური ტექნიკის დანერგვის წყალობით იგი ინტენსიურად ვითარდება...” (კაციტაძე 2007:12). ჩვენთან კი, როგორც ვნახეთ, ძირითადად სოფლის ხარჯზე არსებული ქალაქები არსებობდა. ამასთან, გავითვალისწინოთ ქალაქის მმართველობის წესიც, რომელიც ხელმძღვანელ პირთა არჩევითობას და ანგარიშვალდებულებას ითვალისწინებს. ჩვენ კი პრობლემები გვქონდა როგორც სოციალ-კულტურული გარემოს სტაგნაციის, ისე ქალაქის მმართველობის თვალსაზრისითაც, სადაც გარკვეული პერიოდის მანძილზე ქართველებს ხელი საერთოდ არ მიუწვდებოდათ. სამოქალაქო საზოგადოების სულისკვეთება ჩვენში საფუძვლიანად ვერ დაუპირისპირდა სამხედრო-ფეოდალურს, რამაც შესაბამისი შედეგებიც მოიტანა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველი თავადაზნაურობისგან განსხვავებით, ევროპელთა მიმართება სამყაროსადმი შრომას ეყრდნობოდა. შრომის არსი კი გულისხმობს საკუთარი თავისადმი ახალი მოთხოვნების წარდგენასა და ორგანიზაციის ახალ კულტურას. საბოლოო ჯამში კი ეს იგივეა, რაც საკუთარი თავის ხელახლა ჩამოყალიბება“ (კაციტაძე 2007:13).

მართალია, გიორგი ერისთავის პიესებში, ლავრენტი არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“, გიორგი ნერეთლის პირველ ნაბიჯში“, ისევე როგორც ალექსანდრე ყაზბეგის ციცკასა“, ვაჟას დარეჯანს“, ეგნატენინოშვილის ჩვენი ქვეყნის რაინდსა“, ჭოლალომთათიძის თეთრ ღამესა“ და შიო არაგვისპირელის მოთხრობებში კეთილსინდისიერად და სათანადო მხატვრულ დონეზე გაშუქებულ იქნა კოლიზიამდე მისული შეუთავსებლობა საზოგადოებრივ ფენებს შორის, ამ დაპირისპირებათა ქვედინებები და მათი განვითარების პოტენციური შესაძლებლობები, რაც იყო კიდევ მომავალი რომანის ან რომანების მასალები, მიუხედავად ამისა, აქ დასახელებული ტექსტები, ცხადია, ვერ გადაწყვეტდნენ რომანის პრობლემას, რომელმაც ჩვენში მთელი სიმძაფრით თავი უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან იჩინა. არადა, დრო მათ სიღრმისეულ ანალიზს ითხოვდა. შემთხვევით როდი ელოდებოდა ორიგინალური ხელწერისა და პრაქტიკულად ახალი პოეტიკის მქონე შიო არაგვისპირელისგან აკაკი ნერეთელი დიდტანიან ნაწარმოებს, ანუ რომანს.

ახალი XX საუკუნე გამორჩეული სწორედ მოვლენათა უსწრაფესი მონაცველობით აღმოჩნდა: 1905 წლის რევოლუცია, ილიას მკვლელობა, პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის



ხანმოკლე არსებობა და ახალი რუსული ანექსია, ამჯერად ბოლშევიკური არმიის მიერ, ანუ როგორც დემოკრატიული პოეზიის წარმომადგენელი, პოეტი ვარლამ რუხაძე წერდა: ... თვითმპყრობელობა სულ სხვა სახით ჩვენ დაგვიბრუნდა...“. მოვლენათა ამ კალედოსკოპში თავისთავად მომნიშვდა ახალი ქართული რომანის შექმნის იდეა. სხვადასხვა დროს ამის შესახებ საუბრობდნენ კიტა აბაშიძე, ვაჟა ფშაველა, აკაკი პაპავა, არჩილ ჯორჯაძე, ლეო ქიაჩელი, მიხეილ ბოჭორიშვილი, თუმცა, საბოლოო ჯამში, ვერავინ ვერ თანხმდებოდა იმაზე, როგორი უნდა ყოფილიყო იგი, რეალისტური თუ მოდერნისტული. არადა მხატვრულობის თვალსაზრისით რეალობა იმდენად ლიტერატურაბელური იყო, რომ არაერთი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის (ირევდოშვილი, ჭ. ლომთათიძე, ლ. ქიაჩელი, თ. სახოკია და სხვ.) ბიოგრაფია გამოდგებოდა რომანის მასალად. არჩილ ჯორჯაძე, რომელიც კიტა აბაშიძესთან ერთად ქართული მოდერნისტული ესთეტიკის სათავეებთან დგას, ზუსტად განსაზღვრავდა ქართული მწერლობის რეფორმირების ძირითად პრიორიტეტებს, რომელთა შორის რომანის პრობლემას გამორჩეული ადგილი ეკავა. აი, რას წერდა იგი: ჩვენ დღეს გვესაჭიროება გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით. ესკიზებმა, ეტიუდებმა, პატარა მოთხრობებმა ვერ გამოსახეს ის, რაც უნდა იყოს გამოსახული. ჩვენ გვესაჭიროება, თუ შეიძლება ითქვას, სინტეტური სურათი ქართული ცხოვრებისა. დროა ვნახოთ ჩვენი თავი, ყველანი ვინცა ვართ, მხატვრულ ნაწარმოებში. ამ სინტეტიური სურათის შექმნა შეუძლიან დიდ ხელოვნებას, დიდ ოცნებას და თუ არ გამინყრებით, მშვენიერ მატყუვრობას...“ (ჯორჯაძე 1989: 4). ფორმით მოდერნისტური, შინაარსით კი რეალისტური“ (ო. ჩხეიძე) რომანის შესაქმნელად, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი ცხოვრების რალაც მნიშვნელოვანი ციკლის გასრულება იყო საჭირო. ამიტომ, მიუხედავად იმ ტრანსფორმაციისა, რაც სწორედ მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ცისფერყანწელებმა“ მოახდინეს, ვითარება ერთხანს უცვლელი რჩებოდა. მოგვიანებითაც, გაზეთ ლომისის“ ფურცლებზე იმავე თემას ავითარებდა მიხეილ ბოჭორიშვილიც: მინიატიურულია საქართველო და საბედისწერო მისი მომავალი... უთუოდ საბედისწეროა, რომ ჩვენი მხატვრული პროზა მინიატიურიდან ვერ იძვრის... არ უარვეყოფთ მინიატიურას, მას უყვარს ცხოველი ხაზები, ტკბილი განცდა, ლირიზმი. კარგია ნიღბის ახდა, სულის გამომზეურება, მე“-ს გამოჩენა... მაგრამ ქართული პროზა უნდა გასცდეს მინიატიურას... გაგვახალისა შ. არაგვისპირელმა გაბზარული გულით“, ლ. ქიაჩელმა ტარიელ გოლუათი“. მარტოოდენ ლექსი ვერ შექმნის ეროვნულ კულტურას...“



(ბოჭორიშვილი 1923: 2). წერილი დაწერილია ქართული რომანის, მასთან ერთად კი ქართულ მწერლობაში პროზის სეზონის“ დადგომის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინადაღეს, რადგან 20-იანი წლებიდან ვითარება რადიკალურად იცვლება. პირველი ევროპული ტიპის რომანი კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომელიც ბოლშევიკური რეჟიმის ქვეშ მყოფ საქართველოში იქმნება, როდესაც არაერთი პროცესი (მათ შორის ლიტერატურულიც,) ჯერ კიდევ ინერციით გრძელდება, ავანტიურისტულია და იგი მაშინდელი პრესის ფურცლებზე მიხეილ ჯავახიშვილის ავტორობით იბეჭდება. მალე (1924 წელს) მას მოჰყვება ამავე ავტორის გახმაურებული რომანი ჯავახი ხიზნები“, რომელშიც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უღმობელი ანალიზია მოცემული. ასეთი კვლევა ჩვენზე თავისა, კრიტიკოს ივანე გომართელის სიტყვების პერიფრაზით კი, მსგავსი ანატომიური კვეთა საქართველოს საზოგადოებრივი სხეულისა, ქართული მწერლობისთვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო. იქნებ, ბოლშევიკები, როგორც წითელი კრიტიკოსი ვალია ბახტაძე ამბობდა, ეს დიდი ეჭვიანი ხალხი“, მოგვიანებით უკეთ ჩანდა ჯავახიშვილის რომანის მეტად სახიფათო ხასიათს, მის მსგავსებას ორლესურ მახვილთან. ასე იყო თუ ისე, ამ ნაწარმოებს ასევე უპრეცედენტო და ურთიერთსაწინააღმდეგო გამომხაურება მოჰყვა.

მაშინდელ პროზას საფუძვლიანად უწოდებენ გაღვიძებულ კონსერვატორს“, რადგან თავისი ბუნებით ამ, მართლაც, კონსერვატიულმა ლიტერატურულმა ჟანრმა მხოლოდ ქართული მოდერნიზმ-ავანგადიზმის ფინალურ ეტაპზე დაიწყო ჭეშმარიტ სიახლეთა გამჟღავნება. თუმცა უფრო ვრცელ კონტექსტში სიახლეებზე საუბარი პირობითობას იძენს, რადგან 1921 წელს ევროპელი მკითხველი უკვე ღებულობს ჯოისის ულისეს“, როგორც მხატვრული შემეცნებისა და მეთოდის ძალზე თამამი სუბიექტივაციის ყველაზე შთამბეჭდავ ნიმუშს. დემნა შენგელაია, რომელმაც რუსული სიმბოლიზმისა და განსაკუთრებით, ანდრეი ბელის რომან პეტერბურგის“ (იგი პეტერბურგითაა შთაგონებული) გავლენით სწორედ ამ წლებში შექმნა თავისი სანავარდო“, ქართული პროზის აღზევების წინაპირობას შემდეგნაირად წარმოაჩენდა: ლირიკის სეზონი გათავდა. დადგა დრო მანქანების ეპოსის. თანამედროვეობა ვერ ეტევა სახარინით დატკბილულ ლექსებში... პროზა მოდის უზარმაზარ ციკლონივით და ძნელია მისი გაღბობა ლირიკის ფსიქოლოგიურ წყალში...“ (შენგელაია : 19), თუმცა ამ სიტყვების ავტორმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მიხეილ ჯავახიშვილივით ფიზიკურად არავის გაუხანდავებია, საკუთარ თავზე იწვინა თავისუფლებადაკარგული მწერლობისა და მწერლის მწარე ხვედრი. სანავარდოს“ მხატვრული პათოსი, სამწუხაროდ, ძალიან ადვილად დაეშვა კონიუქ-

ტურული ტექსტების სიმსუბუქემდე“. 1925 წელს ჟურნალ მნათობის“ მიმომხილველი კრიტიკოსი ბ. ჟღენტიც წერდა: ...გასულ წელს ქართული პროზა გაიმართა, როგორც პოეზიასთან ქმედითი ფორმა და ამით ნათელი გახდა მთელი უსაფუძვლობა იმ მოსაზრებების, რომელთაც ქართული კრიტიკა ჩვენში პროზის პერსპექტივებს უიმედოთ უცქერდა... დიდი ხანია პროზა ჩვენში დაჩრდილული იყო ლექსის პრიორიტეტული მდგომარეობის წინაშე... თუ პროზის ჩამორჩენილობას ჰქონდა თავისი ისტორიული ახსნა, ჩვენმა რევოლუციურმა თანამედროვეობამ დააყენა პროზის რესტავრაცია. ასეა თანამედროვე დასავლეთში. პროზის სეზონი დგას რუსეთის ლიტერატურაში და ასეთივე მდგომარეობაა ჩვენშიც...“ (ჟღენტი 1925: 94). ვიდრე 30-იან წლებში კ. გამსახურდია იძულებით აიღებდა გეზს ისტორიული რომანების შექმნაზე, 20-იან წლებში ავანტიურისტულ („კვაჭი“) და რეალისტურ („სისხლი“, „ჯაყო“) რომანებს გარდა, შეიქმნა ასევე რეალისტური თეთრი საყელო“, ისტორიული არსენა მარაბდელი“ და მათ გვერდით ტიპური მოდერნისტული რომანები გველის პერანგი“ და დიონისოს ღიმილი“. ქალაქური სპლინი, ხალხმრავლობით გამძაფრებული მარტოობა, დიდი მგრძობელობა და ნიჰილიზმი, რომელიც ზოგჯერ საკუთარი ფესვების ძიებისა და მიგნების ჟინითა და შინ დაბრუნების“ დიდი მისტერიის ძალითაა განელებული — ქართველ მკითხველს საინტერესო ლიტერატურულ ცხოვრებაში ხანგრძლივ თანამონაწილეობას ჰპირდებოდა. თუმცა სერიოზული ძალისხმევით დანყებული ქართული ხელოვნების რენესანსის გზა“ (გრ. რობაქიძის ტერმინია) მალევე უგზოობად იქცა, ხოლო მისი არაერთი მესვეურის შთაგონება ემიგრაციის სუსხში, ჩეკას“ ჯურღმულებსა და სოცრეალიზმის მტვერში ჩაიკარგა.

### **დამონებიანი:**

**ადორნო 1979:** ადორნო თ. *მთხრობელის პოზიცია თანამედროვე რომანში*. საუნჯე, № 5. თბ.: 1979.

**ბახტინი 1985:** Бахтин М. *Слово в романе*“ *Вопр. лит-ры и эстетики*. М.: 1985.

**კაციტაძე 2007:** კაციტაძე კ. *ქართული საზოგადოება და თანამედროვე გამონვევები*. თბ.: 2007.

**კოსიკოვი 1984:** Косиков Г. *Теория романа: Роман средневековый и роман Нового времени*. М.: 1993.

**ლიტერატურული ენციკლოპედია 1929-39:** *Лит. Энциклопедия*, т. 9, М. 1929-39.

**მანდელშტამი 1925:** Мандельштам О. *Конец романа*. М- Л.: 1925.

**პაპავა 1924:** პაპავა ა. ქართული რომანი. *გაზ. „ქართული სიტყვა“*, №30, 1924.

**ჟღენტი 1925:** ჟღენტი ბ. 1924 წელი ქართულ ლიტერატურაში. მნათობი, №1-2, 1925.

**ჯორჯაძე 1989:** ჯორჯაძე ა. *ურნმუნო მწერლებს*. თბ. თბ.: 1989

**NESTAN KUTIVADZE**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

## **Parallel Themes as One of the Characteristics of Literary Universalia**

National literature is part of the world cultural heritage. In the footsteps of the well-established view, which apparently does not require too much reasoning, it is becoming increasingly topical to discuss world literature as a whole, i.e. to conceptualise it as ‘universal literature’. In this regard, we believe that the parallel themes found in the writings of different nations clearly demonstrate the human micro-world, national-ethnic and general signs and their relation towards inter-cultural world, highlight the socio-cultural environment that directly affects the process of creating works of art. A significant number of specific features characteristic to the artistic texts created in different countries, similar trends revealed in the depths of various ethnoses enable us to talk about a kind of literary universalia which is apparently based on the concept of a certain cultural universalia.

*Keywords: national literature, parallel themes, cultural universalia.*

### **ნესტან კუტივაძე**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **პარალელური თემები, როგორც ლიტერატურული უნივერსალიის ერთ-ერთი მახასიათებელი**

ნაციონალური ლიტერატურა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს შეადგენს. ამ საყოველთაოდ დამკვიდრებული შეხედულების, რომელიც თითქოს არცკი საჭიროებს ზედმეტ არგუმენტაციას, კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება მსჯელობა მსოფლიო ლიტერატურების ერთ მთლიანობად, ანუ „უნივერსალურ ლიტერატურად“ გააზრების შესახებ. ცხადია, რომ კულტურა მხოლოდ მწერლობაში არ ვლინდება და იგი მოიცავს მთელი საზოგადოების ცნობიერებისა და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, მაგრამ ნაციონალური ლიტერატურა მაინც რჩება ერთ-ერთ იმ უმთავრეს ფენომენად, რომელიც ინახავს ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ნიშან-თვისებებს სწორედ მაშინ, როდესაც სულ უფრო

ვინროვდება და იშლება საზღვრები თანამედროვე ქვეყნებს შორის. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სხვადასხვა ერის მწერლობაში არსებული პარალელური თემები ზედმინვენით კარგად წარმოაჩენს ადამიანის მიკროსამყაროს, ნაციონალურ-ეთნიკურსა თუ ზოგად ნიშნებს, მათს მიმართებას ინტერკულტურულ სამყაროსთან, გამოკვეთს იმ სოციო-კულტურულ გარემოს, უშუალოდ რომ ახდენს გავლენას მხატვრული ნაწარმოების შექმნაზე. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქართული ლიტერატურა წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე განმანათლებლობის ეპოქა გვაძლევს საკმარის მასალას, ვისაუბროთ საერთო ესთეტიკაზე, სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-კულტურული პროცესების დაახლოება მაინც უფრო შესამჩნევი XIX საუკუნის დასაწყისიდან ხდება, რასაც თავისი ახსნა მოეძებნება. „XIX საუკუნეში მოხდა მსოფლიოს გლობალური ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტეგრირება. სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრება დაიწყო ერთიანმა სულიერ-ისტორიულმა კლიმატმა. ხელოვნებისმიერი პრობლემები, შემოქმედის თვალსაწიერი უკიდევანო სივრცეებს განვდა. დაუსაზღვრავ სივრცეში მოექცა და საზოგადოებრივი ჟღერადობა შეიძინა, ესთეტიკურ ფასეულობებთან ერთად, ადამიანისეულმა ფსიქოლოგიამ, ყოფისა და ბუნების, საგნობრივ-სხეულებრივის უფაქიზესმა ნიუანსებმა“ (ჭილაია 2009: 13). აშკარაა, რომ იგივე კანონზომიერება იჩენს თავს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ პროცესებშიც. შემთხვევითი არ არის, რომ რომანტიზმისა თუ რეალიზმის საერთო მახასიათებლები მრავლადაა XIX საუკუნის სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ქართულ, ლიტერატურაშიც. ასევე, არაერთი საერთო ნიშანი დაიძებნება მოდერნიზმშიც, რომელიც, ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტად ხასიათდება უნივერსალიზმისაკენ სწრაფვით, რაც, თავის მხრივ, გაპირობებულიასაზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, ეთიკური თუ ესთეტიკური თავისებურებებით, გნებავთ, ეპოქის საერთო სულისკვეთებით. ამასთან ერთად, ძლიერად საზრდოობს ეროვნული ნიშნებით, ნაციონალური ლიტერატურული ტრადიციით.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ხასიათსა და მხატვრული ფორმას ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან ერთად, ბუნებრივია, განსაზღვრავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპაში მიმდინარე მსოფლმხედველობრივი ცვლილებები და, შესაბამისად, ევროპული ლიტერატურული პროცესები, რომლებიც ერთიანი, განახლებული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა თუ მიდგომების ნაწილად

მოიაზრება. ცვლილებების ამ კონტექსტში საინტერესოა ის თემები, ამ პერიოდის მხატვრულ მწერლობაში რომ მუშავდება. მათგან გამოვყოფთ პრობლემატიკას, რომელიც ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას, მის განწირულებასა და გაუფასურებას, მის მიერ საკუთარი დანიშნულების ძიებას უკავშირდება და ასახვას პოულობს იმდროინდელ ავტორთა შემოქმედებაში (ბალზაკი, მოპასანი, ჩეხოვი, დიკენსი, არაგვისპირელი, ჯავახიშვილი, ლომთათიძე...). მათს ნარატივში დაიძვნება არაერთი საყურადღებო მოტივი, ნიშანდობლივი მხატვრული დეტალი. მათი კვლევა კომპარატივისტული ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან შესაძლებლობას გვაძლევს გამოვკვეთოთ როგორც საერთო, ისე განსხვავებული ესთეტიკის განმაპირობებელი ნიშან-თვისებები და მხატვრული ინტერპრეტაციის ინდივიდუალური თავისებურებანი. ყოფითზე, ყოფითში გამოვლენილ ადამიანურ თვისებებზე აქცენტის გადატანა ერთდროულად წარმოაჩენს საყოველთაოსა და ინდივიდუალურ ნიშნებს, კერძოთი, პიროვნულით პედალირდება საყოველთაო. მით უფრო, რომ ყოველი ერი სამყაროს მოიაზრებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ეროვნული მოდელით, ფსიქიკური წყობით, ემოციური დამოკიდებულებით, რაც შეადგენს თითოეული ლიტერატურის ნაციონალურ ბუნებას. ეპოქა, რომელიც განაპირობებს ამ თუ იმ მხატვრული სახის წარმოქმნას, გვკარნახობს გარკვეულ ესთეტიკას, ხოლო შემდგომ კი მათი საშუალებით შეგვიძლია ვისაუბროთ ამავე ეპოქის ხასითსა და ნიშან-თვისებებზე.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ზოგადად, ქართულ მწერლობაში წამოჭრილი საკითხები თანაკვეთას პოულობს ევროპულ თუ რუსულ მწერლობასთან. ამჯერად, კვლევის ობიექტად დროის გარკვეულ მონაკვეთს და რამდენიმე საკითხს ვიღებთ. სოციალურმა და საზოგადოებრივ-მსოფლმხედველობრივმა მიზეზებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპულსა და რუსულ მწერლობაში ერთნაირად მოექცა ყურადღების ცენტრში პიროვნების კონფლიქტი გარესამყაროსთან, საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანის პრობლემა, რომელიც ე. წ. პატარა ადამიანის თემაში გაერთიანდა. ამ ტენდენციამ იჩინა თავი ქართულ მწერლობაშიც. მხატვრული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო სახეები შეიქმნა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი მწერლების მიერ. შიო არაგვისპირელმა, ჭოლა ლომთათიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა და სხვა ქართველმა მწერლებმა ღრმად ფსიქოლოგიზმითა და მხატვრული ოსტატობით ასახეს არსებობის შიშითა და უპერსპექტივობით დათრგუნული, დეგრადირებული ადამიანი, რომლის სულიერი ღირებულებები ყოფითი საზრუნავით შეიცვალა. მყარ სულიერ საყრდენს

მოკლებული ადამიანი კი, განწირულობის შეგრძნებით დაღდასმული, თავს ვერ აღწევს სკეპსისსა და აპათიას, რაც კიდევ უფრო აღმავებს სოციალურ კრიზისს. ამ კრიზისზე თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ მიგვანიშნა თავის მოთხრობაში — „სარჩობელაზე“, როდესაც მთავარ გმირს ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „ჩვენ ყველასთვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის“.

ადამიანის მარტოსულობა ხშირად შესაძლოა ავადმყოფურადაც ვლინდებოდეს. ასეთ, საკმაოდ საყოველთაო, მოვლენად მიგვაჩნია ადამიანისა და ცხოველის მეგობრობის მოტივი, რომელიც პათოლოგიური ხასიათის მატარებელია, ამ პერიოდის სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში იჩენს თავს და არაერთი საერთო ნიუანსით ხასიათდება. ამ მხრივ, კარგ მასალას გვაძლევს შიო არაგვისპირელის, ა. ჩეხოვის, ნ.ლორთქიფანიძის, თომას მანის შემოქმედებაზე დაკვირვება.

შიო არაგვისპირელის „დიდი-დედამარიამი და ხატაურა“ ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია არა მარტო ქართულ მწერლობაში. ტრაგიკულია, როდესაც ადამიანის ადგილს ქალის ცხოვრებაში კატა იჭერს. ნოველა „დიდი-დედამარიამი და ხატაურა“, — ესაა ლალადის ადამიანისათვის მისი ადამიანური ადგილის მიკუთვნებაზე საზოგადოებაში. ესაა აღშფოთება პიროვნების გაუფასურების წინააღმდეგ. მარიამის ტრაგედია ესაა ტრაგედია საზოგადოებისაგან დავიწყებული, მისგან ზურგშექცეული ქალისა, რომლისთვისაც მარტოობის საშინელება შეუმსუბუქებია კატას“, — მართებულად შენიშნავს ცნობილი მკვლევარი ვ. ცისკარიძე (ცისკარიძე 1972: 30). ქალისათვის ცხოველმა ასეთი ფუნქცია, თანდათან, გაუცნობიერებლადაც კი შეიძინა. „...ხატაურა და დიდი-დედა მარიამი განუშორებლები იყვნენ... სადაც უნდა წასულიყო დიდი-დედა მარიამი, ხატაურა უეჭველად თან მიჰყავდა... ახლა სრულებით აღარ ეშინოდა მარტოობისა, სიჩუმისა“, — წერს შიო არაგვისპირელი (არაგვისპირელი 1947ა: 139). მარტოობა მარიამს არავითარ შემთხვევაში არ აქცევს კაცთმოძულე, სასტიკ პიროვნებად. ქალის არსებობას, მისი ფიზიკური სიმარტოვის, უახლოესი ადამიანის დაკარგვის სიმწარის მიუხედავად, არ ახლავს შინაგანი განწირულების განცდა (შესაძლებელია ასე მისი პრიმიტიული ხასიათის გამოცხდება), რაც იოლადა ღსაქმელია მკითხველისთვისაც. სწორედ ამის გამო დიდი-დედა აღსასრულამდე რჩება კეთილ მოხუცად, რომელმაც მარტოობის გრძნობა ცხოველის საშუალებით დათრგუნა და კარგად ვერც კი იგრძნო, რამდენად დაშორდნენ, გაუუცხოვდნენ მას თანასოფლელები.

ცხოველისა და ადამიანის მეგობრობის ტრაგიკული პათოლოგიური სურათია აღწერილი ა. ჩეხოვის მოთხრობაში „Нахлебники“. ჩეხოვისა არაგვისპირელის შემოქმედებაში არანაკლებ საყურადღებო სხვა

პარალელებიც დაიძებნება, მაგ. ინტელიგენციის სულიერი დაკნინების, დეჰუმანიზაციის, გარე სამყაროსთან კონფლიქტის, ე. წ. „პატარა-ადამიანისა“ და სხვ.). პრობლემათა მხატვრული ინტერპრეტაციისას ქართველი პროზაიკოსი ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს გამოჩენილი რუსი მწერლის ანტონ ჩეხოვის შემოქმედებასთან. ჩეხოვის ნაწარმოებები: „Палата №6“, „Нахлебники“, „დეული“, „Черный монах“, „Ионыч“, „Скудная история“ და სხვა ტექსტები გადაკვეთას პოულობს შიო არაგვისპირელის ნოველებთან: „დიდი დედამარიაში და ხატაურა“, „ჰარამხანის სურათი“, „ადამიანი“, „ღირსი ვარამისა, ღირსი“..., მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთზე შევჩერდებით. მოხუცი ზოტოვიც („Нахлебники“) ისევე უთმობს მთელ თავის არსებას ძაღლსა და ცხენს, როგორც მარიამი კატას. მის მიუსაფრობასა და მარტოსულობასაც ცხოველები ამსუბუქებენ. ზოტოვიც მარიამზე შორს მიდის, რადგან უკიდურესი გაჭირვები გამო იძულებულია ცხოველები — მეგობრები დახოცოს და ამის შემდეგ საკუთარ სიკვდილზეც იფიქროს. აღსანიშნავია, რომ ორივე პერსონაჟს სულიერი სიმარტოვე ტანჯავს, თორემ მათ სახლიც აქვთ და შტამომავლობაც ჰყავთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ასეთი მდგომარეობა — ადამიანებთან ურთიერთობის ჩანაცვლება ცხოველით — მათი პიროვნული უუნარობის გამოვლინებაცაა. ისინი ინერტულები, პასიურები, შემგუებულნი არიან და ამით თავადვე ქმნიან საკუთარ სულიერი დეგრადირების შემზარავ სურათს.

თუ ამ ნოველებში შინაგანი მარტოობა და განწირულება ერთგვარად არ ცდება ადამიანობის საზღვრებს, სხვა შემთხვევაში შესაძლოა ის გაცილებით სასტიკი ვითარების მიმანიშნებელი გახდეს. ამ თვალსზრისით, საინტერესოა ცნობილი გერმანელი მწერლის თომას მანის ადრეული პერიოდის ნოველა — „ტობიას მინდერკინელი“. მიუხედავად იმისა, რომ ტობიასის საზოგადოებისაგან გაუცხოების მიზეზი ნაწარმოებში არაა გამოკვეთილი, ფაქტია, ისიც ცხოველთან მეგობრობით აღწევს თავს სიმარტოვეს, რაც მას აბოროტებს და მკვლელადაც აქცევს. „ისეთი სახით დადის, იფიქრებ, ცხოვრებას ზიზილით გაუნნავს სილაო. თუმცა ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ არავითარი დიდი უბედურება არ ჰქონდეს გადატანილი, უბრალოდ, პრაქტიკულობისათვის შეუფერებელი არსება იყოს, რომელსაც მხარი ვერ აუბამს, ვერ აჰყოლია ცხოვრებას“, — გვეუბნება მის შესახებ მწერალი (მანი 1966: 63). ეს პრაქტიკულობისათვის შეუფერებელი არსება, როგორც მწერალი უწოდებს მას, მანიაკალურ სისასტიკეს ავლენს, კლავს ცხოველს, შემდგომკომწავედ განიცდის. ეს შემთხვევა ამჟღავნებს ნაწარმოების მთავრი გმირის კაცთმოძულე ბუნებას, რაც შესაძლოა იყოს კიდევ მისი მარტოობის მიზეზი და არ აძლევდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობას და ნაკლებად უკავშირდებოდეს ეპოქის ხასიათს.



ცხოველისა და ადამიანის ურთიერთობის საკმაოდ ანომალური სურათია მოცემული ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში — „უკანასკნელი სურვილი“. „საბან-ბუმბულიდან“ „ლობის ძირში“ გადასული გმირისათვის „უკანასკნელი საყვარელი არსება“ ძალი გამხდარა. მასზე ზრუნვის საბაბით გადაწყვეტს ცხოველის მოკვლას, რათა „ვერც შეატყოს, როდის მოკვდა, ვერ იგრძნოს ტკივილი სულთ ამოხდისა და დატკბეს მხოლოდ სიკვდილის ნეტარებით“ (ლორთქიფანიძე 1989: 13). მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრაზაში მოდერნისტული ესთეტიკისათვის დამახასიათებელი გარკვეული ტენდენციის ამოკითხვაც შეიძლება, ეს უკიდურესობაც ადამიანისა და საზოგადოების, ადამიანების გათიშვის გამომხატველია. მომაკვდავის მიერ გამოჩენილი ამგვარი თანაგრძნობა თავისი არსებით სასტიკია, თანაც ცინიზმით აღსავსე.

წარმოდგენილმა კონკრეტულმა ნაწარმოებებმა კარგად აჩვენა, რომ პიროვნების გაუფასურება, მისი გარიყვა, გაუცხოება საზოგადოებისაგან, სულიერი რღვევა, ის თემებია, რომლებსაც ერთნაირად უტრიალებენდაახლოებით ერთ პერიოდში მოღვაწე შემოქმედები. გარესამყაროსთან პიროვნების კონფლიქტის მხატვრული რეპრეზენტირება სხვადასხვა რაკურსით, თუმცა მეტ-ნაკლებად მსგავსი ხერხით ხდება და ამით კიდევ უფრო ცხადად იკვეთება საყოველთაო წუხილის საგანი, სოციუმში არსებული ეპოქის მსგავსი ხასიათით განპირობებული პრობლემატიკა.

საერთო ფასეულობები სულ უფრო და უფრო იკვეთება XIX საუკუნის ბოლო პერიოდის ქართულ და ევროპულ მწერლობას შორის. არაერთი ევროპელი მწერალი საკმაოდ პოპულარულია ამ პერიოდის ქართულ პერიოდიკაში (მაგ., ჰიუგო, დიკენსი, გი დე მოპასანი, სენკევიჩი...). ბუნებრივია, ეს შემთხვევითი მოვლენა არ გახლავთ. იგი ერთგვარ კანონზომიერებად აღიქმება, თუ გავითვალისწინებთ ქართული კულტურის სწრაფვას ევროპული, დასავლური სივრცისაკენ. არც ის უნდა უგულვებლევყოთ, რომ ევროპული ლიტერატურის მიმდევრობა, არცთუ იშვიათად, ამა თუ იმ მწერლის ეროვნული ინტერესების ნაკლებობად აღიქმებოდა და ამგვარ შეფასებას ყოველთვის დადებითი კონტექსტი არ ახლდა. ზოგადად ამ საკითხის ღრმა ქვეტექსტში ცალსახად გააზრებული, ამასთან, დროთა განმავლობაში ცვალებადიპრობლემები და მიდგომებია. ამდენად, კონკრეტულ ავტორებზე დაკვირვება მუდმივად იქნება ახალი პლასტების შემცველი და ახლი თვალთახედვით საინტერესო. ამ მხრივ, საგულისხმოა გი დე მოპასანისა და ქართველ მწერალთა შემოქმედების ურთიერთმიმართების ზოგიერთ ასპექტზე დაკვირვება. აღსანიშნავია, რომ ცნობილი ქართველი ლიტერატურათ-



მცოდნის ვიოლეტა ცისკარიძის გაკვირვებას სწორედ ის ფაქტი იწვევდა, რომ კიტა აბაშიძეცა და ალ. ხახანაშვილიც დადებითად აფასებდნენ იმ მსგავსებას, რომელსაც ამჩნევდნენ, მაგალითად, გი დე მოპასანისა და შიო არაგვისპირელის შემოქმედებას შორის. არც თავად მკვლევარი უარყოფდა ამგვარ ნათესაობას და უმთავრეს თანაკვეთას ნოველის ჟანრსა და თანამედროვე საზოგადოების კრიტიკაში პოულობდა. ამასთან, ვ. ცისკარიძე არაგვისპირელის წარმატებას მისი პროზის ნაციონალური ხასიათით ხსნიდა. „...ეროვნულობით დაიწყო შემოქმედება არაგვისპირელმა და ასე გააგრძელა კიდევ. არაგვისპირელის ეროვნულობა ყველაფერში ვლინდება: თემაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში ტრადიციულად აქვს მიღებული თავისი წინამავლებისაგან; იდეურ მისწრაფებაში, რომელიც აგრეთვე ქართველი ხალხისა და მისი სახელოვანი მოღვაწეების უდრეკ, იმედიანსა და მომავალზე მეოცნება სულს ემსახურება“, — ამგვარად აფასებდა ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ქართველ ნოველისტს (ცისკარიძე 1972: 63).

საყურადღებოა, რომ მოპასანისა და არაგვისპირელის უმთავრესი ბიოგრაფიული პასაჟებიც თანხვედება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი განწყობილებებისათვის იმპულსის მიმცემი მსგავს ობიექტურ ფაქტორებთან ერთად არის თავად შემოქმედის ფსიქო-ტიპი, რომელიც ასევე განაპირობების მოვლენებისდმი მსგავს ემოციურ დამოკიდებულებას. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ორივე ავტორს, წარმატებით დაწყებული სამწერლო კარიერის მიუხედავად, მძიმე პირადი ცხოვრება ჰქონდა. ფსიქიკური არამდგრადობა (ორივე მწერალმა თავის მოკვლა სცადა), გამძაფრებული მარტოობის განცდა, ძლიერი სკეპსისი ერთნაირადაა დამახასიათებელი მათთვის. ვფიქრობთ, ამგვარი დეტალებითაც აიხსნება მათ ნოველებში გამოხატული თანაგრძნობა სუსტი, დაუცველი, ჩვეულებრივი ადამიანების მიმართ. არსებობისათვის ბრძოლას არაერთი სულიერი ღირებულება შეეწირა. ისინი ერთნაირად წუხან გაუხეშებულ, გაუფერულებულ გრძნობებზე.

გი დე მოპასანი „მიცვალებული“ და შიო არაგვისპირელის ნოველა „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“ ამჟღავნებს როგორც შინაარსობრივ სიახლოვეს, ისე მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისითაც მოქმედებით საერთო დეტალები. ორივე ნაწარმოებში წყვილის ტრაგიკულად დასრულებული სასიყვარულო ისტორიაა აღწერილი. ორივე შემთხვევაში გმირის სიკვდილი იქცევა სიმართლის გამამყლავნებელ მოვლენად. სიკვდილიც ერთი და იმავე მიზეზითაა ორივე თხზულებაში გამოწვეული. მოპასანის ნოველის მწუხარებისაგან სასწრაფო კვეთილი და სასფლაოზე ნუგეშის მძებნელი გმირი უცნაური ჩვენების მოწმე ხდება: საფლავზე აღმართულ ჯვარს განსვენე-

ბულის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი ეწერება. „ერთ დღეს სახლიდან გამოვიდა თავის საყვარლის საღალატებლად, წვიმამ დაასველა, გაცივდა და მოკვდა“ (მოპასანი 1962: 34). ასეთია იმ ქალის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი, ვისი დაკარგვით გამოწვეული შოკიდან ვერ გამოსულა სატრფო. „საშინელი ქაროშხალი იყო, როცა შინ დაბრუნდი და იქნება ავად გახდი და ამის მიზეზით დანიშნულ დროს ვერ მოხვედი“, — კითხულობს შიო არაგვისპირელის ნოველის გმირი, ტიტტიკო „ერთგული“ მეუღლისათვის საყვარლის მიერ გამოგზავნილ ბარათს (არაგვისპირელი 1947: 203). ამგვარად, გარდაცვლილი მეუღლის (ბათო) კუბოსთან სრულდება ტიტტიკოს მოჩვენებითი, თუმცა ბედნიერი სიყვარულით სავსე ცხოვრება, რომელიც ერთ წუთში ფარსად და საშინელ დაცინვად იქცა. ეს ნოველები, მსგავსი პლასტების მიუხედავად, დამოუკიდებელი მხატვრული ქმნილებებია და ძალზე ცოტა ფაქტობრივი მასალა მოგვეპოვება, რომ უშუალო გავლენაზე ვისაუბროთ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწრლობაში სულ უფრო აქტუალური ხდება საზოგადოების მორალური დაცემის თემა, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ ვლინდება უცხოურ მწერლობაშიც. მისი ერთ-ერთი გამოხატულებაა ცოლქმრული ერთგულების საკითხიც. შიო არაგვისპირელი არაა პირველი მწერალი, ამ საკითხს რომ წამოჭრის (გ. წერეთელი, ეგ. ნინოშვილი ...), მაგრამ მისი ნაწარმოებები მაინც განსაკუთრებულად იქცევა მაშინდელი საზოგადოების ყურადღებას და ხდება განსჯისა და კრიტიკის საგანი. ამ თემაზე არაერთი ნოველა აქვს დაწერილი გი დე მოპასანს. ამ ნოველებში („მოგონება“, „თვალმირგალიტი“, „ორდენიანი“...) ადამიანის მორალურ დაცემას მსუბუქი ირონია, სიტუაციური კომიზმი (საერთოდ, მოპასანისათვის სისასტიკეც არაა უცხო) ახლავს თან. ასეთი ირონია გაკრთება შიო არაგვისპირელის ნაწარმოებში „ხითხითებს და ხითხითებს“.

მწერლობა არცთუ იშვიათად უთანაგრძნობს ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ, ყოველდღიურობასთან დამარცხებულ ადამიანებს, ხშირად საკუთარი სხეულით რომ მოიპოვებენ ლუკმაპურს და არჩენენ შვილებს. მოპასანი თავისი თანამედროვე საზოგადოების სრულუფლებიან ნაწილად აღიქვამს მათ, ამავე საზოგადოების დახმარებით მის ფსკერზე მოქცეულებსა და ბედთან შეგუებულებსაც კი. „აქ კი, ჩემო ბატონო, მეტად მძიმე ცხოვრება, ნახევარჯერ მშვიერი ვარ ხოლმე, ჩემისთანები რამდენია. რას იზამ, ყველამ თავისი ცოდვა უნდა ზიდოს“, — ასე ფიქრობს ერთ-ერთი იმათგანი (მოპასანი 1962:563). „საწყალი ქალი“ — ასე აფასებს მოპასანი ქალის ბედს ნოველის („მეძავი ქალის თავგადასავალი“) დასასრულს და ვხვდებით, რომ მორალურ პასიხისმგებლობას უნდა განივიცდიდეთ და არა განვსჯიდეთ, მით უფრო ვკიცხა-

ვდეთ მათ (ამგვარ დამოკიდებულებას ვხვდებით ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოებებშიც). თუმცა მწერალმა ისიც კარგად იცის, რომ ხშირად სანტიმენტალურ ისტორიებს თავადვე იგონებენ მამაკაცების გასაბრეყვებლად („მოტირალნი“), რაც შუსრისძიების თავისებურ, უწყინარ ფორმადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ამგვარი ისტორიის შემდეგ ისინი საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებიან ხოლმე. თუმცა მათთვის შესაძლებელია არც გააფთრება და რადიკალურობა იყოს უცხო. ასეთ შემთხვევაში კი შურისძიება გაცილებით მტკივნეულ, ზოგჯერ დრამატულ ხასიათს იძენს. მაგ. შიო არაგვისპირელის დედაბერი ახალ წელს ჯერ იმ სახლს გადაწვავს, რომლის სარდაფშიც მას თავად ჩაუძახეს და შემდეგ თავად ცეცხლში ჩავარდება, რომ ბოლო მოუღოს საკუთარ დამცირებულ არსებობას („მომილოცნია ახალი წელი“). საერთოდ, თვითმკვლელობით წრფელი სიყვარულის უნარის დემონსტრირება, როგორც სულიერი ძლიერების გამოხატულება, ერთგვარი ალტერნატივაა ორივე მწერლისათვის იმის საჩვენებლად, რომ მათ სჯერათ ადამიანის სინამდისა და სიყვარულის გრძნობისა. არასახარბიელო წარსულის მქონე ქალბატონმა ბაპტისტამა („ქალბატონი ბაპტისტი“) შეძლო ნამდვილი გრძნობაც განეცადა და თავიც სწორედ ამ წარსულის გამო მოიკლა, რაკი საყვარელი ადამიანის წინაშე დაამცირეს. ფაქტობრივად, წრფელი სიყვარული გამო იკლავს თავს არაგვისპირელის თამროც („აბრეშუმის ცხივრსახოცი“), რომელიც იძულებული გახადეს უსახელოდ ეცხოვრა. ნიშანდობლივია, რომ ივანე გომართელი შიო არაგვისპირელის ერთ-ერთ გამორჩეულ თვისებად მიიჩნევდა, რომ მან „ჩვენს ბელეტრისტიკაში პირველმა გადააბიჯა გაბედვით ჩვენი ცხოვრების საზღვრებს და გვაძლევს ისეთ ფსიქოლოგიურ მომენტებს, რომლებიც საერთოა ყოველი ადამიანისათვის, რა ცხოვრებისაც არ უნდა იყოს ის“ (გომართელი 1956: 261), რაც, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა იმის აღიარება, რომ ნებისმიერი პიროვნების ყველაზე ყოფითი განცდები მსგავსი და მხატვრული ღირებულების მატარებელია.

უაღრესად საინტერესო სურათს გვაძლევს, აგრეთვე, მიხეილ ჯავახიშვილისა და გი დე მოპასანის შემოქმედების ურთიერთმიმართებაზე დაკვირვება. გარდა იმისა, რომ ქართველი ბელეტრისტი ფრანგი მწერლის რომანებს თარგმნიდა და კონკრეტულ წერილებსაც უძღვნიდა მის ნაწარმოებებს, დაიძებნება პარალელური თემებიც, რომლებიც დიდი ოსტატობით რეპრეზენტირდება ორივე მწერალთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით, საყურადღებოა სოციალურად დაბეჩავებული ადამიანების მხატვრული სახეები (მიხეილ ჯავახიშვილი: „ჩანჩურა“, „ყბაჩამ დაიგივინა“, „კურკას ქორწილი“, „უპატრონო“... გი

დე მოპასანი: „ნილაბი“, „გლახა“, „გასეირნება“, „ჩემი ბიძია ჟიული“...). ასევე, მნიშვნელოვანია ორივე მწერლის მიერ თავიანთ ფსიქოლოგიურ ნოველებში წამოჭრილი მორალური პრობლემები, ძალმომრეობითა და გადარჩენის ინსტიქტით მთლიანად შეპყრობილ საზოგადოებაში ქალთა სქესის წინაშე რომ წამოიჭრება. ეს თემა, ამასთან ერთად, მნიშვნელოვნადაა დატვირთული ღრმა ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური პლასტიკით (მ. ჯავახიშვილი: „ეკა“, „მეჩქეძე გაბო“, „ცხრა ქალწული“, „ოქროს კბილი“ და სხვ. მოპასანი: „ტელიეს დაწესებულება“, „პოლის მეგობარი ქალი“, „ბატონი ჟოკასტი“, „თმები“ და სხვ.).

მიხეილ ჯავახიშვილისა და გი დე მოპასანის შემოქმედების მიმართებას სპეციალური ნერილი მიუძღვნა რუსუდან თურნავამ, ამიტომ უფრო დეტალურად მასზე აქ აღარ შევჩერდებით, მაგრამ დავძენთ, რომ მკვლევარმა მართებული აქცენტი გააკეთა ქართველი მწერლის მიერ შვეიცარიაში ყოფნასა და პარიზში სწავლის პერიოდზე. „სწორედ ევროპაში ცხოვრებამ და მისი კულტურის საფუძვლიანად შესწავლამ განაპირობა, რომ მ. ჯავახიშვილის ღრმადეროვნული შემოქმედება იმავდროულად ეხმაურება ევროპული ლიტერატურის განვითარების ტენდენციებს“ (თურნავა 2000: 240). ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნული ფაქტორის უარყოფა შეუძლებელია ისევე, როგორც სამშობლოში არსებული ისტორიული ვითარებითა და საზოგადოებრივი განვითარების სიმძიმით ნაკარნახევი თემების გამორიცხვა იქნებოდა გაუმართლებელი, მით უფრო იმ მწერლის შემოქმედებაში, რომელიც რეალიზმის, როგორც მეთოდის, ერთგული დარჩა მთელი შემოქმედების განმავლობაში.

არაერთ საგულისხმო დეტალს მოიცავს ქართველი მწერლის — შიო არაგვისპირელისა და XIX საუკუნის პოლონური ლიტერატურის წარმომადგენლების: ელიზა ოჟემკოს, ბოლესლავ პრუსის, მარია კონოპნიცკაიას პროზის ურთიერთმიმართების საკითხიც. ამგვარი კვლევა თითქმის ყოველთვის რამდენადმე პირობითია, რადგან ერთსა და იმავე ნაწარმოებს პარალელი ან ანალოგია შეიძლება დაეძებნოს სხვადასხვა ავტორთან. როდესაც პრუსისა და არაგვისპირელის შემოქმედების ურთიერთმიმართების შესახებ საუბრობენ, გამოყოფენ ადამიანური ღირსების შელახვის, სამყაროში ჩვეულებრივი ადამიანის მძიმე ხვედრის, მისი მარტოობისა და განწირულების შესახებ და სხვ. ამ კუთხით გამოყოფენ პრუსის ნაწარმოებებს — „Сочельник“ „Дворец и лачуга“, „Город и деревня“, „Проклятое счастье“... და შიო არაგვისპირელის ნოველებს: „ესაა ჩვენი ცხოვრება“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“, „აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „ყველაი დავეკარგე“ და სხვ. (ოცხელი

2008: 234-246). არანაკლებ საყურადღებოა ქართველი ნოველისტისა და ელიზა ოჟეშკოს შემოქმედების ურთიერთმიმართების საკითხი. სხვა პრობლემებთან ერთად ოჟეშკოს შემოქმედებაშიც აისახა კაპიტალისტურ სამყაროში ადამიანთა ძალმომრეობით, უსამართლობით, არსებობისათვის ბრძოლით გამოწვეული ტრაგიზმი. მწერალი არ კარგავს იმედს, რომ შეძლებს გადაარჩინოს ადამიანის სული („შიმშილობის ნელინადი“, „A...B...C...“, „მარტა“, „უსიხარულო იდილია“, „თადეუში“ და სხვ.) ამ საკითხებთან უშუალოდაა დაკავშირებული პიროვნებისა და საზოგადოებას შორის არსებული ანტაგონისტური დამოკიდებულება, ის „დახშული წრე“, რომლის გარღვევაც ძნელად ხელენიფება ჩვეულებრივ მოკვდავს, რის გამოც იგი ნებით ხდება იმ საზოგადოების ნაწილი, საიდანაც თავის დაღწევა სურს. საინტერესოა ოჟეშკოსა და არაგვისპირელის თვალთახედვა როგორ უახლოვდება ერთმანეთს. ოჟეშკოს „უსიხარულო იდილიის“ მთავარი გმირი – მარცისია, გულწრფელი, მეგობრის სიყვარულითა და ერთგულებით ანთებული გოგონა, მარცხდება მის ირგვლივ არსებული გულგრილობისა და უსულგულობის გამო, ეგუება ბედს და წყვეტს ბრძოლას. ამაში კი მას დედა ეხმარება. მწერლის რემარკა — შვილსაც დედის ხვედრი ელოდება — თავს უყრის მრავალშრიან პრობლემას. დაახლოებით მსგავს გადაწყვეტას ვპოულობთ არაგვისპირელის „და-ძმაში“. მამას საკუთარი ხელით მიჰყავს ქალაქში ქალოშვილი და აბარებს უცნობ ქალბატონს, რომელიც ამას იმიტომ თანხმდება, რომ კატომი თავისი სახლის მომავალ სარფიან ლამაზმანს ხედავს. ასეთი უმძიმესი ვითარებიდან გამოსავალი ორივე მწერლისათვის განათლებაშია, მაგრამ აქაც საზოგადოების ყრუ კედელი წამოიმართება, ცდილობენ დააქვონ გლეხები სწავლის საჭიროებაში, მაშინ, როდესაც მათთვის ისედაც რთულია სკოლისა და მასწავლებლის შენახვა და არც ყველა მასწავლებელი გამოირჩევა განსაკუთრებული თავდადებით (არაგვისპირელი — „არ გვინდა არა“, „განი“, ოჟეშკო — „A...B...C...“). XIX საუკუნის დასასრულის პოლონეთისა და საქართველოს ისტორიული და სოციალური ვითარება მრავალი თვალსაზრისით მსგავსია, რაც განაპირობებს თემების თანხვედრას ამ პერიოდის ქართულ და პოლონურ ლიტერატურაში.

ზემოთ გაანალიზებული მასალა კარგად გვარწმუნებს იმაში, რომ სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები, ზოგადად, კულტურული ორიენტირები, მსოფლმხედველობრივი ასპექტები, განათლებასა და ლიტერატურის განვითარების მისთვის თანამედროვე ტენდენციების ცოდნასთან ერთად, მწერლებს, როგორც მხატვარ-მოაზროვნეებს, უბიძგებთ კონკრეტული მოვლენების ერთნაირად აღქმისა და გამოსახვის მეტნაკლებად მსგავსი ფორმების ძიებისაკენ, რაც მეტად მნიშვნელოვანია

და ბევრნილად განმაპირობებელია იმ ფაქტისა, რომ არაერთი მსგავსი მოტივი აისახება მხატვრულ ლიტერატურაში, ამ შემთხვევაში კი, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი და არაქართველი მწერლების თხზულებებში. ბუნებრივია, ყოველ ნაწარმოებს გააჩნია დამოუკიდებელი მხატვრული კონცეფცია, რომელიც მეტაფორული მხარისა და მწერლის რელიგიური, თუ ფილოსოფიურ-პოლიტიკური შეხედულებების ერთიანობაა. უპირველესად, სწორედ ამ შრეებით იძენება ამა თუ იმ ნაწარმოების საყოველთაო, საკაცობრიო მნიშვნელობა, რითაც ის უერთდება ზოგადკულტურულ, ჰუმანისტურ სივრცეს და ხდება ლირებული. ის ფაქტი, რომ ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები იქმნება ამა თუ იმ ენაზე უკვე თავისთავად განაპირობებს ამ ენით დასაზღვრული სივრცის, ეროვნული კულტურისა თუ ეთნიკური პლასტების ერთობლიობას. ეს ერთობლიობა კი ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად ედება ნებისმიერი შემოქმედის ინდივიდუალიზმს, ასახვის ფორმას, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის ხელოვნებას, კულტურას, რომელშიც ეროვნული უერთდება ზოგადადამიანურს. ამასთან, კონკრეტული ეპოქის მაღალმხატვრული ნაწარმოები გადის დაწერის დროიდან და დამოუკიდებელ ესთეტიკურ ლირებულებას იძენს.

ცალკეულ ქვეყანაში შექმნილი მხატვრული ტექსტებისათვის ნიშანდობლივი არაერთი მახასიათებლისა, სწორედ სხვადასხვა ეთნოსის ნიაღში გამოვლენილი მსგავსი ტენდენციები გვაძლევს შესაძლებლობას, ვისაუბროთ ერთგვარ ლიტერატურულ უნივერსალიაზე, რომლის საფუძველშიც, ბუნებრივია, კულტურული უნივერსალია მოიხაზება. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე მარინო წერს: „სხვადასვა ტერიტორიაზე არსებული ლიტერატურების ერთ სხეულად შეკვრის სულისკვეთება, რასაც ერთვის იმის შეგნება, რომ ლიტერატურა ერთიანია, უნიტარულია, თუნდაც ევროპის პერიმეტრით იფარგლებოდეს, ყველაფერი ეს აძლიერებს რწმენას, რომ თითოეული ეროვნული ლიტერატურა საზრდოობს საერთო პრინციპების გარკვეული რაოდენობით (განათლება, გემოვნება, „პოეზია“ და ა. შ.). ეს უკანასკნელი პრინციპები უზრუნველყოფს ლიტერატურათა ერთობლიობის არამარტო მეტნაკლებადმჭიდრო და „კოსმოპოლიტურ“ მთლიანობას, არამედ, ამასთანავე გარკვეულ იდენტურობას, ესთეტიკურ „ერთგავროვნებასაც“ კი“ (მარინო 2010: 31). ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქართველი მწერლები ქმნიან. ვფიქრობ, მხოლოდ მცირე ნაწილსა და მათი შემოქმედების რამდენიმე ასპექტზე დაკვირვებამ კარგად აჩვენა, რომ ქართველ მწერალთა სააზროვნო სივრცე საკმაოდ მასშტაბურია, მათს ხელოვნებაში საერთო ევროპული ფასეულობები რეპრეზენტირდება.



ლიტერატურულ უნივერსალიაზე, როგორც ერთგვარ კანონზომიერებაზე, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ერთი და იმავე ეპოქის, ერთი და იმავე ლიტერატურული მიმდინარეობის შიგნით მუდმივად შეიძლება იქნეს დაძვნილი პარალელური თემები, რომელთა კულტივირება უაღრესად საინტერესოა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების საფუძველზე. ბუნებრივია, შემდგომშიც მარავალი საგულისხმო საკითხი შეიძლება წამოიჭრას, ასევე, მუდმივად შესაძლებელია შეიცვალოს როგორც ავტორთა შემადგენლობა, ისე ხედვის კუთხე. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანით შემოვიფარგლეთ, რომ უკეთ წარმოგვეჩინა, რამდენად განაპირობებს ობიექტური გარემო, საზოგადოებრივი ვითარება თავისი დროისათვის საკმაოდ მწვავე და ღრმა სოციალური შრეების მქონე თემების მხატვრული ინტერპრეტირების მსგავს და განსხვავებულ რაკურსებს და ერთდროულად გამოკვეთს როგორც ლიტერატურულ უნივერსალიას, ისე ნაციონალური ლიტერატურებისა და ავტორებისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს.

#### **დამოწმებანი:**

**არაგვისპირელი 1947:** არაგვისპირელი შიო. *თხზულებათა სრული კრებული*. ტ. I. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1947.

**არაგვისპირელი 1947ა:** არაგვისპირელი შიო. *თხზულებათა სრული კრებული*. ტ. II. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1947.

**გომართელი 1956:** გომართელი ი. *რჩეული თხზულებანი ორ ტომად*. ტ. I. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1956.

**თურნავა 2000:** თურნავა რ. მიხეილ ჯავახიშვილისა და გი დე მოპასანის ნოველისტიკა. // *კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის გამოცემა, № 3, თბ.: 2000.

**ლორთქიფანიძე 1989:** ლორთქიფანიძე ნ. *თხზულებანი*. თბ.: „განათლება“, 1989.

**მანი 1966:** მანი თ. *მოთხრობები*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**მარინო 2010:** მარინო ა. *კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია*. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

**მოპასანი 1962:** მოპასანი გი დე. *სიყვარული*. ნოველები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1962.

**ოცხელი 2008:** Оцхели В. *Творчество Болеслава Пруса и его Связи с Русской Культурой*. Москва: Издательство Академии наук, 2008.

**ცისკარიძე 1972:** ცისკარიძე ვ. *უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972.

**ჭილაია 2009:** ჭილაია რ. *ტექსტი ტექსტებზე*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

**GOCHA KUCHUKHIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

